პროკლე კეკელიძე

აკაკი წერეთელი

(ცხოვრება და მოღვაწეობა)

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1985

83. 3Гр1
899.962.1.092 [წერეთელი აკ.]
ჯ 402

ნაშრომში განხილულია აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთი საკითხი, რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა ლიტერატურულ-ესთეტიკური კრედო; აკაკიას შეხედულებანი ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, მისი შემოქმედების ძირითადი მოტივები: ეროვნულ-გამათავისუფლებელი და სოციალური, აკაკის თვალსაზრისი ახალქართული სალიტერატურო ენის, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის, ქართული თეატრისა და ქართველი ქალის შესახებ.

წიგნი განკუთვნილია მოსწავლე ახალგაზრდობის, სტუდენტების, უმაღლესი და საშუალო სკოლის მასწავლებლებისა და აკაკის შემოქმედებით დაინტერესებული სხვა მკითხველისათვის.

რეცენზენტები: დოც. ვლ. მინაშვილი
დოც. ი. ევგენიძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1985.

4702170100
К———————
М 608 (06) 85

წინათქმა

ქართველი ხალხის პოეტური გენია — აკაკი წერეთელი თავის უმდიდრეს შემოქმედებაში უმაგალითო პოეტური ოსტატობით ხატავდა ქართველი ხალხის პროგრესულ, ჰუმანურ იდეალებს, მის საუკეთესო მისწრაფებებს, ღრმა სიბრძნეს, მოწინავე ტრადიციებს, მებრძოლ სულსა და მომავლის უშრეტ რწმენას.

ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, ქართველი ხალხის უსაყვარლესი პოეტის აკაკი წერეთლის მდიდარი, მარად უჭკნობი შემოქმედება შთაგონებულია მოწინავე იდეალებით, რევოლუციურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობით, ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთებითა და კეთილშობილური ჰუმანიზმით. ხალხურობა, რევოლუციური ბრძოლის ძლიერი პათოსი, მებრძოლი პატრიოტიზმი, დაჯერებული ოპტიმიზმი, ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობისათვის ზრუნვა წარმოადგენდა დიდი პოეტის მდიდარი შემოქმედებითი მოღვაწეობის ქვაკუთხედს. დიდი ეროვნული პოეტის შემოქმედება საკაცობრიო მნიშვნელობისაა. აკაკის, როგორც დიდი დემოკრატის, პოეტური შედევრები ჭეშმარიტად წარმოადგენს ოქროს ფონდს მსოფლიო კულტურის საგანძურში.

მეტად ფართო და მრავალფეროვანია აკაკის შემოქმედება. მან შექმნა შეუდარებელი მხატვრული შედევრები ლიტერატურის თითქმის ყველა სფეროში — ლირიკის, ეპოსისა და დრამატურგიის დარგებში. მასვე ეკუთვნის უბადლო ფელეტონები, შესანიშნავი პუბლიცისტურ-კრიტიკული წერილები, ბრწყინვალე ნარკვევები, სტატიები ლიტერატურათმცოდნეობის, თეატრის, ახალი ქართული სალიტერატურო ენის, ხალხური შემოქმედების, ისტორიის, სწავლა-აღზრდისა და სხვა საკითხებზე.

აკაკი წერეთელმა, ილიასთან ერთად, ქართულ ლიტერატურაში დაამკვიდრა კრიტიკული რეალიზმი. მებრძოლი პროგრესული იდეებითა და უშესანიშნავესი რეალისტური შედევრებით მან მტკიცე საფუძველი ჩაუყარა შემდგომი პერიოდის ქართული ლიტერატურის განვითარებას. აკაკის სხივმოსილ ლიტერატურულ ტრადიციებზე აღიზარდნენ და იზრდებიან ჩვენი ქვეყნის

მოწინავე მწერლები, მხატვრული სიტყვის გამოჩენილი ოსტატები. აკაკისა და ილიას დიდ შემოქმედებითსა და პრაქტიკულ მოღვაწეობასთან, მათ დიად სახელებთან არის დაკავშირებული ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარება და ხალხში მისი დამკვიდრება. ნიკო ნიკოლაძე შესანიშნავად ახასიათებს აკაკის მოღვაწეობის ამ მხარეს, როცა აღნიშნავს: „აკაკის ლექსების ენა გაირჩეოდა წმინდა ხალხური კილოს მანამდე გამოუცდელი სიმშვენიერითა და სიმსუბუქით, იმ კილოსი, რომელიც სრულიად თავისუფალი იყო მწიგნობრული ხელოვნურობისა და განსაზღვრულობისაგან... აკაკიმ ქართულ სიტყვიერებაში მოიპოვა და სავსებით შეინარჩუნა ისეთივე მნიშვნელობა, როგორიც პუშკინს აქვს რუსული ლიტერატურის ისტორიაში. მან პირველმა და მერე ყველაზე უფრო მეტად თანამოძმეთა შორის მძლედ დაუახლოვა ლიტერატურული ენა ხალხურს იმით, რომ მიანიჭა მას საოცარი მოქნილობა და გრაცია, გამომეტყველება და მდიდარი გამოთქმა“.

აკაკი ათეული წლების განმავლობაში ილიასთან ერთად სათავეში ედგა ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას და აღვივებდა ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის შეუპოვარი ბრძოლის სულისკვეთებას. ი. გოგებაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს „იალბუზი ქართული მწერლობისა“ თავისი „გენიალური მუზით განუწყვეტლივ შეუსვენებლივ ემსახურებოდა მაღალს დანიშნულებას: სამშობლოს აღდგენას, ამაღლებას, აყვავებას“.

აკაკის დროინდელ საქართველოში არ ყოფილა არც ერთი საყურადღებო სახალხო მნიშვნელობის მოვლენა, რომლის შესახებაც აკაკის თავისი ავტორიტეტული აზრი არ გამოეთქვას, მის გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობა არ მიეღოს. დიდებული მგოსანი დიდ მხატვრულ-შემოქმედებით მუშაობასთან ერთად კარგად ათავსებდა ფართო საზოგადოებრივ-პრაქტიკულ მოღვაწეობას, მისი ინიციატივით, ხელმძღვანელობითა და აქტიური მონაწილეობით შეიქმნა იმ დროს ქართველი ხალხისათვის ფრიად საჭირო საზოგადოებრივ-კულტურული დაწესებულებანი. პოეტმა განუზომელი ამაგი დასდო ახალი ქართული თეატრის, მოწინავე პროგრესული პრესის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობას, მდიდარი ხალხური შემოქმედების შეგროვების, შესწავლისა და გამოცემის საქმეს და სხვ.

აკაკიმ ილიასთან ერთად, თავისი შესანიშნავი წერილებით საფუძველი ჩაუყარა ხალხისათვის გასაგებ, ხატოვან, პრინციპულ და მებრძოლ ქართულ პუბლიცისტიკას. მან გაამდიდრა

ქართული კულტურის საგანძური რუსული კლასიკური მწერლობის ნიმუშების უბადლო თარგმანებით. ბევრი გააკეთა ქართული ლექსის მხატვრული სრულყოფისათვის. მისი პოეზია გამოირჩეოდა იშვიათი სიმსუბუქით, ნათელი, პლასტიკური სახეებით, მდიდარი მეტრიკით, ფრიად მუსიკალური რითმებით. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა მისი შთამომავლისა და მოწაფის გალაკტიონ ტაბიძის შეფასება, როცა აკაკის შესახებ ამბობდა: „მან მთები დასდგა მარგალიტების“.

უაღრესად საგულისხმო და მრავალფეროვანია აკაკის შემოქმედებითი ცხოვრება. მისი ბიოგრაფია იმდროინდელი საქართველოს რთული ცხოვრებაა, ამ ცხოვრების ერთი მძლავრი ანაშუქია. მისი შემოქმედება და პრაქტიკული საქმიანობა ქართველი ხალხის დიდებისა და ღირსების დაცვის, სამშობლოს თავისუფლებისა და კეთილი მომავლის მიღწევის, დამკვიდრების დიდ საქმეს ემსახურებოდა. აკაკი მუდამ და განუყრელად იდგა ერის მაჯისცემის სადარაჯოზე. სწორედ ამის გამო უწოდა მას ილია ჭავჭავაძემ „რჩეული“ ერისა; მას აკაკის პოეზიის გარეშე ვერც წარმოედგინა ქართული ლირიკა.

ქართველი მწერლები, პოეტები შესანიშნავ ადგილს აკუთვნებენ აკაკის ქართულ პარნასზე, ბრწყინვალე სტრიქონებს უძღვნიან მის დიდებულ ღვაწლს.

აკაკის ღვაწლი და შემოქმედება უკვდავია. საკაცობრიო იდეალებთან ერთად მის შემოქმედებაში ორგანულად არის გაერთიანებული ქართველი ხალხის საუკეთესო იდეალები, სიბრძნე, ფიქრები და განცდები, მისი კეთილშობილური მისწრაფებანი, ფაქიზი სურვილები. ამიტომ არის აკაკი ნამდვილი სახალხო მგოსანი, ამიტომ შეიყვარა იგი მადლიერმა ბუნებელმა ერმა, აღიარა სულიერ ნინამძღოლ-მამად, დიდ მოჭირნახულედ და შეარქვა მას ქართველი ხალხის „უგვირგვინო მეფე“.

აკაკის მშობლები, ოჯახი და ბავშვობის წლები

აკაკი წერეთელი დაიბადა 1840 წელს, 9 (21) ივნისს, ზემო იმერეთის ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში, საჩხერის რაიონის სოფელ სხვიტორში.

ამ სოფლის შესახებ აკაკი წერდა:

„სოფელი სხვიტორი დაბა საჩხერის ნაწილია და მდებარეობს მდინარე ჩიხურის პირად, გაღმა-გამოღმა გორაკებზე“.

ამ კეკლუც სოფელს დაჰყურებს მაღალ კლდეზე აგებული ძველი ციხე—მოდინახე, რომელიც, აკაკის დახასიათებით, „ციხეთ-ციხე, ამაყი ციხეა“, მტრების წინააღმდეგ ქართველი ხალხის გმირული ბრძოლებისა და მრავალი მწარე დროების მოწამე.

აკაკის ძლიერ უყვარდა სოფელ სხვიტორის შუაგულში მიმდინარე გიჟმაჟი ხევის წყალი — ჩიხურა.

ცნობილ ნაწარმოებში „ჩემი თავგადასავალი“ პოეტი, როდესაც მამის სასახლეს, თავის ბავშვობას, მშობლიურ მიდამოებსა და იმდროინდელ ცხოვრებას აღწერს, აღნიშნავს: „მიყვარს საზოგადოდ ბავშვი, უგულითადესად პატივსა ვცემ მოხუცებულობას, ღირსეულად ვაფასებ ვაჟკაცობას, მაგრამ გული კი ჭაბუკობისაკენ მიმიწევს და ყველაზე უფრო იმას შეფრქვევით ვეტრფიალები...

ალბათ, ამის მიზეზი უნდა იყოს, რომ წყლებშიაც ყოველგვარ მდინარეს გიჟმაჟი ხევის წყალი მირჩევნია და მათში კი უპირატესობას ერთს მათგანს, ჩიხურას ვაძლევ: ის იყო ჩემი საკუთარი ემბაზი და ჩემი პირველი სარკე.

სწორედ ამ ჩიხურის პირად, მაღლობზე, სდგას ორსართულიანი ქვითკირის სახლი. ამ უშნო შენობას სიმაღლე პატარა კოშკისა აქვს, სიგრძე — დარბაზისა და სისქე — ციხის, მაგრამ არც ერთ მათგანს კი არა ჰგავს!.. აი, ამ სახლში დავბადებულვარ მე 9 ივნისს, განთიადისას, 1840-ში, თუმცა ნათლობის მოწმობაში 1841 მიწერია“.

შთამომავლობით აკაკი წარჩინებულ ფეოდალთა გვარეულობას ეკუთვნოდა. წერეთლები ცნობილი თავადები იყვნენ. საქართველოს საისტორიო წყაროებსა და მხატვრულ ლიტერატუ-

რაში ხშირად გვხვდება ამ გვარის გამოჩენილ პირთა სახელები. წერეთლები განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ XVII-XVIII საუკუნეებში. ამ პერიოდში ისინი იმერეთის სამეფო კარზე განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდნენ და სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმეში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ. თითქმის ყველა დიდი თანამდებობა სახელმწიფოში მათ ეჭირათ.

ზემო იმერეთში ცნობილია წერეთელთა საჩხერისა და სხვიტორის შტო.

აკაკის მამა, როსტომ როსტომის ძე წერეთელი, სხვიტორელი წერეთლების შთამომავალი იყო. „სხვიტორელი წერეთლები, — წერდა აკაკი, — განთქმული ვაჟკაცის დავით წერეთლის ნაშიერნი არიან. ქველ წერეთელს, საზოგადოდ, ყველა თავად წერეთლების წინაპარს, ორი შვილი ჰყავდა: დავით და პაპუნა... დავით წერეთელი შესანიშნავი რაინდი იყო და მისი ხმალი მთელ საქართველოში განთქმული. ბელჩართულ ომში რომელ მხარისაკენაც მიმართავდა, გაიტანდა. გადმონაცემია: ღვინო თავის დღეში არ დაულევია, მაგრამ სისხლი კი ათრობდა და ომში მიუკარებელი რამ იყოო. მხოლოდ ერთხელ გაქცევია ომს. ეს მაშინ იყო, როცა ქართლისა და იმერეთის მეფე შეეტაკენ. მეფემ თურმე ჰკითხა გაქცევის მიზეზი და მანაც საჯაროდ უპასუხა: „შიშმა გამაქცია, საოცარი რამ ჩვენება ვნახეო: დედაჩემს ჩემი ძმა მარჯვენა ძუძუსა სჭრიდა და მეც მიწევდა, რომ მარცხენა მომეჭრაო“. ამ სიტყვამ ისე გამოაფხიზლა იმერეთის მეფე, რომ ქართლის მეფეს მოციქულები გაუგზავნა დავრიგდეთო. სიბერის დროს დაქერივდა, შეირთო მეორე ცოლი და მიეცა ვაჟი — გიორგი...

ეს გიორგი... გაუდრეკელი კაცი ყოფილა და ამიტომაც დაურქმევიათ „ხარ-გიორგი“. გიორგის ჰყოლია ორი ვაჟი: სვიმონი და როსტომი.

სვიმონის „თანამედროვე იყო, — განაგრძობს აკაკი, — მეორე სვიმონ წერეთელიც, სახუცისშვილი. ერთი მათგანი საოცარი თვალადი ყოფილა და მეორე კი ტანადი და მიტომაც დიდი მეფე სოლომონი ხშირად თურმე იტყოდა ხოლმე: „ერთის თავი რომ მეორეს ტანს დაადგა, მაშინ ჩემი სამეფო საკვირველების მხარე იქნებოდაო“[1].

სხვიტორელი წერეთლები, საჩხერელ წერეთლებთან შედა-

---

[1] „აკაკის თვიური კრებული“, 1897 წ., № 1, მეორე განყოფილება, გვ. 33.

რებით, ქონებრივად უფრო ნაკლებ შეძლებული თავადები იყვნენ[1].

მამა. აკაკის მამა, როსტომ წერეთელი, ერთადერთი შვილი იყო ზემოდასახელებული როსტომ წერეთლისა. იგი დაბადებულა 1802 წელს. მას მამა ადრე გარდაცვლია და ამ უბედურების გამო სათანადო სწავლა-განათლება ვერ მიუღია. დედისერთა ობოლი ბავშვი მომეტებულად შინ ყოფილა და ძირითადად შინაური სწავლა-განათლებით დაკმაყოფილებულა.

აკაკი წერეთელი მამის ასეთი მდგომარეობის მიზეზად, სხვათა შორის, თვლის ფეოდალთა ურთიერთშორის დაუსრულებელ შუღლს, აშლილობასა და ერთმანეთის დაწიოკებას. ძლიერი მებატონეები საკუთარი განდიდებისა და გავლენის მოსაპოვებლად არბევდნენ შედარებით სუსტ ფეოდალთა ოჯახებს. მოძალადე ფეოდალთა შორის გაბატონებით გამოირჩეოდა ზურაბ წერეთელი. მას ზურგს უმაგრებდა ცარიზმის მმართველობა და ამით გულგასული მძლავრობდა მთელ საწერეთლოში. მან არ დაინდო პოეტის მამის ოჯახიც. აი, რას მოგვითხრობს ამის შესახებ აკაკი:

„უკანასკნელ დროში წერეთლები მძლავრობდნენ და სახუცის ოჯახი კი, მთავრობისაგან ზურგმომაგრებული, ყველაზე ბატონობდა. იმ დროს მამაჩემი ღედისერთა მცირეწლოვანი ობოლი ყოფილა... ქვრივ-ობოლს ვინ არა სჩაგრავს, და, რასაკვირველია, შეძენის სურვილით გატაცებული სახუცესიც არ დააკლებდა ხელს. ერთხელ სახუცის მოურავი მოსულა ბებიაჩემთან და მოუხსენებია: „თქვენ რომ ეზოში ძელქვის პატარა სახლი გიდგათ, სახუცესს სურს, რომ დაუთმოთო“. პატრონს, რასაკვირველია, შორს დაუჭერია ეს ამბავი, მაგრამ მოურავს მაინც მოუყვანია მუშები, დაუნგრევია სახლი და გადაუტანია. გამწარებულ ბებიაჩემს სახუცისათვის წიგნი მიუწერია: „დიდო ზურაბ წერეთელო! გრცხვენოდეს უკადრისი საქციელის. დაგვიმარტოხელე ქვრივ-ობოლი და სახლს თავზე გვანგრევო“. პასუხად ზურაბ წერეთელს აი, რა მოეწერა:

„აბაშიძის ქალო, ენა დაიმოკლე, თორემ ხომ იცი, დროც ჩემ ხელთ არის და გასავალიცო. ჩაგწერ სიაში და შენი ობლიანა მოზდოკში ამოგაყოფინებ თავსა“. ამ მუქარით შეშინებული ქვრივი გაჩუმებულიყო, მეტი რა გზა ჰქონდა, და შვილსაც ისე უფრთხილდებოდა, რომ მუდამ გვერდში უჯდა და აღარსად უშვებდა. ამის ბრალი იყო, რომ მამაჩემი შინაკაცად იყო

---

1 დაწვრილებით იხილეთ ლევან ასათიანი, „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“, 1940 წლისა და შემდგომი გამოცემები.

გაზრდილი და მხოლოდ ის იცოდა, რაც დედამისს ესწავლებია“.

ოჯახში ნებივრობას, კარჩაკეტილ აღზრდასა და „მუდამ დედის კალთაში თავის დებას“ სათანადო ზეგავლენა მოუხდენია როსტომის ზნეობრივ მხარეზე: „იმას მთელ მის სიცოცხლეში თვითნებობა და ახირებულობა ზნედ ჰქონდა გადაქცეული. სძულდა ნადირობა, რაც იმ დროს მებატონეების ჩვეულება იყო“. ოჯახის გარეთ გავლაც ეჯავრებოდა და სულ სახლში იჯდა, შრომა-საქმიანობა არ უყვარდა; შინ არაფერს აკეთებდა, ამბობდა: „კაცი სიმშვიდისა და მოსვენებისათვის არის გაჩენილიო“.

როსტომ წერეთელი იმდროინდელი ფეოდალის ტიპური განსახიერება იყო. როგორც აკაკი გადმოგვცემს, როსტომი „არც თითონ შრომობდა, არც სხვას აწუხებდა. უყვარდა ძილი... პირის გემო იცოდა. უყვარდა კარგად ჭამა და სულ იმას იძახოდა: არიქა, მშიერი არავინ დარჩეს სახლში, დსა და პატარას, ყველას სამყოფად აჭამეთო!“

როსტომს რამდენიმე წელიწადს სამონასტრო სკოლაშიც უსწავლია. ხშირად გაიხსენებდა, თურმე, მისი ცხოვრების ამ პერიოდს და თავმომწონედ იტყოდა: „პეტრე არხიმანდრიტს რომ ვებარე მონასტერში ბავშვობისას, ყველას ვჯობდი. რასაც სხვები ათ-ათ წელიწადს უნდებოდნენ, მე ორ-სამ წელიწადს გავიარე, გავათავე ღრამატიკა, ანგარიში, ისტორია, ღეოღრაფია და სხვანიო. ბატებმა არ დამაცალეს, ყიყინით მაწუხებდნენ, თვარა, რომ მომეცადა, არისტოტელის კათეღორიასა და ლოღიკას სულ ბღღვირს გავადენდიო“.

როსტომს ახალგაზრდობაში მონაწილეობა მიუღია დაღესტნის ბრძოლებში და აქ მამაცობის გამოჩენისათვის ჯარის სარდლობას წმ. გიორგის ჯვრით დაუჯილდოვებია. როსტომ წერეთლის ოჯახი ტიპური ფეოდალი მემამულის ოჯახი იყო. აკაკი მას შემდეგნაირად ახასიათებს: „ჩვენი სახლის ზედა სართულს ოდა ერქვა, ქვედას — პალატი, და ორივეს საერთოდ კი-- სასახლე, რომელსაც ირგვლივ სამი კუთხით სხვადასხვა შენობა ერტყა: სამოახლო, საფარეშო, სახაბაზო, სამზარეულო, ბეღლები, საბძლები, სასიმინდეები, მარანი და სხვადასხვა ხულები. იმათზე ცოტა მოშორებით საჯალაბო იყო და იმ საჯალაბოს გარს ერტყა საჯინიბო, სათხებო, საღორე, საქათმე, საბატე, საინდოურე და სხვ... ჩვენ სახლს წინ დიდი ეზო ჰქონდა, სადაც უზარმაზარი ნიგვზები, ანუ როგორც ზოგან უწოდებენ, კაკლის ხეები, საჩრდილებლად თავმომწონედ შლიდნენ შტოებს. სახლის წინ კარის ეკლესია იყო აგებული“.

როსტომს, როგორც საკმაოდ მსხვილ ფეოდალ-მემამულეს, სასახლეში უამრავი გამდელები, მოახლეები, ფარეშები, ხაბა-

ზები, მზარეულები, მეჯინიბეები, ხელოსნები, მწყემსები, მხლებლები და სხვა შინაყმა და მოსამსახურეები ჰყავდა. აკაკის გადმოცემით, „სამოახლოში ქალები იდგნენ და სამ ხარისხოვანად იყოფებოდნენ: გამდელებად, მოახლეებად და გოგოებად... სახაბაზოში საბაზები იდგნენ... სამზარეულო მზარეულებს ეჭირათ ხელში... მარან-ბეღლები ხელოსნებს ებარა, სასიმინდე და ხულებიც მათი საქმე იყო; საბძელები კი მეჯინიბეებს ჰქონდათ მიჩენილი. მოჯალაბე და მწყემსები ცალკე წრეს შეადგენდნენ". ამასთანავე, აკაკის მამა ფლობდა მრავალ ყმა გლეხსა და დიდ მიწა-მამულებს.

აკაკის მოგონებიდან ირკვევა, რომ როსტომ წერეთელი თავგამოდებით იცავდა ყმა გლეხის ველური ექსპლოატაციის, უუფლებობისა და არაადამიანური ჩაგვრის ბატონყმურ ურთიერთობას. ამ მხრივ დამახასიათებელია აკაკის მიერ აღწერილი შემდეგი ეპიზოდები:

...„ერთ ჩვენ გლეხთაგანს, სხვათა შორის, ნახევარი კვერცხიც ემართა... ჩამოვიდოდა სასახლეში, სამზარეულოში შეწვავდა კვერცხს, გაფცქვნიდა, მერე გაჰყოფდა ძუით შუაზე და ნახევარ კვერცხს მიართმევდა ბატონს, როგორც ბეგარას. ნახევარი კვერცხის ბეგარა ისე აწუხებდა იმ გლეხს, რომ რამდენჯერმე სთხოვა ბატონს: ამომიკვეთე და ერთ ძროხას მოგართმევო. მაგრამ პასუხად ამას ეუბნებოდა: საშვილიშვილო ვალდებულება რომ მე მოვსპო ძროხის გულისათვის, ეს ღორმუცელობა იქნება, და თუ სხვაში გამოიჩენ როგორმე თავს ერთგულობით, მაშინ კი შეიძლებაო. მართლაც, ჩვენს სამოახლოში სახადი გაჩნდა, ავადმყოფები გადახიზნეს. საორმოცომ ისე შეაშინა ყველა, რომ ავადმყოფებს არავინ ეკარებოდა, მაშინ ამ გლეხმა იშოვა დრო, დაადგა თავზე ამ გადაწოლილებს და უპატრონა. ამ ერთგული სამსახურისათვის ამოუკვეთეს ნახევარი კვერცხის გადახდა".

არანაკლებ დამახასიათებელია მეორე შემთხვევაც:

„...ერთ გლეხს, — განაგრძობს აკაკი, — წელიწადში ათი კოკა ღვინო ემართა; ერთ წელიწადს ღვინო არ მოუვიდა და ბატონმაც კოლოტებით ღვინის მაგიერ ათი კოკა წყალი გამოატანია და ჩაასხმევინა ჭურში. ღვინო რომ არ მოუვიდა, ის ღვთის ნება იყოო; გლეხკაცს მუშაობა და შრომა მაინც არ დაკლებიაო და, რაც არა აქვს, რა უნდა გადავახდევინოო. მაგრამ წყალი ხომ ზედ კარზე ჩამოუდისო, და მიტომ გამოვატანინე, რომ არ იფიქროს, ბეგარა ამოკვეთილი მაქვსო".

როსტომ წერეთელი არ ერიდებოდა ყმა გლეხთა დაწიოკებასაც. მან განკარგულება გასცა, რომ ოთხმოცდაათი წლის მოხუცი გლეხი თავისი ოჯახიდან იძულებით სასახლეში გადმოეყ-

ვანათ. უეჭველია, საქმე საწყალი გლეხის უბედურებით დამთავრდებოდა, რომ მძვინვარე მამისთვის განკარგულება პატარა აკაკის არ შეეცვლევინებინა.

აკაკის მამა კარგი მოჭადრაკე, საკმაოდ ჭკვიანი, გონებამახვილი და მოსწრებული მოსაუბრე ყოფილა. ეს ნათლად ჩანს პოეტის შემდეგი სიტყვებიდან:

„მამაჩემი... ძლიერი გონების კაცი იყო, მოსწრებული და ენამჭევრი, თუმცა კი ხშირად ენამწარეც. დედაჩემი იტყოდა ხოლმე: „ამ ჩემ შვილებს მამამისის ენა გამოჰყვათ დახურდავებულიო". ჩვენ ხუთნი და-ძმანი ვიყავით, ღვთის მადლით, არც ერთს არ გვქონია სუსტი ენა და აქედან შეგვიძლია ვიგულისხმოთ, თუ რა უნდა ყოფილიყო მამაჩემის დაუხურდავებელი ენა? სწორედ სასიამოვნო და საყვარელი სანახავი იყო მამაჩემი, როდესაც გუნებაზე იყო. იმას რომ სწავლა მიეღო და ცხოვრებაში განვითარება ჰქონოდა, შესანიშნავი რამე იქნებოდა".

როსტომი ოჯახის საქმეებში არ ერეოდა. მიუხედავად მისი ახირებულობისა და გულფიცხი ხასიათისა, სასახლეში ის ქალბატონზე უფრო ჰყვარებიათ. გარეშეებიც დიდი სიყვარულით ექცეოდნენ თურმე როსტომს და „მთავრობაც დიდ პატივსა სცემდა". 1847 წელს როსტომი დაუნიშნავთ ქუთაისში მთავრობის მიერ დაარსებული „იმერეთისა და გურიის თავადაზნაურობის უფლებათა გამრჩევი კომისიის" დეპუტატად. ამ კომისიის მრავალ საქმეთა შორის როსტომ წერეთლის ხელმოწერა გვხვდება 1853 წლის 26 ივლისს შედგენილ მოწმობაზე, რომლითაც ბეჟან ლორთქიფანიძის ოჯახის წევრები „ცნობილი არიან კომისიისა მიერ მქონედ უეჭველისა სიმართლისა კნიაზობის ღირსებასა ზედა"[1]. აღსანიშნავია, რომ ხსენებული ოჯახის წევრთა შორის დასახელებულია კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე, შემდეგში ცნობილი მწიგნობარი, ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე, აკაკის სიყრმის მეგობარი და, საერთოდ, სამოციანელ მოღვაწეთა გუნდის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი. აღნიშნულ კომისიაში მუშაობისას როსტომ წერეთელს მოუხდა ქუთაისში ცხოვრება და პატარა აკაკიც ამ პერიოდში სწავლობდა ქუთაისში. როსტომი გარდაიცვალა 1876 წელს. დასაფლავებულია სხვიტორის მახლობლად კვერეთის საგვარეულო სასაფლაოზე.

დედა. აკაკის დედა, ეკატერინე, იყო ცნობილი ფეოდალის

---

[1] აღნიშნულ დოკუმენტს ხელს აწერს 27 პირი, მეცამეტე ადგილზე როსტომის ხელმოწერაა შემდეგი ტიტულით: „ჩლენი კომისიისა კოლეჟსკის რეგისტრატორი თ-ი როსტომ წერეთელი" („კოლეჟსკი რეგისტრატორი იყო სამოქალაქო სამსახურის ყველაზე დაბალი, პირველი საფეხურის ტიტული").

ივანე აბაშიძის ასული, იეანე აბაშიძე კი იმერეთის მეფის სოლომონ პირველის (სოლომონ დიდის) ასულის — დარეჯანის შვილი იყო. ეკატერინეს დედა გურიის უკანასკნელი მთავრის, მამია გურიელის ღვიძლი და ყოფილა. ეკატერინე დაბადებულა 1808 წელს. მამამისი, ივანე აბაშიძე, 1819-1820 წლების იმერეთის აჯანყებას მეოაურობდა. ეს აჯანყება იარაღით იქნა ჩახშობილი, რის შემდეგაც ივანე აბაშიძე იმერეთიდან თურქეთში გადახვეწილა. რამდენიმე ხნის შემდეგ ის მოუკლავთ ახალციხეში. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ აბაშიძის ოჯახი სასტიკად დაარბიეს. ამის შესახებ აკაკი წერს: „აჯანყებულები რომ დაიმორჩილეს და დაამშვიდეს... აბაშიძის ოჯახი აიკლეს და იმის ცოლ-შვილიც სხვებთან ერთად ტყვედ წაიყვანეს. გურიის უკანასკნელი მთავარი, მამია გურიელი, ღვიძლი ძმა იყო აბაშიძის ცოლის: გამოესარჩლა დასა და დისწულებს, იშუამდგომლა მთავრობასთან და ტყვეები... უკანვე დააბრუნეს გზიდან. მაშინ დედაჩემი იყო 12 წლისა და ყველაფერი გულის ფიცარზე დაებეჭდა".

ივანე აბაშიძის ოჯახის წევრები ტყვეობიდან დაბრუნდნენ, მაგრამ სახლ-კარი მთლიანად განადგურებული დაუხვდათ. უპატრონოდ და ულუკმაპუროდ დარჩენილები გურიელმა შეიკედლა. ბიძა განსაკუთრებული ყურადღებითა და გულმოდგინებით შეუდგა პატარა ეკატერინეს აღზრდას. გურიელის ოჯახი იმ დროისათვის საკმაოდ განათლებული ყოფილა. მთავარმა აკაკის დედის აღზრდა განსწავლულ ადამიანებს მიანდო; ეკატერინესაც გამოუჩენია სათანადო გულმოდგინება და, როგორც აკაკი ამბობს, რაც კი იმ დროში ქართველი ქალის ხელიდან გამოვიდოდა, ყველაფერი ზედმიწევნით სცოდნია; იგი ყოფილა „კარგი მწიგნობარი, მეოჯახე, მოხელესაქნარე და მასთან კარგი აღმზრდელი. ცნობისმოყვარეობასთან შრომისმოყვარეობაც შეთვისებული ჰქონდა".

1826 წელს გარდაიცვალა მამია გურიელი, მისი მეუღლე კი მცირეწლოვანი შვილით თურქეთში გადაიხვეწა. გურიელის ოჯახი განადგურდა. ამის გამო ნივთიერად ძლიერ შევიწროებული ეკატერინე ხან ივანე აბაშიძის ოჯახში, ხან ნათესავებთან და ხანაც ქუთაისში, საკუთარ ღარიბ ქოხში ცხოვრობდა. ოცი წლის ეკატერინე ცოლად გაჰყვა როსტომ წერეთელს[1] და ამის

---

[1] როსტომ წერეთელს უფრო ადრე ცოლად ჰყოლია ნინო, ევსტატი ციციშვილის ასული, რომელიც ქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ გარდაცვლილა მშობიარობისას. ამის შემდეგ როსტომს შეურთავს ეკატერინე (იხ. ამბერკი გაჩეჩილაძე, „აკაკი წერეთელი", 1949 წ. გვ. 5).

შემდეგ მთელი თავისი სიცოცხლე მან ქმარ-შვილის ერთგულებას შეალია. ეკატერინე მეტად გამრჯე, ბეჯითი, ჭკვიანი და შრომისმოყვარე ადამიანი ყოფილა. ოჯახის მთელ საქმეს ის განაგებდა. საშინლად სძულდა სიზარმაცე და უსაქმურობა. დილიდან საღამომდე გამუდმებით შრომობდა, უსაქმოდ არ გაჩერდებოდა. ამის შესახებ აკაკი გადმოგვცემს: „დილას მამლის ყივილზე რომ წამოდგებოდა, დაღამებამდე ფეხზე იდგა და უსაქმურად კაცი ვერ ნახავდა. „სიზარმაცე და უსაქმურობა დედა არის ყოველგვარ ბოროტებისაო", — იტყოდა ხოლმე... და მოსამსახურეებს ყოველთვის თვალყურს ადევნებდა, რომ ცუდი არა ჩაედინათ-რა. უსაქმოდ არავის გააჩერებდა, ყოველგვარ ხელობას ასწავლიდა მათ და ზოგს წიგნსაც აკითხებდა... მკაცრობისა და მრისხანების სახელი ჰქონდა გავარდნილი, რადგანაც თავი მძიმედ ეჭირა... სასახლეში მისი ყველას ეშინოდა". იმ დროს დედა თვით აკაკისაც კი გულცივ და მრისხანე ადამიანად ეჩვენებოდა. პოეტი ფიქრობდა, რომ ის დედას თითქოს არც კი უყვარდა. პოეტის ამგვარი განწყობილება ნათლად ჩანს აკაკის ერთი დაუმთავრებელი ლექსის „ჩემი თავგადასავალი" შემდეგ სტრიქონებში:

არ ვყვარებივარ დედასა,
როგორც სხვა შვილი, ისე მე...

მაგრამ ეს მხოლოდ ბავშვური ეჭვიანობა იყო: სინამდვილეში კი, როგორც შემდეგ თვით აკაკი მოგვითხრობს, ეკატერინე გულჩვილი, მოსიყვარულე, სათნო, გაჭირვებულის დამხმარე, სნეულის შემწყალე და გულისხმიერი ადამიანი ყოფილა: „მაშინ მეც ისე მეგონა, როგორც სხვებს, — წერს აკაკი, — რომ დედაჩემი ცივგული და მრისხანე იყო, მაგრამ გონებაში რომ ჩავხვდი, მაშინ-კი გამოვიკვლიე სიმართლე: ის იყო ნამეტანი ჩვილი გულის მექონი და მოყვარული... უნდა გენახათ მაშინ, როდესაც სასახლეში ავად ვინმე გახდებოდა, გინდ უკანასკნელთაგანიცა!... დღე და ღამ მოსვენება აღარა ჰქონდა და თავის ხელით უვლიდა, როგორც შვილს. გაჭირვებულის დახმარება რჯულად ჰქონდა დადგენილი, სულ სხვებზე ჰფიქრობდა".

ეკატერინეს დიდი ღვაწლი მიუძღვის შვილებისა და, კერძოდ, აკაკის გონივრულ აღზრდაში. იგი არ ანებივრებდა შვილებს ხშირი ალერსითა და ხვევნა-კოცნით. ამის შესახებ აკაკი მოგვითხრობს: „საკვირველი ზნე სჭირდა დედას, თუ არ გამოთხოვების დროს, როცა სადმე დიდი ხნით მივდიოდი, და ხანგრძლივი უნახაობის შემდეგ, ისე არ გვაკოცებდა ბავშვებს, და მაშინაც ისე, თითქო გული ნებას არ აძლევსო. ეს მეც მიკვირდა

და ვერ ამეხსნა. ეს ხასიათი მთელ მის სიცოცხლეში შერჩა. შვილიშვილებსაც ასე ეპყრობოდა. ერთხელ დაცოლშვილებული ვიყავი, შევესწარი, რომ ჩემ პატარა შვილს, მძინარს მიდგომოდა და სიფრთხილით, არ გამოიღვიძოსო, ჰკოცნიდა და ეალერსებოდა. მაშინ მივხვდი, რომ ალბათ ჩვენც ასე გვეალერსებოდა-მეთქი. ცხადად ვინ უშლიდაო, — იფიქრებს კაცი, და ის თურმე იმ აზრის იყო, რომ ხშირი მოფერება აფუჭებს ყმაწვილს და წარამარა კოცნასაც ფასი აღარ აქვს მის თვალშიო". აკაკი მთელი სიცოცხლის მანძილზე სპეტაკად და სათუთად ატარებდა დედისადმი ღრმა პატივისცემისა და უსაზღვრო სიყვარულის გრძნობას. მას ყოველთვის სწამდა ჭკვიანი დედის გონებამახვილობისა და განათლების ძალა.

ეკატერინე დიდად დაინტერესებული ყოფილა ქართული ლიტერატურით. ის სტუდენტ შვილს ავალებდა ახალგამოცემული წიგნების გამოგზავნას. პეტერბურგიდან 1860 წელს მოწერილ წერილებში აკაკი დედას სწერდა: „მხედრულ დავითნს... ქართულ ისტორიას თეიმურაზისას... მალე მოგართმევთ". შემდეგ წერილში პოეტი კვლავ ატყობინებდა დედას: „ქართული ისტორია, გეოგრაფია თუ სხვადასხვა წიგნები ვიყიდე მანდ გამოსაგზავნად"[1].

ეკატერინე გარდაიცვალა 1885 წელს, სამოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში.

აკაკის დები და ძმები. აკაკის მშობლებს ხუთი შვილი ჰყავდათ: ანა, დავითი, იასონი (შინაურობაში — ილიკო), აკაკი და მავრა (შინაურობაში — მატა).

ანა უფროსი შვილი იყო. მან მთელი სიცოცხლე მშობლების ოჯახში გაატარა. აკაკის ძლიერ უყვარდა თავისი უფროსი და, რომელსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა. ანა საკმაოდ განათლებული, წინდახედული და გონიერი ქალი ყოფილა. მან შეასწავლა პატარა აკაკის ქართული წერა-კითხვა. იგი ბავშვობიდანვე საგანგებო მზრუნველობას იჩენდა საყვარელი ძმისადმი. სხვა ხელობასთან ერთად, დედას თავისი ქალისათვის სხვადასხვა ავადმყოფობის მკურნალობა უსწავლებია და ანაც გულმოდგინედ უვლიდა და მკურნალობდა ავადმყოფ მეზობლებს. ანამ დაგვიტოვა შესანიშნავი მოგონებები აკაკის შესახებ. გარდაიცვალა 1920 წელს, 90 წლის ასაკში.

---

[1] ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმი, კირილე ლორთქიფანიძის არქივი, აკაკის წერილების კოლექცია, № 5 და № 26; შდრ. აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 15, გვ. 20, 25-26.

ანას მომდევნო, აკაკის უფროსი ძმა დავითი ერთ ხანს ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა. ის გიმნაზიის უკანასკნელი კლასიდან გამოიყვანეს და სამხედრო სამსახურში გაამწესეს. დოც. გიორგი აბზიანიძის გამოკვლევით, დავითი „სხვიტორელის“ ფსევდონიმით ათავსებდა წერილებს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. მის კალამს ეკუთვნის ცნობილი მოთხრობა „ჩერქეზის ქალი“, რომელსაც უკანასკნელ დრომდე, შეცდომით, აკაკის თხზულებად თვლიდნენ. დავითი გარდაიცვალა 1902 წელს სხვიტორში.

აკაკის მეორე უფროსი ძმა იასონი (შინაურობაში — ილიკო) მამას ქუთაისის გიმნაზიაში მიუბარებია, მაგრამ სწავლის დამთავრებამდე ისიც გამოუყვანიათ სასწავლებლიდან და გაუგზავნიათ პეტერბურგს, საღაც ჩაურიცხავთ იმპერატორის მხლებელი ჯარის („კონვოი“) ნაწილში. „კონვოიში“ იასონის სამსახურის პერიოდთანაა დაკავშირებული აკაკის სტუდენტობის პირველი წლები. პეტერბურგში ჩასვლისას აკაკი იასონთან მივიდა. იასონი იყო აკაკის „მეგზური“ და მზრუნველი. მანვე ჩააბარა ჭაბუკი აკაკი პეტერბურგის ქართველ სტუდენტობას. აკაკის გადმოცემით „კონვოელები“ ფუქსავატურ ცხოვრებას ეწეოდნენ: ისინი „კარგად სვამდნენ, კარგად სჭამდნენ, კარგად ეცვათ, დღეში რამდენიმე საათს ცხენებს აჭენებდნენ, ათამაშებდნენ და დანარჩენ დროს აქეთ-იქით საქეიფოდ ინახავდნენ“. „ასე რომ,— შენიშნავს აკაკი, — კონვოების... მდგომარეობა უსაქმური კაცისათვის სანატრელი იყო. ახალგაზრდა პოეტი უკმაყოფილო იყო „კონვოიში“ იასონის სამსახურის გამო: „მე... მწყინს, — ამბობ- და აკაკი, — რომ ჩემი ძმა მანდ არის... მაგან თითქმის გაათავა გიმნაზია და მანდ კი მისთანა ქართველი უნდა შევიდეს, რომელმაც არა იცის რა და სხვა გზა აღარა აქვს... მანდ ცუღლუტობის მეტს ვერას ისწავლის კაცი“. იასონი გარდაიცვალა 1873 წელს ქუთაისში.

როსტომ წერეთლის უმცროსი შვილი იყო მავრა (შინაურობაში — მატა). იგი მიათხოვეს ალექსანდრე დადიანს, რომელიც მოკლეს თურქეთის ომში (1378 წ). მატა გარდაიცვალა 1876 წელს[1].

ძიძასთან სავანეში. ძველი ჩვეულების თანახმად, პატარა აკაკი აღსაზრდელად ძიძას მიაბარეს მახლობელ სოფელ სავანეში.

„საწერეთლოში, ზემო იმერეთში, — წერს აკაკი, — ბევრი

---

1 იხ. ლევან ასათიანი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, 1940 წ., გვ. 40-49.

კარგი სოფელია, და მათ რიცხვში ურევია სავანეც, ის სოფელი, სადაც ჩემი ძიძა ცხოვრობდა და მე ვიზრდებოდი. როგორც სათვალდათვალოდ, ისე ჰაერის სიკეთითაც ის საუცხოო რამ არის და ამიტომაც დაურქმევიათ „სავანე“, ე. ი. მოსასვენებელი ადგილი. საჩხერეზე შორს არ არის: ჩვენი სახლიდან ნახევარი საათის სასიარულო თუ იქნება“.

ამ კეკლუც სოფელში იზრდებოდა პატარა აკაკი ძიძის, გლეხის ქალის, ფარსადან ყანჩაველის მეუღლის მანო სადუნიშვილის ოჯახში.

გლეხის ოჯახში გაბარებამ უდიდესი როლი შეასრულა მომავალი პოეტის ფიზიკურ, ზნეობრივ აღზრდასა და გონებრივ განვითარებაზე. აქ იგი იზრდებოდა უღარიბესი გლეხის ბავშვებთან ერთად, ისლით გადახურულ უფანჯრო-უსარკმლო სიბნელე სახლში. ხანში შესული პოეტი უტკბესი გრძნობით გადმოგვცემს: „თვალწინ მიდგია ისლით გადახურული ხის სახლი წინა და უკანა კარებით, უფანჯრო-უსარკმლო მხოლოდ ორი საკვამლურით, ანუ საფაფურით, საიდანაც კვამლი გადიოდა და სამაგიეროდ სინათლე შემოდიოდა. შუა კერაზე, მხართეძოზე წამოწოლილი დევივით იდვა დიდი, უზარმაზარი ჯირკვი და გაუსხლტელად ზამთარ-ზაფხულ ცეცხლი გუზგუზებდა“.

მომავალი პოეტის თვალწინ მიმდინარეობდა ყმა გლეხთა დუხჭირი, უუფლებო, ჩაგრული და აუტანელი ცხოვრება. ცნობისმოყვარე, მგრძნობიარე, ნიჭიერი და ჭკვიანი ბავშვი უშუალოდ გაეცნო ხალხის ცხოვრებას. სავანეში პატარა აკაკი მთელ დღეებს ატარებდა გლეხებთან ყანებში, ტყეში საქონლის მოვლაში, სხვა საქმიანობაში და, რაც მთავარია, იგი მთელი ამ საქმიანობის უბრალო შემყურე კი არ იყო, არამედ თვითონაც გულმოდგინედ მონაწილეობდა მასში. „ხუთი-ექვსი წლისამ, — მოგვითხრობს აკაკი, — ძალიან კარგად ვიცოდი, თუ როგორ უნდა პირუტყვს ყურისგდება, ფრინველს მოვლა, სადილვახშმის მზადება, გაცრა-გამტკიცება, გამოცხობა, სხვადასხვაგვარ შეჭამადის მომზადება და სხვანი. შესწავლილი მქონდა, თუ როდის და როგორ უნდოდა: ხვნა-თესვა, თოხნა, მკა, სხვლა და სხვანი“... განსაკუთრებით უყვარდა პატარა აკაკის სამწყესურში წასვლა: „გათენდებოდა თუ არა,— წერს აკაკი, — უქუდო, ფეხშიშველა გავრბოდი მწყემსებისაკენ და დაღამებამდე იქა ვრჩებოდი“.

მომავალი პოეტი, მინდვრად, გლეხის ბავშვებთან ერთად, დილიდან დაღამებამდე ატარებდა დროს მრავალფეროვან თა-

მაშობასა და სიმღერა-გართობაში. აქ მისი ფანტაზია ზღაპრების, შაირების, ანდაზების, ლექსებისა და ხალხური შემოქმედების სხვა ქმნილებების უშრეტი წყაროთი იკვებებოდა. მშრომელი ხალხის მდიდარი შემოქმედებითი გენიის ძვირფასი მარგალიტები, მისი ჯანსაღი, ხალხური მისწრაფებები და იდეები აღვივებდა აკაკის გულში ხალხის სიყვარულს. მშრომელთა ზეპირსიტყვიერებაში ასახული ხალხის ცხოვრება, მისი საუკეთესო ფიქრები, გრძნობები და მისწრაფებები, მშრომელთა საბოლოო გამარჯვების რწმენა, სამშობლოს თავისუფლებისა და აყვავებისათვის ბრძოლის სულისკვეთება, სახალხო გმირთა უღრმესი სიყვარული და პატივისცემა წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა მომავალ პოეტზე.

აკაკი შემდეგში სიამოვნებით იგონებდა გლეხის ოჯახში და მშრომელთა შვილებთან გატარებულ ცხოვრებას:

დილიდან დაღამებამდე
ვამბობდით ზღაპრებს, შაირსა,
ანდაზებს ახალ-ახალსა
და სიტყვებს ნაირ-ნაირსა.
დროს ვატარებდით თამაშით,
სიმღერითა და გალობით,
ეს იყო შკოლა პირველი,
გადავრჩი ჭირსა წყალობით.

აკაკი ძლიერ აფასებდა სოფლად, გლეხის ოჯახში, მშრომელთა შვილებთან გატარებულ დროს და ლაღი ბუნების წიაღში ცხოვრების „პირველი შკოლის გავლას". იგი პატარაობიდანვე გაეცნო სოფლის მდიდარ ბუნებას. აკაკის აზრით, ბუნების მრავალფეროვნების გაცნობა სოფლელისათვის უფრო ადვილია, ვიდრე ქალაქელი ბავშვისათვის: „ბუნებას... სოფლელი იცნობს თავის საკუთარი ნახულობით. სოფლელს, — წერს აკაკი, — თვალწინ უდგას ყოველთვის ბუნება, მისი სხვადასხვაფერობით, გაცნობილი ჰყავს ყოველგვარი ოთხფეხი ფრინველი, ქვემძრომი, მწერი, მცენარე და იცის მათი ზნე და ჩვეულება: ყველა მის თვალწინ იბადება, იზრდება, იშლება, იფურჩქნება, აყვავდება, მოაქვს ნაყოფი და კვდება, — ყველა მათგანის ჭირისა და ლხინის თანამოზიარეა და ამიტომაც ეთვისიანება მათ".

დიდმა პოეტმა ყმა გლეხის ოჯახში აიდგა ფეხი, ამოიდგა ენა, აქ ჩაეყარა საფუძველი ყველა იმ უაღრესად ნაზ, სპეტაკ და კეთილშობილურ გრძნობას, რომლებითაც აკაკი შემდეგ დაუკავშირდა მშრომელ ხალხს, ყმა გლეხობას, მის ბედსა და მომა-

ვალს. ამას თვით პოეტიც გრძნობდა და სიამოვნებით აღნიშნავდა: „არ შემიძლია არ გამოვტყდე, რომ, თუ კი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხების შვილებთან ერთად ვიზრდებოდი". და მართლაც, ბავშვობაშივე შეიყვარა მომავალმა პოეტმა მშრომელი სალხი, გაიცნო მისი მძიმე ცხოვრება, გაიზიარა მისი ჭირ-ვარამი და ჩაგრული ადამიანისადმი თანაგრძნობით განიმსჭვალა. ამასვე ადასტურებს აკაკის გულწრფელი სიტყვები:

რადგანაც არ ვიზრდებოდი
მე სხვებთან ბატონურადა,
მიტომაც ჩემზე მდაბალსა
მე შევეტკბებოდი ძმურადა

მშობლებთან ოჯახში. ექვსი-შვიდი წლის აკაკი მშობლებმა მოაშორეს ძიძას და სასახლეში (მამის სახლში) გადმოიყვანეს. ამით დასრულდა გლეხის ოჯახში თავისუფალი აღზრდის წლები. სასახლეში პატარა აკაკის სრულიად ახალი ცხოვრება უნდა დაეწყო. მშობლები შეუდგნენ ბავშვის ბატონკაცურად აღზრდას. ოჯახში მოყვანისთანავე მამამ შვილს მიაძახა: ეი, სოფლის ბიჭო! შენ ახლა ბატონობა უნდა ისწავლო და ბატონიშვილობას უნდა მიეჩვიოო. იმავე დღეს სადილზე აკაკიმ, ყმა ბიჭებს შორის, თავის ძიძიშვილს ფარულად ხორცი რომ გადაუგდო, დედამ შენიშნა და, ვითომ სხვათა შორის, მაგრამ ნართაულად უთხრა: მაგის ტოლა ბიჭები, ორი-სამი, ხომ ხედავ, სხვაც არის! ისინი სულ შენი შინაყმები და ვეზირები იქნებიანო.

ასეთ პირობებს სათანადო გავლენა უნდა მოეხდინა პატარა აკაკის აღზრდაზე და ჩაეკლა ბავშვში კეთილი თვისებები, მაგრამ გლეხის ოჯახში მიღებული აღზრდა იმდენად ძლიერი და ძირმაგარი აღმოჩნდა, რომ მისი შერყევა შეუძლებელი შეიქნა. აკაკი ვერ ეგუებოდა სასახლის ცხოვრებას, იქ მისთვის თითქმის ყველაფერი უცხო იყო. ამიტომ მომავალი პოეტი იმთავითვე განიმსჭვალა სიძულვილით ფეოდალურ-პატრიარქალური ცხოვრების, მისი დრომოჭმული, დახავსებული და ველური თვითნებობის საფუძველზე აგებული წყობილების მიმართ. ფეოდალურ-მემამულური ყოფის უსამართლობას, ბატონებისა და მოურავების გაიძვერობასა და ვერაგობას აკაკი ვერ ურიგდებოდა და ბავშვის გულში თანდათან ღვივდებოდა მებატონის ცხოვრებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება, ხოლო დაბეჩავებულისადმი გულისხმიერების, შეწყალებისა და სიყვარულის გრძნობა.

სავანეში გლეხის ბიჭებთან ცხოვრებას მიჩვეულ ბავშვს სასახლეში ყოფნა მოსწყინდა. ის მთელი არსებით ღარიბი ხალხის შვილებისაკენ მიიწევდა. ეს გარემოება შეუმჩნეველი არ დარჩენია აკაკის გონიერ და წინდახედულ დედას. მან ბავშვს გასართობად გლეხის ბიჭები მიუჩინა. პატარა აკაკი, დედის მეთვალყურეობით, კვლავ გლეხის ბიჭებთან ატარებდა დროს: ღილიდან საღამომდე მათთან ერთად დარბოდა მინდორში, ზამთრობით დასდევდა ჩიტებს, მთელ ღამეებს თევზაობაში ატარებდა, პატარა ფარეშებთან თამაშობდა „სტუმრობიას", „კურდღლობიას" და სხვ. გლეხის ბიჭებთან ყოფნისას აკაკი ისმენდა ზღაპრებს, შაირებს, ანდაზებსა და გამოცანებს. თევზაობისას „ღამის თევის დროს, — მოგვითხრობს აკაკი, — რომ ძილი არავის შემოგვპაროდა, მორიგად ზღაპრებს ამბობდნენ ბიჭები: ხან შაირებს, ხან ანდაზებს, ხან გამოცანებს და კიდეც ეს იყო, რომ ამგვარ ადგილებისაკენ ჩვენც მიგვიხაროდა".

პატარა აკაკი მეტად გატაცებული ყოფილა ზღაპრებით. პოეტის უფროსი და ანა მოგვითხრობს: ისე არ დაიძინებდა, თუ ზღაპარს არ ეტყოდნენ. ჩამიწვებოდა ქვეშსაგებში და დამაწყებინებდა ზღაპრებსო.

აკაკი აღტაცებით იგონებს იმ დროს, როცა საღამოობით, გლეხის გოგო-ბიჭებთან ერთად, სასახლეში მოგუზგუზე ბუხრის წინ, შვლის ტყავზე მოკალათებული, დიდი ინტერესით ისმენდა ზღაპრებს: „...საღამოს... დაგვიძახებდნენ... დაანთებდნენ ბუხარში ცეცხლს, ბუხრის წინ გაგვიშლიდნენ შვლის ტყავს და დაგვსვამდნენ ზედ. ირგვლივ შემოგვეხვეოდნენ ბიჭები და მოგვიყვებოდნენ ხოლმე ზღაპრებს. ზღაპარი რომ მოგვწყინდებოდა, მაშინ გავშაირდებოდით ხოლმე ერთმანეთში: ან გამოცანებს ვამბობდით და ან სხვებრ როგორმე ვიქცევდით თავს ვახშმობამდე. დედა იქვე იჯდა ფეხმოკეცილი, წიგნს კითხულობდა თავისთვის, მაგრამ ჩუმად კი ყურს უგდებდა: ბიჭებს ურიგო არა წასცდეს-რა ყმაწვილებთანო".

აკაკის დედა არ ანებივრებდა, რომ მეტისმეტი ალერსით არ გაეფუჭებინა ბავშვი. ეკატერინე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ბავშვის ფიზიკურ აღზრდას. მომავალ პოეტს არ არიდებდნენ არც სიცივეს, არც სიცხეს, არც გარეთ ღამისთევას და მინდორ-ტყეში ხანგრძლივად ყოფნას; სულ ფეხშიშველა და თავშიშველა დავრბოდით მინდორში, — გადმოგვცემს აკაკი, — არც გაციების გვეშინოდა და არც შიმშილისაო.

აკაკიმ უფროსი დის, ანას ხელმძღვანელობით ადრე შეისწავლა ქართული წერა-კითხვა, რუსული კითხვა კი დედამ ასწავლა.

აკაკი ბავშვობიდანვე ძლიერ გატაცებული იყო წიგნების კითხვით. ყოველ დილას, საუზმის შემდეგ, მიუჯდებოდა ხოლმე წიგნებს და კარგა ხანს კითხულობდა. 8-10 წლის ბავშვს უკვე რამდენჯერმე ჰქონდა გადაკითხული „ვეფხისტყაოსანი", პროფესორ დავით ჩუბინაშვილის მიერ პეტერბურგში გამოცემული ქართული ლიტერატურის ქრესტომათია და სხვ. „ვეფხისტყაოსანმა" იმდენად გაიტაცა პატარა აკაკი, რომ მან თამაშობა დაივიწყა და მთელ დღეებს წიგნების კითხვაში ატარებდა.

აკაკი, როგორც აღვნიშნეთ, პატარაობიდანვე გატაცებული იყო ხალხური შემოქმედებით. ქართული ხალხური შემოქმედების საგანძურს იგი ჯერ კიდევ სავანეში, ბავშვობაში გაეცნო, ხოლო მშობლების ოჯახში ბეჯითად კითხულობდა ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშებს. „უკანასკნელ წელიწადს, — გადმოგვცემს აკაკი, — ბევრს აღარ დავრბოდი, რადგანაც ადრინდელი თავშესაქცევარი ყოველგვარი თამაშობა მომწყინდა და უფრო სხვა საფიქრელს გადავყევი. ამის მიზეზი იყო „ვეფხისტყაოსანი". წავიკითხე თავიდან ბოლომდე და, თუმც ზღაპრული მხარის მეტი არა გამიგია რა, მაგრამ მაინც ძალიან გატაცებული ვიყავი. იმას მივაყოლე საკითხავებიც და მთელი ქრისტომატია, ჩუბინაშვილისაგან პეტერბურგში გამოცემული, რამდენჯერმე გადავიკითხე".

ქართული სიტყვიერებისა და ლიტერატურის ბრწყინვალე ნიმუშების გაცნობამ გარკვეული როლი შეასრულა მომავალი პოეტის გონებისა და ფანტაზიის განვითარებაში. ნიჭიერ, დაკვირვებულ და მგრძნობიარე ბავშვს ადრევე გაელვიძა შაირების გამოთქმის ინტერესი. ამის შესახებ აკაკის უფროსი და, ანა, გადმოგვცემს: „მაშინ, ბატონყმობის დროს, მოსამსახურეებმა ერთმანეთში გაშაირება იცოდენ ხოლმე; აკაკიც ჩაერეოდა შაირში და თითქმის ყველასა სჯობნიდა. შაირების გამოთქმით საქმეს უჭირვებდა ყველას. არავინ დაუტოვებია ოჯახში, არც კაცი და არც პირუტყვი, რომ არა გამოეთქვას რა". ანას მიერ გადმონაცემ აკაკის ყრმობისდროინდელ შაირებში იგრძნობა პატარა მოშაირის ნიჭი და ჭკუამახვილობა. აკაკის სძულდა გაიძვერა და მლიქვნელი მოურავი, რომელიც მოხდენილად დაახასიათა შემდეგი შაირით:

ბეღელს თაგვი შესჩვევია,
ხრავს სულ, რაც სახრავიაო;
მაგრამ თვითონ დიდი თაგვი
ჩვენი მოურავიაო.

მომავალ პოეტს არ უყვარდა გაიძვერა და ფლიდი მოურავი, მით უფრო, რომ აკაკის დედასაც სძულდა იგი. ამის შესახებ პოეტი მოგვითხრობს: „მამაჩემს სახარების კითხვა უყვარდა... ერთხელ სახარების კითხვის დროს, როდესაც მივიდა იმ ადგილამდე, სადაც ფარისევლები შეცდენას უპირებდნენ ქრისტეს... მამაჩემმა წამოიძახა: ჰოი, ახლა ნეტავი თქვენი თავი მომცა ხელში, რომ ეგ წვერები სულ ღერ-ღერად დაგაგლიჯოთო!". ამ სიტყვების გამგონე ეკატერინე მეუღლეს შეეკითხა: ვის უჯავრდები მაგრე გულითო? ვისა და იმ შეჩვენებულ ფარისევლებს — უპასუხმა როსტომმა. — „შე დალოცვილო, მაგ სიშორეს რომ არ წაეპოტინო, მიუგო დედაჩემმა, — შენ რომ საკუთარი ფარისეველი გყავს, რატომ იმას არაფერს ეუბნებიო? შენმა მოურავმა მთელი ოჯახი აურია, მაგის თავგასულობას საზღვარი აღარა აქვს. რამდენი ხანია გეხვეწები, რომ ამ ოჯახს ეგ როგორმე მოაშორო, მაგრამ ის ფარისევლობით თვალებს გიხვევს და ჩემი არა გჯერა რაო!". როსტომმა გააძევა ოჯახიდან ცუდი მოურავი. დედის ამგვარი შეგონებისა და საკუთარი შთაბეჭდილების მიხედვით რაღა გასაკვირია, რომ აკაკის საძულველ მოურავზე შაირი გამოეთქვა.

ანალოგიური ხასიათისაა შაირი ქრისტეფორე ბერზე:

ქრისტეფორე ბერიაო,
ცოდვებს გაუბერიაო;
წვერები ჩვენს ვაცს მიუგავს,
განზე გაუშვერიაო.

ბავშვობაში შეუთხზავს აკაკის კითხვა-მიგების სახით ერთგვარი დრამატურგიული ნაწარმოები, რომელშიც აღწერილი ყოფილა სასახლის ცხოვრება. ამ ნაწარმოებს საფუძვლად დასდებია აკაკის მიერ სასახლეში უშუალოდ ნახული და განცდილი ვითარება, ხოლო დაწერის იმპულსი გამხდარა გ. ერისთავის კომედია „გაყრა".

ამ დროიდან მთავრდება აკაკის სოფლად მშობლების ოჯახში ნებიერი ცხოვრება და იწყება ახალი ყოფის პერიოდი. მომავალი პოეტი მამამ ქუთაისში წაიყვანა და სკოლაში მიაბარა. „რვა წლისა ვიყავი, წერდა პოეტი, როდესაც სოფელს მომაშორეს და ქალაქ ქუთაისში გადამიყვანეს. აქ თავდება ჩემი ბავშვობის პირველი ხანა ბედნიერი, ნაყოფიერი და დაუვიწყარი".

1850 წელს აკაკი ქუთაისის საგუბერნიო გიმნაზიაში მიაბარეს. მეფისდროინდელი გიმნაზიების მიზანს თვითმპყრობელურ-მონარქიული წყობილების ერთგული დამცველების აღზრდა შეადგენდა. სასწავლებელში გამეფებული იყო ფიზიკური დასჯა, დასმენა, მლიქვნელობა და სასწავლო მასალის უაზრო, მექანიკური დაზეპირება. ცნობილი ქართველი მოაზროვნე და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე, რომელიც მე-19 საუკუნის 50-იან წლებში ქუთაისის საგუბერნიო გიმნაზიაში სწავლობდა, თავის მოგონებაში წერს: „გიმნაზია იმ დროს უვაროვის ტიპის იყო. გვასწავლიდნენ საღმრთო სჯულს, ბუნებით საგნებს (ზოოლოგიას, ბოტანიკას, მინერალოგიას), ისტორიას, არითმეტიკას, ალგებრას, გეომეტრიას, რიტორიკას და პიიტიკას; ენებს: რუსულს, ქართულს, თათრულს და ფრანგულს. ეს ოთხი ენა ყველა მოწაფისათვის სავალდებულო იყო. როცა მეხუთე კლასში გადავიდოდით, გვეკითხებოდნენ: აპირებთ თუ არა უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებასო. ვინც აპირებდა, იმას ლათინური ენის სწავლა უნდა დაეწყო, ვინც არა და ის კანონების გაცნობას უნდა შედგომოდა“. მასწავლებელთა უმეტესი ნაწილი ან უზომოდ დაბერებული, ან გალოთებული იყო. თითქმის ყველა მათგანი მოწაფეებს უხეშად, არაადამიანურად, გულცივად ეპყრობოდა: „არც ერთ სასწავლებელში დედამიწის ზურგზე, — მოგვითხრობს ნ. ნიკოლაძე, — არ უნახავს კაცს ისეთი დაშორება და გულგრილობა მასწავლებლებს და მოსწავლეთ შუა, როგორც ქუთაისის გიმნაზიაში იმ დროს, როცა ჩვენ იქ ვსწავლობდით, უფროსებიდან არც ერთი ტკბილი სიტყვა, არც ერთი მამობრივი დარიგება არ გაგვიგონია. ისინი ჩვენზე მარტო შიშით, ტუქსვით, დასჯით მოქმედობდნენ“[1].

ქუთაისის საგუბერნიო გიმნაზიაში თავადაზნაურთა, სახელმწიფო მოხელეთა და ქონებრივად შეძლებულთა შვილებს ღებულობდნენ. გიმნაზიასთან არსებობდა პანსიონიც პრივილეგიური წოდებისა და მსხვილ მოხელეთა შვილებისათვის. აკაკი მშობლებმა „თავისუფალ მოსიარულედ“ (ე. ი. ოჯახიდან ივლიდა სკოლაში, პანსიონში არ დარჩებოდა) მიაბარეს გიმნაზიის პირველ კლასში. ის ამ დროს ათი წლის იყო (დაბადების მოწმობის მიხედვით კი — ცხრა წლისა, რის გამო თვითონ აკაკი ზოგჯერ აცხადებდა, გიმნაზიაში შესვლისას ცხრა წლის ვიყა-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, სიმონ ხუნდაძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, ტ. I, გვ. 31-34.

ვიო). გიმნაზიაში აკაკი სრულიად უცხო გარემოში მოექცა. საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე იმდროინდელი სასწავლებლის ცხოვრებამ და მეცადინეობის სისტემამ. ცნობისმოყვარე ბავშვის ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ „მოზრდილები სკამზე იჯდნენ სულგანაბული და ასალმოსწავლე პატარები კი ჯგუფ-ჯგუფად კედლებთან იყვნენ ატუზული. აქ კედლებზე ირგვლივ ქაღალდის ფიცრები იყო ჩამოკიდებული, ზედ ანბანი და ამოსაღები ეწერა და იმას აკითხებდნენ ყმაწვილებს. ჯგუფს ერთი უფროსი ჰყავდა და ის ასწავლიდა: ხელში ეჭირა წკეპლა და, შეეშლებოდა თუ არა ბავშვს კითხვა, უცხუნებდა და უცხუნებდა. ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ და, როცა შემოუვლიდნენ კედლებს, მერე კი ნება ჰქონდათ სხვებთან დამჯდარიყვნენ ისინიც სკამზე. ამ ყოფაში იყვნენ, სანამ კითხვას ისწავლიდნენ... წარმოიდგინეთ 7-8 წლის ბავშვი, დილის შვიდი საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდე მშიერ-მწყურვალი და მაშინ იგრძნობთ, თუ რა ტანჯვაში იყვნენ ის საწყლები. ზოგს გულს ეყრებოდა, ზოგს თავბრუ ეხვეოდა და ეცემოდნენ ძირს, მაგრამ ყურადღებასაც არავინ აქცევდა“.

ასეთმა რეჟიმმა ბავშვს გული აუცრუა სასწავლებელზე, იგი გიმნაზიის ცხოვრებამ ვერ დააინტერესა და ერთი კვირის შემდეგ იძულებული გახდა სკოლიდან შინ გაქცეულიყო. ამ შემთხვევის უშუალო მიზეზი ერთი ფრიად აღმაშფოთებელი გარემოება გამხდარა. ცნობილია, რომ თვითმპყრობელობა სასტიკად ავიწროებდა კოლონიური ჩაგვრის უღელში მოქცეულ ხალხებს, დევნიდა მათ მშობლიურ ენას. ქუთაისის გიმნაზიაშიც აკრძალული იყო ქართულ ენაზე ლაპარაკი. როგორც პოეტი გადმოგვცემს, იმ დროს გიმნაზიაში შემოღებული ყოფილა „თუნუქის“ ფირფიტა, რომელსაც „მარკას“ ეძახდნენ. ვინც ქართულად ხმას ამოიღებდა, მიაჩეჩებდნენ ხელში და თანაც გრძელ ფიცარს — სახაზავს დაჰკრავდნენ ხელის გულზე. მერე ის უნდა ცდილიყო, რომ სხვისთვის გადაეცა როგორმე იმრიგადვე, ე. ი. ჩაბარების დროს „ლინეიკა“ დაერტყმია ხელის გულზე. ამგვარად, ეს საცოდაობის ფირფიტა გადადიოდა ხელიდან ხელში. სწავლის გათავების დროს ვინც ვერ მოასწრებდა იმ ფირფიტის თავიდან მოშორებას და შერჩებოდა ხელში, უნდა კლასში დარჩენილიყო მთელი დღით უსადილოთ“. ამ ჩვეულებას მოსდევდა ის, რომ ყმაწვილები ცდილობდნენ ერთმანეთი მოეტყუებიათ, გაებრიყვებიათ როგორმე და ცბიერობა-ფარისევლობას ეჩვეოდნენ. „სულ ერთი კვირის შესული არ ვიყავი, რომ მოვიდა ჩემთან ერთი პატარა ყმაწვილი, ანგელოზის სახის მქონე და ტკბილის ღიმილით, მეგობრულად მკითხა რაღაც ქართულად; მეც, რასაკ-

ვირველია, რადგანაც სხვა ენა არ ვიცოდი, ქართულად ვუპასუხე. ყმაწვილს მშვიდობიანი სახე გადაუსხვაფერდა და სიხარულით მომაჩეჩა ფირფიტა. ჩამოვართვი, მეტი რაღა გზა მქონდა, მაგრამ „ლინეიკაზე" ვერ დავეთანხმე. „რა გენაღვლება შენ, მე რომ „ლინეიკა" არ დავირტყა, მარტო ვართ და ვინ გაიგებს-მეთქი", — ვეხვეწებოდი. ჩემმა მოწინააღმდეგემ შორს დაიჭირა: „მე თუ დამარტყეს, შენ რა ჭრელი პეპელა ხარო?!" მე მაინც არ დავეთანხმე, გავუძალდი და იმან ჯუჯღუნი დაიწყო. მასწავლებელი რომ შემოვიდა, მივიდა და დამაბეზღა. დამიძახეს, გავედი შიშითა და კანკალით... მასწავლებელმა წარბები შეიკრა და მკითხა: „როგორ ბედავ ურჩობას? აქ შენი სახლი ხომ არ გგონიაო!" მე თავის მართლება დავიწყე, მაგრამ აღარ გამივიდა! — „კარგი „მე გასწავლი ჭკუასო!" დაუძახა „სტროჟებს" და უბრძანა: „როზგიო!" მე, ამის გამგონეს, თავში სისხლი ამივარდა, გაქცევა დავაპირე. — „ნუ გაუშვებთ, დაიჭირეთო!" — იყვირა მასწავლებელმა. იგრიალეს მოსწავლეებმა ჩემს დასაჭერად და გადამეღობენ კარებზე... მე მეორე ოთახში შევარდი, სადაც მესამე კლასი იყო. აქაც ერთი ალიაქოთი მოვახდინე, მაგრამ შევხტი ფანჯარაზე, გავამტვრიე მინები, გადავხტი და მოვკურცხლე შინისაკენ. გამომიდგნენ „სტროჟები" — წინ მე გავრბოდი კურდღელივით და უკან ისინი მომდევდნენ კიჟინით. გულგახეთქილი შევიჭერ შინ; დედ-მამამ რომ გაიგეს რაც მოხდა, შეწუხდნენ და ბევრიც მირჩიეს: წადი, რა ვუყოთ, გაგროზგონ, ეგ მარტო შენ თავზე ხომ არ არის — ყველას როზგავენო. მოითმინე, მოიჭირვე, მიეჩვიე და ბოლოს კაცი გამოხვალო, მაგათში უმისოდ არ შეიძლებაო!... მაგრამ მე შორს დავიჭირე და გამოტეხილი ვუთხარი დედას: — „თუ კიდევ გაგიგზავნივარ იმ დასაქცევ გიმნაზიაში, თავს დავიხრჩობ-მეთქი!" შეშინდნენ ღა ჩამომეთხოვენ, ერთ კვირას აღარ წავსულვარ კლასში".

პატარა აკაკიმ მრავალი სიმწარე იგემა გიმნაზიაში გაბატონებული სასტიკი რეჟიმის გამო. გახსაკუთრებული გულისტკივილითა და მწუხარებით აღწერს იგი გიმნაზიაში მოსწავლეთა დასჯის შემაძრწუნებელ სურათებს. წკეპლას გიმნაზიებში, რასაკვირველია, პირველი ადგილი ეჭირა, — მოგვითხრობს აკაკი,— დღე ისე არ გავიდოდა, რომ ყმაწვილების წივილკივილით სკოლის არემარე არ ყოფილიყო გაყრუებულიო. გიმნაზიაში, თურმე, ყოველდღე ურმებით მოჰქონდათ აუარებელი წკეპლა. „მოსწავლის გალახვა ყველას შეეძლო დირექტორიდან დაწყებული „სტროჟამდე". მიზეზს არავინ კითხულობდა, ვინ იცის, რამდენი დასნეულებულა, რამდენი დამახინჯებულა და რამდენს კიდევ ხასიათი გაფუჭებია საუკუნოდ! ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ

ერთი და იგივე ბავშვი, ერთი დღის განმავლობაში სამჯერ-ოთხჯერ „გაროზგვილიყოს“ სხვადასხვა უფროსებისაგან“.

ფიზიკური დასჯა ვერც აკაკიმ აიცდინა. იგი ისე დაუსჯია მასწავლებელს, რომ მთელ სიცოცხლეში არ დავიწყებია. „ერთხელ რომელიღაც მოსწავლემ ბაჭაპურები მოიტანა კლასში და ლატარიაში ჩააგდო, — მოგვითხრობს პოეტი, — თითო კაპეიკად ყველამ მოაწერა ხელი. წამძლია სულმა და მეც მოვაწერე. შემოგვესწრო მასწავლებელი და იწყინა, როგორ გაგიბედნიათ ხელის მოწერაო! აიღო დიდი, უშველებელი „ლინეიკა“ ხელში. თითო-თითოდ გაჰყავდა ხელის მომწერლები; ჰკითხავდა: რომელი ხელით მოაწერეო? და, პასუხს რომ მიიღებდა, დაჰკრავდა ხოლმე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, „კიდევ მოაწერო?“—ეკითხებოდა დაცინვით... მე ვიფიქრე, რომ თუ მარჯვენა ხელი მეტკინა, წერა გამიფუჭდება და მოდი მარცხენას გავიმეტებ-მეთქი! მარცხენა გავუშვირე. ჯერ დამკრა და მერე ეჭვი შეიტანა, რა საკვირველია, განგებ: მარცხენა ხელით როგორ მოაწერდი? რომ გამოვუტყდი, მარჯვენა ხელზეც დამკრა და გამიშვა. ტკენა ტკენა იყო, მაგრამ მე ის უფრო მტანჯავდა, რომ ჭკუა წავაგე და ორი „ლინეიკა“ დამკრეს, მაშინ, როცა სხვები თითოთი გადარჩენ! ვტიროდი, ხელი მიკანკალებდა, და, რასაკვირველია, კარგად ვერ დავწერდი!... ნაწერები რომ გაარჩია მასწავლებელმა, დამიწუნა და კიდევ დამკრა „ლინეიკა“: უკეთ დაწერეო! კლასის გათავებამდი ოთხჯერ კიდევ დამკრა!... ის დღე იყო და მას აქეთ ვეღარ გამოვბრუნდი. არ იქნა, ვეღარ გადავიგდე გულზე ეს შემთხვევა. წერაში ხელი გამიფუჭდა და დღესაც კიდევ გაურკვევლადა ვწერ; ვინც ჩემ ნაწერებს დახედავს, გაუკვირდება, რომ ზოგან კარგი ხელია და ადგილ-ადგილ კი ნაჯღაბნი და გაუგებარი. ეს მაშინ მემართება, როცა ინსტიქტურად მაგონდება ხოლმე მაშინდელი ჩემი ტანჯვა“.

ძველ გიმნაზიებში გაბატონებული იყო სწავლების მახინჯი ფორმები, მუშაობის სქოლასტიკური მეთოდები, რეაქციული სწავლების შინაარსი და პრინციპები, მონარქიულ-მემამულური წყობილებისათვის ერთგული და მორჩილი მოხელეების აღზრდის მავნე ამოცანები, მასალის შეუგნებლად, უაზროდ დაზეპირების ჩვევა, მისი შერჩევა-სწავლება რეაქციული იდეოლოგიის საფუძველზე. ყოველივე ეს ახშობდა მოსწავლის გონებას, ჰფიტავდა მის შემოქმედებით უნარს, სასტიკად სდევნიდა თავისუფალ აზრს, ართმევდა მოსწავლეს თავისუფალი, გააზრებული მოქმედების უნარ-ჩვევებს, დამოუკიდებელი მუშაობისა და თვითგანათლების გზას უღობავდა. მასწავლებელთა დიდ უმრავლესობას არ აინტერესებდა და არ აწუხებდა სასწავლო მა-

სალის გასაგებად გადაცემა, რის გამოც მოსწავლეთა აქტივობა იხშობოდა, ამას ღაღადებს სიტყვები: „მასწაელებლები სრულიად არ ფიქრობდნენ აეხსნათ, რასაც ასწავლიდნენ“[1]. ამის შესახებ ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს: „ზეპირად უნდა გვესწავლა გაკვეთილი, სიტყვა-სიტყვით ისე, როგორც სახელმძღვანელოში იყო დაბეჭდილი. უმეტეს ნაწილს მოწაფეთაგანს გაგებაც არ ჰქონდა, თუ რას ნიშნავდა ამრიგად გაზეპირებული ნაწყვეტი... მაგრამ რომ გეკითხათ — ქართულად მითხარი რა წაიკითხეო, უნდა დამუნჯებულიყვნენ. გაზეპირებულის გაგება არ ჰქონდათ“[2]. მექანიკური, შეუგნებელი დაზეპირების სქოლასტიკური მეთოდი გაბატონებული იყო საერთოდ იმპერიის სასწავლებლებში. პროგრესულ მოღვაწეთა მოგონებებითა და წერილებით დადასტურებულია, რომ მაშინდელი სკოლების სახელმძღვანელოებში მოცემული მასალების სიტყვა-სიტყვით, ზეპირად, შეუგნებლად და სრულიად მექანიკურად დასწავლა წარმოადგენდა სწავლების ძირითად შინაარსს. ცნობილი მოღვაწე ი. ი. პანაევი თავის მოგონებებში მოგვითხრობს, რომ იმდროინდელ აკოლაში მასალის წიგნიდან სიტყვა-სიტყვით უაზრო ზეპირად დასწავლა შეადგენდა სწავლების საფუძველს. ამასვე ადასტურებს სხვებიც, მაგალითად, ნ. ა. კორფი, კ. დ. უშინსკი, ვ. ი. სტოიუნინი, ვ. პ. ვახტეროვი და სხვა გამოჩენილი და ცნობილი პედაგოგები. მათ სტატიებში ხაზგასმით არის მითითებული სწავლების ის სავალალო მდგომარეობა, რაც მაშინ არსებობდა, რომ მოსწავლეები ტექსტს კითხულობდნენ შეუგნებლად, გაუგებრად, არ შეეძლოთ წაკითხულის შინაარსის გადმოცემა და გაგება, შეგნებული ათვისება და საკუთარი სიტყვებით გადმოცემა.

ცნობილია, რომ იმდროინდელი სკოლის რეაქციული ხასიათი, მისი პროგრამებისა და სასწავლო მასალის ცარიზმისა და ბატონყმურ-ბურჟუაზიული იდეოლოგიის მიხედვით სწავლება, სწავლა-აღზრდის მახინჯი, მავნე მეთოდები და ფორმები, ფართოდ ამხილეს რუსეთის რევოლუციონერმა დემოკრატებმა, რომლებმაც ძლიერი იერიში მიიტანეს ჩამორჩენილი, მავნე და სქოლასტიკური, რეაქციული სკოლისა და სწავლების მთელი მაშინდელი სისტემის წინააღმდეგ. საქართველოში ამ მოძრაობას დაუკავშირდა და ორგანულად შეერწყა სხვა პრობლემებიც: ნაციონალური ენისა, როგორც ეროვნების ბურჯის, სწავლების საფუძვლად დაყენებისა და მშობლიური ენის უფლებათა დაცვისათვის გაშლილი ბრძოლა. „სწავლა ჩვენს გიმნაზიაში, --

---

[1] ნ. ნიკოლაძე. დას. წიგნი. ტ. 1, გვ. 32.

[2] იქვე, გვ. 32.

წერდა ნ. ნიკოლაძე, — მარტო იმაში მდგომარეობდა, რომ ზეპირად უნდა გვესწავლა რუსულ სახელმძღვანელოებში მასწავლებლისაგან დანიშნული ადგილები, რომლის აზრი, თითქმის არავის ჩვენგანს არ ესმოდა. ზოგიერთები მთელ წიგნს იზეპირებდნენ სრულიად გაუგებრად თუთიყუშივით".[1]

ანალოგიურ მდგომარეობაზე მიუთითებს აკაკი „ჩემ თავგადასავალში". სკოლებში ამგვარი მავნე სისტემის ბატონობის გამო ნ. ნიკოლაძე მოგვითხრობს: „სასწავლებელში მე ბევრი ვერა ვისწავლე რა"; „სწავლა მეტად ძნელად მიდიოდა", „მოსამზადებელი კლასის ორას ყმაწვილიდან მარტო შვიდმა გავათავეთ გიმნაზია ცხრა წლის შემდეგ"[2].

იაკობ გოგებაშვილი ამავე მდგომარეობას ასე ახასიათებდა: „ასს გიმნაზიელში სრულს კურსს გიმნაზიისას ასრულებს შუაგულს რუსეთში მხოლოდ ხუთიდგან შვიდამდე და განაპირა ქვეყნებში ორასიდგან ოთხამდე. ასე რომ, გიმნაზიები წარმოადგენენ მდინარეებსა, რომელთაც თავისი ვეებერთელა სათავიდან მხოლოდ რამდენიმე ცვარი შეაქვთ ზღვაში". ი. გოგებაშვილის მართებული აზრით გიმნაზიის კურსს დამთავრებულთა ასეთი სავალალო რაოდენობა იმპერიაში შემავალ არარუსულ ქვეყნებში კიდევ უფრო უარეს სურათს იმიტომ იძლეოდა, რომ განაპირა ქვეყნების „მოწაფენი იძულებულნი არიან უცხო ენაზედ ისმინონ სწავლა, რის გამოც საქმე მათთვის ერთი-ორად უფრო ძნელდება"[3].

ასეთი მძიმე პირობების მიუხედავად პატარა აკაკი ენერგიულად დაეწაფა სწავლას. არ შეუშინდა დაბრკოლებებს და მუდამ თავგამოდებით მეცადინეობდა. კლასიდან კლასში ქების სიგელითა და საჩუქრებით დაჯილდოებული გადადიოდა.

პატარა აკაკი გულკეთილი და ამხანაგების მოყვარული იყო, შურიანობა და სიხარბე სასტიკად ეზიზღებოდა. მას ყოველთვის სურდა, რომ სკოლის ამხანაგებს კარგად ესწავლათ, წარმატებით ჩაებარებინათ გამოცდა და დაწინაურებულიყვნენ; ახარებდა მეგობრების სიხარული და წინსვლა, საშინლად აწუხებდა მათი უბედურება.

რეაქციონერ მასწავლებლებთან ერთად ქუთაისის გიმნაზიაში იყვნენ პროგრესულად მოაზროვნე მასწავლებლებიც. მაგალითად, ტროე, როდზიევიჩი, კოხანოვსკი და სხვები. ეს მასწავლებლები მოწინავენი იყვნენ მთელს იმპერიაში და მოწი-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, დას. ნაშრომი, გვ. 14.

[2] იქვე, გვ. 11, 12, 13.

[3] ი. გოგებაშვილი, თხზ., 1954, ტ. 2, გვ. 292.

ნავე შეხედულებებს, აზრებს ავრცელებდნენ. მასწავლებელ როდზიევიჩს დიდი გავლენა ჰქონდა მოწაფეთა შორის. იგი ცდილობდა „გონებადახშული და განუვითარებელი" მოწაფეები გამოეფხიზლებინა. როდზიევიჩისა და კოხანოვსკის შესახებ ნ. ნიკოლაძე მოგვითხრობს: კანონებისა და მათემატიკის მასწავლებლად იყვნენ გადმოსახლებული პოლონელები — კოხანოვსკი და როდზიევიჩი. ორივე გატაცებული თავისუფალი მოაზროვნე... მათი გაკვეთილები... რევოლუციის ნამდვილ ქადაგებას წარმოადგენდაო.[1] როდზიევიჩს დიდად აფასებდა აკაკი წერეთელიც. იმგვარ პირობებში ჩაყენებული მოზარდი თაობა ბევრს ვერაფერს გამოიტანდა გიმნაზიიდან, რომ ამ საზარელ ბნელში ერთი ნათელიც არ გამოგვჩენოდა. ეს იყო პოლონელი როდზიევიჩი, — ამბობს აკაკი.

გიმნაზიაში აკაკი განსაკუთრებით ზრუნავდა თვითგანვითარებაზე. იგი ხარბად დაეწაფა სკოლის გარეშე საკითხავ ლიტერატურას. მაგრამ სკოლის ადმინისტრაცია, იმის შიშით, ვაითუ მოსწავლეთა შორის რევოლუციური აზრები გავრცელდესო, საგანგებო მეთვალყურეობას აწესებდა სკოლის გარეშე საკითხავ ლიტერატურაზე და ძირშივე სპობდა მოწაფეთა შორის თვითგანვითარების გამოვლინებას. „რაც კარგი რამეა — რიტორებაშია დაბეჭდილი, ის გეყოფათო", ეუბნებოდნენ მასწავლებლები მოწაფეებს*. მიუხედავად ასეთი მძიმე პირობებისა, გიმნაზიის ბევრი მოსწავლე, მათ შორის აკაკი წერეთელიც, ახერხებდა კლასგარეშე ლიტერატურის კითხვას. ამ საქმეში მას დიდ დახმარებას უწევდნენ პროგრესულად მოაზროვნე მასწავლებლები და უფროსკლასელი, კარგად განვითარებული მო-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 1, გვ. 88-89.

* იმდროინდელ გიმნაზიებში რუსული სიტყვიერების კურსში ასწავლიდნენ პოეტიკასა (პიიტიკა) და რიტორიკას (რეტორიკა). „ზოგადი რეტორიკისა" და „კერძო რეტორიკის" სახელმძღვანელოს ავტორი იყო პროფესორი ნიკოლოზ თედორეს ძე კოშანსკი (1781-1831), რომლის ნიგნები დიდი ხნის განმავლობაში იხმარებოდა სასკოლო სახელმძღვანელოდ. ქართულ წყაროებში აღნიშნული და სხვა ავტორების ანალოგიური სახელმძღვანელოებიც უმეტეს შემთხვევაში იწოდება „რეტორებად". რიტორიკისა და პოეტიკის იმდროინდელი სასკოლო სახელმძღვანელოები შედგენილი იყო სქოლასტიკურ-დოგმატურ პრინციპებზე: მეცნიერულად გაუმართავი, მძიმე სტილით, მეთოდურად შეუფერებელი. ეს სახელმძღვანელოები მოსწავლეთა გონება-განწყობილებას სრულიადაც ვერ ეგუებოდა. ეს სახელმძღვანელო ხელს უშლიდა მოწაფეთა გონებრივ განვითარებას. მოწაფეები აშკარად გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას ამ სახელმძღვანელოს მიმართ, აკრიტიკებდნენ და დასცინოდნენ მას. რიტორიკის სახელმძღვანელო ნ. დობროლუბოვმა დაახასიათა როგორც „ძველი კრიტიკული რუტინა" და „მხატვრული სქოლასტიკის ნიმუში" (დობრ. II, გვ. 312). აკაკი წერეთელიც, ბუნებრივია, დაცინვით იხსენიებს „რეტორებას".

წაფეები. მათი დახმარებით გიმნაზიის პანსიონებსა და მოსწავლეთა ოჯახებში ვრცელდებოდა ახალი, პროგრესულ-რევოლუციური ხასიათის ლიტერატურა, განსაკუთრებით, ქართველ და რუს მოწინავე მწერალთა და მოაზროვნეთა თხზულებანი. გიმნაზიის მოწინავე მოწაფეები, მათ შორის აკაკიც, ქართველ მწერლებთან ერთად კარგად იცნობდნენ პუშკინს, გოგოლს, გერცენს, ბელინსკის, ტარას შევჩენკოს და სხვებს. აკაკი იცნობდა, აგრეთვე, პოლონელი პოეტის ადამ მიცკევიჩის თხზულებებს.

ნ. ნიკოლაძე გადმოგვცემს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის დროს „მამა მაწვდიდა და მიწერდა წიგნებსა და ჟურნალებს, რომელთაც.. .გულმოდგინედ ვკითხულობდი... გიმნაზიის სამი უფროსი კლასის... მოწაფეთა ბიბლიოთეკიდან. (ეს ბიბლიოთეკა დააარსა ზოოლოგიის მასწავლებელმა ნ. ს. ლევანდამ). მიგზავნიდნენ ჟურნალების „რუსკი ვესტნიკისა“ და „სოვრემენიკის“ ახალ-ახალ წიგნებს, რომელთაც მე გატაცებით ვკითხულობდი პირველი ფურცლიდან უკანასკნელამდე“[1]. უნდა ვიფიქროთ, რომ აკაკიც კითხულობდა ბიბლიოთეკაში დაცულ ამ ჟურნალებს. ქართული ჟურნალი „ცისკარი“ კი გიმნაზიის მოსწავლეთათვის თითქმის სახელმძღვანელოს როლს ასრულებდა. იმავე ნ. ნიკოლაძის ცნობით ქართული ენის მასწავლებელი გიორგი დიდებულიძე მოსწავლეებს აძლევდა ზეპირად დასასწავლად „ნ. ბარათაშვილის და სხვა პოეტების „ცისკარში“ დაბეჭდილ ლექსებს“[2].

ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლეები რომ კარგად იცნობდნენ პუშკინისა და გერცენის შემოქმედებას, და რომ ისინი (მოწაფეები) გონიერად ადევნებდნენ თვალ-ყურს ამ უდიდეს ადამიანთა თხზულებებისა და მათი სახელისადმი ცარიზმის დამოკიდებულების მსვლელობა-მდინარებას, ეს კარგად ჩანს მათი მოგონებებიდან, იმდროინდელ პროგრესულ მოღვაწეთა ნაწერებიდან და სხვა დოკუმენტებიდან. მათ გათვალისწინებული ჰქონიათ თვითმპყრობელურ-მემამულური ტირანიის მიერ გერცენის სასტიკი დევნის არსი და კარგად ცოდნიათ, რომ გერცენის სახელის სხენება სასტიკად იყო აკრძალული. ამიტომ რეაქციონერ მასწავლებელთა გამოსაჯავრებლად მოწაფეები გაკვეთილზე განზრახ ასახელებდნენ პუშკინსა და გერცენს, რითაც თავზარსა სცემდნენ მეფის უბადრუკ დამცველებს. ამის შესახებ აკაკი ჩვეული ირონიით მოგვითხრობს: „ერთმა თამამმა მოწაფემ მასწავლე-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, დას. ნაშრომი, I, გვ. 89.

[2] იქვე, გვ. 32.

ბელ პანიზოვსკის ჰკითხა: „პუშკინი უკეთესი მწერალია, თუ გერცენიო?“ წამოვარდა ზეზე შეშინებული მასწავლებელი, დაიცვა თითები ყურში და გააბა ყვირილი: „აქ არ ვყოფილვარ, არა გამიგონია რა, არცა გითქვამს რაო..“ და ამგვარად გაიდა კარშიო“ (აკაკი, ტ. VII, 73).

გერცენისა და ბელინსკის სახელების ხსენება შიშის ზარსა სცემდა რეაქციონერებს, თვითმპყრობელური რეჟიმის მომხრეებს. მეკის მთავრობა სასტიკად სდევნიდა და კრძალავდა მათ თხზულებებს, მაგრამ პროგრესული მოსწავლე ახალგაზრდობა მაინც ასერხებდა ამ დიდმოაზროვნეთა თხზულებების ნაკითხვას. რა თქმა უნდა, ამ ახალგაზრდების რიცხვში იყო აკაკიც. მწერალ ი. ს. აქსაკოვის გადმოცემით ბელინსკის სახელი და მისი კრიტიკული სტატიები ცნობილი ყოფილა ცოტად თუ ბევრად მოაზროვნე ახალგაზრდობისათვის[1]. დიდი კრიტიკოსის სახელგანთქმული „წერილი გოგოლს“ ზეპირად სცოდნია საგუბერნიო ქალაქის გიმნაზიის მასწავლებლებსაც. ბელინსკის შრომები ვრცელდებოდა საქართველოშიც. უნდა ვიფიქროთ, რომ რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატთა იდეები გარკვეულ ზეგავლენას მოახდენდა თავისუფლებისმოყვარე ახალგაზრდა აკაკიზე. როგორც ვიცით, გიმნაზიაში აკაკიმ თავისუფალი თემა დაწერა ცარიზმის მოხელეთა წინააღმდეგ. მომავალი დიდი პოეტის ამგვარი განწყობილება, როგორც აღვნიშნეთ, თავის მხრივ, ნასაზრდოებია მისი ალზრდის პირობებით და განსაკუთრებით კი მდიდარი ქართული ხალხური შემოქმედებით, მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ჰუმანური, პატრიოტული და დემოკრატიული იდეალების ზეგავლენით. მაგრამ აკაკის რადიკალურ-პოლიტიკურ, რევოლუციურ შეხედულებათა განვითარებას ხელი შეუწყო გიმნაზიის წლებში გაცნობილმა რუსულმა რევოლუციურ-დემოკრატიულმა ლიტერატურამ, ხოლო მისი საბოლოოდ ჩამოყალიბება მოხდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, სტუდენტობის ხანაში, რევოლუციური სიტუაციის პერიოდში, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი. მანამდე კიდევ ერთხელ გადავხედოთ გიმნაზიის პერიოდს.

მომავალი პოეტი, როგორც აღვნიშნეთ, გიმნაზიაში სწავლის პერიოდში კითხულობდა რევოლუციურ-დემოკრატიულ ლიტერატურას და პროგრესულ-რადიკალური იდეებით იმსჭვალებოდა. ახალგაზრდა აკაკის გულში თანდათან გაღვივდა „დიდკაცობის“ ზიმართ სიძულვილისა და ჩაგრული ბალხის სიყვარულის გრძნობა. ამის შესახებ აკაკი თვითონვე წერდა:

---

[1] И. С. Аксаков в его письмах, М., 1892, т. I, ч. 3, стр. 290.

არავინ მასათუთებდა,
არვინ მიკრავდა უბეში,
და მეცა წიგნებს მივმართე...
ეს იყო ჩემი ნუგეში!..
იმ წიგნებიდან ვისწავლე
ბევრი რამ, რაც არ ვიცოდი.
მებრალებოდნენ სანწყლები
და მათის ცოდვით ვიწოდი.
მაშინ შემძულდა მე ყველა
დიდკაცად ამაღლებული,
საერთშორისოდ იმათთან
არ მიმიწევდა ჩე გული.

ქუთაისის საგუბერნიო გიმნაზია პირველ ხანებში რვაკლასიანი იყო, შემდეგ კი შვიდკლასიანად გადაკეთდა. სასწავლო წელი იანვრიდან დეკემბრის ბოლომდე გრძელდებოდა. კლასიდან კლასში გადასვლის ან სასწავლებლის დამთავრების გამოცდებს დეკემბერში ატარებდნენ და არა მაისში, როგორც ეს შემდეგში დაწესდა გიმნაზიის ახალი წესდებითა და მაშინდელი დებულებით. როგორც ითქვა, გიმნაზიის კურსდასრულებულს, თუ უმაღლეს სასწავლებელში, უკეთ უნივერსიტეტში სურდა სწავლის გაგრძობა, მეხუთე კლასიდან (შვიდკლასიან გიმნაზიაში მეოთხე კლასიდან) ლათინური ენის შესწავლა უნდა დაეწყო, ხოლო ვინც შემდგომი საფეხურის სწავლის მიღებას არ აპირებდა, მას კანონმცოდნეობა უნდა შეესწავლა. რეორგანიზებული გიმნაზიის მეოთხე კლასში ირიცხებოდა აკაკი წერეთელი, როდესაც მის წინაშე დაისვა არჩევანი: უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა თუ მხოლოდ გიმნაზიის კურსი დაემთავრებია და სამოქალაქო სამსახურში შესულიყო, აკაკის პირველ ხანებში მეორე გზა აურჩევია. იმ პერიოდში გამოაცხადეს — წერს აკაკი, — ვისაც უნდა რუსეთში წასვლა და უმაღლეს სასწავლებელში შესვლა, იმან ლათინური უნდა ისწავლოს და ვისაც მხოლოდ გიმნაზიის გათავება უნდა, იმან „სჯულისკანონი" შეისწავლოს და, თუ პირველ შეგირდად გამოვა, ჩინსაც მიიღებსო. ჩინს მაშინ დიდი მოსხიბლავი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ ყველა ჩემმა ამხანაგმა, თუმცა ზოგი მათგანი ვერც კი წავიდოდა რუსეთში სიღარიბის გამო, ლათინური ირჩია. ერთმა მათგანმა მხოლოდ და მეორემ მეც „სჯულისკანონის" შესწავლა მოვინდომეთო.

თუმცა აკაკის განუზრახავს „სჯულისკანონის" შესწავლა, მაგრამ მას აღნიშნულ საგანში მეცადინეობა არ დაუწყია. აკაკის აკადემიური წარმატების მაჩვენებელ დოკუმენტებში არსად არ არის აღნიშნული, რომ მას ეს საგანი ჩაებარებინოს. თა-

ვისუფლებისმოყვარემ, მგზნებარე ახალგაზრდა პოეტმა დაგმო პირვანდელი არჩევანი და გადაწყვიტა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის განგრძობა. ჩინოვნიკობისადმი სიძულვილი იგი გამოამჟღავნა რუსულ ენაზე დაწერილ თხზულებაში, მ-ლისთვისაც იგი კინაღამ გარიცხეს გიმნაზიიდან. „იმ ხანებში, — გადმოგვცემს პოეტი, — რუსული ენის მასწავლებელმა გვიბრძანა: აიღეო, რაც გინდათ, და თქვენდათავად თხზულება დასწერეთ, მაგრამ დიალოგებად კიო. მე ავიღე და დავწერე ერთი ახირებული რამ. მასწავლებელმა რომ წაიკითხა, ინსპექტორს გადასცა და მას საპედაგოგო რჩევამი წარედგინა და ეთქვა: „ამის დამწერი თუ ახლავე არ აილაგმა, არ ივარგებსო!" რჩევაზე როდზიევიჩს გამოედვა თავი: მაგის დამწერი კარგი ვინმე გამოვა და, გაწყრომა კი არა, მოფერება ეჭირვებაო. მე ვთხოულობ, რომ იმას ძალა დაატანოთ, ლათინური შეისწავლოს და მაღალ სასწავლებელში სადმე შევიდესო... შემიხმეს მეც.

— ეს შენი დაწერილია? — მკითხა დირექტორმა.

— დიახ, — ვუპასუხე ცოტა შემკრთალმა.

— მერე როგორ გაბედე, რომ მთავრობის მოსამსახურე პირებს ასე ცუდად იხსენიებ?

— ის გადამდგარი ჩინოვნიკია.

— სულ ერთია, უპატიურად შეხება მაინც არ შეიძლებაა ის დამსახურებული იქნებოდა და პენსიაც ექნებოდა, — დაუმატა მრისხანედ ინსპექტორმა, — წაიღე და გადაასწორე სხვანაირად!

— თუ მხოლოდ ეგ არის წუნი, ეგ ადვილია: წავშლი სიტყვას „გადამდგარი" და დავწერ „გამოგდებულს". გამოგდებული თუ კარგი ყოფილიყო, ისევ სამსახურში იქნებოდა. — დირექტორმა გაიცინა და გამიშვა. იმ დღიდან მეც ლათინურზე გადავედი", — გადმოგვცემს აკაკი.

ამის შემდეგ აკაკი კიდევ უფრო შეჰყვარებია როდზიევიჩს, რომელიც მას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. აკაკი კვლავ გაძლიერებული ენერგიით დაეწაფა თვითგანვითარებას, სკოლაში ისევ პირველ, მოწინავე მოსწავლედ ითვლებოდა.

მომავალმა დიდმა პოეტმა მოწაფეობაშივე გადაწყვიტა, თავი დაედო სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

ჭაბუკმა აკაკიმ გიმნაზიაში სწავლის პერიოდშივე დაისახა მიზნად ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლა. ამ განწყობილებას, სხვათა შორის, თან დაერთო მისი საყვარელი მასწავლებლის — როდზიევიჩის შეგონებაც.

ერთხელ როდზიევიჩს საუბარი დაუწყია პოლონეთის დიდი

კლასიკოსის ადამ მიცკევიჩის პოემის თავგანწირული გმირის კონრად ვალენროდის შესახებ, რომელმაც ოჯახი, საყვარელი მეუღლე და პირადი სიამოვნება და ბედნიერება ანაცვალა სამშობლოს განთავისუფლების საქმეს. იგი მტრის ბანაკში გადავიდა, დაეუფლა სამხედრო საქმეს, უებრო მხნეობითა და საარაკო გმირობით დაიმსახურა სამშობლოს მტრების დიდი ნდობა და ხელთ იგდო მთავარსარდლობა. ბოლოს, მოხერხებულ პირობებსა და ვითარებაში გამოიყენა თავისი თანამდებობა, შური იძია მტერზე და გაანადგურა მისი ჯარები. აღნიშნული გმირების გახსენების შემდეგ, აკაკის გადმოცემით, როდზიევიჩს სინანულით უთქვამს: ახლა რაღა დროს, ვწუხვარ, რომ სამხედრო სამსახურში არ შევედი, რომ სარდალი გავმხდარიყავ და მარჯვე დროს ქვეყნისათვის კონრადივით სამსახური გამეწიაო.

ამ სიტყვებს დიდი ზეგავლენა მოუხდენია ახალგაზრდა პატრიოტ პოეტზე და იგი გაუტაცნია სამხედრო სამსახურში შესვლის მძაფრ სურვილს. ამის შესახებ შემდეგში აკაკი წერდა:

მეც მიცკევიჩის გმირებში
მომწონდა ვალენროდიცა.
ის მამხნევებდა ვაჟკაცად
გულს შორდებოდა ლოდიცა...
და დავაპირე მხედრობა,
რომ ხელში მეგდო სარდლობა,
და მოღალატედ დასახულს,
ბოლოს მიმეღო მადლობა.

აკაკი წერეთელმა გადაწყვიტა გიმნაზიიდან გამოსვლა და სამხედრო სამსახურში შესვლა, ეს სურვილი მამასაც გამოუცხადა და, როსტომის თხოვნის საფუძველზე, გიმნაზიის დირექციამ 1859 წლის 10 თებერვლისათვის აკაკი წერეთელი ამორიცხა მოსწავლეთა სიიდან. ამ დროს ის მეშვიდე, დამამთავრებელ კლასში ირიცხებოდა. ამის შემდეგ იგი ორიოდე თვეს დარჩა როდზიევიჩთან, ხოლო იმავე წლის აპრილის დამლევს გაემგზავრა პეტერბურგს.

* * *

გიმნაზიაში სწავლის პერიოდიდან ცნობილია აკაკის რამდენიმე ლექსი. უეჭველია, ახალგაზრდა პოეტს უფრო მეტი თხზულება ექნებოდა ამ დროს დაწერილი, მაგრამ ყველა მათგანი ჯერ კიდევ არ არის მიკვლეული და დადგენილი.

ამ დროის ლექსებიდან ყველაზე ადრინდელ ნაწარმოებად მიჩნეულია ერთი თექვსმეტმარცვლოვანი ლექსი, რომელიც პა-

ტარა აკაკის მიუძღვნია თავისი დედის, ეკატერინესადმი. ამ ლექსის შესახებ აკაკის უფროსი და ანა გადმოგვცემს: „აკაკი ექვს-შვიდ წლამდის ზეპირად გამოსთქვამდა ხოლმე შაირებს; მერე, როცა წერა ისწავლა, სწერდა კიდეც. ერთი მისი ლექსი ანერია ქვის ფიცარზედ. აი, ეს როგორ იყო: დედაჩემმა, ეკატერინემ, ბაღი გააშენა შიგ შადრევანებითა და აუზებით. იმ დროს ჩვენში იმისთანა ბაღი არსად ყოფილა, თორმეტი წლის აკაკიმ, მაშინ მეორე კლასის მოწაფემ, აკროსტიხი დააწერა ქვის მაგიდაზე". აღნიშნული ლექსი აკროსტიხულია, მისი სტრიქონთა თავკიდური ასოები იძლევა აკაკის დედის სახელს: „ეკატერინე". ეს აკროსტიხი თექვსმეტმარცვლოვანი რუსთველური შაირით არის დაწერილი და სულ ცხრა სტრიქონს შეიცავს. ლექსში შექებულია ეკატერინეს შრომისმოყვარეობა და ოჯახისადმი მისი თავდადებული ერთგულება. პატარა აკაკის აზრით, დედისაგან ოჯახის ერთგულება საფუძველია ყოველივე კეთილისა და საბოლოოდ — კეთილდღეობის ნაყოფის მომცემი. მისი საშუალებით კლდე მიწად იქცევა, უთევზო წყალში თევზი გაჩნდება, მწარისაგან ტკბილი წარმოიშობა, ხოლო ბნელისაგან ნათელი გამოშუქდება:

ერთგულება ოჯახისა მრავალს კეთილს გააჩენსა:
კლდესა შრომით მიწად შეიქმს. უთევზო წყალს თევზს აჩენსა,
არად შერაცხს შრომას, ტანჯვას, საბოლოოდ მოსალხენსა,
ტკბილსა შეიქმს მწარისაგან, ბნელსა აღგილს ნათელს ჰფენსა;
იდუმალ ინყებს კეთილსა, საბოლოოდ მოსალხენსა.

რა საჭიროა გეგმები? ოვით გააჩენს უნახველად,
იჭვირთავს ძნელსა საქმესა, აღასრულებს უცოდველად,
ნახეთ, მოდით, უცხო რამე, არ ნახულა რაცა ქველად:
ედემს ბაღი დაამსგავსა, ჩასჩქეფს წყალი მოსარწყველად!

ლექსი დაწერილია 1852 წლის 4 აპრილს.

აკაკის თავისი შემოქმედების დასაწყისად მიაჩნდა ლექსი „გაბრწყინდი, ჩემო კანდელო!"[1] აღნიშნული ლექსი დაწერი-

[1] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის გამოცემაში აკ. წერეთელი, თხზ., სრ. კრებული, ტ. I, რედაქტორი გ. აბზიანიძე, ლექსი დაბეჭდილია სათაურით: „კანდელისადმი" და სავარაუდო თარიღად მიჩნეულია 1856 წ. პოეტის ერთ-ერთ გვიანდელ წერილში (ივერია", 1902 წ., № 235; შდრ.: ტ. 14, 156 (ვკითხულობთ: „თორმეტი წლის ვიყავ, პირველი ლექსი „კანდელი" რომ დავწერე და იმ დღიდან კალმისათვის ხელი არ შეუშვია"-ო. გამოდის, რომ თითქოს ლექსი 1852 წელს იყოს დაწერილი. აკაკის თხზულებათა ცნობილ გამომცემელს ს. მერკვილაძეს იგი 1853 წელს დაწერილად მიაჩნია (შდრ. გ. აბზიანიძის კომენტარები აკაკის თხზულებათა სრული კრებული, ტ. 1,

ლი უნდა იყოს 1855-1856 წლებში. იგი პოეტმა ჩაურთო 1876 წელს გაზ. „დროებაში“ მოთავსებულ წერილში (წერილის სათაურია „მაქოობა“), რომელშიც ამ ლექსის შესახებ აკაკი გადმოგვცემს: „ამ ოცი წლის წინეთ, იმ ხანში ვიყავი, როცა ადამიანი ყმაწვილობიდან ჭაბუკობაზე გადადის; იმ დროს გული არის მბრძანებელი თავისა. ზურმუხტ ოცნებით შეკაზმული სხვადასხვაგვარი ფიქრები და მრავალგვარი გრძნობები რას არ მოაქმედებინებენ ახალგაზრდას?! მცირე მიზეზი ალომ-არწივებს და მცირევე აჭიანჭველებს გამოუცდელ რაინდს. მეც ისე მომდიოდა. და ერთხელ, არ ვიცი რამ მომცა მიზეზი, მაგრამ ისე კი გავიმსჭვალე, რომ წმინდის გულით შემდეგი სიტყვები დავამღერე ჩანგს:

გაბრწყინდი, ჩემო კანდელო,
მინათლე ბნელი ღამისა!..
მინათლე, რადგან დაგირჩა
სინათლე მცირეს ჟამისა!..
ჩემი სიცოცხლეც შენსავით
იწვის და თანდათან სდნება:
წარსული აღარას მარგებს,
მომავალი ვენანება!
და მაშ შენც, ჩემო სიცოცხლევ,
რადგანაც მშორდები ხვალისად,
დღეის დღე მაინც მალხინე,
რომ დრო ვატარო ხალისად!

„მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, — განაგრძობს აკაკი, — ბევრი მითქვამს და ბევრიც დამიწერია; მაგრამ მათგანი მეასედიც აღარ მახსოვს და ეს ერთი, ეს პირველი ლექსი კი, პირველ სიყვარულივით, სიკვდილამდე დაუვიწყარად დაებეჭდა ამ ჩემს გულს! სწორედ იმ დღიდანვე მიეუპყარი გული ჩვენ ხალხს და დავაკვირდი მის ცხოვრებას“[1]...

და მართლაც, აღნიშნულ ლექსში ჩანს ახალგაზრდა პოეტის მიერ მაშინდელი ცხოვრების უკუღმართობის ერთგვარი შეგნება და მის წინააღმდეგ ბრძოლის გაჩაღების იდეა.

1858 წლის 9 აგვისტოს აკაკის, როდესაც ის გიმნაზიის მე-

გვ. 402). 1868 წელს პოეტი შიხ. ბეთანიშვილის წერილის საპასუხოდ წერდა: „ათი წელიწადია, რაც მე ვწერ“-ო (ჟურ. „ცისკარი“, № 5; შდრ.: ტ. XI, 52). გამოდის, რომ თითქოს აკაკის ლექსების წერა დაუწყია 1858 წელს, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. პოეტი უდავოა აქ ლექსის პრესაში პირველ გამოქვეყნებას უნდა გულისხმობდეს და არა საერთოდ წერის დაწყების თარიღს. ამრიგად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ლექსი „კანდელისადმი“ დაწერილია 1855 წელს.

[1] „დროება“, 1876 წ., № 105.

ექვსე კლასში იყო, უთარგმნია დიდი რუსი ხალხის გენიოსი პოეტის მ. ი. ლერმონტოვის ცნობილი ლექსი „რტო პალესტინისა". ამ დროს აკაკი უკვე თვრამეტი წლისა იყო. აღნიშნული ლექსი, სხვა ლექსებთან ერთად, მას ფოსტით გაუგზავნია ჟურნალ „ცისკრის" რედაქტორ ივანე კერესელიძისათვის, ქვეშ მიუწერია ფსევდონიმი: „ს. ლი". ივანე კერესელიძეს აკაკის ლექსები წარუდგენია ცენზორთან — დაბეჭდვის ნებართვის მისაღებად. მაგრამ, იმის გამო, რომ დამწერის გვარი და სახელი ლექსებზე მოწერილი არ ყოფილა და არც რედაქციას სცოდნია ავტორის ვინაობა, ცენზორს მათი დაბეჭდვის ნება არ დაურთავს. „ცისკრის" რედაქტორს ძალიან მოსწონებია აკაკის ლექსები, მას გადაუწყვეტია აუცილებლად გამოექვეყნებინა ისინი. ამ მიზნით ჟურნალში გამოუქვეყნებია შემდეგი წერილი: „ზოგიერთი იმგვარი თხზულება მოგვედის რედაქციაში, რომლისაც დაბეჭდვის უფლება არა გვაქვს, ასე უფლება, რომ ცენზურის კანონით ყოველ თხზულებას ქვეშ უნდა ეწეროს სახელი და გვარი ავტორისა... განუცხადებთ რა ამას თვითონ ავტორს „რტოს პალესტინისასაც" ვთხოვთ გვაცნობოს: ვინ პრძანდება ის უფალი და რა გვარი, მაშინ დიდის კმაყოფილებით დავბეჭდავთ იმ ჩინებულს ლექსებს, რა ლექსებიც მივიღეთ ფოსტით ამ ახლოს დღეებში"[1].

აკაკიმ შეასრულა რედაქტორის თხოვნა და იმავე წლის ნოემბერში „რტო პალესტინისა" დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში". აღსანიშნავია, რომ აკაკიმ პირველმა თარგმნა დიდი რუსი ხალხის სასიქადულო პოეტის მ. ი. ლერმონტოვის ეს ჩინებული ლექსი და გააცნო იგი ქართველ მკითხველ საზოგადოებას. „ცისკარში" აღნიშნული ლექსი, შეცდომით, პუშკინისათვის მიუკუთვნებიათ, მაგრამ ჟურნალის შემდგომ ნომერშივე რედაქციას გაუშვია შეცდომის გასწორება: „ლექსი წარსულსავე ნოემბრის თვეში ნაცვლად „ლერმონტოვით" ტიპოგრაფიისვე შეცდომით მოგვსვლია — „პუშკინით", გთხოვთ, წაიკითხოთ — „ლერმონტოვით".

1859 წელს ჟურნალ „ცისკარში" დაიბეჭდა აკაკის ლექსი: „პ. წ." ეს ლექსი დათარიღებულია 1858 წლის 7 სექტემბრით, დაწერილია ქუთაისში და ხელმოწერილია ინიციალით „წ". „ცისკარში", აკაკი წერეთლის ამ ლექსთან ერთად, დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის ლექსი „მეც შაე თვალებს".

როგორც ჩანს, აკაკი წერეთელს ეს ლექსი დაუწერია მახლო-

---

[1] „ცისკარი", 1858 წ., 9 სექტემბერი, ფოსტის განყოფილება; შდრ. ლევან ასათიანი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, გვ. 88-89.

ბელი ადამიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. მასში გამოხატულია სევდა და სიკვდილის წინაშე ადამიანის უძლურების მძიმე გრძნობა:

Ჰეი შენ, კაცო! რა არს ამ სოფლად
ბედნიერება?
მოვალს სიკვდილი შენთანა მსწრაფლად,
ყველა გაქრება!
სიკვდილს ვეროდეს ჩვენ ვერ აცდებით
ვერრაის გზითა,
ყველა მას ვბორებთ, ყველა მოვკვდებით,
მოვალს რიგითა!
დღეს მოლხენით ვარო, ისმის ჩანგთა ხმა,
მღერა, ყვირილი;
ხვალ კუბოს ვხედავთ, გვაქვს დიდი მოთქმა,
მწარე ტირილი!
დილას სხვისთვის ვართ თვალცრემლიანი
და ვიგლოვთ სხვასა;
საღამოს ჩვენვე გვტირიან სხვანი,
გვჭვრეტენ რა მკვდარსა...

მოწაფეობის პერიოდის ნაწარმოებთა შორის საყურადღებოა ლექსი „ჩემს ვენერას". იგი დაწერილია 1858 წლის 20 დეკემბერს ქუთაისში და გამოქვეყნებულია 1859 წელს „ცისკარში".

ამ ლექსში აკაკი უმღერის მშვენიერ ვენერას, რომელთანაც პოეტის გული მწარე ბედს დაუკავშირებია. ვენერა არ უნდა იყოს უბრალო რომანული გატაცების საგანი, იგი ლამაზი და საყვარელი სამშობლოს სიმბოლოა. პოეტი გრძნობს, მწვავედ განიცდის თავისი ქვეყნის უბედობას. ჭაბუკ პოეტს არ აშინებს თავისი სამშობლოს ხვედრი, იგი მზადაა უშიშრად შეხვდეს განსაცდელს. სატრფო სამშობლოს მომავლისათვის ბრძოლაში სიკვდილი მას უკვდავებად მიაჩნია და ღრმა ოპტიმიზმით ანთებული პატრიოტი პოეტი ვენერას აღტაცებით მიმართავს:

მაგრამ სიკვდილსა მე არ ვუწოდებ
შენთვის სიკვდილსა, ჩემო ვენერა!
სანამ ცოცხალ ვარ, შენთვისა ვგოდებ,
შენ გიტრფიალებ და შენთვის ვმღერა!!

დიდმა პოეტმა მართლაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში უმღერა სამშობლოს დიად მომავალს, მისი თავისუფლების კეთილშობილურ იდეას. ახალგაზრდა აკაკიმ იმთავითვე გადაწყვიტა, თავი დაედო სამშობლოსათვის, ის ღრმა გატაცებით ეუბნებოდა თავის ქვეყანას: სანამ ცოცხალ ვარ, შენთვისა ვგოდებ, შენ გიტრფიალებ და შენთვის ვმღერო. ახალგაზრდა პოეტის ეს

მისწრაფება ნაყოფიერ იდეურ განვითარებას აღწევს პეტერბურგის პერიოდში.

ჭაბუკმა პოეტმა ეროვნული საკითხისადმი თავისი დამოკიდებულება გამოხატა აგრეთვე ალეგორიულ ლექსში „ნავი". ეს ლექსი დაწერილია საჩხერეში 1859 წლის 25 მარტს. ამ პერიოდში გიმნაზიის მეშვიდე კლასიდან გამოსული აკაკი ემზადებოდა პეტერბურგს გასამგზავრებლად. აღნიშნულ ლექსში პოეტი დიდად აფასებს დიდ რუს ხალხთან ქართველი ხალხის დაკავშირების უაღრესად მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტს. უამრავი მტრებით გარემოცულ, მრავალსაუკუნოვანი ბრძოლებით დასუსტებულ საქართველოს საბოლოო განადგურებით ემუქრებოდნენ ირან-ოსმალთა ურდოები. პოეტის დახასიათებით, საქართველო ჰგავდა ზღვაში შეცურებულ ნავს, რომელსაც უდავო დაღუპვა მოელოდა.

ამ საშინელი განსაცდელის ჟამს საქართველოს (ნავს) მხსნელად მოევლინა დიდი რუსეთი (ხომალდი) და გადაარჩინა იგი დაღუპვისაგან. ამით განრისხებული დამპყრობნი ხომალდს თავს დაესხნენ, მაგრამ ამ უკანასკნელმა დაამარცხა მტრები და საქართველოს მშვიდობა მოუპოვა, გადაარჩინა იგი სრულ განადგურებასა და მოსპობას:

რა ნავი ნახა განსვენებული,
შეიქმნა ქარი გარისხებული:
დიდის ღაკვესით ხვამალდს შეჰბერა,
მაგრამ მის სივრცეს დააკლო კერძა.
ჩადგა ნიავი ძალით, არ ნებით,
და ზღვა დასტოვა მან განსვენებით.
ნავს ესე საქმე დიდად იამა,
სთქვა: „გამომიჩნდა კეთილი მამა!..

აქვე პოეტი მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ რუსი და ქართველი ხალხების მოწინავე ადამიანთა სურვილის წინააღმდეგ, ცარიზმმა საქართველოს კოლონიური ჩაგვრის უღელი დაადგა.

ლექსი „ნავი" მეფის ცენზურის მიზეზით დამახინჯებული სახით დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში" იმ დროს, როცა აკაკი უკვე პეტერბურგში იყო წასული სწავლის განსაგრძობად. როდესაც მას დამახინჯებულად დაბეჭდილი თავისი ლექსები წაუკითხავს, აღშფოთებულა და გადაუწყვეტია ჟურნალში თანამშრომლობა შეეწყვიტა. დედისადმი გაგზავნილ წერილში იგი წერდა: „მე და კერესელიძე როგორლაც ვერ მოვეწყვეთ. ლექსები

წამიხდინა, თავისებურად გადააკეთა და... სექტემბერს აქეთ აღარაფერს აღარ ვუგზავნი...".

მაგრამ ივანე კერესელიძის მობოდიშებისა და, შესაძლოა, იმის გამოც, რომ იმ დროს „ცისკრის" გარდა სხვა ბეჭდვითი ორგანო არ არსებობდა, აკაკის კვლავ განუახლებია ჟურნალში თანამშრომლობა.

სტუდენტობის წლები

1859 წლის აპრილის დამლევს აკაკი წერეთელი პეტერბურგს გაემგზავრა. როგორც თვითონ აღნიშნავს, იმ დროს ჯერ კიდევ „ქვეყანაში თვალგაუხელელი, ცხოვრებაში გამოუცდელი და ოცნებით გაბერილი" ჭაბუკი უსაზღვროდ აღტაცებული ყოფილა, მას ირგვლივ ყველაფერი ლამაზად ეჩვენებოდა, გული სიამით უცემდა და უჩქროლავდა, იგი ხომ პეტერბურგს მაღალი ცოდნის მისაღებად მიემგზავრებოდა.

სუყოლიფერი ამ სოფლად
ვარდისფრად მეჩვენებოდა.
გადაქცეული ვიყავი
გრძნობად და გული სდნებოდა.

მშობლებმა რუსეთს მიმავალ შვილს სუთასი მანეთი გაატანეს და თანვე მსახურად ერთ-ერთი შინაყმა ივანე კირკიტაძე აახლეს. სხვიტორიდან ორპირამდე აკაკიმ ცხენით იმგზავრა. აქ გემის მოსვლისათვის არ დაუცდია, ჩამჯდარა ნავში და ფოთამდე ორ დღეს უმგზავრია. ფოთში აკაკი სამიოდე დღით დარჩა. დაესწრო ფოთის ქალაქად გამოცხადების ზეიმს და შემდეგ სამხედრო გემით ოდესისაკენ გაუმართა. ოდესაში, მშობლების დავალების თანახმად, აკაკიმ ინახულა მ. ვორონცოვის ქვრივი და შემდეგ ფოსტის ცხენებით განაგრძო გზა ჩრდილოეთისაკენ. ერთი თვის მძიმე და მომქანცველი მგზავრობის შემდეგ დაღლილმა ჭაბუკმა საოცნებო ქალაქ პეტერბურგს მიაღწია. აქ იგი ეწვია თავის ძმას ილიკოს (იასონს).

აკაკის, როგორც ვიცით, განზრახული ჰქონდა ისეთ სამხედრო სამსახურში შესვლა, სადაც უმაღლესი სწავლის განგრძობის საშუალებაც მიეცემოდა. მაგრამ ასეთი სამხედრო უწყების აღმოჩენა რთული შეიქნა. პეტერბურგში ასაღჩასული აკაკი ილიკომ სამხედრო სამსახურში მოწყობის მიზნით „კონვოის" უფროსთან, ცნობილ მეცნიერ გენერალ პეტრე ბაგრატიონთან მიიყვანა. საუბრის დროს ბაგრატიონმა აკაკის რამდენიმეჯერ ურჩია — გიმნაზიაში ყოფილხარ და უმჯობესია უნივერსიტეტ-

ში შესვიდე და სამეცნიერო გზას დაადგეო. მაგრამ ყმაწვილური ოცნებებით გატაცებული აკაკი თავისას მაინც არ იშლიდა. მან დაწვრილებით გააცნო ბაგრატიონს თავისი განზრახვა. ბაგრატიონს მოეწონა აკაკის აზრი და შემდგომისათვის დაჰპირდა საქმის მოგვარებას. მაგრამ მდგომარეობა სხვაგვარად დატრიალდა, რადგან „კონვოელები" სამი თვით აღლუმზე უნდა ნასულიყვნენ. ილიკომ აკაკი პეტერბურგის ქართველ სტუდენტებთან მიიყვანა. ქართველ სტუდენტთა ზეგავლენით აკაკიმ გულიდან ამოიგდო ადრინდელი განზრახვა და საბოლოოდ უნივერსიტეტში შესვლა გადაწყვიტა.

აკაკი თავისუფალ მსმენელად ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე. ამის შესახებ პოეტი დედას წერდა: „ბევრჯერ მოგწერეთ და ესლაც უკანასკნელად მოგწერთ, რომ სტუდენტად შევედი, თავისუფალ მსმენელად... რადგან უფრო სასარგებლოდ ვეპოვე"[1].

იმ პერიოდში პეტერბურგის უნივერსიტეტსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში რამდენიმე ათეული ქართველი სტუდენტი სწავლობდა. მათ შორის ილია ჭავჭავაძე, ნიკო ღოღობერიძე, ბესარიონ ღოღობერიძე და სხვები. ერთი წლის შემდეგ პეტერბურგს ჩავიდა აკაკის სიყრმის მეგობარი, შემდეგში ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწიგნობარი — კირილე ლორთქიფანიძე, ხოლო 1861 წელს ქართველ სტუდენტთა წრეს შეემატენ ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი და სხვები. ქართველ სტუდენტთა მეთაური და იდეური ხელმძღვანელი იყო ილია ჭავჭავაძე, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა სტუდენტებში და პეტერბურგელ ქართველ მეცნიერთა და მოღვაწეთა შორის. ილიას თაოსნობითა და ხელმძღვანელობით სისტემატურად ეწყობოდა ლიტერატურულ-შემოქმედებითი შეკრებები და მსჯელობა სხვადასხვა აქტუალურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებზე. ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით ქართველმა სტუდენტებმა საკმაო რაოდენობით შეაგროვეს ძველი ქართული წიგნები და ხელნაწერები, რითაც საფუძველი ჩაუყარეს პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა ბიბლიოთეკას.

აკაკი პეტერბურგში ჩასვლისთანავე გაეცნო და დაუახლოვდა ილიას, მაგრამ, სამწუხაროდ, უნივერსიტეტის მკაცრი რეჟიმისა და სტუდენტთა მღელვარების გამო ი. ჭავჭავაძე 1861 წლის გაზაფხულზე სამშობლოში ღაბრუნდა. მიუხედავად ამისა, ქართველ სტუდენტებში დიდხანს ცოცხლობდა ილიას ხელმძღვანელობის ბრწყინვალე ტრადიცია.

---

[1] აკაკი წერეთელი, თხზ. სრული კრებული, ტ. 15, გვ. 15.

პეტერბურგში ქართველი სტუდენტები ძლიერ ღარიბად ცხოვრობდნენ. მათი ბინები და საერთოდ, ცხოვრების პირობები ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ერთ-ერთი სტუდენტის — კირილე ლორთქიფანიძის საცხოვრებელ ბინას ნიკო ნიკოლაძე შემდეგნაირად ახასიათებს: „იმავ დილას ბერიშვილთან (გულისხმობს კ. ლორთქიფანიძეს. — პ. კ.) დავსახლდი. ერთ პატარა ოთახში, რომლის მარტოხელა ფანჯარა უზარმაზარი სახლის ვიწრო და შმორიან ეზოში გადიოდა. გამიკეთეს ლოგინი, ბერიშვილის ლოგინის პირდაპირ. მარტო პატარა სტოლი ეტეოდა ამ ორ ლოგინს შუა... ორიოდე სკამი და პირისსაბანი ტაშტი შეადგენდა დანარჩენ ჩვენ მოწყობილობას“[1].

სხვა ქართველი სტუდენტები უარეს პირობებში ცხოვრობდნენ. ნიკო ნიკოლაძე ასე აგვიწერს თავისი ბიძაშვილის, დავით ნიკოლაძის ბინას: „ეკატერინეს კანალზე, უშველებელი ბინძური სახლის მეოთხე თუ მეხუთე ეტაჟაში, ერთი ნამცეცა ოთახი ექირავნა, რომელშიაც ის და ორი სხვა პოლშელი სტუდენტი ერთად იდგნენ... ყელჩამომტკრეულ ბოთლში სანთელი ერჭო, ეს გახლდა შანდალი... საბნობას პალტო და შინელი შეებოდა. არც ბალიშისპირის, არც ზეწრის ხსენება არსად იყო. მუთაქის მაგიერათ ბალიშის ქვეშ წიგნები ეწყო... თვითონ ოთახიც ამ მორთულობას შეეფერებოდა. დაბალ კედლებს ერთობ ვიწრო და დაბალი ფანჯრები ჰქონდათ ჩატანებული. ზედ დაკრული შპალერი ალაგ-ალაგ აფრენილი და გამცვდარი იყო. დროთა ვითარებისაგან ჭერს იმგვარი სიყვითლე დატყობოდა, როგორც ერთობ მოხუცებული კაცის ჭაღარა თმას ჰფერავს. შმორის სუნი და ნოტიობა კედლებსაც შეთვისებოდა, ჭერსაც და იატაკსაც“[2].

სტუდენტთა უმრავლესობას წიგნის საყიდელი ფულიც არა ჰქონდა. ხელმოკლეობის გამო წესიერ კვებასაც ვერ ახერხებდნენ. სადილობდნენ ბნელ, ნოტიო სასადილოში, მეტად მდარე ხარისხის, იაფფასიანი კერძით. „სადილობის დრო მოახლოვდა,— განაგრძობს ნ. ნიკოლაძე, — წავედით საჭმელათ. შემიყვანეს რაღაც ბნელ და ნოტიო ოთახში, სადაც შუაგულში გრძელი სუფრა იყო გაშლილი და მის გარშემო ოციოდე ყმაწვილი კაცი ისხდა. ჩვენი ქართველი სტუდენტობა თითქმის ერთიანათ იქ იყო თავმოყრილი. დავსხედით. ამიხსნეს, აქ სადილი ხუთ შაურათ ღირსო, ან თვეში შვიდ მანეთადო. კარგი იყო სადილი თუ ცუდი, ამას ვინ სდევნიდა, ვინ კითხულობდა...“[3]

---

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 41.

[2] იქვე.

[3] იქვე.

აკაკი წერეთელიც ამგვარ პირობებში ცხოვრობდა. მაგრამ მან მტკიცედ გადაწყვიტა უმაღლესი განათლების მიღება და ამ მიზნის მისაღწევად შეუდგა ენერგიულ მეცადინეობას უნივერსიტეტში შესასვლელი გამოცდებისათვის. ჭაბუკმა პოეტმა უარყო მატერიალური კეთილდღეობა, სამსახურებრივი კარიერა და სწავლას დაეწაფა. დღე-ღამეს ასწორებდა, გულმოდგინედ ეუფლებოდა მისაღებ გამოცდებზე ჩასაბარებელ საგნებს. ამის შესახებ აკაკი წერეთელი დედას პეტერბურგიდან სწერდა: „მე უწინაც მოგწერეთ, უნივერსიტეტში შევდივარ-თქო. იქ მინდა ვისწავლო სხვა საგნებს გარდა უფრო ბეჯითად: ქართული, თათრული, სომხური და თურქული... ფრანციცულს კი შინ ვისწავლი, მაგრამ ოცდაათი თუმანი არ ეყოფა უჩიტელს და მე ხუთას-ექვსასი მანეთი უმისოთაც გაჭირვებით მაცხოვრებს, როდესაც უარს ვყოფ: ტიატრს, კამედიას და ამისთანებს... მადედგან რომ აქ წამოვიდეს კაცი და ვერა ისწავლოს რა, ცოდვა არ არის? სწავლა იმას არა ჰქვიან, ორიოდე ტყიპინი ისწავლოს კაცმა,— არა, სწავლა სულ სხვა არის... საჭირო არ არის კაცს დარჩეს მამისგან სიმდიდრე და ამისთანები და არც ჩინი შეადგენს ბედნიერებას — მხოლოდ საჭირო ყოფილა კაცისათვის ერთი მხოლოდ სწავლა, სწავლა ნამდვილი... ამას რაღა სიმდიდრე და ბარისხი აჯობებს...“[1]

აკაკი წერეთელი პეტერბურგში ხელმოკლედ ცხოვრობდა, ზოგჯერ წერილის გამოსაგზავნი და ძმის სანახავად წასასვლელი რკინიგზის ბილეთის ფულიც არ ჰქონდა, მაგრამ სწავლას მაინც ხალისით დაეწაფა. სამეცადინო დრო რაციონალურად ჰქონდა განაწილებული, დროს არ კარგავდა. დედისადმი მიწერილ წერილში აკაკი წერდა: „ჩემი გასვლაც, გამოსვლაც, ჭამაც, სმაც, ძილიც გამოანგარიშებული არის. ნახევარი საათი რომ სადმე შევრჩე ნამეტანი, მაგიერი ძილი უნდა დავიკლო და ექვსი საათის მაგივრად ხუთნახევარი უნდა ვიძინო... ამის შემდეგ რა გასაკვირალია ხშირად ვერ მოვიწერო წიგნი? ეხლაც რომ ვწერ, მეორეთ გადაკითხვის დროც არა მაქვს, ათ წამში უნდა გავათავო“[2]. ამგვარი გულმოდგინე შრომითა და ბეჯითი სწავლით იძე-

---

[1] წერილი დაცულია ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმში, კ. ლორთქიფანიძის არქივში, შდრ. ლევან ასათიანი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, 1940 წ., გვ. 122-123; აგრეთვე იხ. აკ. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული, ტ. 15, გვ. 12.

[2] აკაკის წერილები დაცულია ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის კ. ლორთქიფანიძის არქივში; შდრ. ლ. ასათიანი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, 1940, გვ. 136-165; აგრეთვე იხ. აკ. წერეთელი, თხზ. სრული კრებული, ტ. 15, გვ. 21.

ნდა აკაკი ღრმა ცოდნას და ღირსეულად ემზადებოდა ხალხის სამსახურისათვის.

ზოგი რამ რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებისა და მათი ქართველ სტუდენტობაში გავრცელების შესახებ

პეტერბურგში აკაკი წერეთლის საფუძვლიან განათლებას, მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება-განვითარებას ხელი შეუწყო იმდროინდელი რუსეთის პროგრესულმა საზოგადოებრივმა აზროვნებამ და მოწინავე კულტურამ.

სამოციანი წლების დასაწყისში რუსეთში დიდად გამოცოცხლდა საზოგადოებრივი ცხოვრების მდინარება. პოლიტიკურ და სოციალურ წინააღმდეგობათა გამწვავების გამო, კიდევ უფრო მეტად გაჩაღდა მრისხანე ბრძოლა ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ. ხოლო თვითმპყრობელურ-ბატონყმურმა ტირანიამ თავის მხრივ მკაცრი წინააღმდეგობა გაუწია რევოლუციურ მოძრაობას. ამ დიდი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მოძრაობის შედეგად წარმოიქმნა რევოლუციური სიტუაცია, რომლის აღმავლობაც განაპირობა დიდმა ისტორიულმა მოვლენებმა. ვ. ი. ლენინის განმარტებით: დემოკრატიული მოძრაობის გამოცოცხლება ევროპაში, მღელვარება პოლონეთში, უკმაყოფილება ფინეთში, პოლიტიკური რეფორმების მოთხოვნა მთელი თავადაზნაურობის მიერ, „კოლოკოლის“ გავრცელება მთელს რუსეთში, ძლიერი ქადაგება რევოლუციური იდეებისა ჩერნიშევსკის მიერ, რომელსაც ლეგალური სტატიებითაც კი შეეძლო ნამდვილი რევოლუციონერების აღზრდა, პროკლამაციების გაჩენა, გლეხთა გამოსვლები და მღელვარება საზოგადოების სხვადასხვა ფენებისა, რომლებსაც ხშირად სამხედრო ძალისა და სისხლისღვრის საშუალებით აიძულებდნენ იმ „დებულების“ მიღებას, რომელიც სულიან-ხორციანად ფცქვნიდა მათ, აზნაურ მომრიგებელ მოსამართლეთა კოლექტიური უარი ასეთი „დებულების“ გატარებაზე, სტუდენტების არეულობა — ასეთ პირობებში უაღრესად ფრთხილსა და ფხიზელ პოლიტიკოსსაც კი უნდა ეღიარებინა, რომ რევოლუციური აფეთქება სავსებით იყო შესაძლებელი და გლეხთა აჯანყებაც მეტად სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა[1].

1859-1861 წლებში ეპოქის მწვავე პრობლემებმა — ბატონყმობისა და მონარქიის დამხობის მისწრაფებამ მოიცვა მოწინავე

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 34-35.

რევოლუციური შემოქმედებითი აზრი, გაღრმავდა და გამწვავდა იდეოლოგიური და კლასობრივი ბრძოლა. თვითმპყრობელურ-ბატონყმური წყობილება მოიცვა საერთო კრიზისმა. დაჩაგრულ კლასებს არ სურდათ ძველებურად ცხოვრება, ხოლო გაბატონებულ ზედაფენებს აღარ შეეძლოთ ქვეყნის ძველებური წესით მართვა.

ვ. ი. ლენინი რევოლუციური სიტუაციის დასახასიათებლად სამ ძირითად ნიშანზე მიუთითებს: 1. შეუძლებლობა გაბატონებული კლასებისათვის — შეინარჩუნონ უცვლელი სახით თავიანთი ბატონობა: „ზედა ფენების" ესა თუ ის კრიზისი, გაბატონებული კლასების პოლიტიკის კრიზისი, რომელიც ქმნის ბზარს, რაშიც ამოხეთქავს ჩაგრული კლასების უკმაყოფილება და აღშფოთება. რევოლუციის დაწყებისათვის ჩვეულებრივ საკმარისი არ არის, რომ „ქვედა ფენებს" „არ უნდოდეთ" ძველებურად ცხოვრება, არამედ საჭიროა კიდევ, რომ „ზედა ფენებს არ შეეძლოთ" ძველებურად ცხოვრება. 2. ჩაგრული კლასების გაჭირვებისა და უბედურების გამწვავება ჩვეულებრივზე მეტად. 3. აღნიშნული მიზეზების გამო, მასების აქტივობის მნიშვნელოვნად გადიდება; ისინი „მშვიდობიან" ეპოქაში მშვიდად აძარცვინებენ თავს, ხოლო მღელვარე ხანაში, როგორც კრიზისის მთელი ვითარება, ისე თვითონ „ზედაფენები" იწვევენ მათ დამოუკიდებელ ისტორიულ გამოსვლას"[1].

ამ სიტუაციაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რუსი რევოლუციურ-დემოკრატების იდეოლოგიურსა და პოლიტიკურ ბრძოლას რეაქციონერთა და ლიბერალთა წინააღმდეგ.

რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულმა იდეებმა საკმაოდ გაიკაფეს გზა ხალხთა ფართო ფენებში, საფუძველი მოუმზადეს მოწინავე შემოქმედებითი აზრის განვითარებას და რევოლუციურ მოძრაობას. ცნობილია, რომ თავისი დროის უდიდესმა მოაზროვნემ გერცენმა, „რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა რუსეთის რევოლუციის მომზადებაში"[2], რუსეთის განვითარების ამ პერიოდის დასაწყისს სამართლიანად უწოდა „დილის ცისკარი" და „ახალი ფაზა" რუსეთის საზოგადოებრივი და ლიტერატურული ცხოვრების განვითარებისა.

რადიშჩევის, პუშკინის, გოგოლის, ლერმონტოვის, ბელინსკის, გერცენისა და სხვა დიდ მწერალ-მოაზროვნეთა მოწინავე შეხედულებებმა უდიდესი როლი შეასრულეს რევოლუციის მომზადებაში საერთოდ, და 60-იანი წლების რევოლუციურ-დემოკ-

---

1 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 21, გვ. 248.

2 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 18, გვ. 11.

რატიული იდეების ჩამოყალიბებაში, კერძოდ, „გერცენმა, — დიდი ლენინის გენიალური დახასიათებით, — შექმნა თავისუფალი რუსული პრესა საზღვარგარეთ — ეს მისი დიდი დამსახურებაა... „კოლოკოლი“ (1857-1867) მედგრად იბრძოდა გლეხობის განთავისუფლებისათვის“[1], გერცენი „იბრძოდა ხალხის გამარჯვებისათვის ცარიზმზე“[2]. 1912 წელს ლენინი წერდა: „გერცენმა გააჩაღა რევოლუციური აგიტაცია.

ეს აგიტაცია განაგრძეს, გააფართოვეს, განამტკიცეს, გაეღრმავებინათ რევოლუციონერმა რაზნოჩინცებმა, ჩერნიშევსკით დაწყებული და „ნაროდნაია ვოლიას“ გმირებით დამთავრებული“[3].

ამრიგად, სამოციან წლებში მასების ქარიშხლიანი მოძრაობის წინამორბედები იყვნენ რევოლუციონერ-დემოკრატები, რომელთაც გერცენმა უწოდა „მომავალი ქარიშხლის ახალგაზრდა ბუტურმანები“. აღნიშნული დასახიათება დაადასტურა ვ. ი. ლენინმა სტატიაში „გერცენის ხსოვნას“.

მოკლედ გავისსენოთ რუსეთის რევოლუციონერ-დემოკრატთა ზოგიერთი შესედულება. სამოციანი წლების რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაღრმავებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მგზნებარე პატრიოტის, თავისი დროის ბრწყინვალე მოაზროვნისა და მებრძოლის ბესარიონ ბელინსკის იდეების გავრცელებასაც.

ამ უდიდესი ადამიანის შეუპოვარმა ბრძოლამ მეფის თვითმპყრობელობის, ბატონყმობისა და რელიგიის წინააღმდეგ, მისმა ძლიერმა რწმენამ და უშრეტმა ოპტიმიზმმა რუსი ხალხის დიადი მომავლისაღმი გზა გაუკაფეს 60-იანი წლების რევოლუციურ აღმავლობას.

ბესარიონ ბელინსკიმ დაამუშავა და მეცნიერულად დაასაბუთა ხელოვნებისა და ლიტერატურის ახალი გაგება, ახალი ესთეტიკური თეორია. გვიჩვენა „ნატურალური სკოლის“* პროგრესული ხასიათი, მისი ღრმა შინაარსი და მაღალიდეურ-მხატვრული სიდიადე, მისი ერთგულება სინამდვილისადმი, ხალხის ცხოვრების სიმართლითა და „მთელი მისი ჭეშმარიტებით“ ასახვისადმი. დიდი კრიტიკოსი იბრძოდა ნაციონალური, თვითმყოფი და სალხურობით შთაგონებული ხელოვნებისათვის. ხალხის საუკეთესო მისწრაფებათა განსახორციელებლად მებრძოლი ლიტერატურისათვის, ბელინსკის აზრით, ახალი საზოგადოებრივი

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 18, გვ. 15.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 18.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 19.

* ტერმინი „რეალიზმი“, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ არ იხმარებოდა

მოძრაობა უნდა აისახოს ლიტერატურაში, რომელიც ყოველთვის საზოგადოების გამოხატულებაა[1], „ხელოვნება არის სინამდვილის წარმოსახვა, განმეორებული, თითქოს ხელახლა შექმნილი სამყარო"[2]. იგი მოწოდებულია „დაბალ კლასთა დასაცავად". ბელინსკის რწმენით „საყვარელ ქმნილებად ყოველთვის დარჩება ის ქმნილება, რომელშიც ცხოვრება და სინამდვილე გამოხატულია მართლად და ჭეშმარიტად"[3].

საზოგადოებრივი ცხოვრების სიმართლით დახატვაში ბესარიონ ბელინსკი უპირატესად გულისხმობდა გაბატონებული ფენების პარაზიტული ცხოვრების კრიტიკულ ასახვას, მათი უსამართლო მოქმედების დაუზოგაოდ მხილებას, დაჩაგრული ხალხის გაწამებული ყოფის რეალისტურ ხატვას. ამგვარი რეალისტურ-კრიტიკული ხასიათის ხელოვნება და ლიტერატურა, დიდი მოაზროვნის აზრით, შთაგონებული უნდა იყოს პროგრესული, რევოლუციურ-დემოკრატიული იდეალებით, ბატონყმობისა და ცარიზმის წინააღმდეგ შემტევითი ბრძოლის პათოსით, დაჩაგრული და დამონებული ხალხის განთავისუფლების დაჯერებული ოპტიმიზმით. გენიოსმა კრიტიკოსმა, როგორც აღვნიშნეთ, პირველმა დაამუშავა რეალისტური ხელოვნებისა და ლიტერატურის თეორია და მისი მებრძოლი ესთეტიკური პრინციპები. იგი აღიარებდა ხელოვნებისა და ლიტერატურის დემოკრატიზაციას. მან საფუძველი ჩაუყარა რევოლუციურ-დემოკრატიულ-მატერიალისტურ ესთეტიკასა და კრიტიკული რეალიზმის პრინციპებს[4].

ბელინსკი უაღრესად დიდ შეფასებას აძლევდა გოგოლის შემოქმედებას და წერდა: „რუსეთის სინამდვილის გამოხატვა და ისიც ასეთი განსაცვიფრებელი სისწორითა და ჭეშმარიტებით, რასაკვირველია, მსოლოდ რუს პოეტს შეუძლია. და აი, ჯერჯერობით ყველაზე მეტად სწორედ ამაში მდგომარეობს ჩვენი ლიტერატურის. ხალხურობა"[5].

გამოჩენილი მოაზროვნე უარყოფდა ნაციონალური ცხოვრებისაგან მოწყვეტილ, უნიადაგო, მექანიკური მიბაძვით, მონუ-

---

[1] ბ. ბელინსკი, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, ა. ქუთელიას რედაქციით, 1948 წ., გვ. 679.

[2] ბ. ბელინსკი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, გვ. 663.

[3] ბ. ბელინსკი, რჩეული თხზულებანი, გიორგი ჯიბლაძის რედაქციით და წინასიტყვაობით, ტ. I, 1952 წ., გვ. 127.

[4] Г. Н. Поспелов. История русской литературы XIX века, т. II, часть первая, 1962, стр. 123—124.

[5] ბ. ბელინსკი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, თარგმანი ვლ. მგალობლიშვილისა, გ. ჯიბლაძის რედაქციით, 1957 წ., გვ. 649.

რად გაღმოღებულ უშინაარსო, შინაგან კავშირსა და დამოკიდებულებას მოკლებულ ლიტერატურას. ასეთ ხელოვნებასა და ლიტერატურას, ბელინსკის აზრით, შეუძლებელია ახასიათებდეს ნამდვილი ხალხურობა და ნაციონალური თვითმყოფობა, იგი არ ჩაითვლება ჭეშმარიტ პროგრესულ მოვლენად. „ყოველგვარ შინაგან კავშირსა და დამოკიდებულებას მოკლებული თხზულებანი, რომელთა წარმოშობა გამოწვეულია გარეშე გავლენებით, მიმბაძველობით, — ასეთ ლიტერატურას არ შეიძლება ისტორია ჰქონდეს. მისი ისტორია წიგნების კატალოგია. ასეთი ლიტერატურის მიმართ სიტყვა „პროგრესი“ არ გამოდგება და ამ ლიტერატურაში ახალი, რაიმე მხრივ შესანიშნავი ნაწარმოების გამოჩენა პროგრესი არ არის, იმიტომ რომ ამ ნაწარმოებს ფესვი არა აქვს წარსულში და ნაყოფს არ გამოიღებს მომავალში“[1].

ამრიგად, ბელინსკის აზრით, ხელოვნებისა და ლიტერატურის თვისებას უნდა შეადგენდეს არა რიტორიკულობა, არამედ ორიგინალობა, ხალხურობა, სრული ჭეშმარიტება, შეთხზვის უბრალოება[2], თვითმყოფობა, ბუნებრიობა, ეროვნულობა, საკაცობრიო მნიშვნელობა. ერთი სიტყვით: ნატურალური ლიტერატურა „შეადგენს ჩვენი ლიტერატურის ისტორიის აზრსა და სულსო“[3] — დასძენდა იგი. „ნატურალური სკოლის“, რეალისტური ხელოვნების განვითარება ბელინსკის მიაჩნდა ხელოვნებაში ხალხურობის პრინციპის დამკვიდრების, უცხოური გავლენისაგან განთავისუფლებისა და თვითმყოფი ეროვნული ლიტერატურის განვითარების აუცილებელ პირობად. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ დიდი კრიტიკოსი მიუღებლად თვლიდა ქვეყნის მოწყვეტას სხვა ხალხთა კულტურული ცხოვრებისაგან და საჭიროდ თვლიდა ხალხების კულტურულ მონაპოვართა შესწავლასა და გამოყენებას, წინააღმდეგ „სლავიანოფილთა“ შეხედულებისა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ბელინსკი კატეგორიულად აცხადებდა: „ხალხს, რომელიც მონაწილეობის მიღებას იწყებს კაცობრიობის განათლებული ნაწილის ცხოვრებაში, არ შეუძლია იყოს უცხო არავითარი საერთო გონებრივი მოძრაობისათვის“[4] და დასძენდა: „ღრმა აზრია იმაში, რომ ჩვენ გვჭირდება უცხოეთის ლიტერატურათა დიდი პოეტების გაცნობა“-ო[5]. დიდი კრიტიკოსი გარკვევით ასხვავებდა უცხოეთის ხე-

---

1 ბ. ბელინსკი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, გვ. 635.
2 ბ. ბელინსკი, რჩეული თხზულებანი, ტ. I, გვ. 144.
3 ბ. ბელინსკი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, გვ. 649-650.
4 ბ. ბელინსკი, რჩეული თხზულებანი, ტ. I, გვ. 116.
5 იქვე, გვ. 664.

ლოვნების, ლიტერატურისა და კულტურის შესწაელის აუცილებლობასა და საჭიროებას, მის შემოქმედებითად გამოყენებას — ბრძა, მონური მორჩილებისაგან.

იგი სასტიკად გმობდა უცხოეთის წინაშე ქედისმოხრას, უცხოური კულტურის მიერ გონებრივ და ზნეობრივ მეურვეობასა და კოსმოპოლიტიზმს, უცხოური ქვეყნების ხალხთა ცხოვრების ქარაფშუტულ, უნიადაგო გადმოტანასა და გაბატონებას და აღიარებდა ნამდვილი ნაციონალური კულტურის, ეროვნული ხელოვნებისა და ლიტერატურის წარმოქმნის აუცილებლობასა და განვითარებას, ნაციონალური ცხოვრების ასახვას, მშობელი რუსი ხალხის გენიით შთაგონებული დიდი ნაციონალური მწერლობისა და ხელოვნების აყვავებას, რომელსაც მსოფლიო, საკაცობრიო მნიშვნელობა ექნებოდა. „ყოველ ხალხს, — წერდა ბელინსკი, — შეუძლია მეორისაგან გადაიღოს, მაგრამ იგი უსათუოდ საკუთარი გენიის დაღს ასვამს ამ ნასესხებს"[1]. საერთოდ კი, აცხადებს კრიტიკოსი, „თვითეულ ხალხს შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს საერთო საუნჯეში"[2], რაც გაამდიდრებს კაცობრიობის ცოდნას.

ამგვარი ბუნებრივი და კანონიერი შემოქმედებითი გზით მიმართული ურთიერთგამდიდრებული, კეთილმყოფელი კულტურული ურთიერთობა და გავლენები ხელს უწყობს ხალხის თვითმყოფი ხელოვნების, ლიტერატურისა და საერთოდ კულტურული ცხოვრების განვითარებას, მის წინსვლასა და პროგრესს. ამიტომ პატრიოტი კრიტიკოსის აზრით უცხოური კულტურის მიღწევათა გაცნობა, შესწავლა და გამოყენება, უნდა ხდებოდეს ბუნებრივად, სათანადოდ მომზადებულ ნიადაგზე გადმოტანით შეგნებული, შეგუებული და ერის მიერ საკუთარ სასიცოცხლო ქურაში გადამუშავების გზით. ერთი ხალხის მიერ სხვა ხალხისაგან ნასესხები კულტურა, ნაციონალურ ხასიათს უნდა იღებდეს და მაშინ იქცევა იგი პროგრესულ მოვლენად. „მაშინაც კი, — წერდა ბელინსკი, —როდესაც ერთი ხალხის პროგრესი მიმდინარეობს მეორე ხალხისაგან სესხების საშუალებით, ის მაინც ეროვნულად ხდება. სხვანაირად პროგრესი არ არის. როდესაც ხალხი მისთვის უცხო იდეებისა და ზნე-ჩვეულებების გავლენის ქვეშ ექცევა, ხოლო თავის თავში არ მოეპოვება ძალა, რათა საკუთარი ეროვნულობის ძალით საკუთარსავე არსებად გადაამუშაოს ისინი, მაშინ ის პოლიტიკურად იღუ-

---

[1] ბ. ბელინსკი, რჩეული თხზ., ტ. I, გვ. 24.

[2] იქვე, გვ. 22.

პება"[1]. ბელინსკი ამასთანავე განმარტავს, რომ „ამგვარი საფრთხე შეიძლება ნამდვილი იყოს მხოლოდ ზნეობრივად უძლური და ყოვლად უმნიშვნელო ხალხებისათვის"[2]. ამგვარი უტრადიციო, ეროვნულობას მოკლებული, მხოლოდ და მხოლოდ სხვისი გავლენით მცხოვრები და ყოველგვარ საკუთარს, თვითმყოფსა და ისტორიულობას აცდენილი ხალხის მისამართით ბელინსკი წერდა: „გადაჭრით არა გვწამს იმ ხალხთა მტკიცე პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი არსებობის შესაძლებლობა, რომლებიც მოკლებულნი არიან ეროვნულობას, მაშასადამე, წმინდა გარეგნული ცხოვრებით ცხოვრობენ"[3]. ხალხთა ისტორიული წარსულის ღრმა ცოდნის, მისი გათვალისწინებისა და ანალიზის საფუძველზე მგზნებარე პატრიოტიზმით შთაგონებული დიდი მოაზროვნე სავსებით მართებულად თვლიდა, რომ რუსეთი თვითმყოფი ნაციონალური ისტორიული ცხოვრებით ცხოვრობს. მან მრავალ განსაცდელს გაუძლო და ჩამოყალიბდა ძლიერ სახელმწიფოდ. ამიტომ რუსეთს ეროვნული გადაგვარებისა და პოლიტიკურად მოსპობის საფრთხე არ შეიძლება მოელოდეს. რუსი ხალხი მოწოდებულია მსოფლიოს უთხრას თავისი სიტყვა, თავისი აზრი. ამდენად, ბელინსკის რწმენით, ახალი, თავისუფალი და დემოკრატიული რუსეთის გამარჯვებისათვის თვითმყოფი ნაციონალური კულტურის საფუძველზე სასარგებლოა მისი გამდიდრება პროგრესული იდეალებით, ევროპის ქვეყნების მოწინავე, ახალი აზრებით, ლიტერატურისა და ახალ შეხედულებათა შესწავლით, მთელი ამ ცოდნის და გამოცდილების საკუთარ ეროვნულ ნიადაგზე გადამუშავებით; „ჩვენ, რუსებს, წერდა ბელინსკი, ჩვენს პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაში დასაეჭვებელი არაფერი გვაქვს. ყველა სლავური ტომებიდან მხოლოდ ჩვენ ჩამოვყალიბდით მტკიცე და მძლავრ სახელმწიფოდ... სასახელოდ გავუძელით არაერთ მკაცრ განსაცდელს, არაერთხელ ვყოფილვართ დაღუპვის პირად და ყოველთვის მოგვისწრია გადარჩენა, ხოლო შემდეგ ახალი და მეტი ძალითა და სიმტკიცით გამოვჩენილვართ. იმ ხალხში, რომელიც მოკლებულია შინაგან განვითარებას, არ შეიძლება იყოს ეს სიმტკიცე, ეს ძალა. დიახ, ჩვენში არის ნაციონალური ცხოვრება, ჩვენ მოწოდებული ვართ ვუთხრათ მსოფლიოს ჩვენი სიტყვა, ჩვენი აზრი"[4]. მართალია, მგზნებარე კრიტიკოსს ჯერ კიდევ არ

---

1 ბ. ბელინსკი, რჩეული თხზულებანი, II, გვ. 604.
2 იქვე, გვ. 605.
3 იქვე, გვ. 593.
4 იქვე.

ჰქონდა გარკვეული წარმოდგენა ამ ახალ „აზრსა“ და „სიტყვაზე“, მაგრამ დაჯერებული ოპტიმიზმით შთაგონებული შოაზროვნე ახალი რუსეთის მიერ დიდი საკაცობრიო დემოკრატიული იდეალების განსორციელების საქმეში თავისი სიტყვისა და აზრის თქმას ახალთაობის იმედზე ამყარებდა: „მაგრამ რა სიტყვაა ეს, წერდა ბელინსკი, რა აზრია, — ამაზე თაყვის მტვრევა ჯერ ნაადრევია. ჩვენი შვილიშვილები ან შვილიშვილები გაიგებენ ამას სრულიად დაუძაბავად, იმიტომ, რომ ამ სიტყვას, ამ აზრს [illegible] სიტყვიან.“[1] „პობოქარი ბესარიონის“ ეს დიდი პატრიოტული და ინტერნაციონალური შთაგონება განპირობებული იყო კეთილშობილური შესედულებით: „მამულისადმი სიყვარული უნდა იყოს ამასთან სიყვარულიც კაცობრიობისადმი“[2].

ბელინსკის აზრით, „ეროვნებათა გარეშე კაცობრიობა მკვდარი ლოგიკური აბსტრაქტი, უშინაარსო სიტყვა, მნიშვნელობას მოკლებული ბგერა იქნებოდა“[3].

ლიტერატურა და ხელოვნება, ბელინსკის აზრით, თავისი განვითარების პროცესით დაკავშირებულია ხალხის ისტორიულ ცხოვრებასთან. „ახალი, წერდა ის, გამოდის ძველიდან, მომდევნო აიხსნება წინამორბედით, და არაფერი არ გვევლინება შემთხვევით“[4]. ამიტომ ახალი ლიტერატურის შესწავლისა და სწორად გაგებისათვის საჭიროა მისი ისტორიულად წარმომშობი პირობების ცოდნა, რადგან „ყოველივე ახლის წყაროა ძველი, ყოველ შემთხვევაში, ახალს ძველი ამზადებს“[5]. „1846 წლის რუსული ლიტერატურის მიმოხილვაში“ დიდი კრიტიკოსი მიუთითებდა: „აწმყო შედეგია წარსულისა და მითითებაა მომავალზე“[6]. ამ გაგებით, ბელინსკი თანამედროვე ლიტერატურის განხილვისათვის აუცილებლად მიიჩნევდა წარსულის საფუძველზე ახლის ახსნას და აწმყოს გათვალისწინებით მომავლის წარმოდგენას. თანამედროვე ლიტერატურაზე მსჯელობა, წერდა ბელინსკი, „შეუძლებელია ისე, თუ არ შევეხეთ იმას, თუ რა იყო ის და რა უნდა იყოს“[7]. ბელინსკის სწამდა რომ პოეტი მხატვრული შემოქმედების მასალას ხალხის ცხოვრებიდან იძენს:

---

1 ბ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, გვ. 593.

2 ბ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი, რჩეული თხზულებანი, ტ. I, გვ. 285.

3 ბ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, გვ. 603.

4 ი ქ ვ ე, გვ. 581.

5 ი ქ ვ ე, გვ. 606.

6 ი ქ ვ ე, გვ. 575.

7 ი ქ ვ ე.

«Никто не может быть выше века и страны, никакой поэт не усвоит себе содержания, не приготовленного и не выработанного историей»[1].

ამიტომ ამ მასალის მნიშვნელობა, სიღრმე და მოცულობა დამოკიდებულია მისი ხალხის ისტორიულ ცხოვრებაზე. „პოეტს შინაარსს აძლევს, — წერდა ბელინსკი, — მისი ხალხის ცხოვრება, მაშასადამე ამ შინაარსის ღირსება, სიღრმე და მოცულობა და მნიშვნელობა პირდაპირ უშუალოდ დამოკიდებული არაა თვით პოეტზე და არა მის ნიჭზე, არამედ მისი ხალხის ცხოვრების ისტორიულ მნიშვნელობაზე"[2]. ამიტომ ლიტერატურამ რომ გამოხატოს თავისი ხალხის შეგნება და ინტელექტუალური ცხოვრება, აუცილებელია მტკიცე კავშირი ჰქონდეს ხალხის ისტორიასთან. იგი უნდა ემსახუროს მის ახსნას. აუცილებელია, რომ იგი ვითარდებოდეს ორგანულად და ჰქონდეს თავისი ისტორია.

«Но чтобы литература и для своего народа была выражением его сознания, его интеллектуальной жизни, — необходимо, чтобы она была в тесной связи с его историею и могла служить объяснением ей, необходимо, чтобы она развивалась органически и имела свою историю»[3].

ბელინსკი დიდი მგზნებარებით იცავდა ხალხისათვის მებრძოლ ხელოვნებასა და ლიტერატურას. მისი ღრმა რწმენით, პოეზია „ჭეშმარიტების ქურუმად" უნდა გამოდიოდეს და „გრგვინავდეს სიმართლით"[4]. იგი არ შეიძლება იყოს გასართობი ჟღარუნა და უსაფუძვლო, უმაქნისი გამოგონების მიმყოლი. მან ხალხის ცხოვრების სინამდვილე სიმართლით უნდა დახატოს, რადგან პოეზია სიცოცხლის გამოხატვაა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, პოეზია თვით სიცოცხლეა... სიცოცხლე მოქმედებაა, მოქმედება კი ბრძოლაა"[5]. და სადაც „ცხოვრებაა, იქ პოეზიაც არის"[6]... და „სადაც ჭეშმარიტებაა, პოეზიაც იქ არის"[7]. პოეტი, რომელიც ღირსეულად ხატავს თავისი ხალხის ცხოვრების ნამდვილ სურათებს და იბრძვის თავისი ქვეყნის წინსვლისა და

---

[1] В. Г. Белинский. Полн. собр. соч., т. VI, стр. 308.

[2] ბ. ბელინსკი, რჩეული თხზულებანი, ტ. I, გვ. 645.

[3] В. Г. Белинский. Полн. собр. соч. в трех томах, 1948, т. II, стр. 110.

[4] ბელინსკი, რჩეული თხზულებანი, ტ. I, გვ. 332.

[5] იქვე, გვ. 285.

[6] იქვე, გვ. 173.

[7] იქვე, გვ. 123.

ბედნიერებისათვის, ეროვნული პოეტის სახელს იმსახურებს. „დიდი პოეტისათვის არ არსებობს იმაზე უფრო დიდი პატივი, ვიდრე ის, რომ იყოს უაღრესად საციონალური, იმიტომ, რომ სხვანაირად იგი არც შეიძლება დიდი იყოს“[1], დასძენს ბელინსკი.

ბელინსკი უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ლიტერატურისა და ხელოვნების სალხურობას და მიუთითებდა: „სალხურობა არის არა ღირსება, არამედ აუცილებელი პირობა ჭეშმარიტად მხატვრული ნაწარმოების შექმნისა, თუ სალხურობად ნაგულისხმევი უნდა იყოს ამა თუ იმ ქვეყნის ზნე-ჩვეულებათა და ხასიათების გამოხატვის სისწორე. ყოველი ხალხის ცხოვრება ვამოვლინდება მისთვის ჩვეულ ფორმებში, მაშასადამე, ცხოვრების გამოხატვა თუ სწორეა, ხალხურიც არის“[2].

ბ. ბელინსკიმ პირველ დიდ სტატიაში „ლიტერატურული ოცნებანი“ აღნიშნა: „სალხურობა — აი, ახალი პერიოდის ალფა და ომეგა... სალხურობისაკენ მისწრაფება ფრიად შესანიშნავი მოვლენააო“[3]. დიდი კრიტიკოსი რუს მწერალთა სალხურობად თვლიდა არა ტიპური სიტყვების შერჩევას, ანდა ნაძალადევ ნალაყბევს, სიმღერებსა და ზღაპრებს, გამოთქმულს ხალხურ ყაიდაზე, არამედ რუსული თვალსაზრისის გამოჩენას[4]. იგი აყენებს საკითხს: „რა არის ხალხურობა ლიტერატურაში?“ და თვითონვე უპასუხებს: ხალხურობა ლიტერატურაში არის „ხალხური სახის ანაბეჭდი, ხალხის სულისა და ხალხის ცხოვრების ტიპი“[5]. „ხალხურობა მდგომარეობს იმ აზრთა და გრძნობათა წყობაში, რომლებიც ამა თუ იმ ხალხისათვის დამახასიათებელია“. „ჩვენი ხალხურობა მდგომარეობს რუსული ცხოვრების სურათების გამოხატვის სისწორეში“[6]. ხალხურობის ბელინსკისეული გაგება, როგორც ცნობილია, არ არის ზუსტი და მართებული. აღნიშნული პრობლემა, როგორც აღიარებულია, ნ. დობროლუბოვმა გაარკვია, თუმცა აქაც რამდენამდე გამოჩნდა ისტორიზმის თვალსაზრისის ბოლომდე უკმარობა. ახალგაზრდა ბელინსკი ცდებოდა, როდესაც გოგოლამდე არსებული რუსული

---

1 ბ. ბელინსკი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, გვ. 607.
2 ბ. ბელინსკი, რჩეული თხზულებანი, ტ. I, გვ. 157-158.
3 იქვე, გვ. 95.
4 იქვე, გვ. 42.
5 იქვე, გვ. 96.
6 იქვე, გვ. 99.

ლიტერატურის ხალხურობას უარყოფდა[1] და ადრინდელ მწერალთა ხალხურობის იერი შეაფასა „მეტისმეტად მასკარადულ ელფერად".

კრიტიკოსს ლიტერატურის ხალხურობა მიაჩნდა თვითმყოფი, ორიგინალური, დამოუკიდებელი და ნაციონალური ლიტერატურის ფრიად დამახასიათებელ თვისებად [2]. საერთოდ ბელინსკის მიერ ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების აუცილებელ თვისებად ხალხურობის აღიარებამ და მისი დამკვიდრებისათვის ბრძოლამ უაღრესად დიდი ისტორიული მისია შეასრულა.

ბესარიონ ბელინსკი ხელოვნებისა და ლიტერატურის მთავარ დამახასიათებელ თვისებად თვლიდა, როგორც აღვნიშნეთ, სინამდვილის, ხალხის ცხოვრების სიმართლითა და ჭეშმარიტებით ასახვას, მის ღრმამოქალაქეობრივ პათოსს. დიდი კრიტიკოსი საზოგადოებრივი ცხოვრების დახატვაში ლიტერატურის მთავარ ფუნქციად აღიარებდა ყურადღების ცენტრში ხალხის, ჩვეულებრივი ადამიანების დაყენებას და არა მხოლოდ სასიამოვნო გამონაკლისთა ხატვას. მისი ღრმა რწმენით, ხელოვნებისათვის აუცილებელია „მთელი ყურადღების მიქცევა ხალხზე, მასაზე, გამოხატვა ჩვეულებრივი ადამიანისა და არა მხოლოდ საერთო წესიდან სასიამოვნო გამონაკლისისა"[3].

იგი ხელოვნებასა და ლიტერატურას ანიჭებდა უდიდეს სოციალურ და პოლიტიკურ მნიშვნელობას, ეპოქის წინაშე მდგარ პრობლემების გადაწყვეტაში აქტიურ მონაწილეობას, მის ხელმძღვანელ როლს, მის დიდ მაორგანიზებელ ძალასა და მებრძოლ სულისკვეთებას. ამიტომ ბელინსკი აფართოებდა ლიტერატურისა და ხელოვნების ასახვის ობიექტთა არეს და ხელოვნების საგანგებო და საპატიო ამოცანად თვლიდა ხალხის, ჩვეულებრივი დაბეჩავებული ადამიანების ცხოვრების განსახიერებას. იგი გმობდა ისეთ ხელოვნებას, რომელშიც წარმოდგენილია „არა ადამიანები, არამედ განყენებულ სათნოებათა და მანკიერებათა რიტორიკული განსახიერებანი"[4]. ასეთი ხელოვნება, კრიტიკოსის ღრმა რწმენით, „ჭკუის დამრიგებელი, ცივი, მშრალი, მკვდარი ხელოვნებაა, რომლის ნაწარმოებნი სხვა არაფერია, თუ არა მოცემულ თემებზე რიტორიკული ვარჯიში"[5].

---

[1] ბ. ბელინსკი, რჩეული თხზულებანი, ტ. I, გვ. 99.
[2] იქვე, გვ. 38—39.
[3] ბ. ბელინსკი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, გვ. 650.
[4] იქვე, გვ. 65.
[5] იქვე, გვ. 660-661.

ამრიგად, ბ. ბელინსკი, როგორც აღვნიშნეთ, სასტიკად ებრძოდა რა ბატონყმობასა და თვითმპყრობელობას, თავგანწირულად იცავდა ხალხის ინტერესებს, ახალი თემატიკისა და რეალისტური ხელოვნების მაღალ მოქალაქეობრივ დანიშნულებად აღიარებდა დაბალი წოდების ადამიანთა სიყვარულით გამოხატვას, მოთხრობის მხატვრულ გმირებად გლეხების, ხელოსნების, მეეზოვეების, მეეტლეების, წვრილი მოხელეების გამოყვანას, დამშეულთა, ღატაკთა, მაშვრალთა „უზნეობის კუნჭულების“, „ჭუჭყიანი ეზო-სადგომების და თავშესაფართა წარმოსახვას“[1]. მგზნებარე კრიტიკოსი მოითხოვდა ხელოვნებაში აზრის, იდეის, გამოხატული მოვლენების გასაგებად, ნათლად, რეალისტურად ასახვას. იგი სასტიკად ილაშქრებდა ძველი პიიტიკის წინააღმდეგ, რომელიც ნებას იძლევა გამოხატოთ ყველაფერი, რაც გნებავთ, ოღონდ, ამასთან ერთად, წესად გიდებთ გამოსახატავი საგანი ისე შეალამაზოთ, რომ ყოვლად შეუძლებელი იყოს იმის გაგება, თუ რისი გამოხატვა გინდოდათ[2].

ძველი პიიტიკის ამ მიუღებელ შეხედულებას კრიტიკოსი უპირისპირებს ნატურალური სკოლის მხატვრულ-ესთეტიკურ პრინციპს, ე. ი. სინამდვილეში არსებულ მოვლენათა ნათლად და ტიპურად გამოხატვის რეალისტურ პრინციპს: ხელოვნებისმიერ დახატულ სახეთა, რაც შეიძლება ახლო მსგავსებას მათ ნიმუშებთან, რომლებიც სინამდვილეში არსებობენ[3]. მხატვრული ასახვის ამგვარი პრინციპი ბ. ბელინსკის მიაჩნია ხელოვნებაში ბუნებრიობის დამკვიდრებად, რაც თავის მხრივ, მისი აზრით, აუცილებელია ცხოვრების რეალისტური დახატვისათვის. სინამდვილის სიმართლით, ღრმაიდეური ასახვისათვის.

ბელინსკი სასტიკად გმობდა ცარიზმისა და „ფეოდალურ ბარონთა“ დამცველებს, რეაქციული იდეოლოგიის წარმომადგენლებს, რომლებიც მდაბიო ხალხთა შრომის ნაყოფის მიტაცების ხარჯზე ფუფუნებით ცხოვრობენ, ხოლო დაბალი კლასები ეზიზღებათ და ლიტერატურაში მათი სახელის გამოჩენას ხელოვნების გათახსირებად თვლიან. ასეთ პირებს, კრიტიკოსის აზრით, ლიტერატურა გართობისა და სიამოვნების საგნად მიაჩნიათ და ისინი ხელოვნებაში ბეჩავთა, ტანჯულთა, მშიერთა, დაცემულთა და დევნილთა ცხოვრების ასახვას, მათთვის ნუგეშისა და დახმარების ხელის გაწოდებას, მათი ავბე-

---

[1] ბ. ბელინსკი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, გვ. 652.
[2] იქვე, გვ. 653.
[3] იქვე.

დითი მდგომარეობის თანაგრძნობასა და სიყვარულის გაზიარებას არად მიიჩნევენ. მჩაგვრელთა დესპოტიზმის, ამორალური და ბოროტი ქცევის სასტიკი და დაუნდობელი მხილებისა და სააშკარაოზე გამოტანისას ისინი შეშფოთებული გაჰყვირიან: „შეხედეთ, რას წერენ ახლა! გლეხებს ქალამნები და ხამი ქსოვილი აცვიათ, ხშირად რახის სუნი ასდით, დედაკაცი კენტავრსა ჰგავს, ტანსაცმლით უცბად ვერც კი იცნობ, რომელი სქესის არსებაა; კუნჭულები — სიღატაკის, განწირულობისა და გარყვნილების თავშესაფარია, რომლებთანაც მუხლამდე ატალახებული ეზოთი უნდა მიატანოთ რომელიღაც ლოთი პოდიაჩი ან სამსახურიდან გამოგდებული სემინარიელი მასწავლებელი, — ყოველივე ამას ნატურიდან ხატავენ, საშინლად აშიშვლებენ, ასე რომ, თუ წაიკითხავ, ღამე მძიმე სიზმრებს უნდა მოელოდე“[1]. დიდი კრიტიკოსი კიცხავს რეაქციონერებს, „მხცოვან პიიტიკოსებს“, რომელთაც ხელოვნების შინაარსად „უსიცოცხლო სიცრუის“, თავის გართობისათვის სასიამო ამბების დახატვა მიაჩნდათ და არა ის კუნჭულები, სადაც კონკებში სიცივისაგან კანკალებს მთელი ოჯახი, ბატონყმობისა და ცარიზმისაგან განაწამები მშიერი და ღატაკი ადამიანის ცხოვრება და ამ უსამართლობის გამომწვევ მიზეზთა მამხილებელი ხელოვნება.

ნატურალური სკოლისადმი „ქედმაღლური სიძულვილითა და ირონიული ღიმილით“[2] გამსჭვალული რეაქციონერები გაიძახოდნენ: „რა საჭიროა ლიტერატურა ავავსოთ გლეხებით?“ მათ თვალში მწერალი ხელოვანია, რომელიც, რასაც შეუკვეთენ, იმას აკეთებს“[3]. ხელოვნების ამგვარ გაგებას ბელინსკი ხელოსნობად და იდეურად ყოვლად მიუღებელ შეხედულებად მიიჩნევდა და აცხადებდა, რომ ჭეშმარიტი მწერალი არ უნდა იყოს ზედა კლასების მსახური, მათი დაკვეთის შემსრულებელი. „ხელოვნება, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვს, რომ მწერალი თავისი ბუნების, თავისი ნიჭის, თავისი ფანტაზიის ერთგული იყოს“... თხზულების საგნების არჩევის მხრივ მწერალი არ შეიძლება ხელმძღვანელობდეს არც მისთვის უცხო ნება-სურვილით, არც საკუთარი თვითნებობით, ვინაიდან ხელოვნებას თავისი კა-

---

[1] ბ. ბელინსკი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, გვ. 654.
[2] იქვე, 656.
[3] იქვე, 657.

ნონები აქვს და, თუ მათ პატივს არა სცემ, შეუძლებელია კარგად წერო“[1].

როდესაც რეაქციონერები გააფთრებით თავს ესხმოდნენ „ნატურალური“, ე. ი. რეალისტური ლიტერატურისა და ხელოვნების დამცველებს იმის გამო, რომ მათ „ლიტერატურა აავსეს გლეხებით“, ბელინსკიმ ჩვეული შეუპოვრობით ამხილა ისინი და აღნიშნა: „ბუნება ხელოვნების მარადიული ნიმუშია, ხოლო უდიადესი და უკეთილშობილესი საგანი ბუნებაში ადამიანია. და განა გლეხი ადამიანი არ არის? — მაგრამ რა შეიძლება იყოს საინტერესო ტლანქ, გაუნათლებელ ადამიანში? — მისი სული, გონება, გული, ვნებები, მიდრეკილებანი, ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რაც განათლებულ ადამიანშია“[2]. დიდი კრიტიკოსი რეაქციონერებთან მწვავე ბრძოლაში სამართლიანად ამტკიცებდა, რომ მაღალი წრის ქარაფშუტა ადამიანებთან შედარებით გლეხი სრულიადაც არ არის ნაკლები, მაგალითად, ჭკუით, გრძნობით, ხასიათით[3]. სწორედ დაჩაგრული გლეხობა უნდა გვიყვარდეს, — აცხადებს ბელინსკი, — გვაინტერესებდეს „მისი დაცემის მიზეზის ღრმად გამორკვევა და მისი შებრალება, როგორც ადამიანისა, მაშინაც კი, როდესაც იგი თავის დაცემაში დიდად დამნაშავე აღმოჩნდება“[4].

კრიტიკოსმა გარკვეულად გამოხატა ის ღრმა და პროგრესული აზრი, რომ ნამდვილი მწერალი, ჭეშმარიტი ხელოვანი უნდა ემსახურებოდეს არა გაბატონებულ მჩაგვრელთა კლასებს, არამედ ხალხს, დაბეჩავებულ ადამიანებს, ჩაგრულ გლეხობას. იგი წერდა: ჭკუას, გრძნობას, ხასიათს ადამიანს ბუნება ანიჭებს და „თავისი ამ უძვირფასესი საბოძვრის მინიჭებისას ბუნება ბრმად მოქმედებს, წოდებათა განურჩევლად“... და „თუ საზოგადოების განათლებული კლასებიდან მეტი შესანიშნავი ადამიანი გამოდის, ეს იმიტომ ხდება, რომ იქ განვითარების მეტი საშუალებაა, და სულაც არა იმიტომ, რომ ბუნება დაბალი კლასების ადამიანებისათვის თავისი საბოძვრის გაცემაში უფრო ძუნწი იყოს“[5].

დიდი მოაზროვნე ლიტერატურისა და ხელოვნების მაღალ დემოკრატიულ პრინციპებს ავითარებდა, როცა გლეხობის ინტერესებს იცავდა და ფართოდ უღებდა კარს ლიტერატურაში ჩაგრულთა დაბალ ფენებს, მათი ბეჩავი ცხოვრების დახატვას. გა-

---

1 ბ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, გვ. 657.
2 ი ქ ვ ე, გვ. 657-658.
3 ი ქ ვ ე, გვ. 658.
4 ი ქ ვ ე, გვ. 658-659.
5 ი ქ ვ ე, გვ. 658.

მოჩენილი კრიტიკოსი დიდად აფასებდა ხელოვნებაში გენიოსთა როლს, ხასიათსა და უდიდეს მნიშვნელობას ხალხის აზროვნებისა და კულტურის განვითარების საქმეში, ხალხში არსებულ შეუცნობელ მისწრაფებათა და შესაძლებლობათა დანახვისა და განვითარების სინამდვილედ წარმოსახვაში. იგი წერდა: „რაც ხალხში შეუცნობლად ცოცხლობს როგორც შესაძლებლობა, ის გენიაში წარმოდგენილია, როგორც განხორციელება, როგორც სინამდვილე".[1] ბელინსკის აზრით გენიოსი ხელოვანი, დიდი ადამიანები „უპირატესად თავისი ქვეყნის შვილები არიან".[2] ისინი ხალხის, სინამდვილისა და გარკვეული გარემოს შვილებია, რომელნიც თავის შთაგონებასა და საზრდოს ხალხისაგან იღებენ: „რაც უფრო მაღლა დგას გენიოსი, — წერდა ბელინსკი, — მით უფრო მეტად არის ის თავისი საუკუნის შვილი და თავისი სამყაროს მოქალაქე".[3] დიდი ადამიანი, გენიოსი ხალხის სიბრძნის გამომხატველია, მისი მოწინავე აზრის მფლობელია; ამიტომ იგი წარმოშობით ნაციონალურია და გავლენას ახდენს თავისი ხალხის ბედზე და სწორედ ეს არის მისი ძალა, სიდიადე და უკვდავება: „დიდი ადამიანი, — მიუთითებდა ბელინსკი, — მუდამ ნაციონალურია ისე, როგორც მისი ხალხი, რადგან ის დიდია სწორედ იმიტომ, რომ თავის ხალხს წარმოადგენს... და... გავლენას ახდენს თავისი სამშობლოს ბედზე".[4]

გენიოსი „ცხოვრების განახლების მაუწყებელია. მისი დანიშნულებაა შემოიტანოს ცხოვრებაში ახალი ელემენტები და ამით წინ წასწიოს, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანოს იგი". ბელინსკის სწამდა, რომ გენიოსის გამოჩენა ეპოქაა ხალხის ცხოვრებაში. „გენიოსს წარმოშობს სალხი, რის გამოც გენიოსი უკვდავია. მისი ძლიერების ფუძე ხალხია. ამიტომ იგი სიკვდილის შემდეგაც დიდხანს აღბეჭდავს ისტორიის გზაზე თავისი არსებობის ღრმა კვალს"[5]. ამრიგად, დიდი კრიტიკოსი მრავალჯერ მიუთითებს, რომ ხალხია გენიოსების მასაზრდოებელი, მისი წარმომშობი, მისი სასიცოცხლო ნიადაგი. „ხალსი — წერდა ბელინსკი,—ისეთ დამოკიდებულებაშია თავის დიდ ადამიანებთან, როგორც ნიადაგი მცენარეებთან, რომელთაც ის წარმოშობს"[6]. და ამდენად, ყოველი ჭეშმარიტი ხელოვანი ხალხური და ნაციო-

---

1 ბ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, გვ. 607.
2 ი ქ ვ ე, გვ. 606.
3 ბ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი. რჩეული თხზულებანი, ტ. I, გვ. 99.
4 ბ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, გვ. 606.
5 ი ქ ვ ე, გვ. 499-500.
6 ი ქ ვ ე, გვ. 607.

ნალურია.[1] ბელინსკის აზრით, „პოეზია არის მსოფლიოს სიცოცხლის მაჯისცემა, მისი სისხლი, მისი ცეცხლი, მისი მზე და სინათლე", ხოლო პოეტი, ნამდვილი ხელოვანი არ შეიძლება არ აისახოს თავის ნაწარმოებში, როგორც ადამიანი, როგორც ხასიათი, როგორც ნატურა, — ერთი სიტყვით, როგორც პიროვნება[2]. დიდი მოაზროვნე ყოველთვის იცავდა გარკვეულ შეხედულებას პოეტის პიროვნებაზე, როგორც ადამიანზე, მოქალაქესა და თავისი დროის შვილზე. მას მწერალი, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებაში მცხოვრებ, მის ფერსულში ჩაბმულ ადამიანად მიაჩნია და არა განცალკევებულ, გარემოსა და საზოგადოების გავლენის გარეშე მყოფ, იზოლირებულ ადამიანად. იგი წერდა: „პოეტის პიროვნება არ არის რაღაც აუცილებელი, განცალკევებულად მდგომი, ყოველგვარი გარეგანი გავლენის გარეშე მყოფი რამ. პოეტი, უწინარეს ყოვლისა, ადამიანია, — შემდეგ თავისი ქვეყნის მოქალაქე, თავისი დროების შვილი. ხალხის და დროების სულისკვეთება არ შეიძლება მასზე ნაკლებად მოქმედებდეს, ვიდრე სხვებზე"[3]. აღნიშნული პრობლემა იმიტომაც აინტერესებს დიდ კრიტიკოსს, რომ იგი დაკავშირებულია პოეტის საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულ ინტერესებთან, ცხოვრების სინამდვილის გარკვეული ფუნქციითა და იდეურობით წარმოსახვის პრობლემასთან. პოეტმა რომ სიმართლით, შთამბეჭდავად და ოსტატობით გამოხატოს საზოგადოებრივი სინამდვილე, იგი ამ საზოგადოებრივ ცხოვრებასა და მის ისტორიულ ფესვებს კარგად უნდა იცნობდეს და ითვალისწინებდეს მომავალს. იგი, როგორც ხალხის ინტერესების დამცველი, შთაგონებული უნდა იყოს ხალხურობით, ხალხის იდეალებით, რომელიც წარმოიქმნება და ვითარდება „ხალხისა და დროების" გავლენით. ამგვარი კონცეფციიდან გამომდინარე, ბელინსკი აცხადებდა: ძლიერად მოქმედებს პოეზიაზე საზოგადოებათა ისტორიული მოძრაობა; ჭეშმარიტი პოეზია მისი ეპოქის ნაწარმოებია. დიდი მოაზროვნე კრიტიკის მიერ პოეზიის შესწავლის აუცილებელ პირობად თვლიდა ყურადღება მიექცეოდა „იმ ადგილსა და დროს, სადაც და როდესაც პოეტი წერდა, იმ გარემოებებს, რამაც იგი პოეტური სარბიელისათვის მოამზადა და მის პოეტურ მოღვაწეობაზე გავლენა იქონია"[4]. ბელინსკი გმობს პოეტის მიერ მომაკვდავ. სასიკვდილოდ, ეფე-

---

[1] Белинский, Сбор. соч., под редакцией С. А. Венгерова, т. VI, стр. 305.

[2] ბ. ბელინსკი, რჩეული თხზულებანი, ტ. II. გვ. 663.

[3] იქვე, გვ. 664.

[4] იქვე.

მერული არსებობისათვის განწირული კლასის პარტიებისა და სექტის სამსახურს და ხელოვნებისაგან მოითხოვს, „მთელი საზოგადოების იდუმალი ფიქრისა, მისი მისწრაფებებისა“ და იდეალების განსასიერებას. სხვანაირად რომ ვთქვათ, განაგრძობს კრიტიკოსი, „პოეტი უნდა გამოსატავდეს არა კერძოსა და შემთხვევითს, არამედ საერთოსა და აუცილებელს, რომელიც კოლორიტსა და აზრს აძლევს მთელ მის ეპოქას“[1]. ბელინსკი აღიარებდა, რომ თანადროული მოწინავე ხელოვნება და ლიტერატურა გამოხატავდა საზოგადოებრივ პრობლემებს, ხოლო ეს უკანასკნელი „ყველასათვის პირველხარისხოვანი ინტერესის საგნად იქცა, ყველა სხვა საკითხს სათავეში მოექცა“[2]. მაგრამ ამ გარემოებას მოჰყვა ზოგიერთი უარყოფითი მოვლენაც. ზოგი ნანარმოები მხატვრულად დაბალი ხარისხისაა: „სუსტი, გაჭიანურებული, მოდუნებული და მოსაწყენი“.[3] დიდი კრიტიკოსის აზრით, აღნიშნული ნაკლოვანება სრულიადაც არ აიხსნება ლიტერატურის მიერ საზოგადოებრივი საკითხებით ფართო დაინტერესებით, არამედ ზოგიერთი პოეტის დაბალი ნიჭით. „ყოველივე ეს, — წერდა ბელინსკი, — გამომდინარეობს სულაც არა თანამედროვე საკითხების გავლენისაგან, არამედ იმის შედეგია, რომ პოეტს აკლია ნიჭი, რომელიც ყოფნის მხოლოდ წვრილმანებისათვის და არასოდეს—მთელი ნაწარმოებისათვის“. კრიტიკოსი სამართლიანად აღიარებს, რომ სხვა თვისებებთან ერთად, პოეტს უნდა ჰქონდეს ჭკუა-გონება, ნიჭი, ტალანტი, ინსტინქტი, და პოეტური ფანტაზია. „განა ხელოვნებისათვის არ არის საჭირო ჭკუა-გონება?“ კითხულობდა იგი და ამასთანავე დასძენდა: „უნიჭო ადამიანი ვერასოდეს სწორად ვერ გამოხატავს... ვერასოდეს ვერ წარმოგვიდგენს“ საგნის „სწორ სურათს“[4]. ჭეშმარიტება ის არის, — წერდა ბელინსკი, — რომ ხელოვნებაში ყველაზე ქმედითსა და უპირველეს როლს ფანტაზია ასრულებს“. მაგრამ დიდი მოაზროვნე არ იზიარებდა გადაჭარბებული ფანტაზიის დომინირებულ როლს ხელოვნებაში და მიუთითებდა: „შექსპირის ქმნილებებში არ იცი რა უფრო გაკვირვებს — შემოქმედებითი ფანტაზიის სიმდიდრე თუ ყოვლისმომცველი გონების სიმდიდრე“[5].

პ. ბელინსკიმ უდიდესი პრინციპული ბრძოლა გააჩაღა თეორიების — „წმინდა ხელოვნების“, „ხელოვნება ხელოვნებისათ-

---

1 პ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი, რჩეული თხზულებანი, ტ. II. გვ. 664.
2 ი ქ ვ ე, გვ. 665.
3 ი ქ ვ ე.
4 ი ქ ვ ე, გვ. 662.
5 ი ქ ვ ე, გვ. 663.

ვის“ წინააღმდეგ. კრიტიკოსმა დაგმო „წმინდა ხელოვნების“ იდეალისტური, რეაქციული თეორია, მისი ყალბი ესთეტიკური პრინციპები. აღნიშნული მიმართულება ქადაგებდა შინაარსისაგან დაცლილ უმიზნო, უიდეო, უაზრო ხელოვნებას, რომელიც, ბელინსკის განმარტებით, „თვით არის მიზანი და თავის გარეშე არავითარ მიზანს არ ცნობს“[1]. და აღიარებს ხელოვნებაში ოდენ ფორმის, მშვენიერების თვითმიზანს. „რა არის წმინდა ხელოვნება?“ სვამს კითხვას ბელინსკი და უპასუხებს: „ეს კარგად არც მისმა დამცველებმა იციან; ამიტომაც არის, რომ მათ იგი რაღაც იდეალად წარმოუდგენიათ, ფაქტობრივად კი არ არსებობს“[2]. და არსებითად ის „ცუდი უკიდურესობაა მეორე ცუდი უკიდურესობისა, ესე იგი დიდაქტიკური, ცივი, მშრალი, მკვდარი ხელოვნებისა“[3].

დიდი კრიტიკოსი უარყოფდა „აბსოლუტურ ხელოვნებას“ და სავსებით სამართლიანად ამტკიცებდა: „აზრი რაღაც წმინდა, განყენებულ ხელოვნებაზე, რომელიც თავის საკუთარ სფეროში ცოცხლობს და ცხოვრების სხვა მხარეებთან საერთო არაფერი აქვს, განყენებული, მეოცნებე აზრია. ასეთი ხელოვნება არასდროს და არსად არ ყოფილა“[4]. ბელინსკი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა და სასტიკად გმობდა „წმინდა ხელოვნებას“ და მრავალგზის აცხადებდა: „ჩვენ ვთქვით, რომ წმინდა, განყენებული უთუო, ანუ როგორც ფილოსოფოსები იტყვიან, აბსოლუტური ხელოვნება არასოდეს და არსად არ ყოფილა“[5]. დიდი კრიტიკოსი სავსებით სამართლიანად უარყოფდა ისეთ ხელოვნებას, რომელსაც ცხოვრებასთან არაფერი აქვს საერთო, ხელოვნებას, რომელიც თვითმიზნურია და მოწყვეტილია საზოგადოებას, ხალხს, არ ასრულებს დიდ მოქალაქეობრივ დანიშნულებას, პოლიტიკურ და სოციალურ ფუნქციას, შორსაა ხალხის, მშრომელთა ინტერესებისაგან, ცხოვრობს საზოგადოებისაგან განდგომილად და განყენებულად. ბელინსკის აზრით, ასეთი უაზრო, უშინაარსო და უმიზნო ხელოვნება არ არსებობს, იგი ფიქციაა, მიუღებელია. „აბსოლუტური ხელოვნების“ წინააღმდეგ გაჟღენთილ ბრძოლებში ბელინსკიმ გააცამტვერა „წმინდა ხელოვნების“ თეორია, მისი მცდარი კონცეფცია და საფუძველი ჩაუყარა ახალ მატერიალისტურ ესთეტიკას, განავითარა ხელოვნების რეალისტური თეორია, მისი უტილიტარული პრინციპები. ბელინსკი

---

1 ბ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, გვ. 660.

2 იქვე.

3 იქვე.

4 იქვე, გვ. 663.

5 იქვე, გვ. 666.

გენიალურად ასაბუთებდა, რომ ხელოვნება და ლიტერატურა ხალხის, მშრომელი გლეხობის, მოწინავე კაცობრიობის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. იგი გარემოს მღელვარე ცხოვრების ცენტრში უნდა იდგეს, „იყოს სინამდვილის სარკედ“ და ასახავდეს რეალურ ცხოვრებას, ყოველივე ცოცხალს, ნამდვილს, თანამედროვეს. „წმინდა ხელოვნება კი, როგორც თვითმიზნური, უიდეო და მხოლოდ ფორმით გატაცებული ხელოვნება, „შთაგონებას ეძებს დრომოჭმულ წარსულში, იქიდან იღებს მზამზარეულ იდეალებს, რომლებზედაც ადამიანებმა უკვე დიდი ხანია გული აიცრუეს, რომლებიც უკვე აღარავის აინტერესებს, არავის ათბობს, არავის ცხოველ თანაგრძნობას არ იწვევს“.[1]

ნამდვილი ხელოვნება ყოველთვის შორს იყო ეგრეთწოდებული წმინდა ხელოვნების იდეალებისაგან და „სწორედ ეს შეადგენს კიდეც მის ძალას. საკუთრივ მხატვრულ ინტერესს არ შეეძლო ადგილი არ დაეთმო კაცობრიობისათვის უფრო მნიშვნელოვანი სხვა ინტერესებისათვის, და ხელოვნება კეთილშობილურად შეუდგა ამ ინტერესების სამსახურს, როგორც მათი ორგანო. მაგრამ ამით ის ოდნავადაც არ შეცვლილა და კვლავ ხელოვნებად დარჩა, მხოლოდ ახალი ხასიათი მიიღო. ხელოვნება საზოგადოების ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს, მას უნდა ახასიათებდეს „ცხოველმყოფელი ძალა, ესე იგი, აზრი“. უამისოდ ნამდვილი ხელოვნება წარმოუდგენელია. „ხელოვნებისათვის საზოგადოებრივი ინტერესებისადმი უფლების წართმევა, — წერდა ბელინსკი, — ნიშნავს არა მის ამაღლებას, არამედ მის დამცირებას, იმიტომ რომ ეს ნიშნავს წაართვა მას ყველაზე ცხოველი ძალა, ესე იგი აზრი, აქციო რაღაც სიბარიტული განცხრომის საგნად, უსაქმო მცონარეთა სათამაშოდ“[2].

ამრიგად, ბელინსკიმ დაგმო აბსოლუტური, თვითმიზნური, უაზრო და უიდეო „წმინდა ხელოვნების“ თეორია და ხელოვნების მთავარ დანიშნულებად სამართლიანად აღიარა მისი სახალხო, სოციალური, პოლიტიკური, მოქალაქეობრივი და საზოგადოებრივი ფუნქცია — აზრიანი და მაღალიდეური შინაარსი, ღარიბ-ღატაკთა აუტანელი ცხოვრების ასახვა, მათი ინტერესებისათვის ბრძოლა, ცარიზმისა და ბატონყმური მონობის მკაცრი, გაბედული მხილება, ტირანიის დამხობისათვის ბრძოლა.

კრიტიკული რეალიზმისა და ხელოვნების მატერიალისტურ-უტილიტარული ესთეტიკის მამამთავარი და უუძემდებელი ბ.

---

1 ბ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, გვ. 645.

2 იქვე, გვ. 671.

ბელინსკი მტკიცედ მოითხოვდა ხელოვნებისა და ლიტერატურის ღრმა იდეურობისა და მაღალი ოსტატობის აუცილებლობას. მას წარმოუდგენლად მიაჩნდა ხელოვნება მაღალმხატვრული ფორმის გარეშე. იგი წერდა: „სრულიად უეჭველია, ხელოვნება, უწინარეს ყოვლისა, ხელოვნება უნდა იყოს, ხოლო შემდეგ ის უკვე შეიძლება იყოს გარკვეულ ეპოქაში საზოგადოების სულისკვეთებისა და მიმართულების გამოხატულება.“[1] დიდ რევოლუციონერ-დემოკრატს ნამდვილი ჭეშმარიტი ხელოვნების აუცილებელ და დამახასიათებელ თვისებად მიაჩნდა საზოგადოებრივი სულისკვეთების, ღრმა იდეების, მდიდარი აზრის რევოლუციური მიმართულების გამოხატვა. ამ უაღრესად მნიშვნელოვან თვისებებთან ერთად ბელინსკი აღიარებდა ხელოვნების მაღალმხატვრულ ფორმას — მშვენიერი აზრების მშვენიერი მხატვრული სახეებით წარმოსახვას. უამისოდ ხელოვნება შეუძლებელია ხელოვნებად დარჩეს: „რა მშვენიერი აზრებითაც, — წერდა ბელინსკი, — უნდა იყოს აღსავსე ლექსი, რა მძლავრადაც უნდა გაისმოდეს მასში თანამედროვე საკითხები, თუ მასში პოეზია არ არის, მასში არ შეიძლება იყოს არც მშვენიერი აზრები და არც არავითარი საკითხი, და მასში შეიძლება შევამჩნიოთ მხოლოდ ჩინებული განზრახვა, ისიც ცუდად შესრულებული“.[2]

ხელოვნება ფორმისა და შინაარსის ერთიანობაა. ხელოვნებისა და ლიტერატურის ჭეშმარიტი მხატვრულობა აზრისა და ფორმის მთლიანობა და სიმტკიცეა. „ფორმა ყოველთვის საუცხოოა, როცა შეთანხმებულია იდეასთან“[3].

მგზნებარე კრიტიკოსი მწერლობის ძირითად მასალას — ენას, მისი ექსპრესულ-ემოციური ძალით გამოყენებას, მის მდიდარ შესაძლებლობათა უხვად, სწორად და მოხდენილად მოხმარებას მჭიდროდ უკავშირებდა ლიტერატურული ნაწარმოების იდეას. „რაც შეეხება ენის სისწორეს, — წერდა ბელინსკი, — სინარნარეს, სიწმინდეს, სიცხადესა და მწყობრობას, ეს თვისებები მეტად დამოკიდებულია იდეაზე“[4].

ამრიგად, კრიტიკოსმა ჩამოაყალიბა ხელოვნებაში ფორმისა და იდეის ერთიანობის პრინციპი, იდეის, შინაარსის პრიმატობის მინიჭებით და საბოლოოდ გააკეთა დასკვნა: „ახალი ხელოვნებისათვის დამახასიათებელია შინაარსის მნიშვნელობის უპირა-

---

[1] ბ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, გვ. 661.

[2] ი ქ ვ ე.

[3] ბ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი, რჩეული თხზულებანი, ტ. I, გვ. 142.

[4] ი ქ ვ ე.

ტესობა ფორმის მნიშვნელობაზე"[1]. ბელინსკი გადაჭრით მოითხოვდა მხატვრულ ნაწარმოებში სახეების, პერსონაჟთა ხასიათებისა და მოვლენების მაღალ ტიპურ, პოეტურ წარმოსახვას, რადგან ტიპურობა „ავტორის საგერბო ბეჭედია" და უამისოდ ხელოვნება ვერ შეასრულებს თავის მაღალ დანიშნულებას: „როცა რომანში ან მოთხრობაში, — წერდა ბელინსკი, — არ არის სახეები და პირები, არ არის ხასიათები, არ არის არაფერი ტიპური, — რა სწორად და ბეჯითადაც უნდა იყოს გადმოხატული ნატურიდან ყოველივე, რაც მასში მოთხრობილია, მკითხველი ვერავითარ ნატურალობას ვერ ნახავს, სწორად შენიშნულს, მარჯვედ შეგნებულს ვერაფერს შეამჩნევს", და, მაშასადამე, იგი ხელოვნებაც არ არის. უსიცოცხლო ასლები მუდამ უფერულია და არაფერს გამოხატავს, ნამდვილი ხელოვნების სურათები კი ცოცხალი და წარმტაცია, რადგან იგი — მოვლენათა მხატვრული წარმოსახვაა"[2].

დიდი მოაზროვნე სამართლიანად აკრიტიკებდა ისეთ მწერალს, რომელიც საზოგადოებრივი სინამდვილიდან, ნატურიდან მოვლენათა მხოლოდ ზუსტად გადმოღებით კმაყოფილდებოდა და ამით ამთავრებდა თავის პოეტურ დანიშნულებას. სურათის მარტოოდენ სიმართლით გადმოცემა, ისეთი პასაჟები, რომლებიც „უმად გადმოხატულნი არიან სინამდვილიდან, ვიდრე შექმნილი ფანტაზიით"[3] ხელოვნებად არ შეიძლება ჩაითვალოს. კარგად და სწორად გადმოცემული საგამომძიებლო საქმე, — წერს ბელინსკი, — რომელსაც რომანული ინტერესი აქვს, რომანი არ არის და მხოლოდ რომანის მასალაღ თუ გამოდგება, ესე იგი მწერალს რომანის დაწერის საბაბს თუ მისცემს[4]. ხელოვნებას თავისი კანონები აქვს და „ნატურიდან სწორად რომ გადმოიღო, — განაგრძობს ბელინსკი, — არ კმარა წერის ცოდნა, ესე იგი გადამწერის თუ მწერლის ხელოვნების ცოდნა"[5]. მწერალს უნდა შეეძლოს სინამდვილის მოვლენების „საკუთარ ფანტაზიაში" გატარება, პოეტური შემოქმედების ბრძმედში გადამუშავება. შთაბეროს მათ ახალი სიცოცხლე... პოეტი გონებით უნდა ჩასწვდეს საქმიან შინაგან არსს, გამოიცნოს ფარული სულიერი მიზეზები... ხელი ჩაჰკიდოს..: მოვლენათა ნრის

---

1 ვ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, გვ. 669.
2 იქვე, გვ. 678.
3 ბ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი, ტ. I, გვ. 140.
4 ბ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი, ტ. II, გვ. 661.
5 იქვე.

ცენტრს[1]. ხელოვანმა მოვლენები იმგვარად უნდა ასახოს, რომ მასში ჩანდეს საგნის არა მარტო გარეგანი მსგავსება, არამედ მთელი მისი სულიც... სინამდვილიდან სწორად გადმოღება მხოლოდ ტალანტს შეუძლია. საგნის სწორად აღწერა არ კმარა, საჭიროა მისი სწორი სურათის წარმოსახვა. უამისოდ აღწერილმა საგანმა შეიძლება „დიდი ცნობისმოყვარეობა აღძრას, მაგრამ არა სიამოვნება". ხოლო თუ პოეტს „ნიჭი არა აქვს და მაინც ხელი მოჰკიდა ასეთი მოვლენის დასატვას, ეს სურათი მუდამ მხოლოდ ზიზღს გამოიწვევს"[2].

ამრიგად, ბელინსკის გაგებით სინამდვილის მხოლოდ სწორად გადმოღება არ კმარა, ხელოვანმა მას უნდა შეურჩიოს დამახასიათებელი ცენტრი, რომელიც მოვლენებს ანიჭებს „რაღაც ერთიანის, სრულის, მთლიანის, თავის თავში ჩაკეტილის აზრს"[3]. გამოიცნოს მისი შინაგანი წამყვანი თვისებები, ჩასწვდეს მას და შთაბეროს ახალი სული, გაატაროს იგი საკუთარ პოეტურ ფანტაზიაში და მიანიჭოს ახალი პოეტური სიცოცხლე. ხელოვნებამ რეალური ცხოვრება სიმართლით უნდა წარმოსახოს მაღალმხატვრული ფორმით.

ბ. ბელინსკი, იბრძოდა რა რეალისტური ხელოვნებისა და მისი ღრმა იდეურობისათვის, როგორც აღვნიშნეთ, ამავე დროს, იბრძოდა მაღალმხატვრული ხელოვნებისათვის. მიუღებლად მიაჩნდა უსულგულოდ, ზერელედ დამუშავებული ნაწარმოები, მხატვრული თვალსაზრისით მდარე, ემოციურობას მოკლებული, მოუმწიფებელი, შემთხვევით, ნაუცბათევად შექმნილი ნაწარმოებები, რომლებიც მთელი სიღრმით არ იქნებიან გატარებული პოეტის გონებაში, გულში, ფანტაზიაში, განცდებსა და გრძნობებში; არ იქნებიან სათანადოდ შეგნებული და გააზრებული, „არ არიან სულში ნატარებნი, არ არიან შობილნი, არამედ გამოგდებულია, როგორც უდღეური ბავშვი, ვადაზე ადრე"[4], რომელიც არ არის პოეტის გრძნობით, სისხლითა და გულით ნასაზრდოები: „ამოკითხული ან გაგონილი იდეა, რომელიც თითქმის სათანადოდ გაგებულიც გაქვთ, მაგრამ საკუთარ ნატურაში არ გაგიტარებიათ, რომელსაც თქვენი პიროვნების ბეჭედი არ აზის, — მკვდარი კაპიტალია არა მარტო პოეტური, არამედ ყოველგვარი ლიტერატურული მოღვაწეობისთვისაც"[5]. ღრმა აზრის გარეშე წარმოქმნილი, შეუსისხლხორცებელი, უგუ-

---

1 ბ. ბელინსკი, ტ. II, გვ. 661.

2 იქვე, გვ. 662.

3 იქვე, გვ. 661.

4 ბ. ბელინსკი, რჩეული თხზულებანი, ტ. I, გვ. 149.

5 ბ. ბელინსკი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, გვ. 678.

ლოდ, უგრძნობოდ და უნიჭოდ დაწერილი თხზულება, ან გადმოცემული იდეა და მიმართულება, ბელინსკის რწმენით, ხელოვნება არ არის. „მიმართულება, — წერდა ბელინსკი, — მწერალს არა მარტო თავში უნდა ჰქონდეს, არმედ, უწინარეს ყოვლისა, გულში, სისხლში, ის, უწინარეს ყოვლისა, გრძნობა, ინსტინქტი უნდა იყოს და შემდეგ უკვე შეგნებული აზრიც“[1].

ამრიგად, პოეტურ ქურაში, მწერლის აზრსა, სისხლსა და გულში გაუტარებელი, უნიჭოდ გადმოცემული იდეა ბელინსკის ლიტერატურულ მოვლენად არ მიაჩნია. იგი (ასეთი ლიტერატურა — პ. კ.) მისი აზრით, რიტორიკული ხასიათის იქნება და არა ხელოვნება: „როგორც უნდა გადმოიღოთ ნატურიდან, როგორც უნდა შეაზავოთ თქვენი ასლები მზამზარეული იდეებითა და კეთილგანზრახული „ტენდენციებით“, თუ პოეტური ტალანტი არ გაქვთ, თქვენი ასლები ვერავის მოაგონებს მათს ორიგინალებს, ხოლო იდეები და მიმართულებანი გადაღეჭილ რიტორიკულ აზრებად დარჩებიან“[2]. როგორც ითქვა, დიდი კრიტიკოსი უაზრო, უიდეო, უმწიფარი, განყენებული, ცხოვრებისაგან მოწყვეტილი, თვითმიზნური და მხოლოდ მიმბაძველობითი ლიტერატურის უარყოფით უდიდესი მგზნებარებით იცავს ახალი, რეალისტური სკოლის ლიტერატურას, რომლის განსაკუთრებული ხასიათი მდგომარეობს „უფრო და უფრო მჭიდრო დაახლოებაში ცხოვრებასთან, სინამდვილესთან... დავაჟკაცებასთან“[3], და არა სინამდვილის, ცხოვრების მოვლენებისაგან განდგომაში, სინამდვილის ნებსით თუ უნებლიეთ დამახინჯებაში, ცხოვრების ყალბ გაიდეალებაში. ნატურალური სკოლა, ბელინსკის თქმით, „ჭეშმარიტი და ნამდვილი გზით წავიდა“. მან შთაგონებისა და იდეალების „დამოუკიდებელ წყაროებს მიმართა“, თვითმყოფი ნაციონალური რუსული ლიტერატურის შექმნით აშკარად თავისუფლდება „ყოველგვარ უცხო და გარეშე გავლენისაგან“[4]. რეალისტური ლიტერატურა, მგზნებარე კრიტიკოსის აზრით, წინ მიდის, ამსხვრევს მოვლენათა რიტორიკული წარმოდგენის მიუღებელ ტრადიციას, იგი დიდი, ახალი მისწრაფების ფართო გზით მიედინება. მან უკვე მოიპოვა თავისი ნამდვილი გზა და მტკიცე ნაბიჯებით მიემართება ამ გზით. ბელინსკი სავსებით იზიარებს „სოვრემენიკის“ რედაქტორის მიერ „ნატურალური სკოლის“ შესახებ გამოთქმულ აზრს, რომ „იგი („ნატურალური სკოლა“ — პ. კ.) განსაზღვრული სახის მოვლენაა; მასში არის

---

1 ბ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, გვ. 672-673.
2 ი ქ ვ ე, გვ. 673.
3 ი ქ ვ ე, გვ. 575.
4 ი ქ ვ ე.

საკუთარი თავის დამოუკიდებლობისა და თავისი მნიშვნელობის შეგნება, იგი უკვე ძალაა, სწორად ორგანიზებული, მოქმედი ძალა, რომელიც ცოცხალი ყლორტებით გადახლართულია სხვადასხვა საზოგადოებრივ საჭიროებებსა და ინტერესებთან".[1] დიდი რევოლუციონერ-დემოკრატის ნეკრასოვის შეხედულებას აფართოებს და მიუთითებს, რომ ნატურალური სკოლა სინამდვილის, რეალობისა და ჭეშმარიტებისადმი ერთგულების პრინციპით უარყოფით დამოკიდებულებაშია უსაფუძვლო „ფანტაზიისა და მოჩვენებისადმი".[2] საინტერესოა ხელოვნებისა და მეცნიერების ბელინსკისეული განმარტება. კრიტიკოსის აზრით, ხელოვნება და მეცნიერება ერთი და იგივე არ არის. მათ შორის გარკვეული განსხვავებაა. ორივე მათგანი შინაარსით, დასამუშავებელი საკითხებით ან მოვლენებით, ესე იგი განსახილველი ობიექტის მიხედვით ერთნაირია და მათში ამ მხრივ განსხვავება არ არის, მათ შორის განსხვავება მასალის დამუშავების ხერხსა, ხასიათსა და საშუალებებშია. ზოგიერთები „ხედავენ, რომ, წერდა ბელინსკი, ხელოვნება და მეცნიერება ერთი და იგივე არ არის, მაგრამ ვერ ხედავენ, რომ ისინი განსხვავდებიან სრულებითაც არა შინაარსით, არამედ მხოლოდ მოცემული შინაარსის დამუშავების ხერხით".[3] იბადება კითხვა: რა არის ეს დამუშავების ხერხი? — ბელინსკი განმარტავს: ფილოსოფოსი სილოგიზმებით მეტყველებს, პოეტი სახეებითა და სურათებით, ხოლო ორივენი ერთსა და იმავეს ლაპარაკობენ. პოლიტეკონომიის სტატისტიკური ციფრებით შეიარაღებული მკვლევარი „მსმენელთა გონებაზე მოქმედებს და ამტკიცებს. რომ ამა თუ იმ კლასის მდგომარეობა საზოგადოებაში ბევრად გაუმჯობესდა ან ბევრად გაუარესდა ამა თუ იმ მიზეზთა შედეგად. პოეტი, სინამდვილის ცხოველი და მკაფიო გამოხატულებით შეიარაღებული, თავისი მკითხველების ფანტაზიაზე მოქმედებს და სწორი სურათით ა ჩ ვ ე ნ ე ბ ს, რომ ამა თუ იმ კლასის მდგომარეობა საზოგადოებაში მართლაც ბევრად გაუმჯობესდა ან გაუარესდა ამა თუ იმ მიზეზთა შედეგად. ერთი ამტკიცებს, მეორე ა ჩ ვ ე ნ ე ბ ს, და ორივე ა რ წ მ უ ნ ე ბ ს, ოღონდ ერთი ლოგიკური საბუთებით, მეორე კი — სურათებით"[4].

ბელინსკის აზრით, ხელოვნების მოქმედებისა და გავლენის არე უფრო ვრცელია. იგი თავისი სპეციფიკის გამო მრავალთათვის საინტერესო და უფრო გასაგებია. მეცნიერებას კი ყვე-

---

1 ბ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, გვ. 675-676.

2 ი ქ ვ ე, გვ. 676.

3 ი ქ ვ ე, გვ. 671.

4 ი ქ ვ ე, გვ. 671-672.

ლა ვერ გაიგებს, მისი გავრცელების არე უფრო ვიწროა, მას „მცირეოდენი ადამიანები უსმენენ და გაუგებენ, ხელოვნებას კი — ყველანი“[1].

საზოგადოებრივი ინტერესების კეთილდღეობისათვის ორივე ეს მოვლენა აუცილებელია, ორივე უნდა მოქმედებდეს და არსებობდეს ერთმანეთის შეუცვლელად „მეცნიერებაც და ხელოვნებაც თანაბრად საჭიროა და არც მეცნიერებას შეუძლია ხელოვნების შეცვლა და არც ხელოვნებას — მეცნიერებისა“[2] — დასძენს ბელინსკი. დიდი მოაზროვნე შეეხო რომანისა და მოთხრობის მნიშვნელობის პრობლემას. რომანი და მოთხრობა ბელინსკის აზრით ხელოვნების „უმაღლესი შემოქმედების უკიდურესი ზღვრის“ ჟანრებია. იგი ლიტერატურის „უფართოესი, ყოვლისშემცველი გვარია“, რომანსა და მოთხრობაში მწერლის ნიჭი, მისი ჩანაფიქრი და განვითარება „უსაზღვრო თავისუფლებას გრძნობს“[3]. ბელინსკის შეხედულებით აღნიშნულ ჟანრებში ყველაზე კარგ განხორციელებას პოულობს მწერლის მხატვრული გამონაგონის შეხამება სინამდვილის გადმოცემასთან: „მათში უკეთესად, უფრო მარჯვედ, ვიდრე პოეზიის რომელიმე სხვა გვარში, შეთხზული შეერწყმის სინამდვილეს, მხატვრული გამოგონება შეხამებულია მარტივ გადმოღებასთან ნატურიდან[4]. რომანსა და მოთხრობებს, როგორც ლიტერატურის მნიშვნელოვან ჟანრს, ბელინსკი იმიტომაც აძლევს მაღალ შეფასებას და თვლის უფართოეს, ყოვლისშემცველ ჟანრად, რომ მათში, სხვათა შორის, შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს პოეზიის სხვადასხვა ჟანრები და მხატვრული გამოსახვის ნაირსახოვანი შესაძლებლობანი: ლირიკა, დრამატიზმი, გადახვევა, მსჯელობა, დიდაქტიკა და სხვ. „მასში შეერთებულია ყველა სხვა გვარის პოეზია — ლირიკაც, როგორც ავტორის გრძნობათა გადმოშლა, მის მიერ აღწერილი მოვლენების გამო, დრამატიზმიც, როგორც ყველაზე მკაფიო და რელიეფური საშუალება მოცემულ ხასიათთა გამოსავლინებლად, გადახვევაც, მსჯელობაც, დიდაქტიკაც, რომლებიც პოეზიის სხვა გვარებში შეუწყნარებელია“[5]. რომანისა და მოთხრობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას კრიტიკოსი ხედავს იმაშიც, რომ აღნიშნული ჟანრები, თავიანთი სპეციფიკურობით არ ბოჭავენ მწერალს, მის ნიჭიერებას, გემოვნებასა და იდეურ

---

1 ბ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, გვ. 672.
2 ი ქ ვ ე.
3 ი ქ ვ ე, გვ. 677.
4 ი ქ ვ ე.
5 ი ქ ვ ე.

მისწრაფებას, არამედ იგი „სრულ გასაქანს აძლევს მწერალს, მისი ტალანტის, ხასიათის, გემოვნების, მიმართულებისა და სხვათა უპირატესი თვისების გამოსავლინებლად".[1]

ბ. ბელინსკი, როგორც აღვნიშნეთ, ჭეშმარიტი ხელოვნებისა და ლიტერატურისაგან მოითხოვდა სინამდვილის სიმართლით დახატვას. ამ დებულების შესაბამისად იგი წერდა: ჩვენ გვინდა „პოეზია რ ე ა ლ უ რ ი, ცხოვრების პოეზია სინამდვილისა და ჭეშმარიტი და ნამდვილი პოეზია ჩვენი დროისა. მისი განმასხვავებელი ხასიათი სინამდვილის სისწორეშია".[2] დიდი კრიტიკოსი, აღიარებდა ხელოვნებაში მხატვრულ გამონაგონს, მის სისადავესა და უბრალოებას, რაც მიაჩნდა მომწიფებული ნიჭის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებად. იგი წერდა: „ცხოვრების სავსებითი ჭეშმარიტება ბ-ნ გოგოლის მოთხრობებში მჭიდროდ უერთდება გამოგონების სისადავეს...[3] გამოგონების უბრალოება რეალურ პოეზიაში ერთ-ერთ უნამდვილეს ნიშან-თვისებათა ჭეშმარიტი და, ამასთანავე, დამწიფებული ნიჭისა"[4]. ბელინსკის აზრით, სინამდვილეში არსებული მასალა მწერლის ფანტაზიის გამონაგონით, მხატვრული სახეებით უნდა იყოს წარმოსახული, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ხელოვნებად ვერ დარჩება. როდესაც მწერალი შებოჭილია წყაროებით, ფაქტებით და ცდილობს ეს ფაქტობრივი მასალა სწორად გამოხატოს, აქ სწორად გადმოცემის ერუდიციასთან ერთად, „ფანტაზიაც არის საჭირო"[5]. ისტორიული ფაქტები, კრიტიკოსის აზრით, მხოლოდ „ქვა და აგურია", მასალაა მწერლის ჩანაფიქრისათვის და იგი არასოდეს თავისთავად, სწორად გადმოცემულიც კი, არ შეიძლება ხელოვნება იყოს: „მხოლოდ მხატვარს შეუძლია ამ მასალისაგან მოხდენილი შენობა აღმართოს"[6], პოეტური ხილვის მეშვეობით შექმნას ნაწარმოები. ბელინსკი ყოველთვის მიუთითებს, რომ სინამდვილის სიმართლით წარმოსახვის „ერთგულება პოეზიის პირველი მოთხოვნაა და პირველი ამოცანაა", ამასთანავე, მხატვრული გამონაგონის, პოეტური ნიჭის, ნატურის მსგავსი გამონაგონისა და მხატვრული გადმოცემის გარეშე შეუძლებელია ცოცხალი და წარმტაცი სახეებისა და თხზულების შექმნა. პოეტური ხილვის გარეშე ნატურიდან პირდაპირ გადმოღებული

---

1 ბ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, გვ. 677.
2 ბ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი, რჩეული თხზულებანი. ტ. I, გვ. 123.
3 ი ქ ვ ე, გვ. 155.
4 ი ქ ვ ე, გვ. 152.
5 ბ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, გვ. 678.
6 ი ქ ვ ე.

ასლები ყოველთვის „უფერულია და არაფერს გამოხატავს“[1]. ამდენად „ნაწარმოების ღირსების ხარისხი დამოკიდებულია მწერლის ნიჭის ხარისხზე“[2]. როგორც ითქვა, ბელინსკი ხელოვნებაში დიდად და საგანგებოდ აფასებდა ა ზ რ ს, ი დ ე ა ს, რომლითაც მწერალმა გავლენა უნდა მოახდინოს მკითხველის გონებაზე და წარმართოს იგი გარკვეული მიზნისაკენ, შეხედულებისაკენ: „პოეტის სურათებში აზრი უნდა იყოს, მის მიერ მოხდენილი შთაბეჭდილება მკითხველის გონებაზე უნდა მოქმედებდეს, ამა თუ იმ მიმართულებას უნდა აძლევდეს მის შეხედულებას ცხოვრების გარკვეულ მხარეებზე“[3]. დ. პ. ივანოვისადმი 1837 წელს მიწერილ წერილში ბელინსკი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა აზრს, თხზულების იდეურ მხარეს: „აზრი ანუ იდეა, მისი განურჩეველი, მსოფლიო მნიშვნელობით — აი, რა უნდა იყოს ადამიანის შესწავლის საგანი“. — წერდა იგი. იმავე წერილში ბელინსკი აღიარებს, რომ „აზრის გარეშე ყველაფერი მოჩვენებაა, ოცნებაა; მარტოოდენ აზრია არსებითი და რეალური“[4]. მართალია, ახალგაზრდა ბელინსკი აღნიშნულ პრობლემას თავისებური ფილოსოფიური ასპექტით უდგებოდა, მაგრამ ხელოვნებაში აზრის, იდეის პრიმატობის აღიარება დიდი კრიტიკოსის ესთეტიკური იდეალის ქვაკუთხედად დარჩა. შემდეგში ბელინსკი მრავალჯერ უბრუნდება ამ პრობლემას და ყოველთვის აღიარებს აზრისა და მხატვრულობის, პოეტური ასახვის ერთიანობის აუცილებლობას. გერცენის თხზულების „ვინ არის დამნაშავე“? განხილვისას მან მოიწონა თხზულებაში აზრის ჭკვიანურად და ტრაგიკული კოლიზიებით გადმოცემა, მაგრამ იქვე მიუთითა: თხზულებაში „სიყვარულის მთელი ისტორია მოთხრობილია ჭკვიანურად, ძალიან ჭკვიანურად, ოსტატურადაც კი, მაგრამ მოთხრობილია სრულიადაც არამხატვრულად. აქ ოსტატური ამბავია, მაგრამ ცოცხალი პოეტური სურათის ნატამალიც კი არ არის“[5].

დიდი რევოლუციონერ-დემოკრატი, აღიარებდა რა მწერლისათვის პოეტური ნიჭისა და შთაგონების აუცილებლობას, ამავე დროს, სასტიკად კიცხავდა ისეთ პოეტებს, რომლებიც დარწმუნებული იყვნენ, რომ პოეტად დაბადებულისათვის სწავლა და ცოდნა არაა საჭირო, რომ მათ თითქოს უსწავლელად, ღრმა ცოდნისა და განათლების გარეშე შეუძლიათ გახდნენ ჭეშმარი-

---

[1] ბ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, გვ. 678.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 679.
[3] ი ქ ვ ე.
[4] ი ქ ვ ე, გვ. 745.
[5] ი ქ ვ ე, გვ. 684.

ტი მწერლები. ამგვარი ყალბი აზრით დაჯერებული პოეტების მისამართით ბელინსკი წერდა: „მათი მთავარი შეცდომა ისაა, რომ პოეზიაში საჭიროა მხოლოდ ნიჭი და ზეშთაგონება, რომ ვინც პოეტად დაიბადა, მას არაფრის სწავლა და ცოდნა არ სჭირდებაო: ვისაც მართლაც დიდი ნიჭი აქვს, იგი თვით ნიჭის მეოხებით მალე მიხვდება ამ აზრის უაზრობას და ყველაფრის შესწავლას დაიწყებს, ყველაფერს ყურს დაუგდებს და დააკვირდება“.[1]

ამრიგად, ბელინსკი სავსებით სამართლიანად მიუთითებდა, რომ პოეტისათვის აუცილებელია მეცნიერებასთან ერთად იდეების, მიმართულებისა და თანამედროვე სინამდვილის ღრმა ცოდნა. იგი წერდა:

«Было время, когда все твердили о том, что поэту нужны только талант и вдохновение, что он учен без науки, всезнающ без учения; что он сам себе судья и закон... Такое воззрение на поэта господствовало у нас в эпоху так называемого романтизма блаженной памяти...

Теперь не то: все кричат о необходимости знания для поэта, об идеях, о направлении, о сочувствии к современной действительности»[2].

დიდმა მოაზროვნემ, თავისი კრიტიკულ-ლიტერატურული წერილებით საფუძველი ჩაუყარა ახალ, მანამდე უცნობ რეალისტურ კრიტიკას და უდიდესი სხივმოსილებით გაანათა და განავითარა სალიტერატურო კრიტიკა, მისი თეორიული და შემოქმედებით-პრაქტიკული ხასიათი, მისი სანიმუშო, წარმმართველი და ღრმად მეცნიერული შინაარსი. ბელინსკის ლიტერატურულ-კრიტიკულმა წერილებმა უდიდესი ზეგავლენა მოახდინეს ახალი რუსული მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაზე. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ხელოვნებაში კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრებით, ღრმა იდეურობითა და მაღალმხატვრული, თვითმყოფი ნაციონალური შინაარსით, დიადი პატრიოტიზმით, ხალხურობით, უშრეტი ოპტიმიზმითა და ჰუმანიზმით, რევოლუციურ-დემოკრატიული იდეალებით შთაგონებული მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნების დაფუძნებასა და სასწაულებრივ განვითარებაში. მისი ცხოველმყოფელი და უდიდესად ნაყოფიერი ზემოქმედება განიცადა იმპერიაში შემავალი ხალხების ხელოვნებამ, კერძოდ, ქართულმა მოწინავე ლიტერატურამ და ხელოვნებამ. უდიდესია მისი

---

1 ბ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, გვ. 701.

2 В. Г. Б е л и н с к и й. Полн. собр. соч., под ред. С. А. Венгерова, т. X, стр. 293.

დამსახურება მსოფლიო ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარებაშიც.

ბ. ბელინსკის კრიტიკულ-ლიტერატურული წერილები გამოირჩევა უდიდესი პრინციპულობით, საქმის ღრმა ცოდნით, უმდიდრესი შემოქმედებითი მგზნებარებით, იშვიათი მღელვარებით, საოცარი ვნებით, დიდი პატრიოტიზმით, არაჩვეულებრივად მდიდარი გრძნობებით, სიმტკიცითა და პირდაპირობით. მის აზრს ყველა ანგარიშს უწევდა, მისი მძაფრი კრიტიკული გამოსვლებით შეძრწუნებული ლიტერატურული მოწინააღმდეგენიც კი იძულებულნი იყვნენ ქედი მოეხარათ მისი ცეცხლოვანი მგზნებარების წინაშე.

ბელინსკი ბატონყმობისა და ცარიზმის წინააღმდეგ შეუდრეკელი, რევოლუციური ბრძოლის მედროშე იყო. იგი გამოხატავდა ტირანიის დამხობისადმი ხალხის მებრძოლ მისწრაფებას, ოპტიმიზმს, მის საუკეთესო ფიქრებსა და კეთილშობილურ იდეალებს, გმირულ პატრიოტულ შთაგონებას. „ბობოქარი ბესარიონი" თავდადებით იბრძოდა რევოლუციურ-დემოკრატიული იდეალების გავრცელების, მისი განვითარებისათვის, დაცვისა და განხორციელების მიზნით. მთელი თავისი სიცოცხლე მან შესწირა ხალხის საუკეთესო იდეალებისათვის ბრძოლას, ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის დამხობის დიდ საქმეს. მისი გენიალური „წერილი გოგოლს" ნათლად გამოსატავს ავტორის პოლიტიკურ პოზიციას, მის რევოლუციურ-რადიკალურ იდეას. აღნიშნულ წერილში ბელინსკი სასტიკად გმობს ადამიანთა მიერ ადამიანით ვაჭრობას, მშრომელი ხალხის ჩაგვრას მებატონეებისა და მეფის მიერ და „ყველაზე საჭირბოროტო, თანამედროვე ნაციონალურ"[1] პრობლემად მიაჩნდა „ბატონყმობის მოსპობა"[2], ცარიზმისა და რელიგიურ ცრურწმენათა და მათ მსახურთა დამხობა. იგი დიდი მამხილებლის ბასრი, ცეცხლოვანი ენით ააშკარავებდა ეკლესიას, როგორც მათრახის დასაყრდენსა და დესპოტიზმის მაამებელს, უთანასწორობის ქომაგს, არსებული უსამართლო წყობილების დამცველს, ადამიანთა შორის ძმობის მტერსა და მდევნელს.[3] მან ეკლესიის მსახური ხუცესი დაახასიათა, როგორც „გაუმაძღრობის, სიძუნწის, ქლესაობის, უნამუსობის წარმომადგენელი".[4] კრიტიკოსს ღრმად სწამდა, რომ რუსი ხალხი, მშრომელი გლეხობა რუს მწერლებში ხედავ-

---

1 ბ.ბ ე ლ ი ნ ს კ ი, რჩეული თხზულებანი, II, გვ. 736.

2 ი ქ ვ ე, გვ. 737.

3 ი ქ ვ ე.

4 ი ქ ვ ე, გვ. 738.

და თვითმპყრობელური, რელიგიური და ბატონყმური ჩაგვრისაგან სალხის გამოხსნის მსურველს, მის „ერთადერთ ბელადს“[1].

სალხი რუს მწერლებში, — წერდა ბელინსკი, — ხედავს თავის ერთადერთ ბელადს, რუსეთის თვითმპყრობელობისა, მართლმადიდებლობისა და ბატონყმობისაგან დამცველსა და მხსნელს... აი, რატომ არის ასე საპატიო ჩვენში მწერლის წოდება.. პოეტის ტიტულმა, ლიტერატურის წოდებამ ჩვენში უკვე დიდი ხანია დაჩრდილა ეპოლეტებისა და ფერად-ფერადი მუნდირების ზიზილ-პიპილები“[2].

ბ. ბელინსკის სწამდა, რომ „პოეტი მაღალი და წმინდა სიტყვაა: მასში უკვდავი სახელია მოქცეული“[3]. „ხოლო შემოქმედებითი უნარი დიდი მადლია ბუნებისა“[4]. პოეტური იდეალები „ციური საიდუმლოებანიაო“[5].

მგზნებარე კრიტიკოსი ჭეშმარიტ პოეტს მოუწოდებდა სამშობლოსა და კაცობრიობისათვის თავდადებული ბრძოლისაკენ, მოყვასის ჭეშმარიტებისა და სიკეთისათვის უმწიკვლო შრომისა და თავგანწირვისაკენ, და ამ გზით, მძიმე შრომით უკვდავებისა და მარადიულობის მოპოვებისაკენ. „იცოცხლე, — წერდა ბელინსკი, — სხვათა ბედნიერებისათვის, მსხვერპლად მიიტანე ყველაფერი მოყვასის, სამშობლოს სასიკეთოდ, კაცობრიობის სასარგებლოდ, გიყვარდეს ჭეშმარიტება და სიკეთე არა ჯილდოსათვის, არამედ ჭეშმარიტებისა და სიკეთისათვის“[6]. კრიტიკოსი პოეტს კაცობრიობის მამოძრავებლად, უდიდეს ძალად, დიადი შთაგონების წყაროდ, ჭეშმარიტებისა და ცოდნის მქადაგებლად თვლიდა და ავალებდა პირნათლად და გმირულად შეესრულებინა თავისი დიდი მოწოდება. „თუ შენი დაბადების დროს, — წერდა ბელინსკი, — ბუნებამ შუბლზე გენიოსის დაღი დაგასვა, წინასწარმეტყველის მისნური ენა და პოეტის ტკბილი ხმა მოგანიჭა, თუ სამყაროს მეუფე ბედმა კაცობრიობის მამოძრავებლად, ჭეშმარიტებისა და ცოდნის მოციქულად ყოფნა გარგუნა, აი, შენს წინაშე კვლავ ორი გარდუვალი გზაა: თანაუგრძნე ბუნებას, გიყვარდეს და შეისწავლე ის, შეჰქმენ უანგაროდ, იღვაწე უსასყიდლოდ, განაღე სულნი მოყვასთანი აღსაბეჭდად კეთილისა და ჭეშმარიტისა, ამხილე მანკიერება და უვიცობა, აიტანე დევნა ბოროტთაგან, სჭამე პური დანამული

---

1 ბ. ბელინსკი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, გვ. 741.

2 იქვე.

3 ბ. ბელინსკი, რჩეული თხზულებანი, ტ. I, გვ. 171.

4 იქვე, გვ. 146.

5 იქვე, გვ. 142.

6 იქვე, გვ. 16—17.

ცრემლებით, და არ მოაშორო ფიქრმორეულნი თვალნი მშვენიერ, მშობლიურ ზეცას შენსას".[1] თუ პოეტს ამგვარი გმირობა, თავდაღება, შეუპოვრობა, პრინციპულობა, უანგარო შრომა, და საერთოდ, მძიმე და ძნელი გზით სიარული არ შეუძლია, მოწამეობრივ, მაგრამ დიდების შარავანდედით მოსილ სიცოცხლეს ანგარებიან, მლიქვნელურ და წარმავალ, ყალბ და მოჩვენებით საქმეს ამჯობინებს, მაშინ ივაჭროს მან თავისი სიტყვით, ძლიერთა ამა ქვეყნის წინაშე მორჩილად დაჰხაროს „გვირგვინოსანი შუბლი... ოცივიწყოს „დიდება, უკვდავება, შთამომავლობა".[2]

ანიჭებდა რა ლიტერატურასა და ხელოვნებას უდიდეს მოქალაქეობრივ ფუნქციას, ბელინსკი მწერლობის დანიშნულებას ხედავდა ბატონყმობისა და ცარიზმის დასამხობად მასების მობილიზებაში. სწორედ ამით აისხნება ბელინსკის „ცეცხლოვანი მგზნებარება", შეტევითი უკომპრომისო, პრინციპული, ბობოქარი და რევოლუციური გმირული პათოსი, ჩისი ტიტანური მღელვარება და ვაჟკაცური შემართება. დიდი რევოლუციონერ-დემოკრატი საკუთარ სიცოცხლეზე მაღლა აყენებდა ხალხის კეთილი მომავლისათვის ბრძოლის ინტერესს. იგი გოგოლს წერდა: „ჩემი სიცოცხლის მოსპობა რომ მოგენდომებინათ, მაშინაც კი არ შემძულდებოდით იმაზე მეტად. როგორადაც ამ სამარცხვინო სტრიქონებისათვის"[3].

ბელინსკის „წერილი გოგოლს" ხელნაწერი სახით არალეგალურად ვრცელდებოდა მთელს იმპერიაში. ცარიზმი სასტიკად სდევნიდა მას. მისი გაცნობის, წაკითხვის, გადაწერისა და გავრცელებისათვის მრავალ ადამიანს, საზოგადო მოღვაწეს, მწერალსა და კრიტიკოსს მიესაჯა პატიმრობა და ციმბირს გადასახლება. მრავალთა შორის აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში გამოჩენილი მწერალი დოსტოევსკი ახალგაზრდობისას დაატუსაღეს, გაასამართლეს და კატორღაში გაგზავნეს ბელინსკის აღნიშნული წერილის წაკითხვის, მისი ასლის გადაღებისა და გავრცელებისათვის.

ვ. ი. ლენინის დახასიათებით „წერილი გოგოლს", რომელიც ბელინსკის ლიტერატურულ მოღვაწეობას აჯამებს, არაცენზურული დემოკრატიული ბეჭდვითი სიტყვის იმ საუკეთესო ნაწარმოებთაგანია, რომელთაც დღემდე უდიდესი ცხოველი მნიშვნელობა შეინარჩუნეს. „წერილი გოგოლს", როგორც რევოლუ-

---

[1] ბ. ბელინსკი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, გვ. 17—18.
[2] იქვე, გვ. 18.
[3] იქვე, გვ. 735.

ციურ-დემოკრატიული ლიტერატურული კრიტიკისა და პუბლიცისტიკის უბადლო შედევრს, დიდი ინტერესით კითხულობდა და სწავლობდა მთელი მოწინავე საზოგადოებრიობა, სტუდენტობა და მოსწავლე ახალგაზრდობა. „მას გატაცებით კითხულობდნენ პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები, ვისთვისაც ძვირფასი იყო ხალხის, სამშობლოს მომავლისა და სიმართლის ინტერესები, ვინც თავის მოწოდებად სახავდა თვითმპყრობელობის, ბატონყმობისა და რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლას".[1]

აღნიშნულ წერილში აღბეჭდილი აზრები და ბრძოლის პათოსი ვრცელდებოდა მშრომელთა მასებში, რომლებიც სამოციან წლებში აშკარად გამოდიოდნენ ბატონყმობის, რელიგიისა და ცარიზმის წინააღმდეგ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიდი მოაზროვნის შეხედულება ლიტერატურული კრიტიკის არსის, ხასიათისა და ფუნქციის შესახებ. ბელინსკის აზრით, კრიტიკა ვითარდება საზოგადოების განვითარებასთან ერთად. რაც უფრო და უფრო ვითარდება კრიტიკა და რამდენადაც იგი მეტად ეუფლება ფართო საზოგადოებას, მით უფრო თვალნათლივ ჩანს საზოგადოების გემოვნების განვითარება და განათლება. საზოგადოების გონებრივი განვითარება და შეგნება ხელს უწყობს კრიტიკის წინსვლასა და აღმავლობას. ლიტერატურული კრიტიკა საზოგადოების, ხალხის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს და არ იყოს ცხოვრებისაგან მოწყვეტილი, კრიტიკა „საზოგადოებრივი აზრის სამსჯავროს ექვემდებარება და არა მწიგნობრულ საქმოსნობას, რომელსაც ცხოვრებასთან კავშირი არა აქვს"[2] — წერდა ბელინსკი. ამ გაგებით ლიტერატურული კრიტიკა მებრძოლი პატრიოტული შთაგონებით უნდა ხასიათდებოდეს და ხელს უწყობდეს ჭეშმარიტი ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარებას. ცარიზმისა და ბატონყმობის მოსპობას. ბელინსკი ლიტერატურული კრიტიკის ერთ-ერთ ძირითად თვისებად აღიარებდა პრინციპულობას, შეუპოვრობას, ღრმაიდეურობასა და ცეცხლოვან, მებრძოლ პათოსს. ბელინსკის მთელი შემოქმედება აშკარად ღაღადებს, რომ კრიტიკა მიზანმსწრაფი, მართებული, ღრმამეცნიერული, ცხოვრების გამოცდილებით გამდიდრებული, ობიექტური უნდა იყოს, და, უპირველეს ყოვლისა, დატვირთული მო-

---

1 გ. ჯიბლაძე, ბელინსკის ლიტერატურული შეხედულებანი (იხ. ბ. ბელინსკი, რჩეული თხზულებანი, ტ. I, ქართულ ენაზე, გიორგი ჯიბლაძის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბილისი, 1952 წ., გვ. XXVI).

2 ბ. ბელინსკი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, გვ. 729.

წინავე მოქალაქეობრივი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფუნქციით. მგზნებარე კრიტიკოსი საჭიროდ თვლიდა, რომ ლიტერატურულ კრიტიკას ახასიათებდეს კარგი ტონი და თავაზიანობა. კრიტიკოსი სასტიკად გმობდა კრიტიკანობას, უპრინციპო ჩაციებას, განურჩევლად ყველას ლანძღვასა და ძაგებას, ყველასთან ჩხუბსა და ხმაურს, ლიტერატურული კრიტიკის პირადი ინტერესების მიზნით გამოყენებას, გაღიზიანებული თავმოყვარეობის გამოდევნებასა და სხვ. ასეთი კრიტიკა და ასეთი კრიტიკოსები ბელინსკის დიდ ბოროტებად მიაჩნდა. „მოიპოვებიან ადამიანები, წერდა იგი, რომლებისთვისაც თითქოს თვით ბუნებას დაუწესებია ყველას შეეხონ, ყველას ჩააცივდნენ, ყველა აძაგონ, განუწყვეტლივ იჩხუბონ, იხმაურონ და ილანძღონ". გარდა ბუნებრივი მიდრეკილებისა, რის დაძლევაც არაფრით არ შეიძლება, მათ საამისოდ აქეზებს „გაღიზიანებული თავმოყვარეობაც და წვრილმანი პირადი ინტერესებიც. ასეთ კრიტიკას ლიტერატურასთან საერთო არაფერი აქვს. ასეთი ადამიანები ყველგან გარდუვალი ბოროტებაა"[1], — აცხადებს იგი.

ჭეშმარიტ, საქმიან კრიტიკას გაღიზიანებული და შეშფოთებული ადამიანის ღაღი არ უნდა აჩნდეს. იგი სამართლიანი და მეცნიერული სიზუსტით, „სიმართლით და არა მონაჭორით"[2] უნდა ხასიათდებოდეს: „სხვისი შეხედულებების უარყოფა შეიძლება და საჭიროა, თუ თქვენ ისინი უმართებულოდ მიგაჩნიათ, მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს, ჯერ ერთი, თავის ადგილას, მეორე — თავაზიანობისადმი პატივისცემით". გამოცდილი და ცნობილი კრიტიკოსები ვალდებული არიან „ახალგაზრდა ლიტერატორებს დადებითი მაგალითი უჩვენონ და არა უარყოფითი"[3]. ბელინსკის ლიტერატურული კრიტიკა ჭეშმარიტი შემოქმედებითი კრიტიკის ნიმუშია.

ხელოვნების, ლიტერატურის, კრიტიკის, პუბლიცისტიკისა და ფილოსოფიის, ხალხის საუკეთესო იდეალების განხორციელების საქსასურში ჩაყენებას და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლას დაუქვემდებარა გენიოსმა მოაზროვნემ მთელი თავისი ბრწყინვალე შემოქმედება. იგი სიცოცხლის მთელ მანძილზე შეუპოვრად იბრძოდა ღრმად იდეური და მაღალმხატვრული რეალისტური ხელოვნებისათვის. დიდი კრიტიკოსი დაიწვა და დაიფერფლა რეაქციული, ყალბი, ანტისალხური, თვითმიზნური ხელოვნებისა და ლიტერატურის წინააღმდეგ შეუნელებელ ბრძოლაში. ბატონყმობის, რელიგიური ბანგისა და ცარიზმის

---

1 ბ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, გვ. 730.

2 ი ქ ვ ე, გვ. 731.

3 ი ქ ვ ე.

მოსპობისათვის გმირულ, რევოლუციურ მოწოდებაში, ქვეყნად თავისუფალი, ბედნიერი და ნათელი ცხოვრების დამყარებისათვის ბრძოლაში.

კრიტიკოსმა შემოქმედებითი შთაგონების მძიმე და რთული გზა განვლო. მის შეხედულებათა განვითარებაში ახლის ძიების მისწრაფება ჩქეფდა. იგი ბრძოლისა და შინაგანი წვის შედეგად მივიდა სოციალიზმის იდეასთან. ბელინსკის მსოფლმხედველობის ევოლუციის ამ გზას. სხვა მეცნიერებთან ერთად, საგანგებო ყურადღება მიაქცია აკად. გ. ჯიბლაძემ. იგი წერს: „ბესარიონ ბელინსკი არა მშვიდად, კაბინეტის წყნარი განწყობილებიდან, არამედ შეუპოვარი ბრძოლითა და უღრმესი რწმენით მივიდა სოციალიზმის იდეასთან. ეს ჩანს 1841 წლის 8 სექტემბერს ბოტკინისათვის გაგზავნილი მისივე წერილიდან, რომელშიაც ვკითხულობთ! „მე გაჭირვებითა და ტკივილით ვეთხოვები ძველ იდეას, სასტიკად უარვყოფ მას, ხოლო ახალ იდეაში პროზელიტის მთელი ფანატიზმით გადავდივარ ხოლმე, ამრიგად, ახალ-ახალ უკიდურესობაში ვარ — ეს არის ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს იდეა, რომელიც ჩემთვის გახდა იდეათა იდეა, ყოფიერების ყოფიერება, საკითხთა საკითხი, რწმენისა და ცოდნის ალფა და ომეგა. ყველაფერი მისგან გამომდინარეობს, მისთვის არსებობს და მას ელტვის. ის არის საკითხი და საკითხის გადაწყვეტა".[1] დაგმო რა ძველი, მცდარი ფილოსოფიური, ესთეტიკური და სოციალური შეხედულებანი და მთელი გულმოდგინებითა და ღრმა რწმენით მივიდა სოციალიზმის იდეასთან, ბელინსკიმ ნათლად და გარკვევით შეიგრძნო ქვეყნად არსებული უკუღმართობა, ბატონყმობისა და ცარიზმის მიერ ხალხის უმაგალითო ტანჯვა, დაბეჩავება, ველური წამება, შიმშილი, სიტიტვლე, მონობის უმძიმეს უღლისქვეშ გმინვა და შემზარავი ყოფა. ამ მდგომარეობით შეძრწუნებული დიდი რევოლუციონერ-დემოკრატი ბოტკინს სწერდა: „გული ცეცხლით მედაგვის და ტკივილით მეკუმშება, როდესაც ხალხსა და მის წარმომადგენლებს ვხედავ. სევდა, მძიმე სევდა მიპყრობს მაშინაც, როდესაც ვხედავ ქუჩაში კოჭობანას მოთამაშე ფეხშიშველა ბიჭებს. ჩაკონკილ მათხოვრებს, მთვრალ მეეტლეს, საგუშაგოდან მომავალ ჯარისკაცს, სირბილით მიმავალ, იღლიაში პორტფელამოჩრილ მოხელეს, თავისი თავით კმაყოფილ ოფიცერს და ამაყ

---

[1] გ ი ო რ გ ი ჯ ი ბ ლ ა ძ ე, კრიტიკული ეტიუდები, წიგნი II, 1955 წ., გვ 48. ბელინსკის წერილიდან ციტატა მოტანილია წიგნიდან: ბ. გ. ბელინსკი, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, 1948 წ., გვ. 293—294; ბ. ბელინსკი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, თარგმანი ელ. მგალობლიშვილისა, გ. ჯიბლაძის რედაქციით. 1957 წ., გვ. 802.

დიდებულს"[1]. მშრომელი ხალხის ბედკრული ცხოვრებით გულდათუთქული და მწვავე ტკივილებით განაწამები ბელინსკი სასტიკად გმობდა ფეოდალებს, თვითმპყრობელობას, სხვის ხარჯზე გამდიდრებულ ხროვას, მათ დამქაშებს და ოცნებობდა იმ დროზე, როდესაც დაინგრეოდა ჩაგვრისა და ტანჯვის ქვეყანა, მოისპობოდა ღარიბ-ღატაკთა და ყმა-გლეხთა აუტანელი ჩაგვრა, დაემხობოდა არსებული ტირანია და გამარჯვებას იზეიმებდა ხალხის თავისუფლება, ბედნიერება, სინათლე, სიხარული და პიკეთე. იგი გატაცებით ელოდა იმ დროს, როდესაც „არ იქნებიან მდიდრები, არ იქნებიან ღარიბები, არც მეფეები და ქვეშევრდომები, არამედ იქნებიან ძმები, იქნებიან ადამიანები".[2] დიდმა რევოლუციონერ-დემოკრატმა სწორად განჭვრიტა, რომ სოციალური ჩაგვრის მოსპობა, ხალხის განთავისუფლება, სოციალიზმის დამყარება შეუძლებელია თავგანწირვის გარეშე, მსხვერპლის გაუღებლად. იგი მართებულად წერდა: „სასაცილოა იმის ფიქრიც კი, რომ ეს შეიძლება მოხდეს თავისთავად, დროთა ვითარებაში, ძალდატანებითი გადატრიალების გარეშე, უსისხლოდ... რა არის ათასობით ადამიანის სისხლი მილიონების დამცირებასა და ტანჯვასთან შედარებით"[3]. ბობოქარი ბესარიონი უდიდესი ბრძოლის პათოსით აღსავსე აცხადებდა: „დაე აღსრულდეს მართლმსაჯულება, თუნდაც ქვეყნიერება დაიღუპოს"[4]. ხალხის ამ ბედნიერი მომავლისათვის მსხვერპლის გაღება, ბელინსკის აზრით, სავსებით კანონზომიერია.

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ ბ. ბელინსკიმ ზოგ შემთხვევაში შეცდომა დაუშვა, მაგალითად, ხალხურობის გაგების, ისტორიზმის პრინციპის მომარჯვებასა და სხვ. საკითხებში. გ. ნ. პოსპელოვის აზრით:

«Белинский не подошел еще, однако, к определению искусства, как формы общественного сознания, имеющей свои исторически сложившиеся объективные особенности»[5].

დიდი რევოლუციონერი-დემოკრატი ბესარიონ ბელინსკი რუსული რევოლუციური ლიტერატურული კრიტიკის საყოველთაოდ აღიარებული გიგანტია, ახალი რუსული საზოგადოებრივი აზრის განვითარების გენიალური გამომხატველი, მისი დიდება და მშვენება.

---

[1] ბ. ბელინსკი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, 1957, გვ. 807.

[2] იქვე, გვ. 809.

[3] იქვე, გვ. 810.

[4] იქვე.

[5] გ. ნ. პოსპელოვის დასახელებული შრომა, გვ. 40.

ბ. ბელინსკის პოლიტიკური და ესთეტიკური მოძღვრება ერთგულად დაიცვეს, განავითარეს და თავიანთი შემოქმედებითი და პოლიტიკური მუშაობის საფუძვლად აღიარეს მისი მოძღვრების გამგრძელებლებმა ნ. ჩერნიშევსკიმ, ნ. დობროლუბოვმა, ნ. ნ. ნეკრასოვმა და სხვ.

სამოციანი წლების დიდმა რუსმა რევოლუციონერ-დემოკრატებმა ენერგიულად დააყენეს დღის წესრიგში პროგრესულ იდეათა განხორციელების საკითხი. ისინი მკვეთრად აკრიტიკებდნენ და მიწასთან ასწორებდნენ რუსეთის ფეოდალურ-მემამულურ, ბიუროკრატიულ-პოლიციურ რეჟიმს.

სამოციანი წლების რევოლუციონერ-დემოკრატები ჩერნიშევსკის, დობროლუბოვისა და ნეკრასოვის მეთაურობით ავითარებდნენ რა გერცენისა და ბელინსკის პროგრესულ, მებრძოლ, მოწინავე შეხედულებებს, უფრო თანამიმდევრულად და მებრძოლი სულისკვეთებით გამოხატავდნენ გლეხობის ინტერესებს. მათი რწმენით, ხალხის განთავისუფლება შეიძლებოდა მხოლოდ რევოლუციური გზით, მხოლოდ კლასობრივი ომის გამოყენებით. ისინი თავიანთი გამოსვლებით, წერილებითა და მოწოდებებით თავგანწირულად იბრძოდნენ თვითმპყრობელურ-მემამულური წყობილების მთელი მაშინდელი სისტემის წინააღმდეგ და უღრმესი სიძულვილით კიცხავდნენ და გმობდნენ შემრიგებლობას, ლიბერალიზმსა და რეაქციონერებს .

შემოქმედებითი აზროვნების გამოლვიძება შეეხო კულტურის ყველა სფეროს: მეცნიერებას, ლიტერატურას, ხელოვნებას, მხატვრობას, მუსიკას, თეატრს, ფილოსოფიას... ყველა ამ დარგში მოპოვებული იქნა იმ დროისათვის მსოფლიო მნიშვნელობის უდიდესი მიღწევები.

რევოლუციურ-დემოკრატიული ინტელიგენცია ქადაგებდა ძველი რუსეთის ადგილიდან დაძვრის აუცილებლობას, ცარიზმის, ბატონყმობის მოსპობას, ყმა-გლეხთა განთავისუფლებას. ამ იდეათა განხორციელებას დაუქვემდებარა რაზნოჩინულმა ინტელიგენციამ მთელი თავისი თეორიული მოღვაწეობა და პრაქტიკული საქმიანობა. ამ დიდი ისტორიული მოძრაობის განვითარებას ხელი შეუწყო, როგორც აღინიშნა, რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა.

ცარიზმი, ეკლესია და მემამულეები ყოველმხრივ ცდილობდნენ ხალხის უკმაყოფილების მიჩქმალვა-მიფუჩეჩებას, მათი მღელვარების ჩახშობას. მაგრამ ყირიმის ომის შედეგებმა ახალი ბიძგი მისცეს მასების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებს და მათში ბრძოლის სურვილის გაღვიძებას. ხალხი ყირიმის

ომში სამშობლოს დამოუკიდებლობისა და ღირსების დაცვის მიზნით იშვიათ გმირობას იჩენდა. სევასტოპოლის გმირულმა დაცვამ მთელი მსოფლიო გააკვირვა და ნათელყო დიდი რუსი ხალხის უძლეველობა, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკური ჩამორჩენილობის გამო ეს ომი მარცხით დამთავრდა. ომის შედეგებმა ცხადყვეს მეფის რუსეთის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურისა და საზოგადოებრივი წყობილების ჩამორჩენილობა. ყველა გრძნობდა, რომ „რუსეთმა გაიღვიძა და გაწყვიტა კავშირი ძველთან. ყველა გამოერკვა, დაიწყო ფიქრი და დაეუფლა კრიტიკული განწყობილება". გაღრმავდა და გაძლიერდა უკმაყოფილება თვითმპყრობელობისადმი და, როგორც აღვნიშნეთ, ფართოდ გაიშალა ბრძოლა ბატონყმურ-ბიუროკრატიული სისტემის წინააღმდეგ. განმათავისუფლებელ მოძრაობას მთელი სისასტიკით ებრძოდა რეაქციული ძალები. დიდი სიმწვავით დაისვა ბატონყმობის გაუქმების საკითხი. რუსეთის იმპერიის უზარმაზარი ტერიტორიის სხვადასხვა კუთხეში ბობოქრობდა გლეხთა მღელვარებანი, მუშათა გამოსვლები. კარლ მარქსმა რუსეთის იმპერიის ყმა გლეხთა მოძრაობა დაახასიათა როგორც უდიდესი მსოფლიო მოვლენა.[1] პანიკურმა შიშმა შეიპყრო მმართველი წრეები. დაიწყო სასტიკი რეპრესიები, მძვინვარებდა რეაქცია.

დიდი ლენინის გენიალური განმარტებით „ყირიმის ომმა ცხადყო ბატონყმური რუსეთის სიდამპლე და უძლურება. გლეხთა „ამბოხებებმა", რომლებიც განთავისუფლებამდე ფართოვდებოდა ყოველ ათწლეულში, აიძულა პირველი მემამულე, ალექსანდრე II, ეღიარებინა, სჯობს გავათავისუფლოთ ზევიდან, ვიდრე ქვევიდან დაგვამხობდნენო"[2].

ამ პერიოდისათვის ნათელი გახდა, რომ ბატონყმობა და ცარიზმი „ყველა ბოროტების კვანძი" იყო. მაგრამ ამ ბოროტების მოსპობის საკითხში არ არსებობდა ერთნაირი აზრი. დაიწყო სასტიკი, მწვავე ბრძოლა, გაძლიერდა წინააღმდეგობა თვითმპყრობელური, ფეოდალურ-მემამულური წყობის დამცველთა და გლეხთა მასების განთავისუფლების მომხრეთა შორის. ბრძოლა გაიშალა საზოგადოებაში, პრესაში, ლიტერატურაში, მმართველ წრეებში და ყველგან. ამ გაცხარებული ბრძოლის პროცესში დაბეჩავებული ყმა-გლეხების ინტერესების დაცვის სადარაჯოზე გამოვიდა რევოლუციონერი დემოკრატების ბელადი ჩერნიშევსკი, რომლის თხზულებებიდანაც, ვ. ი. ლენინის დახასიათებით, „ჰქრის კლასობრივი ბრძოლის სული"[2].

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. XXII, стр. 474.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 17, გვ. 127.

ჩერნიშევსკიმ და მისმა თანამებრძოლებმა მაღალ საფეხურზე აიყვანეს რუსეთის გლეხთა დემოკრატიული იდეები და იგი უფრო გარკვეული და მებრძოლი გახადეს. ისინი თანამიმდევრულად და მტკიცედ იბრძოდნენ უსამართლო წყობილების წინააღმდეგ, ცარიზმისა და ტირანიის წინააღმდეგ და გარკვევით ამტკიცებდნენ, რომ არსებულ უკუღმართ რეჟიმს არავითარი საფუძველი არ აქვს. ბატონობასა და დაჩაგრული ხალხის ველურ კაბალაში ყოლას, უუფლებობასა და აუტანელ ტანჯვა-წვალებას, პარაზიტების მიერ მშრომელთა უწყალოდ სისხლის წოვას აუცილებლად უნდა მოეღოს ბოლო და საზიზღარი ტირანია უნდა დაემხოს. ჩერნიშევსკის ღრმა რწმენით თავისუფლების მოპოვება შეუძლებელია მშვიდობიანი გზით, მეფის წყალობით, დათმობით, ბატონყმური რეფორმებით, ზედაფენების შეგონებითა და სხვა სახის რეფორმისტულ-შემრიგებლური გზით. ქვეყნის გადარჩენა, ხალხის მონობის უღლის გადაგდება, ცარიზმისა და ბატონყმობის დამხობა და ახალი სოციალური ურთიერთობის დამყარება, სოციალიზმის გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ მშრომელთა შეკავშირებული, რევოლუციური ბრძოლების საშუალებით. ამასთანავე, ცნობილია, რომ ჩერნიშევსკის ნათლად არ ჰქონდა წარმოდგენილი სოციალური გარდაქმნისა და განვითარების, სოციალიზმის დამყარების ნამდვილი გზები და სწორი პერსპექტივები, რაც, ცხადია, იმ დროს მას არც შეეძლო სწორად წარმოედგინა. იგი იყო სოციალისტ-უტოპისტი. მისი აზრით, არსებული სოციალური ურთიერთობიდან, ამ ურთიერთობისა და გაბატონებული რეჟიმის რევოლუციური ბრძოლით დანგრევის შემდეგ, კაპიტალიზმის განვითარების გზის გარეშე, პირდაპირ შეიძლებოდა სოციალიზმზე გადასვლა გლეხური თემის, „ობშჩინის“ საშუალებით. სოციალიზმის აშენების ამგვარი უტოპიური შესედულების მიუხედავად, ვ. ი. ლენინი დიდად აფასებდა ჩერნიშევსკის მოღვაწეობას, მის რევოლუციურ პათოსს, მის ძლიერ გავლენას ეპოქის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, მის გენიასა და რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეალებს და წერდა: „ჩერნიშევსკი იყო სოციალისტი-უტოპისტი, რომელიც ოცნებობდა სოციალიზმში გადასვლაზე ძველი, ნახევრადფეოდალური, გლეხური თემის საშუალებით, ვერ ხედავდა და არც შეეძლო გასული საუკუნის 60-იან წლებში დაენახა, რომ მხოლოდ კაპიტალიზმისა და პროლეტარიატის განვითარებას შეუძლია შეჰქმნას მატერიალური პირობები და საზოგადოებრივი ძალა სოციალიზმის განსახორციელებლად. მაგრამ ჩერნიშევსკი მარტო სოციალისტი-უტოპისტი როდი იყო. ის აგრეთვე რევოლუციური დემოკრატი, ის რევო-

ლუციურ გავლენას ახდენდა თავისი ეპოქის ყველა პოლიტიკურ მოვლენაზე, ატარებდა — მიუხედავად ცენზურის მრავალგვარი დაბრკოლებისა — გლეხთა რევოლუციის იდეას, ყველა ძველი ხელისუფლების დასამხობად მასების ბრძოლის იდეას".[1]

დიდი კრიტიკოსის აზრით „ადამიანის ყოველი მნიშვნელოვანი საქმე მოითხოვს ძლიერ ბრძოლას ბუნებასთან ან სხვა ადამიანებთან"... „დაე, ყოველთვის საჭირო იყოს ბრძოლა; მაგრამ ყოველთვის არა ბრძოლა უბედური. ხოლო ბედნიერი ბრძოლა, რა მძიმეც უნდა იყოს ის, — ტანჯვა კი არა. დატკბობაა, ტრაგიკული კი არაა, არამედ მხოლოდ დრამატულია. და განა მართალი არ არის, რომ თუ მიღებულია სიფრთხილის ყველა საჭირო ღონისძიება, მაშინ თითქმის ყოველთვის საქმე ბედნიერად მთავრდება?"[2].

დიდი მიზნისაკენ მიმართული, ხალხის ბედნიერი ცხოვრების მოსაპოვებლად გაჩაღებული მძიმე ბრძოლები, ჩერნიშევსკის ღრმა რწმენით, „ტანჯვა კი არა, დატკბობაა". იგი გარკვეულ შემთხვევაში, საჭირო და აუცილებელია. თავის ცნობილ დღიურში ჩერნიშევსკი აღნიშნავდა: „მე მსხვერპლად შევწირავ ჩემს სიცოცხლეს საკუთარ შეხედულებათა გამარჯვებას, თავისუფლების, თანასწორობის, ძმობისა და კმაყოფილების გამარჯვებას, სიღატაკისა და ბოროტების მოსპობასაო" (I, 1955, გვ. 380).

თავგამოდებით იცავდა რა ხალხის ინტერესებს და ყველაზე დიდ ბოროტებად რომ მიაჩნდა ბატონყმური წყობილება და პოლიციურ-ბიუროკრატიული რეჟიმი, იგი შეუდრეკლად იბრძოდა მისი მოსპობისათვის და მოუთმენლად ელოდა იმ დღეს, როდესაც ხალხის რევოლუციური ცეცხლი საბოლოოდ გაანადგურებდა და დაფერფლავდა ბატონყმურ-ბიუროკრატიულ რეჟიმს. ამიტომ უშიშრად და მკვეთრად იბრძოდა იგი დახავსებული ურთიერთობისა და ძალადობის წინააღმდეგ და მასებს შეიარაღებული ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. გერცენისადმი მიწერილ მის ერთ-ერთ წერილში შემდეგს ვკითხულობთ: „არა, ჩვენი მდგომარეობა საშინელია, აუტანელი, და მხოლოდ ნაჯახს შეუძლია ჩვენი ხსნა, და არაფერი გარდა ნაჯახისა, არ გვიშველის, — სხვა ხსნა არ არის... დაე, თქვენმა „ზარმა" (ე. ი. ჟურნალმა „კოლოკოლმა" — პ. კ.) არა პარაკლისებისაკენ მოუწოდოს

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 17, გვ. 129—130.

[2] ნ. ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ს კ ი, რჩეული ფილოს. თხზულებანი, თარგმანი შ. პაპუაშვილისა, ალ. ქუთელიას რედაქციითა და წინასიტყვაობით. თბ., 1945, გვ. 334

ხალხს, არამედ ასტეხოს განგაში! ნაჯახისაკენ მოუწოდეთ რუსეთს!"[1]

მეფის მიერ ჩატარებული „საგლესო რეფორმა" ნ. ჩერნიშევსკის საძაგლობად მიაჩნდა და ხალხს, გლეხობას აჯანყებისაკენ მოუწოდებდა. ჩერნიშევსკიმ გენიალურად განჭვრიტა ყმადაღებული „საგლესო რეფორმის" მთელი შეზღუდულობა, მთელი უბადრუკობა, რომ ბატონყმურ-ბიუროკრატიული სახელმწიფო და ლიბერალები რეფორმას არ გაატარებდნენ გლეხობის ინტერესების სასარგებლოდ. ამიტომ ჩერნიშევსკი მთელი სისრულით ამხელდა რეფორმის მძარცველურ ხასიათს, სასტიკად ებრძოდა, როგორც თვითმპყრობელობასა და მემამულეებს, ისე ლიბერალებს და აშკარად მოუწოდებდა გლეხობას რევოლუციური ბრძოლისაკენ. ნ. ჩერნიშევსკის ამ პოზიციის შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა: „საჭირო იყო სწორედ ჩერნიშევსკის გენიალობა, რომ იმ დროს, თვით საგლეხო რეფორმის მოხდენის ხანაში (როცა ის დასავლეთშიც კი არ იყო ჯერ კიდევ საკმაოდ გაშუქებული), ასე ნათლად გაეგო, რომ უკვე მაშინ რუსეთის „საზოგადოებასა" და „სახელმწიფოში" მეფობდნენ და მმართველობდნენ ისეთი საზოგადოებრივი კლასები, რომელნიც მუდამ მტრულად იყვნენ განწყობილნი მშრომელებისადმი და უეჭველად წინასწარ განსაზღვრავდნენ გლეხობის გაღატაკებას და ექსპროპრიაციას. და ამასთანავე, ჩერნიშევსკის ესმოდა, რომ იმ მთავრობის არსებობა, რომელიც ჩვენს ანტაგონისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობას ჰფარავდა, წარმოადგენს საშინელ ბოროტებას, რაც განსაკუთრებით აუარესებს მშრომელთა მდგომარეობას".[2]

„მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ განუცდია გლეხობას „განთავისუფლების" შემდეგაც ისეთი გაჩანაგება, ისეთი სიღარიბე, ისეთი დამცირება და ისეთი აბუჩად აგდება, როგორიც რუსეთში.

მაგრამ ბატონყმობის გადავარდნამ შეარხია მთელი ხალხი, გამოაღვიძა იგი საუკუნოვანი ძილისაგან, ასწავლა მას თვითონ ეძებნა გამოსავალი, თვითონ ეწარმოებინა ბრძოლა სრული თავისუფლებისათვის"[3].

ჩერნიშევსკი თავისი თხზულების გმირის პირით მედგრად აც-

---

[1] „Колокол", 1860, № 64. წერილს ხელს აწერს „Русский человек". პროფ. გ. ნ. პოსპელოვს იგი ანონიმ ავტორად მიაჩნია. მეცნიერთა გარკვეული წრე კი ავტორად ჩერნიშევსკის თვლის.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. I, გვ. 331.

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 17, გვ. 88.

ხადებდა: მთელი მიწა გლეხობისაა, არავითარი გამოსყიდვა, აიბარგეთ, მემამულეებო, ვიდრე თავი მთელი შეგრჩენიათო!

ჩერნიშევსკის მხარში ედგნენ ნ. ნეკრასოვი, ნ. დობროლუბოვი, დ. პისარევი, სალტიკოვ-შჩედრინი და სხვ. ისინი თავიანთი მხატვრული შემოქმედებით და ნარკვევებით ზრდიდნენ მშრომელებში მჩაგვრელთა წინააღმდეგ სასტიკ სიძულვილს და მოუწოდებდნენ ხალხს რევოლუციისაკენ.

ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლასთან და ხალხთა მასების რევოლუციური გამოსვლებისაკენ მოწოდებასთან ერთად, ამ პერიოდის რევოლუციონერ-დემოკრატებმა დიდი მუშაობა გასწიეს ხელოვნებისა, და კერძოდ, ლიტერატურის მნიშვნელობის, მისი რაობის, ხასიათის გარკვევისათვის, ჩამოაყალიბეს ახალი ესთეტიკური პრინციპები[1].

უფრო ადრე 1951 წელს, პარიზში ფრანგულ ენაზე გამოცემულ წიგნში: „რევოლუციური იდეების განვითარების შესახებ რუსეთში“ ა. ი. გერცენმა მიუთითა რუსული ლიტერატურის კავშირზე რევოლუციურ მოძრაობასთან. ლიტერატურა და ხელოვნება მას მიაჩნდა ხალხის რევოლუციურ განწყობილებათა გამომხატველად. ამიტომაც ხელოვნებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ხალხის ცხოვრების წინსვლის, მშრომელთა გამოღვიძების, შთაგონებისა და საბრძოლო მოძრაობის გაღვივებაში. ამასთანავე, გერცენს ლიტერატურა მიაჩნდა დაბეჩავებული, პოლიტიკურ თავისუფლებას მოკლებული ხალხის ერთადერთ მაღალ ტრიბუნად:

«Литература у народа, не имеющего политической свободы — единственная трибуна, с высоты которой он может заставить услышать крик своего негодования и своей совести»[2].

გერცენის შემდეგ ლიტერატურისა და ხელოვნების მოქალაქეობრივ-პოლიტიკური ფუნქციის შესახებ განსაკუთრებით ღრმად და ფართოდ გაამახვილეს ყურადღება ნ. ჩერნიშევსკიმ და ნ. დობროლუბოვმა. ჩერნიშევსკიმ უდიდესი ბრძოლა გასწია რეაქციული შეხედულების — „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, „წმინდა ხელოვნების“ მავნე „თეორიის“ დამცველთა წინააღმდეგ.

ცნობილია, რომ გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან დრუჟინინმა, ბოტკინმა, ანენკოვმა და სხვ. დაიწყეს „წმინდა ხელოვ-

---

[1] დაწვრილებით იხ. გ. ჯიბლაძე, ხელოვნება და სინამდვილე, 1948, გვ. 228-266.

[2] А. И. Герцен. Полн. собр. соч. и писем, 1919, т VI, стр. 350; შდრ. «А. И. Герцен об искусстве», 1954, стр. 193.

ნების", „ხელოვნება ხელოვნებისათვის" იდეალისტური, რეაქციული თეორიის ქადაგება, რომელიც მიმართული იყო დიდი რევოლუციონერი-დემოკრატების: ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის მატერიალისტური ფილოსოფიის, რეალისტური ხელოვნების დამკვიდრების, ლიტერატურისა და ხელოვნების ახალი ესთეტიკური პრინციპებისა და საერთოდ ხელოვნების პოლიტიკური და სოციალური ფუნქციის აღიარების წინააღმდეგ.

„ესთეტიკოსებმა" გააჩაღეს სასტიკი ბრძოლა უიდეო, განყენებული, საზოგადოების ინტერესებისაგან დაცლილი, თვითმიზნური, იდეალისტური ხელოვნების დასაცავად. დაიწყეს იმ თვალსაზრისის განვითარება, რომ ლიტერატურასა და ხელოვნებას არ აქვს კლასობრივი ბრძოლის ინტერესი, იგი კლასობრივი ბრძოლის გარეშე დგას, ან მასზე მაღლა და არ დაეძებს თანამედროვე პრობლემების გადაწყვეტისათვის გზების ძიებას. ამასთან, მათი აზრით, შეუძლებელია ხელოვნების ნაწარმოების შემეცნება, შეუძლებელია ესთეტიკის, როგორც მეცნიერების შექმნა და ხელოვნების განვითარებისა და ბუნების კანონზომიერებათა დადგენა.

ასეთ პირობებში საჭირო იყო ნ. ჩერნიშევსკის გენია, რათა დაეცვა ახალი, მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპები, რეალისტური ხელოვნება და ლიტერატურა, მისი იდეური შინაარსი, მისი აქტიური როლი ცხოვრებაში, რევოლუციური პათოსი, ხალხურობა და უაღრესად მაღალი სოციალურ-პოლიტიკური ფუნქცია — ბრძოლა მშრომელთა ინტერესებისათვის, თანადროულობის მწვავე სოციალურ პრობლემათა გადასაწყვეტად.

როგორც აღინიშნა, ნ. ჩერნიშევსკიმ თავისი შრომებით დაიცვა და განავითარა დიდ წინამორბედთა, განსაკუთრებით ბ. ბელინსკის ესთეტიკური შეხედულებანი, შექმნა ახალი ესთეტიკური თეორია, მატერიალისტური ესთეტიკა და ხელი შეუწყო კრიტიკული რეალიზმის განმტკიცებას. ცნობილია, რომ ამ დიდ ბრძოლებში განსაკუთრებით გრანდიოზული როლი შეასრულა მისმა სადისერტაციო შრომამ „ხელოვნების ესთეტიკური დამოკიდებულება სინამდვილესთან". როგორც ვიცით, აღნიშნული შრომა ავტორმა 1855 წელს საჯაროდ დაიცვა სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ჩერნიშევსკის ამ ნაშრომის გამოჩენა უდიდესი მოვლენა იყო. ეს ჰგავდა ღამის წყვდიადში სინათლის შუქის უცაბედ ჩამოღვრას. მას დიდის აღფრთოვანებით შეხვდა პროგრესული საზოგადოებრიობა, რომელიც ხარბად დაეწაფა ნაშრომის ღრმა მეცნიერულ დებულებებს, არგუმენტირებულ ახალ იდეებს. იგი გახდა მოწინავე ადამიანთა აზრთა მპყრობე-

ლი და უდიდესი ძალა მატერიალისტური ესთეტიკის განმტკიცება-გაღრმავებაში გზაზე. ნ. ვ. შელგუნოვის გადმოცემით, სადისერტაციო შრომამ უდიდესი საზოგადოებრივი რეზონანსი პოვა, საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია. მასში წარმოდგენილი იყო ყოველივე ახალი და ფასეული, რისი მოცემაც კი იმ პერიოდისათვის მოწინავე რუსულ აზროვნებას შეეძლო, მას ახასიათებდა არაჩვეულებრივი სისადავე და სიცხადე. ეს იყო ჰუმანიზმის ნამდვილი პროპაგანდა, დიადი სიყვარულის გამოცხადება კაცობრიობისადმი, რომლის მსახურადაც მიჩნეული გახლდათ ხელოვნება.[1]

საგულისხმოა, რომ აკაკი წერეთელმა აღნიშნული შრომის შესახებ განაცხადა: დიდი გავლენა იქონია მკითხველზეო.

ნ. ჩერნიშევსკის აღნიშნული ნაშრომი, ისე როგორც სხვა შრომები, შთაგონებულია მაღალი მოქალაქეობრივი იდეალებით, რევოლუციური ბრძოლის პათოსით, კეთილშობილური პატრიოტიზმით, მებრძოლი ოპტიმიზმით, ხალხურობითა და ჰუმანიზმით, ინტერნაციონალიზმით. ნაშრომს თავიდან ბოლომდე განმსჭვალავს დიადი მგზნებარება.

სადისერტაციო შრომაში ნ. ჩერნიშევსკიმ გააკრიტიკა ჰეგელისა და ფიშერის იდეალისტური ესთეტიკა, რომლის მიხედვითაც თითქოს მშვენიერი სინამდვილეში არ არსებობს, იგი შექმნილია ჩვენი ფანტაზიით, ბუნებაში ჭეშმარიტი მშვენიერი არ არსებობს, რომ ხელოვნებას თავის წყაროდ აქვს ადამიანის მისწრაფება—შეავსოს მშვენიერის ნაკლულოვანებანი ობიექტურ სინამდვილეში, რომ მშვენიერი, ხელოვნებით შექმნილი, უფრო მაღლა დგას, ვიდრე მშვენიერი ობიექტურ სინამდვილეში. დიდმა მოაზროვნემ უარყო ჰეგელის აღნიშნული დებულებანი, მეცნიერულად დაამტკიცა მათი მცდარობა და მიუთითა — „მშვენიერია ცხოვრება“, რომ „ჭეშმარიტი უმაღლესი მშვენიერება არის სწორედ ის მშვენიერება, რომელიც ადამიანს ხვდება სინამდვილის ქვეყანაში და არა ის მშვენიერება, რომელსაც ხელოვნება ქმნის“[2].

ამრიგად, ჰეგელის იდეალისტური ესთეტიკა ქადაგებდა, რომ ხელოვნება ბუნების მშვენიერებაზე მაღალია, ბუნებაში მშვენიერი წინასწარგანზრახული არ არის და ამიტომ იგი არ შეიძლება ხელოვნებაზე მაღლა იდგესო. წინააღმდეგ ასეთი შეხედულებისა, ჩერნიშევსკი თავის სადისერტაციო შრომაში ამტკი-

---

[1] Н. В. Шелгунов. Соч., изд. II, СПБ, 1895, стр. 670.

[2] ნ. გ. ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ს კ ი, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, თარგმანი შ. პაპუაშვილისა, ალ. ქუთელიას რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., 1945, გვ. 314-315.

ცებდა: მშვენიერება ბუნებაში ამოუწურავია, ბუნების მშვენიერება ხელოვნებაზე მაღალია, მშვენიერება-ხელოვნება ბუნების მშვენიერებაზე დაბალიაო.[1] „ბუნება ხელოვნებაზე უფრო დიდი ოსტატია"[2], რომ ნამდვილი ცხოვრების სილამაზე „შემოქმედებითი" ფანტაზიის ქმნილებათა სილამაზეზე მაღლა დგას, ბუნება და სიცოცხლე ხელოვნებაზე მაღლა დგას. სინამდვილის, ცხოვრების მშვენიერება უფრო ჭეშმარიტი და მაღალია, ვიდრე ხელოვნების მშვენიერება.

დიდმა მოაზროვნემ მიუთითა, რომ ჰეგელის აზრი „მშვენიერი ეწოდება იდეის სრულ გამოვლინებას ცალკეულ საგანში" სულაც არაა მშვენიერების განსაზღვრა, რომ მცდარია შეხედულება, თითქოს მშვენიერი სინამდვილეში არ არსებობს, რომ ხელოვნების დანიშნულებაა სინამდვილის ნაკლულოვანებათა შევსება, ცხოვრების გამშვენიერება იდეალური მშვენიერების წარმოსახვითო, და მეცნიერული ზუსტი არგუმენტაციით დაასაბუთა: „მშვენიერი არის ის არსება, რომელშიაც ჩვენ სიცოცხლეს ვხედავთ ისეთს, როგორიც უნდა იყოს იგი ჩვენი წარმოდგენით; მშვენიერია ის საგანი, რომელიც თავის თავში გამოავლენს სიცოცხლეს ან მიგვანიშნებს სიცოცხლეს"[3].

ნ. ჩერნიშევსკი აღიარებდა, რომ მშვენიერებისადმი ადამიანის დამოკიდებულება გაპირობებულია სხვადასხვა კლასის ადამიანთა ცხოვრების თავისებურებებითა და შეხედულებებით, რომ სხვადასხვა ფენის ადამიანს განსხვავებული წარმოდგენები აქვთ ცხოვრებასა და ადამიანთა ბედნიერებაზე, აგრეთვე მშვენიერების შეფასებაზე.

დიდმა მოაზროვნემ დაგმო თეორია „ხელოვნება ხელოვნებისათვის" და გამოააშკარავა მისი ანტიხალხურობა და რეაქციულობა; ღრმა მეცნიერული არგუმენტაციით ცხადყო „წმინდა ხელოვნების" იდეალისტური ხასიათი, რომელსაც სურდა შეენარჩუნებინა სრული დამოუკიდებლობა ადამიანის ყველა სხვა მისწრაფებებისაგან. გარდა „მშვენიერებისადმი მისწრაფებისა"[4], განთქმულ სტატიაში „რუსული ლიტერატურის გოგოლის პერიოდის ნარკვევებიდან", ჩერნიშევსკიმ ხაზი გაუსვა ბ. ბელინსკის ცნობილ შეხედულებებს, რომლებიც „სრულებით უპირისპირდებიან ტრანსცენდენტალური ფილოსოფიის იდეებს, განსაკუთრებით იდეებს ჰეგელის სისტემისას, რომელიც მთელ თავის

---

1 ნ. გ. ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ს კ ი, დასახ. წიგნი, გვ. 365—366—394.
2 ი ქ ვ ე, გვ. 379.
3 ი ქ ვ ე, გვ. 399.
4 ი ქ ვ ე, გვ. 560.

ესთეტიკურ მოძღვრებას იმ პრინციპზე ამყარებდა, რომ ხელოვნებას თავის ერთადერთ და განსაკუთრებულ საგნად მშვენიერის იდეის განხორციელება აქვსო"[1]. ბელინსკის შეხედულებათა ანალოგიურად ჩერნიშევსკიმ „წმინდა ხელოვნების" მიმდევართა საპასუხოდ მიუთითა, რომ „ხელოვნების თეორიის დაყვანა მარტოოდენ მშვენიერის იდეაზე — ნიშნავს ცალმხრივობაში ჩავარდნას და სინამდვილესთან შეუსაბამო თეორიის აგებას... ხელოვნება იწარმოება არა განყენებული მისწრაფებებით მშვენიერისადმი (მშვენიერის იდეით), არამედ ცოცხალი ადამიანის ყველა ძალთა და უნართა ერთობლივი მოქმედებით".[2] ჩერნიშევსკის აზრით, ნამდვილი, თავიანთი ღირსებით საუკეთესო ნაწარმოებები ყოველთვის იქმნებოდნენ და იქმნებიან ადამიანის სიყვარულისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების მოთხოვნილებათა ჭარბი ზეგავლენით. ნამდვილი ცხოვრებისაგან განყენებული მისწრაფებანი უძლურნი არიან და ამ ნიადაგზე თუკი ოდესმე შექმნილა ნაწარმოები, „მას მაინც არ შეეძლო არაფრის მნიშვნელოვანის წარმოება თვით მხატვრული მიმართულებითაც კი. ისტორიამ არ იცის ხელოვნების ისეთი ნაწარმოებნი, რომელნიც მხოლოდ და მხოლოდ მშვენიერის იდეით ყოფილიყვნენ შექმნილნი. თუკი ყოფილა, ანდა არის ამგვარი ნაწარმოებები, ისინი თანამედროვეთა არავითარ ყურადღებას არ იქცევენ, და ისტორია მათ ივიწყებს, როგორც მეტად სუსტს — სუსტს თვით მხატვრული მიმართულებითაც"[3]. ჩერნიშევსკიმ, ბელინსკის მსგავსად, გენიალურად დაასაბუთა, რომ ხელოვნების მნიშვნელობა არათუ დამცირდება, როდესაც იგი ხელს აიღებს უზომოდ განყენებულ მასალაზე და თავის წყაროდ და მიზნად ადამიანის, ხალხის კეთილდღეობისადმი სამსახურს აირჩევს, პირიქით, საზოგადოების ინტერესებისადმი, ადამიანის ჩვეულებრივი მოთხოვნილებებისადმი სამსახური უზომოდ აამაღლებს ხელოვნების ავტორიტეტს, მის ღირსებასა და მნიშვნელობას. ამის შესახებ ჩერნიშევსკი თავის ცნობილ შრომაში „ხელოვნების ესთეტიკური დამოკიდებულება სინამდვილესთან" წერდა: „ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ ვითომც ხელოვნების მნიშვნელობა მართლაც მცირდებოდეს, როდესაც უარიყოფა მის ნაწარმოებთა უთუო ღირსების უსაზღვრო ხოტბანი და როდესაც, უზომოდ მაღალი ტრანსცენდენტალური წყაროებისა და მიზნების მაგიერ, ხელოვნების წყაროდ და მიზნად ადამიანის მოთხოვნილებები დაიდგინება. პირიქით, სწორედ ამით ამაღლდება ხე-

---

1 ნ. გ. ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ს კ ი, დას. წიგნი, გვ. 560.

2 ი ქ ვ ე, გვ. 561.

3 ი ქ ვ ე.

ლოვნების რეალური მნიშვნელობა, იმიტომ რომ ასეთი განმარტებით მას უდავო და საპატიო ადგილი ენიჭება იმ საქმიანობათა რიცხვში, რომლებიც ადამიანის კეთილდღეობას ემსახურებიან". დიდი რევოლუციონერ-დემოკრატის აზრით, ხელოვნება ადამიანთა კეთილდღეობას ემსახურება, მას „ბევრი, ბევრი სიკეთე მოაქვს ადამიანისათვის", იგი „ცხოვრების სასელმძღვანელოა, რომლითაც სიამოვნებით სარგებლობს ყველა ადამიანი". ასეთი ხელოვნება სარგებლობს ხალხთა უდიდესი „შვილობრივი სიყვარულისა და მადლიერების „გრძნობით". ამიტომ, ბუნებრივია, — წერდა ჩერნიშევსკი, — ადამიანისათვის ამ თავისი მაღალი, მშვენიერი, კეთილისმყოფელი მნიშვნელობით უნდა ამაყობდეს ხელოვნება".[2] ნ. ჩერნიშევსკი აღიარებდა ხელოვნების უდიდეს მნიშვნელობას საზოგადოების ცხოვრების გარდაქმნაში. დიდი დემოკრატი უსაზღვრო პატივისცემის გრძნობითაა გამსჭვალული ხალხის ინტერესებით, მისი კეთილშობილური მისწრაფებებით შთაგონებული მებრძოლი ხელოვნების მიმართ. იგი დიდად აფასებდა ისეთ ხელოვნებას, რომელიც კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს ცხოვრებაზე, რომელიც ეხმარება ადამიანს მისთვის შეუსაბამო ობიექტური სინამდვილის, უსიამოვნო და მავნებელი მოვლენების მოსპობისა და გარემომცველი უკუღმართი ცხოვრების შეცვლის დიდ ისტორიულ საქმეში. ნ. ჩერნიშევსკის უმაღლეს დანიშნულებად მიაჩნია კეთილი მონავლისათვის შეუდრეკელი ბრძოლა. ამ ბრძოლაში განუზომელია ხელოვნების როლი. ხელოვნების საშუალებით ხალხთა მასებში ადვილად ვრცელდება მეცნიერების მიღწევები. „...ადამიანმა თავისი ცხოვრების სიმშვიდისა და ბედნიერებისათვის ბევრში უნდა შესცვალოს ობიექტური სინამდვილე, რათა შეუგუოს ის თავისი პრაქტიკული ცხოვრების მოთხოვნილებებს... იმ მოვლენათა რიცხვში, რომლებითაც გარემოცულია ადამიანი, ძალიან ბევრია ისეთი, რაც უსიამოვნოა ან მავნებელი, მისთვის, რომლებიც... მოსპობილ, ანდა, ყოველ შემთხვევაში, შესუსტებულ უნდა იქნენ ადამიანის ცხოვრების ბედნიერებისათვის"[3], ამ დიადი მისიის შესრულებაში, ნ. ჩერნიშევსკის აზრით, მეცნიერება ეხმარება ადამიანს, ხოლო „არაჩვეულებრივად მძლავრ დახმარებას ამაში მეცნიერებას ხელოვნება უწევს, ხელოვნება, რომელსაც არაჩვეულებრივი უნარი აქვს ადამიანთა ვეებერთელა მასაში გაავრცელოს მეცნიერების მიერ მო-

---

1 ნ. გ. ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ს კ ი, დასახ. წიგნი, გვ. 460.

2 ი ქ ვ ე.

3 ი ქ ვ ე, გვ. 161.

პოვებული ცნებები იმიტომ, რომ ხელოვნების ნაწარმოებებთან გაცნობა ადამიანისათვის ბევრად უფრო ადვილია და მიმზიდველი, ვიდრე მეცნიერების ფორმულებთან და მკაცრ ანალიზთან. ამ მიმართულებით ხელოვნების მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებისათვის განუზომლად დიდია, აღარას ვამბობთ ხელოვნების ნაწარმოებების მიერ ადამიანის დატკბობის შესახებ"[1]. ცხოვრების ახსნასა და მის გაგებინებაში „ხელოვნება უფრო ადვილად, უფრო სწორად, უკეთესად აღწევს თავის მიზანს", ვიდრე მეცნიერული მოთხრობა... კუპერის რომანებმა უფრო მეტად გააცნო საზოგადოებას ველურების ცხოვრება, ვიდრე ეთნოგრაფიულმა მოთხრობებმა და მსჯელობამ ველურთა ყოფა-ცხოვრების შესწავლის მნიშვნელობის შესახებ"[2].

ნ. ჩერნიშევსკის აზრით, ყოველ საზოგადოებრივ ჯგუფს და ცალკე ადამიანს აქვს გარკვეული საკუთარი შეხედულება ამა თუ იმ მოვლენაზე. ზოგი ადამიანი თავისი სურვილების დასაკმაყოფილებლად სიხარულით მიისწრაფვის თავისი ჭეშმარიტი მოთხოვნილებები ცხოვრების სინამდვილეში განახორციელოს. სხვებს კი ცხოვრებასთან შეხების ეშინიათ, რადგან იციან, რომ „დღის სინათლეზე" გამოსვლისას გამოაშკარავდება მათი უვარგისობა, სიცარიელე, ყალბი სურვილები. ამიტომ ისინი ცხოვრების სინამდვილეს გაურბიან და „ცდილობენ დაემალონ მას ოცნების განყენებულ სამეფოში". ამრიგად, საზოგადოების გარკვეულ ფენებში აზრთა და მისწრაფებათა სხვადასხვაობას აქვს ადგილი. ნ. ჩერნიშევსკის აზრით, საჭიროა გაირკვეს რომელი მათგანი არის ჭეშმარიტი, რომელი — მცდარი, ან რით უნდა დამტკიცდეს ამა თუ იმ წარმოდგენის ჭეშმარიტება ან სიყალბე. „ვინ იქნება მსაჯული ამ, ესოდენ მნიშვნელოვან შემთხვევაში? დიდი მოაზროვნე აზრის ჭეშმარიტების კრიტერიუმად თვლის ცხოვრებას, პრაქტიკას: „—მსჯავრს თვით ადამიანი სდებს თავისი ცხოვრებით; „პრაქტიკა", ეს უთუო და უცვალებელი სასინჯი ქვა ყოველგვარი თეორიისა, აქაც ჩვენი ხელმძღვანელი უნდა იყოს... პრაქტიკა — ტყუილებისა და თვითცდუნებათა დიადი მამხილებელია არა მარტო პრაქტიკულ საქმეში, არამედ აგრეთვე გრძნობისა და აზრის საქმეებშიც. ამიტომაც მეცნიერებაში ახლა პრაქტიკა ყველა სადავო პუნქტის არსებით კრიტერიუმად არის მიღებული. რაც თეორიაში სადავოა, სისწორით ნამდვილი ცხოვრების პრაქტიკით გადაწყდება"[3].

აღიარებდა რა რაციონალურ წარმოდგენებთან შედარებით

---

[1] ნ. გ. ჩერნიშევსკი, დას. წიგნი, გვ. 461.

[2] იქვე, გვ. 417.

[3] იქვე, გვ. 239—440.

„სინამდვილისა“ და „პრაქტიკის“ უპირატესობას, ნ. ჩერნიშევსკი გარკვევით ამტკიცებდა, რომ ხელოვნება, რომელსაც საფუძვლად უდევს ადამიანთა ჭეშმარიტი იდეები, ცხოვრება, ხალხისათვის სასარგებლო მისწრაფებები, წარმოადგენს სინამდვილის ორგანულ ნაწილს და ხელს უწყობენ მის წინსვლასა და განვითარებას. ჩერნიშევსკი სინამდვილედ მიიჩნევდა არა მარტო ბუნების, არამედ ადამიანის მთელ ცხოვრებას, მის ნამყოს, აწმყოსა და მომავალს[1]. ჩერნიშევსკი იზიარებდა ბელინსკის შეხედულებას, რომელიც გმობდა ხელოვნებაში ფანტაზიორობას, სინამდვილისადმი სიძულვილს, უნიადაგო, უაზრო ოცნებითი ხელოვნების ქმნილებებს, რომლებიც „უქმი გონების, უსახური გულისთქმის ნაშობი“, პირველი ხარისხის უაზრობაა და მოითხოვდა ხელოვნებაში სინამდვილის, სიმართლის აუცილებლობას. სინამდვილე, ბელინსკის რწმენით „პაროლი და ლოზუნგია ჩვენი სუკუნისა, სინამდვილე ყველაფერში — რწმენაშიც, მეცნიერებაშიც, ხელოვნებაშიც და ცსოვრებაშიც“[2]. სინამდვილის ასეთი ფართო გაგებით და მასზე დაფუძნებული ჭეშმარიტი ხელოვნების აღიარებით ნ. ჩერნიშევსკიმ გააღრმავა და გაადიდა ხელოვნების შინაარსი, მისი მოქმედების ფარგლები და ამით აღიარა მისი რევოლუციური ხასიათი, ხოლო ყალბ წარმოდგენებსა და მისწრაფებებზე დაფუძნებული ხელოვნება აღიარა ფუჭ ოცნებად, უვარგისად, რომელიც ძირშივე ეწინააღმდეგება სინამდვილეს და ხელს უშლის მის განვითარებას.

ჭეშმარიტი აზრი „კი არ არის, — წერდა ნ. ჩერნიშევსკი, — საწინააღმდეგოდ დაპირისპირებულ სინამდვილესთან, იმიტომ, რომ აზრი სინამდვილისაგან წარმოიშობა და განხორციელებისაკენ ისწრაფვის, რის გამოც სინამდვილის მოუცილებელ ნაწილს შეადგენს, — არამედ უქმი ოცნება, რომელიც უსაქმურობისაგან წარმოიშვა და ადამიანის გასართობად რჩება, ისეთი ადამიანისა, რომელსაც გულხელდაკრეფით და თვალებდახუჭულად ჯდომა უყვარს. სწორედ ასევე „პრაქტიკული ცხოვრებაც“ მოიცავს ადამიანის არა მარტო მატერიალურ, არამედ მის გონებრივ და ზნეობრივ მოღვაწეობასაც“[3].

ჩერნიშევსკის აზრით, პოეზია არის ცსოვრება, მოქმედება (ბრძოლა), ვნება, გატაცება. იგი შეუძლებელია იყოს ხალხისაგან მოწყვეტილი. ლიტერატურა უნდა იყოს პატრიოტული,

---

[1] ნ. გ. ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ს კ ი, დას. წიგნი, გვ. 440—441.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 563—564.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 441.

ხელს უნდა უწყობდეს სამშობლოს კეთილდღეობას, ხალხის კეთილდღეობას[1]. მხატვრულ ნაწარმოებში დაუშვებელია სინამდვილის მხოლოდ მშვენიერი მხარეების, ადამიანის ცხოვრების მხიარული და ნათელი სურათების — სიყვარულის, ვაჟკაცობის, ახალგაზრდობის, ერთგული მეგობრობის, გმირობისა და კეთილშობილების გადმოცემა. „ხელოვნების შინაარსი არ განისაზღვრება მშვენიერის, ამაღლებულისა და კომიკურის ვიწრო ჩარჩოებით; ხელოვნების სფეროა ყველაფერი, რაც კი საინტერესოა ადამიანისათვის ცხოვრებასა და ბუნებაში"[2]. სხვაგან იგი წერდა: „ხელოვნების სფერო შეუძლებელია განისაზღვროს მხოლოდ მშვენიერების ასახვით". იგი უნდა გადმოსცემდეს ყველაფერს, რითაც ადამიანი დაინტერესებულია სინამდვილეში... რაზედაც ის ფიქრობს, რაც მას ახარებს და აღონებს.[3] ან კიდევ, „ხელოვნების სფერო მოიცავს ყველაფერს, რაც სინამდვილეში (ბუნებასა და ცხოვრებაში) ადამიანს აინტერესებს"[4]. ხელოვნების ხასიათის ასეთი გაგება მოითხოვდა ცხოვრებასთან ხელოვნების დაახლოებას, აფართოებდა მხატვრული ლიტერატურის თემატიკას. იგი ლიტერატურას მიზნად უსახავდა ადამიანის ინტერესებისადმი სამსახურს. ხელოვნებამ რეალური სინამდვილე უნდა ასახოს, — ამბობდა ჩერნიშევსკი, — ღრმად შეიჭრას ცხოვრებაში და უტყუარად გადმოსცეს მისი ნამდვილი მდგომარეობა. ამასთან ლიტერატურამ არა მარტო სიმართლით უნდა ასახოს ცხოვრება, არამედ ადამიანის სასიკეთოდ (424) ახსნას იგი (განაჩენი გამოუტანოს), მსჯავრი დასდოს მას და ამით ხელი შეუწყოს ცხოვრების გარდაქმნასო. „ხელოვნების უმაღლესი დანიშნულებაა — იყოს ადამიანისათვის ცხოვრების სახელმძღვანელო", სასწავლი წიგნი. „ხელოვნების არსებითი მნიშვნელობაა გადმოსახვა, ხელახლა წარმოქმნა ყოველივე იმისა, რაც კი ადამიანისათვის ცხოვრებაში საინტერესოა; ძალიან ხშირად, განსაკუთრებით პოეზიაში, პირველ რიგში გამოდის აგრეთვე ახსნა ცხოვრებისა, განაჩენი მისი მოვლენების შესახებ"[5]. ხელოვნების დამახასიათებელი, არსებითი ნიშანია „ცხოვრების ხელახალი წარმოქმნა, გამოსახვა" და მისი ახსნა, „ცხოვრების მოვლენებზე მსჯავრის"[6] გამოტანა, ამით კი ცხოვ-

---

[1] Г. Н. Бурсов, Чернышевский как литературный критик, 1951, გვ. 14, 16, 25.

[2] ნ. გ. ჩერნიშევსკი, დას. წიგნი, გვ. 451.

[3] იქვე, გვ. 418.

[4] იქვე, გვ. 411.

[5] იქვე, გვ. 452.

[6] იქვე, გვ. 426.

რების გარდაქმნისათვის ხელის შეწყობა. ამრიგად, ხელოვნების მაღალ ფუნქციად არის მიჩნეული ცხოვრების მოვლენათა არა პასიური ჭვრეტა, არამედ მისი ახსნა და მისი გარდაქმნისათვის ბრძოლა. ეს იყო ხელოვნებაში რევოლუციური იდეების შეტანა, მისი ხალხურობა, რევოლუციური ოპტიმიზმი და მებრძოლი ჰუმანიზმი.

ხელოვნების უმაღლეს თვისებად და სულად ჩერნიშევსკის აზრი მიაჩნდა, ხოლო სინამდვილის მოვლენათა ამხსნელი და მისადმი მსჯავრის გამომტანი ხელოვანი კი მოაზროვნედ. იგი წერდა: „მხატვარი... თუ... გადმოსახულ მოვლენებს ხსნის და მსჯავრსა სდებს, მაშინ ის მოაზროვნედ იქცევა, და მისი ნაწარმოები თავის მხატვრულ ღირსებასთან კიდევ უფრო უმაღლეს მნიშვნელობას — მეცნიერულ მნიშვნელობას უერთებს".[1] ...„თუ მხატვარი მოაზროვნე კაცია, მას არ შეიძლება თავისი მსჯელობა, აზრი არ ჰქონდეს გადმოსასახავ მოვლენათა შესახებ, ეს აზრი, ნებით თუ უნებლიეთ, აშკარად თუ იდუმალ, შეგნებულად თუ შეუგნებლად აისახება, რომელიც ამგვარად კიდევ მესამე მნიშვნელობას იძენს — აზრს, მსჯავრს გადმონასახ მოვლენებზე".[2] ჩერნიშევსკის აზრით, სელოვნების ნაწარმოები შეიძლება ხელოვნების სფეროშიც დარჩეს და მეცნიერულ ნაშრომზე უკეთ გაერკვეს მოვლენის არსში. იგი წერდა: „ხელოვნების ნაწარმოები, რჩება რა ხელოვნების სფეროში, მეცნიერულ მნიშვნელობას იძენსო".[3]

ჩერნიშევსკის რწმენით, თუ მოაზროვნე ადამიანი დაინტერესებულია ეპოქის, ცხოვრების მწვავე საკითხებით, მოვლენებითა და პრობლემებით, იგი თავის მსჯავრსაც დასდებს მას. „ცხოვრების მოვლენებით დაინტერესებულ ადამიანს არ შეუძლია, ნებსით თუ უნებლიედ, შეგნებულად თუ შეუგნებლად, მათ თავისი მსჯავრი არ დასდოს; პოეტს თუ მხატვარს... არ შეუძლია, კიდევაც რომ უნდოდეს, უარი სთქვას გამოხატული მოვლენებისათვის თავისი მსჯავრის დადებაზე; ეს მსჯავრი მის ნაწარმოებებში გამოითქმება, — აი, ხელოვნების ნაწარმოებთა ახალი მნიშვნელობა, რომლითაც ხელოვნება ადამიანის ზნეობრივ საქმიანობათა რიცხვში ჩადგება".[4]

ჩერნიშევსკის აზრით, ისეთი ადამიანები, რომლებიც სინამდვილეს მხოლოდ აღწერენ და მის ახსნას, მსჯავრის დადებას უყურადღებოდ სტოვებენ, ამჟღავნებენ გონებრივი მოქმედების

---

1 ნ. გ. ჩერნიშევსკი, დას. ნიგნი, გვ. 452.

2 იქვე.

3 იქვე, გვ. 419.

4 იქვე, გვ. 118.

სისუსტეს. „მაგრამ, — წერს რუსი მოაზროვნე, — თუ ადამიანი, რომელშიაც გონებრივი საქმიანობა ცხოვრებაზე დაკვირვებისაგან წარმოშობილი საკითხებით ძლიერ არის აღძრული, დაჯილდოებულია მხატვრული ნიჭით, მაშინ მის ნაწარმოებებში, შეგნებულად თუ შეუგნებლად, გამოიხატება მისწრაფება ცოცხალი მსჯავრის გამოთქმისადმი იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც საინტერესოა მისთვის (და მისი თანამედროვეობისათვის...)".

ერთი სიტყვით, ჭეშმარიტი ხელოვნების ნაწარმოებებია ისეთი თხზულებები, რომლებშიაც ხელოვანი, მხატვარი აუცილებლად უნდა აზროვნებდეს; წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ შეასრულებს თავის ფრიად საპატიო მისიას — ხელმძღვანელობა გაუწიოს ხალხს. ჩერნიშევსკის გაგებით, როგორც აღვნიშნეთ, მოწინავე მწერალი უნდა შეიჭრეს ცხოვრებაში, თავისი ღრმა აზროვნებით განჭვრიტოს, ახსნას, მსჯავრი დასდოს ადამიანისათვის საინტერესო სინამდვილის მოვლენებს და ამით უჩვენოს ხალხს ცხოვრების უარყოფითი მოვლენების თავიდან აცილებისა, ხოლო დადებითის განმტკიცების გზები და საშუალებანი.

ხელოვანი, მწერალი უნდა დაეხმაროს ადამიანს იმის გარკვევაში, „თუ სინამდვილის რომელი მოვლენებია კარგი და ხელშემწყობი მისთვის, რის გამოც შენარჩუნებულ და განვითარებულ უნდა იქნენ მისი ხელშეწყობით. სინამდვილის რომელი მოვლენებია, პირიქით, მძიმე და მავნე მისთვის, რის გამოც მოსპობილ ანდა, ყოველ შემთხვევაში, შესუსტებულ უნდა იქნენ ადამიანის ცხოვრების ბედნიერებისათვის".[1] ამ ამოცანის შესრულებაში, ჩერნიშევსკის აზრით, არაჩვეულებრივად დიდია ხელოვნების როლი. ამიტომ, იგი მოითხოვდა ცხოვრების მოვლენების არა უბრალო აღწერას, არამედ აზრით გამსჭვალვას, მის ახსნას. ამ მიმართულებით ნ. ჩერნიშევსკი კიდევ უფრო აღრმავებს თავის შეხედულებას და პირდაპირ მიუთითებს: „არის ხელოვნების ნაწარმოებები, რომლებშიაც ადამიანისათვის საინტერესო მოვლენები ცხოვრებისა პირდაპირ აღდგენილია, და არის სხვა ნაწარმოებები, რომლებშიაც ეს სურათები გარკვეული აზრით არის გამსჭვალული".[2]

ამრიგად, ჩერნიშევსკი ფიქრობს, რომ „ხელოვნების უმაღლესი დანიშნულებაა — იყოს ადამიანისათვის ცხოვრების სახელმძღვანელო". ხელოვნება თანამედროვეობის მისწრაფებათა გამოხატვას უნდა ემსახურებოდეს. მწერალი უნდა ეხმაურებო-

---

[1] ნ. გ. ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ს კ ი, დასახ. წიგნი, გვ. 461.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 419.

დეს ყველა საკითხს, რომელსაც ცხოვრება აყენებს თანამედროვეთა წინაშე; თვითონაც წამოაყენოს ეს საკითხები და დასახოს მათი გადაწყვეტის გზები. ხელოვნება უნდა გახდეს საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლის ფაქტორი, შეიტანოს ხალხში ახალი აზრები და უხელმძღვანელოს საზოგადოების განვითარებას. ჩერნიშევსკი და მისი თანამოაზრენი აღიარებდნენ ლიტერატურის უდიდეს მნიშვნელობას განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებისათვის. მათი შესედულებებით, ხელოვნება და, კერძოდ, მსატვრული ლიტერატურა ხალხის განთავისუფლების ამოცანების განხორციელებისათვის უნდა იბრძოდეს და უსამართლობის, ბატონობისა და თვითმპყრობელობის დამხობას ცდილობდეს.

ნ. ჩერნიშევსკი, ისე, როგორც ბელინსკი, აღიარებდა ხელოვნების მიერ სინამდვილის, ცხოვრების მოვლენათა სიმართლით მხატვრული ადღგენის საჭიროებას, მისი ხელახლა წარმოქმნის პრინციპს. „არსებითი მნიშვნელობა ხელოვნებისა, — წერდა ის, — ეს არის ხელახლა წარმოქმნა, აღდგენა იმისა, რითაც ადამიანი დაინტერესებულია სინამდვილეში"; დიდი მოაზროვნე დაჟინებით მოითხოვდა, რომ „ხელოვნების პირველი მნიშვნელობა, რომელიც მის ყველა ნაწარმოებს ეკუთვნის — ბუნებისა და ცხოვრების გადმოღება, ხელახლა წარმოქმნაა". ამავე დროს, იგი გადაჭრით იბრძოდა სინამდვილის ფოტოტიპური, უსიცოცხლო, მკვდარი, უფერული, ე. წ. „დაგეროტიპული ასლგადაღების" წინააღმდეგ, ცხოვრების მოვლენების „მონური ასლგადაღების აზრის" წინააღმდეგ და მიუთითებდა „ცხოვრების სწორი ხელახალი წარმოქმნა ხელოვნების მიერ არ არის უბრალო ასლგადაღებაო". მოაზროვნე აღნიშნავდა: „ხელოვნებაშიც ადამიანს არ შეუძლია ხელი აიღოს თავის — არ ვამბობთ უფლებაზე, ეს ცოტაა, — თავის ვალდებულებაზე — ისარგებლოს მთელი თავისი ზნეობრივი და გონებრივი ძალებით, მათ რიცხვში წარმოსახვითაც, თუ სურს თუნდაც მეტი არა — სწორად გადაიღოს საგნის ასლი".[1] მოვლენის სწორი მხატვრული ასახვისათვის, ნ. ჩერნიშევსკის აზრით, აუცილებელია მხატვარმა ნათელი გონების თვალით განსჭვრიტოს, ახსნას, გააცოცხლოს და აზრიანი გახადოს მის მიერ აღებული საგანი. ხელოვანმა სინამდვილის არსებითი ნიშნები უნდა შეარჩიოს. მხატვარს უნდა ჰქონდეს „არსებითი ნიშნების არამნიშვნელოვანთაგან გარჩევის უნარი"[2], „იგი უნდა ხელმძღვანელობდეს შე-

---

1 ნ. გ. ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ს კ ი, დას. წიგნი, გვ. 450.

2 ი ქ ვ ე, გვ. 451.

მოქმედებითი, ცოცხალი აზრით"[1]. „წარმოსახვის ფართო შესაძლებლობით"[2] და ამრიგად, უნდა ასახოს საგანი, ცხოვრების მოვლენები არა მკვდარი, უსულო ფოტოგრაფიული სურათის სახით, არამედ გონებით, აზრით, არსებითი თვისებების ჩვენებით, წრფელი გრძნობებით, ფართო წარმოსახვითა და პოეტური შემოქმედებითი უნარით. მისი აზრით, ხელოვნება ვერ შეასრულებს თავისი მოწოდების დიდ ფუნქციას და ვერ განახორციელებს მის საპატიო მიზანს, თუ იგი დაკმაყოფილდა ცხოვრების ფოტოგადაღებით და არ შეარჩია არსებითი მოვლენათა და საგანთა მრავალფეროვნებაში. ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩერნიშევსკიმ დაუშვა ღრმა შეცდომა, როდესაც გაიზიარა მცდარი შეხედულება, თითქოს ხელოვნება სინამდვილის სუროგატს წარმოადგენდეს[3].

დიდი რევოლუციონერ-დემოკრატი აღიარებდა ლიტერატურის ხალხურობას, განსაკუთრებით, როგორც იდეის, შინაარსის, ისე ფორმისა და სტილის თვალსაზრისით. იგი ლიტერატურასა და ხელოვნებას უკავშირებდა პატრიოტიზმის გრძნობებს. პატრიოტული გრძნობა მასთან განუყრელად არის დაკავშირებული თავისუფლების მოპოვებისა და ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლის იდეასთან. მისი ეს თეზისი მოწოდება იყო ბატონყმობის მოსპობისაკენ, მშრომელთა მასების გათავისუფლებისაკენ. ლიტერატურაც, მისი გაგებით, ამ იდეათა და სულისკვეთებათა განსახიერება უნდა ყოფილიყო.

დიდი რევოლუციონერ-დემოკრატი ლიტერატურაში უდიდეს, წამყვან და დომინირებულ როლს ანიჭებდა მოწინავე იდეოლოგიას, საზოგადოების კეთილშობილური მისწრაფებების განხორციელებისათვის მებრძოლ პროგრესულ იდეას. იგი რეალისტური ხელოვნებისათვის მთავარ დამახასიათებელ თვისებად თვლიდა იდეურ მიმართულებას, ხალხის პოლიტიკური აღზრდის ფუნქციას. ამ თვალსაზრისით განიხილავდა მწერლის შემოქმედების ღირსება-ნაკლოვანებებს. ცნობილია, რომ გოგოლის შემოქმედების შეფასებისას ჩერნიშევსკიმ დიდი რუსი მწერლის ზოგი შემოქმედებითი სისუსტე ახსნა მისი მიმართულების ნაკლოვანებით. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ დიდი მოაზროვნე ყოველთვის აფასებდა მხატვრული ნაწარმოების ფორმას. მხატვრული ფორმა, ჩერნიშევსკის აზრით, არის შინაარსის ორგანიზაციის პრინციპი, მისი სტრუქტურული მხარე, რადგანაც ფორმა

---

1 ნ. გ. ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ს კ ი, დას. წიგნი, გვ. 451.

2 ი ქ ვ ე, გვ. 450.

3 ი ქ ვ ე.

არის შინაარსის გამოხატვა, ამიტომ იგი ისეა მასთან მჭიდროდ დაკავშირებული, რომ შინაარსისაგან მისი გამოყოფა — ნიშნავს თვით შინაარსის განადგურებას, და პირიქით: შინაარსის ფორმისაგან გამოყოფა ნიშნავს ფორმის განადგურებას. სინამდვილის ასახვა უნდა ხდებოდეს „იდეისა და ფორმის ერთიანობაში, ანუ იმაში, რომ საგანი სავსებით აკმაყოფილებდეს თავის დანიშნულებას"[1] — წერდა ჩერნიშევსკი.

ბუნებაში მარადიული და წუთიერი მშვენიერების პრობლემასთან დაკავშირებით ხელოვნების შეფასებისას ჩერნიშევსკიმ დაუშვა გარკვეული შეცდომა, როდესაც ხელოვნებისა და ლიტერატურის უდიდესი ქმნილებანიც კი ზოგჯერ წუთიერ, მარადიულობას მოკლებულ მოვლენად წარმოიდგინა და განაცხადა: „პოეზიის ნაწარმოებებში მალე ძველდება ენა, და ამ მიზეზის გამო, ჩვენ არ შეგვიძლია დავტკბეთ შექსპირით, დანტეთი. ვოლფრამით ისე თავისუფლად, როგორც მათი თანამედროვენი სტკბებოდნენ... არც ფერწერაში, არც მუსიკაში, არც არქიტექტურაში არ მოიძებნება თითქმის არც ერთი ნაწარმოები, 100 ან 150 წლის წინათ შექმნილი, რომელიც ახლა არ გვეჩვენებოდეს ან უსიცოცხლოდ, ან სასაცილოდ, მიუხედავად მასზე აღბეჭდილი გენიის მთელი სიძლიერისა. და ჩვენი თანადროული ხელოვნებაც ორმოცდაათი წლის შემდეგ ხშირად ღიმილს გამოიწვევს"[2].

აქ ერთგვარად დიფერენცირებული არ არის ხელოვნებისა და ლიტერატურის გენიალური ქმნილებანი, უდიდესი მხატვრული ძეგლები, რომლებიც ყოველთვის ინარჩუნებენ მშვენიერების მარადიულობასა და უკვდავებას და სუსტი, დაბალი ხარისხის თხზულებანი, რომელთა არსებობა და მშვენიერება წუთიერი და სწრაფწარმავალია.

სადისერტაციო ნაშრომში ჩერნიშევსკი მიუთითებდა, რომ მშვენიერი ფორმა ხელოვნების ყოველგვარი ნაწარმოების მართლაც აუცილებელი თვისებააო[3], რომ მხატვრულია ისეთი თხზულება, რომელშიაც განხორციელებულია ჭეშმარიტი იდეა და ფორმა სავსებით შეესაბამება იდეასო.

რუსი მოაზროვნის შესახებ ზემოთქმულის ერთგვარ დასკვნად გამოდგება ბურსოვის შემდეგი სიტყვები:

„ჩერნიშევსკის ესთეტიკა, ისე, როგორც მთელი მისი მატერიალისტური და რევოლუციური მსოფლმხედველობა, ღრმად ოპტიმისტურია. ჩერნიშევსკის, როგორც ჭეშმარიტად რევოლუ-

---

[1] ნ. გ. ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ს კ ი, დაბ. შრომა, გვ. 425.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 366-367; შდრ. გ. ჯიბლაძე, ხელოვნება და სინამდვილე, გვ. 394-396.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 412.

ციონერსა და მატერიალისტს, სწამდა სამართლიანი სოციალური წყობილების გამარჯვება, მას სწამდა ადამიანი და ხალხის ძალა. ამიტომ, მისთვის საესებით უცხო იყო პესიმისტური და იდეალისტური შეხედულებანი ხელოვნების მომავლის შესახებ"[1].

* **

სამოციანი წლების რევოლუციური სიტუაციის პერიოდში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა გენიოსი კრიტიკოსი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე დობროლუბოვი. ეს უდიდესი რუსი მოაზროვნე ღირსეულად ავითარებდა ბელინსკისა და გერცენის პროგრესულ ტრადიციებს და ნ. ჩერნიშევსკისთან ერთად დიდებით ბრწყინავდა რუსეთის დიდ რევოლუციურ-დემოკრატთა პლეადის გენიალურ თანავარსკვლავედში. მკვლევართა სამართლიანი დახასიათებით, იგი ბელინსკის, ჩერნიშევსკის, გერცენსა და ნეკრასოვთან ერთად იყო მოწინავე რუსული რევოლუციური აზრის, სამოციანი წლების რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობისა და რუსული სულიერი ცხოვრების ერთერთი გამოჩენილი ბელადი. იგი ჩერნიშევსკისთან ერთად იყო გლეხური რევოლუციის იდეოლოგი და გამოხატავდა ყმა გლეხთა პროტესტს მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

დიდი პატრიოტის, მგზნებარე ინტერნაციონალისტის, ფილოსოფოსის, პუბლიცისტისა და პოეტის ნ. დობროლუბოვის გამოჩენა „სოვრემენნიკის" ფურცლებზე წარმოადგენდა უდიდეს მოვლენას. მისმა პირველმავე წერილმა „ქარიშხალი" ატეხა და ლიტერატურული კრიტიკის დიდოსტატის სახელი მოუპოვა. ჩერნიშევსკიმ და ნეკრასოვმა იმთავითვე შეამჩნიეს კრიტიკოსისა და მოაზროვნის ფენომენალური ნიჭიერება და უყოყმანოდ ჩააბარეს მას ჟურნალ „სოვრემენნიკის" ლიტერატურული განყოფილება. თავის მხრივ დობროლუბოვმა დააარსა ჟურნალის დამატება „სვისტოკი", რომელმაც, აგრეთვე, დიდი როლი შეასრულა პოლიტიკური სატირისა და იუმორის განვითარების საქმეში. ცნობილია, რომ დობროლუბოვის რევოლუციური დემოკრატიზმის თეორიული საფუძველი იყო ფილოსოფიური მატერიალიზმი, გამაგრებული დიალექტიკური მიდგომით საზოგადოებისა და ბუნების მოვლენათა ახსნაში. ეს მატერიალიზმი წარმოადგენდა მარქსამდელი ფილოსოფიური აზრის უმაღლეს ფორმას. თავისი მრავალფეროვანი, მდიდარი, პრინციპული,

---

[1] Бурсов, Чернышевский как литературный критик, М., 1951, გვ. 22.

მაღალიდეური შემოქმედებით დობროლუბოვმა სწრაფად მიიპყრო ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება და მისი ცხოველმყოფელი ზეგავლენა განიცადა არა მარტო რუსეთის იმპერიის პროგრესულმა ინტელიგენციამ, არამედ საზღვარგარეთულმაც. მას დიდად აფასებდა კარლ მარქსი და, როგორც პოეტს, ლესინგისა და დიდროს გვერდით აყენებდა.[1]

დობროლუბოვის მთელი შემოქმედება შთაგონებული იყო ბატონყმობისა და ცარიზმის წინააღმდეგ შეურიგებელი, შეუპოვარი და დაუნდობელი რევოლუციური ბრძოლის პათოსით. იგი წარმოადგენდა დიდი კრიტიკოსის პოლიტიკური მისწრაფების საფუძველს. დობროლუბოვი ფილოსოფიას, მეცნიერებას, ეთიკას, პუბლიცისტიკას, ლიტერატურასა და ხელოვნებას ერთიანად, განუყოფლად აკავშირებდა პოლიტიკურ შეხედულებებთან, ანიჭებდა მათ პოლიტიკურ ფუნქციას ეპოქის მწვავე და ცენტრალური პრობლემის — გლეხთა საკითხის რევოლუციურ-დემოკრატიული თვალსაზრისით გადაწყვეტაში. იგი აცხადებდა, რომ თუ მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება უსარგებლოა საზოგადოებისათვის, ის მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება არ არის ნამდვილი ლიტერატურა და ხელოვნებაო.

დიდი რევოლუციონერ-დემოკრატი სასტიკად კიცხავდა „პეტერბურგის კლიმატს“ (V, 208), ცარიზმისა და მებატონეთა მიერ გატარებულ საგლეხო „რეფორმებს“. იგი სასტიკი რეაქციის მძვინვარების პირობებში იძულებული იყო „ეზოპური ენით“ გამოეხატა თავისი უკმაყოფილება „რეფორმებისადმი“, ეჩვენებინა მისი უკიდურესი უბადრუკობა, ბატონყმური ხასიათი და სისაძაგლე. დიდი კრიტიკოსი მოუწოდებდა რეფორმით მოტყუებულ, გაძარცვულ და მონობის კაბალაში ჩაჭედილ გლეხობას რევოლუციური ბრძოლით ცარიზმის დამხობისაკენ, რათა მშრომელთა მიწაზე, მონური შრომის ნაცვლად დამკვიდრებულიყო ადამიანთა თავისუფალი და დამოუკიდებელი ცხოვრება.

დობროლუბოვმა, როგორც მარქსამდელი პერიოდის უდიდესმა მატერიალისტმა და დიალექტიკოსმა, საფუძვლიანად გააკრიტიკა ჰეგელის იდეალისტური თეორია და მისი ესთეტიკური შეხედულებანი. იგი ისე, როგორც ბელინსკი, ჩერნიშევსკი და ნეკრასოვი, გმირულად იბრძოდა არსებული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის — „შინაური თურქების“ წინააღმდეგ. მას გულს უკლავდა მშრომელი ხალხის — ყმაგლეხობის უუფლებო, მონური ცხოვრება და მოუწოდებდა მუქთახორებისა და

---

[1] Карл Маркс и Фридрих Энгельс об искусстве, т. 1, М., 1957, გვ. 537.

მჩაგვრელების მოსპობისაკენ, ხალხის ბედნიერი ცხოვრების დამყარებისაკენ.

დობროლუბოვი, ისე როგორც ჩერნიშევსკი და საერთოდ რუსეთის სხვა რევოლუციური დემოკრატები, ქადაგებდა სოციალიზმის დამყარების აუცილებლობას. მაგრამ სოციალიზმის განხორციელებისათვის მის მიერ არჩეული გზა, ისე, როგორც საერთოდ რევოლუციონერ-დემოკრატებისა, იყო უტოპიური. რევოლუციურ დემოკრატთა და კერძოდ, დობროლუბოვის აზრით, რუსეთში სოციალიზმზე გადასვლა შეიძლებოდა გლეხური რევოლუციის შედეგად ბატონყმური წყობილებისა და ცარიზმის დამხობის შემდეგ, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების გარეშე — გლეხური „თემური" „ობშჩინის" გაერთიანების გზით. ამ თვალსაზრისით, როგორც ცნობილია, დობროლუბოვი უტოპისტ-სოციალისტად გვევლინება.

დობროლუბოვს სხვაგვარი წარმოდგენა სოციალიზმის მიღწევის გზებსა და საშუალებებზე მაშინდელ ვითარებაში არ შეიძლებოდა ჰქონოდა, ისევე, როგორც არ ჰქონია იგი ჩერნიშევსკისაც. მაგრამ დობროლუბოვი, ისე, როგორც ჩერნიშევსკი, იყო რევოლუციონერი დემოკრატი, თანამიმდევარი რევოლუციონერი, «страстно ненавидевший произвол и страстно ждавший народного восстания против «внутренних турок» — против самодержавного правительства»[1]. და დობროლუბოვისათვის, ისე, როგორც ჩერნიშევსკისათვის, დამახასიათებელია ძველი ხელისუფლების დასამხობად, მასების ბრძოლის იდეა[2].

აღსანიშნავია, რომ დობროლუბოვი, სწორედ ისე, როგორც საერთოდ რუსი რევოლუციონერი დემოკრატები, კარგად აფასებდა დასავლეთ ევროპის სოციალისტ-უტოპისტთა შეხედულებებს. მას მოსწონდა სენ-სიმონის, რობერტ ოუენის, შარლ ფურიესა და სხვათა მიერ გაშლილი კრიტიკა ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ. აშკარა მხილება გაბატონებულ კაპიტალისტთა კლასის მიერ მუშების დაუზოგავი ექსპლოატაციისა. მათი მისწრაფება ახალი სოციალისტური საზოგადოების შექმნისა, სადაც ადგილი აღარ ექნებოდა ხალხის ჩაგვრას, დაბეჩავებას, სადაც ყველა მუშა მატერიალურად უზრუნველყოფილი იქნებოდა და ისარგებლებდა სულიერი და კულტურული სიკეთით.

უტოპიური სოციალისტების გულუბრყვილო, კეთილი ოცნება, თავისი მიზანდასახულობით ერთგვარად იზიდავდა რე-

---

[1] В. И. Ленин, Соч., т. 5, стр. 296.

[2] ვ. ი. ლენინი, ტ. 17, გვ. 130.

ვოლუციონერ-დემოკრატებს და მათ შორის დობროლუბოვსაც. მაგრამ ჩვენი რევოლუციონერ-დემოკრატები სავსებით როდი იზიარებდნენ დასავლეთ ევროპის უტოპისტების შესედულებებს სოციალიზმის დამყარების გზებისა და საშუალებების შესახებ. დობროლუბოვი, ისე როგორც ჩერნიშევსკი, სასტიკად აკრიტიკებდა ბურჟუაზიულ წყობილებას, გაბატონებულ კაპიტალისტთა კლასსა და მმართველ ზედაფენებს და დაუნდობლად ამხელდა მათ მიერ მშრომელი ხალხის ველურ ექსპლოატაციას. უწყალო ჩაგვრას. იგი არასოდეს არ ამყარებდა იმედს იმ გულუბრყვილო, უტოპიურ და უნიადაგო ოცნებაზე, რომ კაპიტალისტები თავიანთი შეგნებით, განათლების გავრცელების ზეგავლენით, ზნეობრივი შეგონებით, მუშებთან მოლაპარაკებით და მათი მდგომარეობის გათვალისწინებით უომრად, მშვიდობიანი გზით, თავიანთი ნებითა და სურვილით, ნებაყოფლობით დათმობდნენ ექსპლოატაციას, ხელს აიღებდნენ მშრომელთა სისხლის წოვაზე და დათანხმდებოდნენ სოციალიზმის აშენებაზე. ამიტომაც იყო, რომ რობერტ ოუენის უტოპიურ სოციალიზმს დობროლუბოვი „ბავშვურ შეცდომას“ უწოდებდა და აღნიშნავდა, რომ ექსპლოატატორები ნებაყოფლობით არასოდეს არ აიღებდნენ ხელს სხვისი შრომის ექსპლოატაციაზე, და რეფორმებით, განათლებითა და შეგონებით, მოლაპარაკებითა და დარწმუნებით შეუძლებელია მჩაგვრელთა დათმობაზე წასვლა. საჭიროა შეუდრეკელი, დაუნდობელი, რევოლუციური ბრძოლა არსებული ბატონყმურ-ბიუროკრატიული რეჟიმის დასამხობად, არსებული მართვა-გამგეობის მთელი სისტემის მოსასპობად და ამ გზით მშრომელთა ჩაგვრისაგან გამოხსნა-გათავისუფლება. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ხალხის ბედნიერი ცხოვრების დამყარებაო. დობროლუბოვი გამოხატავდა „გლეხური, მებრძოლი რევოლუციური“ ბრძოლის პათოსს, რევოლუციურ დემოკრატიზმს, „გლეხურ დემოკრატიზმს“, ცარიზმისა და ბატონყმობით განაწამები გლეხობის უძლიერეს სწრაფვას ჩაგვრის მძიმე უღლისაგან განთავისუფლებისათვის. ამდენად, როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, დობროლუბოვი შეუძლებელია დასავლეთ ევროპის სოციალ-უტოპისტების თანამიმდევარი ყოფილიყო. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს დობროლუბოვი ავითარებდა აზრს: გაბატონებულ მჩაგვრელ წრეებში განათლების გავრცელება სრულებითაც არ უზრუნველყოფს მშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესებასო. ცნობილ წერილში «От Москвы до Лейпцига» იგი წერდა:

«С развитием просвещения в эксплуатирующих классах только форма эксплуатации меняется и делается более лов-

кою и утонченною; но сущность все-таки остается та же, пока остается по-прежнему возможность эксплуатации»[1].

დობროლუბოვი პროგრესის გამარჯვების, მჩაგვრელთა დამხობისა და სოციალიზმის დამყარების დიდ გადამწყვეტ იმედს ხალხზე, მის ძალასა და უძლეველობაზე ამყარებდა. ამიტომ იყო, რომ დაუღალავად აღვივებდა ხალხში მომავლის მტკიცე რწმენას, დაჯერებულ ოპტიმიზმს და გულწრფელად თანაუგრძნობდა ხალხის ლტოლვას, იდეალებს, ელოდებოდა ხალხის ჩაგვრისაგან გათავისუფლებას, ახალი „ნამდვილი დღის" გათენებას, „წყვდიადი სამყაროს", სიბნელისა და ბოროტების სამეფოს დანგრევას, ჭეშმარიტების, სინათლისა და სიმართლის გამარჯვებას. გენიოსი მოაზროვნე მოუთმენლად ელოდა ხალხის ინტერესთა დამცველ, ხალხურობითა და კეთილშობილური პატრიოტიზმით შთაგონებულ, ენერგიულ, რევოლუციური პათოსით ანთებულ ახალ ადამიანებს. ცნობილ წერილში „როდისღა დადგება ნამდვილი დღე" იგი დამაჯერებლად აცხადებდა: ნამდვილი დღე ნამდვილად მოვა, იგი ნამდვილად დადგებაო.

დობროლუბოვს ღრმად სწამდა რუსი ხალხის მებრძოლი სულისკვეთებისა, მისი დიდი და ამოუწურავი პოტენციისა. სჯეროდა, რომ ველურ კაბალასა და ექსპლოატაციაში მოქცეული ეს გოლიათური ძალა თავს დააღწევდა ძილს, გაიღვიძებდა ბუმბერაზი და ძირს დასცემდა ტირანიას, დაამსხვრევდა მონობის საუკუნოვან ბორკილებს, დიდებით მოიპოვებდა თავისუფლებას და ახალ ქვეყანას მოევლინებოდა სამართლიანი საზოგადოებრივი წყობის აღმაშენებლად: «...вольным мужем жизни новой». დობროლუბოვი უდიდესი მგზნებარებით მოუწოდებდა:

Проснись, о Русь! Восстань, родная!
Взгляни, что делают с тобой!
Твой царь, себя лишь охраняя,
Сам нарушает твой покой. (V, 219).

რევოლუციური პატრიოტიზმით ღრმად შთაგონებული დობროლუბოვი იმედით შეჰყურებდა რუსი ხალხის ლეთარგიული ძილისაგან გამოფხიზლებას და მსოფლიო ასპარეზზე მის დიდებით გამოსვლას. ამისათვის კი დიდ კრიტიკოსს აუცილებელ პირობად მიაჩნდა მშრომელი ხალხის რევოლუციური, მრის-

---

[1] Н. А. Добролюбов. Полное собр. соч., в шести томах, под общей редакцией П. И. Лебедева-Полянского, М., ОГИЗ, Госиздательство «Художественная литература », т. IV, стр. 394.

შემდეგში ყველგან მითითებული იქნება ამ გამოცემის მხოლოდ ტომი — რომაული ციფრით და გვერდი — არაბული ციფრით.

ხანე აზვირთება და ბოროტების, ბატონყმობისა და ცარიზმის სამუდამოდ დასამარება. იგი ცმირული დიდების, რევოლუციური ბრძოლებისაკენ მოუწოდებდა რუსეთს:

Вставай же, Русь, на подвиг славы, —
Борьба велика и свята!..
Возьми свое святое право
У подлых рыцарей кнута... (VI, 226).

მისი სტრიქონებიდან ქრის რევოლუციური პატრიოტის ბობოქარი განცდები, ნათელი მიზანი, ხალხის საყვარელი შვილის სამართლიანი გულისთქმა; ძლიერი რევოლუციური გადატრიალების მოხდენა, გლეხური რევოლუციის გაჩაღება და ცარიზმის ბორკილების მსხვრევა, ტირანიის განადგურება, რაც მის პოეტურ ფანტაზიას ძალუმად ასაზრდოებდა და საინტერესო მხატვრულ სახეებს შთააგონებდა:

И пусть злодеи затрепещут
И в прахе сгибнут навсегда,
И ярким светом пусть заблещет
Величья русского звезда (VI, 226).

დობროლუბოვი პოეტურად გააზრებულად წარმოგვიდგენს თავის ლექსში გათავისუფლებული ხალხის ჭეშმარიტად მომხიბვლელ იერსახეს. ეს იერსახე გაბრწყინებულია სპეციალურად შერჩეული სიტყვებით. ეს სიტყვებია: ძლიერი, მაღალკულტურული, სახელოვანი, გოლიათი, თავისუფალი...

Глазам Европы изумленной
Предстанет русский исполин,
И на Руси освобожденной
Явится русский гражданин (VI, 227).

ამგვარი შთაგონებით უწინასწარმეტყველებდა დობროლუბოვი თავის საყვარელ სამშობლოს უდავო გამარჯვებას და გაბედულად ნერგავდა ხალხში ამ ნათელ რწმენას.

დიდი კრიტიკოსის ღრმა რწმენით ისტორიის მუდმივი და აუცილებელი ტენდენციაა მუქთახორების განადგურება, ადამიანის თავისუფალი, კანონიერი უფლებების მოთხოვნა, ქვეყნად შრომის სუფევის დამყარება. დობროლუბოვი, როგორც თავისუფლებისათვის მებრძოლი რაინდი, თავის ერთ-ერთ ლექსში «Еще работы в жизни много» აცხადებდა: «На труд и битву я готов» (VI, 266), და ამასთან, მეგობრებს მოუწოდებდა „საზოგადოებრივი მოქმედების შექმნისაკენ", ე. ი. რევოლუციური ბრძოლისაკენ. მოითხოვდა ჩაძინებული, ჩამორჩენილი, რუტინით დაბნელებული, ჭაობიანი ცხოვრების გამოღვიძებას,

მის ადგილიდან დაძვრას, გაწმენდას, მისი სახის, ფორმისა და შინაარსის შეცვლას და გამოფხიზლებას მოუწოდებდა. მისი აზრით, საჭირო იყო გამოფხიზლებულ ქვეყანას ემოქმედა და ეშრომა ძლიერების მოსაპოვებლად, „მოქმედი ცხოვრების" დამკვიდრებისათვის. ასე ესმოდა მას გათავისუფლებული და განახლებული რუსეთის წინსვლა.

გენიალურ წერილში „სინათლის სხივი ბნელეთის სამეფოში" დობროლუბოვი იწონებს ოსტროვსკის მიერ მხილებულ მჩაგვრელთა უსამართლობას და კიცხავს ისეთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სისტემას, რომლის წიაღშიც ძალადობა ფეხქვეშ უხეშად თელავს ადამიანთა ღირსებას, პიროვნებას, სადაც მძვინვარებს ხალხის სასტიკი მოპყრობა, დაბეჩავება, შიში, შიმშილი, გაღატაკება-გაჩანაგება, უმოწყალო ძარცვა-გლეჯა. დიდ მოაზროვნეს მშრომელი ხალხის მტანჯველად მიაჩნდა როგორც ფეოდალიზმი, ისე მისი ნაშთები და ცარიზმი, აგრეთვე კაპიტალისტები და მათი დამცველი რელიგია. ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში დობროლუბოვი რელიგიას ასე ამათრახებს:

Религия прощать врагов нас учит —
Молчать, когда нас царь гнетет и мучит.

დობროლუბოვის ახლო მეგობრის მ. ი. შემანოვსკის მოგონებაში აღნიშნულია, რომ მან სასტიკად მამხილებელი და გაბედული ლექსი დაწერა ხალხის უბოროტესი მტრის ნიკოლოზ პირველის გარდაცვალებასთან დაკავშირებითო. ლექსი აშკარა მოწოდებაა თვითმპყრობელობის, „სამხედრო დესპოტიზმის" დამხობისაკენ. აღნიშნულ ლექსში მთელი პრინციპულობით არის გაკიცხული ვერაგი იმპერატორი. ავტორი მას უწოდებს ხალხის სისხლისმსმელს, რომელიც ერთბაშად კი არა, არამედ ნელნელა, წვეთ-წვეთობით სწოვს ადამიანებს სისხლს, რათა უფრო მეტი ტანჯვა მიაყენოს. დობროლუბოვი იმპერატორს ტირანს ეძახის, რომელიც ყოველგვარ ახალს, ვარგისს, პროგრესულს სდევნის და განვითარება-დამკვიდრების საშუალებას არ აძლევს: «все ловил, душил, он все ссылал в Сибирь».

ლექსის დასასრულს კი ახალი მეფის შესახებ წერდა:

Не правь же, новый царь, как твой отец ужасный,
Поверь, назло царям, к свободе Русь придет,
Тогда не пощадят тирана род несчастный,
И будет без царей блаженствовать народ.
(VI, 227—228).

დობროლუბოვის ამგვარი პოლიტიკური, კრიტიკული პათოსით აღსავსე ლექსები დიდი წარმატებით ვრცელდებოდა ხალხ-

ში. მ. ი. შემანოვსკის გადმოცემით ლექსი «Ода на смерть Николая I» დაწერილია 1855 წლის 18 თებერვალს, ნიკოლოზ პირველის სიკვდილის დღეს. ეს ლექსი, ისევე, როგორც სხვა მრავალი, ვრცელდებოდა პეტერბურგში ხელნაწერთა სახით. ამხანაგები გადაწერილ ტექსტს უგზავნიდნენ ერთმანეთს და ამ გზით იგი იმპერიის სხვა ქალაქებსა და რაიონებსაც ეფინებოდა. ამასვე ადასტურებს მ. კ. ლემკეს სიტყვები: ეს ლექსი, რომელიც ეკუთვნოდა 19 წლის სტუდენტს, ძლიერ ფართო პოპულარობით სარგებლობდა საზოგადოებაშიო (VI, 746, VI გვ. XI).

ხალხის ტანჯვის შემაძრწუნებელი სურათი და სამხედრო დესპოტიზმის ვერაგული სახე დახატა დობროლუბოვმა ლექსში «Газетная Россия». აქ მხილებულია ცარიზმის მთელი სისტემის ველური ხასიათი. ნათქვამია, რომ ხალხს პირველ რიგში სტანჯავს მეფე, სინოდი, სასამართლო და ყველა, ვინც კი თვითმპყრობელობით არის ზურგგამაგრებული. პოეტი ხედავს მილიონთა უმაგალითო ჩაგვრას, ესმის ტანჯულთა გულშემზარავი კვნესა და აცხადებს:

«Видал насильства архиереев и государственных воров... и бар блистательные балы на счет обеда их рабов» (VI, 232).

ხოლო სხვა ლექსებში, კერძოდ «Думы при гробе Оленина» და «К Розенталю» დობროლუბოვი აღტაცებულია, რომ:

Без малодушия, боязни
Уж раб на барина восстал
И, не страшась позорной казни,
Топор на деспота поднял.
(VI, 226).

მებრძოლი სულის ადამიანი ხალხში ნერგავდა და აღვივებდა ოპტიმიზმის დიად რწმენას და მღელვარე, გლეხთა ცეცხლოვანი მომავლით გულმოცემული დაჯერებით აცხადებდა:

Восстанет он, разить готовый
Врагов свободы и добра, —
И для России жизни новой
Придет желанная пора.
(VI, 225).

დობროლუბოვი, როგორც აღვნიშნეთ, იმთავითვე დაინტერესებული იყო „ეპოქის დიდი საკითხებით", ეპოქალური, მწვავე სოციალური პრობლემატიკის ახსნით. იგი სასტიკად ებრძოდა მებატონეებსა და ცარიზმს და გულწრფელად მოელოდა ტირანიის დამხობას, არსებული რეჟიმის დამპალი, დახავსებული შენობის დანგრევას და ახალი, სამართლიანი ცხოვრების გამარჯვებას. ამიტომ ხალხს მოუწოდებდა გმირული ბრძოლებისა-

კენ, არსებული წყობილების რევოლუციური გადატრიალებისაკენ.

დობროლუბოვი, ჩერნიშევსკისთან ერთად, სასტიკად ებრძოდა ლიბერალებს. იგი ხედავდა, რომ თავის დროზე ლიბერალებმა თითქოს ერთგვარი როლი შეასრულეს „ზედაფენების" ზოგიერთი სიმახინჯის მხილებაში, მაგრამ დობროლუბოვისათვის სავსებით აშკარა იყო, რომ ლიბერალებს თავიანთი კლასობრივი ინტერესებით, მდგომარეობითა და მიმართულებით არ შეეძლოთ და არც სურდათ მემამულურ-თვითმპყრობელური წყობილების რევოლუციური გზით დამხობა. როგორც აღვნიშნეთ, ვ. ი. ლენინის დახასიათებით 60-იანი წლების ლიბერალებს ჩერნიშევსკიმ „მოლაყბენი", „მკვეხარები" და „სულელები" უწოდა.[1] ცნობილია, რომ ლიბერალები არ უარყოფდნენ და არ ამხელდნენ ბატონყმობის მთელ სისტემას. ისინი კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ მცირე, ნაწილობრივი რეფორმებით, ცალკეული უარყოფითი მხარეების გამოსწორებით, ხალხისათვის მხოლოდ უმნიშვნელო დათმობების მიღებისათვის. მათ საშინლად ეშინოდათ რევოლუციისა და გლეხთა აჯანყებების. ლიბერალები შენიღბული სახით, მაღალფარდოვანი, ლამაზი სიტყვებითა და მოწოდებებით გამოდიოდნენ არსებული წყობილების ზოგიერთ მოვლენათა წინააღმდეგ, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მათ სიტყვასა და საქმეს შორის აშკარა წინააღმდეგობა სუფევდა. ისინი სიტყვით სხვას ამბობდნენ, საქმითა და მოქმედებით კი საწინააღმდეგოს აკეთებდნენ. მათ „თეორიასა" და „პრაქტიკას" შორის უფსკრული სუფევდა. ისინი ისე, როგორც მებატონეები, იცავდნენ კერძო ბატონყმურ მესაკუთრეობასა და მემამულეთა ძალაუფლებას. „ლიბერალები ისევე, როგორც მებატონეები, იდგნენ მემამულეთა საკუთრებისა და ბატონობის აღიარების ნიადაგზე; ისინი აღშფოთებით ჰგმობდნენ ყოველგვარ რევოლუციურ აზრს ამ საკუთრების მ ო ს პ ო ბ ი ს შესახებ, ამ ბატონობის ს რ უ ლ ი დ ა მ ხ ო ბ ი ს შესახებ"[2].

ლიბერალთაგან განსხვავებით, დობროლუბოვი ცრუ პათოსისა და ცარიელი სიტყვის ნაცვლად მოითხოვდა აქტიურ პრაქტიკულ მოქმედებას, „ცოცხალ, ნამდვილ საქმეს", ე. ი. რევოლუციურ ბრძოლას უსამართლობის დასამხობად. იგი სასტიკად გმობდა და ამხელდა ლიბერალების მოქარგულ, ლამაზ, უნაყოფო, თვალთმაქც, მონურ, ხალხის მოსატყუებლად გამიზნულ შემპარავ, უმაქნისო მჭევრმეტყველებას და მოითხოვდა

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 17, გვ. 130.

[2] იქვე, გვ. 128.

„ახალ და ამაყ სიტყვას“, რომელიც შესძრავდა და აადუღებდა მოქალაქის გულს და გაიტაცებდა მას ფართო და თვითმყოფი მოქმედებისაკენ (IV, 92). ცარიელი, უნაყოფო სიტყვებისა და ფრაზების ნაცვლად დობროლუბოვი მოითხოვდა ხალხისათვის სასარგებლო საქმეს, თავდადებულ და შეუდრეკელ ბრძოლას „პრაქტიკული მოქმედებისათვის“ (II, 274). ე. ი. გლეხთა განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის.[1] „ცოცხალი საქმის“ ჰიმნია დიდი კრიტიკოსის შემდეგი სტრიქონები:

Я ваш, друзья, — хочу быть вашим,
На труд и битву я готов, —
Лишь бы начать в союзе нашем
Живое дело вместо слов.
(V, 266).

დობროლუბოვი ისე, როგორც საერთოდ რევოლუციონერ-დემოკრატები, ლიბერალებს სამართლიანად მიიჩნევდა ხალხის უბოროტეს მტრებად და დაუზოგავად იბრძოდა მათ წინააღმდეგ.

დობროლუბოვს ისტორიის მამოძრავებელ ძალად მიაჩნდა ხალხი, იგი აღიარებდა ხალხის დიდ ისტორიულ როლს და აღნიშნავდა, რომ ისტორიის მსვლელობაში ყველაზე დიდი მონაწილეობის მიღება ხალხს უხდებაო, ხოლო სრულიად მცირე — პიროვნებასო. კრიტიკოსი კიცხავდა ისეთ ისტორიულ ნაწარმოებს, რომელშიც მხოლოდ მეფეების, მხედართმთავრებისა და დამპყრობელი სარდლების ისტორიაა მოთხრობილი, ხოლო ხალხი კი დავიწყებულია. ასეთი ისტორია დობროლუბოვის აზრით არ არის ნამდვილი ისტორია. იგი ემსგავსება „უპატრონო სახლს“ «Дом без хозяина». ისტორიამ უნდა გვიჩვენოს მისი მამოძრავებელი ძალა, ხალხი, მისი შრომა, ბრძოლა და ადგილი ისტორიული ცხოვრების ქარტეხილიან პროცესში. დიდი კრიტიკოსი იბრძოდა ისტორიული ფაქტების ფალსიფიკაციის წინააღმდეგ და აღიარებდა ისტორიული სიმართლის ზუსტად დაცვის აუცილებლობას. მას დაუშვებლად მიაჩნდა ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების როგორც დამცირება, ისე „შელამაზებაც“. მაგრამ ისიც შეიძლება აღინიშნოს, რომ ერთ დროს დობროლუბოვმა დაუშვა შეცდომა, როდესაც ისტორიის მამოძრავებელ ძალად, მის ამოსავალ პუნქტად სწავლა-განათლება მიიჩნია.

დობროლუბოვის პროგრესული იდეალები და დემოკრატიული პატრიოტიზმი, პირველ რიგში, შთაგონებული იყო რუსული კლასიკური ლიტერატურის გენიით, მილიონობით მშრომელი

[1] В. С. Кружков, გვ. 151.

გლეხის მოწინავე მისწრაფებებითა და ფიქრებით, ხალხის მჩაგვრელთა უღლისაგან — ბატონებისა და ცარიზმისაგან განთავისუფლების რევოლუციური ბრძოლის პათოსით. ეს ნამდვილი დემოკრატიული პატრიოტიზმი შეერთებული იყო ინტერნაციონალიზმთან, ხალხთა სიყვარულის, პატივისცემისა და მეგობრობის წმინდა იდეალთან. დიდი მოაზროვნე ხალხში ნერგავდა ცოცხალ, მოქმედ, აქტიურ პატრიოტულ და უმწიკვლო ინტერნაციონალურ გრძნობებს. იგი დაუღალავად ებრძოდა უგვარტომო, მაწანწალა კოსმოპოლიტებს, უცხოეთის წინაშე უბადრუკ ქედისმოხრასა და მლიქვნელობას, თავისი ქვეყნის თვითმყოფი სოციალური და კულტურული განვითარების, მისი სახელოვანი წარსულისა და დიადი მომავლისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას. მისი პატრიოტიზმი ვერ ეგუებოდა ხალხთა შორის მტრობასა და უპატივცემულობას, სხვა ხალხთა ძვირფას კულტურულ მიღწევათა შეუფასებლობას; სასტიკად კიცხავდა შოვინიზმის ყოველგვარ გამოვლინებას და იბრძოდა დაბეჩავებული ერების თავისუფლებისათვის. რევოლუციური დემოკრატების ამ თანაგრძნობას კარგად გრძნობდნენ, სხვათა შორის, ქართველი მოღვაწენი იმ დროისა. ამის დადასტურება არის იაკობ გოგებაშვილის სიტყვებიც. დიდი ქართველი პედაგოგი ი. გოგებაშვილი, ქართველ სამოციანელთა ანალოგიურად, საქართველოს განთავისუფლების რწმენას და რუს ხალხთან ძმობა-მეგობრობის განმტკიცებას მჭიდროდ უკავშირებდა ახალ რუსეთს, განახლებული რუსეთისათვის რევოლუციური, პროგრესული თაობის ბრძოლას. იგი წერდა: „საბედნიეროდ, რუსეთს ცოტა არა ჰყავს ისეთნი შვილნი, რომელნიც სულ სხვანაირად ფიქრობენ. ეს კიდევ ცოტაა. ისინი ზიზღით და გულამღვრეულები უცქერიან იმ სისტემას, რომლის ძალითაც ერთი ერი ფიქრობს მეორე ერის აღმოფხვრას. მაშინ, როდესაც ეს მეორე ერი მეგობრულად შეჰყურებდა პირველსა. ამისთანა საუკეთესო შვილნი დიდის მხნეობით ებრძვიან ამჟამად პოლიტიკოსების და კარიერისტების კაცთმოძულებას. ეჭვს — გარეშეა, რომ მომავალი ბედი რუსეთისა ამ საუკეთესო მის შვილთა ხელში იქნება. ეს გარემოება აძლიერებს ქართველთა გულში იმედს, რომ მოვახერხებთ და მშვიდობიანის გზით შევინარჩუნებთ ჩვენს მიწა-წყალსაც, ჩვენს ეროვნებასაც... და უკეთეს მერმისსაც შევესწრებით“.[1]

უფრო ადრე იაკობი დიდად აფასებდა რუსეთის რევოლუ-

---

[1] ი. გოგებაშვილი, რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები, ტ. I, 1910, გვ. 525-526.

ციონერ-დემოკრატებს, მათს ინტერნაციონალურ შთაგონებასა და მხარდაჭერას დაჩაგრული ერების განთავისუფლების, ბნელეთის „ჭაობიდან გამოყვანის“ საქმეში. იგი აღნიშნავდა: ჩვენი პატრიოტები „ნატროპენ იმასვე, რასაც მოისურვებდნენ... რუსეთის უნიჭიერესნი მოდასაელეთნი (ე. ი. რევოლუციონერ-დემოკრატები — პ. კ.): ბელინსკი, დობროლუბოვი, ავტორები რომანებისა: „ვინ ტყუის“ (ე. ი. „ვინ არის დამნაშავე“), და „რა ვქნათ“ (ე. ი. „რა ვაკეთოთ?“ — პ. კ.), შჩედრინი და სხვანი. ჩვენის პატრიოტების მოქმედება იმ ეროვნულს გზასვე ადგია, რომელიც ხსენებულის მეორე რომანის ავტორმა ჩერნიშევსკიმ ვალად დაადო უკრაინელებს“[1]. იმ პირობებში, რეაქციის მძვინვარების პერიოდში, იაკობს ამაზე უფრო გარკვეულად და ნათლად არ შეეძლო გამოეთქვა თავისი აზრი და თავისი დამოკიდებულება რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების მიმართ. საქმეში ჩახედული და დაკვირვებული მკითხველისათვის აქ ყველაფერი ნათელია და გასაგები.

ბელინსკისა და ჩერნიშევსკის მსგავსად და ანალოგიურად დობროლუბოვიც იცავდა მატერიალისტური ესთეტიკის, რეალისტური ხელოვნებისა და ლიტერატურის პრინციპებს. ლიტერატურისა და ხელოვნების ძირითად ფუნქციად იგი აღიარებდა ხალხის ინტერესებისადმი სამსახურს, დაუცხრომელ ბრძოლას ბატონყმობისა და ცარიზმის წინააღმდეგ. უსამართლო წყობილების მიერ განაწამებ, დაჩაგრულთა, დაბეჩავებულთა, დამონებულთა, მშიერთა და უსახლკაროდ მიტოვებულ ადამიანთა განთავისუფლებისათვის უანგარო სამსახურს დიდი მოაზროვნე ლიტერატურასა და ხელოვნებას საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ნაწილად თვლიდა (IV, 171). ხელოვნება, დობროლუბოვის აზრით, ხალხის ცხოვრების მაჯისცემასთან, მის ცოცხალ სიმებთან უნდა იყოს დაკავშირებული და იგი მოხდენილი ყნოსვით, მიგნებით, მასთან ძლიერი შემოქმედებითი მისვლით, აქტიურად უნდა ემსახურებოდეს ხალხის ინტერესებს, ეხმაურებოდეს მის ტკივილებს, სიხარულს, ტანჯვასა და მოწინავე მისწრაფებებს. ცნობილია, რომ დობროლუბოვმა თავის კრიტიკულ წერილებში მაშინდელი რუსეთის ცხოვრება დაახასიათა როგორც „ბნელეთის სამეფო“, „დამპალი ჭაობი“, „მყრალი საპყრობილე“, „სევდიანი სასაფლაო“ და „ბინძური მორევი“. დიდი მოაზროვნისათვის ნათელი იყო, რომ იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ბრძოლების ცენტრში იდგა „გლეხთა საკითხი“, ბატონყმობისა და ცარიზ-

[1] ი. გოგებაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

მის დამხობის აუცილებლობის პრობლემა. ამიტომ, დობროლუბოვის რწმენით, საჭიროა ამ ბოროტებათა წინააღმდეგ სასტიკი, რევოლუციური ბრძოლა, რაც უნდა აწარმოოს მშრომელმა მილიონებმა. ამასთანავე, ჭეშმარიტი ლიტერატურა და ხელოვნება, ასახავს რა რეალური ცხოვრების სიმართლეს, უნდა გვიჩვენებდეს ყველა ბოროტების საფუძველის — ბატონყმობისა და ცარიზმის სიდამპლეს, სადაც ბატონობს „დილეგური, სამარისებური მდუმარება და საშინელი სიბნელე. სადაც «Нет ни света, ни тепла, ни простора; гнилью и сыростью веет темная и тесная тюрьма. Ни один звук с вольного воздуха, ни один луч светлого дня не проникает в нее» (II, 54). ხელოვანმა უნდა დაგვიხატოს ამ ველური ძალადობისა და დესპოტიზმის სურათი, გვიჩვენოს მისი წარმავლობა, მომაკვდაობა. იგი უნდა უმღეროდეს ახალს, პროგრესულ მამოძრავებელ ძალებს, ხელს უწყობდეს ძირდამპალი სოციალური და პოლიტიკური წყობილების დანგრევას.

დიდი კრიტიკოსის აზრით, ნამდვილი ხელოვნება და ლიტერატურა, რეალისტური კრიტიკა შთაგონებული უნდა იყოს რევოლუციური პოლიტიკური ბრძოლის პათოსით. ასეთი ლიტერატურა სამართლიანად უპასუხებს მთელი ხალხის მოთხოვნილებას, მისი მოქმედების არე ძალზე ფართოვდება და თავისუფალი იქნება ვიწრო წრეობრივი ინტერესებისაგან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამგვარი ლიტერატურა და ხელოვნება ზოგადკაცობრიული ხასიათისაა, რადგან მშრომელთა კლასის ინტერესები, დაჩაგრული ხალხის ინტერესები, იმავე დროს, არის საკაცობრიო ინტერესები.

ხელოვანი, პოეტი ხალხის სიყვარულით გარემოსილი ტრიბუნია — აცხადებდა დიდი მოაზროვნე. ლიტერატურამ ცხოვრებისეული მოვლენები უნდა ასახოს, მასში უნდა გამოავლინოს ხალხის საუკეთესო, პროგრესული მისწრაფებანი, უნდა იყოს ღრმად პატრიოტული, ე. ი. ებრძოლდეს გაბატონებულ უსამართლობას და შთაგონებული იყოს ხალხურობით, ემსახურებოდეს ხალხის ინტერესებს.

ხელოვნება აქტიურად უნდა უწყობდეს ხელს ხალხის განმათავისუფლებელი, რევოლუციური ბრძოლის გაღვივებას და დაუღალავად იღვწოდეს ხალხში განათლების გავრცელებისათვის, შეგნების ამაღლებისათვის. იგი, როგორც აღვნიშნეთ, ხე-

ლოვნებისა და ლიტერატურისაგან დაჟინებით მოითხოვდა ხალხის ცხოვრებისა და მათ ცხოვრებაში მომხდარი მოვლენების მხატვრულ ასახვას მშრომელთა მისწრაფებისა და იდეალების თვალსაზრისით. დიდი კრიტიკოსის აზრით, ხელოვნება და ლიტერატურა ხალხურ, გასაგებ ფორმებს უნდა იყენებდეს, რაკიღა მას ხალხის მასების სამსახური გადაუწყვეტია, ამრიგად, დობროლუბოვმა დაამუშავა ხალხურობის ახლებური გაგების პრინციპები. იგი წერდა:

«Народность понимаем мы не только как умение изобразить красоты природы местной, употребить меткое выражение, подслушанное у народа, верно представить обряды, обычаи и т. п.... Но, чтобы быть поэтом истинно народным, надо больше; надо проникнуться народным духом, прожить его жизнью, стать вровень с ним, отбросить все предрассудки сословий, книжного ученья и пр..., прочувствовать все простым чувством, каким обладает народ» (I, 235—236).

აქვე აღსანიშნავია, რომ დობროლუბოვს ადრინდელი ლიტერატურული ტრადიცია არ მიაჩნდა ხალხურობით შთაგონებულ მწერლობად. ხალხის სიყვარულის გამომსახველ პოეტთაგან იგი მხოლოდ ლერმონტოვს აფასებდა. დიდი კრიტიკოსის ამგვარი შეხედულების წყაროს წარმოადგენდა ისტორიზმის ბოლომდე დაუცველობა.

საერთოდ კი, ძალზე საგულისხმოა დობროლუბოვის ის თეზისი, რომ ჭეშმარიტი ლიტერატურა უნდა ვაქციოთ ხალხის საკუთრებადო. ეს დებულება, ბუნებრივია, კრიტიკოსისათვის, რომელიც მომავლის იმედით იყო გულდაჯერებული და ღრმად სწამდა ხალხის მასების დიდი მომავალი. მას ახარებდა იმის მოლოდინი, რომ მომავალ თაობას მოელოდა არა იძულებითი, არამედ სასიხარულო შრომა.

ე. წ. „წმინდა ხელოვნების“ იდეალისტური შეხედულების წინააღმდეგ ბრძოლაში იგი ხელოვნებისა და ლიტერატურის აუცილებელ საპატიო მისიად თვლიდა, რეალური ცხოვრების სიმართლით ასახვასთან ერთად, ხალხის შთაგონებას მოწინავე, მებრძოლი იდეალებით.

აბსოლუტური, განყენებული, ცხოვრების სინამდვილეს მოწყვეტილი, სიბარიტული ხელოვნების მიმდევართა წინააღმდეგ რომ იბრძოდა, დობროლუბოვი პოეტის აუცილებელ მოვალეობად თვლიდა ცოცხალი სინამდვილის, რეალური ცხოვრების მოვლენების მთელი სისავსით განცდას.

დიდი კრიტიკოსის აზრით, მწერლის შემოქმედებას უნდა ახასიათებდეს „სინამდვილისადმი ერთგულება და ცოცხალი სიმართლე". ამასთანავე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ რამდენად ფართოა ის სფერო, რომელსაც ასახავს მწერალი, და რამდენად მნიშვნელოვანია ფაქტების ის მხარე, რომელიც მას აინტერესებს და რამდენად ღრმად წვდება მას (II, 52).

ივანე ნიკიტინის ლექსთა კრებულის შესახებ დაწერილი რეცენზია მთელი სისავსით ავლენს დობროლუბოვის მიერ ლიტერატურის კლასობრივი ბუნების თავისებურ გაგებას. იგი სვამს რევოლუციური რეალიზმის პრობლემას, რომლის გადაწყვეტა, კრიტიკოსის აზრით, შეუძლია მხოლოდ დემოკრატიულ ლიტერატურას (II, 718).

«Теперь жизнь — წერდა დობროლუბოვი — со всех сторон предъявляет свои права, реализм вторгается всюду, назло мистификаторам всякого рода. Жизненный реализм должен водвориться и в поэзии, и ежели у нас скоро будет замечательный поэт, то, конечно, уж на этом поприще, а не на эстетических тонкостях» (II, 578).

ცხოვრებისეული, რევოლუციური რეალიზმის დამცველი დიდი კრიტიკოსი პოეტის უკვდავებას, მის მარადიულობასა და დიდებას ხედავდა დაჩაგრული კლასისადმი სამსახურში. ხოლო თუ მწერალი ამ გზას ასცდა და გაჰყვა უიდეო, „წმინდა ხელოვნების" მიმართულებას, მის შემოქმედებაში დაისადგურებს უფერულობა, განსაზღვრულობა და მეოცნებეობა (II, 578).

დიდი პოეტური ოსტატობით დახატული ბუნების სურათები, წერდა დობროლუბოვი, მხოლოდ წუთიერ წარმატებას მიანიჭებს პოეტს, მხოლოდ ქიმერულ, ეფემერულ პოპულარობას მოუტანს, მაგრამ იგი ვერასოდეს ვერ მოიპოვებს საზოგადოების ცოცხალ და ენერგიულ თანაგრძნობას. კრიტიკოსი მიუთითებდა: «Восход солнца, пение птичек, блаженство сладострастья, неопределенное томление о чем-то, воспоминания из мифологии, истории и т. п. теперь могут быть изображены очень хорошо и доставить минутный успех поэту; но никогда не привлекут к нему того живого, деятельного и энергичного сочувствия, которое всегда появляется в обществе к людям, нужным в известную эпоху, не даром живущим на свете» (II, 578).

საზოგადოებას, ხალხს უფერული და მეოცნებე პოეზიის ნაცვლად ენერგიული, მოქმედი, მებრძოლი ლირიკა და ლირიკოსი სჭირდება, ისეთი ლირიკოსი, რომელიც შთაგონებულია პოლიტიკური ვნებითა და პათოსით.

დემოკრატმა კრიტიკოსებმა იცოდნენ, რომ მხოლოდ დიდი

აზრები და მართალი გრძნობები ანიჭებენ პოეზიას მხატვრულ ძალმოსილებასა და მარადიულ სიცოცხლეს.[1]

პოეზიაზე ამგვარი რადიკალური შეხედულების საფუძველზე დობროლუბოვი ერთგვარი ნიჰილისტური მიდგომით აფასებდა პუშკინის, ლერმონტოვისა და თითქმის მთელი თანადროული პოეტების თხზულებათა იდეურ შინაარსს. იგი წერდა:

«Прочтите всего Пушкина, Лермонтова, почти всех современных поэтов: много ли найдете вы у них задушевных звуков, вызванных простыми, насущными потребностями жизни? Повсюду фантазия, аллегория, эфир; реализм появляется только в описаниях природы» (II, 516).

ცხადია, რუსული პოეზიის მზის, დიდი მსოფლიო პოეტების მიმართ ამგვარი დამოკიდებულება ერთგვარ ნიჰილისტურ ხასიათს ატარებდა. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დიდი კრიტიკოსი მაღალი შთაგონებით და პატივისცემით აფასებდა პუშკინისა და ლერმონტოვის პოეტურ გენიას და, როგორც ეს სამართლიანადაა შენიშნული მკვლევართა მიერ, მოუწოდებდა დემოკრატიულ პოეტებს ესწავლათ პუშკინის სილამაზისა და ლერმონტოვის ძალისაგან, რათა მით შეიარაღებულებს, ყოველგვარი ბრმა მიბაძვის გარეშე, სამსახური გაეწიათ ბატონყმობისა და ცარიზმის წინააღმდეგ ხალხის რევოლუციური ბრძოლების გასაჩაღებლად (II, 719). დობროლუბოვი წერდა: «Нам нужен был бы теперь поэт, который бы с красотою Пушкина и силою Лермонтова умел продолжить и расширить реальную, здоровую сторону Кольцова» (II, 579).

ე. ი. ასახოს ჯანსაღი, ცხოვრებისეული სინამდვილე.

დობროლუბოვის რწმენით, ისე როგორც ბელინსკისა და ჩერნიშევსკის აზრით, ხელოვნებისა და ლიტერატურის საფუძველია რეალური ცხოვრება. ცხოვრება კი არ მიედინება ლიტერატურული თეორიების მიხედვით, არამედ ლიტერატურა იცვლება ცხოვრების კანონებისა და მიმართულების მიხედვით და ვითარდება საზოგადოების განვითარების კვალობაზე; ლიტერატურა რაღაცას კი არ ქმნის არაფრისაგან, არამედ იგი ასახავს ცხოვრების სინამდვილეს. გენიოსი მოაზროვნე უარყოფდა „წმინდა ხელოვნების" მიმდევართა იდეალისტურ შეხედულებას მშვენიერების იდეის უცვლელობისა და მარადიულობის შესახებ. მწერალს უნდა შეეძლოს, წერდა იგი «уловить и выразить красоту, находящуюся в самой природе предмета, а не... самому выдумывать прекрасное»[2].

[1] В. Жданов, Добролюбов, Издательство ЦК ВЛКСМ «Молодая гвардия», М., 1961, стр. 269.

[2] Н. А. Добролюбов. Полн. собр. соч. в 6-ти томах, I, стр. 125.

უიდეო, განყენებული ხელოვნების დამცველთა წინააღმდეგ დობროლუბოვი მიუთითებდა, რომ ერთნაირი ნიჭის მქონე პოეტთა შორის ის მწერალია უფრო სასარგებლო და მისაღები, რომელიც ოსტატობით წარმოსახავს საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებს და არა ის, რომელიც თავის ტალანტს ხარჯავს ფოთლებისა და ნაკადულების სანიმუშო აღწერისათვის (II, 10). გენიალურ ნაწარმოებში აზრი, მაღალი იდეა გამოსახვის რეალურობას გულისხმობს. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს ცხოვრების დაგეროტიპულ ასლგადაღებას. მწერლის ვალია შემოქმედებითად ასახოს სინამდვილე და ნაწარმოების უდავო ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის, „თუ რამდენად ემსახურება იგი დროისა და ხალხის ბუნებრივ მისწრაფებათა გამოხატვას". ამრიგად, დობროლუბოვის მართებული გაგებით, ხელოვნება და ლიტერატურა ასახავს ცხოვრების სინამდვილეს და შეუძლებელია დაკმაყოფილდეს მისი პასიური ჭვრეტით, მონური ასლგადაღებით, ცხოვრების უბრალო „სარკედ" წარმოსახვით, მის სტატიკური სახის წარმოდგენით. მან მსჯავრი უნდა დასდოს ცხოვრებისეულ მოვლენებს, განიხილოს იგი, გამოავლინოს კარგი ტენდენციები და დაგმოს უხეირო, წარმართოს ხალხის მისწრაფებანი, უკარნახოს მას სწორი მიმართულება და პოლიტიკურ სიტუაციაში თანამდგომად გაუჩნდეს, გვერდით ამოუდგეს, წინ წარუძღვეს, წამოაყენოს ეპოქის მწვავე პრობლემა, რომელიც შთაგონებული უნდა იყოს რევოლუციური-პროგრესული იდეალებით.

«Мерою достоинства писателя или отдельного произведения мы принимаем то, насколько служат они выражением естественных стремлений известного времени и народа»[1].

დობროლუბოვის მიერ ხელოვნებისა და ლიტერატურის „უტილიტარული", პოლიტიკური ფუნქციის აღიარება შორსაა შეხედულებისაგან, რომ თითქოს რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურა და ხელოვნება ემსახურება რა პოლიტიკას, გარკვეული პოლიტიკური მისიის შესრულების შემდეგ გადაგვარდება. დიდი კრიტიკოსის მიერ აღიარებული პრინციპები—ხელოვნების, ცხოვრების მოვლენების ღრმა იდეური და მაღალმხატვრული ასახვა, სავსებით უპასუხებს ხელოვნებისა და ლიტერატურის, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მოვლენათა გამოხატვის თავისებური ფორმის, უკვდავებისა და მარადიულობის პრინციპს.

დობროლუბოვის წრმენით, მაღალგანვითარებულ პოეტურ გრძნობასთან, ცოცხალ წარმოსახვასთან, მხატვრულ ფორმას-

[1] Н. А. Добролюбов. Избр. соч., 1947, стр. 146, 291.

თან ერთად, მხატვრული ნაწარმოების ღირსება ფასდება, ერთი მხრივ, მასში გამოხატული აზრის სიღრმით, იდეით, ხოლო, მეორე მხრივ, მისი პოეტური გრძნობის ძალით. დიდი კრიტიკოსის აზრით ხელოვნებისა და ლიტერატურის საფუძველია ცოცხალი ცხოვრება და იგი საზრდოობს და ვითარდება რეალური ცხოვრების საფუძველზე. ხელოვნება დამოკიდებულია ცხოვრების სინამდვილეზე. მაგრამ ხელოვნება და ლიტერატურა, თავის მხრივ, უკუზეგავლენას ახდენს თვით ცხოვრებაზე და იგი მოწოდებულია მონაწილეობა მიიღოს ცხოვრების გაუმჯობესებაში, ხალხის რევოლუციურ ბრძოლებში.

დობროლუბოვი, ისე როგორც საერთოდ რევოლუციონერ-დემოკრატები, თავის კრიტიკულ წერილებში აღნიშნავდა, რომ ცხოვრების მოვლენათა სიმართლით ასახვა, როგორც ხელოვნებისა და ლიტერატურის აუცილებელი პირობა, სრულიადაც არ გულისხმობს რეალური ცხოვრების დაგეროტიპულ ასლგადაღებას. იგი წერდა:

«...художник — не пластинка для фотографии, отражающая только настоящий момент: тогда бы в художественных произведениях и жизни не было, и смысла не было» (II, 373).

მწერალმა შემოქმედებითად უნდა წარმოსახოს სინამდვილე და ცოცხალი ცხოვრების დაქსაქსული, ნაირსახოვანი და წინააღმდეგობრივი მხარეები გადაამუშაოს და ერთიანობაში წარმოადგინოს თავისი მსოფლგაგების საფუძველზე. მაგრამ სინამდვილის მრავალფეროვანი მოვლენების ასახვა და ხატვა ყოველთვის როდია ლიტერატურის ღირსება. დობროლუბოვის აზრით, თხზულების უდავო ღირსებად უნდა ჩაითვალოს სიმართლის ერთგულებასთან ერთად ისიც, თუ რამდენად ემსახურება იგი დროისა და ხალხის ბუნებრივ, ცოცხალ, საარსებო მისწრაფებათა გამოხატვას. ზუსტად რომ ვთქვათ, პოეტური ნაწარმოების ღირსებად უნდა ჩაითვალოს ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლა. სახელგანთქმულ წერილში „სინათლის სხივი ბნელეთის სამეფოში" იგი წერს:

«Стоит ли автор в уровень с теми естественными стремлениями, которые уже пробуждались в народе или должны скоро пробудиться по требованию современного порядка дел; затем — в какой мере умел он их понять и выразить и взял ли он существо дела, корень его, или только внешность, обняв ли общность предмета или только некоторые его стороны» (II, 327).

ჩერნიშევსკის მსგავსად დობროლუბოვიც ხელოვნებისა და ლიტერატურისაგან მოითხოვდა ცხოვრების რეალისტურ ასახვას, მის ახსნას, მასზე მსჯავრის დადებას უამისოდ, კრიტიკო-

სის აზრით, ლიტერატურა და ხელოვნება კარგავს თავის დანიშნულებას, ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლის ფუნქციას.

დობროლუბოვის ბრწყინვალე კრიტიკულმა წერილებმა საერთო-სახალხო პოპულარობა და ავტორიტეტი დაიმკვიდრეს. იგი აზრთამპყრობელი გახდა მთელი მაშინდელი პროგრესული საზოგადოებისა. მისმა პრინციპულმა, ბრძნულმა, მძაფრმა და მებრძოლმა რევოლუციურმა ლიტერატურულმა კრიტიკამ უდიდესი როლი შეასრულა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის რუსული რევოლუციური აზრის განვითარებაში, ფართო გაქანება მისცა მებრძოლ, რეალისტურ კრიტიკულ აზროვნებას. აგრეთვე, რევოლუციურ-დემოკრატიულ, მატერიალისტურ მსოფლმხედველობას. გენიოსმა მოაზროვნემ დიდად შეუწყო ხელი არსებული უსამართლო წყობილების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას.

დობროლუბოვის გარდაცვალებამ უდიდესი მწუხარება გამოიწვია მთელ პროგრესულ საზოგადოებაში. რევოლუციონერ-დემოკრატთა ბელადი ნ. ჩერნიშევსკი წერდა:

«Я — тоже полезный человек, но лучше бы я умер, чем он. Лучшего защитника потерял в нем русский народ».

დობროლუბოვის შრომები ძვირფასი ფონდია რუსულსა და მსოფლიო კრიტიკული ლიტერატურის მდიდარ საგანძურში.

გამოჩენილი მოაზროვნე დ. პისარევიც დაუნდობლად ებრძოდა უაზრო და უმიზნო ხელოვნებას და გააფთრებით ესხმოდა თავს „წმინდა ხელოვნების“ მიმდევრებს. მოღვაწეობის შემდგომ საფეხურზე დ. პისარევმა და ზაიცევმა ხელოვნებაზე „მცდარი„ ნიჰილისტური შეხედულება განავითარეს.

* * *

მთელი ამ პროგრესული მოძრაობის ცენტრი პეტერბურგი იყო. ძირითადად აქ იყო თავმოყრილი რუსეთის მოწინავე საზოგადოებრიობა. პეტერბურგის უნივერსიტეტში ვრცელდებოდა მოწინავე საზოგადოებრივი აზრები და რადიკალური იდეები. ეს გარემოება ხელს უწყობდა პეტერბურგში, კერძოდ უნივერსიტეტში, მოსწავლე ქართველ ახალგაზრდობას ხარბად დაწაფებოდა თავისი დროის მოწინავე იდეებს და განეცადა მათი ცხოველმყოფელი ზეგავლენა.

პეტერბურგის იმდროინდელ უნივერსიტეტსა თუ სხვა უმაღლეს სასწავლებლებში საკმაო რაოდენობის ქართველი ახალგაზრდობა სწავლობდა და მოღვაწეობდა. ამ ახალგაზრდობის მოწინავე რაზმმა, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ქართველ სამოციანელთა სახელოვანი კრებული, „თერგდალეულთა"

პროგრესული მოღვაწეები წარმოშვა. ქართველ სტუდენტთა რჩეულ ჯგუფს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული თავისი უდიდესი მისია მშობელი ქვეყნის წინაშე და გულმოდგინედ ემზადებოდა სამშობლოს სამსახურისათვის. „მიტომ ვზრდით ჭაბუკ სულსა, რომ ოდესმე გამოვადგეთ დაობლებულს ჩვენს მამულსა“, ან კიდევ: „მამულს სიცოცხლე შევწიროთ შვილურის ერთგულებითაო“-ო, წერდა სტუდენტი ილია ჭავჭავაძე. ამ მიზნით აწრთობდნენ ისინი სულს, ცოდნით იმდიდრებდნენ გონებას და ბეჯითად სწავლობდნენ ქართულ, რუსულ და ევროპულ ლიტერატურას, დაუღალავად ეწაფებოდნენ რუსეთის დიდ რევოლუციონერ-დემოკრატთა შეხედულებებს, უდიდესი გატაცებით კითხულობდნენ „სოვრემენნიკს“. მონაწილეობდნენ რევოლუციური ბრძოლების გაღვივებასა და სტუდენტთა მოძრაობაში. პეტერბურგი თავისი აბობოქრებული, მღელვარე ცხოვრებით, აგრეთვე როგორც მოწინავე კულტურის ცენტრი, ხარბად იზიდავდა მრავალ ახალგაზრდას, მათ შორის ქართველებსაც, და ყველა დიდი შთაგონებით გამოხატავდა მისადმი დიდ სიყვარულს, მის წიაღში გატარებულ მღელვარე ცხოვრებას, მის უდიდეს ცხოველმყოფელ გავლენას და მისადმი მადლიერებას.

პროფესორ ი. ი. სრეზნევსკისადმი მიწერილ წერილში დობროლუბოვი პეტერბურგს თავისი აზრის სამშობლოს უწოდებდა: «Там мои родные по душе, там родина моей мысли». წერდა იგი. გამოჩენილი ქართველი კრიტიკოსი და მოაზროვნე ნ. ნიკოლაძე უდიდესი სიყვარულის გრძნობით გამოხატავდა თავის გატაცებასა და მადლიერებას პეტერბურგისადმი. იგი წერდა: „პეტერბურგი ის ქალაქია, სადაც მე პირველი ახალგაზრდული აღტაცება და ყმაწვილური ოცნების ეშხი გამიცვნია, სადაც პირველად აყვავებულა ჩემი გრძნობა და იმედი, სადაც პირველი ნათელი და მძლავრი შთაბეჭდილება ღირსებია ჩემს ტვინსა და გულს. რაღაც უცნაური ძალა და გავლენა ეძლევა ჩვენს გრძნობიერებაზე ყოველ იმ ალაგს, სადაც ჩვენს სიყმაწვილეში ზნეობის ფეხი აგვიდგამს, სადაც ჩვენ ბედნიერნი ან უბედურნი ვყოფილვართ, სადაც ჩვენს გრძნობას მძლავრი მღელვარება გამოუვლია, სადაც ჩვენ გვიშრომია და პირველჯერ გამარჯვების ან დამარცხების კვამლით თავბრუ დაგვხვევია და განსაცდელი გაგვიცვნია... კაცს უყვარს ამნაირი ადგილი, ის ნიადაგ მშვენიერი სურათებით და ფერით იხსენებს იმას, თუმც ცხრა მთას გადაღმა იყოს... იმას თითქო თვალწინ უდგება მაშინდელი თანამოძმეების და გმირების პირისახე, ეჩვენება მათი თვალისა და გრძნობის ალი, ესმის მათი ხმა და სიტყვა, და

ხელი გაუგებრად იწევა, უნდა შეეხოს ამ საყვარელს ქმნილებებს, უნდა მოეხვიოს და გულზე დაიკრას".[1] ნ. ნიკოლაძის მიერ პეტერბურგის შესახებ გამოხატული აღტაცება დამახასიათებელი იყო იმ დროის ქართველი სტუდენტებისათვის. ნ. ნიკოლაძეს, ისე, როგორც სხვა მოწინავე ქართველ სტუდენტობას, ხიბლავდა პეტერბურგის მწერლობა, მისი პროგრესული, რევოლუციური ხასიათი და ბობოქარი, აზრთა ჭიდილის მდინარება, მისი ძალა და შთაგონება. „ყველაზე უფრო, — წერდა ნ. ნიკოლაძე,—მიზიდავს მე პეტერბურგში იქაური მწერლობის ბედი და მდგომარეობა. მე რაღაც უცნაური სურვილი მაქვს მის ხასიათსა და მსვლელობას ვაკვირდებოდე და მის წარმატებას ყოველთვის მსიარულებაში მოვყავარო"[2]. ქართველი სტუდენტობის დიდი გატაცება რუსი რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურითა და ჟურნალ „სოვრემენნიკით", მათი აქტიური ინტერესი და მსჯელობა, დინჯი, საქმიანი ფიქრი ჟურნალში დაბეჭდილი მასალების ბეჯითად და საფუძვლიანად შესწავლის მიზნით, შესანიშნავადაა აღწერილი ნ. ნიკოლაძის მოგონებაში: „რა დრო იყო მაშინ, რომ იცოდე, მკითხველო! რანაირი მოუთმენლობით და წყურვილით ველოდით ჩვენ ახალგაზრდები, იმ ბედნიერ დღეს, როცა საყვარელი ჟურნალის ახალი წიგნი გამოვიდოდა! რა აღტაცებით და აჩქარებით, რა სიხარბით და დაუღალველობით დავეწაფებოდით ჩვენ მის კითხვას, რანაირად გვიფეთქდა ჩვენ მაშინ გული, გვიღელავდა გრძნობა და გვეწოდა ტვინი და გონება! რამდენი გრძელი, ბოლომოუღებელი, ჩრდილოეთის ზამთრის ღამე გაგვითენებია ჩვენ მის კითხვაში, მის აზრების რჩევაში, მის სიტყვების სჯაში, მათზე დავაში, და რამდენი შემდეგი ღამეები მოუსვენრად უწვალებივართ იმ გრძნობის მღელვარებას, იმ აზრის მუშაობას, რომელიც ამ ჟურნალს ჩვენში მოუხდენია! ვინ დათვლის ამ ხანგრძლივი ბედნიერების, აღტაცების, ტვინის წვალების და გრძნობის ამაღლების დღეებს, ან ვინ დაივიწყებს მათ სანიადაგოთ გულში ჩაბეჭდილ კვალს![3]

პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტები ცალკე წრეებად იყვნენ შეკრულნი და ერთად თავდავიწყებამდე მეცადინეობდნენ, აანალიზებდნენ, არჩევდნენ წაკითხულის ყოველ აზრს და ენერგიული მუშაობის, ახლის ძიებისა და ნაცნობის ღრმად და შეგნებულად შეცნობის საქმიან ატმოსფეროში ოცნებობდნენ

---

[1] ჟურნალი „კრებული", 1873, № 4, გვ. 48-150.

[2] იქვე, გვ. 150.

[3] იქვე, გვ. 151—152.

ახალი იდეების ათვისებისა და სამშობლო ქვეყნის სადიდებელ „დიდთა საქმეთა“ აღსრულებისათვის. „მივჯდებოდით ხოლმე კუთხეში, — წერს ნ. ნიკოლაძე, — დავიწყებდით სჯას, მოაზრებას, „ხმა მაღლა ფიქრს“, გადავარჩევდით, რაც მაქამდე გვსმენოდა, ვაშენებდით ოცნებებს, როგორც პაწია ბავშვები ბანქოს სახლებს აწყობენ, ანდა ვისხედით ჩუმათ, ჩაფიქრებული... მერე მოვშორდებოდით ერთმანეთს, კითხვას ვიწყებდით და ისევ ერთად ვსჯიდით ახალ ამოკითხულ აზრებს... ასე ვფიქრობდით ერთად და ასე ვსჯიდით ერთმანეთის გამოკითხვით ყველაფერს, რასაც კი დავინახავდით... ვიგრძნობდით... ასე მიფრინავდნენ დღეები და კვირეები, თითქოს ერთი წუთის მეტი არ გაგვეტარებია“[1].

ამგვარი თავდადებული და საარაკო შრომა ქართველ ახალგაზრდობას ზრდიდა და ამზადებდა ხალხისადმი მომავალი, უანგარო და თავდადებული სამსახურისთვის: „მაშინდელი ჩვენი მუსაიფის ან მსჯელობის საგანი, — წერდა ნიკოლაძე, — მაშინდელი შრომის მიზანი ის იყო, თუ რა მოვალეობა გვაწევს კისერზე ხალხისადმი, ან რა სახით უფრო სჯობია მომზადება ამ მოვალეობის ასასრულებლად“[2]. ქართველ სტუდენტობას, ისე როგორც დობროლუბოვს, პეტერბურგი საოცნებო ქალაქად მიაჩნდა იქ მყოფი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი მოღვაწეებით — „როდნოე პო დუშუ“ — მათი გრძნობის თანამოზიარენი, მომავალი ბედისა თუ უბედობის თანამოძმენი... რომელთაც კეთილი საქმისათვის, მომავლისათვის თავი დადვეს[3].

ქართველ სამოციანელთა და მათთან ერთად, აკაკი წერეთლის მსოფლმხედველობის, ესთეტიკური პრინციპებისა და პოეტური კულტურის ჩამოყალიბება-განვითარებაში უდიდესი და გადამწყვეტი როლი შეასრულა მრავალსაუკუნოვანმა ქართულმა ლიტერატურამ, ქართველი ხალხის მოწინავე ტრადიციებმა, მდიდარმა ხალხურმა შემოქმედებამ, პროგრესულმა ქართულმა კულტურამ და ქართველი ხალხის ისტორიულმა ცხოვრებამ. ჩვენი სამოციანელები და აკაკი შთაგონებული იყვნენ თავიანთი ხალხის გენიით, მისი სიბრძნით, მებრძოლი პათოსით, ძლიერი ოპტიმიზმით, საუკეთესო მისწრაფებებითა და იდეალებით. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ „თერგდალეულთა“ იდეურ-პოლიტიკურ და ესთეტიკურ შეხედულებათა ფორმირებაში დიდი როლი შეასრულეს რუსულმა უმდიდრესმა ლიტერატურამ და მოწინავე კულტურამ რადიშჩევის, გრიბოედოვის, პუშკინის,

---

1 ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. 1, გვ. 76.

2 იქვე.

3 „კრებული“, № 4, გვ. 152—153.

გოგოლის, ლერმონტოვის, ტურგენევის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, ნეკრასოვის, ტოლსტოის და სხვა გამოჩენილ რუს მოღვაწეთა და მწერალთა იდეებმა და ესთეტიკურმა შეხედულებებმა.

ქართველი მესამოციანელები დიდად აფასებდნენ რუს ხალხს, მის პროგრესულ კულტურას, მეცნიერებას, მსოფლიოში განთქმულ ლიტერატურასა და ხელოვნებას, მისი ზემოქმედების ძალასა და გავლენას, პეტერბურგის პროგრესულ საზოგადოებრიობასა და უნივერსიტეტში მიღებულ ცოდნასა და განათლებას.

გავიხსენოთ დიდი ილიას მიერ პეტერბურგის უნივერსიტეტში ოთხი წლის განმავლობაში მიღებული ცოდნისა და მომზადების ცნობილი შეფასება. სამშობლოსაკენ მომავალი, თავის ქვეყანაზე ღრმად ჩაფიქრებული პოეტი წერდა: „ოთხი წელიწადი იყო, რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი!.. იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული. მაგრამ ყველასათვის კი არა, მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, — ფეხი აადგმევინოს. ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჭაბუკის ტვინსა და გულში გამოჰკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა. ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომლიდანაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძაღლ-ყურძენაცა. ოო, ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბეწვის ხიდი ფეხთაქვეშ არ ჩასწყდომია, ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა“.[1] პეტერბურგის უნივერსიტეტში მიღებული სწავლის დიდ შეფასებასთან ერთად, ილია განსაკუთრებით მიუთითებს რუსეთში მიღებული ცოდნის „ჭაბუკის ტვინსა და გულში ცხოვრების კვირტის გამოკვანძვაზე“, მის მადლიან ზემოქმედებაზე. ამასთანავე, დიდმა ილიამ კარგად იცოდა, რომ დიდი კულტურის მქონე ერისაგან ღრმა ცოდნისა და განათლების შეთვისებისა და სამშობლოში მის პრაქტიკულად გამოყენება-განხორციელებისათვის საჭიროა ადგილზე მომზადებული ნოყიერი ნიადაგი, ერის ისტორიულ-კულტურული ცხოვრების მდიდარი პროგრესული ტრადიცია და მოღვა-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. თხზულებათა სრული კრებული, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. II, 1950. გვ. 10-11.

წესაც თ.ავისი „ქვეყნის დვრიტა“ უნდა ჰქონდეს დადებული და ამ ნიადაგზე შემოქმედებითად იყენებდეს შეთვისებულ ცოდნასა და განათლებას. ილია ჭავჭავაძე, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, დიდად აფასებდა რუსი ხალხის მდიდარ და მრავალფეროვან ლიტერატურას, მის მეტად ნაყოფიერ ზემოქმედებას ახალი ქართული საზოგადოებრივი აზრისა, კულტურული ცხოვრებისა და ლიტერატურის განვითარებაში. დიდი პედაგოგი ი. გოგებაშვილი, ქართველ სამოციანელთა ანალოგიურად, ახალი რუსეთის მიერ საქართველოს განთავისუფლების რწმენას, რუს ხალხთან მჭიდრო მეგობრობისა და ძმობა-სიყვარულის განმტკიცებას უკავშირებდა.

აკაკი დიდად აფასებდა რუსეთში მიღებულ ცოდნას, იქ ქართველი ახალგაზრდობის მიერ იდეურ წრთობასა და განათლებას. იგი წერდა:

ჩვენ ვიყავით უცხო მხარეს
თავმოყრილი ერთად, სრულად:
ვამზადებდით ქვეყნისათვის
თავს მონამე-მოციქულად,

პოეტის თქმით, რუსეთიდან დაბრუნებულმა ახალგაზრდებმა, პირველად შემოიტანეს ბნელში სინათლე (I, 189), და სამშობლოში ჩამოსვლისთანავე ვიწყეთ ბრძოლა, მივიტანეთ იერიში; არ გვქონია სხვისი რიდი, არც გვდებია გულში შიშიო.

ცხადია, რუსი ხალხის პროგრესული უმდიდრესი კულტურის გარკვეული გავლენის გარეშე არ შეიძლებოდა დარჩენილიყო თავისი ხალხის ინტერესებისადმი სამსახურის დიდი შეგნებით გამსჭვალული აკაკი წერეთელიც. „ჭაბუკ პოეტზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა პეტერბურგის მღელვარე ცხოვრებამ“.[1] სტუდენტობისას აკაკი „აღიზარდა ბელინსკისა და ჩერნიშევსკის დიად ტრადიციებზე“.[2] პროფ. მ. ზანდუკელის რწმენით, აკაკიმ რუსეთში „60-იანი წლების საზოგადოებრივი აზროვნების დიდი გავლენა განიცადა“.[3]

აკაკიმ გარკვეული მონაწილეობა მიიღო „სოვრემენნიკის“, „ისკრასა“ და საერთოდ რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეური პოზიციების დაცვაში. პოეტი გაბედულად გამოესარჩლა ცარიზმის მიერ დევნილ რევოლუციური მოძრაობის მეთაურებსა და მათ

---

1 გ ი ო რ გ ი ა ბ ზ ი ა ნ ი ძ ე, ქართველი კლასიკოსები, 1950 წ., გვ. 171.

2 კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე მ ე ძ ე ვ ე ლ ი ა, თერგდალეულები და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონერი მოღვაწეები, 1959 წ., გვ. 215.

3 მ. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი, თხზულებანი, პროკლე კეკელიძისა და ნოდარ ტაბიძის რედაქტორობით. 1976 წ., ტ. II, გვ. 356.

პრესას. 1862 წლიდან ცარიზმმა დახურა „სოვრემენნიკი", „რუსკოე სლოვო" და შემდეგ ჟურნალი „ისკრა", საპყრობილეში ჩაკეტა ჩერნიშევსკი და პისარევი, დაიწყო დაუნდობელი ლაშქრობა თავისუფლებისმოყვარე მოღვაწეთა წინააღმდეგ, გააძლიერა ცენზურა და აბსოლუტური ბატონობა მიანიჭა ხალხის მტრებს, სწორედ ამ დროს აკაკიმ რუსულ ენაზე დაწერილ სამმოქმედებიან კომედიაში „საოჯახო რევოლუცია" უშიშრად ამხილა ბნელეთის მოციქულები, რეაქციული არისტოკრატია და მონარქიული პრესა. კომედიას აწერია: მოქმედება მიმდინარეობს პეტერბურგშიო. თხზულება დაწერილი უნდა იყოს 1862—1864 წლებში. იგი ავტორს საცენზურო კომიტეტში წარუდგენია 1864 წლის 10 ნოემბერს.[1]

კომედიაში ავტორმა მწვავედ გაიცხა რეაქციული არისტოკრატია და აღნიშნა:

«Аристократ означает у нас — человек знатного происхождения, богатый деньгами и предрассудками... Аристократия продает свою честь, благородство, совесть и за это получает почести, славу и богатство» (т. 15, 645).

ჩვენი არისტოკრატია, განაგრძობს პოეტი, სავსებით მიემსგავსება უნამუსო ვაჭრებს, რომლებიც ჰყიდიან საქონელს და იგებენ ფულს, შემდეგ, ჰყიდულობენ საქონელს, კვლავ ჰყიდიან და იღებენ ფულს, აბუჩად იგდებენ თავის მოძმე დაბალ ხალხს; განსხვავება მათ შორის მხოლოდ იმაშია, რომ არისტოკრატები ჰყიდიან ნამუსს და გვარიშვილობასო.

ამავე თხზულებაში აკაკიმ სასტიკად ამხილა და მწარე სატირით გაიცხა იმ დროისათვის ცნობილი უკიდურესი მონარქისტი, შავრაზმელი, პირწავარდნილი რეაქციონერი, ობსკურანტი და კლერიკალი ვიქტორ ეგნატეს ძე ასკოჩენსკი (1813—1879). ცარიზმის აგენტი ვ. ე. ასკოჩენსკი გააფთრებით ებრძოდა თავისუფლებისმოყვარეობას, რევოლუციურ იდეოლოგიასა და მოწინავე პრესას. 1854 წლიდან მან დააარსა მონარქისტულ-კლერიკალური, უკიდურესად რეაქციული ჟურნალი „დამაშნაია ბესედა" და 1862 წლიდან რეაქციის გაბატონების წყალობით, კიდევ უფრო გათავხედებული გააქტიურდა და თავისი ჟურნალის მეშვეობით ქადაგებდა ურჯულოებას, თვითმპყრობელურ-მემამულურ და საეკლესიო-იერარქიულ იდეოლოგიას. ჟურნალში უხვად ბეჭდავდა საეკლესიო — სასულიერო ქადაგებებს. იგი თავს ესხმოდა პროგრესული იდეოლოგიის მატარებელ მოღ-

---

[1] იხ. აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 15, გვ. 702, ე. ვირსალაძის კომენტარი.

[2] იქვე, გვ. 645.

ვაწეებსა და პრესას. აშკარად აბეზღებდა მათ ცარიზმის წინაშე. რევოლუციურ-დემოკრატიულმა საზოგადოებრიობამ და პრესამ მას სავსებით მართებულად უწოდა „ბნელეთის მოციქული", რომელიც მისი სახელის მუდმივ სიმბოლოდ იქცა.

სწორედ ამ ბნელეთის მოციქულისა და მისი მიმყოლი არისტოკრატიის კლერიკალურ-მონარქისტულ იდეოლოგიასა და მიმართულებას სასტიკად დასცინა პოეტმა და მწვავე სარკაზმის მეოხებით ამხილა მისი უბადრუკობა, უაზრობა და გულის ამრევი ხასიათი.

აკაკი ირონიულად წერდა: ახლა ყველა დასცინის ერთმანეთს; თვალხილულნი დასცინიან ბრმებს, ბრმები თვალხილულებს; ჭკვიანები — სულელებს; სულელები — ჭკვიანებს; ახალგაზრდები — მოხუცებს; მოხუცები — ახალგაზრდებს და ვინ არის მათში მართალი, ამათ თვით ავსული, ქაჯი ასკოჩენსკიც კი ვერ გაარჩევსო.

ცოტა ქვემოთ პოეტმა ჩვეული პირდაპირობით გაიცხა ასკოჩენსკისა და მისი მიმდევარი არისტოკრატიის მსოფლმხედველობა და აღნიშნა: არისტოკრატიული თვალები იცქირებიან და ვერაფერს ხედავენ, ჩვენი მხედველობა კი...«— Не расстроено... ни шампанским, ни устрицами, ни другими аристократическими кушаньями; к тому же мы не расстраиваем воображение... **духовными беседами Аскоченского»** (ხაზი ჩემია — პ. კ.).

კომედიაში პოეტმა სატირის ბასრ მახვილზე აიგო რეაქციული წრის გაბატონებული პრესა. პოლიციური გაზეთის მარტო სახელის გაგონებაც კი ურუანტელს მივლისო, მისი ატანა არ შემიძლია, რამეთუ «...здесь нет особенной пищи ни для ума, ни для сердца... Посмотрим, что здесь говорится в дневнике происшествий... Какой вздор, какая несправедливость: поймали, пишут, вора... Да это вздор! Пари держу, что не вора поймали, но воры и мошенники поймали бедного члена общества, ими обиженного и загнанного, а здесь наоборот пишут!»[1].

პოლიციური გაზეთისა და მისი ქომაგი თვითმპყრობელური რეჟიმის მიერ ღარიბთა და საწყალთა ჩაგვრის აშკარად მხილების შემდეგ აკაკი გმობს პოლიციური გაზეთის მიერ მშრომელი ადამიანისა და ხალხისადმი არაადამიანურ დამოკიდებულებას, მის აბუჩად აგდებას, შეურაცხყოფასა და დამცირებას. პიესის მოქმედი პირი კითხულობს გაზეთის არაოფიციალურ ნაწილს და უცბად ისტერიული, ღრმა უკმაყოფილების გამომხატველი და თან სარკაზმითა და პროტესტით სავსე სიცილი წასკდება. ამ ნაწილში გაზეთი აცხადებს:

[1] აკაკი წერეთელი, თხზ. სრული კრებული, 8. 15, გვ. 638—9.

«Требуется жеребец для верховой езды не дешевле 800 рублей сер.; и также гувернантка, знающая французский, русский, немецкий, английский языки и музыку основательно, но не дороже 300 руб. сер.» (15, 639).

ამ განცხადების წაკითხვისას შეურაცხყოფილი გუვერნიორი (პიესის მოქმედი პირი პ. კ.) სარკაზმითა და ზიზღით აღსავსე სიცილით წამოიძახებს: რა არის ეს? ხა-ხა-ხა-ხა! ჰაი პეტერბურგო! ჰაიდა სატახტო ქალაქო! ამით პოეტმა რეაქციული პრესისა და ცარიზმის ღრმა სიძულვილი გამოხატა. აკაკის მიერ ასკოჩენსკის, ბნელეთის მოციქულების, რეაქციული არისტოკრატიის შეხედულებებისა და ცარისტული პრესის წინააღმდეგ სარკაზმით აღბეჭდილი ბრძოლის გაჩაღება კვლავ ნათლად ადასტურებს პოეტის ერთგულებას, გულწრფელ თანაგრძნობას და თანადგომას დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების იდეოლოგიისამი.

• • •

სტუდენტობის პერიოდში აკაკიმ კიდევ უფრო ღრმად შეისწავლა ქართული ლიტერატურა, ქართული ენა და საქართველოს ისტორია.[1]

---

[1] ამ საქმეში მას, სხვათა შორის, გარკვეული სარგებლობა მოუტანა შემდეგმა გარემოებამაც: პროფესორმა დავით ჩუბინაშვილმა პეტერბურგის ქართველ სტუდენტობას გადასცა განსვენებული სალომე ბატონიშვილის მდიდარი ბიბლიოთეკა. ამ ბიბლიოთეკაში, სხვათა შორის. დაცული იყო: ვახტანგ მეფის მიერ გამოცემული „ვეფხის ტყაოსანი", „სიბრძნე სიცრუისა", სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი, ვახტანგ VI სამართლის წიგნი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, ვახუშტი ბატონიშვილის საქართველოს ისტორია, ანტონ კათალიკოსის გრამატიკა, ვახტანგ ბატონიშვილის საქართველოს ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, „ყარამანიანი" და სხვა. აღნიშნული ბიბლიოთეკა ჩაიბარეს ქართველმა სტუდენტებმა და პროფესორ დ. ჩუბინაშვილს მისცეს შემდეგი ხელწერილი: „ქართველნი სტუდენტნი გაძლევთ თქვენ, პროფესორს დავით ჩუბინოვს. ამა პირობის წერილსა მაზედა, რომელ მივიღეთ თქვენგან, ნაჩუქარი განსვენებულის მეფის ასულის სალომესაგან. შემდგომი ქართულნი წიგნები... (მოცემულია წიგნების სია)... და ეს დასახელებული წიგნები სასარგებლოდ ჩვენდა ჩვენს ბიბლიოთეკაში დარჩებიან დაუკარგავად, რაზედაც ხელს ვაწერთ..." დოკუმენტს ხელს აწერს 26 სტუდენტი, მათ შორის ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და კირილე ლორთქიფანიძე.

როგორც ვიცით, ქართველ სტუდენტებს ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით საკმაო რაოდენობის ქართული ხელნაწერების კოლექცია ჰქონდათ შეგროვილი. ეს ხელნაწერები, სალომეს მიერ ნაბოძები წიგნები და პროფესორ დავით ჩუბინაშვილისგან შეწირული წიგნადი ფონდი საფუძვლად დასდებია საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკის დაფუძნებას. უფრო გვიან ქართველ სტუდენტებს სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუის" გამოცემის გაყიდვით მიღებული ფულითაც შეუძენიათ წიგნები და შეუტანიათ ბიბლიოთეკაში. წიგნების ამ ფონდით, ცხადია, სარგებლობდნენ ქართველი სტუდენტები, მათ

სტუდენტობისას აკაკი ენერგიულად მეცადინეობდა. პოეტის სიყრმის მეგობარი კირილე ლორთქიფანიძე გადმოგვცემს, რომ აკაკის ძალიან ჰყვარებია რუსული ლიტერატურის კითხვა: XIX საუკუნის მგოსან-ბელეტრისტებსა და კრიტიკოსებს ძალიან კარგად იცნობდაო.

აკაკი წერეთელი უდიდესი წარმატებით აბარებდა საექსტერნო გამოცდებს. მის არაჩვეულებრივ ნიჭიერებასა და თავდადებულ მეცადინეობას უნდა მიეწეროს ის, რომ მან ორ წელიწადში ჩააბარა ყველა გამოცდა. ფაქტობრივად საუნივერსიტეტო კურსი 1861 წლის 3 ოქტომბერს დაამთავრა, როდესაც ჩააბარა რუსეთის ისტორია, ხოლო განმეორებითი გამოცდა თათრულ-აზერბაიჯანულ ენაში (აღნიშნული საგანი ჩაბარებული ჰქონდა „3"-ზე) ჩააბარა 1862 წლის 31 მარტს.

აღსანიშნავია, რომ ბეჯითი და სამშობლოს სიყვარულით შთაგონებული პოეტი დაუზოგავად კიცხავდა ქართველ სტუდენტთა იმ ჯგუფს, რომელსაც არც განათლება, არც გონებრივი მომზადება ჰქონდა და არც საზოგადოებრივი ინტერესები ამოქმედებდა. ამგვარ სტუდენტებს პოეტი თავისი მწვავე სატირის საგნად ხდიდა. მაგალითისათვის საკმარისია დავასახელოთ ლექსები: „ფუტურო", „დედამ რომ შვილი გაზარდოს და მერე თქვენისთანაო".

ამ ლექსებში აკაკი წერეთელი სასტიკად ილაშქრებს უსაქმური, ენატარტარა, ბაქია და კერძო ინტერესებით გატაცებული ახალგაზრდების წინააღმდეგ. პოეტი მათი მისამართით წერდა:

შორის აკაკი წერეთელიც. ქართველ სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებს გასცნობოდნენ აგრეთვე პეტერბურგში მცხოვრები ქართველების ოჯახებში, პირველ რიგში კი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრის **თეიმურაზ ბაგრატიონის** და პროფესორ **დავით ჩუბინაშვილის** მდიდარ ბიბლიოთეკებში, პეტერბურგის უნივერსიტეტისა და სამეცნიერო საზოგადოებათა წიგნსაცავებში. ამასთან, როგორც ვიცით, აკაკი წერეთელი სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე. აღნიშნული ფაკულტეტისა და აკადემიის სამეცნიერო სხდომებზე ხშირად იხილავდნენ ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის საკითხებს, ტარდებოდა სპეციალური მოხსენებები ქართულ ფილოლოგიასა და ისტორიაზე, ინერებოდა გამოკვლევები და იბეჭდებოდა საყურადღებო ძეგლები. ფაკულტეტზე არსებობდა ქართული ენისა და პიტყვიერების დამოუკიდებელი კათედრა, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფესორი დავით ჩუბინაშვილი. აღნიშნული კათედრა წარმოადგენდა ქართული ლიტერატურისა და არქეოლოგიის დარგში მეცნიერული მუშაობის ცენტრს. დავით ჩუბინაშვილმა განუზომელი დახმარება გაუწია აკაკი წერეთელს ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის შესწავლაში, ახალგაზრდა პოეტის პატრიოტული გრძნობების გაღვივებას.

საბრალო ჩვენი სამშობლო
ყურს გიგდებთ გულის ძგერითა
და თქვენ კი იმას ატყუებთ
მომხიბლავ სიტყვა-წერითა.

სტუდენტთა ეს ჯგუფი აკაკიმ შეადარა ფუტუროს, რომელიც შორიდან ანათებს, ახლო კი უსარგებლოა:

არიან ჩვენში დღეს სწავლულები,
შორიდგან თუმცა ბევრს გვინათებენ,
მაგრამ ახლოს კი, დალოცვილები,
როგორც ფუტურო, ვერას გვარგებენ.

1861 წელს პეტერბურგში დაიწყო სტუდენტთა რევოლუციური მოძრაობა, რომელიც გერცენის „კოლოკოლმა“ დაახასიათა როგორც „ბუმბერაზის გამოღვიძება“, როგორც ახალი ხანის დასაწყისი რუსეთის სახელმწიფოს ისტორიაში“.[1] ამ მოძრაობაში მონაწილეობას იღებდა ქართველი სტუდენტობის მოწინავე ჯგუფი. მოძრაობაში მონაწილეობის გამო დაპატიმრებულ იქნენ: ნ. ნიკოლაძე, კ. ლორთქიფანიძე, გ. წერეთელი, ბეს. ღოღობერიძე, დავ. ღოღობერიძე, ალხაზიშვილი და სხვები. საპატიმროდან განთავისუფლების შემდეგ ზოგ მათგანს აუკრძალეს პეტერბურგში ცხოვრება, მათ შორის ნ. ნიკოლაძეს. პეტერბურგში არალეგალურად მცხოვრებ ნ. ნიკოლაძეს თავშესაფარი მისცა აკაკი წერეთელმა.

სტუდენტობის წლებში აკაკი წერეთელი რუსეთის ისტორიის პროფესორის ნიკოლოზ ივანეს ძე კოსტომაროვის ბინაზე შეხვდა უკრაინელი ხალხის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდ წარმომადგენელს, ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მგზნებარე მებრძოლს, გენიოს პოეტს ტარას შევჩენკოს. აკაკიმ უკრაინის დიდ პოეტს უამბო საქართველოს წარსული ცხოვრების შესახებ. ტარას შევჩენკოს კი უთქვამს: „რა ბევრი რამა აქვს საერთო ამ ხალხს ჩვენს ხალხთან!“და მწარე სევდიანი კილოთი დაუწყია ლაპარაკი უკრაი-

[1] აღსანიშნავია, რომ „კოლოკოლის“ მიერ სტუდენტთა მოძრაობის ამ დიდ შეფასებას უდიდესი აღტაცება და სიხარული გამოუწვევია და შთაუგონებია ისინი ახალი რევოლუციური ბრძოლის პათოსით. „იმ ხანად, — წერდა ნ. ნიკოლაძე, — პეტერბურგში ჩამოვიდა «Колоколъ»-ის ნომერი წერილით «Исполин просыпается» (ბუმბერაზი იღვიძებს) და 13 ოქტომბერს დაჭერილი სტუდენტების სია. ჩვენ ცას ვეწიეთ სიხარულისაგან: წარმოიდგინეთ, ეს ხომ ჩვენი სახით იღვიძებდა პირველად ბუმბერაზი რუსეთი. ჩვენი მღელვარება აქ აღწერილი იყო, როგორც ახალი ხანის დასაწყისი რუსეთის სახელმწიფოს ისტორიაში... ან და როგორ არ აღვსილიყავი სიამაყით და არ მომესურვა მონაწილეობის მიღება შემდეგს გმირულ ბრძოლებში“ (ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1931, გვ. 120).

ნაზე. „ჩვენი საუბარი, — გადმოგვცემს აკაკი, — გაგრძელდა ღამის სამ საათამდე. ჩვენ გავშორდით, როგორც მეგობრები, და პირობა დავდევით, რომ უფრო ხშირად შევხვედროდით ერთმანეთს, მაგრამ ვაი, რომ ჩემს ბედნიერებას აღარ ეღირსა განხორციელება: მე ტიფით გავხდი ავად და სამ თვეს ვიწექი ლოგინში... მის შემდეგ მე აღარ მომცემია შემთხვევა მასთან შეხვედრისა. მხოლოდ ის პირველი და უკანასკნელი შეხვედრა დამრჩა ნათელ მოგონებად მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე".

აკაკი წერეთელი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა უკრაინელი ხალხის ლიტერატურის მზესთან, ტარას შევჩენკოსთან შეხვედრას: „ვაღიარებ, რომ, — აცხადებს აკაკი, — მე პირველად მისი სიტყვებიდან გავიგე, თუ როგორ უნდა სამშობლოსა და საკუთარი ხალხის სიყვარული".

სტუდენტობის წლებში აკაკი ნაყოფიერ ლიტერატურულ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა. ამ პერიოდში მისი ლექსები ხშირად იბეჭდებოდა ჟურნალ „ცისკარში". აკაკი წერეთლის ლექსებმა მაშინვე მიიპყრეს მკითხველთა ყურადღება და ფართო პოპულარობა მოუპოვეს მას ხალხში. ამ პერიოდის ლექსები ხალხში სიმღერებად გადავიდა. 20—22 წლის ჭაბუკმა უკვე უნიჭიერესი პოეტის სახელი და საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა. თავისი პოეტური შემოქმედების ძალას აკაკი თვითონაც კარგად გრძნობდა:

მივხვდი, რომ მხოლოდ პოეტად
ვიყავი დაბადებული...

პირველმა წარმატებებმა აკაკი წერეთელს აგრძნობინეს თავისი შემოქმედებითი მოწოდება და მან მაშინვე საბოლოოდ გადაწყვიტა მთელი თავისი ძალა და შესაძლებლობა სამწერლო მოღვაწეობისათვის მოეხმარებინა, არ შეშინებოდა ამ რთულ გზაზე წამოჭრილ დაბრკოლებებს.

აკაკი წერეთლის იმ დროის ლექსებში უკვე მოჩანს ავტორის როგორც იდეური სიმწიფე, ისე პოეტური დახელოვნება. მისი შემოქმედება თემატიკურად მრავალფეროვანი იყო, მაგრამ თავიდანვე მკითხველის ყურადღებას მაინც აკაკის პოეზიის ეროვნული და სოციალური მოტივები იპყრობდა.

ამ პერიოდის ნაწარმოებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: „საიდუმლო ბარათი", „ქართვლის სალამი", „ამაო ძებნა", „რუსეთუმე", „პირუტყვების არჩევანი", „დედამ რომ შვილი გაზარდოს", „სალამური", „მუშური", „საბრალო გული", „აპელაციის მცოდნე", „ფუტურო", „ფარისეველი" და სხვა.

„საიდუმლო ბარათი" პირველი ნაწარმოებია, რომელიც ავ-

ტორის სახელისა და გვარის ხელმოწერით გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში“. აკაკის ამ ნაწარმოებმა ხალხში საერთო მოწონება გამოიწვია, მაგრამ არქაისტების მხრივ სასტიკ წინააღმდეგობას შეხვდა. ი. კერესელიძე, როგორც ჩანს, საკმაო ყურადღებით ეპყრობოდა ჭაბუკ პოეტს და დაინტერესებული იყო მისი ლექსებით. ამას ნათლად მოწმობს „საიდუმლო ბარათის“ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით ი. კერესელიძის მიერ აკაკისადმი მიწერილი წერილი. ამ წერილში ი. კერესელიძე ერთგვარი მობოდიშებით აცნობებს აკაკის აღნიშნული ლექსის ფსევდონიმის გარეშე, პირდაპირ ავტორის სახელისა და გვარის მოწერით გამოქვეყნების მიზეზს და, ამასთანავე იმ შთაბეჭდილებას, რაც ამ ლექსს მოუხდენია ქართველ საზოგადოებაზე. ი. კერესელიძე აკაკის სწერდა! „ძმაო აკაკი წერეთელო! იმერლობას ნუ გამოიჩენ და ნუ გაფხუკიანდები, რომ შენი სამაგალითო ლექსი „საიდუმლო ბარათი“ დაბეჭდე და უშენოდ შენი სახელი და გვარი მოვაწერე და არა მარტო უმნიშვნელო ორი ასო. აი რა იყო მიზეზი: ჩვენი პლატონი, ფილოსოფოსი (პლატონ იოსელიანი — პ. კ.) ასწავლის ბარიათინსკის (მეფის ნაცვალი კავკასიაში — პ. კ). ქართულს. იმას უჩვენებია შენი ლექსი მისთვის და დიდად მოსწონებოდა; დამიბარა მე და, როდესაც გაიგო ჩემგან შენი ვინაობა, მიბრძანა, რომ მისი სახელი და გვარიც მოაწერეო. მეც რაღა გზა მქონდა?! მაინც რა არის ეგ იმერული სიფრთხილე, რომ შენს ლექსებს სახელს არ აწერ? ყველას ძალიან მოსწონს შენი ლექსები, განსაკუთრებით ქალებს, იმღერიან კიდეც. აბა, შენ იცი, თუ მომეშველები მალ-მალე. შენი ივანე“.

მოკრძალებული ახალგაზრდა პოეტი პირველ ხანებში ვერ ბედავდა თავისი ლექსებისათვის გვარი და სახელი მოეწერა, მაგრამ, როგორც დავინახეთ, პოეტის ვინაობა მისდაუნებურად გამომჟღავნდა. ამის შესახებ აკაკი წერეთელი შენიშნავს! „ეს ლექსია, რომელიც პირველად დაიბეჭდა ჩემი სახელით და გვარით. მანამდე კი უსახელოდ ვბეჭდავდი. ვერც ამ ლექსზე ვბედავდი ჩემი ვინაობის გამოცხადებას, მაგრამ ჩემდა შეუტყობლად მოხდა. დაებეჭდა „ცისკრის“ რედაქტორს და თავისთავად მოეწერა ჩემი სახელი და გვარი“.

„საიდუმლო ბარათი“ წრფელი გრძნობით გამთბარი ლექსია, იგი დაწერილია სადა, სურათოვანი ხალხური ენით.

სტუდენტობის პერიოდს ეკუთვნის პოემა „რუსეთუმე“ ამ პოემის მხოლოდ მეორე და მეათე თავი გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში“.

აკაკი წერეთელი ამ ნაწარმოების შესახებ გადმოგვცემს: „ეს

ვრცელი პოემა იყო. აქ ახალთაობის ტიპად ჩემი თავი მყავდა გამოხატული და ძველი თაობის ტიპად ჩემივე ოჯახი. როცა დავასრულე ეს პოემა, აღტაცებით წავუკითხე სხვებს. მაგრამ ყველამ დამიწუნა: „ოთოთაანთ ქორივით რაღა შინაურებს მოხტომიხარო?“ მე მაინც შევინახე, მაგრამ მომპარეს და დაიკარგა, ისე როგორც სხვა ბევრი“.

აკაკის ამ შენიშვნიდან ირკვევა, რომ პოემაში გამოყვანილი ყოფილა ახალი და ძველი თაობა. ძველი თაობის ტიპად პოეტს თავისი ოჯახი გამოუყვანია.

პოემაში ძველი თაობის წარმომადგენელს არ მოსწონს ახალთაობის კაცი, მამა უსაყვედურებს რუსეთში გაზრდილ „თერგდალეულ“ შვილს:

რაებს ჩადიხარ, დროვო ახალო!
ვეღარ გავიგე შენი გზა-კვალი.
მადლობას გწირავ, ღმერთო მაღალო,
რომ არ შემასვი მეც თერგის წყალი!..
რაებს ჩადიან ჩვენი შვილები?
რასაც ჩვენ ვწუნობთ. ის უჩნთ საქებრად;
ჩვენ დაგვცინიან დალოცვილები
და თვითონ ბევრი არ გაეგებათ.

ახალთაობის წარმომადგენელიც ვერ იჩენს საჭირო ცოდნას და უნარს ცხოვრების გარდასაქმნელად.

ამიტომ პოემაში გაკრიტიკებულია როგორც ძველი, ჩამორჩენილი თაობა, ისე ახლის ისეთი წარმომადგენელიც, რომელსაც თავი ახალთაობის შეგნებულ და ნასწავლ კაცად მოაქვს, მაგრამ სინამდვილეში ცხოვრებას სრულიად არ იცნობს, არ იცის, მიღებული ცოდნა რაში და როგორ მოახმაროს ქვეყანას. აკაკი წერეთელი გმობს ძველი, ჩამორჩენილი ტრადიციებისა და შეხედულებების მატარებელ ძველ თაობას, მასთან ერთად კი ზერელე, უუნარო შვილსაც. ამ პოემაში უკვე მოჩანს აკაკის ის მართებული შეხედულება, რომელიც მან შემდგომ უფრო მკაფიოდ განავითარა, სახელდობრ ის, რომ ახლისა და ძველის მიმდინარეობა წლოვანებით კი არ განისაზღვრება, არამედ მიმართულებით, იდეით, ისეთი აზრითა და მოქმედებით, რომელიც ქვეყნისა და ხალხის ცხოვრების მოძრაობას შეეხება. ძველია ის, ვინც უკან, დრომოჭმული ტრადიციებისაკენ ეზიდება ცხოვრებას, ხელს უშლის და ებრძვის ახალს, პროგრესულს, ხოლო ახალთაობის კაცია ის, ვინც, წინააღმდეგ ძველი თაობისა, იბრძვის ხალხის ცხოვრების წინსვლისათვის, საზოგადოების უკეთესი მერმისისათვის. პოემის იმ ნაწყვეტებში რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, პოეტმა მკაფიო რეალისტური ფერებით დაგვიხატა ძველი ფეოდალური ყოფის სურათები:

ძველი კაცები, რომ ადგებოდით,
დილას ხელს და პირს რომ დაიბანდით,
იმ წამს საუზმეს მივარდებოდით,
გამოძღებოდით, ისევ წვებოდით,

ეს იყო ცხოვრების ის სურათები, რომლებმაც ფართო ასახვა პოვეს 60—70-იანი წლების მთელ ლიტერატურაში.

სტუდენტობის პერიოდში სოციალურ თემატიკაზე დაწერილ ლექსთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ლექსი „მუშური". იგი დაწერილია 1861 წლის 15 აპრილს. მასში დიდი სიმკვეთრით არის ასახული ბატონყმობის მძიმე უღლის ქვეშ მგმინავი ყმა გლეხის დაბეჩავებული ცხოვრება. ეს ლექსი გარკვეულად ესმაურებოდა ეპოქის მიერ მწვავედ დაყენებულ სოციალურ პრობლემას და წარმოადგენდა უდავო წინსვლას აკაკის სოციალური პოეზიის განვითარებაში. ლექსი „ცისკარში" დაიბეჭდა 1863 წელს.

ამავე პერიოდიდან აღსანიშნავია ლექსები: „ამაო ძებნა", „მოხუცის მოგონება", „ალექსანდრა", „ლოდინი", „სალამური", „საბრალო გული", „აპელაციის მცოდნე", „შიქასტა", „ქართულზედ რომ ხელს იღებენ", „ნინოს სიმღერა" და სხვ.

ლექსი „ლოდინი" გამოირჩევა თავისი პოეტური აღმაფრენითა და შთამბეჭდაობით. მასში მდიდარი, გულში ჩამწვდენი მხატვრული ექსპრესიულობითა და სისადავითაა ასახული შუაღამისას სატრფოს მომლოდინე ქალის ძლიერი, უბადლო სიყვარული, მღელვარე სულიერი განცდები და მისი ფიზიკური გამოხატულების უაღრესად მომხიბლავი, პლასტიკური და გამჭვირვალე სურათები:

ქურდულად პირდაპირ ფენჯერს
მოადგება, ავლებს თვალებს
შემკრთალს გული მაღლად უძგერს,
მკერდს პერანგი დაჰფართხალებს.

ლექსი პირველად დაიბეჭდა 1861 წ. „ცისკარში" (№ 1). იგი ერთ-ერთი ბრწყინვალე ნოვატორული შედევრია იმდროინდელ ქართულ ლირიკაში. მასში მოსდენილადაა გამოყენებული შოთა რუსთაველის, თეიმურაზ პირველის, ალ. ჭავჭავაძისა და სხვათა პოეტური სამკაულები. ლექსის გამოქვეყნებას აღფრთოვანებითა და დიდი სიყვარულით შეხვდა საზოგადოებრიობა. მას ზეპირად სწავლობდნენ და მღეროდნენ კიდეც. მოყვანილი სტროფის ორი უკანასკნელი ტაეპი აკაკის ავტორობის სინონიმადაც კი იქცა. როდესაც ახალგაზრდა პოეტი ივ. კერესელიძეს ეწვია ბინაში, მასპინძელმა დიდი სიხარულით მიმართა დედას: „დე-

დი, ეს ის არის, რომ დასწერა: „გულს პერანგი დაჰფართხალებსო“.

სტუდენტობის პერიოდში აკაკიმ გადაგვარებული თავადაზნაურობის წინააღმდეგ დაწერა მახვილი სატირა „პირუტყვების არჩევანი“. ამ თხზულებაში ალეგორიულად გამოყვანილია თავადაზნაურთა იმდროინდელი ცნობილი მეთაურები. ნაწარმოებში გამოხატულია თავადაზნაურთა მიერ ქუთაისში მარშლის არჩევნების სურათი. ამ თხზულების შესახებ აკაკი წერეთელი აღნიშნავს: „ჯერ ახლაც რა არის ჩვენში მარშლის არჩევა, თორემ რა იქნებოდა მესამოცე წლებში?! ერთ მაშინდელ არჩევანს მეც დავესწარი. დიდი ალიაქოთი იყო ატეხილი. ეს სცენა პირია ნამდვილის, აქ მომატებული არა არის რა. დასახელებულია პირებიც:

1. კ ა ტ ა. გიორგი ღოღობერიძე, მაშინდელი ინტელიგენტი და ოპოზიციის მეთაური.

2. ს ა მ ა რ შ ლ ო დ გ ა მ ო ყ ვ ა ნ ი ლ ი. ნესტორ წერეთელი.

3. ა ქ ლ ე მ ი. ალექსანდრე წერეთელი, ნესტორის ბიძა.

4. მ უ რ ა — ქ ო ფ ა კ ი. ბეჟან ჩხეიძე. ახირებული კაცი.

5. მ წ ე ვ ა რ ი. მამია გურიელი.

6. მ ო ზ ვ ე რ ი. თვითონ მე.

7. კ ა მ ე ჩ ი. ლევან ქორქაშვილი. მაშინდელი პროკურორი.

8. ვ ე ფ ხ ვ ი. იზუმსკი, მაშინდელი გუბერნატორი.

9. მ გ ლ ე ბ ი. მ ე ლ ი ე ბ ი და სხვანი — მეკენჭეები.

ამ ხუმრობამ ისეთი უსიამოვნება და მრისხანება გამოიწვია ჩემზე, რომ მე იძულებული გავხდი ქალაქს გავქცეულიყავ, მაგრამ აქ უარესი დამხვდა: თურმე იმ ხანებში იქაც არჩევნები ყოფილიყო და თავის თავზე მიეღოთ. აღარ ვიცოდი, რა მექნა. სხვაგან წასასვლელი შეძლება რომ აღარა მქონდა — მაშინ ხომ რკინიგზა არ ყოფილა ჩვენში — ძველ სენაკში ჩავედი ბესარიონ ქავთარაძესთან და იქ ვიმალებოდი დიდხანს, სანამ მითქმა-მოთქმა არ მიწყნარდა. საკვირველია... დაბალი ხალხი ჩუმად ყველა ჩემი თანამგრძნობი იყო, მაგრამ ცხადად გამოსარჩლების ეშინოდათ. მე კი, ვინც შესაყეფი იყო, უშიშრად ვუყეფდი, აღარავის და აღარაფერს ვერიდებოდი“. მართლაც, ჭაბუკი პოეტი დიდი გამბედაობით, მძაფრი სარკაზმითა და მტკიცე პრინციპულობით, უშიშრად დაესხა თავს თავადაზნაურობას და აშკარად ამხილა მისი ჩამორჩენილობა, ფუქსავატი ცხოვრება, ფარისევლობა, ზნეობრივი სიმახინჯე და გადაგვარებულობა. ამ მხრივ საკმარისი იქნება მოვიტანოთ „პირუტყვების არჩევანის“ ერთ-ერთი მონაწილის — კატის სიტყვები:

მიავ! მიავ! მიავ! რა გაჩხუბებთ, მხეცებო?
ზნეობით მახინჯებო, ყრუებო და ბეცებო!..
აქ მე კაცს ვერ ვიპოვი, ფარნითაც რომ ვეძებო...
ერთ კაცადაც არ ღირან, ყველაც რომ მივანებო!

თავადაზნაურობამ სამართლიანად იცნო თავისი თავი ამ პამფლეტში და, როგორც აკაკი გადმოგვცემს, მთელი გულისწყრომით დაესხა თავს მის ავტორს.

აკაკი ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ

აკაკი წერეთელი ესთეტიკის თეორეტიკოსი არ ყოფილა, მაგრამ წერილებში, რეცენზიებში, მხატვრულ შემოქმედებასა და სხვა სახის შრომებში არაერთხელ გაუშუქებია და ჩამოუყალიბებია თავისი ესთეტიკურ-ლიტერატურული შეხედულებანი; გამოუთქვამს საყურადღებო მოსაზრებანი მწერლისა და მწერლობის დანიშნულების, მისი მნიშვნელობის, ხასიათის, მიმართულების, სპეციფიკისა და იდეურ-მხატვრული ღირსების შესახებ. აკაკის კრიტიკულმა წერილებმა, რეცენზიებმა, ცალკეულმა სტატიებმა, შენიშვნებმა, მოგონებებმა, მხატვრულ შემოქმედებაში გამოთქმულმა შეხედულებებმა და უაღრესად მდიდარმა შემოქმედებითმა მოღვაწეობამ უდიდესი როლი შეასრულა გასული საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ესთეტიკური აზროვნების განვითარებისა და კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრების დიდ ისტორიულ საქმეში. პოეტი იმთავითვე გამოდიოდა მებრძოლი ხალხურობის მომხრედ, დიდი ჰუმანიზმით, რევოლუციურ-დემოკრატიული იდეალებით შთაგონებული მარად იბრძოდა უაღრესად ოპტიმისტური, რეალისტური ხელოვნებისა და ლიტერატურის დასამკვიდრებლად.

გასული საუკუნის 60-იანი წლების ქართული ლიტერატურის თავისებურება განაპირობა ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან ქვეყნის განთავისუფლებისთვის ბრძოლის ისტორიულმა პროცესებმა. ამ პერიოდში, როგორც ვიცით, მთელი სიმწვავით დაისვა ბატონყმური ურთიერთობის მოსპობის, ცარიზმისა და ეროვნული ჩაგვრის უღლისაგან ხალხთა განთავისუფლების საკითხი. აღნიშნულ მოვლენებს საქართველოში დაერთო ქართველი ხალხის ბურჟუაზიულ ერად ჩამოყალიბების აუცილებელი პროცესი, ქვეყნის მთლიან ეროვნულ ორგანიზმად განმტკიცებული სტატუსისა და საერთო ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გაძლიერება. ქართველ სამოციანე-

ლთა შემოქმედებაში ფართო გამოხატულება პოვეს ეპოქის ყველა მოწინავე და მნიშვნელოვანმა მოვლენებმა, დიდმა სახალხო პრობლემებმა. სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან ხალხის განთავისუფლების ღიადი იდეების განხორციელებისათვის ბრძოლას დაექვემდებარა პროგრესული ქართველი ინტელიგენციის მთელი თეორიული, მსატვრულ-შემოქმედებითი და პრაქტიკული მოღვაწეობა. გასული საუკუნის სამოციან წლებში ყველა პროგრესული მოღვაწე „დააკვირვა ჩვენს მიწიერ ავკარგიანობას“ (ი. ჭავჭავაძე). სამშობლოს ღრმა სიყვარულმა, ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლის კეთილშობილურმა იდეალებმა ფართო სამოქმედო ასპარეზზე გამოიწვია მთელი მოწინავე ინტელიგენცია, ამოძრავებული ცხოვრების მაჯისცემა გაძლიერდა და „ყველა ჰღალადებდა ადამიანის დარღვეული უფლების სახელითა და თვით მოსაქმე ცხოვრების განკარგების წყურვილითა“ (ილია). სამშობლოს სიყვარულმა, ადამიანის დაჩაგრულმა მდგომარეობამ, „მთა-ბარობამ უსწორმასწორო ცხოვრებისა“, მშრომელთა იდეალების, მათი „სანატრებისა“ და მისწრაფებების, მათი გლოვისა და სიხარულის, ჭირისა და ლხინის, ძულებისა და სიყვარულის აშკარად დანახვამ და სახეობრივმა გამოხატვამ ფართო გასაქანი ჰპოვა რეალისტურ მხატვრულ მწერლობაში, ხელოვნებაში, კრიტიკასა და პუბლიცისტიკაში, გამოიწვია ხალხის სამსახურში ჩადგომის ძლიერი მისწრაფება, რამეთუ, სამოციანელთა აზრით, ხალხია ცხოვრების მამოძრავებელი ძალა, ფესვი ეროვნებისა, ფუძე ქვეყნისა და ეროვნების დიდებისა. ამიტომ აღიარებულ იქნა მწერლობის ღრმა მოქალაქეობრივი და მებრძოლი ხალხურობით შთაგონებული პათოსი. ამ პერიოდში განსაკუთრებით გამდიდრდა და გამრავალფეროვნდა ლიტერატურისა და ხელოვნების თემატიკა, სინამდვილის ასახვა დაიწყეს ღრმა იდეური, რევოლუციურ-დემოკრატიული თვალსაზრისითა და ესთეტური ოსტატობით. ამოძრავებული ცხოვრების ეპოქაში, რევოლუციურ-დემოკრატიული იდეალების გავრცელების, გლეხთა მღელვარებისა და მრავალ ქვეყანაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გაძლიერების პირობებში, ქვეყნისა და სალხის კეთილდღეობისათვის თავდადება, მემამულეებისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლა გახდა პატრიოტული შთაგონების წყარო. რევოლუციურ-დემოკრატიული იდეალებით ნასაზრდოები პატრიოტიზმი იმ დროის მებრძოლი პატრიოტიზმის ახალი, უფრო მაღალი საფეხური იყო. იგი გამოხატავდა ხალხის საუკეთესო ფიქრებს, იდეალებს, მისწრაფებებს, მებრძოლ სულისკვეთებას, ძლიერებასა და ქედუხრელობას, სამართლიან სიძულვილს მჩაგ-

ერელთა მიმართ. ნ. ჩერნიშევსკის აზრით, ამგვარ პატრიოტიზმს ახასიათებს სამშობლოს კეთილდღეობისადმი ვნებიანი, უსაზღვრო მისწრაფება. მისი ფიქრით ყოველი დიდი რუსი ადამიანის ისტორიული მნიშვნელობა განიზომება სამშობლოს წინაშე მისი დამსახურებით, ადამიანური ღირსება კი — მისი პატრიოტობით[1]. რევოლუციური სიტუაციის პერიოდში ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლა, ამ ბრძოლების ურთიერთშეკავშირება და გაძლიერება ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიდა ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის გაღვივებისა და რევოლუციური ბრძოლის განვითარებისათვის. ეს მოძრაობა იყო ახალი, მაღალი ფორმა პროგრესული იდეალების განხორციელების გზაზე, რამაც თავისებური ეროვნული და მსოფლიო-ისტორიული როლი შეასრულა ბატონყმობის, ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ შეუპოვარი რევოლუციური ბრძოლის საერთო მდინარების განმტკიცებასა და განვითარებაში. ამ პირობებში ყოველი პროგრესული ადამიანის პატრიოტული შთაგონება, მისი მოვალეობა და მოღვაწეობა ზემოაღნიშნული იდეალების განხორციელებისათვის ბრძოლის ამოცანებით, მასში მონაწილეობის ხასიათითა და ხარისხით განიზომებოდა. ქართველ სამოციანელთა შემოქმედებაში ეროვნული და სოციალური მოტივების ურთიერთმჭიდრო კავშირში, კოლონიური ჩაგვრის გამწვავების გამო, ფართოდ აისახა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მოტივი, კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლის პათოსი, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულისა და მებრძოლი პატრიოტიზმის სულისკვეთება. ეს შთაგონება სამოციანელთა თვითმყოფადი თვისებაა, მათი ესთეტიკური მრწამსის განხორციელების ქვაკუთხედია. დემოკრატიულმა, მებრძოლმა, ჭეშმარიტად პატრიოტულმა იდეალებმა განაპირობა მხატვრული ლიტერატურის ღრმა იდეურობა, აამაღლა მისი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ფუნქცია. ამის გამოა, რომ სამოციანელ მოღვაწეებს მწერლობა დიდ სახალხო, ქმედით ძალად მიაჩნდათ.

ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაში აკაკი წერეთელი მთავარ იარაღად მწერლობას თვლიდა. იგი აღიარებდა პოეზიის საბრძოლო პათოსს:

„კილო ჩემის მწერლობისა, — აცხადებდა აკაკი, — სულ სხვაგვარი იქნება: ისეთს, ისეთს დავყეფ, რომ კურდღლები ჩირგვებში აკანკალდნენ და მხეცები სოროებიდამ გამოვიყვანო. გამოვალ ღრენით შარაგზაზედ და ვინც ღირსი იქნება, კუნ-

[1] Н. Г. Чернышевский, Полное собр. соч., III, М., 1947, გვ. 136, 137.

თებს გამოვგლეჯ... ვითარცა მოვერიდო ვისმეს? ან შევუშინდე? თქვენც არ მომიკვდეთ! ვიცი, ბევრჯერ მესვრიან ქვას... ბევრჯერაც დამიტატანებენ, მაგრამ მე მაინც, სანამ ცოცხალი ვიქნები, ჩემსას არ მოვიშლი: პატარა ხელ-ფეხის მსლაქველ ფინიასავით სხვის კალთაში თბილად წოლას და ნებივრობას, შარაგზაზედ ყეფის დროს სიკვდილი მირჩევნია".

პოეტი მწერლობის მთავარ დანიშნულებად თვლიდა ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერი მომავლისთვის ბრძოლას. „შერცხვეს ეკალზედ მსტვენი უვარდოდ ბულბული, — აცხადებდა აკაკი, — იგმოს კუბოსთან მღერალი!.. სიმღერით სნეული არ განიკურნება და ბულბულის სტვენა მტერს ვერ გააბრუნებს!.. გაძაღლებულო დროვ, შენ მოგეცა ჩემი ცოდვა, რომ წინააღმდეგ ჩემი ბუნებისა, მაძაღლებ და მაყეფებ. მაგრამ ჰეი! როგორღაც თითქოს სინანულში შევდიოდე ჰმ... არა".

ნ. დობროლუბოვი აღნიშნავდა, რომ ხალხის ცხოვრების ახალ ვითარებაში ლიტერატურა საზოგადოებრივი განვითარების ელემენტი ხდება; მისგან მოითხოვენ, რომ იგი იყოს არა მხოლოდ ენა, არამედ საზოგადოებრივი ორგანიზმის თვალებიცა და ყურებიც (IV, 171) და ბოროტების წინააღმდეგ სასტიკი მებრძოლი. დიდი კრიტიკოსი უსაყვედურებდა პოეტ ი. პოლონსკის, რომ ის ბოროტების გამო იმსჭვალებოდა უიმედო სევდით და ვერ ბედავდა მის წინააღმდეგ ბრძოლას. არსებული ველური, არაადამიანური საზოგადოებრივი ურთიერთობა მის ბაგეებზე იწვევდა მხოლოდ «грустную улыбку, а не проклятие, исторгают из глаз его слезу, но не зажигают их огнем негодования и мщения». (II, 495): აკაკი წერეთელი დობროლუბოვის მსგავსად პოეტისაგან მოითხოვდა არსებული საზოგადოებრივი ცხოვრების არა მხოლოდ განურჩეველ ასახვას, არამედ მის დაუნდობელ კრიტიკას. გაბედულ მსილებას, მის წინააღმდეგ თავგანწირულ ბრძოლას, ენერგიული, გმირული შემართებით შხამიანი ისრისა და ორლესული ხანჯლის ხალხის მტრის გულში ძგერებას, რომ მტრის სისხლით იღებავდეს ჭაღარას. დიდი მგოსანი მოითხოვდა, რომ მწერალი ახლოს უნდა იყოს ხალხთან, გამოხატოს მისი კეთილშობილური მისწრაფებანი, ვნებანი, ჭირი და ლხინი, რაგინდ უმნიშვნელოც არ უნდა იყოს იგი. პოეტმა ყური უნდა დაუგდოს ხალხს, ყურადღებით მოეპყრას მშრომელთა ინტერესებს და გულისყური გაამახვილოს მის საჭიროებაზე, ასახოს თვალით ნახული, ჭკუით აწონილ-გაზომილი, იყოს ხალხის თანაზიარი და მისი შემწე, მისი მახვილი თვალი და ყური, მგრძნობიარე გული და მებრძოლი მხატვრული ასახვის სარკე. რაც უფრო

ნიჭიერია პოეტი, მით უფრო ძლიერად ექვემდებარება ამგვარ მოთხოვნებსო.

აკაკი წერეთელი საზოგადო მოღვაწისაგან, მწერლისაგან მოითხოვდა შეკავშირებული ძალით ბრძოლას ქვეყნის კეთილდღეობისათვის. ამ ბრძოლაში იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სიმართლის მქადაგებელ, მებრძოლ მხატვრულ სიტყვას:

სიტყვა იგივ თესლი არის,
ნორჩი გული — მიწა-ხნული,
და აბიბინ-ამწვანდება,
რომ მოუვა გაზაფხული.

„სიტყვა თესლია, — წერს აკაკი, — ხალხი — ნიადაგი. თამამად და პატიოსნად ხალხში გატყორცნილი მართალი სიტყვა უნაყოფოდ არ რჩება... რომ არ გვგონია, იმ დროს და მისთანა ალაგას ამოდის, არ იკარგება!.. დღეს ჩვენი ქვეყანა ისეთ მდგომარეობაშია, რომ სიტყვა თუ არ მეტს, ნაკლებ სარგებლობას მაინც არ მოუტანს და, მაშასადამე, ყველას გვმართებს ხმის ამოღება“...

მაგრამ აკაკი წერეთელი ყოველგვარ სიტყვას კი არ აფასებდა, — იგი ებრძოდა უსაგნო მწერლობას და მოითხოვდა ქმედითს სიტყვას, საქმიან, ენერგიულ მოქმედებას:

არ მწამს სიტყვა ცარიელი,
სათვალთმაქცო მძულს მე წერა;
საქმე... საქმე, მხოლოდ საქმე!
როცა ვხედავ ეს კი მჯერა.

აკაკი წერეთელი მწერალს უპირველეს ამოცანად უსახავდა საზოგადო საქმეზე წერას, ხალხის ინტერესების გამოხატვას და არა კერძო, საპირადო ხასიათის საკითხებისადმი გამოდევნებას. „ის რომ ვთქვათ, — წერდა აკაკი, — რომელიმე მაზრის უფროსი ანუ მსაჯული რას სჭამს, რას სვამს, რას იცვამს ან რას იხურავს, ეს, რასაკვირველია, კერძო საქმე იქნება. მაგრამ თუ კი ისინი სხვას სტაცებენ ლუკმას და ისე სჭამენ, ხალხს ატყავებენ და მითი ტანს იმოსავენ, ამაზედ რომ ხმა ამოვიღოთ, ეს საზოგადო საქმე იქნება და არა საპირადო და არც გვმართებს მორიდება“.

აკაკი საზოგადოებრივი მოღვაწისაგან მოითხოვდა შეუპოვარსა და პირუთვნელ მოქმედებას, სიმართლისათვის თავდადებას, მსხვერპლის გაღებას. „თუკი ერთის თავის მისრესით ათასი სხვა მისთანა და მაზედ უკეთესი თავიც გამაგრდება, მაშ რაღა დასანანებელი და საფრთხილოა ის ერთი?! — ამბობდა პო-

ეტი. — ნამეტანი სიფრთხილე, სიჩუმე და უმოქმედობა კი ხშირად ძილს მოგვრის ხოლმე კაცს".

თავის ცნობილ ფელეტონებში აკაკი წერეთელი ხშირად აშუქებდა საზოგადო მოღვაწის, მწერლის მოვალეობისა და დანიშნულების საკითხს. ერთ-ერთ წერილში პოეტი ალეგორიულად გვიხატავს სამშობლოსათვის თავდადებულ მოღვაწეს, რომელიც უარყოფს ყოველგვარ პირადულს და თავგანწირულად იღვწის დაბეჩავებული, დასუსტებული და დაავადებული ქვეყნის (მზეთუნახავის, სატრფოს) გადასარჩენად. წერილში დახასიათებულია ორი ახალგაზრდა. ორივე წამლობდა დაავადებულ სატრფოს, მზეთუნახავს. პირველი დაადგა პირადი სარგებლობის, პირმოთნეობისა და მლიქვნელობის გზას და ავადმყოფს დაუნიშნა უსარგებლო, მაგრამ ტკბილად სასმელი, სასიამოვნო წამალი. ამ ხერხით (ტკბილი სასმელებით) სურდა მას დაემსახურებინა სატრფოს სიყვარული, ე. ი. მიეღწია პირადი სარგებლობისათვის. მეორე მკურნალმა აირჩია თავგანწირვის გზა, ოღონდ მზეთუნახავი გადაერჩინა. მან იცოდა, რომ ამ შემთხვევაში ავადმყოფს ტკბილი წამალი არავითარ სარგებლობას არ მოუტანდა — საჭირო იყო მწარე, არასასიამოვნო, მაგრამ განმკურნებელი წამლის მიცემა. მან იცოდა, რომ მწარე წამლის მიცემის გამო სატრფო მისი უმადური დარჩებოდა. „სიცოცხლეს მომიწამლავენ, სიმართლეს დამიკარგავენ და ვინც მიყვარს, იმასაც დამამტერებენო", — ამბობდა იგი, მაგრამ რაკი დარწმუნებული იყო, რომ ეს მწარე წამალი მზეთუნახავს განკურნავდა, გადაწყვიტა: „ისევ მე გავუბედურდე ის მირჩევნია, ვიდრე ჩემი საყვარელი მზეთუნახავი ვნახო დამახინჯებულიო", და შეუდგა წამლების მომზადებას: ამოიღო თავისი ნაღველი, გალესა თავის ცრემლებში, ჩააწვეთა ოფლი და შეადგინა სამკურნალო". ეს მწარე წამალი ავადმყოფს მან ძალით დაალევინა. მზეთუნახავმა არასასიამოვნო წამლის მიცემის გამო პატიოსანი, მისთვის თავდადებული მკურნალი შეიძულა, ხოლო პირველი შეიყვარა და დაიახლოვა. სატრფოს კეთილი მომავლით დაინტერესებული მკურნალი არ შეუშინდა პირად უბედურებას, მზეთუნახავი სასარგებლო მკურნალობით სიკვდილს გადაარჩინა და, შემდეგ, როდესაც განკურნებულ მზეთუნახავს, მშვენიერი ვაჟიშვილით ხელში, ბაღში სეირნობისას შეხვდა გლახაკადქცეული კეთილი ექიმი, მან კმაყოფილებით განუცხადა: „ჩემი ჯილდო დღეს მე მიღებული მაქვს. თუ არა ჩემი შრომით, ჩემის წამლებით, დღეს ვეღარც შენ განახავდი მაგრე მშვენიერს და არც ის შვილი გეყოლებოდა მშვენიერი და ტანმრთელი. ჩემი თავმოყვარეობა დაკმაყოფილებულია თქვენის ბედნიერების ნახვითო".

აკაკი, როგორც დიდი ეროვნული და ინტერნაციონალისტი პოეტი, სხვა ქვეყნის მოაზროვნეთა შეხედულებებს კრიტიკულად სწავლობდა და შემოქმედებითად იყენებდა თავის მდიდარ და მრავალფეროვან შემოქმედებაში. პოეტი გმობდა ბრმა მიმბაძველობას, ლიტერატურასა და ხელოვნებაში სხვათა აზრებისა და ტრადიციების უნიადაგო წამხედურობით გადმოტანას, ეროვნული ცხოვრებისაგან მოწყვეტილ ლიტერატურასა და ხელოვნებას. მისი აზრით, ნასესხები თუ ორიგინალური იდეები და პოეტური ქმნილებანი „მშობლიური ხალხის დარჯაკში" უნდა იყოს გატარებული, მწერლის მიერ ღრმად შესისხორცებული, საკუთარ პოეტურ ქურაში გამოწრთობილი, საკუთარი გრძნობა-გონებით აწონილი, საკუთარი სისხლით ნასაზრდოები და გაზრდილი. უამისოდ აკაკის შეუძლებლად მიაჩნდა ნამდვილად თვითმყოფი ეროვნული და საკაცობრიო მნიშვნელობის ლიტერატურისა და ხელოვნების ჭეშმარიტი განვითარება (XIII, 356).

გასული საუკუნის 60-იანი წლების იდეურ-პოლიტიკური, მხატვრულ-ლიტერატურული და ხელოვნების ესთეტიკური პრინციპების გამო პეტერბურგში გაჩაღებული ბრძოლებისა და მისადმი საკუთარი დამოკიდებულების შესახებ აკაკი წერდა: „ყირიმის ომმა თვალი გამოახელინა რუსეთს... იმ დროს გამოვიდა სარატოველი სემინარიელი ჩერნიშევსკი, ჩაუდგა სათავეში ჟურნალ „სოვრემენნიკს" და დობროლუბოვთან, ანტონოვიჩთან, ნეკრასოვთან და სხვებთან ერთად დასცა რუსეთს კიჟინა. ამოძრავდა რუსეთი... მისი ხელახლა დამონება შეუძლებელი იყო. დააგდო ძველი გზა, დაადგა ახალს და, რასაკვირველია, როგორც ყოველთვის ახალს, ამასაც ზოგი რამ შეცდომა მოჰყვა... და მაშინ გაჩნდა, ტურგენევისაგან აღნიშნული ნიჰილისტობაც. ამ... დროს გამოსცა ჩერნიშევსკიმ თავისი კრიტიკული წიგნაკი „ხელოვნება მარტო ხელოვნებისათვის, თუ ცხოვრებისათვის?" (აკაკის მხედველობაში აქვს ნ. ჩერნიშევსკის შრომა „ხელოვნების ესთეტიკური დამოკიდებულება სინამდვილესთან" — პ. კ.), ამან დიდი გავლენა იქონია მკითხველებზე... მაშინ ლიტერატურა ორად გაიყო: უმეტესობა სრულიად უარყოფდა მწერლობაში ხელოვნებას და მეორე, ბევრად ნაკლები, ისე გადაჰყვა ხელოვნებას, რომ გარდა კეთილხმოვანებისა და მუსიკისა აღარა სწამდა რა მწერლობაში. ამ ბრძოლაში აკაკიმ, როგორც თვითონ აცხადებს, შუა ხაზი დაიჭირა: „სხვასავით წამხედურობით, უმეტესობის მიმდევარი არ ვყოფილვარ. ზაიცევს არად ვაგდებდი, ნიჭიერ პისარევს თუმცა ვაფასებდი, მაგრამ მისი ბევრი რამ არ მომწონდა და არც ის მეჯერა მეორე პარტიის, რომ მწერ-

ლობაში მხოლოდ მუსიკა და კეთილხმოვანება უნდა იყოს და კმარაო. ორთა შუა მყოფს მე ჩემი გზა მქონდა არჩეული და მივდიოდი წყნარად".[1] როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს, პოეტი უშუალოდ და კარგად იცნობდა პეტერბურგში გაჩაღებულ ბრძოლებს, ხელოვნების შესახებ რევოლუციური დემოკრატების შეხედულებებს, მათ მედგარ ბრძოლას „წმინდა ხელოვნების" მიმდევართა წინააღმდეგ, ამ შეჯახებებში დაშვებულ გადახრებსა და შეცდომებს და გადმოგვცემს, რომ იგი არ იზიარებდა შეხედულებას „ხელოვნება ხელოვნებისათვის", არც ნიჰილისტებისა სჯეროდა. მას საკუთარი გზა ჰქონდა არჩეული და ეს პოზიცია ძირითადად რუსეთის დიდი დემოკრატების, განსაკუთრებით ბ. ბელინსკის, ნ. ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის ესთეტიკური პრინციპებიდან გამომდინარეობდა. აკაკი რომ იზიარებდა ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის ესთეტიკურ შეხედულებებს, ეს იქიდანაც კარგად ჩანს, რომ ის ყოველთვის პატივისცემით იხსენიებდა ბელინსკის. პოეტი რუსეთის დიდ მოაზროვნეს ახასიათებდა, როგორც შესანიშნავ კრიტიკოსს, ეროვნული შეგნების ჩარხის დამტრიალებელს და ქართული ლიტერატურული კრიტიკის მიმართ მიუთითებდა: „ჩვენ ჯერ კიდევ ჩვენი ბელინსკი არ გამოგვჩენიაო"[2].

პოეტი დიდად აფასებდა ჩერნიშევსკის ბრძოლას „წმინდა ხელოვნების" იდეალისტური შეხედულების წინააღმდეგ. აკაკი უწოდებდა მას გამოჩენილ მწერალს და აღნიშნავდა: „როდესაც ხელოვნებამ ისე გაიტაცა რუსეთის მწერლობა, რომ უკეთესნი და უნიჭიერესნი წარმომადგენელნი ძირს ფეხს აღარ ადგამდნენ და მხოლოდ მიმოფრენდნენ ცის ლაჟვარდში, ცხოვრებისაგან მოსხლეტილნი, მაშინდელმა გამოჩენილმა მწერალმა ჩერნიშევსკიმ შენიშნა მათ, რომ ხელოვნება მარტო უნაყოფო ხელოვნებისათვის კი არ უნდა იყოს... ცხოვრებას უნდა ემსახურებოდეს... ამით მას უნდოდა, რომ უკიდურესობაში ჩამდგარი ხელოვნება როგორმე გამოებრუნებია და საჭირო კალაპოტში ჩაეყენებინა",[3] შემდეგში აკაკი კარგად ხედავდა, რომ ჩერნიშევსკის ამ საფუძვლიანი აზრის უკიდურესობამდე მიყვანით პისარევმა, ზაიცევმა და სხვებმა „თავი ვეღარ შეიმაგრეს, ზომა დაკარგეს და თითქმის სასაცილო უკიდურესობაში ჩაცვივდნენ". პოეტს არ მოსწონდა პისარევისა და ზაიცევის ნიჰილიზმი, არ უთანა-

---

1 აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 7, გვ. 91, 92, 93; შდრ.: აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 13, გვ. 242.

2 „ივერია", 1903, № 216.

3 „ივერია", 1901, № 168.

გრძნობდა მათ და ისევე სასაცილოდ ჰქონდა აღებული იგი, როგორც შეხედულება „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. აკაკი, როგორც თვითონვე აცხადებდა, გმობდა „წმინდა ხელოვნებას“ და მასთან ერთად ხელოვნების უარმყოფელ ნიჰილისტებს. აკაკის მიერ ხელოვნებაში ორი უკიდურესობის უარყოფა და შუა ხაზის აღება, ფაქტობრივად, როგორც აღვნიშნეთ, ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის მოძღვრებათა აღიარებას ნიშნავდა. ყველაზე კოლორიტულად თავისი ადრინდელი ესთეტიკური შეხედულებანი ახალგაზრდა აკაკიმ გამოთქვა 1865 წელს „ცისკარში“ დაბეჭდილ რეცენზიაში „რაოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ“. *

---

* 1864 წ. ცნობილმა სამოციანელმა კირილე ლორთქიფანიძემ პეტერბურგში გამოსცა კრებული „ჩონგური“, რომელშიაც შედიოდა ნ. ბარათაშვილის. ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლისა და სხვათა თხზულებანი. ქართული პოეზიის აღნიშნული ანთოლოგიის გამოცემა იმ დროისათვის მეტად საყურადღებო მოვლენა იყო. ამ ანთოლოგიაში პირველად დაიბეჭდა ახალი ქართული მწერლობის ნიმუშები. როგორც ვიცით, იმ დროს არსებობდა პროფ. დავით ჩუბინაშვილის მიერ გამოცემული „ქართული ქრისტომატია, ან გამოწერილნი სტატიები სხვათა და სხვათა ჩინებულთა მწერალთაგან“, ნაწ. I და II, გამოცემული პეტერბურგს პირველი 1846 წელს, ხოლო მეორე — 1863 წ. აღნიშნულ ქრესტომათიებში შეტანილი არ იყო თანადროულ მწერალთა თხზულებები, რის გამოც მაშინდელი პროგრესული ქართველი საზოგადოებრიობა უკმაყოფილებას გამოთქვამდა. მოწინავე ინტელიგენცია, ძველი ქართული მწერლობის ნიმუშთა გამოცემასთან ერთად კატეგორიულად მოითხოვდა ახალი და თანადროული მხატერული ლიტერატურის გამოცემას და ხალხში გავრცელებას. ამ მხრივ კირილე ლორთქიფანიძის მიერ ქართული პოეზიის ანთოლოგიის გამოცემა დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ამ კრებულით ქართველ მკითხველს საშუალება ეძლეოდა გასცნობოდა ახალი ქართული ლიტერატურის ნიმუშებს. კ. ლორთქიფანიძის ამ საპატიო განზრახვას დიდი თანაგრძნობით შეხვდა მოწინავე ქართველობა; განსაკუთრებით აღფროვანებით გამოეხმაურნენ „ჩონგურის“ გამოცემას ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ი. გოგებაშვილი და სხვ., კრებულის გამოცემისას კ. ლორთქიფანიძემ პეტერბურგიდან წერილი გამოუგზავნა საქართველოში ი. ჭავჭავაძეს და სთხოვა ანთოლოგიისათვის საკუთარ ნაწარმოებთა მიწოდება. ამ ბარათს ილია აღტაცებაში მოუყვანია. საპასუხო წერილში აღუნიშნავს: „დიდი სიხარულით ვნახიკითხე შენი წიგნი ჩემთან მოწერილი. ღმერთმა ხელი მოგიმართოს ყოველს მაგისთანას საქმეში, რომელიც ყველასათვის ერთნაირად სასიამოვნოა. მეც ჩემის მხრივ მადლობას გეუბნები, რომ მაგისთანა კეთილ საქმეში, ჩემი ხელიც გაურიე. საკვლაოდაც თუ ჩემი დახმარება რაშიმე ივარგებს და დაგჭირდება, გთხოვთ, ყოველთვის და ყოველგან მიგიულვო სულით და გულით გამზადებული“. გამოიცა თუ არა „ჩონგური“, ქართველი სამოციანელები შეუდგნენ მის ხალხში გავრცელებას. ი. ჭავჭავაძემ და ი. გოგებაშვილმა პირადად იკისრეს ამ ამოცანის გადაწყვეტა. მათ წიგნის ოც-ოცი ცალი სულ რამდენიმე დღეში გაავრცელეს. კრებულში მოთავსებულ თხზულებებს ახალი იდეები შეჰქონდა ხალხში. იგი ახალი სალიტერატურო ენის დამკვიდრებასაც

აღნიშნული წერილის პირველ სტრიქონებშივე იგრძნობა ახალგაზრდა შემოქმედის ესთეტიკური შეხედულებების ძირითადი შინაარსი, მისი აზრი ხელოვნების დანიშნულების შესახებ. იგი გმობს მწერლების მიერ უნაყოფო ოცნებებით გატაცებას, უსაგნოდ ცის ლაჟვარდში მიმოფრენას, ხალხის ცხოვრებისაგან მოსხლეტას, უსარგებლო „ტკბილსმოვნებისადმი" გამოდევნებას და აღიარებს სინამდვილის, ყოველდღიური ჭეშმარიტების ასახვას, მშრომელი ხალხის ცხოვრების, მისი ყოფის, სულის, ფიქრებისა და მისწრაფებების გამოხატვას. ამიტომაა, რომ პოეტი აღფრთოვანებით მიესალმა „ჩონგურის" გამოცემას და აღნიშნა: ჩანგური არის პირველი წიგნი, რომელსაც ასხია ქართული ხორცი, უდგია ქართული სული, სტირის და კვნესის ქართველების კვნესით და მაშ რაღა საეჭვოა, რომ ყოველ რიგიან ქართველთ ნათესავთათვის სასიხარულო იქნებაო მისი გამოცემა.[1] ამ წერილში აკაკიმ „წმინდა ხელოვნება", მოძღვრება „ხელოვნება ხელოვნებისათვის" და ამ თეორიათა მიხედვით ფორმის თვითმიზნად აღიარება რეალური ცხოვრებისა და საზოგადოებრივი ინტერესების ნაცვლად, უსაგნო, განყენებული, შინაარსისაგან დაცლილი „ტკბილსმოვანების" გამოდევნება შეადარა ბულბულის გალობას, შაშვის სტვენასა და მერცხლის ჭიკჭიკს. ყურს ამ ფრინველთა გალობაც ატკბობს და, მაშ, აბსოლუტური ხელოვნების მიმდევრებმა ჩიტებიც პოეტებად უნდა აღიარონო, — ირონიულად დასძენდა რეცენზენტი. მოვუსმინოთ თვითონ აკაკის; იგი წერდა: „მკითხველო! ვიცი საქართველოში ბრძანდებით და მიბრძანეთ: ხომ გაგიგონიათ ჩვენში ბულბულის ყეფა, შაშვის სტვენა და მერცხლის ჭიკჭიკი? რასაკვირველია, არა თუ შენ მარტო, ყველას გაუგონია და თუ მოცლილიც ვყოფილვართ, დაგვიგდია ყური და დაგვიტკბია სასმენელი, ათასად უფრო ვიდრე ბესიკის გარმონიული ლექსებისაგან. და მაშ ეს ჩიტები, რაკი საქართველოში ეგ ბუნება ყოფილა, არ გამოლეულან და მაგრე უსტვენიათ, მაშასადამე ეგენი უნდა იყვნენ უპირველესნი რიცხვით პოეტები; მაგრამ იმედი მაქვს, შენს გულშიაც არ შეუშვებ, რომ ჩვენს ლიტერატურაში რაიმე დამსახურება ჰქონდესთ, თუმცა სასმენელს კი გვიტკბობენ. რასაც თქვენ ფიქრობთ

უწყობდა ხელს. ეკ. მესხი თავის მოგონებაში აღნიშნავს: „ამ ხანებში (1866 — 1867 წწ. — პ. კ.) იყო მარტო ერთადერთი კრებული „ჩონგური", რომელიც პეტერბურგში ქართველ წრეს გამოეცა. ეს კრებული მეც მქონდა და დიდი სიამოვნებით და აღტაცებით ლექსებს ზეპირად ვსწავლობდი".

[1] „ცისკარი". 1865, სექტემბერი, განყ. III, გვ. 3; შდრ: აკაკი წერეთელი, თხზ., ტ. XI, გვ. 20.

მაგ ჩიტებზედ, მეც იმას ვფიქრობ მაგ თქვენს ნაქებ მწერლებზედ, რომლებსაც ერთი და იგივე ღირსება აქვსთ მაგ ჩიტებთან, რადგანაც მაგათ ლექსებში ცარიელი სტვენის მეტი არაფერი მოისმის.[1] ამ აზრს პოეტი უფრო ავითარებს და ბესიკის „ტანო ტატანოს" და სხვა ლექსებს მიიჩნევს ბულბულის ცარიელ სტვენად. ბესიკის მთელს შემოქმედებასა და მისი „ჰამქრის" ქმნილებებსაც მოცლილი კაცის სასმენელთა დამატკბობელ სიმღერად თვლის. მათ მგალობელი ჩიტებივით არ რიცხავს პოეტთა რიცხვში.

აკაკი მწერლობისაგან მოითხოვს სალხისათვის ზრუნვას, კეთილი მომავლის მომზადებას, ადამიანისათვის სასარგებლო მოვლენების ხელისშეწყობას, მავნე, საზიანოთა დარღვევასა და განადგურებას. მწერალი ჰუმანისტია. ჰუმანისტობა კი ნიშნავს შეეძლოს მსხვერპლის გაღება ხალხის საკეთილდღეოდ, მათთვის თავდადება, მან საჭიროების ჟამს თავისი თავიც უნდა გასწიროს სამშობლო ქვეყნის სამსახურად. ბელინსკისა და ჩერნიშევსკის მსგავსად ისიც აცხადებს: „კაცი... მარტო აწმყოთი არ სცხოვრობს და არც არის ბედნიერი აწმყოთი, თუ მომავალს კეთილს არ იმზადებს და არ მოელის; სცდილობს, რომ ყოველს კეთილის მომნიჭებელს მიზეზს მომავალისას ხელი შეუწყოს და წინააღმდეგი თვისი მომავალის ბედნიერებისა დაარღვიოს"[2]. ამრიგად, აკაკის პოეტის აუცილებელ თვისებად მიაჩნდა დაჟერებული ბრძოლა მომავლისათვის. მწერალმა უნდა იფიქროს ხალხის მომავალზე, ამოთხაროს ძირიანად ეკალი და მის ნაცვლად იქ ჩათესოს კეთილი თესლი, რაც არ დაიკარგება: ამოვა მომავალში და მოიტანს კეთილს ნაყოფსო.[3] ადამიანი, აცხადებს პოეტი, ზრუნავს და შრომობს თავისი ხალხისათვის და ის გახდება პატრიოტი, რომელიც ხშირად თავს შესწირავს ხოლმე თვისის ხალხის კეთილდღეობას... და ზრუნავს საზოგადოდ მთელი კაცობრიობისათვის[4]. საგულისხმოა და მრავლისმეტყველი, რომ აკაკის ძალზე მოსწონდა ილიას საპროგრამო ლექსი „პოეტი" და სამართლიანად მიიჩნია იგი დიდი აზრის, ღრმა იდეების შემცველად. ილია ამ ლექსით მკაცრად ილაშქრებდა უიდეო, „ტკბილხმოვანი" თხზულებების წინააღმდეგ. აკაკიმ აღტაცებით მიუთითა ლექსის ძალასა და შთამბეჭდაობაზე და აღნიშნა: აი, რას ნიშნავს კაცობა და არა ბულბულობაო. ასევე რეალისტურ-უტილიტარისტული თვალსაზრისით უყურებდა

---

[1] აკაკი წერეთელი, თხზ., ტ. XI, გვ. 21—22.
[2] იქვე, გვ. 23—24.
[3] იქვე, გვ. 29.
[4] იქვე, გვ. 24.

პოეტი ბუნების ასახვის პრობლემასაც. უარყოფდა უდაბურ და ხალხისათვის რითიმე გამოუყენებელ ბუნებას, არ მოსწონდა მისი მისტიკური განხატება, რასაც ზოგიერთი რომანტიკოსი ახდენდა. იგი აცხადებდა: „ბუნებას ხალხი ასხია, შენც ამ ხალხში სცხოვრობ; მიტომ მოგწონს ეს ბუნება და მისთვის მოჰყავხარ მას აღტაცებაში, რომ მაგ ბუნებით შენს გარდა ხალხი სტკბება, თორემ რომ ხალხი არ იყოს და უდაბური იყოს, მაშინ გინდ სამოთხის დარიც იყოს, რად გინდა!.. შეხედე ხალხსაც, გამოიძიე რას შვრება, რა ეჭირვება კეთილდღეობისათვისო და სხვ.[1] შემდეგშიც ესხმოდა თავს პოეტი აბსოლუტური ხელოვნების მიმდევრებს, მათს უშინაარსო აღმაფრენისაკენ ლტოლვას: რად მინდა მაღლა-მაღლა არწივივით ვიფრინო იმ დროს, როცა დაბლა სამწყსო ჩემგან ჩემს თანხლებას მოითხოვსო.[2] აკაკი მწერლობის ღირსებას ქვეყნის ჭირვარამის გამოხატვასა და ხალხის მომავლისათვის ბრძოლაში ხედავდა. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა პოეზიის მიერ ხალხის ღირსებანაკლულოვანებათა და საზოგადო საჭიროებათა ასახვას, გმობდა უაზრო ფანტაზიორობას და მის ნაცვლად მოსწონდა ჭკვიანი აზრი. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა აკაკი ამ რეცენზიაში ნაწარმოების მხატვრული მხარის ერთგვარ შეუფასებლობასაც იჩენს. იგი ისე გაიტაცა „წმინდა ხელოვნების“ თვალსაზრისის კრიტიკამ, რომ ილია ჭავჭავაძის ლექსების შეფასებისას დაუშვა ერთგვარი ნიჰილისტური ხასიათის შეცდომა. იგი წერდა: „თუ ჭავჭავაძის ლექსებში მარტო ხელოვნებას მივაქცევთ ყურადღებას, მაშინ მის ლექსებს არ ექნება დიდი ღირსება, მაგრამ ჩვენ მარტო ხელოვნებას არ ვეძებთ... ჩვენ ვეძებთ ჭკვიან აზრებს და ამას კიდევაც ვპოულობთ ჭავჭავაძის ლექსებში“.

ამავე წერილში აკაკი დიდად აფასებდა ილიას და აღნიშნავდა: „ბარათაშვილი და ჭავჭავაძე სწორედ ერთს ტახტზედ სხდომის ღირსები არიან, ერთგვარი დამსახურება აქვთ ჩვენს ლიტერატურაში, ერთ გვარათ დაუვიწყრები არიან, ერთის გაუწყვეტელის ჯაჭვით გადაბმულები ერთი მეორეზედ“[3]. ბოლოს იძლევა მკაფიო დასკვნას: „ერთი სიტყვით, ჭავჭავაძე არის ბარათაშვილის მოკანანახე და მისი დიდი ღირსებაც ამაზედ არის დაფუძნებული. ყოველს მის ლექსში ვხედავთ ქართველების ტანჯვას და გოდებას“.[4]

როგორც ითქვა, აკაკის ნიჰილისტურმა რეციდივებმა თავი

---

[1] აკ. წერეთელი, თხზ., ტ. XI, გვ. 26.
[2] აკაკის თვიური კრებული, 1898. VIII, გვ. 10.
[3] აკ. წერეთელი, თხზ., ტ. XI, გვ. 21.
[4] იქვე, გვ. 30.

იჩინა ბესიკისა და ზოგიერთი სხვა ქართველი მწერლის შემოქმედების შეფასებაშიც, როცა პოეტმა მათი ლექსები მოცლილი კაცის სასმენელთა დამატკბობელ საშუალებებად მიიჩნია[1]. აქვე პოეტი აღწევს ზოგიერთი ნიჰილისტური ხასიათის დაშვებული შეცდომების გამოსწორებას და ბელინსკისა და ჩერნიშევსკის მსგავსად ხელოვნებაში აზრის, იდეისა და ფორმის ერთიანობას აღიარებს. იგი ასე მსჯელობს: „ჭკვიანი აზრები რომ კაცმა ტკბილის სიტყვებით გასმინოს, უეჭველია, სიხარულითა და სიამოვნებით მიუგდებთ ყურს, მაგრამ იმავე ჭკვიანი აზრების გადმოცემა რომ სიმღერით მოინდომოს და სიმღერა კი უჭირდეს, მაშინ სიცილს მოგგვრის, მაგრამ თუკი მღერაც იქნება, მაშინ რასაკვირველია, ეშხში უფრო მოგვიყვანს, რომ სიმღერით გვასმინოს".[2]

რეცენზენტი სავსებით მართალი იყო, როდესაც მწერლობის ძირითად დანიშნულებად ხალხის სამსახურში ჩადგომას აღიარებდა და ოდენ ტკბილმოუბრობით გატაცებას უარყოფდა. მისმა უკომპრომისო და გაბედულმა კრიტიკამ დიდი როლი შეასრულა ყოველგვარი ჯურის ფორმალისტების „წმინდა ხელოვნების" თეორიათა დაძლევაში და ხელი შეუწყო კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრებას. მოგვიანებით, პოეტმა თავისი პოზიცია და დამოკიდებულება ზოგიერთი მწერლის მიმართ გადასინჯა და გულწრფელად აღიარა: მესამოცე წლებში რუსეთიდან დაბრუნებულებს ნიჰილისტობის საფუარი ცოტად თუ ბევრად ყველას გვქონდა მოდებული და მიტომაც გაგვიძნელდა ხალხის დაახლოება ისე მალე, როგორც ჩვენ გვინდოდა და გვეგონაო[3]. ამ „საფუარისათვის" დროებითი ხარკი სტუდენტობის წლებში იძულებით ჩვენს პოეტსაც გაუღია. ამას გამოხატულება უპოვია პეტერბურგის სტუდენტთა წრეში ლექსის: „სიმღერა მკის დროს" წაკითხვისას სტუდენტებს დაუძალებიათ და აკაკისაც ამ შესანიშნავი ლექსისათვის მხატვრულად სრულიად გაუმართავი სტროფი წაეკერებინა. აკაკი გადმოგვცემს: ხელოვნების კანონების დარღვევა „ბევრჯერ მწერლის ბრალიც არ არის. გარემოება აიძულებს ხოლმე მწერალს, რომ თავისი ნაწარმოები თვითონვე დაამახინჯოს, თუ უნდა რომ გასავალი ექნეს. ამ ოცდათხუთმეტი წლის წინეთ მე ერთი ლექსი დავწერე: „სიმღერა მკის დროს". იმ დროის შესაფერისად არ იყო ურიგოთ დაწერილი, მაგრამ კიჟინი დამცეს: ეს უნაყოფო ბულბულობაა და სხვა არაფერიო!

---

[1] აკაკი ნერეთელი, თხზ., XI, გვ. 25.
[2] იქვე, გვ. 22.
[3] აკაკი ნერეთელი, თხზ., ტ. 13, გვ. 384.

ხელოვნება ხელოვნებისათვისო... აქ სასარგებლო არა არისო, მეც ავდექი და ბოლოში მივაწებე:

უხვად მოვიდა წელს პური,
მაგრამ ბედს მაინც ვემდური,
რომ მას ბატონი წამართმევს
და მე კი ოფლსა ტყვილად ვღვრი!

ეს რომ ნახეს მომატებული, მაშინ მოიწონეს და დამიბეჭდეს. მე კი ვხედავდი, რომ ეს ხელოვნების შეურაცხყოფა იყო და ამიტომაც მოვშალე შემდეგში."[1] სტუდენტთა რჩევა გამოწვეული უნდა ყოფილიყო ლექსის იდეურ-პოლიტიკური სიმასვილის უფრო გაძლიერების მიზნით. მათთვის კი აზრსა და იდეას ჰქონია მთავარი მნიშვნელობა, ამიტომ მოიწონეს ლექსის საბოლოო „მინაკერი", მიუხედავად იმისა, რომ სტროფი მხატვრულად სუსტი იყო. ეს გარემოება საგულისხმოა ქართველ სტუდენტთა იდეური განწყობილების გასათვალისწინებლად. აკაკი შემდგომში არაერთხელ მიუთითებდა „წმინდა ხელოვნების" და ნიჰილიზმის მიუღებლობაზე და მათ მავნეობაზე. 1896 წელს („კვალი", № 21) აკაკი კვლავ დაუბრუნდა ამ საკითხებს და წერდა: მესამოცე წლების რუსეთში „მწერლობა ორ ბანაკად გაიყო; ერთი ამტკიცებდა, რომ ხელოვნება მხოლოდ ხელოვნებისათვის უნდა იყოს და არა ცხოვრებისათვის, მეორე კი იმ აზრზე იდგა, რომ ხელოვნება ცხოვრებისათვისო... წმინდა ხელოვნების მომხრეებმა ჰაერში მოინდომეს ფრენა და ძირს, დედა-მიწაზე ფეხს აღარ აკარებდნენ, ყოველდღიურ ავკარგიანობას ზურგი შეაქციეს და მხოლოდ „ტკბილხმოვანობა" და „საამო ფერადობა" მიიქარგეს დროშაზე."[2] პოეტი არ იზიარებს „წმინდა ხელოვნების" არც ერთ დებულებას, არც ერთ მიზანს. იგი მიაჩნია ხალხისათვის საზიანოდ, ვინაიდან უსაგნოდ ჰაერში ფრენა გადაუწყვეტია, ქვეყანასა და ხალხს მოწყვეტია და ამქვეყნიური ყოველდღიურობა დაუგმია. ამას კი უიდეო ფორმალიზმამდე მიჰყავდა ხელოვნება. ამასთან ერთად, აკაკი სამართლიანად არ იზიარებს მეორე უკიდურესობას — მხატვრული ფორმის შეუფასებლობას. იდეა, შინაარსი მას მხოლოდ მაშინ მიაჩნია ხალხის გულში ჩამწვდომ ძალად, როცა შესაფერის მხატვრულ ფორმა-

[1] აკაკი წერეთელი, თხზ., ტ. 13, გვ. 364; შდრ: აკ. წერეთელი, თხზ., ტ. 7. გვ. 94-95 (აღნიშნული წერილის ტექსტში არის ზოგიერთი განსხვავება. მაგ. VII და XIII ტომის ტექსტთა შორის-პირველშია: „წელს", მეორეშია „დღეს"; პირველშია: „რომ პურს ბატონი წაიღებს"; მეორეშია: „რომ მას ბატონი წამართმევს"; „რომ ამას სულ სხვა წამართმევს" (ტ. I, გვ. 427). ზოგიერთი სხვაობა აღინუსხება ამბის თხრობაშიც).

[2] იქვე, გვ. 242.

ში იქნებოდა გამოხატული. ამიტომაცაა, რომ ნიჰილიზმს იგი ხელოვნების დამღუპველ მოვლენად თვლის.

თავისი შემოქმედების მთავარ საგნად აკაკის ეროვნული და სოციალური თემატიკა მიაჩნდა, ხოლო ბრძოლის მახვილ იარაღად კი — მწერლობა. დიდი პატრიოტი ლიტერატურასა და ხელოვნებას უდიდეს პოლიტიკურ, სოციალურ და ეროვნულ-მოქალაქეობრივ ფუნქციას აკისრებდა და ეს კრედო მან პრაქტიკული შემოქმედებითი საქმიანობით განახორციელა კიდეც. პოეტის რწმენით, ლიტერატურამ რეალური ცხოვრება უნდა ასახოს თავის მრავალფეროვნებაში, გამოავლინოს ადამიანთა ურთიერთობის მანამდე მიჩქმალული ასპექტები და შეხედოს სამყაროს არა როგორც ერთხელ და სამუდამოდ მოცემულსა და დადგენილ სტატუსს, არამედ როგორც განვითარებადსა და ცვლადს. აქედან გამომდინარე, გასაგებია, რევოლუციონერ-დემოკრატების მსგავსად აკაკი მწერლისაგან მოითხოვდა არა მარტო ცხოვრების, ხალხისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა მხატვრულ ასახვას, არამედ ამ მოვლენათა ახსნასაც, შეფასებას, მსჯავრის დადებას, აქტიური როლის შესრულებას ცხოვრების გარდაქმნაში. „მწერლობა უძლიერესი და უპირველესი იარაღია, რომელიც სიმართლით უნდა ილესებოდეს და უსუსტრად იხმარებოდეს სამშობლოს საკეთილდღეოდ... მწერლობა ზნეობითი მესარკეობაა. ნაწერში, როგორც სარკეში, ნათლად უნდა იხატებოდეს მწერლის თანადროება მისის სისწორე-სიმრუდით"[1].

ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის იდეებზე აღმოცენდა ხელოვნების მიერ ცხოვრების სიმართლით ასახვის ახალი მატერიალისტურ-რეალისტური პრინციპი, რაც იმთავითვე სწორად გაიგო და შეაფასა აკაკიმ. იგი „რეალური ცხოვრების დამახასიათებელ თავისებურებათა წარმოსახვას" უდიდეს როლს ანიჭებდა, და ხელოვნებას აფასებდა „სინამდვილისადმი ერთგულების" ნიშნისა და ძალის მიხედვით. აქედან გამომდინარე, პოეტი წერდა:

ეს გული სარკედ ქცეული,
ბუნების ნათავხედია;
მხოლოდ მის სახეს გვიჩვენებს,
რასაც შიგ ჩაუხედია...

აკაკი სავსე გულით მივიდა ხალხთან. ამიტომაა მისი პოეზია ქართველი ხალხის ცხოვრების მართალი განსახიერება. სამშობლოს აწმყოს, წარსულისა და მომავლის ტრუბადურმა თავის მოვალეობად ხალხის სამსახური გაიხადა და „ყოველდღიურ საერო მოვლენებს, რაგინდ წვრილმანიც იყოს" ქვეყნისა და

[1] აკაკი წერეთელი, თხზ., ტ. 12, გვ. 234.

ხალხის ინტერესთა შესაბამისად ასახავდა. ეს მრწამსი მან უდიდესი პოეტური შთაგონებითა და მხატვრული ოსტატობით განახორციელა. მისი რწმენით ხელოვნება სინამდვილის მხატვრული ასახვაა, პოეტი გარემოების საყვირია — „მე ჩანგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს"; მწერლობა აქტიური მებრძოლია პროგრესისათვის, მან ავი და კარგი უნდა გაარჩიოს და კიდეც განსაჯოს. სახალხო საქმის ორგულთ და მტერთ ლახვარი დასცეს, ხოლო ერთგული აქოს, ადიდოს და მათი მაგალითები შთამომავლობას ნიმუშად დაუსახოს: „მაქებარი ვარ ერთგულის და მგმობი ქვეყნის მტრებისა, მათი პასუხის მიმცემი საკადრის-შესაფერისა" („პოეტის პროგრამა"). ხალხის მეგობრად ყოფნა კი, მისი აზრით, ნიშნავდა სიმართლისა და სამართლიანობის სიყვარულს. სამართლიანობა და სიმართლე კი ხალხთა თავისუფლებისათვის ბრძოლას მოითხოვდა. პოეტს ხელოვნების განსაკუთრებულ საპატიო ამოცანად დაბეჩავებული და დამონებული ხალხების განთავისუფლებისათვის ბრძოლა მიაჩნდა. აქ სოციალურ ასპექტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლა ძირითად წამყვან პრობლემად ითვლებოდა. ამიტომ აკაკი ხელოვნებას მჩაგვრელთა წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლას უსახავდა მიზნად:

რომ დაჩაგრულს მის სიმღერით
თვალთ ცრემლები ეშრობოდეს
და მჩაგვრელს კი გულში ძგერით
ისარივით ესობოდეს!

სიმართლის გამოხატვას რომ აღიარებდა აუცილებელ მომენტად, ამით პოეტი კრიტიკული რეალიზმის დამახასიათებელ თვისებად თვლიდა ცხოვრების მანკიერ მოვლენათა გაბედულ მხილებას, რეალური სინამდვილის კრიტიკულ ასახვას, მართლის თქმას, ავ-კარგის მხატვრული სახეებით ჩვენებას:

გამიქვავდეს მაშინ ენა,
თუ რომ ვისმეს მივეფერო
და გამიხმეს ეს მარჯვენა,
თუ სიმრუდით სიმთ ვაჟღერო! („ჩანგური")

ამ სტრიქონებიდან დავით გურამიშვილისეული ინტონაცია გვესმის: დევიზი „ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების"[1] მისთვის მუდამ მახლობელი და გასაგები იყო, მან იცის, რომ ცარიზმის პირობებში მართლის მთქმელს „ცხენი შეკაზმული

[1] დავით გურამიშვილი, თხზ., სრ. კრებული, ალ. ბარამიძის რედაქციით, 1955, გვ. 51, სტროფი 172.

უნდა ედგეს", მაგრამ სწორედ ასეთ პირობებშია საჭირო გმირობის გამოჩენა. აკაკი ითვალისწინებს დავითის ცნობილ თქმას:

მართალს ვიტყვი, შეუქნები ტყუილისა მოსმბე რად?
ვერას უქებ საძაგელთა. უფერულსა პირ-საფერად.
მე თუ გინდა თავი მომჭრან, ტანი გახდეს გასაბერად,
ვინც არა პგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად.[1]

დიდი ქართველი პოეტის ამ მებრძოლი ხმის შესაბამისად აკაკი რეალისტი მწერლის აუცილებელ პირობად უსამართლობის წინააღმდეგ გაბედულ ბრძოლას აღიარებს:

რა გინდ ბედით ვიყო კრული,
საშინელიც მექნეს ბოლო,
არ შედრკება ჩემი გული,
გინდა ქვითაც ჩავიქოლო!.. („ჩანგური")

პოეტს კარგად ჰქონდა წარმოდგენილი კოლონიური და სოციალური ჩაგვრის პირობებში მებრძოლი მოღვაწის მწარე ხვედრი, საშინელი ბედი და აცხადებდა:

„უნდა იცოდეს მწერალმა, რომ მას მოელის მტრობა, შურისგება და დევნა... პატიოსანი და ნამდვილი მწერალი ყოველთვის უნდა მოელოდეს რისხვას, ლანძღვას, გინებას, გათრევას", მაგრამ ხალხისა და ხელოვნების სიყვარულით ანთებულმა ყოველივე ეს უნდა აიტანოს. მტრის რისხვას გაუძლოს და ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლაში თუ საჭიროა, თავიც გასწიროს, ვისაც ამგვარი გმირობა, ძალა და გამძლეობა არ აქვს, ის სამშობლოსათვის მებრძოლ მოღვაწედ ვერ გამოდგებაო. აკაკი გადაჭრით გმობს თვალთმაქცურ, ფარისევლურ მწერლობას, რომელიც ხალხის თვალის ასახვევად და მოსატყუებლად არის მოვლენილი. მისი აზრით „მწერლობაც იგივე მკურნალობაა და ვისაც ეს არ ესმის კალამს რათ აწუხებს?... და თუ ესმის, ფარისევლის კვერთხად რად იჭერს ხელში? მიტომ, რომ მკითხველები მოატყუოს და ქვეყანას თვალი აუხვიოს? არა, შერცხვეს მისთანა კალამი, რომელიც კარგს კუპიდონის ისარსავით ტკბილად არ უსიცინებს გულში და ავს კი შხამ ისარსავით არ უმწარებს სისხლსა და ხორცს", არ იბრძვის დასამხობელის დასამხობად. თავის ბასრ კალამს რომ მიმართავდა, აკაკის სწამდა, რომ ხელოვნება და ლიტერატურა არის ცხოვრებაზე ზემოქმედების მძლავრი იარაღი. ამ გააზრებით იქცევს ყურადღებას მისი მიმართვა კალმისადმი:

---

[1] დავით გურამიშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 50, სტროფი 172.

ოქრო და ვერცხლზე ძვირფასო
პატარა ბატის კალამო,
შხამ-ისარი ხარ მჩაგვრელის
და ჩაგრულების მალამო!
ახადე ავ-კარეს პირ-ბადე,
ნურაფერს ნუ დამალამო,
დაამხოს დასამხობელი
შენმა სიმართლის ძალამო! (XIV, 145)

აკაკის უყვარდა მებრძოლი პოეზია, რევოლუციური პათოსით შთაგონებული მწერალი თუ საზოგადო მოღვაწე. მისი სტიქიაც ხომ მღელვარე, გაბედული, შეუპოვარი ხელოვნება იყო. მოძრავ და მაძიებელ შემოქმედს შეუძლია ქვეყნისათვის დაფარული საუნჯე წარმოაჩინოს, ჩააყენოს იგი ხალხის სამსახურში, აქციოს საერთო-სასალხო კუთვნილებად:

მხოლოდ როდესაც მრისხანებ,
გულს უხსნი მზეს და მთვარესა,
იმ მარგალიტებს შესტყორცნი
შენ შემკვრელ არემარესა („ზღვაო, აღელდი, აღელდი!").

ცნობილია რევოლუციონერ-დემოკრატთა პოზიცია დაძინებული ხალხის გამოფხიზლების საქმეში. ისინი მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლის გაჩაღებაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მებრძოლ პოეტურ ხმას, ვნებიან მოწოდებას მტერზე გადამწყვეტი შეტევისაკენ. აკაკი, აღიარებს რა მებრძოლი ხელოვნების სიდიადეს, ქმნის აფორისტულ სტროფს:

პოეტო! ნურც შენ ეკრძალვი
მრისხანე გულის ღელვასა!
ძილის დროს ქუხილს ნუ მოშლი
და სიბნელის დროს ელვასა! („ზღვაო, აღელდი, აღელდი!").

აკაკის რწმენით „ლიტერატურა ხალხისათვის სიკეთეში გადამყვანი ხიდია და ფონი... ნიჭი და ხელოვნება საგნის დიადობაში კი არ არის, არამედ მათ გამოხატვაში და გათვალისწინებაშია, გინდ დღევანდელი ვარამი იყოს და გინდ გადასული ძველებური ამბავი". აღიარებდა რა ლიტერატურის იდეური სისავსის აუცილებლობას, პოეტი ამავე დროს გადაჭრით უარყოფდა მხატვრულად მდარე და სინამდვილის უბრალო ფოტოგრაფიულ აღწერას; მექანიკური გადაღება ყოველივე იმისა, რაც ცხოვრებაში ხდება, კრიტიკული რეალიზმი როდია. პოეტი აცხადებდა: „ზოგიერთები საზოგადოთ იმ აზრისა არიან, რომ რეალიზმი მოითხოვს მწერლობაში მხოლოდ პროტოკოლურ აღწერილობას უმეტ-ნაკლებოთ, ისე როგორც ხედავს და ესმის მწერალს. ასე რომ, იქ თავისი არ უნდა გაურიოს რაო... ეს რომ

ასე იყოს, მაშინ ფოტოგრაფიულ სურათებს უპირატესობა ექნებოდათ ხელოვნებით მხატვრობაზე და უბრალო ფოტოგრაფი ემჯობინებოდა გამოჩენილ მხატვარს რაფაელს. მაგრამ ეს ასე არ არის. მართალია, ფოტოგრაფია სწორად აღწერს, ერთ ფიორსაც არ დააკლებს, მაგრამ მაგიერათ განმაცხოველებელ სულს ვერ ჩაუდგამს იმას, რასაც მიბაძვით უახლოვდება და ხელოვანი მხატვარი კი იმისთანა რამ დამახასიათებელ ნიშანს აიღებს, შეურჩევს მისთანა წამს გრძნობა-გონების გამომხატველებისას, რომ სულს ჩაუდგამს და განახორციელებს ნახატს. ამაშია მისი შემოქმედების საიდუმლო ძალა, რომელსაც უფრო სწრაფგადამღები, მაგრამ უსულო ფოტოგრაფი ვერ მიწვდება". პოეტი კონკრეტულად საუბრობს მწერლის მოვალეობაზე, მის მხატვრულ შესაძლებლობაზე. „ნიჭიერმა მწერალმა სტენოგრაფიულად კი არ უნდა გადაიღოს ყველაფერი, რაც გაიგონა და ნახა, არამედ ჩაწეროს, არა ასისა, ათასი სიტყვა-ფრაზისაგან უნდა აირჩიოს მასალები, რომელნიც უკეთ დაახასიათებენ მისგან აღებულ საგანს, რასაკვირველია, შემოქმედებითი ძალით". ეს დებულებები, მეტი რომ არ შეიძლება, ისე ეთანხმება ბელინსკისა და დობროლუბოვის შეხედულებებს. ამ დებულებათა მიხედვით აკაკი სამართლიან მოთხოვნებს უყენებდა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულ მწერალს: იგი დაჯილდოებული უნდა იყოს პოეტური შთაგონებით — „ნიჭი უნდა ჰქონდეს", საჭიროა იყოს „ნასწავლი და განვითარებული", ღრმად იცოდეს და „შესწავლილი ჰქონდეს ის ენა, რომელზედაც აპირებს წერას", უნდა ახასიათებდეს გულწრფელობა, ხალხის სიყვარული, „თავის თავს ისე უნდა უყურებდეს, როგორც მოციქულსა და ქვეყნის მოძღვარს", იყოს უშიშარი, პრინციპული, ობიექტური, შეუპოვარი, „რასაც ხალხს ეუბნება, ის უნდა გულისწმინდით იყოს ნათქვამი... პირადობა შესწიროს საზოგადოს და მზად იყოს, რომ გაჭირვება და უსამართლობა აიტანოს"[1].

აკაკიმ, სავსებით სამართლიანად, დაგმო ქართველ ხალხოსანთა საერთოდ, და კერძოდ, ჟურნალ „იმედის" თანამშრომელთა ლიტერატურული მრწამსი („დროება" 1882, № 44), მათი მცდარი შეხედულება კრიტიკული რეალიზმის შესახებ, მათ მიერ მწერლობაში აბსოლუტური უტილიტარიზმის პრინციპის აღიარება, „რეალიზმის პრიმიტიული გაგება", ხელოვნების მხატვრულ-ემოციური მხარის უარყოფა, მისი შეცვლა შიშველი პუბლიცისტური ქადაგებით და მოვლენათა ნატურალისტური ფორმით გადმოცემის ტენდენცია; ხელოვნებაში ჯანსაღი „პო-

---

[1] აკაკი წერეთელი, თხზ., ტ. 13, გვ. 326.

ეტური ფანტაზიის" უარყოფა, „პოეტური გამონაგონის", „მხატვრული შევსების" უგულებელყოფა. ცნობილია, რომ ბ. ბელინსკი დიდად აფასებდა „მხატვრულ გამონაგონს". იგი მას მიაჩნდა პოეტური ნიჭის ერთ-ერთ აუცილებელ და დამახასიათებელ თვისებად, რომლის გარეშე შეუძლებელია ცოცხალი და წარმტაცი ხატებისა და, საერთოდ, მხატვრული რეალისტური თხზულების შექმნა. აკაკის კრიტიკული წერილიც ბელინსკის მოსაზრების ამ ასპექტს ეხმაურება. ამასთანავე, პოეტმა დაგმო „იმედის" თანამშრომელთა მიერ მდიდარი, მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურისა და სულიერი კულტურისადმი ნიჰილისტური, ქედმაღლური დამოკიდებულება. დიდმა პოეტმა ხალხოსანი მწერლების აღნიშნული მცდარი ესთეტიკური შეხედულებანი, რომელიც „რეალიზმის პრიმიტიულ გაგებაზე იყო დამყარებული, მათი შემოქმედებითი წარუმატებლობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად მიიჩნია".[1]

შემდეგში, როგორც ცნობილია, პოეტი იმთავითვე სასტიკად გმობდა როგორც „წმინდა ხელოვნების" თეორიას, ასევე მხატვრული მხარის იგნორირებას ხელოვნებაში და საერთოდ ნიჰილიზმს. აკაკი კვლავ დაუბრუნდა აღნიშნულ პრობლემებს და დაგმო შიშველი ტენდენციის მქონე ხელოვნება. მიუღებლად მიიჩნია პუბლიცისტურ ქადაგებაში გადასული ხელოვნება, კაზმული სიტყვით ქადაგება, რადგანაც იგი აღმაფრენის ძალას უმცირებსო მწერლობას, ამდაბლებსო მის ზემოქმედებით წარმადობას.[2] ერთ-ერთ წერილში კიდეც უსაყვედურებდა თავის მეგობარ მწერალ სოფრომ მგალობლიშვილს: „ხელოვნებამ ადგილი დაუთმო პუბლიცისტურ ქადაგებას შენს მწერლობაში და აღმა-ფრენას ფრთები შეეკვეცა! შენც, მიუხედავად შენის დიდის ნიჭისა, დაგიხელთა, დაგიმორჩილა იმ სენმა, უცხოეთიდგან რომ შემოგვეპარა, ესე იგი, კაზმული სიტყვით ქადაგებამ"[3]. ამიტომ ბუნებრივია, რომ ხელოვნება, პოეტის ღრმა რწმენით, თავის საპატიო მისიას ვერ შეასრულებს, თუ მასში იდეები არ იქნება განსახიერებული მხატვრული ოსტატობით, ხელოვნების კანონების მოთხოვნილებათა დაცვით, ნაწარმოების კომპოზიციური სიმტკიცისა და მთლიანობის უზრუნველყოფით, სწორი ლარის გაყვანით, დროზე შეჩერებით, ადგილზე წერტილის დასმით, „ნამდვილი ხელოვნება ისეთი რამ არის, — წერდა პოეტი,

---

1 შ. რადიანი, „აკაკი წერეთელი და რეალიზმის საკითხები", თბილისი, 1963, გვ. 16.

2 გურამ ასათიანი, ვეფხისტყაოსნიდან ბახტრიონამდე, 1974, გვ. 203-204.

3 აკ. წერეთელი, თხზ., ტ. 14, გვ. 27.

— რომ თუ ან მეტი, ან ნაკლები რამ შიგ გაურიე, მორჩა, გათავდა, მისი მთლიანობაც და ერთიანობაც ირღვევა"[1]. პოეტი დაბეჯითებით იცავდა მხატვრული ნაწარმოების ფაქიზი, ზუსტი, იდეის სრულყოფილად გამოხატვის პრინციპს. მისი აზრით, პოეტმა რომ თითო-ორი ხაზი მრუდედ გაჰკრას, „მისი მხატვრობა გარდაიქცევა ცრუ მხატვრობად" (XI, 44). აკაკის რწმენით ჭეშმარიტი ხელოვნება მაღალ იდეურობასთან ერთად შეუძლებელია მხატვრული ასახვის, ტიპური განზოგადებისა და საერთოდ, მოხდენილი ფორმის გარეშე. მწერალმა თუ ხელოვნების კანონები დაარღვია, მისი თხზულება, გინდ ნიჭიერიც იყოს და აზრიანი, მაინც კოჭლი, არაბუნებრივი და დამახინჯებული გამოვაო.[2] აკაკი განსაკუთრებით საჭიროდ და აუცილებლად თვლიდა „მთავარი აზრის ლარის მარჯვედ" გაყვანას, „ერთი აზრის მეორესთან ოსტატურად" გადაბმას. აკაკისათვის ნათელი იყო, რომ ხელოვნებას ახასიათებს თავისი სპეციფიკა, შინაგანი განვითარების კანონზომიერება და ცხოვრების ასახვის ფაქიზი ნიუანსების ცოდნას მოითხოვს. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდა იგი პოეტურ მეტყველებაში დედაენის, ერთიანი სალიტერატურო ენის კანონების დაცვასა და განვითარებას, მწერლის მიერ მშობლიური ენის ღრმად დაუფლების აუცილებლობას, ენის კანონების, მართლწერის, მისი მრავალფეროვანი შესაძლებლობების ცოდნას, საერთო ლექსიკიდან საჭირო სიტყვათა შერჩევისა და გამოყენების უნარს. პოეტი გადაჭრით გმობდა დედაენისადმი „თავაშვებულ" დამოკიდებულებას: „ეთქმის მწერალი მისთანა თავხედსა და გამბედავ მჯღაბნელს, რომელმაც არც ენა იცის, არც მართლწერა, არც განვითარებულია და არც თავის ქვეყანასა და ხალხს იცნობს?! რასაკვირველია, არა!"[3] აკაკის რწმენით, მწერალს უნდა მოეპოვებოდეს ღრმა აზრი და შთაგონებული იყოს შემოქმედებითად. რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა შეხედულებისა და ქართული მწერლობის საუკეთესო ტრადიციების გათვალისწინების საფუძველზე აკაკი აღნიშნავდა, რომ „მწერლობა იგივე მხატვრობაა, მხოლოდ სიტყვითი. როგორც უხეირო მხატვარი ხაზის უსწორმასწორობით შეჰბღალავს ნახატს, ისე მწერალიც სიტყვის მეტნაკლებობით ამახინჯებს ნაწერს, რადგანაც, რაც ხაზია მხატვრობისათვის, ისევეა სიტყვაც მწერლობისათვის"[4].

ილია ჭავჭავაძე თავის დროზე აცხადებდა: „ლიტერატურა

---

[1] აკ. წერეთელი, თხზ., ტ. 13. გვ. 364.

[2] იქვე.

[3] იქვე. გვ. 342.

[4] აკ. წერეთელი, თხზ., ტ. 14, გვ. 445.

ხალხის ჭკუა, ხალხის გონება, გრძნობა, ფიქრი, ჩვეულება და განათლების ხარისხია... ხელოვნება არის განსხრციელება სახეში იდეისა, აზრისა: მუსიკა, მხატვრობა, პოეზია — ესენი სულ სახეში გამოსთქვამენ იდეას, მხოლოდ იმით განიყოფებიან, რომ თავის იდეის გამოსათქმელად სხვადასხვა მასალებსა ხმარობენ, როგორც მუსიკა — ხმასა, მხატვრობასა — ხაზსა, პოეზია — სიტყვასა. სიტყვიერებითი ხელოვნება პოეზიასა ჰქვიან, რადგანაც სიტყვის საშუალებით და შემწეობით აღასრულებს ხელოვნების მნიშვნელობასა"[1]. ასე რომ, ილიასა და აკაკის შემოქმედის აუცილებელ მოვალეობად მიაჩნდათ — მწერლობა და მწერალი განსაკუთრებული ყურადღებით მოპყრობოდნენ ენას, მის გამომსახველობით საშუალებებს, ემოციურ-ექსპრესიულ ასპექტს, მის სწორად გამოყენებას. მოვლენათა მაღალმხატვრული, ღრმააზროვანი და შთამბეჭდავი გამოხატვისათვის მწერალმა საერთო-ეროვნული სალიტერატურო ენის ღრმა ცოდნით, ნიჭიერად და მონდომებით, მთელი პასუხისმგებლობითა და შემოქმედებითი ძალით უნდა შეარჩიოს საჭირო სემანტიკური ერთეულები, ენისთვის დამახასიათებელი ფრთიანი გამოთქმები, მშობლიური ენის მისაქცევები, ფრაზეოლოგია და მარჯვედ, ოსტატურად გამოიყენოს ისინი. ამ მიზანს თუ ვერ განახორციელებს მწერალი, მას მხატვრული ჩანაფიქრიც არ გამოუვა. „უთავბოლოდ აშენებული სიტყვის ყორეთი", ან „რითმის მბეჭდველობის" გამოდევნებით, იგი ვერ გახდება ჭეშმარიტად სახალხო მომღერალი, მასების ფიქრთა და ზრახვათა გამომხატველი, მისი გულისა და სულის მესაიდუმლე, ადამიანთა სიხარულისა და აღტაცების თანაზიარი. ლიტერატურა უნდა იცავდეს და ავითარებდეს ბურჯს ეროვნებისა — ენას, მის სიკასკასესა და მოქნილობას, სიტკბოსა და აზრიანობას; ყოველი მწერალი ენის მცველი და მოამაგე უნდა გახდეს და ზრუნავდეს მის სიწმინდეზე, ამასთან ერთად, იგი უნდა პატივსა სცემდეს სხვათა ენებს, შესაძლებლობის ფარგლებში სწავლობდეს მათ, რადგან სხვათა ენის მცოდნემ უფრო უკეთ იცის საკუთარი ენის კანონებიც. აქ აკაკი სავსებით ეთანხმება ილიას და ორივე ერთად კი იაკობ გოგებაშვილს. ორივე მოღვაწე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რუსული ენის ცოდნასა და პრაქტიკული გამოყენების უნარს.

აკაკი ფიქრობდა, რომ სიტყვაკაზმულ მწერლობაში მაღალ გემოვნებას უნდა შეერწყას ზომიერების გრძნობა, აზრმა უნდა შეიგუოს გამოხატვის ფორმა. მშობლიური ენის ლექსიკური

---

[1] ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ., ტ. II, 1941, გვ. 25.

შემადგენლობის ღრმა მორევიდან საჭირო და მოხდენილი სიტყვების შერჩევასთან ერთად მწერალმა უნდა ზომიერად გამოიყენოს და სიზუსტით მოარგოს სათქმელს იდიომური თქმები. მთავარია, — ფიქრობს პოეტი, — პირველ მცნებად გაიხადოს ყველა მწერალმა აზრისა და სიტყვის ზუსტი შესაბამისობა; ზედმეტი სიტყვა მწერლობაში, ისე როგორც ზედმეტი ხაზი მხატვრობაში, მიუღებელია. „გაბერილი, გაბრტყელებული და ბუნდოვანი“ (ტ. 13, 355) სიტყვები და გამოთქმები ამახინჯებს მხატვრულ ნაწარმოებს. აკაკის მიაჩნია, რომ მწერალმა ურთულესი აზრი მარტივად, სადად და გასაგებად უნდა მიიტანოს მკითხველამდე. ამით იზომება მწერლის ძალა და ოსტატობის ხარისხი. ყოველი ფაქიზი ნიუანსისათვის სათანადო სიტყვათა ჯგუფის ან სინტაგმების შერჩევა, „სიტყვის უმეტნაკლებობა ნიჭიერების სასწორ-საზომია. ნიჭიერება ორი-სამი სიტყვით გამოთქვამს იმას, რასაც ძალდატანებული, ვითომ ნიჭიერი რამდენიმე სტრიქონს მოანდომებს. ზომიერება იქ შეჩერდება, სადაც უნიჭობა თავს ვერ შეიკავებს და გააჭიანურებს საუბარს“.[1] სიტყვათა ბრძნულ, ნიჭიერ და გენიალურ შერჩევა-გამოყენებისა და აზრის მოკლედ, ლაკონიურად, შთამაგონებლად და დინამიკურად გადმოცემის ეტალონად აკაკი შოთა რუსთაველს ასახელებს და მას მწერალთა მისაბაძ მაგალითად სახავს. მას მოჰყავს სიტყვები: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია. ამად კარგიო“ და დაასკვნის: „ეს ჭეშმარიტება შეგნებული უნდა ჰქონდეს მწერალს, რომ მეტ-ნაკლებობა არა მოუვიდესრა... სიტყვებში და მათ ერთმანეთთან შეკავშირებაშია მწერლის საიდუმლოება“ — აცხადებს იგი. აკაკის ღრმა რწმენით თხზულება „უტყუარი... უმეტნაკლებო, სწორ-ხაზი უნდა იყოს. „ჭეშმარიტი ლაკონიურობა აკ. წერეთელს ხელოვნებისა და ლიტერატურის ერთ-ერთ მთავარ ნიშნად და თვისებად მიაჩნდა“.[2]

მწერლობაში სიტყვათა ქარაფშუტული, ხელოვნური გამოგონების წინააღმდეგ განსაკუთრებული ძალით იბრძვის პოეტი. იგი აკრიტიკებს ისეთ პოზიციას, როცა ენობრივ კანონებსა და ნორმებს თვითნებურად ცვლიან, არ უთანხმებენ მათ ცხოვრებას, ენის შესაძლებლობებს და ა. შ. ამგვარი თავაშვებული „ნავარდისა“ და „ენაზე შემთხვევით მომდგარი სიტყვების“ ხმარების, თვითნება და უმეცარ, ყოყოჩა პირთა მისამართით

---

[1] აკ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 444.

[2] დ. გ ა მ ე ზ ა რ დ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, ტ. II, 1957, გვ. 580.

პოეტი წერდა: „მის ნაცვლად, რომ ძველი წიგნები გადაიკითხონ, ხალხის სიტყვა-პასუხს ყური დაუგდონ, ენის ხასიათს დაუკვირდნენ, მისი გრამატიკული კანონები შეისწავლონ და ისე სწერონ, ისინი თავის საკუთარი გამონაგონი სიტყვებით და ფრაზებით ნავარდობენ! სიტყვების მნიშვნელობა არ ესმით და აზრს აუკუღმართებენ“.[1] ამრიგად, მშობლიური ენის, როგორც „მხატვრული ლიტერატურის ძირითადი წყაროს“ მწერლობაში შემოქმედებითად, ზომიერად, ზუსტად, ფაქიზად და მოხდენილად გამოყენებასა და მწერლის მიერ სალიტერატურო ენის განვითარებისათვის დაუცხრომელ ზრუნვას აკაკის ესთეტიკურ შეხედულებაში საგანგებო ადგილი უჭირავს.

პოეტის აზრით, ლექსი ხალხის შთამაგონებელია, „პოეზია ღვთის ცეცხლითა და უკვდავების წყაროთი მომზადებული საზრდოა, იგი ადამიანის გრძნობა-გონების გასავითარებლად, მათზე ზემოქმედების მოსახდენად, გულში ჩამწვდომი აღფრთოვანების შემქმნელ ძალად გამოიყენება. „ლექსი რა ლექსია, თუ რომ გულს არ დაესობა“. ხელოვნებას, „ლექსს აქვს თავისი კანონები და თავისი საიდუმლო“, მწერლობა „მშობლიურ დარჯაკში გატარებული“ უნდა იყოს და „ავტორისაგან შესისხლხორცებული“.[2] მადლიანი პოეტური სიტყვა მკითხველსაც იმას უნდა განაცდევინებდეს, რაც ავტორს განუცდია და უგრძვნია. „მწერალმა თუ თავისი გრძნობა სხვასაც აგრძნობინა და თავის მღელვარებით სხვაც ააღელვა — კმარა, მეტი რაღა უნდა მას“.[3] ხელოვნების „მომხიბლავმა ძალამ“ უნდა გაიტაცოს ყველა.[4] პოეტი მიუთითებს, რომ „ნამდვილი და ნიჭიერი მწერალი ის არის, რომელიც ძალაუნებურად, თავის თავად იკვლევს გზას მკითხველის გულისაკენ და გულის ფიცარზე დაუვიწყარ ასოებით იბეჭდება, იმიტომ, რომ ნაწერში ყოველგვარი კანონია მწერლობის დაცული“.[5] ნამდვილად მომხიბლავი და შთამბეჭდავი ნაწარმოები ისე უმეტნაკლებოდ უნდა იყოს შესრულებული, როგორც „ობოლი მარგალიტი თანასწორად ასსმულ ყელსაბამად“[6].

პოეტი სასტიკად ებრძვის არაბუნებრივ, გაზვიადებულ, უფერულ ხელოვნებას, რეალისტური ხელოვნების მიუცილებელ

---

1 აკ. წერეთელი, თხზ., ტ. 13, გვ. 342.
2 იქვე, გვ. 356.
3 იქვე, გვ. 350.
4 აკ. წერეთელი, თხზ., ტ. 14, გვ. 442.
5 იქვე, გვ. 446.
6 იქვე, გვ. 447.

თვისებად რაცხს ფორმის სისადავეს, ბუნებრიობას, მისაწვდომობასა და სინატიფეს. არაბუნებრივი მოკაზმულობა და შეფერადება უცხოა ჭეშმარიტი ხელოვნებისათვის: „ხელოვნება თავისთავად მარტივად — მშვენიერება და ძლიერებაა! როგორც მზეთუნახავს არ ეჭირვება ფერ-უმარილი და მორთვა-მოკაზმვა, ისე არც ხელოვნურ ნაწარმოებს — ზედმეტი სიტყვა-კაზმულობა და გაცვეთილი აზრებით გაელფერება. ეს უბრალო ჭეშმარიტებაა". აკაკი სასტიკად ებრძოდა ხელოვნურად გაზვიადებულ არაბუნებრივ, ბნელ, გაუგებარ, ბურუსით მოცულ, უხამს ფორმებს და აღიარებდა ნათელ, სადა, ხალხისათვის გასაგებ მხატვრულ ფორმას, რაც თხზულებას ანიჭებს მიმზიდველ ხატოვანებასა და უკვდავებას. „ხშირად, როგორც თვით მწერლებს, ისე იმათ კრიტიკოსებსაც ობროდობა პოეზია ჰგონიათ: მაგალითად, „დევის ძუძუ მიწოვიაო", ე. ი. უბრალოთ რომ ვთქვათ, მთაში ვყოფილვარ და იქ მთის წყალი დამილევიაო; „ცას ფოლაქები ამშვენებენო", ე. ი. ცაზე ვარსკვლავები არიანო, „ცაზე მჭადი მოცურავდაო" — ვითომ მზე უნდა ამოსულიყოო და სხვანი და სხვანი"[1]. ამგვარი „პოეტური გამოთქმები", როგორც აღვნიშნეთ, აკაკის ყოვლად შეუწყნარებლად მიაჩნია. მხატვრულად მდარე, უხამს მწერლობას პოეტი მიუღებლად თვლიდა და დიდად აფასებდა ისეთ სრულყოფილ ნაწარმოებს, სადაც ფორმა აზრს არ აბუნდოვანებს. იგი პოეტურ ქმნილებაში „სიტყვების მარგალიტებივით აწყობისა და ოქროს სიმებზე ასხმის ხელოვნებას „ხელი-ხელ საგოგმანებელ უნარად რაცხდა. აკაკის რწმენით ღრმააზროვანი და ფორმით სრულყოფილი „ხელოვნება მშვენიერებაა და მშვენიერების თაყვანისცემა უპირველესი ლოცვაა კაცისათვის", ხოლო ჭეშმარიტი მწერალი ხალხის მოძღვარიცაა და მკურნალიც: „ეს ორი ძალა და ღირსება, წერდა პოეტი, როგორც მკურნალისა, ისე მოძღვარისაც, ერთად უნდა ჰქონდეს შეთვისებული მწერალს. ერთსა და იმავე დროს უნდა უმოძღვრებდეს და სამკურნალო წამალსაც აძლევდეს ხალხს. უნდა დაუფარავად ამხელდეს მის ავსა და კარგს საზოგადოებას... ვისაც ეს არ შეუძლიან ის ნურც გამოდის საზოგადო ასპარეზზედ". პოეტმა თავისი რეალისტური თვალსაზრისი ხელოვნებასა და კერძოდ, ლიტერატურაზე, მწერლისა და მწერლობის დანიშნულებაზე ნათლად გამოხატა მრავალ პუბლიცისტურ-კრიტიკულ წერილსა, საჯარო გამოსვლებსა და მხატვრულ შემოქმედებაში.

---

[1] „აკაკის თვიური კრებული", 1898, VI, გვ. 7-8; შდრ. აკ. წერეთელი, თხზ., ტ. 13. გვ. 343.

საინტერესოა აკაკის აზრი მეცნიერებისა და ხელოვნების ეროვნული თავისებურებისა და თვითმყოფობის შესახებ. „მეცნიერებასა და ხელოვნებას არც საზღვარი აქვს და არც საკუთრება იციან, ყველას საზოგადოდ ეკუთვნიან, მაგრამ სამშობლო კი აქვთ და ეს უკანასკნელია სასახელო საერთოდ.“ ცხადია, პოეტი ხელოვნებისა და მეცნიერების მიღწევებს მსოფლიო საკუთრებად მიიჩნევს, კაცობრიობის კულტურული საგანძურის კუთვნილებად აღიარებს. ნამდვილი ხელოვნება ეროვნულ საზღვრებს გადალახავს და მოემსახურება მთელ მსოფლიოს. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ხელოვნებასა და მეცნიერებას საკუთარი სამშობლო არ გააჩნდეთ, პირიქით: ხელოვნებას აქვს გარკვეული სამშობლო და ამით ხდება იგი საკაცობრიოც. ლიტერატურასა და მეცნიერებას თუ სამშობლო არ გააჩნია, ერის გენიისა და ცხოვრების ნიადაგზე თუ არ წარმოშობილა, ერის სულით, მისწრაფებებითა და იდეალებით არ აღზრდილა, იგი მსოფლიო შედევრიც ვერ გახდება. ჭეშმარიტი ხელოვნება, უპირველეს ყოვლისა, „გარკვეული ერის გენიის შედევრია, მისი ხალხის სულიერი საუნჯეა“. „თითოეულ ერს თავისი საკუთარი, ერთი მეორისაგან განსხვავებული სახე აქვს და მათ ლიტერატურასაც, როგორც სარკეს ამა თუ იმ ერისას, განსაკუთრებითი ელფერი უნდა ედვას. ჩვენი მწერლობაც უტყუარი სარკე უნდა იყოს ქართველობისა; შიგ უნდა ისახებოდეს საქართველოს მრავალფეროვანი ბუნება მისი მიწა-წყლით, მთა-ბარით, ტყე-ველით და სხვანი. ქართველის გრძნობა-გონება ხორცშესხმულად უნდა მოძრაობდეს შიგ უმეტნაკლებოდ. ზომიერად; ანმყო წარსულს უნდა ეთანხმებოდეს და ორივე ერთად კი მომავლისაკენ მიიწევდეს. თუ ეს არ იქნება, ჩვენი მწერლობაც უმნიშვნელო იქნება, როგორც უბრალო რამ უსახო ლანდი“. შემდეგ იქვე აგრძელებს აკაკი, რომ ლიტერატურას„ თავისი მშობლიური სარჩულ-საპირე ეჭირვება“.[1] აკაკი მკაცრად ეკიდება ყველას, ვინც ვერ ამჩნევს, ან ვისაც არ სურს დაინახოს ეროვნული ლიტერატურის თვითმყოფადი დამახასიათებელი და სპეციფიკური თავისებურებანი, ეროვნული საფუძველი და მნიშვნელობა მსოფლიო ლიტერატურის განვითარებაში. უგვარტომო კოსმოპოლიტების წინააღმდეგ პოეტი ამტკიცებდა, რომ ნაციონალური ლიტერატურა შეუძლებელიაო აღორძინდეს ერის სპეციფიკური პირობების, მისი სულიერი ცხოვრების შეს-

---

[1] „ივერია“, 1901, № 103; შდრ.: აკ. წერეთელი, თხზ., ტ. 14, გვ. 29—30.

წავლა-ასახვის გარეშე. ერის ცხოვრება და მისწრაფება ლიტერატურის სარჩულ-საპირეა და ეროვნული თვითმყობადი ლიტერატურა შეუძლებელია არსებობდეს ამ „სარჩულ-საპირეს“ გაუთვალისწინებლად. ამ გარემოების უგულებელყოფით მწერლობა თავის სახეს დაჰკარგავს, იგი „უმნიშვნელო იქნება, როგორც უბრალო რამ უსახო ლანდი“. პოეტი აღიარებდა „აუცილებლის, პროგრესულის, კარგისა და სასარგებლოს სისტემატურად შესწავლას, კრიტიკულ ათვისებას, შეგნებულ „გადმოყვანასა“ და „გადმონერგვას“ მოწინავე ქვეყნებიდან. მაგრამ, პოეტის რწმენით, „ამ შრომასაც თავისი შესაფერისი წესრიგი და კანონი აქვს: ჯერ ნიადაგი უნდა მოუმზადოთ, თორემ უმისოდ ნერგი ვერ იხარებს“.[1] ცნობილია რომ ბ. ბელინსკი მწერალს მთელი საზოგადოების იდუმალ ფიქრთა მპყრობელად თვლიდა[2]. აკაკის აზრითაც, მწერალი მთელი ხალხის მოძღვარი, აღმზრდელი და მწვრთნელია: მწერალს, როგორც ქვეყნის დიდ მოძღვარს, ყურს უგდებენ აწ და მარადის და მიტომაც მისი მოვალეობა და სარბიელი დიდია. მწერალმა საკუთარი პირადობა საზოგადოს უნდა შესწიროს, რადგან „ციური ნიჭი ქვეყნის სამსახურად არის გაჩენილი და არა საპირადოდ“. აკაკის აღნიშნული შეხედულება უაღრესად ამაღლებს მწერლისა და მწერლობის ავტორიტეტს, მის უდიდეს მნიშვნელობასა და ფუნქციას ხალხის ცხოვრებაში. აკაკის რწმენით ჭეშმარიტ ხელოვნებაში წინა პლანზე იწევს მოთხოვნა მაღალიდეურობისა, მხატვრული სტილის სიდიადისა და დემოკრატიზაციისა, სიტყვისა და სახის სისადავისა, მისაწვდომი და გასაგები პოეტური მეტყველების დამკვიდრებისა. „გენიოსური რამ მხოლოდ ის არის, რაც ადვილი გასაგებია და გზა-გზა გაუჭირველათ ხელათ იჭერს გამვლელ-გამომვლელს და უბრალო ადვილგასაგებ სიტყვებით ხიბლავს გრძნობა-გონებას“[3]. ამგვარი შეხედულება სავსებით გამომდინარეობდა აკაკის ესთეტიკური კონცეფციიდან, მისი იდეალებიდან, მთელი პოეტური პრაქტიკიდან.

მხატვრული ნაწარმოების შექმნისას პოეტის ერთ-ერთი ძირითადი „მიზანი მისაწვდომი, გასაგები და ნათელი ხატის შექმნაში მდგომარეობდა და სწორედ ეს მისაწვდომობა და სიცხადე

---

[1] აკ. წერეთელი, თხზ., ტ. 14, გვ. 30.

[2] ბ. ბელინსკი, თხზ., ტ. III, 1948, გვ. 792.

[3] აკ. წერეთელი, თხზ., ტ. 13, გვ. 355.

არის აკაკის ხელოვნების უძირითადესი ნიშანთვისება"[1]. აკაკი გმობდა ნაჩქარევ, დაუმუშავებელ და მოუმწიფებელ, აზრსა და გრძნობამოკლებულ თხზულებებს; ამგვარ ნაწარმოებს იგი ადარებდა ბავშვისათვის გაკეთებულ სათამაშო სასტვენს და უსულგულო ხელოვნება — ხელოვნების აჩრდილად, უსარგებლო დროის კარგვად მიაჩნდა. პოეტს სწამდა, რომ ჭეშმარიტად მხატვრული რამ ჯერ მწერლის არსებაში მწიფდება, გადაიხარშება, მწერლის შემოქმედებითს ბრძმედში შემუშავდება და ბოლოს და ბოლოს გულით დიდხანს ნატარები, გრძნობასა და გონებაში ღრმად დამუშავებული იბადება. „რასაც და რაზედაც წერს მწერალი, — აცხადებს აკაკი, — თუ ის დიდხანს გულში არ უტარებია, საკუთარი გრძნობა-გონებით არ უსაზრდოებია და თავის დროზე არ წარმოუშობავს, გარეგნულად მშვენიერიც რომ იყოს, სრული მაინც არ ეთქმის".[2] პოეტი საკუთარი შემოქმედებითი პრაქტიკით იძლეოდა იმის ნათელ მაგალითს, თუ რა დიდი თავდადება, ტიტანური რუდუნება, ღრმა ცოდნა, ფართო განათლება და შემოქმედებითი წვაა საჭირო ჭეშმარიტი მწერლობის წარმოქმნისათვის.

ამ მოთხოვნებს, დიდი რევოლუციონერ-დემოკრატების მსგავსად, აკაკი უყენებდა ყველა მწერალს: „რაც უფრო დიდი ნიჭის პატრონია კაცი, უფრო მეტი შრომა, სწავლა, განათლება და თავდადება სჭირდება თავის სამწერლო მოღვაწეობის პირნათლად შესრულებისათვის. რა არის მარტო ნიჭი, თუ თანვე არ ეხლება შრომისმოყვარეობა და გულწრფელობა". პოეტის აზრით, ნიჭით დაჯილდოებული მწერალიც ვერ შეასრულებს თავის მოწოდებას, თუ არ ექნა დაუღალავი შრომის უნარი, უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა, პატრიოტული თავდადება, ღრმა ცოდნა და ფართო ერუდიცია. „ზოგიერთებს გაუგონიათ, რომ მწერლისათვის ზეგარდმო შთაგონებაა საჭირო და ის აღარ იციან, რომ იმასაც კიბე ეჭირვება მაღლით ჩამოსასვლელად და ეს კიბე არის, ნიჭის გარდა სწავლა, ცოდნა და შრომისმოყვარეობა"![3] აკაკის ეს შეხედულება უაღრესად პრინციპული და საფუძვლიანია, იგი არასოდეს დაკარგავს თავის დიდ მნიშვნელობას. დამწყებ პოეტებს აკაკი გარკვევით ეუბნებოდა: „ნიჭი გეტყობათ, მაგრამ განვითარება გაკლიათ და გაუწვრთნელად ნიჭი რა გამოსადეგია? ხომ გაგიგონიათ: უჭკუო, მაგრამ ნას-

---

[1] გრიგოლ კიკნაძე, ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები, 1978 წ., გვ. 314.

[2] აკ. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, 1961, ტ. 13, გვ. 355.

[3] აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, 1961, ტ. 13, გვ. 31.

წავლი და განვითარებული — მაღლა-მაღლა მფრინავი კაჭკაჭიაო, ჭკვიანი, მაგრამ უსწავლელი და უვიცი — ჯაჭვით დაბმული ლომიო!"[1] სხვა შემთხვევაში კი პოეტი აცხადებდა: „განუვითარებელი ნიჭი — ფრთა-შეკვეცილი შევარდენია, რომელიც მაღლა ვეღარა ჰფრენს და დაბლა სიარულსაც ვერ ახერხებს", და დასძენდა: „როგორც ყვავილი უციურნამოთ. ისე ნიჭი უსულიერ-საზრდოდ სჭკნება და ნაყოფი ვეღარ მოაქვს".[2] აქ პოეტი ეხმაურება დავით გურამიშვილს, ილიას და ბ. ბელინსკის შეგნებებს: მარტო ნიჭი, ჭკუა ღრმა ცოდნისა და მაღალი განათლების გარეშე უსარგებლოა. უსწავლელი, უწვრთელი კაცი, ჭკვიანიც რომ იყოს, მაინც უძლური, უმწეო და უღონოა: „ჰგავს უხორთუმოს სპილოსა, ჭკვიანი კაცი ბრიყვია!" ან კიდევ: „ვით უსაჭურვლოდ მამაცი ომშიგან გულად ლომობდეს, გაცოფებული გულ-ბრაზად ვეფხვი უკლანჭოდ ომობდეს, ვერ აღასრულოს საწადი, რაც ნებავს, მისთვის ღონობდეს, — ეგრეთ ჭკვიანი უწვრთელი ვერ მიხვდეს, რასაც ნდომობდეს" (დ. გურამიშვილი).

როგორც აღვნიშნეთ, ბ. ბელინსკი სასტიკად კიცხავდა ისეთ პოეტებს, რომლებიც დარწმუნებული იყვნენ, რომ პოეზიაში საჭიროა მხოლოდ ნიჭი და ზეშთაგონება, რომ ვინც პოეტად დაიბადა, მას არაფრის სწავლა და ცოდნა არ სჭირდებაო. ასეთი რწმენა, დასძენს კრიტიკოსი, ჩვენში ბატონობდა ე. წ. რომანტიზმის ნეტარ ეპოქაში. ეხლა კი ასე არ არის. ყველა გაიძახის, რომ პოეტისათვის აუცილებელია ცოდნა, იდეები, მიმართულება, თანამედროვე სინამდვილისადმი თანაგრძნობა. აკაკი წერეთელი, ბ. ბელინსკისა და ილია ჭავჭავაძის მსგავსად, მკაცრად აკრიტიკებდა და მწარედ დასცინოდა იმ ცრურწმენით გაბრუებულ მოლექსეებს, რომლებიც „დარწმუნებული არიან, რომ მათთვის სწავლა-განათლება და გრძნობა-გონების განვითარება სრულიად საჭირო არ არის, რადგანაც ისინი ზეგარდმო ჩაგონებით არიან გამსჭვალულნი და ღმერთი ელაპარაკება მათ! საკვირველია!.. დასძენს პოეტი, „ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც მე ლექსებს ვწერ, სხვა ხელობა არა მაქვს და ერთხელაც არ მახსოვს, რომ ღმერთი დამლაპარაკებოდეს!"[3] ზემოაღნიშნული „პოეტების" დიდი შეცდომა ის გახლდათ, რომ ისინი მისტიკური, იდეალისტური გულუბრყვილობით აფასებდნენ პოეზიისა და პოეტის წარმომავლობის შესახებ ადრე გავრცელებულ წარმოდგენებს, არ უწევდნენ ანგარიშს ახალი

---

[1] აკ. წერეთელი, თხზ., ტ. 13, გვ. 326.

[2] იქვე. გვ. 194.

[3] აკ. წერეთელი, თხზ., ტ. 14, გვ. 565-566.

ეპოქის შეხედულებებს და თავიანთი მისტიკური ცრურწმენის საფუძველზე უარყოფდნენ სწავლა-განათლებისა და პოეზიაში საკუთარი მიმართულების საჭიროებას. მართალია, ილია მიმართავდა გამოთქმას: „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ", „მეცა მნიშნავს" და სხვ. და ამასთანავე ილია და აკაკი ერთად აცხადებდნენ: პოეზია „ციური ნიჭია" და სხვ. მაგრამ ისინი შორს იდგნენ მწერლობის მისტიკური და „რომანტიკული იდეალიზმის გაგებისაგან" და, როგორც კრიტიკული რეალიზმის დიდ მესვეურებს, „თავისი დროის ლიტერატურული ვულგარიზატორებისაგან განსხვავებით მათ ესმოდათ, რომ პოეზია თავისი წარმოშობით, თავისი ბუნებით არის ადამიანის მაღალი სულიერი მოთხოვნილების, მისი შემოქმედებითი გენიის, მისი ამაღლების, მშვენიერებისადმი, იდეალურისადმი სწრაფვის გამოსხივება".[1] მათ სწამდათ რომ „პოეტსა ხალხი დაჰბადავს და ხალხის ცხოვრება ძუძუს აწოვებს"[2].

ბუნება-მდიდარ კაცს, რაც უფრო მეტი ნიჭი აქვს, უფრო მეტი მასალა ეჭირვება გრძნობა-გონების გასახურვებლად, რომ აენთოს, მიდამოს შუქი მოჰფინოს — გაანათოს და გარემოს სითბო არ გამოულიოსო — დასძენდა აკაკი, მაგრამ ნამდვილი მწერლისათვის ეს ყველაფერი როდია! ჭეშმარიტი ხელოვანის თვისებად აკაკის მიაჩნდა მაღალი იდეურობა, სწორი მიმართულება, დიადი პოეტური შთაგონება, ტალანტი, რევოლუციური, ცეცხლოვანი ბრძოლის პათოსი და გულწრფელი შინაგანი წვა; ხელოვანი უნდა იწვოდეს, როგორც პატრუქი, ვინაიდან „რაც არ იწვის, არ ანათებს". ამას რომ წერდა, აკაკი ქვეცნობიერად მაინც თავის თავს გულისხმობდა; იგი ხომ წმინდა სანთლად ენთო მისი ხატის — სამშობლოს წინაშე და შუქს სახატესაც — მთელ ქვეყნიერებას ჰფენდა.

აკაკი თაობათა შორის ბრძოლაში

აკაკი წერეთელმა აქტიური მონაწილეობა მიიღო თაობათა შორის ბრძოლაში. 60-70-იან წლებში მკაცრი იდეურ-ლიტერატურული ბრძოლა გაიმართა რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეებზე აღზრდილ „თერგდალეულებსა" და კონსერვატორულ-ლიბერალური ბანაკის წარმომადგენელთა შორის. ახალგაზრდა თაობამ ილიასა და აკაკის მეთაურობით ეს ბრძოლა იმთავითვე მაღალ პრინციპულ და იდეურ დონეზე ჩაატარა, რითაც

---

[1] გ უ რ ა მ ა ს ა თ ი ა ნ ი, „ვეფხისტყაოსნიდან ბახტრიონამდე". 1974, გვ. 200—201.

[2] ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, გვ. 45.

დიდი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების გარდაქმნაში.

აკაკი გარკვევით ასხვავებდა ძველსა და ახალ თაობას. მათი გარჩევის საზომად ზოგიერთივით ადამიანთა ასაკობრივ განსხვავებულობას კი არ თვლიდა, არამედ მიმართულებას, იდეას, აზრს, რაც ქვეყნისა და ხალხის ცხოვრების ამოძრავებას, გაღვიძებას შეეხებოდა. მისი აზრით, ძველია ის, ვინც უკან, დრომოჭმული, ხალხისათვის უსარგებლო და მავნე ტრადიციებისაკენ ეზიდება ცხოვრებას, ვინც ხელს უშლის და ებრძვის ახალს, შეპყრობილია ეგოიზმით. პროგრესის წინააღმდეგია, არ ზრუნავს წინსვლაზე, ქვეყნისა და ხალხის კეთილ მომავალზე; ახალთაობის კაცად კი ის მიაჩნდა, ვინც წინააღმდეგ ძველი თაობისა, თავს სწირავს საზოგადოებას, იბრძვის ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, სამშობლოს უკეთესი მერმისისათვის, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის მოსპობისა და ქვეყნად სიმართლის გამარჯვებისათვის. „სხუმისაც ბევრჯელ გვითქვამს და ახლაც ვიმეორებთ. თუ რას ვეძახით ჩვენ ძველსა და ახალ თაობას. წლოვანება არ მოგვყავს ანგარიშში! ყოველი კაცი, რომელიც დროს ჩამოურჩენელად მისდევს, საზოგადო კეთილდღეობის წარმატებას ემსახურება, კეთილსინდისიერად მუშაობს და მოღვაწეობს მისთვის, ეკუთვნის ახალ თაობას, და ის კაცი, რომელიც მხოლოდ თავის თავზედ ჰფიქრობს და ჰსურს, რომ საზოგადო ინტერესი მისმა პირადმა სარგებლობამ ჩაყლაპოს, ის, რომელიც იძახის: „თუ მე არ ვიქნები, ქვა-ქვაზედაც ნუღა იქნებაო" — ეკუთვნის ძველ-თაობის კაცს! ერთის სიტყვით, — განაგრძობს პოეტი, — ძველი თაობის კაცათ ის მიგვაჩნია, ვისაც თავში აზრები დამპალი აქვს და გულში გრძნობა აყროლებული. გინდ ოცის წლისა იყოს ამგვარი კაცი, გინდა სამოცისა, სულ ერთია"[1].

აკაკის აზრით, მამებს არ ეპიტნავათ თავიანთი უგვანო მოქმედების გამოაშკარავება, არ ესიამოვნათ ახალი ცხოვრების სხივი და მისი გაძლიერებისათვის ახალთაობის მგზნებარე მისწრაფება, სამშობლოს ნათელი მომავლისათვის მებრძოლი თაობის გამოსვლა სამოქმედო ასპარეზზე და დაუწყეს მათ დევნა. „აქედამ იწყება შეტაკება ძველსა და ახალ თაობას შუა", — წერდა იგი.

პოეტი ძველ თაობას თვლიდა მჩაგვრელების, ბატონყმობისა და მოძალადე რეჟიმის მომსრეებად, ხოლო ახალ თაობას კი დაჩაგრულების დამცველად. თაობათა ბრძოლას იგი განიხილავდა,

[1] „დროება", 1873, № 13. შდრ. აკ. წერეთელი, თხზ., სრ. კრ. ტ. XI, გვ. 189—190.

როგორც მწვავე სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლის პროცესს. აკაკი წერდა: „ბატონყმობა რომ გადავარდა და ახალი კანონები შემოიღეს ჩვენში, ძველი წესწყობილება დაიშალა და ცხოვრებამაც ფერი იცვალა. ხალხი მოულოდნელად შეკრთა და აღელდა. საზოგადოება ორად გაიყო: ერთი ისევ ძველს ეჭიდებოდა და მჩაგვრელის ძალას ეკედლებოდა!.. მეორე ახლისაკენ იწევდა და დაჩაგრულებს ექომაგებოდა. პირველს დაერქვა „ძველი თაობა" და მეორეს „ახალი". თაობათა დასახასიათებლად აკაკი წლოვანებას არ თვლიდა ძირითად კრიტერიუმად. ძველი და ახალი თაობის დამახასიათებლად პოეტი იდეურ თავისებურებას მიიჩნევდა. იგი მიუთითებდა: „აქ წლოვანება არაფერ შუაში ყოფილა: „ძველი თაობის" წრეში ბევრი ახალგაზრდა ერია და აგრეთვე „ახალი თაობის" რაზმსაც ბევრი მოხუცი ამშვენებდა. მათ შორის ბრძოლა იყო პრინციპული და ძლიერი, „ბრძოლა მკაცრი და პირ-და-პირი. ხშირად ძმა ძმას ეწინააღმდეგებოდა, მამა შვილს და შვილი მამას!... ამ ბრძოლაში, მამაკაცებთან ერთად, ქალებიც იღებდნენ მონაწილეობას". საზოგადოდ შემინიშნავს, წერდა აკაკი, რომ ქალები ჩვენთვის ყოველთვის უფრო სიმართლისაკენ იწევენ და ამიტომ მაშინაც ქალები „ახალთაობის" დასში მეტობდენ"[1].

სამოქმედო ასპარეზზე გამოსულ ინტელიგენციას აკაკი სამ ჯგუფად ყოფდა: ქარაფშუტებად, ფარისეველ-გაიძვერებად და კეთილ-მუშებად. იგი კრიტიკის სასტიკ ქარცეცხლში ატარებდა პირველ ორს, ხოლო მესამე ჯგუფის შესახებ აღნიშნავდა, რომ ისინი ხშირად იღვწიან ხალხის საკეთილდღეოდ, გულწრფელად და უანგაროდ ემსახურებიან ქვეყანას და კეთილ ნიადაგს უმზადებენ შთამომავლობასო. პოეტი იმთავითვე მკვეთრად ებრძოდა კონსერვატორებს და იცავდა პროგრესულ თაობას. ერთ თავის დაუმთავრებელ თხზულებაში („იმერლები") იგი აუცილებელ საჭიროებად მიიჩნევდა ბნელით მოსილ არქაისტების აკლდამაში ანთებული ლამპრის შეტანას. თხზულების გმირი ახალთაობის წარმომადგენელია, რომელიც სამშობლოში გამომგზავრებისას ცარიზმის მარწუხებში მოქცეული საქართველოს შესახებ ამხანაგებს ეუბნება: „ყმაწვილებო, თვითეულმა თქვენთაგანმა კარგად იცის, თუ რას ემსგავსება დღეს ჩვენი სამშობლო. ის ემსგავსება ერთს დიდსა და ბნელს აკლდამას, სადაც ძველი აზრების კაცნი დაბოდიალობენ". რუსეთში სწავლამიღებულმა პროგრესულმა ახალთაობამ მტკიცედ გადაწყვიტა გაევრცელებინა სამშობლოში მოწინავე იდეები, ახალი აზრები,

---

[1] აკ. წერეთელი. თხზ., სრული კრებული, ტ. 13, გვ. 91.

რევოლუციურ-დემოკრატიული იდეალები, საკუთარი თავი მსხვერპლად შეეწირათ სამშობლო ქვეყნის კეთილდღეობისათვის, ხალხში განემტკიცებინათ მოწინავე სულისკვეთება, განვითარების გზა გაეხსნათ კარგი ტრადიციებისათვის, ებრძოლათ სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, დაეგმოთ ძველი და დრომოჭმული, უსარგებლო და მავნე შეხედულებანი, ჩვევები და ცრურწმენანი, გაეფანტათ ის უმოქმედობისა და რუტინის ბურუსი, ტყვიის სიმძიმედ რომ ჩასახლებულიყო სულსა და გულში და სხვ. ამ მიზნით, პოეტი შემდეგ მოწოდებას აყალიბებდა: „ჩვენ უნდა დღეს ჩავიტანოთ იმ სიბნელეში ანთებული ლამპარი. უეჭველია, ძველი აზრების კაცნი რომ სინათლეში თავის თავებს დასისხლიანებულად და გაჩირქიანებულებად დაინახავენ, მოინდომებენ ჩვენზედვე თავიანთ გულის ბუხრის ამოყრას, ეცდებიან, რომ ხელიდან გამოგვიქრონ ის ლამპარი და ჩვენც გაგვგმირონ. ეს ბუნების წესია: ხშირად დედაბერი უცხარდება და ამტვრევს იმ სარკეს, რომელიც აჩენს მის უსახობას; „ეს ასეა ყოველთვის, მახინჯს სარკე ეზარება“, მაგრამ ნუ შევშინდებით. მართალია, ძველი კაცები მიჩვეულნი არიან და არ გამოვლენ იმ სიბნელიდან, მაგრამ ჩვენ უნდა ვიქონიოთ სახეში მათი შვილები და ისინი გამოვიყვანოთ სინათლეში, ვიწყოთ სიმართლით მოძღვრება ახალგაზრდობისა და ეს იქნება ჩვენი კეთილი შრომა. ჩვენ უნდა წინდაწინვე გადავწყვიტოთ და მოვამზადოთ ჩვენი თავი სამსხვერპლოდ! მსხვერპლი არის ბეჭედი და გვირგვინი კეთილ ნაწარმოებისა; მხოლოდ ეს ამაგრებს ქვეყნად ჭეშმარიტებას! და მაშ, ჩვენც ვიყოთ მსხვერპლი ჩვენის სამშობლოს კეთილდღეობისა; ვიღვაწოთ მამულის გულისათვის“[1].

საჭირო იყო საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნა. სიბნელისა და ჩამორჩენილობის წინააღმდეგ ბრძოლა, არსებული სოციალური და პოლიტიკური რეჟიმის მოსპობა, ხალხის კეთილშობილური მისწრაფებებისათვის გზის გაკვლევა, მაგრამ აღნიშნულის განხორციელებას ცარიზმისა და ბატონყმური ურთიერთობის მძვინვარებასთან ერთად ხელს უშლიდა იმდროინდელი ძველი თაობაც, რომელიც თავისი კლასობრივი ინტერესების შესაბამისად ეწინააღმდეგებოდა ახალი, პროგრესული საზოგადოებრივი ცხოვრების დამყარებასა და განვითარებას. ერთიანი საერთო-ეროვნული ახალი ქართული სალიტერატურო ენის დადგენის პრობლემა ძველსა და ახალ თაობათა ბრძოლაში წარმოადგენდა მხოლოდ ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს მათი იდე-

[1] აკ. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, 1958, გვ. 293—294; შდრ.: გაზ. „დროება“, 1875, № 129; აგრეთვე აკ. წერეთელი, თხზ., ტ. XI, გვ. 189—190.

ური, სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლის ერთიან ჯაჭვში. ამიტომაც იყო. რომ ენობრივი პრობლემის ძირითადად გადაწყვეტის შემდეგაც არ მოხსნილა თაობათა შორის მწვავე შეჯახებანი და მკაცრი ბრძოლა კვლავ მიმდინარეობდა სხვადასხვა ფორმითა და ძალით. სამოციანი წლების პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდობამ ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მეთაურობით გაბედული ბრძოლა გამოუცხადა ძველ თაობას.

ილია ჭავჭავაძის დახასიათებით, „ბატონყმობის გაღავარდნამდე ისეთი მყუდროება სუფევდა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომ ვერავინ წარმოიდგენდა, თუ მისი შერყევა ოდნავ მაინც შესაძლებელი ყოფილიყო. როგორც ბურუსიანი, ღრუბლიანი, თბილი და მშვიდი დღე, ისე იხედებოდა მაშინდელი ჩვენი ცხოვრებაცა. არც წვიმა სადმე, არც ქარიშხალი; ელვას ხომ ათასში ერთხელ ვეღირსებოდით... აბა ამგვარ დროს სად და ვის მოჰკითხავდი აზრსა, გონებას, თავგანწირულობას ერისათვის, საქვეყნო საქმისათვის. აკი არც არაფერი შეინიშნება ამგვარი. ქვეყანა მხოლოდ ლუარსაბ თათქარიძეებით აივსო“.

თაობათა მოძრაობა ადრევე მწიფდებოდა. გარკვეულ პრობლემებსა და საკითხებზე კამათი და აზრთა შეჯახება ადრეც მომხდარა, მაგრამ პრინციპული სახით იგი, როგორც ცნობილია, მხოლოდ 1861 წლის ჟურნალ „ცისკრის“ აპრილის ნომერში ილია ჭავჭავაძის წერილის („ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას-ძე ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმნაზედა“) გამოქვეყნებით დაიწყო. ბრძოლამ მეტად მწვავე ხასიათი მიიღო. ახალთაობის წინააღმდეგ დაირაზმნენ „მამები“. მძლავრად შეირხა ცხოვრება, ამოძრავდა საზოგადოებრივი აზრი. ძველი, დრომოჭმული ტრადიციების დამცველები გააფთრებული წინააღმდეგობით შეხვდნენ ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლების პროგრესულ აზრებს და „ცისკრის“ ფურცლებზე მოათავსეს საპასუხო წერილები.[1] ილიას გვერდში ამოუდგა პეტერბურგის მოწინავე ქართველი სტუდენტობა აკაკი წერეთლის მეთაურობით. როგორც ვიცით, აკაკი ყოველთვის ებრძოდა დახავსებული იდეების დამცველ ძველ თაობას („მამებს“) და ამ ბრძოლას მუდამ ეროვნული და სოციალური მონობის მძიმე უღლისაგან ხალხის განთავისუფლების იდეალს უკავშირებდა. „მამათა“ წინააღმდეგ აკაკიმ დაწერა ლექსები, პოემა, მოთხრობა და სხვა სახის მხატვრული თუ პუბლიცისტურ-პოლემიკური ხასიათის წერილები. ჯერ კიდევ ადრე პოემა „რუსეთუმესა“ და „პირუ-

[1] დაწვრილებით იხილეთ: აპოლონ მახარაძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1965 წ. ტ. III, გვ. 69—88; დავით გამეზარდაშვილი, ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, ტ. II, 1957, გვ. 307—508.

ტყვების არჩევანში“ სათანადოდ ამხილა და დაასასიათა ძველი თაობა და უშიშრად გაილაშქრა მის წინააღმდეგ. ხოლო შემდეგ, როდესაც კონსერვატორებმა ილია ჭავჭავაძეს მწვავე ბრძოლა გაუმართეს და „საამქვეყნო ასპარეზიდან განდევნას უპირებდნენ“, აკაკი, რომელმაც ადრე „საიდუმლო ბარათით“ დიდი შეშფოთება გამოიწვია არქაისტთა შორის, უფრო ფართოდ ჩაება ბრძოლაში.

გორისელის საპასუხოდ დანერილ წერილში („ახირებული ფურცელი“) პოეტმა იერიში მიიტანა ძველ თაობაზე და ნათელყო „მამების“ შეხედულებათა სრული უსაფუძვლობა. აკაკის მოხდენილი დახასიათებით კონსერვატორებისა და კერძოდ, გორისელისათვის უცხოა ელემენტარული ლიტერატურული პრინციპები, მათ არ ესმით ხელოვნების დანიშნულება და ხასიათი. „წერეთელ ექვთიმეს, — წერს აკაკი, — არ ესმის პოეზია; საღმრთო სიტყვა და პოეზია იმ დალოცვილს ერთი ჰგონია: ასე, რომ ერთი ალილუია ერთი პოეზია ჰგონია, ორი ალილუია — ორი პოეზია. სამი—სამი და ამგვარად“. აქვე სასტიკად არის გამათრახებული ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციის უპრინციპობაც.

აღნიშნული წერილი აკაკიმ დაამთავრა მესტვირული ლექსით, რომელშიც გაამათრახა დეგრადაციის გზაზე დამდგარი ძველი თაობა და ქვეყნის სასარგებლო შვილებად გლეხები აღიარა: მწერალი გლეხკაცის მისწრაფების, მისი სულისკვეთების გამოხატვას უნდა ემსახუროსო.

„ცისკრის“ იმავე წლის ივნისის ნომერში გამოქვეყნდა აკაკის ლექსი „ფარისეველი“. ამ ლექსით პოეტმა ძველი თაობა დაახასიათა როგორც თვალთმაქცი, ორპირი და მატყუარა. საყურადღებოა, რომ ამ ლექსში ხაზგასმულია „მამების“ მიერ ბატონყმური ინსტიტუტის დაცვისა და გლეხკაცობის სამარცხვინო დაბეჩავებისა და ჩაგვრის სურათი:

მე და ეგ ვიცნობთ ერთმანეთს!
ეგ რომ მუშტებით იმტვრევს მკერდს,
არ იცით, რომ თქვენც გატყუებთ
და ეცრუება თვითონ ღმერთს?
აბა სინჯეთ — ერთხელ გარეთ
სადმე ჩუმად მიეპარეთ,
მაშინ ნახავთ, რომ იმავ მუჭს
გლეხკაცს ურტყამს თაღში მწარედ.

როდესაც აკაკის ეს ლექსი გამოქვეყნდა, მკითხველ საზოგადოებას იგი ექვთიმე წერეთელზე დაწერილად მიუჩნევია. სინამდვილეში კი მასში წარმოდგენილი იყო მაშინდელი კონსერვატული, ფეოდალური ურთიერთობის დამცველი ძველი თაობის ზოგადი, ტიპური განსახიერება. პოეტი განმარტავდა: „როცა

ეს ლექსი დავწერე, კერძოთ მხედველობაში არავინ მყოლია!.. საზოგადო ტიპი იყო, ყველამ კი ექვთიმე წერეთელს მიაწერა. მე იმ ექვთიმეს ვიცნობდი და კარგის მხრითაც. სხვებს იმას ვამჯობინებდი, მაგრამ იმ შემცდარმა აზრმა ისე მტკიცედ გაიდგა საზოგადოებაში ბიჯი, რომ თვით ექვთიმემაც დაიჯერა და სამდურავი მოგვივიდა. ახლა, როდესაც ნახევარმა საუკუნემ გაიარა და ისიც განსვენებულია, აღვიარებ, რომ ეს ლექსი ექვთიმეს არ შეეხება, საზოგადო იყო".[1]

აკაკის შეგნებული ჰქონდა ახალი თაობის პროგრესული, ისტორიული როლი, მან იცოდა, რომ მოწინავე ინტელიგენცია მოწოდებული იყო ბნელით მოცულ საზოგადოებაში ნათელი სხივი შეეტანა და განმათავისუფლებელი ბრძოლა გაეჩაღებინა.

სამოციანი წლებიდან მოყოლებული ძველსა და ახალ თაობას შორის გაშლილი ბრძოლა თანდათან ძლიერდებოდა. განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო მან სამოცდაათიან წლებში. ამჯერად „მამების" ბანაკიდან ახალთაობას თავს დაესხა დიდი ქართველი პოეტი გრიგოლ ორბელიანი. ვის წინააღმდეგაც აკაკიმ მეტად მახვილი და მწარე პამფლეტები დაწერა: „ხარაბუზა ღენერალს", „ფარშავანგი", „ბობოლების ბაიათი", „ახმედ ფაშა კახაბერი" და სხვ. აგრეთვე, მრავალი წერილი თუ დრამატული ნაწარმოები, რომლებშიც აღნიშნული პოეტისა და საერთოდ ძველი თაობის წინააღმდეგ გვხვდება მსჯელობა. ამათ შორის ყველაზე მკაცრი და დაუნდობელი იყო „ხარაბუზა ღენერალს". აქ გრიგოლ ორბელიანის მისამართით აკაკი ძალზე მრისხანე ეპითეტებს იყენებს.

აღნიშნული ბრძოლის შესახებ აკაკი წერეთელი გადმოგვცემს: „1870 წელს (უნდა იყოს: 1871 წელს — პ. კ.) ჩამობრძანდა ხელმწიფე საქართველოში; ხალხს უნდა მიერთმია ადრესი და გაეცხადებია, სათხოვარიც თუ რამ ექნებოდა. აირჩიეს კომისია ადრესის შესადგენად რვა კაცი; ოთხი ახალ-თაობიდან: ილია ჭავჭავაძე, თარხნიშვილი (მერე აკადემიკოსი), ბესარიონ ღოღობერიძე და ნ. ნიკოლაძე; ოთხიც ძველიდან: გ. ორბელიანი, მ. ბირთველიჩი-თუმანიშვილი, დიმიტრი ჯორჯაძე და რევაზ ანდრონიკაშვილი (მარშალი). ახალ-თაობა ქვეყნის სურვილისამებრ ითხოვდა უნივერსიტეტს, ან სხვა რამ მაღალ სასწავლებელს, მაგრამ რადგანაც ამის წინააღმდეგი იყო ბარონ ნიკოლაი, ძველები შეჩერდნენ კადეტის კორპუსზე, რომელიც მაინც უნდა გახსნილიყო. ახალი-თაობისა და ქვეყნის სურვილმა ხმის უმეტესობით გაიმარჯვა და ადრესში იყო ნათხოვი უმაღლესი სას-

[1] „ჩემი ნაწერები", ტ. I, გვ. 107.

წავლებელი. მაგრამ თავმჯდომარემ და ძველებმა, რადგანაც იმათ ბესარიონ ღოღობერიძეც მიუდგა, გადაასხვაფერეს ადრესი, სასწავლებლის მაგიერ სრულიად უმნიშვნელო საგანი ითხოვეს და ისე მიართვეს ხელმწიფეს. ამან გამოიწვია უსიამოვნება ძველსა და ახალ თაობას შუა. ილია ჭავჭავაძემ დასწერა ლექსი, სადაც მოიხსენია ძველები. დასტალუღად ამბობდა: „ქვეყანა და ქვეყნის საქმე ამას ფეხებზე ჰკიდია!“ ამ ლექსს უპასუხა გრიგოლ ორბელიანმა „კოღო-ბუზებო! ლიბერალებო!“ და სხვანი. იქ მეტად გალანძღული და შერისხული იყო ახალ-თაობა. სხვათა შორის (თუმცა მე არაფერ შუაში ვყოფილვარ), მეც ვიყავი მოხსენებული: „აკაკიები. ბაკაკიები“ და სხვანი. და მეც ახალ-თაობის სახელით დავწერე „ღენერალი ხარაბუზა“, და გაიმართა უცენზურო მწერლობა. უცენზურო იმიტომ, რომ დიდკაცებს ეხებოდა. აი, ეს ალეგორიებიც: „პატრიოტის აღსარება“ (ვითომ ძველების მხრით), „კოღო-ბუზების პასუხი“ და „დათვი ორ-ბელიანი“ მაშინ დაიწერა“.

აკაკის გადმოცემით, ამჯერად ბრძოლის გაჩაღების იმპულსი თითქოს გარკვეული შემთხვევა ყოფილა. საერთოდ კი აღნიშნული მიზეზის გარეშეც ცნობილია, რომ ძველსა და ახალ თაობას შორის ბრძოლა სისტემატურად მიმდინარეობდა. ახალგაზრდობის ყოველი ენერგიული ღონისძიება, ცხოვრების გარდაქმნისაკენ მიმართული, მუდამ იწვევდა „მამების“ აფორიაქებასა და აღშფოთებას. „შვილებიც“ არაფერს უთმობდნენ და, ამრიგად, ყოველთვის დაჭიმული ბრძოლა წარმოებდა.

70-იან წლებშიც ილია ჭავჭავაძემ გააჩაღა ბრძოლა კონსერვატიული თაობის წინააღმდეგ ცნობილი „გამოცანების“ დაწერით. ამ ლექსში გამათრახებული იყო ძველი თაობის წარმომადგენლები, მათ შორის, უფრო მორიდებულად გრიგოლ ორბელიანიც. აქ მას ეხებოდა შემდეგი გამოცანა:

მოხუცია იგი, ჯმუხი,
პირად ბადრი, ტან-დაბალი,
საქმით წმინდა, გულმხურვალე,
სიტყვა-ტკბილი, ჭკვა-მაღალი.
ძველთაგანა ეგღა დარჩა
გრძნობით სავსე, გონიერი,
მაგრამ გაუბედავია,
თუმცა უყვარს თვისი ერი.
ის ძველის და ახლის შუა
შემაერთავი ხიდია,
მაგრამ ამ კარგსაც ქვეყანა
ზოგჯერ ფეხებზედ ჰკიდია.

ძველი თაობის სხვა წარმომადგენლებთან შედარებით აქ გრიგოლ ორბელიანი უფრო რბილ ფორმებშია გაკენწლული:

მგოსნის ნაკლთან ერთად მითითებულია მსცოვანი პოეტის დადებით თვისებებზეც: რომ იგია „საქმით წმინდა", „გულმხურვალე", „ჭკვამაღალი", „გრძნობით სავსე" და სხვ. გრიგოლ ორბელიანმა „შვილების" საპასუხოდ დაწერა ლექსი „გამოცანის პასუხი" (შემდეგ დაბეჭდვისას უწოდა „პასუხი შვილთა"). აღნიშნულ პამფლეტში გრ. ორბელიანმა „შვილებს" უწოდა კოღობუზები, ჭკუით გლახები, გზადაკარგულნი, წყალწაღებულნი, კატის კნუტები, ცრუ-პოეტები, უსწავლელები და უნიჭოები, ამასთანავე ღააბრალა მათ ენის წახდენა, ღვთის გმობა, ცრურუსთველობა და სხვ. გრიგოლ ორბელიანის ამგვარ უმართებულო გამოსვლას სათანადო პასუხი გასცეს ახალთაობის წარმომადგენლებმა, მათ შორის აკაკი წერეთელმა.

ყველაზე მკაცრი და დაუნდობელი იყო აკაკის ლექსი „ხარაბუზა ღენერალს" (ეს ლექსი იმ დროს არ დაბეჭდილა, იგი ხელნაწერისა და ზეპირი გადაცემის გზით ვრცელდებოდა. ის იმდენად დიდად იყო გავრცელებული, რომ სამოცი წლის შემდეგაც ბევრ ქართველ მოღვაწეს ზეპირად ახსოვდა და ხელნაწერის აღმოჩენამდე ზეპირი გადმოცემის მიხედვით გამოაქვეყნა პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა). ამ ლექსში აკაკი წერეთელი მრისხანედ დაესხა თავს გრიგოლ ორბელიანს, უწოდა მას ორპირი, საქმით კუზა, ბაქია. ისეთი კაცი, რომელიც მოედანზე გამოსულა, დამდგარა და მისთვის უცნობ საგანზე მსჯელობს. მაგრამ ამასთანავე ამ სასტიკ პამფლეტშიც კი აკაკიმ გვერდი არ აუარა გ. ორბელიანს, როგორც დიდ პოეტს და მოიხსენია „სადღეგრძელოს" ავტორი, როგორც „ტკბილი ლექსების ფეიქარი". ხოლო ლექსის „ხარაბუზა ღენერალს" დაწერისა და „ფარშავანგის" პირველად დაბეჭდვის წელს, ე. ი. 1872 წელს „კრებულში" (№ 10, 11, 12, გვ. 189—190) აკაკიმ გამოაქვეყნა ლექსი „მუხამბაზი" („ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე..."), რომელსაც ეპიგრაფად გრ. ორბელიანის სიტყვები წარუმძღვარა: „ფიქრები მაქვს, წინ შენი სახე მოდის..." ამრიგად, როგორც ყველაფრიდან ჩანს, მიუხედავად მკაცრი პამფლეტებისა. აკაკი დიდად აფასებდა „სადღეგრძელოს" შემოქმედს. პოეტის დაკრძალვისას წარმოთქმულ სიტყვაშიც აკაკი მკაფიოდ მიუთითებდა: „გრ. ორბელიანი იყო კავშირი ძველისა და ახალის თაობის შორის, სხვა-და-სხვა დგმის შემაერთებელი ხიდი... ეგ მოყვარული იყო და თანამგრძნობი იმისთანა კაცების, რომელთაც დღეს ახალთაობის კაცებად ვუწოდებთ და ამ გვარ მოწაღმართე პირებს ეძებდა როგორც ახლებში, ისე ძველებში"[1].

---

1 აკ. წერეთელი, თხზ., ტ. 12, გვ. 226.

დაუნდობლად გაკიცხა აკაკიმ ძველი თაობა „ახმედ ფაშა კახაბერში" „პატრიოტის აღსარებასა" და სხვა თხზულებებში, სადაც პოეტი მიუთითებს ძველსა და ახალს შორის არსებულ წინააღმდეგობაზე. ავტორის აზრით, ბატონყმობის გაუქმებას „ახალთაობა აღტაცებით მიეგება", ხოლო ძველი თაობის წარმომადგენლები გულდაწყვეტილი შეხვდნენ. ისინი ცხადად ვერ ბედავდნენ თავიანთი უკმაყოფილების გამომჟღავნებას და ახალ თაობაზე იყრიდნენ ჯავრს, არავითარ საშუალებაზე უარს არ ამბობდნენ, რომ სახელი გაეტეხათ, დაემცირებინათ და შეეიწროებინათ ხალხის ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის მებრძოლი ახალგაზრდობა.

„ძველი თაობა, — წერს აკაკი, — გულდაწყვეტილი ამ ცვლილებაზედ (ლაპარაკია საგლეხო რეფორმაზე —პ. კ.), ცხადად რომ ვერ აცხადებდა თავის უკმაყოფილებას, გულში იკლავდა და ეძებდა შემთხვევას, რომ როგორმე თავისი ნაღველი წამოენთხია და გულის ბუხარი ვისმეზედ ამოეყარა. ჩვეულებრივის ფარისევლობით, იმან პირ-ღიმილით მიიღო ეს კანონები, მაგრამ ახალთაობის დაუძინარის მტრობითა და შურით კი აღივსო. მაგრამ რა ექნა? როგორ უნდა მოქცეულიყო? იმას ხომ ვერ იტყოდა, თუ ამისათვის ვსდევნი ახალთაობასო, და მიზეზები გამოიგონა: 1. ვითომც ახალთაობას სარწმუნოებაზე ხელი აეღოს, რადგანაც იცოდა, რომ ამ ცილისწამებით მდაბალ ხალხს მოატყუებდა და ახალ თაობაზედ ნდობას დაუკარგავდა. 2. ამტკიცებდა უსინდისოდ, რომ ახალთაობა მმართველობის განკარგულებას ეწინააღმდეგებაო და სხვანი. ამგვარი ცილისწამებები აიღო სასელმძღვანელოდ და დაუწყო დევნა მოუსვენრად ახალთაობას. სიტყვით, თუ საქმით ბევრმა შეშინებულმა ჩინებულმა ახალგაზრდობამ დაჰყარა პატიოსნების იარაღი და მიეკედლა ძველ თაობას; მაგრამ ამით ახალთაობა მთლად არ დამარცხებულა. ბევრი ყმაწვილი კაცი მოთმინებით წინაღუდგა იმ დევნას და არ შესცვალა გზა თავის პატიოსნურ მსვლელობისა. თუ რა ტანჯვა გამოიარეს იმათ, იმას ნუღარ მოვიგონებთ; რადგანაც მოგონებაც კი კმარა გულის ასაძგერებლად".

ზოგს უნდოდა ეს ბრძოლა აეხსნა უბრალო წინააღმდეგობით, მაგრამ ილია და აკაკი თავიდანვე ააშკარავებდნენ თავიანთ იდეურ ვანსხვავებულობას ძველი თაობის წარმომადგენლებისაგან. ეს იყო პრინციპული ბრძოლა, რომელმაც დიდი ისტორიული როლი შეასრულა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში.

ძველი თაობის ზოგიერთი გამოჩენილი წარმომადგენელი თავიდანვე მტრულად არ შეხვედრია ახალი თაობის გამოსვლას.

ცნობილია, რომ გრ. ორბელიანმა სამოციან წლებში ხელი შეუწყო ი. ჭავჭავაძეს ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ გამოცემის ნებართვის მიღებაში. ახალი თაობაც აფასებდა „ჩვენის სიტყვიერების ძალღონისა და სიმდიდრის „მეუფეს“. ილია ჭავჭავაძემ გულთბილი სტრიქონები უძღვნა და 1861 წელს „მამების“ წინააღმდეგ მიმართულ წერილში შესანიშნავად დაახასიათა გრიგოლ ორბელიანის ლექსები. ილია ჭავჭავაძე ამ წერილში წერდა: „განა რითმა რომ არ იყოს, პოეზიაც არ იქნება?! აბა, აიღეთ ურითმო ლექსები თავადის გრ. ორბელიანისა, თუნდ ბოლონდელი ოქტომბრის „ცისკარის“ „ო... დარდები“; აბა, ყურადღებით წაიკითხეთ, რა პოეზიაა მაგ ურითმო ლექსში! თვალწინ წარმოგიდგებათ ის ჩათუქსანი თბილისის ქართველი, რომლის ნატვრა და სამოთხე კასური ღვინოა, სიყვარული და ორთაჭალის ბაღები. აბა, ნახეთ ის ქართველი პაჟარნი, ნაბად წამოსხმული, ლოთურად ჩითმერდინით ყელზედ, როგორ გულმოდგინედ შეჰყურებს თავის საყვარლის ფანჯრებს, ვინც კი დაუშლის, აღრინდება და ეუბნება: „მოდი, ამ ვირს ეშხზედ ელაპარაკე!“ რამდენი ნამდვილობა და ჭეშმარიტებაა მის წმინდა ქართულ პოეტურ დარდებში, კვნესაში და ნატვრაში! პოეზია განსახოვნებაა ჭეშმარიტებისა, ცხოვრებისა და არა ჯაჭვი უთავბოლოდ გადაბმულ რითმებისა“[1].

ამგვარივე აზრის იყო გრიგოლ ორბელიანის ლექსების შესახებ გიორგი წერეთელიც. 1863 წელს ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ გ. წერეთელი აღნიშნავდა: „ის პლასტიკური გრძნობა, რომელიც გამოსჭვერს თ. გრ. ორბელიანის სწორედ ხალხურის ელემენტით სავსე პოეტურ გრძნობაში, სადაც ასე აღტაცებით არის გამოყვანილი, თუ რას შეჰხარის ქართველის გული“.

სამოცდაათიან წლებში, „მამათა“ და „შვილთა“ მწავავე ბრძოლის წინა თვეებში ახალთაობის ორგანო გაზეთი „დროება“ თავის ფურცლებზე აღნიშნავდა: „სადღეგრძელო“ გრ. ორბელიანისა სავსეა აზრითა და გრძნობით... ზოგიერთი ადგილი ამ თხზულებისა ზეპირად დასასწავლებელია ჩვენთვის“[2].

ამგვარად, გრიგოლ ორბელიანი თაობათა შორის ბრძოლის პირველ ეტაპზე ახალგაზრდობისადმი კეთილგანწყობილი იყო. ალბათ, ეს მდგომარეობა ჰქონდა აკაკი წერეთელს მხედველობაში, როდესაც წერდა: „ამ გაჭირვების დროში გამოჩნდნენ რამდენიმე პირნი ძველ-თაობიდანაც, რომელთაც დიდის პატიოსნე-

1 „ცისკარი“, 1861 წ., № 4.

2 „დროება“, 1871 წ., № 8.

ბითა და ჭეშმარიტებით თანაუგრძნეს დევნულ-მართლებს; იმათში ისე გამოჩენილი და შესანიშნავი არავინ ყოფილა როგორც „ასმედ-ფაშა კახაბერი"... იგი „თანამგრძნობი იყო ახალ თაობის, სხვებსავით გზაში მტრად არ უდგა მას, და რადგანაც ყოველივე დროსა და ადგილის მიხედვით ფასდება, ამისათვის ახალგაზრდობამაც უზომოდ მომეტებულად დააფასა კახაბერი და ყოველ შემთხვევაში მისი თანამგრძნობელი იყო და მსასოებელი"[1]. მაგრამ აკაკი იქვე აღნიშნავს, რომ ბრძოლის ამ ეტაპზე გრ. ორბელიანმა თავი ვეღარ შეიკავა და „ახალგაზრდობას სასიკვდილო კერი დაჰკრა თავში და მით მის მტრებს ფრთები გამოასხა". ამიერიდან გრ. ორბელიანი „მამების" სათავეში მოექცა და „შვილებმაც" მთავარი ცეცხლი მის წინააღმდეგ მიმართეს, რადგან გრ. ორბელიანს დიდი გავლენა ჰქონდა და ახალგაზრდობის გამარჯვების საკითხს არსებითად მისი დამარცხება წყვეტდა.

ამ ბრძოლაში აკაკი წერეთელი განსაკუთრებით მკაცრი და მოურიდებელი იყო.

1875 წელს გამოქვეყნებულ „პატრიოტის აღსარებაში" პოეტმა გაიცხა და აბუჩად აიგდო „მამების" „პატრიოტობა". პოეტის დახასიათებით ძველი თაობის („მამების") ცრუ პატრიოტიზმი მხოლოდ ქეიფთან და დროსტარებასთან არის დაკავშირებული, მშობელი ქვეყნის სიყვარული მათ შიშხინა მწვადის ცქერისას აღეძვრით, წინაპრები, ხალხი, კახური ღვინის გადაკვრისას აგონდებათ. სატირაში ძველი თაობის წარმომადგენელი აცხადებს: „განა შემიძლია შიშხინა მწვადის ყურება ისე, რომ პირი პატრიოტულის ნერწყვით არ მევსებოდეს? როდის გადამიკრავს კახური ღვინო ისე, რომ ჩვენის წინაპრების შესანდობარი არ ყოფილიყოს?"

აკაკის პამფლეტებში ძველი თაობა ახალგაზრდობის შენიშვნაზე ბრიყვული მედიდურობით გაიძახის: „ვინა სთქვა, რომ მე პატრიოტი არა ვარ? მიუქარავს!.. ეტყობა, ან სადილობამდის მოთრეულა ჩემთან და ან ნასადილევს მოხეტებულა... უდროოდ უვლია! აბა, თქვენი ჭირიმე, სადილობამდის, როცა მუცელი ცალიერია, ვისა სცალიან საპატრიოტოდ და ან ნასადილევს, კუჭდამძიმებულზე, რაღა დროს პატრიოტობაა?!

არა... იმ დროს მობრძანდეს, როდესაც მე, მამაპაპურად ფეხმორთხმულს წინ მიფენია ქართული სუფრა მისის სასადილო სამკაულებით. ცხელ-ცხელი პურები, ცივი ღვინო, აქა-იქ ახირებულად მიყრილ-მოყრილი მწვანილი, ახალი თევზი, მოთალი, ზე

1 აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IV, 1948 წ., გვ. 156.

ტარხუნით თავწახურული, საიდამაც ის შეჩვენებული ძროხის მოსაკითხი ისე გამოიყურება, რომ თითქოს პირს სიცილით ეუბნებოდეს: „გამიღე კარები, კბილები მიჩვენეო“ და იმავ დროს მოშუღლული ტარხუნაც ზევიდან დასჩურჩულებდეს: „სად მიდიხარ? ვერ გაგიშვებ! იქაც ქვეშ უნდა მოგიქციო და თავზე დაგაწვეო!.. სადაც ჩახვალ, მეც მაშინვე იქა ვარო“ და სხვ... აი დრო, როდესაც ჩემს გულში იღვიძებს პატრიოტული გრძნობა და ჩემი ნაციონალური მადა კუჭში იდგამს სამეფო ტახტსა! მაშინ მეც თავი მომწონს ქართველობით“...[1]

ცნობილ წერილში „ვინ სტყუვის?“ აკაკი გარკვევით ასხვავებს თანადროულ საზოგადოებაში არსებულ ძველსა და ახალ თაობას. იგი უკმაყოფილოა ძველი თაობის მოქმედებით. მოაგონებს მათ, რომ მიუხედავად მრავალრიცხოვანი გარეშე მტრის ხშირი შემოსევებისა, განუწყვეტელი ავბედობისა და შინაური აშლილობისა, წარსულში ქართველი ხალხი საარაკო გმირობითა და თავდადებით ზრუნავდა ქვეყნის ძლიერებისათვის, მისი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის, კულტურული ცხოვრების განვითარებისათვის. „წარსული საუკუნეების ქართველებს, ჩვენს წინაპრებს, თუმცა მოსვენება არა ჰქონდათ არც გარეგანი მტრებისაგან და არც შინაგანი უწესოებისაგან. მაგრამ ისინი ამგვარ მდგომარეობაშიც კი-თავიანთი სიცოცხლისათვის და თავისუფლებისათვის დაუცხრომელ ბრძოლასთან ერთად, არ ივიწყებდნენ თავიანთ განათლების საქმეს და ახერხებდნენ თავიანთ შინაგანი ცხოვრებისა, ლიტერატურისა და ენის განვითარებაზეც ზრუნვას. ...მშვიდობიანობის დროს ხომ, რალა თქმა უნდა, უმთავრესი მათი საზრუნავი და საცდელი გონებით განვითარება იყო... მრავლდებოდნენ შკოლები, ახალგაზრდა ყმაწვილები იგზავნებოდნენ სხვა ქვეყნებში გასანათლებლად, სჩნდებოდნენ პოეტები და მწერლები, გამოდიოდნენ მრავალი სასულიერო და საერო წიგნები და ამგვარად მდიდრდებოდა ლიტერატურა და მშვენიერდებოდა სამშობლო ენა“ [2]. ახლანდელი ძველი თაობა კი, წარსულ დროთა თაობებთან შედარებით, ცხოვრობს უფრო დამშვიდებულ და მყუდრო ვითარებაში, ძველებურად აღარ უხდება გარეშე მტრებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომები, და ამიტომ, მას მეტის გაკეთება შეეძლო ხალხის საკეთილდღეოდ, უფრო მეტი შესაძლებლობები და პირობები მოეპოვებოდა სამშობლოს „შინაგანი ცხოვრების“ გახსნისა და განვითარებისათვის — ქვეყნის კულტურული ცხოვრების აღ-

[1] აკ. წერეთელი, თხზ., სრ. კრებული, ტ. IV, 1948, გვ. 159.
[2] აკ. წერეთელი, თხზ., სრ. კრებული, ტ. 11, 1960, გვ. 157.

მავლობისათვის, სწავლა-განათლების, მწერლობის, მეცნიერების, დედაენის და საერთოდ, ხალხის გონებრივი და სულიერი ცხოვრების წინსვლისათვის, ვიდრე გარდასულ დროთა თაობებს შეეძლოთ. მაგრამ ჩვენმა ძველმა თაობამ, რომელიც წარმოიშვა XIX საუკუნის დასაწყისიდან, შექმნილ ახალ ისტორიულ პირობებში სრული უმოქმედობა გამოიჩინა, ვერ შეიგნო, რომ „ყოველი ბედნიერება ხალხისა, არის დამოკიდებული მის გონებით მდგომარეობაზე, რომ უსწავლელად და გაუნათლებლად შეუძლებელია მისი ცხოვრების გაუმჯობესება, განვითარება და ერთი სიტყვით, მისი წინსვლა ანუ პროგრესი.“[1] ძველი თაობა ვალდებული იყო შედგომოდა განათლების საქმის მოგვარებას და ამ მიზნის მისაღწევად გამოეყენებია თავისი მდგომარეობა, ავტორიტეტი, შესაძლებლობანი და პირობები, მაგრამ აკაკის რწმენით, ამ თაობის წარმომადგენლებმა ეს არ გააკეთეს. მათ „მიჰყვეს ხელი უზრუნველობას, უმოქმედობას, უქმად ცხოვრებას და განცხრომას. ასე რომ, რამდენადაც უფრო მდიდარი, მამულიანი და დიდი გვარისა იყო ვინმე მათგანი, იმდენად უფრო მომეტებულად სცხოვრობდა ის უსაქმოდ, იკვებებოდა უშრომლად, სხვისი შრომის ნაყოფით და, ამგვარად ატარებდა უმეცრებასა და მავნებელ განცხრომაში თავის უსარგებლო წუთისოფელს“.[2] აკაკის დახასიათებით, მისი დროის ძველი თაობა არამც თუ აგრძელებდა სახელოვან წინაპართა მისაბაძ ტრადიციებს, არამედ ცხოვრობდა რა სახელმწიფოებრივად უფრო დამშვიდებულ პირობებში, ეწეოდა მავნებლურ განცხრომას, უმოქმედობას, გადამეტებულ სმა-ჭამას; უმეცრება, შურიანობა, ურთიერთ „ბძარვა“, როგორც ნ. ბარათაშვილი იტყოდა, ყრმათა და ქვეშევრდომთა დაუნდობელი ძარცვა და სასტიკი ტანჯვა, მწევარ-მეძებრების უკან დევნა და მით „თავისი საზარელი მიდრეკილებების დაკმაყოფილება“ და სხვა ამგვარი საზიზღრობა შეადგენდა „მამების“, რეაქციონერ-კონსერვატორების საერთო თვისებას, მათი ცხოვრების დამახასიათებელ ბუნებას. საგულისხმოა, რომ პოეტი ძველი თაობისადმი წაყენებულ ბრალდებებში განსაკუთრებით უსვამს ხაზს ამ თაობის მიერ ყმათა უმაგალითო ექსპლოატაციას, გლეხთა ნაშრომის მითვისებას, საზარელ მიდრეკილებათა დაკმაყოფილების სურვილს, მცონარობას, სიზარმაცეს, ვერაგობასა და უპატიურ ცხოვრებას. უმეცრებაში განცხრომასა და უზრუნველობაში მიდიოდა ამ თაობის მთელი ცხოვრება, შვილებსაც „სახედ და მსგავსად თვისად ზრდიდ-

[1] აკ. წერეთელი, ტ. 11, გვ. 158.
[2] იქვე.

ნენ, არ ამზადებდნენ მათ შრომისა და ნამდვილი კაცური ცხოვრებისათვის, არ ცდილობდნენ მიეცათ მათთვის რიგიანი განათლება.[1] ძველი თაობის წარმომადგენლები ცხოვრების უმაღლეს დანიშნულებას ხედავდნენ მარტო ჭამა-სმასა და განცხრომაში, მათ რომ შვილთა აღზრდაში იმდენი „დაეხარჯათ, რამდენსაც თავიანთ ძაღლების საკვებად და შესანახად ჰხარჯავდნენ, საკმაო იქნებოდა. მაგრამ არა: ისინი თავიანთ მწევარ-მეძებრების გაწვრთნისათვის უფრო ბევრს ზრუნავდნენ, ვიდრე თავიანთი შვილების აღზრდისათვის და დატოვეს შვილები სრულს უმეცრებაში, რის შედეგადაც ისინი „ისეთივე პარაზიტები შეიქნენ ჩვენი საზოგადოებისა და ქვეყნისათვის როგორც მათი მშობლები იყვნენო. ამრიგად, აკაკი გარკვევით მიუთითებს, რომ ჩამორჩენილი, ბნელეთში მყოფი, შურიანი, ფუქსავატი, ზარმაცი, ბატონყმური წყობილების დამცველი, უმეცარი და პარაზიტი ძველი თაობა სრულებით არ ასრულებდა თავის ეროვნულ მოვალეობას, ე. ი. არ ზრუნავდა ქვეყნის ეროვნული და სოციალური პროგრესისათვის, კულტურული წინსვლისათვის, მშობლიური ენისა და ლიტერატურის მოღონიერებისათვის, ხალხის მატერიალური და სულიერი მდგომარეობის განვითარებისათვის და, რაც მთავარია, ახალგაზრდობის რიგიანი განათლებისათვის. ეს იყო ხალხის წინაშე ძველი თაობის მიერ ჩადენილი მნიშვნელოვანი დანაშაული. მეორე დანაშაული და ბოროტება ამ თაობისა კი ის გახლდათ, რომ წინაპართა სისხლით მოპოვებული და დაცული მშობლიური მიწა-წყალი არა თუ გაადიდეს, გააფართოვეს, გააუმჯობესეს, დაიცვეს მომავალი შთამომავლობისათვის გადასაცემად, არამედ ჩაიდინეს დიდი ცოდვა, დაარღვიეს წინაპართა მიერ გადმოცემული საღმრთო ვალი—ხელი მიჰყვეს მშობლიური მიწის გაყიდვა-დაგირავებას და მით ქართველობას შეუმცირეს და დაუკარგეს თავიანთი წინაპრების მიერ მონაგარი, სისხლითა და ხორცით გაპოხიერებული, საკუთარი სიცოცხლის ფასად მოპოვებული და შენარჩუნებული მიწები და მამულები. ტერიტორია — ეს ერის არსებობის ერთ-ერთი ძირთადი ელემენტი და ეს პრობლემა იმ დროს საკმაოდ მწვავედ იდგა დღის წესრიგში. ქვეყნის მიწა-წყლის, ტყეებისა და წიაღისეულის დიდი მასშტაბებით უცხოელთა ხელში გადასვლით საფრთხე დაემუქრა ერის არსებობას და ძლიერდებოდა ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოელთა ეკონომიკური ექსპანსია. ძველმა თაობამ კი, — პოეტის თქმით, მთელი სამშობლო ამოიჭამა მხოლოდ თავისი მუცლისა და განცხრომით ცხოვრებისათვის.[2] „მამებს“ არ ჩა-

[1] აკ. წერეთელი, ტ. 11, გვ. 159.

[2] იქვე, გვ. 162.

მორჩებოდნენ მათ წიაღში აღზრდილი და მათგან წარმოშობილი, ერთგვარად სწავლა მიღებული ამავე თაობის წარმომადგენლები. მათ ქვეყნისათვის არაფერი გაუკეთებიათ და ეგოიზმით, პირადი სარგებლიანობით განმსჭვალულნი „სიცოცხლისა და მოქმედების მიზნად მარტო თავიანთი თავის კეთილდღეობას აღიარებდნენ და, ერთი სიტყვით, საკუთარს სარგებლობას უმსხვერპლებდნენ იგინი ყოველ საერთო საქმეს საზოგადო სარგებლობებს"[1]. მათი ცხოვრებისა და არსებობის მიზანი იხატებოდა ბოდბელის მრწამსით: „თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუ დარჩებაო". აკაკის რწმენით, ძველ თაობას ყოველი ღონე უნდა ეხმარა, რომ ჩვენს სკოლებში გადმოენერგა ევროპული განათლების მიღწევები, რათა მით დაეფუძნებია სწავლების ისეთი ხასიათი, რომელიც შეეფერებოდა ჩვენს ქვეყანას. მაგრამ მან ეს არ გააკეთა, არ აღასრულა, რის გამოც „ჩვენში ყმაწვილების აღზრდამ მიიღო ისეთი ცუდი ხასიათი და მიმართულება, რომ ჩვენში, თითქმის აქამდისაც, აღზრდილები და ნასწავლები ისეთი უსარგებლონი გამოდიოდნენ მამულისათვის, როგორიც უსწავლელნი იყვნენ"[2]. ძველი თაობის აღნიშნულ წარმომადგენლებს აკაკი დაუნდობლად კიცხავდა იმის გამოც, რომ ისინი სრულიად არ ზრუნავდნენ მშობლიური ლიტერატურის ძეგლთა გამოცემის, მისი ხალხში გავრცელების, ჩვენი ძველი ლიტერატურის საუნჯის აღდგენისა და ახლის განვითარებისათვის, საკითხავი წიგნების გამრავლებისათვის. პოეტის რწმენით, მათი ვალი იყო მიებაძათ განათლებული ქვეყნების მოწინავე პირებისათვის, ეწერათ, ეთარგმნათ და დაებეჭდათ ხალხისათვის სასარგებლო და საჭირო წიგნები, გამოეცათ ჟურნალები და გაზეთები და გაევრცელებიათ ხალხში სწავლა-განათლება და ახალი, პროგრესული აზრები. მაგრამ მათ, როგორც აკაკი აღნიშნავს, ეს არ გააკეთეს. გამოსცეს მხოლოდ ორი თუ სამი ძველი წიგნი, ხოლო „ჩვენი ლიტერატურის ძვირფასი ნაწარმოებები, იმათი უზრუნველობისა და დაუდევნელობის წყალობით, აქამდისაც სხვადასხვა მონასტრებში ლპებიან და თაგვების ბუდეებად ხდებიან"[3]. ამ თაობის წარმომადგენელთა უდიდეს ცოდვად პოეტს ისიც მიაჩნია, რომ როდესაც ქვეყანა ღრმა ლეთარგიულ ძილში იყო ჩაძირული და გამოფხიზლება ესაჭიროებოდა, მაშინ „ზოგნი მათგანნი სთხზავდნენ ხან და ხან საამურ ბაიათებს, რომლებშიაც ისინი ამკობდნენ ვარდსა და ბულბულს, მზეს, მთვარეს და იმ-

---

1 ა კ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ტ. 11, გვ. 162.
2 იქვე.
3 იქვე.

ღეროდნენ ლოთობის დროს"[1]. ამის გამო დაეცა, გადაგვარდა და გაღარიბდა ჩვენი ახალი ლიტერატურა და ენა. „ლიტერატურის აჩრდილიც არ იყო და ენაც, გაუკეთესებისა და განვითარების ნაცვლად, თითქოს სრულიად გაირყვნა და წახდა"[2]. ასეთ ვითარებაში კი, იმის ნაცვლად, რომ მათ მდგომარეობა გამოასწორონ, პირიქით ფარისევლურად ამაყობენ — „ვითომც მათ ხელში ქართული ლიტერატურაცა და ენაც ბრწყინავდა და ვითომც მხოლოდ ახალ თაობას გაეფუჭებინოს". როგორც ვხედავთ, აკაკი მრავალ საყურადღებო და მეტად პრინციპულ ბრალდებებს უყენებდა რეაქციონერ ძველ თაობას, სასტიკად ამხელდა ქვეყნისათვის მათ საზიანო მოქმედებას და დაუნდობლად კიცხავდა მათ რეაქციულ შეხედულებებს. აკაკის ღრმა რწმენით, ძველ თაობას არ ახასიათებდა პატრიოტიზმი, მას არ ამოქმედებდა სამშობლოს კეთილშობილური სიყვარული, ცრემლს არ აღვრევინებდა მამულის ბედი. ამ თაობის წარმომადგენლები უარყოფდნენ პატრიოტობას, აღიარებდნენ სხვისი ქვეყნისა და ხალხის სიყვარულს, დაუფარავად აცხადებდნენ: ჩვენ გული არ გვტკივა ჩვენს სამშობლოზე, სხვა ქვეყნისა და ხალხის სიყვარული მეტი გვაქვსო. ამის საპასუხოდ აკაკი დასძენს: „ვისაც თავისი თავი არ უყვარს, იმას სხვისი სიყვარული არ შეუძლია, ვისაც თავისი სამშობლო სძულს, სხვა ხალხის სიყვარულს განა მოასერხებს, თუ რომ მართლა კაციაო" ამ რწმენის ლიტერატურულ ფაქტად გარდასახვის ბრწყინვალე მაგალითად კი პოეტმა დაგვიტოვა საქვეყნოდ ცნობილი ლექსი „ღამურა". ამრიგად, აკაკის მიხედვით, რეაქციონერი ძველი თაობა აღიარებს მაწანწალა კოსმოპოლიტობას და ამ მხრივაც მიუღებელი და საზიანოა ერისათვის. იგი დიდად აფასებს იმ თითო-ოროლა ეროვნულ და ნამდვილ მოღვაწეებს, „რომლებიც გამობრწყინავენ მათ შორის, როგორც ღრუბლიან ღამეში ცაზედ ალაგ-ალაგ გამოსვჭრეტენ ვარსკვლავები"[3] და, რომელთა მთელი ცხოვრება და მოქმედება ემსახურება სამშობლოსა და ხალხის ბედნიერებას, მთელი პროგრესული კაცობრიობის სულიერ ცხოვრებასა და მომავლის ინტერესებს.

აკაკი წერეთელს სწამდა, რომ ახალი თაობა მოწოდებული იყო თავისი დროისთვის დიდი ისტორიული მისიის შესასრულებლად, რომ ამ თაობას უნდა გაეფანტა სიბნელე, შავი ბურუსი

---

[1] აკ. წერეთელი, თხზ., სრ. კრ. ტ. 11, გვ. 165.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 166.

საზოგადოებაში ფართოდ გაევრცელებინა პროგრესული აზრები და იდეები, შეეტანა ხალხში განათლება, დაენთო ნაციონალურ-რევოლუციური ბრძოლის ცეცხლი, ნიადაგი მოემზადებინა ეროვნული და სოციალური ჩაგვრის ასაფეთქებლად და ამით უზრუნველეყო ხალხის კეთილშობილ მისწრაფებათა განხორციელება. პოეტი მტკიცედ იყო დაჯერებული, რომ ძველ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას ადგილი უნდა დაეთმო ახლისათვის. ამიტომ ახალგაზრდობის იდეათა გამარჯვებას იგი ისტორიულ აუცილებლობად თვლიდა, ხოლო ძველი თაობის რეაქციული შეხედულებები დროგადასულ, უკვე წარმავალ, ისტორიის მიერ განწირულად მიაჩნდა.[1] „მამების“ რჩევაზე — „გულით გირჩევ: შენცა ჩემებრ, სდუმენ, ძალას დაემონეო“, აკაკიმ უპასუხა:

მიმავალო, მშვიდობით!
ან დრო არის მოგვშორდე,
ძველ დროს გამოეთხოვო,
ახალ დროს გაუსწორდე!..
თქვენ სხვა ხართ და ჩვენ სულ სხვა,
არა გვაქვს რა საერთო
მის მეტი, რომ ჩვენს კვნესას
თვენგან ცილიც დაერთო!..
ჩვენ ბუზები გახლავართ,
თქვენ ბობოლა ბრძანდებით!
მაგრამ რად იგვიანებთ?
რატომ არ ნაბრძანდებით?
მიმავალნო, მშვიდობით!
გზა გვიტიეთ მომავალს!
რად სწუხდებით რჩევისთვის?
ჩვენ ვპოვებთ ჩვენს გზა და კვალს!..

განსაკუთრებით მძაფრი ბრძოლა გააჩაღა აკაკიმ არქაისტების წინააღმდეგ ახალი ქართული სალიტერატურო ენის საკითხებზე.

სამშობლოში დაბრუნება. ბრძოლა ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ

1862 წლის 31 მარტს აკაკი წერეთელმა ჩააბარა განმეორებითი გამოცდა თათრულ-აზერბაიჯანულ ენაში, ამით დაამთავრა საუნივერსიტეტო კურსი და მიიღო საკანდიდატო შრომის (ახლანდელი სადიპლომო შრომის) წარდგენის უფლება. საკანდი-

[1] შდრ.: აპოლონ მახარაძე, ნარკვევები ქართულ ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. III, 1965 წ., გვ. 69—89.

დატო შრომა აკაკიმ შეასრულა ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის საკითხზე და 1864 წელს წარადგინა განსახილველად. უნივერსიტეტში მოიწონა ნაშრომი და მისი ავტორი საკანდიდატო ხარისხის მიღების ღირსად ცნო (უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს მაშინ, შრომის წარდგენის შემდეგ, ჩვეულებრივ კანდიდატის ხარისხს ანიჭებდნენ. რა თქმა უნდა, ეს არ იყო სადისერტაციო შრომის დაცვის საფუძველზე მინიჭებული ახლანდელი მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი), მაგრამ აკაკი წერეთელმა გიმნაზიის კურსის დამთავრების ატესტატი ვერ წარადგინა (პოეტი გიმნაზიის მეშვიდე კლასიდან იყო გამოსული), ამის გამო, უნივერსიტეტის დამთავრების დიპლომი ვერ მიიღო. უნივერსიტეტში უკანასკნელი გამოცდის ჩაბარების შემდეგ (1862 წელს) აკაკი წერეთელი ჩამოვიდა სამშობლოში და ეწვია ქუთაისს. აქ. მასწავლებელ მიხეილ მოსიძესთან ერთად, პოეტს შეუკრებია ახალგაზრდა სცენის მოყვარეთა წრე და გაუმართავს ქართული წარმოდგენა; დაუდგამთ ზურაბ ანტონოვის ცნობილი კომედია „მზის დაბნელება საქართველოში". დადგმაში მონაწილეობა მიუღიათ აკაკი წერეთელს, მიხეილ მოსიძეს, ნინო აბაშიძეს, კეკელა აგიაშვილს და სხვებს. ქუთაისში ყოფნის პერიოდში აკაკის კიდევ ორ-სამჯერ გაუმართავს წარმოდგენა, რითაც ქალაქის მცხოვრებთა უმრავლესობაში დიდი კმაყოფილება გამოუწვევია.

ამ პერიოდში ახალგაზრდა აკაკის ცხოვრებაში ადგილი ჰქონდა ერთ მნიშვნელოვან მოვლენასაც. ამ დროისათვის უკვე სახელმოხვეჭილი პოეტი პირადად გაეცნო ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა უფროს თაობას. როგორც ვიცით, აკაკი გიმნაზიის პერიოდიდანვე თანამშრომლობდა ჟურნალ „ცისკარში". მიუხედავად სასტიკი ცენზურული პირობებისა, „ცისკარის" ფურცლების საშუალებით ქართველ საზოგადოებაში მაინც ვრცელდებოდა აკაკის პოეზიის ნიმუშები. მართალია, ბევრი ლექსი დამახინჯებული სახით იბეჭდებოდა და ზოგიც ცენზურული პირობების გამო სულაც არ გამოქვეყნებულა, მაგრამ ჟურნალ „ცისკრის" რედაქცია ყოველთვის დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ეპყრობოდა ჭაბუკ პოეტს. ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და მწიგნობრის ზაქარია ჭიჭინაძისთვის ივანე კერესელიძეს განუცხადებია: აკაკის ლექსებმა პირველი დროიდანვე მიიქცია საზოგადოების ყურადღება... მისი ლექსი როცა „ცისკარში" იბეჭდებოდა, იმ ნომერს ყოველთვის უფრო მეტს ვბეჭდავდით... როცა მის ნაწერს მივიღებდით, მაშინ სიხარულით აღარ ვიცოდი რა მექნა... ხალხში ძალიან კითხულობდნენ აკაკის ლექსებსო. ჭაბუკი აკაკი, „ცისკარში" მისი

ლექსის დამახინჯებულად დაბეჭდვის გამო, აღშფოთებული იყო ჟურნალის რედაქტორ ივ. კერესელიძეზე. მაგრამ მოსიყვარულე რედაქტორი მიმოწერის გზით ყოველთვის ახერხებდა მის დამშვიდებას და საქმის კვლავ მორიგებას. შემდეგში აკაკიც დარწმუნდა, რომ ი. კერესელიძე არ იყო იმდენად დამნაშავე, როგორც ეს მას პირველად ეგონა, დარწმუნდა, რომ იგი მეტად საყვარელი და „საამხანაგო კაცი“ იყო. აკაკის არ მოსწონდა მხოლოდ ი. კერესელიძის ლექსები; ხანდახან ახირებულსა და სასაცილო ლექსებსაც წერდაო, — დასძენდა აკაკი. 1862 წლამდე აკაკი წერეთელი პირადად არ იცნობდა ივანე კერესელიძესა და მასთან დაახლოებულ ლიტერატურულ თაობას; ამ წელს კი იგი შეხვდა მათ. შემდეგში აკაკიმ დიდი სიყვარულით აღწერა ეს საინტერესო შეხვედრა: „ტბილისში ჩამოვედი 1862 წელს. მოგვითხრობს პოეტი, — თუმცა ისე ვიყავი დაღალული, რომ მარტო ერთი ღამის მოსვენება არ კმაროდა გამოსაშუშებლად, მე მაინც მეორე დღესვე ადრე წავედი „ცისკრის“ რედაქტორის სანახავად, რომელსაც პირადად ვერ ვიცნობდი და მიწერმოწერით კი დიდი ხნის მეგობრები ვიყავით. ის იდგა საკუთარს სახლში ალექსანდრეს ქუჩაზე და სტამბაც იქვე ჰქონდა. ერთმა ახალგაზრდა, ტანმორჩილმა ქალმა გამიღო კარი და ჩემი ვინაობა რომ გაიგო, ნათესაურად შემომცინა და თანაც შესძახა ქმარს:

— ივანე! ივანე! ყმაწვილო, გამოდი, ნახე, ვინ გვესტუმრა! — გამოვიდა ერთი შავგვრემანი, კარგი თვალ-ტანადი ვაჟკაცი, ამათვალიერ-ჩამათვალიერა და ბოლოს ჩემი სახელი რომ ვუთხარი, სიცილით გადამეხვია.

ეს იყო ივანე კერესელიძე. საკვირველი მწუხარე სახე ჰქონდა. რომ იცინოდა, მაშინაც თითქოს სტირისო, ასე ეგონებოდა კაცს, მაგრამ ეს მოჭმუხვნა-სევდიანობა შვენოდა და სასიამოვნო საყურებელი იყო. შემიწვია ოთახში, იქ მოხუცებული ქალი დაგვხვდა. მისკენ მიბრუნდა და უთხრა:

— დედი, ეს ის არის, რომ დასწერა: „გულს პერანგი დაჰფართხალობსო“, ხომ გახსოვს? აკი ნატრობდი, ნეტავი მაჩვენაო!.. აი, აგისრულდა კიდეც ნატვრა.

— უი, მართლა, შვილო! — წამოიძახა ბებერმა და გადამეხვია. დამსვეს, შემომისხდნენ გარს სამივე ისეთი შეხაფიფებით, თითქოს მათი დიდი ხნის დაკარგული შვილი ვყოფილიყავ და დამიწყეს მუსაიფი“.

ამრიგად, ივანე კერესელიძემ და მთელმა მისმა ოჯახმა დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მიიღეს აკაკი წერეთელი. რედაქტორმა თავის ბინაზე სადილიც გამართა და ახალგაზრ-

და პოეტის პატივსაცემად მოიწვია ალექსანდრე ორბელიანი, ლავრენტი არდაზიანი და დიმიტრი ბერიევი. აღნიშნულ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებთან აკაკის შეხვედრა ფრიად გულთბილ და თავაზიან ფორმებში ჩატარდა. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ახალგაზრდა პოეტზე ალექსანდრე ორბელიანისა და ლავრენტი არდაზიანის საუბრებმა. აკაკის საგანგებო ყურადღება მიუქცევია ალ. ორბელიანის მიერ სპარს დამპყრობთა ზნე-ჩვეულების გავრცელების წინააღმდეგ გამოთქმული შემდეგი სიტყვებისათვის: „...ყოველიფერი, ენა, ზნე, ჩვეულება, თითქმის გადასხვაფერებული გვაქვს. ასე გასინჯეთ, რომ სიმღერასაც ვეღარ ვახერხებთ ქართულად... ბაიათებსა და შიქასტებს გავკივით. ზურნა-დაფის ხმაზე ჩვენი საქრისტიანო ამოვარდა; მეფეები და ერი ეწამა და ჩვენ დღეს კიდევ მოგვწონს და გვენატრება ის ხმა. მაგრამ სულ სხვა არის ჩანგური და ზედ ღიღინი... ქართული გული იგრძნობს, რომ იმ ხმებში ძალაც ქართულია ჩამარხული"!..

აკაკი წერეთელი სიამოვნებით აღწერს ამ შეხვედრას თავის მოგონებაში: „ამ ხალხის ქცევამ, — წერდა აკაკი, —მომავალზე მათმა გულგახსნილმა ლაპარაკმა და აღტაცებულმა კილომ სწორეთ რომ გამაკვირვა. ლაპარაკობდნენ ლიტერატურაზე, ჩვენს წარსულზე, მომავალზე და სხვა საზოგადო საქმეებზე. თუმცა ისინი შუა ხნის კაცები იყვნენ და მე ჯერ სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ მათი ჭაპუკური აღტაცება მეხარბებოდა... სადილად მასპინძელიც და სტუმრებიც ისე გახალისდნენ რომ მთვრალებსა ჰგვანდნენ. მაგრამ ისე ღვინით არ ყოფილან მთვრალნი, როგორც სიამოვნებით... სუფრამ დიდხანს გასტანა და მხიარულება თანდათან მატულობდა. ნასადილევს ყველა ისე ვიყავით გამხიარულებული, რომ მეტი აღარ შეიძლება. ყველანი სიყვარულით მეპყრობოდენ და თანაც, როგორც ახალგაზრდას, დარიგებას მაძლევდენ. ორბელიანი ქვეყნისათვის თავდადებას მირჩევდა, კერესელიძე ბევრ წერას, არდაზიანი მეუბნებოდა, — არ აჰყვეთ ზოგიერთებს, რჯულზედ მტკიცედ იყავიო, და დიმიტრი ბერიევმა გამიხმო განზე და მითხრა: — მე შეგატყვე, რომ ჩემი დანახვა არ გიამა, იმიტომ, რომ კვარტლის მუნდირი მაცვია, მაგრამ არც მაგრე გამოაშკარავება ვარგა თავის გრძნობისა. ეგების არც მე... მაგრამ არ გაგიგონია, ძალა აღმართსაც ჰხნავს. ვინ იცის, ეგების ამ მუნდირში მე სულ სხვა გული მიცემდეს, გარეგნობით კაცი არ გაისინჯებაო.

ამ ახალ გაცნობილების დარიგება დღეს სასიამოვნოდ მაგონდება",[1] — დასძენს აკაკი.

1 აკაკი, „ორი შეხვედრა", „კვალი", 1893, № 2.

დიდმა პოეტმა მთელი სიცოცხლე ხალხის კეთილდღეობის მოპოვებისათვის დაუცხრომელ სამსახურს მოახმარა. როგორც აღვნიშნეთ, სამშობლოში ჩამოსვლამდე აკაკი წერეთელი უკვე ჩაბმული იყო ბრძოლაში ხალხის განთავისუფლებისათვის და ახლა, საქართველოში დაბრუნებისას. კიდევ უფრო ღრმად მომზადებულმა და მომავლის იმედით შთაგონებულმა, საბოლოოდ მხოლოდ ქვეყნისა და ხალხის ინტერესების სამსახური არჩია. მან უარი თქვა სამოხელეო სამსახურზე და მთლიანად ლიტერატურულ ცხოვრებას მიეცა, აქტიურად ჩაება ხალხისა და სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ეს იყო მძიმე ცხოვრების დასაწყისი. მას თავისი მიზნების განხორციელების გზაზე მრავალი დაბრკოლება უნდა გადაელახა. განსაკუთრებით მძიმე იყო მისი მდგომარეობა პირველ ხანებში, როცა ის თითქოს განმარტოებული იყო (კ. ლორთქიფანიძე პეტერბურგში იმყოფებოდა, ნ. ნიკოლაძე — საზღვარგარეთ, ხოლო ილია ჭავჭავაძე ქუთაისიდან დუშეთში გადავიდა სამუშაოდ).

„ერთი მხრით, — გადმოგვცემს აკაკი, — მაღლიდან რისხვა, მეორე მხრით, თავადაზნაურობის გაწყრომა და, მესამე მხრით, სტუდენტების (მაშინ ინტელიგენციას „სტუდენტობას" ეძახდნენ — პ. კ.) ენის წაგრძელება მოსვენებას არ მაძლევდა...

ვერც ერთ მხარეს ვერ ვხედავდი, რომ მიკედლება და გვერდში ამოდგომა შესაძლებელი ყოფილიყოს, ყველას ჩამოვშორდი... დავრჩი მარტოდ".

ხალხის ბედნიერების, თავისუფლებისა და ძმობის მაღალი იდეალებით შთაგონებული პოეტი იმთავითვე უდიდესი მხნეობით, გმირობითა და თავდადებით დაადგა ქვეყნის დიდების, მისი კეთილი მომავლისათვის თავგანწირული სამსახურის გზას და თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მთელ მანძილზე იგი პირად სარგებლობას ყოველთვის წირავდა სახალხო, საზოგადო, საკაცობრიო იდეალების განხორციელების საქმეს.

როდესაც პოეტის წინაშე დადგა დილემა: ვარდით მოფენილი, ბედნიერებით აღსავსე, მომხიბლავი, მაღალი თანამდებობისა და სიმდიდრით გალაღებული გზისა თუ ჩაგრული „მზეთუნახავის" დახსნისათვის განსაცდელის. უბედურების ტანჯვისა და უდიდესი გაჭირვების გზის არჩევისა, პოეტმა გაბედულად აირჩია მეორე — შორი, სახიფათო, ძნელი გზა და შეუპოვრად გაემართა სამშობლოს შველის გზაზე. მიუხედავად სასტიკი დევნისა და გაჭირვებისა, მას არასდროს გადაუხვევია ამ გზიდან. თვითონვე წერდა: ცხოვრებაში რომ ფეხი შევდგი, კარგად ვიცოდი ავ-კარგის გარჩევა და მწარესაც და ტკბილსაც ვატყობდი. ჩემ წინ იდგა ორკაპი გზა; მარჯვნივ სწორი, გატკეცილი და ვარდით მო-

ფენილი, ადვილი გასავლელი და საფუნდრუკო, ციხე-დარბაზში საბედნიეროთ მიმყვანი; მარცხნივ — უსწორ-მასწორო, ოღრო-ჩოღროიანი, ეკლიან-ტალახიანი, სახიფათო, საჭირ-ბოროტო, შორი, მაგრამ ზედ უკვდავების წყაროზე კი მიმსვლელი. საზოგადო აზრი სირინოზის ხმით მიჩურჩულებდა ყურში: „აირჩიე მარჯვნივ... ეს სალხინო გზა მიგიყვანს იმ სადგურამდე, სადაც მოგელის სიმდიდრე და მაღალი ხარისხი... იცოცხლებ სახელ-განთქმულად, დაბერდები სიტკბოებით და სამარეშიაც დიდებულათ ჩახვალ. არა! არა! ნუ გაუგონებ მაგ მაცდურს — ჩამძახოდა მეორე ყურში ჩემი გადიას ხმით ბავშვობისას გაგონილი ზღაპარი — „შენ კაცი ხარ, და როგორც კაცს, არ უნდა გავიწყდებოდეს არც მშობელი და არც ნაშობი! თავგანწირული უნდა იყო შენი სატრფოსათვის, არც ჭირში და არც ლხინში არ უნდა გავიწყდებოდეს საყვარელი! მათთვის თავის განწირვა და ჭირის ატანა ლხინათ უნდა მიგაჩნდეს. ხომ ხედავ, რომ შენი მშობელი, შენი სატრფო, შენი საყვარელი. ოდესმე გამოჩენილი მზეთ-უნახავი, დღეს დასნეულებული და დაწყლულებული ძლივსღა იბრუნებს სულს? მისი ფეხზე წამოყენება და განკურნება უკვდავების წყაროს მეტს არაფერს შეუძლია... ნუ შეუშინდები ხიფათს, ნუ მოერიდები განსაცდელს, აიტანე ყოველგვარი უბედურება და თავგანწირულად მიჰყევ ამ გზას, სადამდისაც მიგიყვანსო!“ ...მეც, — განაგრძობს პოეტი, — მარცხნივ გადავდგი ფეხი და აღარც გადამიხედვიაო.

აღნიშნული გასხენების შესაბამისად გამოჩენილმა პედაგოგმა და მოაზროვნემ იაკობ გოგებაშვილმა აკაკისადმი მიძღვნილ სიტყვაში „საიუბილეო საღამო“ დიდი სიამაყის გრძნობით მოაგონა პოეტს: ორმოცდა ათის წლის წინად, როცა თქვენ უნდა აგერჩიათ გზა ცხოვრებისა, გამოგეცხადათ მთელი გუნდი მაცდური სირინოზებისა. პირველმა მაცდურმა სირინოზმა მოგმართათ ამ სიტყვებით: „მე ვარ მოციქული ძლიერის ბიუროკრატიისა; თუ ჩვენს გზას აირჩევ, მომავალში მოგელის მსუქანი ჯამაგირი, ჩინები. ორდენები, გენერლობა, ძალა და პატივი, განცხრომით ცხოვრება და ბოლოს დიდი პენსია სიბერის დასატკბობელად“. თქვენ ამ სირინოზს იმ წამსვე ზურგი შეაქციეთ. მეორე მხრიდგან წარმოსდგა სხვა მაცდური სირონოზი და მოგახსენათ: მე ვარ მოციქული უძლიერესის ძალისა — ოქრო-ვერცხლისა, კაპიტალისა. თუ თქვენ ამ კაპიტალის სალაროებს, ბანკებს შესწირავთ თქვენს მაღალს ნიჭსა, ოქრო გექნებათ იმდენი, რამდენსაც თქვენი გული მოისურვებს. ამასაც ზურგი ფიცხლავ უჩვენეთ... ბოლოს წარმოსდგა თქვენ წინაშე სხვა გვარი სირინოზი. იგი იყო პატარა, გამხდარი, მწუხარე. ფერმიხდილი, მაგ-

რამ მომხიბლავი სიმშვენიერით მოსილი. მან მოგმართათ თქვენ ამ სახით: მე ვარ მოციქული შენი პატარა, დაჩაგრულის, გაღარიბებულის, უკიდურესად შევიწროებულის სამშობლოსი. თუ შენს საოცარს ნიჭს შესწირავ შენს უბედურს სამშობლოს, გზა ცხოვრებისა შენისა ეკლით იქნება სავსე: შენ არ მოგაკლდება არც სიმშილი, არც წყურვილი, არც სიტიტველე და არც სხვაგვარი ტანჯვა-წვალება, მაგრამ სამაგიეროდ შენ დაიმსახურებ მთელის შენის ერის უმხურვალეს და უღრმეს სიყვარულსა... თქვენ აღტაცებაში მოხვედით და გულში ჩაიკარით სამშობლოს სირინოზი". ამ სიტყვით დიდმა იაკობმა უღრმესი სიყვარულითა და აღტაცებით დაადასტურა აკაკის მიერ არჩეული გზის დიდებულება, ერის საკეთილდღეოდ მისი თავდადება და გმირობა. გამოჩენილმა პედაგოგმა ბრწყინვალე შარავანდედით შემოსა პოეტის მიერ ცარიზმისა და კაპიტალიზმის სამსახურის უარყოფა და სამშობლოს ინტერესებისათვის გაბედული და შეუპოვარი თავგანწირვა. აკაკიმ კარგად იცოდა, რომ ამ არჩეული გზით სიარული მეტად ძნელი და სახიფათო იყო, რომ მას ელოდა დევნა და უსაზღვრო ტანჯვა, მაგრამ სამაგიეროდ ამ გზით იგი იცავდა ერის დიდებას, ხალხთა თავისუფლების საკაცობრიო იდეალს.

ამგვარ გზაზე დამდგარი პოეტი სიამაყის გრძნობით აღსავსე აცხადებდა: „ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ცოტა გვინახავს დარი, უფრო მეტი ავდრიანი დღე გვდგომია, მაგრამ გაგვიძლია: ელვა-ჭექის არ შეგვშინებია, გრიგალ-ქარიშხალს არ გავქცევივართ და სეტყვის დროს თავი სხვაგან არსად შეგვიფარებია, ყველა აგვიტანია"... [1] ვიტანჯები, წერდა აკაკი,.. მაგრამ „იმ ტანჯვაში არის რაღაც ნეტარებაც.. რადგან ...ცა და მიწა ჩემს აღგზნებას უგდებს ყურსა და აფასებს იმ ჩემს ტანჯვას, ვით მსოფლიო სამსახურსა".

აკაკი წერეთელმა მტკიცედ გადაწყვიტა, არსად შესულიყო სახელმწიფო სამსახურში. მას ბევრჯერ შესთავაზეს მოხელის თბილი ადგილი, მაგრამ ხალხის სამსახურით გატაცებულ პოეტს საშინლად ეზიზღებოდა „მოხელეობა" და ყოველთვის უარს ამბობდა სამსახურში შესვლაზე: „ბევრჯერ, — წერს აკაკი, — კარგი ადგილი, ღირსი რომ ვიყავი მისთანა, მაძლია მთავრობამ, მაგრამ, რაღაი კი ერთხელ სხვა გზა მქონდა ამორჩეული, არა ვქენი სამსახურში შესვლა და დავრჩი ოხრად, ანუ გიჟად, როგორც ზოგიერთები ამტკიცებდნენ".

---

[1] აკაკი წერეთელი, თხზ., სრული კრებული. ტ. 14, გვ. 170—171.

სიმპტომურია პოეტის მოგონება, რომელიც „ნარკვევის". სათაურით გამოქვეყნდა „თემში" 1912 წელს (№ 79). აქ ვკითხულობთ: „ერთხელ გუბერნატორი გამოსცვალეს და მის მაგიერ მეორე დააყენეს. ხალხმა პირველის სიძულვილი მეორეს სასიყვარულოდ გადაიტანა და თუმცა ამ მეორესაც ჯერ არაფერი გაუკეთებია, მაგრამ მაინც ქება დაუწყო. მაშინ ქართულ ენაზე ერთადერთი გაზეთი „დროება" გამოდიოდა. აქ დაიბეჭდა „ძაღლების ფელეტონი", სადაც ნათქვამი იყო სხვათა შორის შემდეგი შაირი:

შავი ძაღლი, თეთრი ძაღლი,
ორივ ძაღლი, მამაძაღლი,
ძაღლი ძაღლზე უარესი!
ერთი წავა და სხვა მოვა
ესე არის ჩათი წესი!".

როგორც ვხედავთ, პოეტმა ცარიზმის სატრაპი ორივე გუბერნატორი გაბედულად გაკიცხა — უწოდა მათ „ძაღლზე უარესი ძაღლი", სატირის ბასრ მახვილზე აიგო და სასტიკად დაგესლა ისინი.[1]

ამ ფელეტონმაო, — განაგრძობს პოეტი, — დიდი განგაში გამოიწვია საზოგადოდ. აკაკისთან მისულა ნაცნობი აზნაური, რომელსაც მისთვის უთქვამს: „სახლი შენ არა გაქვს და კარი, ტანს არ გაცვია და ფეხს, ხარისხი შენ არა გაქვს და სახსარი! დადიხარ ღარიბ-ღატაკად!... მე ისე გიყურებ, როგორც პირდაპირ გიჟს. მე ჩემის დამტვრეულის რუსულით ნახევარი რაჭა გამოვხარი... შენ კი უსარგებლოდ დატანტალობ... შენს ადგილზე რომ ვიყო აქამდი იმერეთი გამოხრული მეყოლებოდაო. „ნაცნობმა აზნაურმა აკაკის ურჩია მწერლობის ნაცვლად სახელმწიფო სამსახურში შესულიყო და ხალხის გატყავება-გამოხვრისათვის მოეკიდა ხელი.

მონარქიულ-ბიუროკრატიული, ფეოდალურ-მემამულური რეჟიმის პირობებში მეტად მძიმე და აუტანელი იყო პოეტის,

---

[1] აკაკი არ მიუთითებს როდის და გაზეთის რომელ ნომერში იყო მოთავსებული ფელეტონი, მაგრამ საკითხის შესწავლისას გამოირკვა, რომ პოეტს აღნიშნული წერილი დაუბეჭდავს გაზ. „დროებაში" 1874 წ. (№ 445) სათაურით, — „ცხულ-ცხელი ამბები" („ვინ სთქვა...") და არა როგორც „ძაღლების ფელეტონი". აღნიშნულ წერილში უფრო შენიღბული სახითაა წარმოდგენილი ამბავი. სატირის საგნად კნეინა კვარკვალიტა და მისი საოცნებო დიდკაცობაა აღებული. ლექსიც შეიდსტროფიანია. ორი ნინაა ჩართული, ხოლო ხუთი— ტექსტის ბოლოში, ამგვარი ტაეპებითურთ: „შავი ძაღლი, თეთრი ძაღლი" და ა. შ. (იხ. ტ. 11, გვ. 229—232) 1912 წ. გამოქვეყნებულ „ნარკვევში" პოეტი ნათლად ხდის ძველად, 1874 წელს, დაბეჭდილ ფელეტონში ასახულ მოვლენებს და უმატებს საკუთარ თავზე ამ ფელეტონის გამო დატეხილ ამბებს.

როგორც უფლებრივი, ისე მატერიალური მდგომარეობა. მაგრამ იგი სიძნელეებს არ შეუშინდა და გაბედულად წავიდა ერთხელ არჩეული გზით... „დიდ გასაჭირში ჩავვარდი — წერდა პოეტი, — უნდა თავზე ხელი ამელო და სხვების ნება-სურვილს ავყოლოდი, მაგრამ მე გაეკერპდი და ვერ ვუღალატე ჩემს თავს. ცოლ-შვილი გავისტუმრე სოფელში და ულუკმაპუროდ, შიშველი, უსახლკაროდ დარჩენილი, მაინც არავის ვეპუებოდი და ჩემსას არ ვიშლიდი".

აკაკის ასეთი მოქმედება შეშფოთებას იწვევდა რეაქციულ წრეებსა და პოეტის ნათესავებში. პოეტის ერთ-ერთი ნათესავი აკაკის მამას, როსტომ წერეთელს, სწერდა: „ძმაო როსტომ! შენი შვილი რომ რუსეთიდან დაბრუნდა, ჩვენ ყველა სიხარულით მივეგებეთ: გვეგონა, რომ ოჯახს ფეხზე დააყენებდა და ჩვენც, მისიანებს, ბევრად გვარგებდა, მაგრამ, მის ნაცვლად, რომ სამსახურში შესულიყო და წინ ბიჯი წაედგა, ან ადვოკატობით სხვებსავით მოეხვეჭა რამე, ეგ დალოცვილი მესტვირეობას გამოუდგა და ლანძღვით ქვეყანა გადაიკიდა!"

აკაკი წერეთელი ამგვარ პირთა რჩევა-საყვედურს ყურადღებას არ აქცევდა. აქ საინტერესოა გავისსენოთ ერთი საგულისხმო შემთხვევაც, რომელსაც პოეტი გადმოგვცემს. აკაკი თბილისში მიიწვია გავლენიანმა მოხელემ გიორგი მუხრანსკიმ და შეეცადა ახალგაზრდა პოეტი დაეჯერებინა, რომ მისთვის სახელმწიფო სამსახურში შესვლა აუცილებელი იყო. აი, რა უთქვამს გ. მუხრანსკის აკაკისათვის:

„მართალია. შენ პოეტი ხარ, მაგრამ ნუ დაგავიწყდება, რომ ის დრო წავიდა, როცა პოეტები პარნასზე ღმერთებთან ერთად ფერხულს უვლიდნენ! აქ საქართველოა.

— მერე რა? — ვუპასუხე მე.

— ის რომ. შენ თავზე ფიქრი გმართებს. პოეტი ხარ და ქვეყანა ვარდისფრად გეჩვენება!.. და ცხოვრება გაფურჩქვნილ ვარდად, მაგრამ ერთხელ უეჭველად ფოთლები დასცვივა, მარტო ეკლები დარჩება და მაშინდლისთვინ ხელთათმანები მზად უნდა გქონდეს, რომ ხელები არ გაიკაწრო.

— რა ხელთათმანები?

— გამოუცდელი რომ ხარ და ცხოვრება არ იცი, მიტომაც ვერ მიმხვდარხარ!.. მე შემიტყვია, რომ შევიწროებულ მდგომარეობაში ხარ, ცოლ-შვილის პატრონი ხარ და ფიქრი გმართებს. ამთავით ყოლიფერს ადვილათ აიტან, მაგრამ ოდესმე ცხოვრება თავისას მოითხოვს და მზათ უნდა იყო. ქართული მწერლობა თუ რასმე დაგაკლებს, თორემ ვერას შეგძენს!... ქართველი უსამსახ-

უროდ ძნელი წარმოსადგენია! აი, ახლა კარგი შემთხვევა არის, ახალი რეფორმები შემოდის ჩვენში და შედი სამსახურში.

ამისთანები ბევრი რამ მირჩია მამაშვილურათ და, რომ აღარ დავეთანხმე. მითხრა: ნუ ჩქარობ! წადი, კარგათ მოიფიქრე და ამ სამ დღეში გადაჭრილი მითხარიო. მე მის საპასუხოდ ერთი ალეგორიული ზღაპარი დავწერე „სნეული და მკურნალი" და ის შევუტანე. წაიკითხა, ნაღვლიანათ გაიცინა და მითხრა: ჰო. ეს სულ სხვა არის. მე მეგონა, გამოუცდელობით, ცხოვრება არ იცოდი, შენ კი ფანატიკოსი ყოფილხარო! შენი ნებაა, მაგრე იტანტალე ჭირვეულათ, მაგრამ თუ ცხოვრებამ ოდესმე ეგ დღევანდელი აზრი გამოგაცვლევინოს, მოდი ისევ ჩემთან. ეს მითხრა, ჩამომართვა ხელი და გამომეთხოვა. იმ კვირაში ალექსანდრე ორბელიანის სასახლის მღვდელი მოვიდა ჩემთან და მითხრა: კნიაზმა გამომგზავნა, გთხოვთ, რომ ამ საღამოს იმასთან მიბრძანდეთ და მუხრან ბატონისათვის რომ რაღაცა წერილი წაგიკითხვინებიათ, ისიც თან მიიტანოთო. ავასრულე მათი სურვილი...

იგი კიბის თავთან მომეგება, ჩვეულებრივი სიყვარულით და ალერსით მიმიღო. გამომკითხა ყოვლიფერი, რაც მუხრანსკისთან ნათქვამი მქონდა. გამომართვა ხელნაწერი. გადაიკითხა და ცრემლები გადმოყარა: ღმერთმა ხელი მოგიმართოს, მაგრამ, ვაითუ, შვილო, ვერ აიტანო! მთელი საქართველოს ისტორია ერთი დაუსრულებელი ტანჯვაა, მაგრამ ამ პატარა ერთ ბოხჩა, ღვთიშობლის საუფლისწულოს ჯერ კიდევ გული არ გატეხია და ანდერძათ ესა აქვს: „ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა ვით ქვიტკირსაო". ნურც შენ გაიტეხ, შვილო, გულს, ნუ დაივიწყებ, რომ ქართველი ხარ... მე სიცილი დავიწყე და მოვახსენე: ისე მელაპარაკებით, თითქო ომში მივდიოდე-თქო...

— არა, შვილო! — განაგრძო თავის ქნევით, — ადვილი ნუ გგონია ცხოვრებასთან ბრძოლა! ომი ხანმოკლეა, ცხოვრება კი ხანგრძლივი".[1]

1889 წელს ქუთაისის საადგილმამულო ბანკის საზოგადოკრებამ აკაკის ერთხმად შეაქლია ბანკის დირექტორის თანამდებობა. პოეტმა კატეგორიული უარი განაცხადა იმ დროისათვის ამ ერთგვარად საპატიო თანამდებობის დაკავებაზე. კრებას მადლობა გადაუხადა და თავისი უარი შემდეგნაირად დაასაბუთა: „მე რომ დირექტორობა ვიკისრო, საკუთრად მე მოხელეობას უნდა დავუდგა გული და ეგ იქნება ჩემთვის ბორკილი, თუმცა ოქროს ბორკილი ჩემთვის პირადად სარგებელია, მაგრამ

---

1 „კვალი", 1896 წ., № 9, შდრ. აკაკი წერეთელი, ტ. 13, გვ. 233-234.

მაინც ბორკილია და იმ საქმეში ხელის შემშლელი, რომელსაც მე ამდენი ხანია ვემსახურები".

ამრიგად, მიუხედავად მწვავე მატერიალური სივიწროვისა და ცარიზმის მსახურთა, აგრეთვე გავლენიანი წრეებისა და მახლობელი ნათესავების მიერ მგოსნის შეურაცხყოფისა, ლანძღვა-ძაგებისა და დევნისა, პოეტი გმირულად იტანდა გაჭირვებას, გაბედულად, მამაცურად ებრძოდა მოზღვავებულ უბედურებას და აცხადებდა: „მე არ მიყვარს ქედის მოხრა გარემოებათა წინაშე და სულით არ ვეცემი; ტანჯვის ჭირვეულობაში არის ერთგვარი პრომეთესებური მიზანი სიამაყისაო! და მართლაც, დიდი მგოსანი მითიურ პრომეთე-ამირანივით იტანდა ყოველგვარ გაჭირვებას, ზღაპრული გმირობითა და უდიდესი სიამაყის გრძნობით შთაგონებული მიდიოდა წინ თავისი მაღალი მისიის განსახორციელებლად. ამ გარემოებას არაერთხელ გამოუწვევია როგორც ახლობლების, ისე მამის წყრომა. მეტიც შეიძლება ითქვას: როცა მტრები აკაკის ვერაფერს აკლებდნენ. ისინი როსტომ წერეთელს მიმართავდნენ საყვედურებით და ცდილობდნენ მამა შვილის წინააღმდეგ აემხედრებინათ. რათა, იქნებ გაეტეხათ იგი. იმ ხანებში პეტერბურგიდან დაბრუნებულ ერთ ქართველ სტუდენტს ჩამოუტანია ამბავი, ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლ ნესტორ წერეთელს პეტერბურგში უმაღლეს მთავრობასთან განუცხადებია, რომ „ქართველი ყმაწვილები სტუდენტობის დროს აქ ფუჭდებიან, რჯულზე ხელს იღებენ, ნათესაობა აღარა სწამთ, მთავრობის ორგული არიანო და სხვანი". ამ ცნობას პროგრესულ საზოგადოებაში დიდი აღშფოთება გამოუწვევია. თავისი უკმაყოფილება აკაკის გამოუხატავს სატირულ-ლექსში „გამოცანა", რომელიც იწყება ასე:

ანწლისაგან არ ივარგებს, რომ გაკეთდეს სტვირი,
ჩოჩრისაგან გაიზრდება მხოლოდ დიდი ვირი;
საპნითაც არ გათეთრდება კაცის შავი პირი!
გამოიცანთ, ვიზედ ვამბობ ამას და ვის ვსტირი?

ლექსი მთავრდება შემდეგი სტრიქონებით:

და ტროადელი გმირისა ვის ჰქვიან სახელი?
ენა გესლით ვის უყვარს და გულში უძევს გველი?
ახალგაზრდა ქართველების ვინ არს შურით მკვლელი?
ამის ახსნას გამოცნობით მკითხველისგან ველი!

აკაკის გადმოცემით, ამ ლექსს დიდი ალიაქოთი გამოუწვევია. როგორ გაბედა? ვის გაუბედაო? — გაიძახოდნენ პოეტის მტრები. საპასუხოდ გაიმართა ვითომდა შაირები, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ ლანძღვა-გინება იყო. „მაგინებდნენ უშვერად, არა მარტო მე!.. ჩემ ცოლ-შვილსაც და დედ-მამასაც კი, —

იგონებს პოეტი. — მამამ დიდის მწუხარებით მითხრა: „შვილო, რას მერჩოდი, რომ ქვეყანა გადამამტერე? მტრებს მიზეზი მიეცი და მოყვრები ჩამომაშორეო. აბა. ამაზე არის ნათქვამი: ავი შვილი დედ-მამის მაგინებელიაო“ და სხვანი... მიზეზი რომ ავუხსენი, არ დაიჯერა: „რა ქვეყანაშიც ხარ, იმ ქვეყნის ქუდი უნდა გესუროსო“. ჩვენ ერთმანეთს ვერ დავეთანხმენით და დიდხანსაც მყავდა მამა გამწყრალი. მხოლოდ ღრმა მოხუცებულობაში რომ შევიდა, მაშინ შემირიგდა“.

თავადაზნაურობამ მკაცრად გაილაშქრა აკაკის წინააღმდეგ. ბრძოლაში ჩაება გენერალი გრიგოლ დადიანიც, რომელმაც „მეგრელის“ ფსევდონიმით (ჩვეულებრივ კი გრ. დადიანი „კოლსიდელის“ ფსევდონიმით წერდა) ჟურნალ „ცისკარში“ მოათავსა ლექსი „გამოცანის მწერალს“, რომელშიც უკადრისად იხსენიებდა პოეტს. ამ შემთხვევის შესახებ აკაკი მოგვითხრობს: „იმ ხანებში „ცისკრის“ რედაქციაში შევედი. რედაქტორი აღელვებული დამხვდა და მითხრა: ეს-ეს არის შენზე ლანძღვის ლექსი მივიღე, მაგრამ ვაი დაბეჭდვასა და ვაი დაუბეჭდაობას!.. თუ დავბეჭდე, შენ გეწყინება, და თუ არა, თანამშრომელს დავკარგავ! და მერე ვის? უგანათლებულესს, სვიტის ღენერალს გრიგოლ დადიანს, რომელიც კოლხიდელის სახელით თანამშრომლობს, რადგანაც თავისი ვინაობის გამომჟღავნების ეშინიაო!.. მე სიცილი ამიტყდა და ვუთხარი: დაბეჭდე, მაგრამ იმ პირობით კი. რომ იქვე ჩემი ლექსიც საპასუხოდ მიუბეჭდე-მეთქი. მაშინვე დავწერე საპასუხო ლექსი და გადავეცი“.

აკაკიმ გრიგოლ დადიანს საპასუხოდ დაუწერა სატირა, რომლის უკანასკნელი სტრიქონები ასეთია: „ჭეშმარიტების მტერია, სჩანს, ყურგრძელის არს ამყოლი,

და შუბლზედაც აწერია

სხვილ ასოთი: დიდი ნოლი“.

ცნობილი ფეოდალისა და დიდი ჩინოსნის ამგვარმა გაბიაბრუებამ კიდევ უფრო შეაშფოთა რეაქციონერი თავადაზნაურები, მათ კვლავ გამწარებით შეუტიეს „მწარე ენიან“ პოეტს. აკაკი მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენეს: დააბეზღეს მთავრობასთან, სასტიკად დევნიდნენ და სიცოცხლე გაუმწარეს. უფრო ადრე აკაკი წერეთელს „იავ-ნანას“ დაწერის ნიადაგზე მწვავე შეტაკება მოსვლია როგორც რეაქციულ წრეებთან, ისე საკუთარ ოჯახთან. პოეტი მოგვითხრობს: „ამ ალიაქოთს დაერთო „იავ-ნანა“. მაშინ კი აუტანელი შეიქმნა ჩემი ცხოვრება: ჩამოვშორდი დედ-მამას, ოჯახს, ცოლ-შვილი სოფელში გავისტუმრე და მე გავკერპდი, ავიღე საპირადო ცხოვრებაზედ ხელი, განზე გადავდევი ყოველიფერი და აშკარად შევუდექი ჩემ გზას, რაც

დამემართოს, დამემართოს-მეთქი, და მის შემდეგ, ორჯელ-სამჯერ სიკვდილს გადარჩენილს მოთმინება ფარად მქონდა და თითონ კი უშიშრად ვუყეფდი ყოველგვარ ცუდ მოვლენებს ჩვენში".

ყოველმხრივ შევიწროებული და ოჯახისაგანაც განაპირებული პოეტი საშინელ სიღარიბეში ჩავარდა. ცნობილი ქართველი მწიგნობრის ზაქარია ჭიჭინაძის გადმოცემით, „აკაკის ცხოვრება ბევრჯერ უკიდურეს წერტილამდისაც მისულა... ხშირად ისეთი გაჭირვება ჰქონდა, რის მეოხებით იგი მჟავე კიტრით, ხაშით და ცხვრის თავით იკვებებოდა, ისიც ერთს დღეს და ერთ კვირას კი არა, არამედ მთელ თვეებს; იგი იყო ისეთ მდგომარეობაში და ისეთი ავადმყოფიც, რომ წამლის და ექიმის ფულიც არ ებადა".

მიუხედავად ამგვარი პირობებისა, აკაკი წერეთელი ყოველთვის უშიშრად ებრძოდა უსამართლობას. ღრმა ოპტიმიზმით ანთებული პოეტი თავგამოდებით ებრძოდა ბატონყმურ მონობას, მონარქიულ წყობილებას, ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას. „შეუპოვრად და გაბედვით, — ამბობს პოეტი, — მივდიოდი ჩემი გზით მომავლის მოლოდინში... ვიბრძოდი და არც ერთი მოვლინება არ ყოფილა ჩვენში, რო მეც ჩემებური მონაწილეობა არ მიმეღოს... პირადობაზე ხელაღებული ვიყავი, საპირადო არავისთან მქონია რა, მხოლოდ საზოგადო მახალისებდა, და მივდიოდი ჩემი გზით. რაც კი რამ გასაკეთებელი შემხვდებოდა, თუ კი მოვახერხებდი, გინდ დიდი ყოფილიყოს და გინდ პატარა, ჩავკიდებდი ხოლმე ხელს; ეს გაურჩევლობა მე ისე გამიტაცებდა ხოლმე, რომ არც მტერ-მოყვარეობა და არც სისხლ-ხორცობა აღარ ვიცოდი. ერთმა ჭკვიანმა კაცმა მითხრა მაშინ: „სწორედ რომ ახირებული კაცი ხარ: შენიან-სხვისიანობა არ იცი. შენიანს არ არჩევ შენის მწარის ენით და სხვისიანს უდგები?.. რომ ვისმეს უნდოდეს შენთან დაახლოვება და დამოყვრება, ვერ ახერხებსო". ეს მართალი მითხრა, მაგრამ არც მე მიპასუხნია ტყუილი: „ეგ ყველა მართალია, მაგრამ საზოგადო საქმეში მე არ მესმის მტერმოყვარეობა!.. მე ჩემი გზით მივდივარ; ვინც გვერდით ამომიდგება, გინდა მტერი იყოს, გინდ მოყვარე, ჩემიანად მიმაჩნია და, ვინც წინ მეღობება, მტრად-მეთქი".

და მართლაც, აკაკი წერეთელი ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობასთან ერთად უდიდეს საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და კულტურულ მოღვაწეობას ეწეოდა. არ დარჩენილა ჩვენში იმ დროის არც ერთი ღირსშესანიშნავი სახალხო საქმე, რომელსაც პოეტი არ გამოხმაურებოდეს და მასში თავისი მნიშვნელოვანი წვლილი არ შეეტანოს სიტყვითა თუ საქმით.

• • •

აკაკი წერეთლის მრავალფეროვან თემატიკაში ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოტივთან ერთად, სოციალურ პრობლემას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია. პოეტი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა პოლიტიკური და მწვავე სოციალური პრობლემების გადაწყვეტას. როგორც აღნიშნული იყო, ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან ხალხის განთავისუფლება აკაკის შეუძლებლად მიაჩნდა ბატონყმური მონობის მოსპობისა და თვითმპყრობელურ-მემამულური წყობილების დაუმხობლად. პოეტის შემოქმედებიდან ნათლად ჩანს, რომ იგი აღიარებდა ეპოქის იმ მოწინავე შეხედულებას, რომ ყოველგვარი ბოროტების საფუძველს ფეოდალური ურთიერთობა და ცარიზმი წარმოადგენდა. ამიტომ აკაკი თავგამოდებით იბრძოდა ბატონყმობისა და ცარიზმის წინააღმდეგ, დაუნდობლად კიცხავდა თვითმპყრობელობას, მეფის მოხელეებს, გაბედულად გმობდა ფეოდალურ სისტემას, და განსაკუთრებული სიყვარულით უმღეროდა საყვარელ სამშობლოს, დაუღალავად იბრძოდა მისი კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის და შეუპოვრად ესარჩლებოდა ჩაგრულ გლეხობას. აკაკი წერეთლის მხატვრული სიტყვა ხალხში აღვივებდა რევოლუციური ბრძოლის მისწრაფებას, ხელს უწყობდა მშრომელთა დარაზმულობას ბატონყმობისა და მეფის თვითმპყრობელური ტირანიის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის. აკაკის პოლიტიკური ლირიკის საუკეთესო შედევრები სწრაფად ვრცელდებოდა საზოგადოებაში, მას ხალხი აღფრთოვანებით კითხულობდა, იზეპირებდა, მღეროდა. მისი შესანიშნავი ლექსები, პოემები და მოთხრობები ხალხში ნერგავდა კეთილი მომავლის მტკიცე რწმენას, ღრმა ოპტიმიზმს და შეგნებას იმდროინდელი წყობილების დამხობისა და ეროვნული ჩაგვრის მოსპობის შესახებ. აკაკი წერეთელი, ისე, როგორც რუსეთის დიდი რევოლუციონერ-დემოკრატები, მთელი თავისი შემოქმედებითა და პრაქტიკული მოღვაწეობით ხალხს მოუწოდებდა რევოლუციური ბრძოლისაკენ, პატრიოტული გმირობისაკენ. ეს მოძრაობა ბუნებრივად უკავშირდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას, ხოლო ეს უკანასკნელი კი წარმოადგენდა სოციალური ჩაგვრისაგან მშრომელთა თავისუფლებისათვის წარმოებული გრანდიოზული ბრძოლების შემადგენელ ნაწილს, უდიდესი მოძრაობის ერთიანი ჯაჭვის მნიშვნელოვან რგოლს. აკაკიმ კარგად იცოდა, რომ ბატონყმობის, მისი ნაშთების მოსპობისა და ცარიზმის დასამხობლად მოწოდებული რევოლუციური ბრძოლა წარმოადგენდა ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად

გაშლილი ბრძოლის საფუძველს, ხოლო ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება, ეროვნული თვითშეგნების გაღვივება და ნაციონალური ჩაგვრის მოსასპობად წარმოებული ბრძოლები, თავის მხრივ ხელს უწყობდა ხალხის სოციალური ჩაგვრისაგან განთავისუფლების დიდ ისტორიულ საქმეს. ამით აიხსნება, რომ აკაკი წერეთლის შემოქმედებაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი პრობლემა უშუალოდ დაკავშირებულია ხალხის სოციალური ჩაგვრისაგან განთავისუფლების იდეასთან. ეს იდეური მიმართულება შეადგენს, როგორც ითქვა, და, როგორც ეს არა ერთ სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, აკაკის შემოქმედების სპეციფიკას, ადრინდელი ქართული და რუსული ლიტერატურისაგან გარკვევით განსხვავებულ თავისებურებას.

პოეტს ღრმად სწამდა, რომ ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ისტორიულ პერიოდში, ქართველი ხალხის კოლონიური ჩაგვრის პირობებში ხალხის კეთილშობილური პატრიოტული გრძნობები თავის აშკარა გამოხატულებას პოულობდა ბატონყმური ჩაგვრისა და ცარიზმის სასტიკ სიძულვილში, ფეოდალიზმისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლის გაჩაღებაში, ეროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად გაშლილ გმირულ ბრძოლებში. ამიტომ პოეტი რევოლუციურ-დემოკრატიული პოზიციებიდან გაბედულად ებრძოდა კოლონიურ ჩაგვრას, ფეოდალურ მონობასა და თვითმპყრობელობას.

„XIX საუკუნის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის და მისი მეშვეობით იმდროინდელი მსოფლიო რევოლუციური პროცესის შემადგენელი ნაწილი იყო...“[1] „რამეთუ, — წერდა ნ. ნიკოლაძე, — ბოროტების ძირი (ცარიზმი, ბატონყმობა პ. კ.) არის არა მარტო ქართული, არამედ საკაცობრიო. საქართველოში ამჟამად იგივე ბრძოლა სწარმოებს, რომელსაც რუსეთის, ევროპის და, თამამად შეიძლება ითქვას, მთელი მსოფლიოს ძალღონე ხმარდება: ეს არის მშრომელთა ბრძოლა... მშრომელ-ღატაკთა სოციალური ბრძოლა მუქთახორა სიმდიდრის წინააღმდეგ“[2].

აკაკი წერეთელს სწამდა ხალხის ძალა, მისი მომავალი და

---

1 საქართველოს ისტორიის ნარკვევები რვა ტომად, ტ. V, ირაკლი ანთელავას რედაქტორობით, 1970 წ. გვ. 470. შდრ.: ნ. ნიკოლაძე, თხზ. ტ. 1. დ. გამეზარდაშვილის რედაქციით. 1962, ტ. 1. გვ. 259, 265.

2 ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 1, დ. გამეზარდაშვილის რედაქციით, 1962 წ.. გვ. 259.

შრომელი ხალხის მიერ გაშლილი განმათავისუფლებელი ბრძოლების აუცილებელი გამარჯვება. იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ხალხი საბოლოოდ მაინც გადაიგდებდა ჩაგვრის ბორკილებს. უნდა აღინიშნოს, რომ აკაკის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებები ხასიათდება გარკვეული რადიკალური სულისკვეთებით. პოეტი ამ მხრივ, როგორც აღვნიშნეთ, მდიდარი პროგრესული ქართული ლიტერატურის ტრადიციების გამოყენებასთან ერთად, დავალებულია რუსეთის რევოლუციური-დემოკრატიისა და დასავლეთ ევროპის ეროვნული და სოციალური რევოლუციური ბრძოლებისაგან. მეცხრამეტე საუკუნის დიდი მოაზროვნე ნიკო ნიკოლაძე აღნიშნავდა: XIX საუკუნის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობისა და მისი მეშვეობით იმდროინდელი მსოფლიო რევოლუციური პროცესის შემადგენელი ნაწილი იყო[1]. აკაკის მთელი შემოქმედება შთაგონებულია მოწინავე რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეებით, რევოლუციური ბრძოლის ძლიერი პათოსით, პირდაპირობით, კეთილშობილური პატრიოტული გმირობით, მშრომელთა ღრმა სიყვარულით, მჩაგვრელთა სასტიკი სიძულვილით, სალხის ბრძოლისუნარიანობის დიდი რწმენით, იშვიათი პრინციპულობითა და პირდაპირობით, ხალხის მტრებისადმი დაუნდობელი კრიტიკით. მის შემოქმედებას ახასიათებს ღრმა მხატვრული უშუალობით, ხალხურობა, წარმტაცი ფორმა, სისადავე და სახეთა უბადლო გამჭვირვალება.

* * *

ბატონყმური მონობა და ცარიზმის მიერ მშრომელთა სასტიკი ჩაგვრა ადრიდანვე იქცევდა აკაკის ყურადღებას. ამის ერთერთი საფუძველი ის გარემოებაც იყო, რომ პოეტი გლეხის ოჯახში იზრდებოდა. მას ყმა-გლეხის შვილებთან ერთად საშუალება ჰქონდა გარკვეული შთაბეჭდილება მიეღო ხალხის მძიმე ცხოვრების შესახებ. პოეტი ბავშვობიდანვე ხედავდა, რომ გლეხი ბატონის ხელში იტანჯებოდა; პატარა აკაკის მეხსიერებაში აღიბეჭდა გლეხთა საშინელი სიღარიბე, უუფლებობა და მონობა, მშრომელი ხალხის ცხოვრება ისლით და ჩალით გადახურულ, უფანჯრო, ბნელ, ნოტიო ქოხებში პირუტყვთან ერთად; რომ გლეხს სასტიკად აწიოკებდნენ ბატონები, მთავრობის მოხელეები, მოურავები, და სხვ. იგი ხედავდა, რომ გლეხის ჩვეულებრივი ხვედრი იყო შიმშილი, სიტიტვლე, საშინელი სიღატაკე, არაა-

1 ნ. ნიკოლაძე, დას. ნიგნი, ტ. I, გვ. 259, 265, შდრ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, გვ. 470.

დამიანური დამცირება, აბუჩად აგდება და არნახული ტანჯვა.

გლეხთა ცხოვრების შესახებ ბავშვობიდანვე მიღებულ ამგვარ შთაბეჭდილებებს გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა პოეტის სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებათა ჩამოყალიბებისათვის.

ცნობილია, რომ დიდი რევოლუციონერი დემოკრატი ნ. ჩერნიშევსკი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა იმ გარემოებას, რომ მან ბავშვობიდანვე გაიცნო ხალხის ცხოვრება. იგი წერდა: «У меня есть своя теория, которая одним из своих оснований имеет и мое личное знакомство с обыденною жизнью массы, — а значительная доля этого знакомства приобретена мною еще в детстве».

აკაკი წერეთელი, როგორც აღვნიშნეთ, ბავშვობიდანვე იცნობდა მშრომელი ხალხის დაბეჩავებულ ცხოვრებას, გლეხთა წრეში ჩაესახა პოეტს ღარიბი ხალხის სიყვარული, აქვე იკვებებოდა მისი ნორჩი ფანტაზია მდიდარი ქართული ზეპირსიტყვიერების ჯანსაღი სულისკვეთებით. ცნობილია, რომ პატარა აკაკის არ იტაცებდა მისი მშობლების ფეოდალური ოჯახი და გული სულ გლეხის ბავშვებისაკენ მიუწევდა. ეს გარემოება ფრიად საგულისხმოა, რადგან პოეტმა შემდეგში ეს განწყობილება. როგორც ითქვა, გარკვევით გამოხატა „ჩემ თავგადასავალში", სადაც მკაცრად ამხილა ბატონყმური წყობილების სისაძაგლე და ჩამორჩენილობა. ჩაგრული ხალხის სიყვარული და მჩაგვრელთა სიძულვილი აკაკის კიდევ უფრო გაუძლიერდა გიმნაზიაში სწავლის პერიოდში.

აკაკი, ისე, როგორც ნ. ჩერნიშევსკი და სამოციანი წლების სხვა რევოლუციონერ-დემოკრატები, სასტიკი მტრობით იყო გამსჭვალული ბატონყმობისა და თვითმპყრობელური წყობილებისადმი და გამოდიოდა ხალხის, უმთავრესად გლეხთა, ინტერესების დამცველად. ამის შესახებ შემდეგში ხანდაზმული პოეტი წერდა:

სიმად ავიღე კალამი,
ჩანგით მივმართე წერასა
და შევუერთე ჩემი სვეც
გლეხების ბედისწერასა
(„მოხუცის გრძნობა").

1898 წელს აკაკი აღნიშნავდა: საჭირო იყო, რომ ამ უსამართლობას (ბატონყმობას-პ. კ.) მალე ბოლო მოღებოდა და მიტომაც მესამოცე წლების მწერლებმა მასზე იერიში მიიტანესო[1]. აკა-

[1] „აკაკის თეორი კრებული", 1898, XII, გვ. 45. შდრ. აკაკი წერეთელი, თხზ., სრული კრებული, ტ. 13, გვ. 413.

კის გადმოცემით, ქართველ სამოციანელებს სურდათ „ჩაგრულებისათვის თვალი აეხილათ", ხოლო მჩაგვრელთა უსამართლობა მკაცრად ემხილათ[1].

სამშობლოში დაბრუნებული პოეტი კვლავ უფრო მეტად და გაბედულად აკრიტიკებდა მემამულურ ექსპლოატაციას, დაუნდობლად ამხელდა მეფის მთავრობის უსამართლობას, მის ვერაგობასა და ძალადობას. მისი შემოქმედება შთაგონებული იყო ბატონყმობისა და ცარიზმის დამხობისა და ეროვნული ჩაგვრის მოსპობის იდეით. ამის შესახებ პოეტი შემდეგში წერდა: „შვების სადგურისაკენ" ცხოვრების გზა შეძლებისდაგვარად მიგვყავდა, რომ ჩვენ მოძმეებს გავლა გაადვილებოდათ. ვტკეპნიდით ეკლიან გზას; მის კეთებაში ოფლთან ერთად სისხლის ცრემლებიც ბევრჯერ დაგვიღვრიაო, და აცხადებდა: „რა იქნება ბატონყმობაზე უსაძაგლესი და უუსამართლოესი, სადაც ერთი მხრით უსამართლო უფლება და ძლიერებაა და მეორე მხრით კი დაჩაგრული სისუსტე და მონობა" (XII, 91).

აკაკიმ იშვიათი სიღრმით, შეუდარებელი უშუალობით და მხატვრული ოსტატობით ასახა ყმა-გლეხის ტანჯული, დაბეჩავებული, უუფლებო და აუტანელი ცხოვრება. ცნობილ ლექსში „მუშური" პოეტმა დახატა ბატონყმური ჩაგვრის კაბალაში მოქცეული გლეხის მძიმე მდგომარეობა, მისი სასტიკი ექსპლოატაციისა და არაადამიანური ჩაგვრის სურათი.

ლექსის პირველსავე სტროფში ხაზგასმულია, რომ ყმა-გლეხი ბატონის ხელში უბედური, ტანჯული და დაჩაგრულია:

სიმინდსა თოხნა დავუწყოთ,
ერთხმად დავძახოთ მუშური;
ეგებ მაშინ დაგვავიწყდეს,
რომ გლეხნი ვართ უბედური...
ბატონი გვყავს, ვართ საწყალი,
უპატრონო, უბედური.

ასე აცხადებდნენ გლეხები. აღსანიშნავია, რომ ამ ლექსით აკაკი წერეთელმა რევოლუციური სიტუაციის პერიოდში, ბატონყმობის წინააღმდეგ დაძაბული კლასობრივი ბრძოლის ეპოქაში, გამოხატა თავისი რევოლუციურ-დემოკრატიული მისწრაფებები და ამხილა ფეოდალურ-მემამულური ექსპლოატაციისა და თვითმპყრობელური წყობის ველური ხასიათი. პოეტის დახასიათებით, ყმები კანონგარეშე იყვნენ გამოცხადებულნი და სასტიკად იჩაგრებოდნენ გულქვა მებატონეებისა და ცარიზმისაგან. მათ ყველა

---

1 „აკაკის თვიური კრებული", 1898, XII, გვ. 45. შდრ. აკაკი წერეთელი, თხზ. სრული კრებული, ტ. 13, გვ. 413.

ჩაგრავდა, აბუჩად იგდებდა, უსაზღვრო ტანჯვას აყენებდა; გლეხს უმოწყალოდ სცემდნენ, დასცინოდნენ, აწიოკებდნენ, როგორც მეფის მოხელეები, ისე მემამულეები და მათი ოჯახის წევრები. ბატონყმური წყობილებით ტანჯული და დევნილი ყმა-გლეხები მწუხარებით აცხადებდნენ:

ყველა თავში გვიჩაჩქუნებს,
გარეშე და შინაური,
ცხელსა მიწას უხვად ალბობს
ოფლი, ჩვენგან მონანური...
ღმერთს ბატონად მოუცია
ჩვენთვის ერთი აზნაური
მისთვის სუყველა ჩვენა ვართ
მებეგრეცა და მსახური!
მისგან ტანჯვას რომ მოვრჩებით,
მაშინ გეტანჯავს მისი ფური!..
(„მუშური“)

პოეტმა ამ ლექსში მიუთითა, რომ ბატონყმური სისტემა აგებულია მებატონეთა მიერ ყმების ველურ ექსპლოატაციაზე, გაბატონებული კლასის უმკაცრეს ძალადობაზე. ყმა-გლეხი უმძიმეს შრომას ეწევა, მიწას ალბობს ცხელი ოფლით, მისი შრომის ნაყოფს კი ბატონი იტაცებს, მშრომელს ცოლ-შვილი შიმშილით უკვდება. ამიტომ ყმის ოჯახში ისადგურებს სიღატაკე, შიმშილი და აუტანელი ტანჯვა. ამგვარი უსამართლობითა და ძალმომრეობით განაწამები გლეხი ჩივის:

ჩვენი ჯაფით მონაყვანი,
სხვასთან მიდის საზრდო პური,
შინ ცოლ-შვილს შიმშილი გვიკლავს,
მაგრამ ვინ მიუგდოს ყური
შათსა საზრდოს სხვა იტაცებს,
სტირის ცოლი მეძუძური,
შიმშილისგან რძე უშრება,
წივის შვილი უსუსური („მუშური“)

აღნიშნულ ლექსში პოეტმა, ბატონყმობის კრიტიკასთან ერთად, მკვეთრად ამხილა თვითმპყრობელობისა და მისი მოხელეების უსამართლობა, ვერაგობა და მექრთამეობა. აკაკი მიუთითებდა, რომ გლეხებს ტანჯავდნენ როგორც მებატონეები, ისე ცარიზმი და მისი უბადრუკი მოხელეები. მეფის მოხელეებისაგან აწიოკებული გლეხი აცხადებს:

სულ მათ მიაქვთ რაც რომა გვაქვს:
ქათამი, თხა, ძროხა, ცხვარი,
ჩვენ ყოველდღე ტანჯვას ველით!..
გლეხებს რა გვაქვს გასახარი?

სამართალს კოლოფში სძინავს,
ის არს ფულის მეგობარი
არ იღვიძებს, თუ უფულოდ
მასთან მივიდა სტუმარი!

თვითმპყრობელობის საზიზღარი სახის მხილებას იმ დროს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ცნობილია, რომ ლიბერალები იმ პერიოდში აშკარად გამოდიოდნენ ცარიზმის დამცველად და ქადაგებდნენ თვითმპყრობელობის ზეკლასობრიობას, „სოლიდარული პროგრესის" თეორიას, რითაც ცდილობდნენ მიეჩქმალათ, მოედუნებინათ და დაესუსტებინათ მშრომელი ხალხის რევოლუციური მოძრაობა, აგრეთვე გაებრიყვებინათ და მოეტყუებიათ გლეხები.

ლექსში „გლეხის აღსარება" პოეტმა გახაზა ფეოდალური ურთიერთობის პირობებში ყმების არაადამიანური ჩაგვრისა და პირუტყვივით დამონების მწვავე მდგომარეობა. ულმობელი ტანჯვით განაწამები გლეხი მოძალადე ბატონს ეუბნება:

ოხ, დარდების ამშლელო, ჩემი გულის ხაზი ხარ!..
თავდახრილი მიტომ ვარ, რომ კისერზე მაზიხარ..
რომ იცი, რაღად მკითხავ: ასე რისთვის ვღონდები,
მისთვის, ჩემო ბატონო, რომ სულ შენ მაგონდები!
პირუტყვივით მიმონებ, მფლობ და არ გეცოდები;
მაგრამ ჩემო წამწყმედო აქ, იქ შენ ვერ ცხონდები!

ამ ლექსში პოეტმა მწვავედ ამხილა ბატონყმობა, აჩვენა მისი სისაძაგლე და გამოხატა გამოღვიძებული გლეხის პროტესტი ჩაგვრის წინააღმდეგ. აკაკი ამხელს მებატონის ვერაგ სახეს, მის მიერ ადამიანის სასტიკ ექსპლოატაციას, ძალმომრეობას და შეუბრალებლობას: პირუტყვივით მიმონებ, მფლობ და არ გეცოდები, ძლიერმა სუსტი მნახე დაჩაგვრა შეიძელიო — ეუბნება გლეხი ბატონს.

საყურადღებოა, რომ აკაკი აქ წარმოგვიდგენს ისეთ ყმას, რომელსაც არ ახასიათებს „პოლიტიკური ინდიფერენტიზმი", პირიქით, იგი გამოხატავს პროტესტს არსებული სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. მაგრამ, ამასთანავე,ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმ პერიოდის გლეხს ჯერ კიდევ არ აქვს წარმოდგენა მონობისაგან განთავისუფლების გზებზე. მას ჰგონია, რომ რეფორმები შეარიგებს, დააძმობილებს ყმასა და ბატონს, თუმცა, იგი ხედავს, რომ მათ შორის კლასობრივი შუღლი გამწვავებულია და მებატონე თვლის რა თავს მაღალ წოდებად, ყმას ეუბნება: შენ ვინ ხარ, ვისი ტიკიტომარაო. იგი ყმას დაბალ წოდებად, შავსისხლიანად თვლის. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აკაკის მიერ დახატული გლეხი საქვეყნო საქმეებითაცაა დაინტერესებული. ბატონყმობის გაუქმების მოლოდინში მას ქვეყნისადმი

სამსახურიც აინტერესებს და ფიქრობს, სამშობლოს ინტერესები მოითხოვს ფეოდალური ურთიერთობის მოსპობის შემდეგ, წოდებათა შორის ძმობას, რათა შეერთებული ძალით გაუმკლავდნენ სამშობლოს მტრებს. და თუ ძმობა არ დამყარდა, მაშინ ქვეყნის მტერი გაიმარჯვებს: ერთმანეთის მტერს ველარც მამული გვიმსახურებს და ახალს დროს დაგვასმენს, შვილიშვილი მოგვამდურებსო — ეუბნება გლეხი თავადს. ამგვარი შეხედულება, ცხადია, გულუბრყვილობა და შეცდომაა. გამოღვიძებული ყმა-გლეხი ეძებს გამოსავალს, მაგრამ საქართველოში ბატონყმობის მძვინვარების გამო, იგი ჯერ არ არის ამაღლებული საჭირო პოლიტიკურ გაგებამდე, და ეს მდგომარეობა ასახულია აღნიშნულ ლექსში. ამ ლექსით აკაკიმ მძაფრად ამხილა ბატონყმური წყობილების სისაძაგლე.

ლექსში „გლეხის აღსარება“ მწვავე პროტესტია გამოხატული ბატონყმური ჩაგვრის წინააღმდეგ. ეს ლექსი „ცისკარში“ დამახინჯებული სახით დაიბეჭდა. მისი გამოქვეყნების გამო ქართველი თავადაზნაურობა ისე ამხედრებულა ავტორის წინააღმდეგ, რომ კინაღამ მოუკლავთ ახალგაზრდა პოეტი. ამის შესახებ აკაკი გადმოგვცემს: ამ ლექსმა, რომელიც ბატონყმობის გადავარდნამდეა დაწერილი, ძალიან უსიამოვნება გამოიწვია თავადებში და ბევრი მტერიც შემძინა. ერთმა მათგანმა, თავადმა მიქელაძემ, სასიკვდილოდ შემომიტია და ალალბედზე გადამარჩინესო.

აკაკი წერეთლის შემოქმედებაში გამოხატულია ყმების სრული განთავისუფლების იდეა. რევოლუციური სიტუაციის პერიოდში, როდესაც განაწამები გლეხობა ლამობდა ბატონყმური მონობის მოსპობას და ამ მიზნით აწარმოებდა თავგანწირულ ბრძოლას, ლიბერალები ბატონყმობის გაუქმების საკითხში იცავდნენ რეფორმის და არა რევოლუციური ბრძოლის გზას. რევოლუციური-დემოკრატები კი მოითხოვდნენ ყმების განთავისუფლებას მიწებით, ყოველგვარი გამოსყიდვის გარეშე. ისინი აღიარებდნენ გლეხთა განთავისუფლებას რევოლუციის საშუალებით.

როგორც ვიცით, ჩერნიშევსკი და დობროლუბოვი წინააღმდეგი იყვნენ გლეხთა იმგვარი განთავისუფლებისა, რომელსაც თვითმპყრობელობა და მემამულეები ატარებდნენ. მათ კარგად იცოდნენ, რომ მეფე და მემამულეები ყმას არ გაათავისუფლებდნენ, ისინი მხოლოდ სისაძაგლეს ჩაიდენდნენ, გლეხებს მოატყუებდნენ და განთავისუფლების ნაცვლად ისევ მემამულური ჩაგვრის მონობაში დატოვებდნენ მათ. ეს კარგად იცოდა ჩერ-

ნიშევსკიმ „და ის პროტესტს აცხადებდა, სწყევლიდა რეფორმას, მარცხს უსურვებდა მას“[1].

თვითმპყრობელობამ და მებატონეებმა გატარებული რეფორმით გააუარესეს გლეხების მდგომარეობა. მათ უსინდისოდ გაძარცვეს და გააჩანაგეს მათი მეურნეობა. „რეფორმის“ შემდეგ გლეხი კვლავ დაბალ წოდებად დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ მას აუარებელი გადასახადი შეაწერეს, დიდძალი საფასი გამოართვეს თავისივე მიწის გამოსასყიდლად, გლეხი მაინც დამონებულ და დაბეჩავებულ მდგომარეობაში დატოვეს. ვ. ი. ლენინის დახასიათებით რეფორმის შემდეგ „გლეხის ცხოვრება დაქვეითთა მათხოვრულ დონემდე: ის პირუტყვთან ერთად ცხოვრობდა, ძონძები ეცვა, ბალახ-ბულახით იკვებებოდა; გლეხი გარბოდა თავისი ნადელიდან, რა წამსაც კი დაინახავდა გასაქცევ ადგილს... გლეხები ქრონიკულად შიმშილობდნენ და მრავალი ათეული ათასობით იხოცებოდნენ შიმშილისა და ეპიდემიისაგან“[2]. რუსეთის რევოლუციონერ-დემოკრატთა მსგავსად, აკაკი წერეთელს არ აკმაყოფილებდა „რეფორმები“. „რეფორმებისადმი“ აკაკის ამგვარი დამოკიდებულება ნათლად ირკვევა პოეტის იმ წინასიტყვაობითაც, რომელიც მან წარუმძღვარა გიორგი ერისთავის თხზულებათა მეორე გამოცემას. საყურადღებოა, რომ აკაკიმ მოიწონა დიდი ქართველი დრამატურგის უარყოფითი დამოკიდებულება 1861 წლის ცნობილი აქტის მიმართ. „უკანასკნელ დროს, — წერდა აკაკი, — ბატონყმობის გაყრაზედ მოსწრაფებულმა ხმებმა სადღესასწაულოდ გამოიხმო ახალგაზრდობა და ყველა მოწინავე პირები, მაგრამ თ. გ. ერისთავი კი თითქოს მონაწილეობას არ იღებდა ამ სიხარულში, როგორლაც დაღონებული იყო და ეს, ცოტა არ იყოს რომ გასაკვირველათ მიიჩნიეს ზოგიერთებმა. მაგრამ ნამდვილი მიზეზი კი სულ სხვა იყო: პოეტს უნდოდა ენახა ბატონ-ყმობის გაყრა, ისე რომ შემდეგისათვის საჭირბოროტო და საჩხიკინო აღარა დარჩენილიყო რა, და რადგანაც წინა ნიშნები სულ სხვას უქადდნენ, ის თავისებურის სიცილით ნაღვლიანად ამბობდა ხოლმე: „ეს ფონი კარგია, მაგრამ ერთ ადგილას კი აღრჩობსო“ და ეს ნაღველი საფლავში თან ჩაიტანა ორი თვის წინეთ გლეხების განთავისუფლებამდე“. „რეფორმების“ მიმართ გიორგი ერისთავის ამ შეხედულებების წინ წამოწევით

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 332.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 12, გვ. 520.

აკაკი წერეთელმა გარკვევით აღნიშნა „რეფორმებისადმი" საერთოდ, იმთავითვე აღბეჭდილი თავისი უარყოფითი დამოკიდებულება. პოეტი პროტესტს აცხადებდა ბატონყმური რეფორმების წინააღმდეგ, რადგან ხედავდა, რომ მისი გატარება კიდევ უფრო აუარესებდა გლეხის მდგომარეობას საერთოდ, და მით უფრო საქართველოში, სადაც „რეფორმები" კიდევ უფრო უარეს პირობებში ტარდებოდა, ვიდრე რუსეთში და თანაც ეროვნული ჩაგვრის გაძლიერების მწვავე ვითარებაში.

თვითმპყრობელობისა და მემამულეების მიერ საქართველოში გატარებული რეფორმების ბატონყმური ხასიათი ამხილა ცნობილმა ქართველმა მოაზროვნემ ნიკო ნიკოლაძემ. გერცენის „კოლოკოლში" დაბეჭდილ წერილში ნ. ნიკოლაძე წერდა: „ახალ, „კანონმდებლობათა" სიმძიმე გასრესს მოსახლეობის მთელ მასებს... გლეხთა ყოფა-ცხოვრების ახალ წყობას მომავლისათვის უდიდესი არაპირდაპირი სარგებლობა მოაქვს, მაგრამ აწმყოს კი ანადგურებს და ფეხით სთელავს"[1]. ამ კანონმდებლობაშიო აღნიშნავდა ნ. ნიკოლაძე, — მთავრობამ გაატარა აბსურდამდე მიყვანილი საკუთარი თავდაცვის იდეა"[2].

როგორც ვიცით, საქართველოში საგლეხო „რეფორმები" დაგვიანებით გატარდა. ბატონყმური ჩაგვრისაგან განთავისუფლება კი ქართველი ხალხის დიდი ხნის ოცნება გახლდათ. ეს მისწრაფება, ისე, როგორც იმპერიის ყველა მხარეში, საქართველოშიც განსაკუთრებით გაძლიერდა ყირიმის ომის პერიოდიდან. ამ დროს მოძრაობაში მოვიდა და ამოქმედდა „ქართველი საზოგადოების ყოველი ელემენტი" და ბატონყმობის მოსპობის საკითხმა „პოლიტიკური ბალანსის ხასიათი მიიღო"[3]. გლეხთა საკითხის გადაჭრით დაინტერესდა მშრომელი მასები და საზოგადოების პროგრესული ნაწილი, პირველ რიგში სამოციანელთა სახელოვანი პლეადა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, გ. წერეთლის, კ. ლორთქიფანიძისა და სხვათა სახით, რომლებმაც პოლიტიკური წრთობა პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში მიიღეს რუსეთის დიდი რევოლუციონერ-დემოკრატების იდეებზე. ქართველი გლეხობა, ისე როგორც იმპერიაში შემავალი სხვა ეროვნებათა მშრომელები, აუტანელმა ჩაგვრამ მოძრაობაში მოიყვანა და მათ გარკვეული ბრძოლა დაიწყეს ბატონყმური ურთიერთობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. განსაკუთრებით აღსანიშნავია გლეხთა

---

1 ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. 1. ს. ხუნდაძის რედაქციით, გვ. 162.

2 იქვე.

3 იქვე, გვ. 170.

აჯანყება იმერეთში 1858 წელს, გურიაში 1841 წელს, სამეგრელოში 1857 წელს და ქართლ-კახეთის გლეხთა აჯანყებანი 1857-1863 წლებში, რომლებიც სისხლში ჩაახშეს მეფემ და მისმა მოხელეებმა. აჯანყებული გლეხები, როგორც ნ. ნიკოლაძე აღნიშნავდა, სრულებითაც არ მალავდნენ, რომ აჯანყების ერთად-ერთი მიზეზი ბატონ-ყმობა იყო, ხოლო ერთადერთი მიზანი — მისი მოსპობა[1].

საბოლოოდ, როგორც ვიცით, თვითმპყრობელობა იძულებული გახდა „რეფორმები" ზევიდან გაეტარებინა. თავადაზნაურობის გაბედნიერებისა და გლეხთა სრული დაბეჩავების და საერთოდ ხალხის მოტყუების სურვილით შეპყრობილმა ცარიზმმა „რუსეთის ბნელეთის მოციქულების ისტორიაში სახელგანთქმული ნ. ბეზობრაზოვის რჩევით, გლეხთა საკითხის გადაჭრა საქართველოში იმით დამთავრდა, რომ ყმა გლეხებს სახელი შეუცვალა და უწოდა მემამულეთა მიწებზე დასახლებული გლეხები. მთავრობამ ეს რუსეთშიც კი ვერ გაბედა. რეფორმა ამით დამთავრდა. რაც შეეხება ხალხისათვის საჭირო მიწას, ის მემამულეს მისცეს, ან მის ხელში რჩება; მემამულე ვალდებული არ არის მიწის გამოსყიდვასაც კი დასთანხმდეს"[2]. „რეფორმების" შედეგად კიდევ უფრო გაუარესდა ქართველი გლეხის მდგომარეობა. მას კისრად დააწვა აუტანელი ღალა, ფულადი გადასახადი საკარმიდამო მიწაზე, ხე-ტყისა და საწვავ მასალაზე, ღვინის მძიმე გადასახადი (კულუხი), ბაღებსა და სახნავ მიწებში მოქცეული თუთის ხეების, ხეხილის, კაკლის ხეების გადასახადი და სხვა მრავალი. ამასთანავე, მემამულეებს ნება დაერთოთ ძველი საკარმიდამოდან გლეხების აყრისა და სხვა ადგილებზე გადასახლებისა. თავადაზნაურობას მიეცა გლეხებზე ბატონობისა და მბრძანებლობის სრული უფლება. ეს ცრუ განთავისუფლება იცავდა თავადაზნაურთა ინტერესს, ხოლო გლეხობისათვის იგი წარმოადგენდა აბუჩად აგდების, სასტიკი დაცინვის, აშკარა მოტყუებისა და ველური ექსპლოატაციის საზიზღარ აქტს.

აკაკი წერეთელი კარგად ხედავდა საქართველოში გატარებული „რეფორმების" ბატონყმურ ხასიათს და წერდა: ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ „გლეხობას რაც ჰქონდა, ის აღარ შერჩა!.. მართალია, პირადათ განთავისუფლდა, მაგრამ მიწაწყალი კი ჩამოერთვა და მცირე ნადელი, რაც დაუნიშნეს, იმა-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 170.

[2] იქვე, გვ. 177.

შიაც მეოთხედი უნდა ეხადა; ამას გარდა, პირდაპირ გადასახადს ბევრი შეპარებული გადასახადიც მოემატა"[1].

პოეტმა ნათლად გაითვალისწინა, რომ საგლეხო „რეფორმები" ხალხისათვის კარგს არას მოასწავებდა. როგორც აღვნიშნეთ, გლეხებს ჩამოართვეს საუკეთესო მიწები და ღატაკურ ნაделზე დასვეს, გაიზარდა გადასახადები და გლეხი ფაქტობრივად ისევ, უფრო უარეს, ბატონყმურ დამოკიდებულებაში დარჩა, ამ გარემოებას საქართველოში თან ერთვოდა ეროვნული ჩაგვრა. მშრომელი ხალხი კვლავ სასტიკ ტანჯვაში იყო მოქცეული.

1863 წლის გაზაფხულზე აკაკი პეტერბურგს გაემგზავრა, აქედან მოსკოვში გადმოვიდა და აქ ცოლად შეირთო პეტრე ბაზილევსკის ასული ნატალია. ნატალია მდიდარი მრეწველის შვილი იყო, მაგრამ ობოლ ქალს მთელი ქონება ნათესავებმა ხელიდან გამოაცალეს. აკაკის ბევრი უსიამოვნების გადატანა მოუხდა ამის გარშემო სასამართლოში აღძრული საქმეების გამო.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ აკაკი მწვავე მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდა. მას მემკვიდრეობით ერგო შედარებით მცირეშემოსავლიანი მამულები და სახლი სხვიტორში, რაც პოეტის ნორმალური ცხოვრებისათვის სრულიად არ იყო საკმარისი. უფრო მეტიც, იგი მინიმალურ მოთხოვნილებასაც არ აკმაყოფილებდა. სამოციანელები და კერძოდ აკაკი, გაურბოდნენ მიწა-წყლის გაყიდვას. მამა-პაპის სისხლით, ძვლებითა და ხორცით მორწყულ-გაპოხიერებული მშობლიური მიწის გაყიდვა-გასხვისება და მისი უცხოელთა ხელში ჩაგდება მათ დიდ ცოდვად, სამშობლოსადმი ღალატად და, საერთოდ, პატრიოტისათვის შეუფერებელ მოქმედებად მიაჩნდათ. ისინი სათუთად ინახავდნენ მამა-პაპეულ მამულებს და სიცოცხლის უკანასკნელ ჟამს კმაყოფილებით უანდერძებდნენ ქვეყნისათვის სასარგებლო ორგანიზაციებს. სოფელ სხვიტორის გარდა, აკაკის არსად, არც ერთ ქალაქში არ გააჩნდა საკუთარი თავშესაფარი. იგი საზოგადოებრივ ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირისა და მეგობარ-ამხანაგებთან ახლო, პირადი კონტაქტისა და ურთიერთობის დამყარების მიზნით იძულებული იყო ეცხოვრა თბილისში, ქუთაისში და სხვაგან. მართალია, მას გარკვეულ დახმარებას უწევდნენ მეგობრები, ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა, ზოგჯერ ხალხიც კი აგროვებდა შესაწევნ თანხას, მაგრამ ყველაფერი პოეტის არსებობისათვის მეტად მცირე რამ იყო. ცნობილია, რომ აკაკი ზოგჯერ დიდ გაჭირვებას იტანდა და ნორმალური კვების საშუალებაც კი არ ჰქონდა, სასტუმროს

[1] „აკაკის თვიური კრებული", 1897, № 3, გვ. 17-18.

ხარჯების გადახდა, გასტუმრება რომ არ შეეძლო, ხშირად უსიამოვნებასა და მძიმე უხერხულობას აწყდებოდა. ამიტომ პოეტი იძულებული იყო სისტემატურად აეღო ვალები, ხოლო მოვალეთა მოძალებით ცხოვრება გამწარებული ჰქონდა. ყოველივე ამის შესახებ აკაკი ხშირად მოგვითხრობს თავის სტატიებსა და წერილებში. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა კრიტიკოს ბესარიონ ჟღენტის მიერ პარიზში მოპოვებული და გამოცემული აკაკის ეპისტოლარული ლიტერატურა, მეუღლისა და შვილისადმი პოეტის მიერ გაგზავნილი წერილები.[1] აღნიშნულ წერილებს დიდი მნიშვნელობა აქვს აკაკის ცხოვრებისა და შემოქმედების გათვალისწინებისათვის. მასში ნათლად ჩანს პოეტის მძიმე, აუტანელი მატერიალური გაჭირვება და ცოლ-შვილის ზღვარდაუდებელი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის გაწეული დაუსრულებელი ტანჯვა. აკაკიმ ვერ შეძლო მემკვიდრეობით მიღებული ქონების გაძღოლა, მისი გაუმჯობესება და განვითარება. მას საამისო გამოცდილება და უნარი არ ჰქონდა და, რაც მთავარია, იგი მთლიანად ემსახურებოდა თავის პოეტურ გენიას, ბრწყინვალე იდეალების განხორციელების საშვილიშვილო საქმეს და ვეღარ პოულობდა დროსა და საშუალებებს ოჯახის ყოველდღიურ საქმიანობაში მონაწილეობისათვის. სამწუხაროდ, პოეტმა ვერ შექმნა მყუდრო და სასიამოვნო ოჯახური ატმოსფერო. თანამედროვეთა გადმოცემით აკაკიმ, მიუხედავად იმისა, რომ მას უსაზღვროდ უყვარდა ნატალია (ეს აშკარად ჩანს წერილებიდან), მაინც ვერ მოახერხა სათანადო ოჯახური ურთიერთობის დამყარება მეუღლესთან. თან აქ, შეიძლება ერთგვარ როლს ისიც ასრულებდა, რომ ოქროს საბადოების მრეწველთა ოჯახსა და მოსკოვის არისტოკრატიულ წრეში აღზრდილი ნატალია, ვერ შეეთვისა სხვიტორის სოფლურ ცხოვრებას. იგი საერთოდ განათლებული ქალი იყო, კარგად იცნობდა ლიტერატურას, ფლობდა ევროპულ ენებს, მაგრამ მისთვის ერთობ გაუგებარი აღმოჩნდა სოფლის მცხოვრებთა ზნე-ჩვეულება, ადათ-წესები, მათი მისწრაფებანი და ხასიათები. ამიტომ მან ვერ დაამყარა სათანადო კონტაქტები ვერც მეუღლის ოჯახის წევრებთან, ვერც მეზობლებსა და საზოგადოებრიობასთან.

საუბედუროდ, ნატალიასთვის გაუგებარი იყო მეუღლის დიდი შემოქმედებითი ცხოვრება, მისი გენიალური პატრიოტული

---

1 იხ. აკაკი წერეთელი, წერილები ცოლ-შვილთან, ბესარიონ ჟღენტის რედაქციითა და შესავალი წერილით, თბილისი, 1966 წ.

შთაგონება, ხალხის კეთილდღეობისათვის თავდადება, მებრძოლი სული, მისი ღირსება, ადგილი და მნიშვნელობა ერისა და კაცობრიობისათვის. შექმნილი სიტუაციის გამო ნატალია ვერ ამოუდგა გვერდში თავის დიდებულ მეუღლეს. აკაკიც, თავისი ცხოვრების პირობების გამო, ალბათ, ვერ ახდენდა საყვარელ მეუღლეზე საჭირო ზემოქმედებას, ვერ იჩენდა მუდმივ მეგობრულ მზრუნველობას. ყოველივე ამას კი, როგორც თანამედროვეები გადმოგვცემენ, ოჯახურ ურთიერთობაში შეუქმნია გარკვეული უკმაყოფილება. ნატალიას ოჯახში გული არ უდგებოდა და მუდამ დიდ ქალაქებში მოგზაურობისა და ცხოვრების სურვილი იტაცებდა[1]. ამ სურვილის დაკმაყოფილებაც დაკავშირებული იყო დიდ ხარჯებთან; ეს იწვევდა მეუღლისა და ოჯახისაგან ხანგრძლივი დროით დაშორებასა და პოეტის მატერიალური პირობების უსაზღვროდ გამწვავებას. ვითარება კიდევ უფრო გაართულა აკაკის ერთადერთი ვაჟის ალექსის თავისებურმა ცხოვრებამ და მოქმედებამ. ალექსი პროფესიით ინჟინერი, განათლებული და მრავალი უცხო ენის მცოდნე იყო. მას განსაკუთრებით იტაცებდა მუსიკა და მოღვაწეობის საბოლოო ასპარეზად აირჩია საოპერო დასის ანტრეპრენიორობა. შეადგინა საოპერო დასი, რომელიც დაჰყავდა რუსეთის, უკრაინისა და ევროპის ქალაქებში: პეტერბურგში, მოსკოვში, კიევში, ხარკოვში, პარიზში, ბერლინში, მილანში, ნიცაში და სხვ. ამ მუდმივ მოგზაურობაში მას თან დაჰყვებოდა დედა — ნატალიაც. დედა-შვილი მხოლოდ ზაფხულობით თუ ჩამოდიოდნენ სხვიტორში. ცოლ-შვილისაგან დაშორებულ პოეტს მარტო უხდებოდა ყოფნა, რაც კიდევ უფრო აფორიაქებდა ოჯახურ ცხოვრებას. აკაკის არ მოსწონდა შვილის ანტეპრიზით ფანატიკური გატაცება და საერთოდ მისი მოქმედება, ამიტომ ხშირად თხოვდა მას სამშობლოში დაბრუნებას და სპეციალობით მუშაობის დაწყებას. ერთ-ერთ წერილში პოეტი ალექსის მისამართით წერდა: „თავისი ნიჭიერებით, მომზადებით, შრომისმოყვარეობით და ყოველი სიკეთით მას თითქოს უფლება აქვს უკეთესი მდგომარეობა ჰქონდეს ცხოვრებაში... საჭიროა ლიოლიამ (ალექსის პატარაობის სახელია — პ. კ.) დაიწყოს ახალი ცხოვრება, რომ საშუალება მიეცეს გამოასწოროს თავისი საქმეები... თუ უწიგნური და შრომაში ცუდად გაწაფული კაცისათვის ბაქოს ქარხნებსა და ფაბრიკებში ვშოულობთ ადგილს, განა არ შემიძლია მოვაწყო საკუთარი შვილი და მერე ისეთი,

---

1 დაწვრილებით იხ. ლ. ასათიანი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, 1940 წ; გვ. 214-215, შდრ.: აკაკი წერეთელი, წერილები ცოლ-შვილთან, ბესარიონ ჟღენტის რედაქციითა და შესავალი წერილით.

როგორიც ის არის?.. არ აჯობებს ჩამოვიდეს აქ, მოეწყოს ადგილზე. თავისი თავიც დაიმშვიდოს და ჩვენც დაგვამშვიდოს?"

ალექსის მუდმივ მოგზაურობასა და ანტრეპრენიორობას ხშირად მოსდევდა მატერიალური ზარალი, მუსიკალურ-თეატრალური დადგმების შემოსავალი ხარჯებს ვერ ანაზღაურებდა, რის გამოც დედა-შვილი მძიმე მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდა და განუწყვეტლივ მოითხოვდნენ პოეტისაგან დახმარებას — ფულს, ვალების გადახდას. აკაკის კი საამისო სახსრები არ გააჩნდა. ერთ-ერთ წერილში პოეტი მეუღლეს წერდა: „თქვენ გინდათ ფული... ვეცდები რამე ვიღონო! თქვენგან საყვედურების მეტს სხვას ვერაფერს მოისმენს კაცი". [1] სხვა ადგილას აკაკი წერდა: „ჩემი მდგომარეობა მძიმეა, წელებზე ფეხს ვიდგამ... რომ სურვილი შეგისრულოთ და გამოგიგზავნოთ ის, რაც მომთხოვეთ"... [2] ცოლ-შვილის ყველა წერილი აღსავსეა ფულის მოთხოვნით. პოეტი ნატალიას წერს: „რაც შეეხება თქვენს გასაჭირს, მე მესმის იგი, მაგრამ როგორ დაგეხმაროთ, როცა გარდა პირადი შრომისა, არაფერი გამაჩნია . პირადი შრომა კი მოითხოვს ჯანსა და ენერგიას, რომელიც უკვე შელახული მაქვს". [3] აკაკი უსახსრობის გამო ხშირად ვერ აკმაყოფილებდა ცოლ-შვილის თხოვნას. ამით შეწუხებული აკაკი მეუღლისათვის გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში აცხადებდა: „ჩემთვის ყველა უქმე-დღესასწაული მძიმე ასატანია, მაგრამ ამჯერად განსაკუთრებით მძიმეა, რადგან ვერ შევძელი გამომეგზავნა ის, რასაც მთხოვდით. ყველგან უიღბლობაა — საბანკო ყრილობა მაისამდე გადაიდო, კომედია არ მიიღეს... მისაღები არსაიდან მაქვს, ხოლო მათი რიცხვი რომელთაც ჩემგან სურთ, უთვალავია" [4] განსაკუთრებით ტრაგიკულია პოეტის მდგომარეობა სიცოცხლის უკანასკნელ წლებში. ცოლ-შვილისაგან დაშორებული, შვილის მოვალეებისაგან საშინლად აწიოკებული, ცოლის ნათესავებით აკლებული აკაკი უჩივის ენერგიის დაკარგვას, მძიმე სიღარიბეს, სასტიკ გაჭირვებას; „შინ არაფერი გამაჩნია, გარეთ რომ რამე გავაკეთო, არც ეს შემიძლია და ამიტომ არა თუ შენიანებს ვერ ვეხმარები, საკუთარი თავი რომ ვირჩინო, არაფერი მაქვს" (წერილები, გვ. 84). სიცოცხლის მთელ მანძილზე იტანჯებოდა პოეტი მატერიალური სიღარიბის გამო. მას თან ერთვოდა ცოლ-შვილთან

---

[1] აკ. წერეთელი, წერილები ცოლ-შვილთან, გვ. 62.
[2] იქვე, გვ. 51.
[3] იქვე, გვ. 68.
[4] იქვე. გვ. გვ. 69, 71, 72, 73.

დაშორებული ცხოვრების სიმწარე. იგი ოცნებობდა მეუღლესა და შვილთან ერთად ცხოვრებაზე; ცოლისადმი მიწერილ ერთერთ წერილში აკაკი წერდა: „მთელი ჩემი სწრაფვა და მიზანი ის არის, რომ სიბერის წლებში მაინც განვახორციელო ჩემი იდეალი: ვიცხოვრო ჩემს ოჯახში, აღტაცებას ვეძლეოდე ჩემი იდეალური ნატაშათი (რომელმაც თვითონ არ იცის თავისი ფასი და ნერვების წყალობით ხშირად ისახიჩრებს თავს), ვგრძნობდე თავს ლიოლიას ახლო, ვხარობდე მისი სიხარულით“ (წერილები, გვ. 114). ეს ოცნება პოეტს არ შეუსრულდა, დიდებული მგოსანი ვერ მოესწრო მეუღლესა და შვილთან ერთად ყოფნას, სითბოსა და ბედნიერებას, სიხარულსა და ჩვეულებრივ ტკბილ ოჯახურ ცხოვრებას!

1861 — 1864 წ.წ. პოეტი ეწეოდა მეტად ნაყოფიერ ლიტერატურულ-შემოქმედებით მუშაობას, წერდა თხზულებებს როგორც სოციალურ, ისე ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოტივებზე. სოციალური თემატიკიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ლექსები: „სიმღერა მკის დროს“, „გლეხის აღსარება“ და „მოქრთამე მსაჯულებს გლეხებისაგან“, ხოლო ეროვნული თემატიკიდან „ძველ სამეფოს“ და სხვ.

ცარიზმისადმი სასტიკი სიძულვილის გრძნობა აკაკიმ გამოხატა ლექსში „მოქრთამე მსაჯულებს გლეხებისაგან“. პოეტმა აღნიშნული ლექსით დაუნდობლად ამხილა თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიული მოხელეების აღვირახსნილობა, უსამართლობა. მათ მიერ გლეხობის აუტანელი ჩაგვრა. გლეხები მტარვალებს ეუბნებიან:

ჩვენს კანზედ ჩვენივე სისხლითა
კანონი დაგიწერია!
პილატებრ იბან შენ ხელს წყლით
და ხორცს გვგლეჯ, ვითა ძერია!..
ჯერ ჩვენის ხორცითა ძღები,
სისხლითა იკლავ წყურვილსა
და პფიქრობ: ვითა „უძღები“
მერე ვიქმ ღვთისა სურვილსა.

აკაკის მართებული დახასიათებებით, ცარიზმმა მშრომელ ხალხს ტანჯვის მძიმე უღელი დაადგა და საშინლად ჩაგრავდა მას.

„ძველ სამეფოს“ თავდაპირველი სათაური ყოფილა „სიმღერა“. ამ ლექსში პოეტი გამოხატავდა სამშობლოს განთავი-

სუფლების მტკიცე რწმენას. რევოლუციური, ღრმა ოპტიმიზმით გამსჭვალული მგოსანი ანუგეშებდა ჩაგრულ ქვეყანას, რომ მისნი ძენი მზად არიან სისხლის სათხევად, ქვეყნისათვის სიცოცხლის შესაწირად. ამგვარი ხასიათის ლექსის დაბეჭდვა იმ დროს, ცხადია, შეუძლებელი იყო. აღნიშნული ლექსით აკაკი მოუწოდებდა ქართველ ხალხს ძილისაგან თავის დაღწევისაკენ. მებრძოლი პატრიოტიზმითა და მომავლის იმედით შთაგონებული პოეტი სამშობლოს მიმართავდა:

ამდენი ხნის მწუხარება,
ნახავ, მალე გაგეყრება!..
გაიღვიძე, დროს ნუ პკარგავ,
თუ რომ გინდა ნეტარება!..
თვით სიცოცხლეა სიფხიზლე
გაიღვიძე, გვეჩქარება.

უფრო ადრე, როგორც აღვნიშნეთ, მშობლიურ რუსეთს ნ. ა. დობროლუბოვი მოუწოდებდა გამოღვიძებისა და მჩაგვრელთა წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისაკენ:

Проснись, о Русь! Востань родная!
Взгляни, что делают с тобой...[1]

აკაკი რევოლუციური ბრძოლისაკენ მოუწოდებდა თავის სათაყვანებელ სამშობლოს. იგი მთელი მოწინავე ახალგაზრდობის სახელით აცხადებდა, რომ სამშობლოს ძენი მზად იყვნენ ძველი სენის მოსპობისათვის, ე. ი. ეროვნული და სოციალური ჩაგვრის დასაგმობად ახალგაზრდობა მზად არის მსხვერპლად შეეწიროს მშობელ ქვეყანასო. ამგვარი სისხლის დაღვრა მას წმიდათაწმიდა მოვალეობად მიაჩნია:

წინა წავალთ შენი ძენი,
გვსურს ახალ დროს ვუღოთ ბჭენი
და დასვთხიოთ წმინდა სისხლი,
რომ გავბანოთ ძველი სენი!..
მზა ვართ, მსხვერპლად შეგვიწირე,
აღსდეგ შემოირტყი წენი!

ამგვარი გაბედული, აშკარა რევოლუციური ბრძოლის პათოსითა და პატრიოტიზმით შთაგონებული ლექსი ზუსტად უპასუხებდა გასული საუკუნის 60-იანი წლების რევოლუციურ სიტუაციას და მკაცრი რეაქციის პერიოდში რევოლუციური ბრძოლისა და მემამულურ-თვითმპყრობელური ტირანიის და-

[1] ლექსი ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა პეტერბურგის საზოგადოების ფართო წრეებში.

სამხობად ხალხის გაბედული აჯანყებისაკენ მოწოდების სულისკვეთებას. სსენებული ლექსის გამოქვეყნების ცდა სასტიკი რეაქციის პირობებში, მეფის ცენზურის მძვინვარების ხანაში, და ისიც 1863 წელს, პოეტის დიდი გაბედულებისა და ხალხისათვის აშკარა თავგანწირვის ნიმუშია.

გასაკვირი სრულიადაც აღარაა, რომ „ცისკარში" დაბეჭდილი ტექსტი სრულიად დამახინჯებულია. ლექსისათვის სათაურად დაურქმევიათ: „დიდის კნიაზის მიხაილ ნიკოლაოზის ძის მობრძანების დროს, ახალი შთამომავლობა უმღერის საქართველოს". ამით აღშფოთებული აკაკი შემდეგში წერდა: „იმ დროში არათუ შლიდენ ნაწერებს ცენზორები, თავისასაც ჩააწერდნენ ხოლმე სამაგიეროს და ისე იბეჭდებოდა. ერთხელ კერესელიძესთან შევედი, გახარებული დამიხვდა: გავაშვებიე შენი ლექსიო! დიდ უარზე კი იდგა, სანამ სათაური არ გამოუცვალეო და „სიმღერის მაგიერ ასე დავაწერეო: „დიდი მთავრის მობრძანების დროს ახალი თაობა უგალობს საქართველოს". აი ხერხს რა შეუძლიან! ლექსი სრულიად გავაშვებიე და სათაური რაც უნდა, ის იყოსო!.. მოჰყვა კითხვასა: „სამეფოო ძველთა ძველი" და სხვ. ამგვარი რამ გადაგვხდენია და ბევრი სიმწარეც გამოგვივლია ცენზორების ხელში".

დამახასიათებელია, რომ ცენზურისაგან შეწუხებული და შევიწროებული პოეტი მიუთითებდა: ჩვენი ნაწერები, „როგორც ქარ-ცეცხლში გატარებული და აღვირ-ასხმული უნაკლულოდ, სავსებით ყველაფერს ვერ დაანახვებს" მკითხველს.

* * *

ცოლის შერთვის შემდეგ აკაკი საბოლოოდ დაბრუნდა საქართველოში და საცხოვრებელ ადგილად ქუთაისი აირჩია.

პეტერბურგიდან ახალდაბრუნებული პოეტი უკვე ღრმად შთაგონებული იყო ქვეყნის სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის შეგნებით. იგი სავსებით მომზადებული შეხვდა სამშობლოში ძველი დახავსებული, ჩამორჩენილი, ბოროტებაზე აგებული წყობილების წინააღმდეგ დაწყებულ მოძრაობას და უდიდესი თავგანწირვით, პირდაპირობითა და შემართებით. კალმითა და საქმით გმირულად ეკვეთა გაბატონებულ ტირანიას, ეროვნულ ჩაგვრას, ცარიზმსა და მის დამქაშებს, ამხილებდა „რეფორმის" შედეგად მშრომელი ხალხის ახალ კაბალურ მონობას.

თავის ერთ-ერთ წერილში აკაკიმ დაახასიათა იმდროინდელ ქართველთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებული სიდუხჭირე, რუტინა, წყვდიადის წატონობა, ხალხის ტანჯვა, ბოროტობა

და სიბნელე. ჩვენმა „მამებმა, წერდა აკაკი, — გამოახილეს თუ არა თვალი, ნახეს თავის თავი ერთს ბნელს აკადემიაში, სადაც გზის ვერ მშოვნელები, რომ ნათელში გამოსულიყვნენ, აშფოთებით ერთმანეთს ეჯახებოდნენ, თვითონაც იმტვრევდნენ პირებს და სხვებსაც ამტვრევდნენ"... რუსეთიდან დაბრუნებულმა „ახალგაზრდებმა პირველად შემოიტანეს ამ ბნელში სინათლე"... „ჩვენმა მამებმა ერთმანეთის დანახვა შეიძლეს — და რა მოხდა? ის, რომ როდესაც თავისი დატიტყნილი-დასისხლიანებული ცხვირპირი დაინახეს, იუცხოვეს და ნაცვლად იმისა, რომ მობან-გაწმენდას შეუდგნენ, გუ...ის ბუხარის ამოყრა იმ ნათლის მჭირველს ახალგაზრდობაზე მოინდომეს"... მათ არ ეჭაშნიკათ სინათლე და მოინდომეს... ჭრაქის როგორმე გაქრობა და მეჭრაქეების დევნა.[1] პეტერბურგიდან საქართველოსკენ წამოსასვლელად მომზადებული სტუდენტები, აკაკის თქმით, 1862 წელს ვასილის კუნძულზე ერთ ვრცელ ოთახში შეკრებილნი, ფიცს სდებდნენ: „ვიყოთ მსხვერპლი ჩვენი სამშობლოს კეთლდღეობისა".

ეს ის დრო იყო, როცა საქართველოში ბატონყმობის „გაუქმება" მზადდებოდა, „საგლეხო რეფორმა" უნდა გაეტარებინათ. ცხოვრების მაჯისცემა აჩქარებული იყო და ახალი საზოგადოებრივი მისწრაფებები მწვავედ უპირისპირდებოდნენ არსებულ პოლიტიკურ რეჟიმს. ამ მდგომარეობის შესახებ აკაკი გადმოგვცემს: „რუსეთი რომ მივატოვე და ცოლ-შვილით დავბრუნდი სამშობლოში, მაშინ ძალიან არეული და გამოურკვეველი დრო იყო. ბატონყმობა უნდა გადავარდნილიყო. ახალი რეფორმები შემოდიოდა, და რასაც ჩვენ ისე შევსაროდით, ისიც თავისთვის კუდს იტოვებდა. სახელით ყველაფერი კარგი იყო, მაგრამ სახრავად კი არ ვარგოდა.

საინტერესოა, რომ ბიუროკრატიული რეჟიმისა და „რეფორმების" ნიჭიერმა მამხილებელმა პოეტმა დ. დ. მინაევმა 1862 წლის იანვრიდან გამოსცა სატირული ჟურნალი „გუდოკი", რომელშიც სასტიკად აკრიტიკებდა და გაბედულად დასცინოდა ყბადაღებული რეფორმების დამცველებს, ცარიზმის დამქაშებს, უბადრუკ კალმოსნებსა და ლიბერალებს, რეფორმების ხასიათსა და მისი პრაქტიკულად გატარების ღონისძიებებს, მათ შორის ეგრეთ წოდებულ მომრიგებელ შუამავალთა ინსტიტუტსაც. „გუდოკის" № 9-ში მინაევმა მოათავსა მეტად დამახასიათებელი, სარკაზმით აღსავსე კარიკატურა, რომელშიც გამოხა-

[1] აკაკი ნერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. XI, გვ. 189-190; შდრ.: აკაკი ნერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. VIII, გვ. 293.

ტული იყო „„რეფორმების“ შედეგად კვლავ ორმხრივ განაწამები, ჯაჭვებით შებოჭილი, ერთმანეთზე გადაბმული გლეხობა, რომელსაც ყანდარმერია ბადრაგით მიაცილებდა. კარიკატურის ქვეშ მიწერილი იყო: «Видимые знаки привязанности к начальству». ამის გამო, მინაევი რედაქტორობიდან გაათავისუფლეს. მებატონეებისა და თვითმპყრობელობის მიერ გატარებული „რეფორმები“ არ აკმაყოფილებდა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლ მგოსანს. იგი სასტიკად ილაშქრებდა ბატონყმობის, ყბადაღებული რეფორმებისა და მისი შედეგების წინააღმდეგ. ერთგან პოეტი წერდა: „რა ბატონყმობის მოსპობა იყო ის მოსპობა, როცა ბატონი და ყმა ჯაჭვით ერთმანეთზე გადაბმული ჩინოვნიკს ეჭირა ხელში და ორივეს ახრჩობდა — ღლეტდა? რაღა ნაყოფს გამოიტანდა ის სამსჯავრო, სადაც ხალხის ენა აკრძალული იყო და ენის უცოდინარობის გამო ხალხი უნდა გამღლეტ-გამცეთელებს ჩავარდნოდა ხელში? ამაებს ყველას ვხედავდი და მიტომაც სრული ჩემი თანაგრძნობა ვერ მოიპოვეს რეფორმებმა და მაშინ დაიწერა: „ადვოკატი“, „კატა და ძაღლი“, „ვაის უნდა შევეყარო“ და სხვანი“. „რეფორმების შედეგად, წერდა აკაკი, მაინც დროებით ვალდებულად გახადეს გლეხები, დანიშნეს მომრიგებელი შუამავალი და გადააჯაჭვეს ერთმანეთზე თავადაზნაურობა და გლეხობა, ერთი თავი ჯაჭვისა ბატონებს ჩააბეს, მეორე ყმებს, შუაში ხელი მოაკიდებინეს ჩინოვნიკს, რომელიც აქეთაც ექაჩებოდა და იქითაც. ბევრი უწესოება ხდებოდა, მაგრამ ხმის ამოღების ნება არა გვქონდა“[1]. მომრიგებელი მოსამართლეები, პოეტის დახასიათებით, სასტიკად ჩაგრავდნენ გლეხებს. რეფორმის გატარების პროცესში ისინი ოფიციალური დებულებით თითქოს გლეხობის ინტერესების დამცველები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ სინამდვილეში მთლიანად თავადაზნაურების მხარეზე იყვნენ. მომრიგებელ მოსამართლეთა ვერაგული მოქმედება და მექრთამეობა მრავალგზის ამხილა პოეტმა. მან სატირის ძლიერი მახვილით სააშკარაოზე გამოიტანა მათ მიერ მშრომელი ხალხის დაბეჩავების, საარაკო ძარცვისა და მის ხარჯზე პირადი გამდიდრების ფაქტები.

საგლეხო „რეფორმამ“, რომელიც ამ დროს ჩატარდა საქართველოში, მცირე პირადი თავისუფლების გარდა, არავითარი სარგებლობა არ მოუტანა მშრომელ გლეხობას. დიდი ლენინის გენიალური დახასიათებით, „ყბადაღებული „განთავისუფლება“ იყო გლეხების ყოვლად უსინდისო გაძარცვა, იგი წარმოადგენდა

[1] აკაკი წერეთელი, თხზ. სრული კრებული, ტ. 14, გვ. 303.

მათ მიმართ მთელ რიგ ძალმომრეობას და პირდაპირ დაცინვას"[1]... „საერთოდ, 60-იანი წლების მთელმა „რეფორმათა ეპოქამ" გლეხი გაღატაკებული, დაბეჩავებული, უმეცარი, მემამულე-მებატონისადმი დამორჩილებული დატოვა სასამართლოშიც, მართვა-გამგეობაშიც, სკოლაშიც, ერობაშიც.

„დიდი რეფორმა" ბატონყმური რეფორმა იყო და არც შეიძლებოდა სხვანაირი ყოფილიყო, ვინაიდან მას ახორციელებდნენ მებატონეები"[2].

ამრიგად, რჩებოდა თითქმის იგივე მდგომარეობა, რაც ბატონყმობის დროს იყო, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ახლა გლეხი პირადად თავისუფალი იყო, აღარ შეიძლებოდა იგი გაეყიდათ ან ეყიდათ, როგორც ნივთი.

„რეფორმის" ამგვარი ხასიათი, როგორც აღვნიშნეთ, სწორად განჭვრიტეს რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის მეთაურებმა და, მათთან ერთად, ქართველმა სამოციანელებმაც.

აკაკი წერეთელმა საქართველოში ბატონყმობის გაუქმებამდე, ჯერ კიდევ 1864 წლის მაისში („რეფორმა" აღმოსავლეთ საქართველოში გამოცხადდა 1864 წლის ნოემბერში) გამოაქვეყნა ლექსი „იმერული ნანინა". ამ ლექსში დედა თავის ახალშობილს უმღერის:

ბატონი ვერ შეგაწუხებს, ვერც გაგტეხს ვალიო,
შენს მტერსა და მოშურნესა დაუდგეს თვალიო.
დიდიკაცის შვილს სკოლაში გვერდთ მოუჯდებიო,
აბა, შენ იცი, ბიჭოჯან, როგორ ეცდებიო;
ძველ ბატონიშვილს სწავლაში ნუ ჩამორჩებიო,
გლეხსა ნიჭი არა აქვსო, არ აფიქრებიო!..

აკაკი ხედავდა, რომ „რეფორმით" გლეხობის განთავისუფლების ნამდვილი მიზანი არ შეიძლებოდა განხორციელებულიყო. ამიტომ, სრულიად ბუნებრივად, პოეტს თავისუფლებისათვის ბრძოლა დამთავრებულად არ მიაჩნდა. იგი ხედავდა, რომ ნამდვილი განთავისუფლება კვლავ მომავლის საქმე იყო და ახალი ძალითა და ენერგიით უნდა გაშლილიყო ბრძოლა. ამ მდგომარეობაზე გაამახვილა ყურადღება აკაკიმ აღნიშნულ ლექსში და გააფრთხილა „პაწაწინა გლეხის შვილი":

მაშ ნუ გძინავს! გაიღვიძე, იცან ქვეყანაო!
შენც შეიტყვე ამა სოფლის ცრუ გამოცანაო!

და მოუწოდა ბრძოლისაკენ, დაუსახა კეთილშობილური მიზანი: „შენი დაჩაგრული ძმები შენ უნდა იხსნაო". რეაქციულ

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 17, გვ. 126.

2 იქვე, გვ. 127.

წრეებს არ გამოჰპარვიათ ამ ლექსის მწვავე პოლიტიკური ხასიათი და „იმერული ნანინას“ დაწერის გამო თავადაზნაურობამ პოეტის სასტიკი დევნა დაიწყო.

„რეფორმით“ იმედგაცრუებული პოეტი წერდა: „ბატონყმური დამოკიდებულება დაირღვა, მაგრამ რომ უნდოდა, ისე კი ვერა. ბატონები კაცის სულებს ველარ ფლობენ პირუტყვებივით, როგორც ადრე, მაგრამ მაგიერში მიწები ჩამოერთოთ“.

გლეხობის აღნიშნული მდგომარეობა აკაკი წერეთელმა ნათლად ასახა ერთ-ერთ ალეგორიულ ლექსში „არაკი“. ამ ლექსის პასაჟებში პოეტმა გამოხატა მძაფრი უკმაყოფილება და ენერგიული პროტესტი, რეფორმების საერთოდ, და კერძოდ, ბატონყმობის მიმართ. აღნიშნულ ლექსში პოეტი ჯერ გვისურათებს ყმის ტანჯვას ბატონყმური მონობის პირობებში:

ორივე ფეხში ბორკილი
მეყარა სატანჯველადო!

ბატონის მიერ სასტიკად დაჩაგრული ყმა წამებით ეზიდებოდა მძიმე უღელს. ბატონყმობის გათიშვის გამოცხადებამ იგი ერთობ გაახარა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ თავისუფლებას მიიღებდა, ძველი ცხოვრების წესი მოისპობოდა:

შევხტი და შევინავარდე;
თვალი შემაშრა სველიო.
ვამბობდი: „ჯერ ეს რა არი?
უფრო კარგ ბედსაც ველიო:
მევე ვარ ჩემი პატრონი
და ზეცა ჩემი მცველიო.

მაგრამ ყმა-გლეხი („ლურჯა“) მალე დარწმუნდა „ბატონყმური რეფორმების“ ვერაგობაში, ყმების მოტყუებასა და აბუჩად აგდებაში. იგი „გაათავისუფლეს“ უმიწოდ, სრულიად გაძარცვული, შეურაცხყოფილი და დამცირებული. „რეფორმების“ შემდეგ ყმა კვლავ ჩაჭედილი აღმოჩნდა მონობის ბორკილებში. მას ცხოვრების გზები შეეკრა და გასაქანი არ ეძლეოდა. ამ მდგომარეობით შეშფოთებული ნაყმევი გლეხი პროტესტს აცხადებს მემამულეებისა და თვითმპყრობელობის მიერ გატარებული „რეფორმების“ წინააღმდეგ:

ფუ! შერცხვეს ეს სოფელიო!
საითაც ფეხი გადავდგი,
ყოველგან მტაცეს ხელიო;
მითხრეს: „აქ შენი რა არი?
სად მოხველ ჭკუათხელიო?
შენთვის არც მთაა არც ბარი,
არც მინდორი და ველიო!

მაშ, ამგვარ თავისუფლებას
მივჯობს, შემჭამდეს მგელიო!

გლეხობის ტანჯული ცხოვრება პოეტმა მრავალჯერ გამოხატა „რეფორმის“ შემდეგდროინდელ თხზულებებში. მძაფრი პროტესტია გამოხატული 1880 წელს გამოქვეყნებული ლექსის სტრიქონებში:

მხოლოდ საწყალ მიწის მუშას
არავინ პყავს გამკითხავი,
მისის ოფლით თავს იკვებენ,
ქურქად მიდის მისი ტყავი („ახალი გზა“).

პოეტისათვის ცხადი შეიქნა, რომ ბატონყმობა ფაქტობრივად კვლავ ძალაში დარჩა. „გაგვიბატონდა ბურჟუა, გამტკიცდა ბატონყმობაცა“, — ამბობდა პოეტი. „მოხუცის გრძნობაში“ იგი მშვენივრად ახასიათებს „რეფორმის“ შედეგებს:

სუყველა გლეხკაცს დააწვა;
ბატონი, მღვდელი, ბურჟუა!...
ყოველი მხრიდან ტანჯული,
გამოიქყლიტა მათ შუა;
იმისთვის არც მთა, არც ბარი,
აღარც მიწაა, არც წყალი;
სადაც შობილა, ბოგანოდ
დარჩენილია საწყალი!

მშრომელთა ამგვარი აუტანელი ცხოვრება ძლიერ აწუხებდა აკაკის. იგი მუდამ გლეხკაცის მწარე ბედზე მოსთქვამდა, თავისი ლექსებით მკითხველს თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ მოუხმობდა, ხალხის ძალისადმი რწმენას უნერგავდა. 1880 წელს გლეხებს პოეტი ეუბნებოდა:

მიმხვდარი არის ეგ თქვენი
შეუბღალავი გონება,
რომ პირუტყვსავით არ შვენის
მშრომელ კაცს სხვისი მონება („მუშებს“)

აკაკი ხედავდა, რომ გლეხებშიც თანდათან გზას იკვლევდა მათი უბედურების მიზეზის შეგნება, და ამით აღფრთოვანებული პოეტი დარწმუნებული იყო, რომ მშრომელი გასრესდა მტარვალს, გამოფხიზლებული და გაღვიძებული ხალხის რისხვა ოდესმე მრისხანედ დაიქუხებდა, სამუდამოდ გაუთხრიდა სამარეს ქვეყნის მჩაგვრელს. ამ რწმენით შთაგონებული მგოსანი 1882 წელს გამოქვეყნებულ ლექსში პირდაპირ უცხადებდა მტარვალებს:

მაშინ იქუხებს, იელვებს
ხალხთ ძალი მიძინებული

და მეხს დაგატეხს კერპ თავზედ,
წარსულზედ შენანებული;
გაგარონინებს ქვესკნელსა,
გინდ მაღლა იყო ცათამდე,
და შეაჩვენებს შენს სახელს
უკუნით უკუნისამდე! („გამდიდრებულხარ, ბატონო")

პოეტი დაუნდობლად ებრძოდა ბატონყმობას და მის ნაშთებს.

აკაკი წერეთლის ეს მოწინავე თვალსაზრისი დაუკავშირდა რუსეთის რევოლუციური დემოკრატების მსოფლმხედველობას. პოეტმა იცოდა, რომ სამშობლოს განთავისუფლება შეუძლებელი იყო თვითმპყრობელობის დამარცხების გარეშე, რომ ეროვნული და სოციალური ჩაგვრის საფუძველს ცარიზმი წარმოადგენდა. ამიტომ ის შეუპოვრად იბრძოდა თვითმპყრობელურ-მემამულური რეჟიმის წინააღმდეგ. აკაკი აღფრთოვანებით შეეგება ქვეყნის მრისხანე ჯალათის — იმპერატორ ალექსანდრე მეორის მოკვლის ცნობას. ამ პოლიტიკურ აქტში მან სამშობლოსა და ხალხის დიადი მომავლის დასაწყისი დაინახა და აღტაცებით წარმოთქვა:

მოვესწრები, რაც მინდოდა
ზამთრისაგან დაჩაგრულსა:
ვნახავ ქორწილს ბუნებისას,
გავიგონებ მის მაყრულსა.

ზევიდან გატარებული „რეფორმით" მოტყუებული ხალხი უკმაყოფილებასა და გულისწყრომას გამოხატავდა. თავადაზნაურობა გააფთრებით ესხმოდა თავს პროგრესულ მოაზროვნეებს და ლამობდა მათ განადგურებას. ბიუროკრატიულ-მონარქიული ხელისუფლების აგენტები სასტიკად ებრძოდნენ რევოლუციურ-გამათავისუფლებელ მოძრაობას და საპყრობილეებსა და კატორღაში ერეკებოდნენ მოწინავე მოაზროვნეებს. ქვეყანა ნამდვილ „ხალხთა საპყრობილედ" იყო გადაქცეული. ამ უაღრესად დაძაბულ პირობებში საჭირო იყო ქვეყნისა და ხალხის ინტერესებისათვის თავდადებული, შეუდრეკელი ბრძოლა, პირადი ბედნიერების დავიწყება, მოწინავე საზოგადოებრივი მისწრაფებებისათვის თავის განწირვა და აკაკი შეუპოვრად დაადგა ამ მეტად მძიმე და კეთილშობილურ გზას.

ბრძოლა ცარიზმის, მისი მოხელეების, თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ

თვითმპყრობელურ-მემამულური რეჟიმის კლანჭებში სხვა ერებთან ერთად იტანჯებოდა ქართველი ხალხიც. ქართველი

პროგრესული მოღვაწენი, მათ შორის აკაკი წერეთელიც, რუს ხალხთან და მრავალრიცხოვანი არარუსი ერების მოწინავე მოაზროვნეებთან ერთად, მხატვრული შემოქმედებით, სიტყვითა და საქმით, დაუცხრომელ ბრძოლას აწარმოებდა ცარიზმისა და ბატონყმობის ნაშთების წინააღმდეგ. პოეტს ღრმად სწამდა, რომ ხალხის ბედნიერების მიღწევა შეუძლებელია ბატონყმური ურთიერთობის, მისი ნაშთებისა და ცარიზმის დაუმხობლად.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში, როცა აკაკი წერეთელი ფართო სამოღვაწეო სარბიელზე გამოვიდა, ხალხი აუტანლად იტანჯებოდა, იგი მატერიალურად განადგურებული და მორალურად დამცირებული იყო, ყველგან ადამიანის შემაძრწუნებელი უუფლებობა მეფობდა. ამის ნათელსაყოფად საკმარისია მოვიყვანოთ იმდროინდელი გაზეთის „შრომის" სიტყვები: „რომელია ჩვენში დღეს, ვისაც მაღლა თავის აღება და მაგრად კისრის დაკავება შეეძლოს, ვინ არის, რომ უშიშრად ან ლხინში, ან ჭირში წავიდეს... ვინ არი, რომელსაც შეეძლოს თქმა, რომ მე მაქვსო რამე. ჩვენი სახელი, ჩვენი ნამუსი, ჩვენი დიდება და ჩვენი სიცოცხლეცა ათიოდე გამოჩენილს მედანოსესა, სკანდალისტსა და ავაზაკს უჭირავს ხელში. ჩვენი საცხოვრებელი ადვოკატების ენამ კანცელარიის მელანში ჩასძირა, სკანდალისტებისა და ავაზაკებისაგან ძალდატანებულმა მოწმეების ცრუფიცმა და უფრო ჩვენის ცხოვრების შეუფერებელმა კანონებმა უარჰყო და ზოგ-ზოგი მსაჯულის დაშვებულმა კალთამ დაფარა".

აკაკი სასტიკად ებრძოდა ცარიზმს, როგორც ბოროტების საფუძველს.

პოეტმა თავის ნაწარმოებებში, განსაკუთრებით სატირაში, გაბედულად გაამათრახა ცარიზმი, მეფის სასამართლოს უმსგავსოება, თვითმპყრობელობის ვერაგი მოხელეები და პოლიტიკური აპარატის უხეში ძალადობა.

იგი ხალხის ტანჯული ცხოვრების რეალისტური სურათების ჩვენებით აშკარად მიუთითებდა, რომ ქვეყნად გაბატონებული უსამართლობა, უხეში ძალადობა, მლიქვნელობა, მექრთამეობა და ხალხის ყოველგვარი ჩაგვრა გამომდინარეობდა თვითმპყრობელური მართვა-გამგეობის მთელი სისტემისაგან. აკაკი, ისე, როგორც ჩერნიშევსკი და დობროლუბოვი, სასტიკად ამათრახებდა არა მარტო ბოროტებასა და ძალადობას, არამედ განსაკუთრებით მათ საფუძველს — ცარიზმს.

ცარისტული აპარატის ყველა მოხელე, აკაკის დახასიათებით, ბოროტ საქმიანობაში ერთიმეორესთანაა დაკავშირებული; ხალხის დაწიოკებითა და მოტყუებით აღებულ ნადავლს დაბალი მოხელეები ბობოლა ჩინოვნიკებს უნაწილებენ. მსხვილი სატრაპე-

ბი მფარველობას უწევენ ყოველგვარ ანტიხალხურ მოქმედებას. დიდ-დიდი მოხელეები და მთავარი დესპოტები ზურგს უმაგრებდნენ ყველა ჯურის მჩაგვრელებს და მოძალადეებს. ამის გამოა რომ, — წერდა პოეტი: მტაცებელი, მოძალადე მოხელე „ურცხვად, უშიშრად ტარტალობს, საზრდოს სტაცებს ყველას, ძალობს, მაგრამ ვერვინ რას უბედავს, რადგან თვითონ ლომი სწყალობს („ნადირობა“).

მშრომელ ხალხს უსაზღვროდ ტანჯავდა, აწიოკებდა მეფე და მისი პოლიციური ადმინისტრაცია. პოლიციის მოხელეების მიერ გლეხთა დაბეჩავების შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა:

„პოლიციის ყოველი არამზადა ცდილობს გლეხობისათვის მოიგონოს ათასგვარი შეზღუდვა და აკრძალვა. მოხელეებისაგან გლეხებს კარგი არასოდეს უნახავთ. არამედ უნახავთ მხოლოდ ცემა-ტყეპა, გამოძალვა და შეურაცხყოფა“.[1] პოლიციელების და მათი მეთაურის — მეფის არაადამიანური მოქმედება მწარედ გაშოლტა აკაკიმ თავის სატირულ თხზულებებში. „გლეხების ლოცვაში“ პოეტმა გამოხატა გლეხობის სასტიკი პროტესტი მეფისა და მისი პოლიციის მიმართ. მოხელეთა მიერ დატანჯული გლეხები აცხადებენ:

მოგვიმართე, ღმერთო ხელი.
მოგვაშორე პოლიცია,
საზრდოცა უკანასკნელი
ჩვენ იმათთვის მიგვიცია.

(„გლეხების ლოცვა“)

აკაკი აცხადებდა, რომ ხალხის ძარცვა-გლეჯვაში განსაკუთრებული ბრალი მიუძღვის მეფეს და მის მოხელეებს. ისინი დაკავშირებული არიან ხალხის ყოველგვარ მჩაგვრელ პირებთან, და მათთან ერთად ძარცვავენ, ჰგლეჯენ და ანადგურებდნენ პატიოსან მშრომელებს. „საახალწლო ანდაზებში“ პოეტი ამის შესახებ წერდა:

ეჰ, ხომ ვიცით დამწაშავე,
მაგრამ ხმაც ვერ გაგვიცია:
„ავაზაკებს იქ რა უნდათ
სადაც არის პოლიცია“.

(„საახალწლო ანდაზები“)

აკაკიმ ერთ-ერთ თავის ადრინდელ პიესაში „არსენა“ სასტი-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 1, გვ. 513-514.

კად ამხილა ცარიზმი, მისი ბობოლა მოხელეები და გადაგვარებული თავადაზნაურობა[1].

თხზულებაში პოეტმა დახატა ცარიზმის მიერ ხალხის უმოწყალო ჩაგვრის, სასტიკი დაბეჩავებისა და ძარცვის რეალისტური

[1] ამ თხზულებას მეტად თავისებური და საინტერესო ისტორია აქვს. ამ პიესის პირველი მოქმედება დაიბეჭდა „ცისკარში" (№ 8, 1868 წ.) სათაურით „არსენა. დრამა 5 მოქმედებად". იოსებ გრიშაშვილის აზრით, „არსენას" პირველი მოქმედების გამოქვეყნებით, „ცისკრის" რედაქტორი დაიბნა (იქ ხომ ნართაულად გამოყვანილია მოხელეები — ეგრეთწოდებული „ხელჯოხიანები") და ავტორს პიესის დაბეჭდვაზე უარი ეთქვა" (აკაკის თხზულებათა სრული კრებული, ტ. 9, გვ. 403). პოეტი-აკადემიკოსის აზრი — რედაქტორის დაბნევა და მით პიესის დაბეჭდვაზე უარის თქმა, არ უნდა იყოს ზუსტი. ავტორა, ცხადია, პიესის დაბეჭდვაზე უარი ეთქვა არა „რედაქტორის დაბნევის" გამო, არამედ ცენზურის მიერ. ჟურნალ „ცისკარში" თხზულების პირველი მოქმედება დამახინჯებული სახით დაიბეჭდა. ცენზურას ამოუღია მეთაურის მამხილებელი პასაჟები და მის ადგილას წერტილებია დასმული. ჩვენს საყვარელ პოეტს დიდხანს უძებნია პიესის გაგრძელება, მისი ხელნაწერები, მაგრამ უშედეგოდ! ბოლოს გულდაწყვეტილმა განაცხადა: ამ პიესის გაგრძელება არსად არა ჩანს — არც დაბეჭდილის და არც ხელნაწერის სახითო (ტ. 9, გვ. 79 და 403). ამის გამოც ი. გრიშაშვილმა გამოსცა „ცისკრის" შესწორებული ტექსტი აკაკის თხზულებათა კრებულის მეცხრე ტომში და თან დასძინა: ამ პიესის გაგრძელება თბილისის ცენტრალურ არქივში ვერ ვიპოვეთ. შეიძლება იგი აღმოჩნდეს ლენინგრადის საცენზურო საქმეებში... ამას გვაფიქრებინებს ლენინგრადში გამოცემული ერთი წიგნის ცნობა, სადაც სხვადასხვა ენაზე დაწერილ ხელნაწერ პიესებს შორის „ქართული ხელნაწერი პიესებიც" არის მოხსენიებულიო. პოეტის ვარაუდი გამართლდა. პროფესორმა ელენე ვირსალაძემ ლენინგრადის თეატრალურ ბიბლიოთეკაში აღმოაჩინა რუსულ ენაზე დაწერილი აკაკის სამი პიესა „არსენა", „საოჯახო რევოლუცია" და „ქართველი და სომეხი". მკვლევარი ჰოგვითხრობს: ლენინგრადის თეატრალურ ბიბლიოთეკაში დაუწყიათ შესწავლა პიესების იმ მდიდარი კოლექციისა, რომელიც გადაეცა ბიბლიოთეკას პეტერბურგისა და მოსკოვის საცენზურო კომიტეტის არქივიდან. თეატრალურ ბიბლიოთეკაში დაცულია რამდენიმე ათეული ათასი პიესა, რომელიც კი ოდესმე ყოფილა განხილული მეფის რუსეთის ცენზურის მიერ და ინახებოდა მის არქივში. 1948 წელს ჩვენ გავაგრძელეთ მუშაობა და აღმოვაჩინეთ სამი ხელნაწერი პიესა (ლ. ასათიანი შეცდომებით მიუთითებს 1949 წელს, იხ. „ცხოვრება აკაკი წერეთლისა", 1953 წ. გვ. 206. პ. ჯ.) მათი ცენზურაში წარდგენის თარიღია 1864 და 1865 წლები. ერთი მათგანის სათაურია: „არსენა ყაჩაღი. ნამდვილი ამბავი ქართული ცხოვრებიდან. დრამა 3 მოქმედებად და 5 სურათად. სამიეე პიესა ცენზურის განხილვის შედეგად აკრძალული ყოფილა საცენზურო თეატრალურ-ლიტერატურული კომიტეტის მიერ (იხ. გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1950 წ. № 25; შდრ.: აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 15, გვ. 700—702).

აკაკის ეს პიესა მეცნიერული სიღრმით ჯერ არ არის შესწავლილი. იგი უთუოდ საყურადღებო თხზულებაა, მით უფრო რომ არსენას თემა განსახოვნებულია ქართულ ფოლკლორში, დიდი ილიას პოემაში „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ", აკაკის „არსენა ყაჩაღში", ალ. ყაზბეგის „არსენასა" და გამოჩენილი საბჭოთა მწერლების შემოქმედებაში. აკაკის პიესაში არსენა გლეხობის წრიდან არაა წარმოშობილი, იგი თავადია.

სურათები; ფარდა ახადა ხელჯოხიანების ზნედაცემულობას, მექრთამეობას, უსამართლობას, ავაზაკობას, ვერაგობასა და ბიწიერებას. თავიანთი ბოროტების დაფარვის მიზნით მეფის მოხელეები ცილს სწამებდნენ და ბრალს დებდნენ სრულიად უდანაშაულო ხალხს, უკანონოდ სჯიდნენ და ფიზიკურად სპობდნენ მათ საპყრობილეთა ჯურღმულებსა და შორეულ ციმბირში გადასახლებით. ყოველივე ამას აშკარად მოაგონებს მაზრის უფროსს (ქართული ტექსტით — ხერხაძეს) მისივე გაიძვერა ავაზაკი მდივანი (ქართული ტექსტით — კუდურაძე, ხერხაძის თანაშემწე): «Кто совершил преступление, разбой, воровство? Кто ломал церкви и похищал оттуда церковные богатства?.. Кто украл казенные деньги на канцелярии? Кто брал взятки?... и потом, легко опутывая невинных, ловко я подводил их вам под следствие, а вы присуждали их к ссылке в Сибирь, к тюремному заключению, прикрывая тем наши поступки!.... Безжалостно опутывал несчастных поселян, вместе с вами мы оба на паука походили»[1].

პიესაში პოეტმა ამხილა თავადის ახალგაზრდა ქვრივის მართა კოხტაძის ზნედაცემულობა. მრუშობა და ვერაგობა. პიესაში ხაზგასმულია, რომ ცარიზმის სატრაპები არ ერიდებიან არავითარ სიბილწეს მდიდარი ქონების ხელში ჩაგდებისათვის. მაზრის უფროსმა (პიესის ქართული ვერსიით — ხერხაძე — ხელჯოხიანმა) მდიდარ ქართველ თავად გოჩუნიძის მთელი ოჯახისა და ქონების ხელში ჩაგდების მიზნით მოწამლა ჩაიზე მიპატიჟებული თავადი და ხელთ იგდო მისი ერთადერთი ქალიშვილის ნინოს (მაკრინეს)[2] მეურვეობა[3]. ამ საძაგლობით არ კმაყოფილდება ხელჯოხიანი. იგი ცდილობს ობოლი ქალის ცოლად შერთვას და მით გოჩუნიძის მდიდარი ქონების დაპატრონებას. ახალგაზრდა ქვრივი — თავადის ქალის დედინაცვალი, აჰყვა ბობოლა მოხელის ოინებს. ნინოს (მაკრინეს) კი წრფელი გულით უყვარს თავისი საქმრო თავადი გიორგი მარდაძე; ქალიშვილი ვერ დაი-

---

1 აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 75, გვ. 595, 596, 597. აღნიშნული მასალა ქართულ ტექსტში არ არის. ცხადია, ამოღებულია იგი ცენზურის მიერ და ცარიელი ადგილი შევსებულია წერტილებით.

2 ფრჩხილებში დასახელებულია ქართული რედაქციის მოქმედი პირების სახელები.

3 მაზრის უფროსი თავადის მოწამვლის აქტს საიდუმლოდ ინახავდა, მაგრამ, ბოლოს პიესის რუსულ რედაქციაში იგი თავისი მწერლის მისამართით თავისთვის ამბობს: განსვენებული თავადი სამჯერ უფრო სქელი იყო შენზე, შენ კი გალეულო ფიგურავ, ასანთის ღერი ხარ მასთან შედარებით... შენ ნახევარი ულუფა გეყოფა იმ ფხვნილისა, რომელიც თავადმა იგემა... და გაგისტუმრებს იმ გზაზე, რომელზედაც გაისეირნა ჩემმა მსუქანმა თავადმაო (15, 599).

თანხმეს ვერაგულ გარიგებაზე. მან სასტიკი უარი განაცხადა მაზრის უფროსის ცოლობაზე. ამის საპასუხოდ მართა მიმართავს გაუგონარ სიბილწეს. იგი ღალატით ჩაკეტავს ნინოს (მაკრინეს) და მაზრის უფროსს ოთახში, რათა ძალადობით მიაღწიონ მიზანს. მაზრის უფროსთან (ხერხაძესთან) ერთად ოთახში ჩაკეტილი ნინო (მაკრინე) თავისი უმანკოებისა და პატიოსნების დასაცავად ხანჯლით კლავს უნამუსო მოძალადეს. ოთახში შემოცვივიან მართა (ელისაბედ), მოსამსახურეები და ნინოს (მაკრინეს) საქმრო გიორგი მარდაძე. ეს უკანასკნელი ხმლით კლავს ვერაგ მართას (ელისაბედს) და ყაჩაღად გავარდება „არსენა ყაჩაღის" სახელით. იგი თავგამოდებით იბრძვის მეფის მოხელეების, მდიდრების, თავადების, ვაჭრებისა და სხვა ბოროტი ძალების წინააღმდეგ. არსენა მთავრობის მიერ მოსყიდული მკვლელის ხელით იღუპება.

* * *

სასტიკი ცენზურული პირობებით შევიწროებული პოეტი იძულებული იყო გადაკვრით, იგავ-არაკებით, ანდაზებით, ნართაული თქმებით, „უჟურულო აფორიზმებითა" და საერთოდ, ეზოპური ენით გამოეთქვა თავისი გულისწყრომა ცარიზმის მიმართ. სხვა გზით მას არ შეეძლო ყველაფერი ისე ეთქვა, როგორც სურდა, ხოლო რისი თქმის უფლებასაც აძლევდნენ, ის სრულიად მიუღებელი იყო მისთვის. სწორედ ამგვარი მდგომარეობის შესახებ მიუთითებდა ნ. ჩერნიშევსკი, როდესაც ამბობდა: ისე, როგორც შემიძლია, არ მინდა, ისე კი, როგორც მინდა, არ შემიძლიაო. ანალოგიური სასტიკი პირობები აიძულებდა აკაკი წერეთელსაც აღშფოთებით განეცხადებინა:

ყველა რომ ვთქვა, არ იქნება,
არ მომცემენ ამის ნებასს..
და თუ არ ვთქვი, გავსკდი გულზე...
ამფერ ამ ჩემს მოთმინებასს..
მოდი, ისევ სჯობს მივმართოთ
ანდაზებს და უმანკო ზმებს,
გზა და კვალი გავუკვლიოთ
უჟურულო აფორიზმებს
(„საახალწლო ანდაზები")

ცარიზმის მძვინვარების პერიოდში სასტიკად იდევნებოდა ყოველგვარი მებრძოლი, პროგრესული აზრი და თავისუფლებისმოყვარეობის გამოვლინება. ცენზურა სასტიკად ამახინჯებდა, დევნიდა და ცენზურული ვივისექციის უმკაცრეს ფორმებს მიმართავდა მოწინავე მწერალთა და მოაზროვნეთა თხზულებების მიმართ. ზოგჯერ საქმე იქამდეც კი მიდიოდა, რომ თვით ავტო-

რები იძულებულნი იყვნენ საშინელი გულისტკივილით ჩაედინათ ავტოცენზურული აქტები და იძულებით დაემახინჯებინათ საკუთარი ნაწარმოებები, ეწერათ ე. წ. ეზოპური ენით, ამოფარებოდნენ ნართაულ ფრაზებს, ეწერათ სიფრთხილით, გადაკვრით, რაც ხშირად ძნელად გასაგები იყო დაინტერესებული მკითხველისათვის.

ამ გარემოებაზე მიუთითებდა ვ. ი. ლენინი თავისი შრომის „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია"-ს წინასიტყვაობაში: „ბროშურა დაწერილია მეფის ცენზურის პირობებში. ამიტომ მე არა მარტო იძულებული ვიყავი სასტიკად შემეზღუდა ჩემი თავი... არამედ აგრეთვე ჩამომეყალიბებინა აუცილებელი არამრავალრიცხოვანი შენიშვნები პოლიტიკის შესახებ უდიდესი სიფრთხილით, გადაკვრით, იმ ეზოპური — წყეული ეზოპური — ენით, რომლის ხმარებასაც აიძულებდა ცარიზმი ყველა რევოლუციონერს, როდესაც ისინი „ლეგალური" ნაწარმოების დასაწერად კალამს ჰკიდებდნენ ხელს. სამძიმოა ეხლა, — განაგრძობდა ვ.ი. ლენინი, — თავისუფლების ჟამს, ბროშურის იმ ადგილების გადაკითხვა, რომლებიც მეფის ცენზურაზე ფიქრითაა დამახინჯებული, შევიწროებული, რკინის სალტაში ჩასმული". ასეთ პირობებში უხდებოდა თავიანთი გენიალური თხზულებების ბეჭდვა ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვს. ამის გამო ხშირად დიდ დაკვირვებას, ალღოს მოითხოვს დობროლუბოვის კრიტიკული წერილების ავტორისეული წარმოდგენის შესაბამისად ახსნა და გაგება-გათვალისწინება.

ასეთ პირობებში უხდებოდა წერა აკაკი წერეთელსაც. პოეტს ძლიერ ავიწროებდა მეფის ცენზურა. საყოველთაოდ ცნობილია, მგოსნის ნაწარმოებთა გადაკეთების, წაშლის, ამოღებისა და აკრძალვის მრავალი ფაქტი. ცენზურის სისასტიკის შესახებ პოეტი წერდა: „ჩემ სიცოცხლეში, ცხადად თუ სიზმრად, ერთი რამ მაფრთხობდა ყველაზე მეტად და საფლავშიც ქარ-ცეცხლად მიმყვება. მე ვამბობ „ცენზურაზე." ვინც მომსწრე არ არის და არ გამოსცადა, იმას მარტო განაგონით წარმოდგენაც არ შეუძლია მისი, თუ რა იყო წინეთ ის საოცარი „ცენზურა".[1] „ბევრი სიმწარე გამოგვივლია ცენზორების ხელში.[2] ცხადია, აკაკის ძლიერ უჭირდა ასეთ სასტიკ პირობებში იმის ნათლად, გარკვევით და სრულად თქმა, რისი თქმაც ეწადა. მაგრამ პოეტი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა მზის სინათლეზე გამოეტანა შავ-ბნელი სისაძაგლე. იგი წერდა:

---

[1] აკაკი წერეთელი, თხზ., სრ. კრებული, ტ. 14, გვ. 335.
[2] იქვე, გვ. 338.

დროა, იმათ ბნელ საქმეებს
მიენათოს დღეს ლამპარი,
რომ გამოჩნდნენ ნათლად და მთლად
საქმე მათი შესაზარი.

(„ძველი და ახალი წელი")

და მართლაც, აკაკიმ გაბედულად ამხილა და გაამათრახა მონარქიულ-ბიუროკრატიული წყობილების ძალადობა, ბოროტება, უსამართლობა, ხალხის უსაზღვრო ტანჯვა. ლექსში „ძველი და ახალი წელი" პოეტმა იგავ-არაკული ჟანრის გამოყენებით დახატა მეფის მოხელეთა ანგარებისა და მათ მიერ ხალხის ტანჯვის რეალისტური სურათები:

რა გამრავლდნენ ტურა, მელა
და ძაღლები შინაური,
განყდა ჩვენში საქონელი,
ქათამი და ინდაური,
სულ საპლნობით მიდის ღვინო
და ტომრებით მისდევს პური!
ბატონ მელებს გაუმარჯოსთ!
მოგვწონს მათი სამსახური,
კუდის ქნევა, ფეხის სლაქვა
და ცქვიტინა მათი ყური:
არც იქით მხრით, არც აქეთ მხრით
არავინ ჰყავთ უმადური.

მეფის ბიუროკრატიული აპარატის ბობოლა მოხელეებსა და მათ მეთაურებს პოეტი ახასიათებს, როგორც ბრიყვსა და უგონო პირებს:

შეიდი მგელი კიდეე სხვა გვყავს,
თითო თითოს მაზრებშია,
ყველა ერთად ბოდიშს იხდის
ჭკუასა და აზრებშია.

— წერდა აკაკი.

თვითმპყრობელობის პოლიციური აპარატისა და სასამართლოს დახასიათებისას პოეტი არ შეუშინდა ისეთი ანალოგიების გამოყენებასაც კი, რომელიც მაშინ მეტად სახიფათო იყო და რომელსაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა მამხილებლის ფიზიკური განადგურებაც. იგავ-არაკულ ლექსში „ახალი სამართალი" პოეტი მეფის მსაჯულებს, ბრქაულებსა და ადვოკატებს ნართაულად ადარებდა მგლებსა და ვირებს:

როგორც ჩვენ გვყავს მსაჯულები,
პირუტყვთაც ისე ჰყავსთ ვირი,
პრისტავებად მათაც მგლები,
ადვოკატად მელა ძვირი!

იმ დროს არც ერთ პოეტს ისე მკაცრად და მოურიდებლად არ გაუმათრახებია მეფის ბიუროკრატიული მმართველობა და მისი სასამართლოს სისაძაგლე, როგორც ამხილა იგი აკაკი წერეთელმა. „ერთხელ ორი მომჩივარი მომადგა, — ალაპარაკებს აკაკი ერთ-ერთ მოსამართლეს, — მტყუანმა ცხვარი მომართვა და მართალმა კი ხმაც არ გამცა. ვუთხარი საქმეს „აბრუნდი" და დავაჭახრაკე. შეუტყვია მართალს, რომ ვიღუპებიო, და მოაბღავლა ჩემთან ჭრელი ძროხა. ეჰ, რაღა უნდა მექნა. დავარებე თავი „აბრუნდის" და შევუდექი ისევ „დაბრუნდის". აკი გაეგო მტყუანს! მოვიდა, მკითხა:

— ჩემი ცხვარი რასა იქსო?

— შენ ცხვარს რქა ამოჰკრა და გვერდი შეახალა იმ ძროხამ, რომელიც შენმა მომჩივანმა მომართვა.

— ეჰ, მაგას ნუ ინებებთ, ღმერთი გადღეგრძელებს, ოღონდ იმ ცხვარს უაქიმეთ და საექიმო ჩემგან მიიღეთო! — ამოიღო ორი წითელი და მიჩიტა ხელში.

ამისთანა ბევრი ბედი მომდგომია კარზე და მეც წიხლი არ მიკრავს".

ქრთამი მეფის სასამართლოს „მართლმსაჯულების" საფუძველი იყო. „ერთ მაზრის მსაჯულთან, — წერდა აკაკი, — მივიდა ერთი გაიძვერა და სთხოვა ამა და ამ უკანონო საქმეში მომეხმარე და ასი თუმანი შენი იყოსო. იუცხოვა მოხელემ! მაშინ მეორეთ მიუბრუნდა გაიძვერა და ჰკითხა სახლს ხომ არ გაჰყიდითო? — რატომ არაო? — უპასუხა მაზრის უფროსმა და მორიგდნენ რვაას თუმნათ, იმ პირობით, რომ თუ გაიძვერა დროზე ვერ ჩააბარებდა, უნდა შტრაფი (ვითომ ძალა?) რვაასი თუმანი მიეცა და მისცა კიდევაც. აი, ბატონო, გადაბრუნებული რომ ყოფილიყო ქრთამი იქნებოდა და რომ გადმოაბრუნეს კომერცია გახდა!" — ირონიულად შენიშნავს პოეტი.

აკაკიმ გაიცხა გლეხების მატყუარა ადვოკატებიც, რომლებიც საწყალ ხალხს დაუზოგავად აძრობდნენ ტყავს. გლეხების პირით პოეტი საქვეყნოდ აცხადებდა: „მიიღეთ მოწყალება და მოგვხედეთ... ატუკანტების (ადვოკატების — პ. კ.) თავი აღარა გვაქვს. ამოვარდეს მათი ოჯახი, იმათ გაგვატყავეს".

ხალხის ტანჯვას კიდევ უფრო ამძიმებდა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა, კერძოდ, მშობლიური ენის დევნა და დაწესებულებებში საქმის წარმოება მასებისათვის გაუგებარ ენაზე. აკაკი წერეთელი სასტიკად ებრძოდა ბურჟუაზიას, რომლის შესახებაც ვ. ი. ლენინი ამბობდა: „მემამულეების მხრივ ამ ჩაგვრას... დაერთო კიდევ ჩაგვრა კაპიტალის მხრივ. ფულის ძალა... მთელი თავისი სიმძიმით ღაატყდა თავზე ჩვენს ნახევ-

რად ყმა გლეხებს"[1]. აკაკის სასტიკად სძულდა ბურჟუაზია, რომლის შესახებაც ვ. ი. ლენინი წერდა: „ჩვენ, პროლეტარებს, მრავალჯერ გვინახავს, თუ როგორ გაუყიდია ბურჟუაზიას თავისუფლების, სამშობლოს, ენის და ერის ინტერესები"[2]. აკაკი დაუზოგავად კიცხავდა ბურჟუაზიას, მდიდრებს, ხალხის სისხლისმსმელ ჩარჩ-ვაჭრებს, მატყუარა და ცბიერ მევახშეებს, სოფლის წვრილ ბურჟუაზიულ ფენებს. პოეტის სამართლიანი დახასიათებით საქვეყნო, საზოგადო საქმეს მხოლოდ ღარიბ-ღატაკები ემსახურებიან, მდიდრები მხოლოდ საკუთარი, ეგოისტური მისწრაფებებით არიან გატაცებულნი და ამიტომ სრულიადაც არ არიან ხალხის პატივისცემისა და ყურადღების ღირსნი: აბა, მიჩვენეთ ერთი მაგალითი, — წერს აკაკი, — რომ მდიდარ ქართველს რამე სასახელო საქმე ექნას? ჩვენში რაც რომ საზოგადო საქმეა, სულ ღარიბ-ღატაკების შრომითა და შემწეობით გაკეთებულა და კეთდება. მაშ რაღა დასაძრახისია, რომ ჩვენ მდიდრებისაკენ გული არ გვიწევდეს. იმათ ნება არა აქვთ. რომ ჩვენგან რაიმე პატივისცემა მოითხოვონ". პოეტს სძულდა ვაჭრები. ის ნათლად ხედავდა, რომ ვაჭრების სიმდიდრე შექმნილია ღარიბების სისხლითა და ოფლით, გლეხობის ძარცვა-გლეჯით. მოთმინებიდან გამოსული გლეხი ვაჭარს მიმართავს:

ვაჭარო, მაგ შენ აბაზში
სისხლი და ოფლი ჩვენიაl
როჟორ არა გაქვს ღვთის შიში,
ან კაცის რად არ გრცხვენია...
სოფელს ატყავებ უშიშრად
და თამამად ჰხრავ ქალაქსა...

პოეტი გაბედულად გამოხატავს ვაჭრების მსუნაგობას და გაძვალტყავებული გლეხობის პროტესტს. ვაჭრისაგან გაყვლეფილი გლეხი მზად არის ვაჭარს სისხლი დაანთხევინოს:

სისხლმეტი ხომ არ გაშფოთებს,
ხომ არ თხოულობ დალაქსა?

ლექსში „ახალი სიმღერა" პოეტი აღნიშნავდა, რომ დესპოტიზმის სასტიკი მძვინვარების პირობებში თარეშობს სისხლიანი ძალადობა და აუტანელი ჩაგვრა; ყველგან გაისმის შემაძრწუნებელი ბრძანება: „ჰკარ, მოჰკალ, შეჰკარ, შეიპყარ"! ამგვარი უსამართლობისა და გაუგონარი რისხვის შედეგად იჩაგრებიან საწყლები... „ცრემლზე ცრემლს ღვრიან მწარესა".

აკაკი მოურიდებლად აცხადებდა, რომ ცარიზმის ბატონო-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 4, გვ. 519.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 6, გვ. 574.

ბის პირობებში ხალხის ცხოვრება უკუღმა ტრიალებს, ქვეყანას განაგებენ უვიცები, ბრიყვები და აშკარა ბოროტმოქმედთა ხროვანი. ყველგან ზეიმობს ძალადობა, მმართველი წრეების პარაზიტიზმი, მტაცებლობა, უკანონობა, გამცემლობა. ღალატი და ბიწიერება:

გამოიცვალა ქვეყანა,
ჩარხი უკუღმა ტრიალებს:
ეირი კოკობ ვარდს დაჰგალობს,
ბულბული ვირებრ პღრიალებს!..
ქურდები სჭრიან სამართალს,
მართლებს უყრიან ბორკილსა
და ქვეყნის მტერი იუდა
დასცინის მამულისშვილსა!
ბრიყვი და უსწავლელები
თავში უდგია ჭკეიანებს...
გაჰქრეს ეს ჟამი ბარემღა,
ნეტავი რას იგვიანებს?!

(„გამოცვლილი დრო“)

იბრძოდა რა პიროვნებისა და შრომის განთავისუფლებისათვის, ბატონყმობისა და ცარიზმის მოსპობისათვის, ხალხის ბედნიერი და კეთილი ცხოვრების მოსაპოვებლად, აკაკი წერეთელი ხედავდა, რომ ბატონყმური რეფორმების შემდეგდროინდელ ეპოქაში ძველი საზოგადოებრივ-ეკონომიური პირობები თანდათან ინგრეოდა და გზას იკაფავდა ახლი ურთიერთობანი. 1862-1905 წლების პერიოდი ლენინის დახასიათებით იყო სწორედ „მსხვრევის ეპოქა რუსეთში, როცა ძველი სამუდამოდ, ყველას თვალწინ ინგრეოდა, ახალი კი მხოლოდ ეწყობოდა“.[1] ამ ახლის განვითარების სრული შინაარსი და ხასიათი შესაძლებელია პოეტისათვის არ იყო მთლიანად გარკვეული, მაგრამ იგი კარგად ხედავდა, რომ მშრომელი ხალხი ამ ახალ ურთიერთობაში ყოველმხრივ იჩაგრებოდა გაძლიერებული ექსპლოატაციის, უუფლებობის, მემამულეების, ცარიზმისა და ბურჟუაზიის მხეცური მოქმედების გამო. ამიტომ ჩქარა, რომ აკაკიმ მდგომარეობის განჭვრეტის საფუძველზე აღნიშნა:

გაგვიბატონდა ბურჟუა,
განმტკიცდა ბატონ-ყმობაცა,
სულ გაცალკევდა ნოდება,
თან გაჰყვა მას თანხმობაცა.
სულყველა გლეხკაცს დააწვა:
ბატონი, მღვდელი, ბურჟუა
ყოველი მხრიდან ტანჯული
გამოიჭყლიტა მათ შუა.

(„მოხუცის გრძნობა“)

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზულებანი, ტ. 17, გვ. 42.

ხალხის ამ უსაზღვრო წამების გამო აკაკი წერეთელი აღშფოთებით აცხადებდა: „აი, რა ვუთხრა ამ სოფლის ბრუნვას და თვალიც დაუდგეს მის სამართალს! ეჰ, ვინ გაარჩიოს სწორი და მრუდე, მტყუანი და მართალი. მართლად თქმულა: „სულ ბნელია, რაცა ელავსო!“[1]... და ბოროტებისადმი შურისძიების მრისხანე გრძნობით აღსილმა პოეტმა წარმოსთქვა:

ფუ! იმ მოედანს, სადაცა
ვირები ბედაურობენ!
შაბაშ იმ ერსა, რომელსაც
უღირსნი მეთაურობენ. („სიმართლე“)

ამგვარ პირობებში მწარე სიცოცხლეს, პოეტი თავისუფლებისათვის ბრძოლაში სიკვდილს ამჯობინებს, რის გამოც იგი შეუდრეკელი ბრძოლისაკენ მოუწოდებდა ხალხს:

მაშინ აღარ ღირს სიცოცხლე,
სიკვდილი სანატრელია...
მაგრამ უძებრად შურისა,
ვაი, რომ ისიც ძნელია.
(„სიმართლე“)

აკაკი ხალხის მტრად თვლიდა ანგარებით შეპყრობილ სამღვდელოებასაც. მღვდლები, — წერდა აკაკი, — „როგორც მგლების ხროვა ცხვარში, ისე დაგლიჯინობენ... თავიანთ სამწყსოში. ისე თვალთმაქცობენ, როგორც ძველ დროში ქურუმები“[2]. პოეტი საოცარი პირდაპირობითა და ჩვეული პრინციპულობით ააშკარავებდა მღვდლების ვერაგობასა და ანგარებას. აკაკის დახასიათებით, ზოგიერთი მღვდელი იმდენად გატაცებულია ეგოისტური მისწრაფებებით, რომ მას ახარებს მრევლის ამოჟლეტა, რადგან მიცვალებულთა დასაფლავებით დიდი შემოსავალი გაუჩნდება. საყურადღებოა პოეტის მიერ გადმოცემული ერთი მღვდლის წერილი. აქ მღვდელი გაბრიელი წერს თავის მწყალობელს: „მაკურთხეს თუ არა, თქვენის წყალობით, მაშინვე მივაშურე თქვენგანვე ნაბოძებ მრევლს. ჩემმა სასო ღვთისმშობელმა ლმობიერად გადმოხედა ჩემს სიღარიბეს: შეწევნითა ღვთისათა მოგვევლინა მუცელკეთილი და სულ გასწყვიტა ხალხი!.. მე თითქმის დამარხვას ვერ აუვედი. თუ ჯერ კიდევ არ მომეშველა მადლი — ზენათა, სულს ჩაიდგამს თქვენი მორჩილი მონა“. ამგვარი მღვდლების ხელში, — შენიშნავს აკაკი, — „ჭირისუფ-

---

1 აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. VIII, გვ. 74.
2 გაზ. „დროება“, 1873, № 49.

ლები იმდენად თავის მკვდრებს აღარ სტირიან, რამდენადაც ვალში ჩავარდნით ოჯახის დაქცევას, რადგანაც მკვდრის დამარხვის და წესის აგების უფლება მამასისხლად უნდა იყიდოს ხოლმეო".

პოეტი მომავალზე გულს არ იტეხდა, იგი გამსჭვალული იყო ღრმა ოპტიმიზმით, სწამდა, რომ ხალხთა ჩაგვრაზე აგებული უსამართლო რეჟიმი, სადაც „ყველგან სიცრუეა და თვალთმაქცობაა, გაცემა და მოტყუებაა და სადაც უსამართლობა სჩაგრავს სიმართლეს, ბოროტი კეთილს არ ეპუება", საბოლოოდ დაინგრევა, თავგასულ ძალადობას ბოლო მოეღება, დაბეჩავებული სამშობლო აყვავდება, გაიმარჯვებს სიმართლე.

პოეტი ამჩნევდა ცხოვრების მძლავრ ჭიდილში ჩაბმულ ძალებს, ამ ძალთა გაფურჩქვნისა და ბოროტებაზე უდაო გამარჯვების მომავალს. მწერალი შეჰხაროდა ამ გამარჯვების ვარსკვლავს და ნერგავდა ხალხში დიადი მომავლის რწმენას, გამარჯვების იმედს, რითაც ხელს უწყობდა უსამართლობის წინააღმდეგ მასების ენერგიული ბრძოლის გაჩაღებას.

აკაკი წერეთელმა კარგად იცოდა, რომ საქართველოს ფესვი ჯერ ისევ ძლიერი იყო, რომ იგი ხელახლა ამოიყრიდა საიმედო ყლორტებს. ამიტომ პოეტი გულმოდგინედ ამხნევებდა საზოგადოებას: „მართალია, ზედაპირს აღარ ეტყობა სიცოცხლე... უზომოთ გადაწეულ-გადმოწეული ტოტები გამხმარა, მაგრამ საქმე ძირშია. ის ჯერ ისევ ძლიერია და მისი ფესვები აქეთიქით ღრმად გამდგარა. მზად არის ხელახლად ამოიყაროს. საჭიროა მხოლოდ რომ ზედ „მომავალი" ახალ ნამყენად დაირგოს და ჩვენც ჩვენი „აწმყო" უნდა გზად და ხიდად გავიდვათ ამ ორთა შუა".

მომავლის იმედით ანთებული პოეტი ხალხში ყოველთვის მხნეობას ნერგავდა. საშინელი აწმყოს იქით იგი ჭვრეტდა ბედნიერ მომავალს, რომელიც ხალხს ბრძოლით უნდა მოეპოვებინა. „ჩვენი აწმყო უსაშველოა და მომავალში კი უნდა ველოდეთ ამ უბედურებიდან გამოსვლას, მომავალი ახალთაობის შრომითა და თავგანწირულებით"...

დიდებული პოეტი საოცარი წინასწარგანჭვრეტით გრძნობდა მოახლოებულ ბედნიერ მომავალს, რომელიც მეოცე საუკუნეს უნდა განეხორციელებინა. ის უკვე ხედავდა წყლულის განმკურნებელ, საოცნებო მომავლის სხივებს და უდრეკი მხნეობით, გაბედულად ეგებებოდა მას და აცხადებდა: ბევრს აღარას ვნაღვლობ მე გინდ ყეფითაც მიმაცილონ საფლავის კარამდე, ოღონდ კი მომავლის აკვანს „მზე შინათი" მიეგებოს ჩვენი ერიო.

ამ იმედით აღფრთოვანებული აკაკი მოითხოვდა მოქმედებაზე გადასვლას და მეოცე საუკუნეს ბრძოლის, შეუპოვრობისა და გამარჯვების საუკუნედ მიიჩნევდა და სასტიკი რეაქციის წლებში მშრომელ მასებს გამამხნევებელი წინასწარჭვრეტით ეუბნებოდა: „ის ნიადაგი, ის ხალხი, რომელმაც წარმოშობა: დიდი მოურავი, მთაწმინდელები, პეტრიწი, რუსთაველი და სხვა მსოფლიო გმირები... კიდევ წარმოშობს იმისთანა გმირებს, რომელიც თქვენ გეჭირვებათ და მოელით... მე ვერ მოვესწრები იმ მომავალი გმირის მირქმას, მაგრამ გულში იმედებით კი ჩავალ საფლავში და ჩემი უკანასკნელი სიმღერა იქნება: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს-მეთქი“.

ცარიზმის მძიმე უღლის ქვეშ მოქცეულ სამშობლოს გადაუდგა თავადაზნაურთა გარკვეული წრე, რომელიც სავსებით მიემხრო თვითმპყრობელობას და ზურგი შეაქცია სამშობლოს ინტერესებს. საკუთარი ქვეყნისადმი ორგულობის ჯილდოდ თავადაზნაურთა ამ ჯგუფმა მთავრობისაგან მიიღო ჩინ-მედლები, მაღალი თანამდებობები და საკუთარი მეურნეობისა და ცხოვრების ნებიერად მოწყობის სხვადასხვა საშუალება და დახმარებანი. გადაგვარებული თავადაზნაურობა და მისი მიმყოლნი ხელს ითბობდნენ ქვეყნის უბედურების ხანძარზე. „მათ თავზე ხელს უსვამდა სპარსეთის (ე. ი. ცარიზმის — პ. კ.) ახალი პოლიტიკა, სასახლის კარზე დაიჭირეს უპირველესი ადგილები და ადვილად გამდიდრებულნი მიეცნენ მცონარობას, და საკუთარი მდგომარეობის ასამაღლებლად შეუდგნენ სამშობლოს ნელ-ნელა განწირვას“. მათ ჩვეულებრივ მოვლენად აქციეს ქიშპობა, შური, მტრობა, მლიქვნელობა, ღალატი, გაუტანლობა, უზნეობა, ბეზღება და ბიწიერება. გადაგვარებული თავადაზნაურობა და მათი დამქაშები მუდამ პირად კარიერაზე ზრუნავდნენ და ქვეყანას საკუთარი სარგებლობის თვალით უყურებდნენ და ურცხვად ღალატობდნენ სამშობლოს ინტერესებს.

აკაკი წერეთელი ხედავდა, რომ გადაგვარებულმა თავადაზნაურობამ დაივიწყა სამშობლოს ინტერესები, დაუმეგობრდა ცარიზმს, ქვეყნის მტერს და მას „ულოკავს ფერხთა მტვერსა“[1]. ამგვარი გადაგვარებულის შესახებ პოეტი ირონიულად წერდა:

„რა გვარისა ვარ, აღარ ვიცი! დამეკარგა გვარტომობის დავთარი, ვინც ვიყავი, დავკარგე და რათაც მინდოდა გადავქცეულიყავ, ვერ შევიძელი, ველარ გავხდი და დავრჩი ორთა ტომთაშუა ისე, როგორც მეღამურა, რომელიც აღარც თაგვია

---

1 გაზ. „დროება“, 1871, № 66.

და აღარც ჩიტი!"[1] აკაკი თავის შემოქმედებაში სასტიკად კიცხავდა ამგვარ გადაგვარებულებს, წყევლა-კრულვით იხსენიებდა მათ და საქვეყნოდ ღაღადებდა:

კრულ იყოს მისი სახელი,
ვინც მთა გასცვალოს ბარზედა!
თვის ტომის დამნუნებელსა,
ჭირი მიუვა კარზედა!..
კრულია მისი ხსენება,
ვინც დაჰგმობს დედა ენასა;
თვის ტომს ღალატობს და მითი
თვით ჰფიქრობს მაღლა ფრენასა!

აკაკი წერეთელს ე. წ. მაღალი წოდება, ფეოდალური არისტოკრატია მიაჩნდა სამშობლოს ურგებ შვილებად. რომლებიც თავიანთი მოქმედებით ზიანს აყენებდნენ ქვეყანას: „რაც უფრო მაღლა ავიხედავთ, უფრო თვალ და თვალ ვხედავთ, — წერდა აკაკი, — „მამულის უვარგო-შვილობას". არასმარგენი არც საქმითა და არც სიტყვით, თითქმის შურსაც კი აგებენ ყოველივე მშობლიურს"[2]...

გადაგვარებული, ზნედაცემული, დაკნინებული და ქვეყნისათვის უსარგებლო თავადაზნაურული წოდების შესახებ აკაკი მებაღე ტარიელას პირით აცხადებდა:

გადასხეპვა ეჭირვება,
წამალია მისი დანა.

აკაკი წერეთელი მრავალჯერ შეეხო წოდებრივი ურთიერთობის საკითხს, გლეხობისა და თავადაზნაურობის პრობლემას. პოეტი ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ თავადაზნაურობა, ე. წ. მაღალი წოდება, ხალხისათვის ურგები, დაქვეითებული, ზნეობრივად დაცემული და მუქთამყლაპელია, მაგრამ იმ დროს. 1876 წელს, აკაკის მაინც მიზანშეწონილად მიაჩნდა ორივე წოდების შეერთებული ძალით ბრძოლა გარეშე მტრების წინააღმდეგ: „მაღალი წოდების ხალხი, — წერდა პოეტი,— რომელსაც ოდესმე ჰქონდა მნიშვნელობა, დღეს თუმცა ურგებია და უმჯობესი იქნებოდა ეს უქმად მყლაპელები სულ არ ყოფილიყვნენ ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ, რადგანაც ჯერ გარეშე მტერი არ მოგვიშორებია და ოსმალები მუდამ ჩაყლაპვას გვექადებიან, ამისათვის საჭირო არის — ეს ორივე წოდება, როგორც მაღალი, ისე დაბალი, გაძლიერდეს... და ერთად შეერთებულის ძალით წინა-უდგებოდნენ გარეშე მტრებს".

---

[1] გაზ. „დროება", 1871, № 49.
[2] გაზ. „დროება", 1881, № 123.

მაგრამ აკაკი წერეთელმა მალე შეიცვალა ეს შეხედულება და აშკარად გაილაშქრა თავადაზნაურობის, როგორც პარაზიტი და გადაგვარებული წოდების წინააღმდეგ, აღიარა დაბალი წოდების, გლეხობის უპირატესი როლი ხალხის მომავალი ბედნიერებისათვის ბრძოლაში. თავადაზნაურული წოდება აკაკიმ დაახასიათა როგორც ნიადაგგამოცლილი, დაკნინებული, პარაზიტად ქცეული, გადაგვარებული და უვიცი ბრბო, რომელსაც ფეხი ვერ მოუკიდია იმაზე, რაც მამაპაპათაგან დარჩა და თავი მოსწონს მხოლოდ წინაპრებით, შთამომავლობით, საისტორიო მოწმობით. „დღევანდელი გაქსუებული, — წერდა აკაკი თავადაზნაურობის შესახებ, — „მრავალ-ჟამიერის“ მოღრიალე და ხანჯლის მოტრიალე ძველი ოჯახების ნაშთები... იმას როშავს, რაც თვითონ არ გაეგებაო.. მათ რიცხვში ბევრს შეხვდებით მისთანას, რომ თავი მარტო მოჰქონდეს წინაპრებით და თითონ კი არა იყოს რა“.

აკაკიმ თავის ადრინდელ ნაწარმოებებშიც ამხილა მებატონე თავადაზნაურობა. მან იგი დაახასიათა, როგორც ზნეობრივად მახინჯი, სრულიად ჩამორჩენილი, გონებაჩლუნგი და მუქთახორა პარაზიტი. რომელსაც უსასრულო ძილისა და უზომო გულისამრევი ჭამა-სმის გარდა სხვა იდეალი არ გააჩნია. პოეტის მოხდენილი თქმით: ეს მებატონეები ერთ კაცადაც არ ღირან, ყველაც რომ მივაწებოო... აკაკის ღრმა რწმენით, უმოქმედო, ჩამორჩენილი და ნიადაგგამოცლილი თავადაზნაურობა, რომელსაც ძალადობით ჩაუგდია ხელში ძალაუფლება და პრივილეგიური მდგომარეობა, ღირსი არ არის ქვეყანას მეთაურობდეს: მას აწმყოში წილი არ უდევს, იმას მომავალი აღარ ერგება და არც წარსულს უნდა ეპოტინებოდესო. ამით აკაკიმ განავითარა ის აზრი, რომ რაც კარგი, პროგრესული, სასარგებლო და სახელოვანი შექმნილა წარსულში, საუკუნეობრივი ბრძოლისა და შრომის საფუძველზე, ან იქმნება აწმყოში და შეიქმნება და განვითარდება მომავალში — ყველა ამის ბატონ-პატრონია არა ქარაფშუტა და გადაგვარებული თავადაზნაურობა, არამედ ხალხი, მშრომელები, ძარღვიანი გლეხკაცობა, რომელმაც დიდი პოტენციური ძალა, მაგარი ნებისყოფა და შრომის დაუშრეტელი ენერგია გამოავლინაო. ზნედაცემული, გადაგვარებული თავადაზნაურობა, პოეტის აზრით, შეცოდების ღირსი არ არის:

რომ შევიბრალო, არა ღირს!..
აბა, რა საცოდავია?
ისეე ხოლერას დავუთმობ,
იმან გააძროს ტყავია...

აკაკი დიდად აფასებდა გლეხობას და ქვეყნის მომავალს ღარიბი ხალხის შრომასა და გულწრფელ მოღვაწეობაში ხედავდა. გლეხობა მიაჩნდა მას ეროვნების ფესვად. „მე ხალხს ვეძახი, — წერდა აკაკი, — დაბალ წრეს, რომელსაც ნიადაგი არ გამოსცლია ფეხ-ქვეშ და არ გახუნებულა ზედაპირსავით. მისი ინსტინქტი უტყუარია, მაშინ, როდესაც მისი ზედაპირი (ე. ი. თავადაზნაურობა — პ. კ.) ნამდვილი ბრბოა, იმას როშავს, რაც არ გაეგებაო!.." საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზიდან თავადაზნაურობისა და ვაჭრების განდევნის შემდეგ „დაგვრჩება ხელში, — წერდა პოეტი, — ჩვენი მშრომელი, მიწის მუშა ხალხი და აი, ვის უნდა ეკუთვნოდეს ჩვენი სრული თანაგრძნობა. ამათ კეთილდღეობას უნდა ვუმზადებდეთ და შევხაროდეთ, ხელს ვუწყობდეთ და რჩევას ვაძლევდეთ". აკაკის რწმენით ერი, ხალხი თაყვანს სცემს და მეთაურად იმას აღიარებს, ვინც ქვეყანას გულწრფელად ემსახურება და ხალხის ინტერესების განხორციელების საქმეს სათავეში უდგას, ხოლო ასეთი მეთაურობა კი დამსახურებულად ეკუთვნის იმას, ვისაც ახასიათებს კაცურ-კაცობა, ნამდვილად შესწევს უნარი და ძალა საზოგადოების კეთილდღეობისათვის თავდადებული ბრძოლისა და მოღვაწეობისა, ხოლო დღეს ამგვარი მეთაურობა ძველ თავადაზნაურობასა და მის ჩამომავალთ აღარ შეუძლიათ. „ძველი დრო წავიდა, — წერდა აკაკი, — და მას თან გაჰყვა ძველ-გვარი თავადაზნაურობაც. ახლა სულ სხვა დრო დადგა, სხვა მოთხოვნილებით და თავადებიც სხვაგვარი გვეჭირვება. ეს ესმის ხალხს და ნურაფერს უკაცრავად, თუ ძველ თავადაზნაურთა ჩამომავალთ, რომელთაც დღეს, არა თუ მეთაურობა და თავადობა არ შეუძლიათ, ფეხიც ვეღარ მოუკიდიათ იმაზე, რაც მამა-პაპათაგან დარჩათ, იმავე პატივით ვერ იხსენიებდეს, როგორც მათ წინაპრებს და სულ სხვას აღიარებდეს დღევანდელ თავადად!.. ჩვენი ერი, დღესაც, მხოლოდ იმას სცემს თაყვანს და აღიარებს თავადად, ვინც დღევანდელ საქმეს თავში უდგია და ქვეყანას გულწრფელად ემსახურება. ის აფასებს კაცურ-კაცობით და არა საისტორიო მოწმობით. ეს ნათლად დაგვანახა, — განაგრძობს აკაკი — გ. წერეთლის გასვენებამ: მიუხედავად იმ წრისა, რომელიც დედამიწასთან გასწორებას ცდილობდა განსვენებული გიორგი წერეთლისას და სიცოცხლეში მოსვენებას არ აძლევდა, დაბალმა ხალხმა „ფესვმა ეროვნებისამ", თვით დასდვა მას თავისი საკუთარი უტყუარი მსჯავრი და „ვაშა" მის განაჩენს".

პოეტი თავისუფალ დროს გლეხებთან საუბარში ატარებდა და ყოველთვის სათუთად ინახავდა მშრომელთა სიყვარულს, მათდამი გულწრფელ თანაგრძნობას. აღსანიშნავია, რომ

სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში პოეტმა თავის ზოგიერთ ნაწერთან ერთად, გლეხობისაგან მოძღვნილი ხონჩაც მოითხოვა და როდესაც თვალი მოავლო ზედ წარწერილ სიტყვებს: „გაუმარჯოს აკაკის“ — ცრემლი მოედინა და ქვითინი დაიწყო. აკაკი აფასებდა და უმღეროდა გლეხის პატიოსან შრომისმოყვარეობას და სასტიკად ამათრახებდა მუქთახორა პარაზიტებს, რომლებიც სხვისი შრომის მიტაცებით ცხოვრობდნენ. ლექსში „მუშის ნატვრა“ პოეტმა დახატა გლეხის შრომისადმი სიყვარული; გამრჯე და შრომისმოყვარე გლეხი აცხადებს:

ვისაც რა უნდა უყვარდეს,
სულ სხვაა ჩემი ტრფიალი:
მიყვარს პირწმინდა ნამგალი,
მისი ყანაში ტრიალი..

აკაკის რწმენით გლეხი შრომასა და ჯაფაში იწრთობა და მტკიცდება. ტანჯვის უღელში გაბმული გლეხისათვის შრომა და შრომის სიმღერა ერთადერთი ნუგეში და გამამხნევებელია:

სიმინდსა თოხნა დავუწყოთ,
ერთხმად დავძახოთ მუშური
ეგებ მაშინ დაგვავიწყდეს,
რომ გლეხნი ვართ უბედური! („მუშური“).

ასევე მღერიან სამუშაოდ მომზადებული მშრომელი გლეხები:

გავლესოთ, ძმებო, ნამგალი,
პური შეგვქმნია სამკალი,
ჯერ „პოოპუმ“ დავაგუგუნოთ
და მერე — „პარი-პარალი!
(„სიმღერა მკის დროს“)

გლეხი თავს ევლება ყანას, შემოსულ პურს, შრომის იარაღებსა და გამწევ ძალას. იგი უღრმესი სიყვარულით უმღერის თავისი შრომის ნაყოფს. მაგრამ ამასთანავე, ის უსამართლობის მიმართ არ ამჟღავნებს პასიურ დამოკიდებულებას. მშრომელი გლეხობა პროტესტს აცხადებდა მჩაგვრელების წინააღმდეგ. მისი შრომის ჰანგი მკაცრად უპირისპირდებოდა იძულებითი მუშაობისა და ადამიანთა ექსპლუატაციის მახინჯ მოვლენებს. ერთ-ერთ ნაწარმოებში აკაკი აცხადებდა: „იძულებითი შრომა, აბა, რა არის, თუ არ ტანჯვა?!“ მშრომელმა გლეხმა კარგად იცის იძულებითი შრომის საშინელება, მისი სიმძიმე და მტაცებლური ხასიათი. ამიტომ თავის ნაღვლიან სიმღერაში იგი გადაჭრით

ილაშქრებს მტაცებლების. ექსპლუატატორების წინააღმდეგ და უმძიმეს დანაშაულად თვლის სხვისი ოფლით მონაპოვარი ნაყოფის მითვისებას. მშრომელი გლეხის რწმენით პატიოსან მუშას არაფერი აქვს საერთო მტაცებლობასთან, რადგან ეს უკანასკნელი საზიზღრობაა, მძარცველი ჩაქოლვის ღირსია:

თავი მოუკვდეს ზოვიერთს,
რომ იტაცებენ სხვისასა...
საწყალ კაცს ჯიბეს აჭრიან
ურცხვად იცინებენ ქისასა.

დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი ნ. დობროლუბოვი, როდესაც ახასიათებდა მშრომელ გლეხობას, ყველგან ავითარებდა იმ სწორ შეხედულებას, რომ თითოეული ადამიანი თავისი შრომით უნდა ცხოვრობდეს, არავის არ აქვს უფლება იცხოვროს სხვისი შრომის ნაყოფით, მიითვისოს სხვისი ნაოფლარი, შეავიწროვოს, დაჩაგროს, დაიმონოს მშრომელი ადამიანი. ყველამ პატიოსნად უნდა იშრომოს და იცხოვროს საკუთარი შრომის ნაყოფითო.

აკაკი წერეთელი უმღერის რა პატიოსან შრომას, მთელი ძალღონით ებრძვის შრომის ტყვეობას და მოითხოვს მის განთავისუფლებას. შრომისმოყვარე გლეხის დახატვისას იგი ავითარებს იმ აზრს, რომ ყველა პატიოსნად უნდა შრომობდეს, არავის აქვს უფლება სხვისი შრომის ხარჯზე ცხოვრობდეს. მტაცებლობა, ძალმომრეობა და მონობა უდიდესი ბოროტებაა. პოეტი ღრმა სიყვარულის გრძნობით ხატავს ისეთ გლეხობას, რომელსაც შეგნებული აქვს თავისუფალი შრომის აუცილებლობა, ებრძვის ძალმომრეობას და იმედით გარემოცული ოცნებობს თავის კეთილ მომავალზე. „გლეხები, — ერთ-ერთი პერსონაჟის პირით აცხადებდა პოეტი, — ძალიან გულისხმიერნი არიან... ჩვენი გლეხი ხალხი საკვირველი ხალხია, იმას თანაშობილად არა აქვს ბუნებაში მონება", იგი მომავალზე ფიქრობს და „რაღა თქმა უნდა, რომ ამისთანა ხალხი წინ წავა". აკაკის მოსწონს მშრომელი გლეხი იმის გამოც, რომ იგი მაგარი ბუნებისაა, ხასიათდება ამტანობით, გონებამახვილობით, არაჩვეულებრივი სულიერი ძალით, ნებისყოფის სიმტკიცითა და მებრძოლი ხასიათით. ნიშანდობლივია, რომ ნ. დობროლუბოვის მოხდენილი დახასიათებით გლეხები «Сохраняют свою жизненность даже посреди самых неблагоприятных обстоятельств». პოეტის აზრით, გლეხობა უდიდეს ისტორიულ ძალას წარმოადგენს, და მას შესწევს საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის უნარი.

მიუხედავად იმისა, რომ გლეხი სასტიკად იჩაგრებოდა, იგი მაინც უძლებდა გასაჭირს:

უდროოდ გცივათ და გცხელათ,
ბევრჯელაც რჩებით მშიერი;
მაგრამ ყველაფერს აიტანს
თქვენი ბუნება ძლიერი! —

ასე ეუბნებოდა პოეტი გლეხებს ლექსში „მუშებს“.

გლეხკაცის ძალა და უშრეტი ოპტიმიზმი, პოეტის აზრით, შეპირობებულია მისი შრომისადმი სიყვარულით. შრომა აჯანსაღებს, აძლიერებს, აკეთილშობილებს ადამიანს. შრომა ბედნიერების საფუძველია. იგი ცხოველმყოფელი, გარდამქმნელი ძალაა; ვინც პატიოსნად და ბეჯითად შრომობს, ის ფესვმაგარია. შრომის სიდიადისადმი ამგვარი დამოკიდებულება აკაკიმ მკაფიოდ გამოხატა პოემაში: „გორგასლანი“. სასიკვდილოდ განწირული, ავადმყოფი მეფე გლეხმა განკურნა შრომის საშუალებით. ამ სასწაულებრივი მოვლენით გამოფხიზლებული მეფე ვახტანგ გორგასალი ეუბნება:

თურმე ტყუილი ყოფილა ყველა
ჭრელა-ჭრელები ამ ქვეყნიერად
და, ადამიანს თუ გსურს იცხოვრო
აქ მოსვენებით და ბედნიერად,
უნდა იშრომო და შრომის ოფლით
გაჰბანო შენი დაღალულობა,
რომ არ დაეტყოს შენს ნაშრომ-ნაღვანს
ძალდატანება და უგულობა.
მხოლოდ გლეხისას მე შევიგენი
ჭეშმარიტება ეს უტყუარი
და ჩემმა გულმაც შეება-სიხარულს
სათანაგრძნობო გაუღო კარი.

პოეტმა ვახტანგ გორგასალის ამ შეგონებით მგზნებარე ჰიმნი უმღერა შრომას. ნათელი სტრიქონებით ასახა შრომის სიდიადე და საქვეყნოდ აღიარა: ვინც პატიოსნად არ შრომობს, ის დასაღუპავადაა განწირული, ხოლო ვინც შრომობს—მომავალიც მისია. პოეტის დახასიათებით უმოქმედო, პარაზიტი, მხოლოდ შთამომავლობით თავმომწონე, უქნარა თავადაზნაურობა და ყოველი მუქთახორა გაბუნდა, დაეცა და დაუძლურდა. მას წილი არ აქვს ქვეყნის განვითარებაში, იგი უფსკრულისაკენ მიექანება და იღუპება. მშრომელი გლეხობა კი ჯანსაღია და ძლიერი. იგი ქვეყნის განვითარების დიდი ძალაა, მისი საფუძველი მაგარია. იგი კეთილი მომავლის ნამდვილი მემკვიდრე და ძლევამოსილი მჭედელია.

აკაკი წერეთელმა თავის შემოქმედებაში ბევრჯერ გაუსვა ხაზი გლეხების დიდ დამსახურებას სამშობლოს წინაშე. პოეტის დახასიათებით, გლეხები მძიმე შრომასთან ერთად, სისხლით იცავდნენ თავიანთ მიწა-წყალს შემოსეული მოძალადე აგრესორებისაგან. ისინი ანადგურებდნენ სამშობლოს შიგნით არსებულ მოღალატეებს და გმირულად წირავდნენ სიცოცხლეს ქვეყნის თავისუფლების, ღირსებისა და დიდების საქმეს. ქართველი გლეხები გმირულად იბრძოდნენ შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ. ამ მხრივ საინტერესოა „პატარა კახში" ასახული ეპიზოდები: გლეხებმა გაიგეს თუ არა მოხუცი ბრძა გელასაგან, რომ სამშობლო ემზადება დამპყრობი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, მათ ერთხმად განაცხადეს:

ჩვენი მამები თუკი ომობდნენ,
იმათზე ნაკლებ ჩვენ რიღათი ვართ?
თუ წინ წამძღოლი ვინმე გვყოლია,
ჯულდაგულ მიეალთ! ყველა მზადა ვართ!..

...ჩვენც კაცები ვართ,—ამბობენ გლეხები,—და ქუდი გვხურავს და თავადაზნაურობას რად ჩამოვრჩებით? განა როდისმე ჩამოვრჩენილვართ?

ან უკან როდის დაგვიხევია?
მათ ხმალთან ერთად უჭრია ჩვენსას
და ფარიც ერთად დაგვიხევია[1].

ომის ძველი ვეტერანის, გმირი გელას მოწოდებით გამხნეებული, სამშობლოს უზადო სიყვარულით ანთებული გლეხობა ხმლით, ნაჯახით, წალდით, თოხით, ცელით, ნამგლით, ქვებით და კეტით შეიარაღებული თავგანწირულად ეკვეთა მტერს სწორედ გადამწყვეტ მომენტში, უაღრესი გაჭირვების ჟამს და ერთიანად მუსრი გაავლო აგრესორებს, იხსნა ქვეყანა დაღუპვისაგან. როდესაც მუხანათმა მტერმა ქართველთა ჯარი შეიტყუა ხეობაში, შემოერტყა გარს და დიდძალი მეომარი გაწყვიტა, იმედმიხდილი და სასოწარკვეთილი ქართველი მხედრობა გარდუვალი დამარცხებისა და დაღუპვის წინაშე დადგა. ამ დროს მოგვესმა შორით გუგუნიო, — ამბობს პატარა კახი:

ხმა „ჰკა მაგასა" და ზედ კიჟინა;
მოზღვავდა უცბად სულ გლეხკაცობა,
მტერს მიესია და დაუშინა!
შეიქნა ქვების ზუზუნ-ზუზუნი,

---

1 აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ი. გრიშაშვილის რედაქციით, ტ. III, გვ. 486-487.

თოხის და კეტის გაჩნდა ტრიალი;
ამ უცნაურმა სანახაობამ
მტერს ნაუხდინა გული და თვალი.
დაპყარეს შიშით მათი ფარ-ხმალი,
მხოლოდ სიცოცხლეს გვევედრებოდენ
და, გასაქცევი გზა რომ არ ჰქონდათ,
ალაზანშიაც კი ვარდებოდენ!
გადაწყდა ომი! მტერი მოისრა,
ნუ მოგეშალოთ შვება და ლხენა!

დიდი გმირობა და ზღაპრული თავგანწირვა გამოიჩინეს მშრომელმა გლეხებმა აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში. კრწანისის საბედისწერო ომში, სადაც წყდებოდა საქართველოს ბედი, გლეხებმა, კიკოლას თანამებრძოლებმა გმირულად დასდეს თავი სამშობლოს სამსხვერპლოზე. „ბაში-აჩუკში“ ასახული გადაგვარებული, მოღალატე თავადაზნაურობის საპირისპიროდ აკაკი გლეხობას შემდეგნაირად ახასიათებს: „გლეხობას კი, იმ მუშა ხალხს, რომელიც ყოველდღე მამა-პაპების მოწამურ სისხლს, სამშობლოს მთა-ბარზე დათხეულს, პატიოსან შრომის ოფლს აღვრიდა, არ ჰქონდა ჯერ კიდევ საერთო კავშირი გაწყვეტილი... მზად იყო, რომ კვარივით ანთებულიყო და უცდიდა მხოლოდ ნაპერწკლებს, საიდანმე მონაკვესს“. ქვეყნის ამ სასტიკი განსაცდელის ჟამს, აკაკის დახასიათებით, მშრომელმა გლეხობამ შეინარჩუნა სამშობლოს წმინდათა-წმინდა სიყვარული და გამარჯვების მტკიცე რწმენა. მშრომელმა გლეხმა შთააგონა ბიძინა ჩოლოყაშვილს საზიზღარი მტრის წინააღმდეგ საყოველთაო აჯანყების მოსაწყობად საჭირო ბრძნული ხერხი. ხალხმა მიიტანა გადამწყვეტი იერიშები დამპყრობთა წინააღმდეგ, საარაკო გმირობით უზრუნველყო მოზღვავებული მტრის დამარცხება და სამშობლოს განთავისუფლება. მშრომელი გლეხობის ანალოგიური გმირობის შესახებ აკაკი წერდა: „მარაბდის ომში-იარაღი რომ აღარ ჰქონდათ, სულ კეტებით გადიოდა საომრად გლეხობა... და ოჯახიდან თითო კი არა, ყველა, ვისაც კი ხელში იარაღის აღება შეეძლო, არ დაკლებია და სიკვდილს არ გაქცევია, ერთი მეორეზედ ეჩეხებოდნენ“[1].

რამდენიმე წლის შემდეგ (1911 წ.) მხცოვანი პოეტი კვლავ შეეხო ეროვნული ორგანიზმის სტრუქტურისა და ხალხის წინამძღოლის, მეთაურის ანუ თავადის საკითხს. აკაკი წერეთელმა ერის ორგანიზმი შეადარა ხეს, რომელსაც აქვს ფესვები, ტანი, ღერო და ტოტები. ფესვებად პოეტი გულისხმობდა დაბალ ხალხს, ხოლო ტანად და შტოებად — მაღალ წოდებას. ამ შემთ-

---

1 აკაკი წერეთელი, ორი პუბლიცისტური სტატია, გვ. 8.

ხვევაში აკაკი მაღალ წოდებას, თავადს, ჩვეულებრივი გაგებით არ ხმარობს. აქ ამ ცნებაში პოეტი გულისხმობს არა თავადაზნაურობას, არამედ ხალხის, ერის მეთაურს, მის შეგნებულ ხელმძღვანელსა და წინამძღოლს. პოეტის აზრით, ხალხის ეს წინამძღოლი, მეთაური და ხელმძღვანელი მემკვიდრეობით კი არ უნდა მოდიოდეს, არც მხოლოდ მეთაურთა მაღალი, ზედაპირული წრიდან, არამედ ხალხიდან, განსაკუთრებით კი მშრომელი მასებიდან. „ერი, — აღნიშნავდა აკაკი, შედგება ზედასა და ქვედა პირისაგან, ანუ მაღალისა და დაბალი წოდებისაგან, მაგრამ თანასწორისაგან კი, რომ ერთი მეორეს არ ემედიდურებოდეს; ხალხის წინამძღოლი, მეთაური, ანუ თავადი, რასაკვირველია, მემკვიდრეობით არ უნდა იყოს!.. დრო და ვითარების საკადრისად ვინც კი იქნება მომზადებული იმდენად, რომ შეეძლოს გადასვლა ზედაპირში და იმეთაუროს, ეს სულ ერთია, საიდანაც უნდა მოდიოდეს, დაბლიდან თუ მაღლიდან. ზედაპირი, ესე იგი, მთელი ხალხის ხელმძღვანელები, საჭირო არიან და იქნებიან კიდევაც ცხოვრებაში ჯერ-ჯერობით". ამ მეთაურებს, ხალხისათვის თავდადებულ პირებს, ხელმძღვანელ წრეს აკაკი უწოდებს „ამონაყარს", ეროვნული ხის „ტანს" და „შტოებს", რომელთაც ასაზრდოებს „ეროვნების ფესვები", ე. ი. მშრომელი ხალხი. მართალია, ტანი და შტო ხელს უწყობს ხის სიცოცხლეს, „მაგრამ აქ თავი და თავი მაინც ფესვებია, ისინი რომ ცუდ მდგომარეობაში იყონ და გახმენ, აღარც ღერო და აღარც შტოები აღარ იქნებიანო", — დასძენს აკაკი. გლეხებისადმი მიმართულ ერთ-ერთ სიტყვაში პოეტმა კვლავ განავითარა ეს აზრი და აღნიშნა: „როგორც ხეს შტოები და ღეროები ეჭირვება, ისე ხალხსაც წოდება, მაგრამ წოდება შეგნებული და არა შეუგნებელი... ნუ დაგავიწყდებათ, რომ ფესვი საქართველოს ეროვნების თქვენა ხართ და წოდებანი კი, თქვენზე ამონაყარი, თქვენვე". პოეტის რწმენით, ქვეყნის მმართველი, ხელმძღვანელი, მეთაური, ხალხის წინამძღოლი წრე („წოდება") „საჭირო არიან ცხოვრებაში ჯერ-ჯერობით". ეს ერთგვარი მაღალი საზოგადოებრივი წრე, „ერის ზედაპირი" თანასწორუფლებიანი უნდა იყოს დაბალ წრესთან, „ქვედაპირთან", რომ ერთიმეორეს არ ემედიდურებოდეს, ვინაიდან „ზედაპირი, ეს ხელმძღვანელი წრე, წარმოადგენს „ამონაყარს", „შტოს", რომელსაც ასაზრდოებს დაბალი წრე, მშრომელი ხალხი, „ეროვნების ფესვები", და პირველის არსებობა საკვებით დამოკიდებულია უკანასკნელზე". ამრიგად, აკაკის აზრით, საზოგადოებრივი ცხოვრების მთავარი ძალა მშრომელი ხალხია, იგი თავისი წრიდან გამოყოფს ხელმძღვანელებს და ასაზრდოებს მათ. ხალხის ხელმძღვანელი წრე

წარმოიშობა დაბალი, მშრომელი ხალხისაგან, გლეხობისაგან, და ეს მეთაურები, როგორც „ამონაყარი ფესვთაგან", არიან მუშა ხალხის წარმომადგენლები, მისი ნაშიერნი, ე. ი. თვით მუშა ხალხი.

აკაკი გმობდა მშრომელი მასებისადმი ხალხის წინამძღოლთა მედიდურ, თავადურ, ბატონკაცურ დამოკიდებულებას, ქვეყნის დიადი მომავლის იმედს იგი მთლიანად დაბალ წოდებაზე, გლეხობაზე — „სამშობლოს ხელშეუხებელ და მაგარ ფესვებზე" ამყარებდა: „ჩვენი დაბალი წოდება თავისის ნიჭითა და მეცადინეობით, — წერდა აკაკი, — მომავლისაკენ იყურება. ამაში იჭვი არ არის! ვინც ჩვენ დაბალ ხალხს, სოფლიდან გამოუსვლელ გლეხკაცობას, იცნობს და დაკვირვებია მის სიტყვა-პასუხს, დამემოწმება ამაზე...დაბალ წოდებაში... ხშირად ვხედავთ ჯაჭვით დაბმულ ლომებს... შეხსენით საბელი, აუშვით ის ლომები და მაშინ ჰნახავთ თუ სადამდე მივლენ!"

ნ. ა. დობროლუბოვი დიდად აფასებდა ხალხს, მშრომელ გლეხობას. მას ქვეყნის არსებობისა და წინსვლის ძალად ხალხი მიაჩნდა და აცხადებდა: «Мы можем держаться только потому, что под нами есть твердая почва — настоящий русский народ»[1].

აკაკიც, როგორც აღვნიშნეთ, ქვეყნის ბედს ხალხის დიდ პოტენციურ ძალაზე, მშრომელი გლეხობის იმედზე ამყარებდა და განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარ ძალადაც მას მიიჩნევდა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დიდი მომღერალი

სამშობლოს კეთილშობილური სიყვარული, მისი ბედნიერი მომავლისათვის დაუცხრომელი ზრუნვა, ბრძოლა და თავდადება, მისი ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლების ტიტანური მისწრაფება იყო აკაკის მღელვარე ცხოვრების მთავარი აზრი, მისი გულისძგერა, მისი მაჯისცემა, მისი სული და გული, მისი პოეტური შთაგონების უშრეტი წყარო, მისი შემოქმედებითი გენიის საგანი, ძალა და ღირსება. პოეტის რწმენით ადამიანმა ყველაფერი, თვით სიცოცხლეც უნდა შესწიროს სამშობლოს ინტერესებს, მის კეთილდღეობას. „ვინც მამულს სულსაც არ სწირავს, იმას არ ჰქვიან მამულიშვილი", ხალხისათვის თავგანწირული გმირი უკვდავია, „იგი სიკვდილში

[1] Н. А. Добролюбов. Избранные сочинения, подбор текста и примечания А. Лазурского, 1947, стр. 44

ჰპოებს სიცოცხლეს და ის იქნება თვით უკვდავება", — აცხადებს პოეტი. ეს კეთილშობილური პატრიოტული იდეალი აკაკი წერეთლის შემოქმედებაში ორგანულად არის დაკავშირებული მაღალ სოციალურ, ჰუმანისტურ მისწრაფებებთან.

პატრიოტიზმი — სამშობლოს კეთილშობილური სიყვარული, ქართული მხატვრული მწერლობის ერთ-ერთი ძირითადი და უძველესი მოტივია. ყოველ ხალხს უყვარს სამშობლო, ყოველი ხალხი შთაგონებულია პატრიოტული სიამაყის გრძნობით. ვ. ი. ლენინი წერდა: „უცხოა თუ არა ჩვენთვის, ველიკორუსი შეგნებული პროლეტარებისათვის, ეროვნული სიამაყის გრძნობა? რა თქმა უნდა არა! ჩვენ გვიყვარს ჩვენი ენა და ჩვენი სამშობლო"[1].

სამშობლოს უმწიკვლო სიყვარული უაღრესად კეთილშობილური და ხალხისათვის დამახასიათებელი გრძნობაა. ვ. ი. ლენინი გარკვევით აღნიშნავდა: „პატრიოტიზმი ერთ-ერთი ყველაზე ღრმა გრძნობაა, რომელიც განმტკიცებულია საუკუნეებისა და ათასეული წლების მანძილზე განცალკევებულ სამშობლოთა არსებობით"[2].

ამრიგად, ხალხის პატრიოტული შთაგონება სავსებით ბუნებრივი და კანონზომიერია. ხალხურობით გამთბარი, მებრძოლი პატრიოტიზმი აშკარად განსხვავდება ცრუპატრიოტიზმისა და შოვინიზმისაგან. კეთილშობილური იდეალებით არის შთაგონებული აკაკი წერეთლის პატრიოტიზმი. პოეტი საარაკო მხნეობით იბრძოდა ეპოქის მწვავე პრობლემების გადასაწყვეტად და თავისი მდიდარი შემოქმედებითი პრაქტიკითა და სახალხო მოღვაწეობით ხალხს სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულს, თავისუფლებისმოყვარეობას, კეთილი მომავლისათვის შეუპოვარ ბრძოლას, მეფის, მემამულეებისა და ბურჟუაზიის სასტიკ სიძულვილს უნერგავდა. აკაკი წერეთლის ეს რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებით გამთბარი პატრიოტიზმი იმ დროისათვის წარმოადგენდა მებრძოლი პატრიოტიზმის ახალ, უფრო მაღალ საფეხურს. ამ მაღალ იდეებს მიუძღვნა აკაკიმ თავისი შემოქმედება.

„სამშობლოს სიყვარული, წერდა კიტა აბაშიძე, ეს ის წერტილია, რომელიც რადიუსებით შეერთებულია აკაკი წერეთლის პოეზიის ყოველ ანბანსა და სტრიქონთან: ეს ის მზე არის, ის პლანეტა, რომელსაც გარს ახვევია მთელი დაუშრეტელი წყარო მისი ლექსთა წყობისა: ეს ის კანდელია, რომელიც

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 21, გვ. 111.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 28, გვ. 215.

ანათებს აკაკის არა თუ მთელ ნაწარმოებს, არამედ იმის ნაწარმოების წყალობით მთელ არე-მარეს ჩვენი ღარიბი ლიტერატურისას: ეს ის ვარსკვლავია, რომელიც დღე და ღამე თვალწინ უდგას პოეტს. ეს ის უხილავი ანგელოზია, გინდა ნაზი ღმერთი პოეზიისა, რომელიც ჩასჩურჩულებდა პოეტს ღვთიურ სიტყვებს მისი ლექსებისას, ეს ის საღმრთო ჩანგია, რომელსაც უხილავი რამ უწყობდა სიმებს, და რომლის ჰანგებზედ აყოლებდა მგოსანი ჩვენი ლიტერატურის დამამშვენებელ გალობას". აკაკის პატრიოტული ლირიკის „მწუხარე და სევდიანი კილო და თანაც იმედითა და სასოებით აღსავსე ჰანგი სამარადისო მშვენებად შეიქმნა ქართულის პოეზიისა"[1]. მსოფლიო ლიტერატურაში იშვიათია მეორე ისეთი დიდი პოეტი, რომელსაც აკაკის მსგავსად ემღეროს სამშობლოს კეთილშობილურ სიყვარულზე. დიდი მგოსანი განუშორებლად თავს დასტრიალებდა მშობელ ხალხს და გულში სამარადისოდ ჩამწვდომი უფაქიზესი გრძნობით უმღეროდა:

მშვენიერო, შენ გეტრფი
შენი მონა, ერთგული!
შენთვის სულდგმულს, შენგანვე,
შენთვის მიძგერს ეს გული!

სამშობლოა პოეტის სუნთქვა, მისი ხატება, მისი იდეალი და საიმედო საფიცარი, მისი გრძნობის საგანი და სიხარული:

შენ გეტრფოდი!... შენვე გეტრფი.
საიმედო ჩემ საფიცარსა..
და შენ მხოლოდ ახატიხარ
ამ ჩემს წმინდა გულისფიცარს.

დიდი შთაგონებით, წარმტაცი ფერებითა და აღმაფრენით, განუმეორებელი სისადავითა და უშუალობით უმღეროდა დედასამშობლოს პოეტი ლექსში „სულიკო".

საყვარლის საფლავს ვეძებდი,
ვერ ვნახე!.. დაკარგულიყოს..
გულამოსკვნილი ვჩიოდი:
„სადა ხარ, ჩემო სულიკო!"
ეკალში ვარდი შევნიშნე,
ობლად რომ ამოსულიყო,
გულის ფანცქალით ვკითხავდი:
„შენ ხომ არა ხარ სულიკო!"

---

[1] კ ი ტ ა ა ბ ა შ ი ძ ე, ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, პროფ. დ. გამეზარდაშვილის რედაქციითა და შესავალი წერილით, 1962 წ. გვ. 230.

ნიშნად თანხმობის კოკობი
შეირხა თავი დახარა,
ცვარ-მარგალიტი ციური
დაბლა ცრემლებით დაჰყარა... და სხვ.

ეს ლექსი ქართველმა ხალხმა, აკაკის სხვა ლექსებთან ერთად, სასიმღეროდ აიტაცა და მას ახლა მსოფლიოს მრავალი ხალხი აღტაცებით მღერის.

„აკაკიმ ეს მარადიული სატრფო კონკრეტულ ხატად აქცია, თან ისეთ ხატად, რომელიც კონკრეტულობასთან ერთად დიდი განზოგადების შესაძლებლობებით დაჯილდოებული აღმოჩნდა“[1].

პოეტი მუდამ უკავშირებდა თავის ბედს, ფიქრებს, მისწრაფებებსა და სიცოცხლეს სამშობლოს კეთილდღეობისათვის ზრუნვას. იგი იშვიათი სიყვარულით ეალერსებოდა სატრფო-საქართველოს:

სიყმაწვილიდან მწარ-სიბერემდე
ოქროსოვილად გეფინებოდი,
და ვით ხატის წინ წმინდა სანთელი
შუქ-მოპარპალე, უხმოდ ვდნებოდი.

აკაკი სამშობლოს აღიარებდა ღვთაებად, სულისა და გულის მფლობელად, ტრფობის საგნად, წმინდა გრძნობების წყაროდ, ცხოვრებისა და მოქმედების ტკბილ იდეალად. სამშობლოს სიყვარული პოეტს მიაჩნდა ულამაზეს, უწმინდეს და უმაღლეს გრძნობად, „ცისა და ქვეყნის შუამავლად“, „კაცთა ენითა და გენიით გამოუთქმელ ძალად“, „ციურ ნიჭად“, უცნაური ტრფობის ცეცხლად. სამშობლოს ტრფიალება, პოეტის აზრით, უზენაესი გრძნობაა, საგანგებო, უცნაური ტრფობის ალია, რომელიც ყოველგვარ ტრფობაზე უფრო მწველი და ამაღლებულია.

იშვიათი მიმზიდველი ფერებით, გულში ჩამწვდომი სახეებითა და პოეტური სურნელებით, ტრადიციული მხატვრული ხერხების შემოქმედებითად და ბრწყინვალედ გამოყენებით აღწერს პოეტი თავისი სამშობლოს სახეს, მისდამი სიყვარულის უბადლო სურათს:

მე მას ვუგალობ, ვისაც განგებამ
მშვენიერება უსხივებისკარა!..
ვინც ვარდს ელფერი, იას სინაზე
და ბულბულს ენა ერთად მოჰპარა!...

---

1 გრიგოლ კიკნაძე, ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები, 1978, გვ. 324.

ის არის ჩემი ტკბილი აიზმარი
და მომხიბლავი მძლავრი ოცნება...
სიყვარული რომ ტახტად უდგია,
ეგვირგვინება პატიოსნება!.

აკაკის აზრით, სამშობლო ტკბილი დედაა, იგი ერთადერთია და შეუცვლელი. ადამიანმა იქნებ უმძიმესი დანაკლისი შეივსოს, მაგრამ სამშობლოს მაგივრობას მას ვერაფერი ვერ გაუწევს:

ცოლის დამკარგავი სხვა ცოლს შეირთავს,
მკვდარ შვილს უქარვებს მეორე შვილი,
მაგრამ მაგიერს კი ვეღარ პპოვებს
კაცი, თუ არ პყავს მას დედა ტკბილი.

დიდ.. მგოსანი სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულთან ერთად ჭეშმარიტი პატრიოტისაგან მოითხოვდა ქვეყნისათვის თავგანწირულ გმირულ თავდადებას. პოეტის რწმენით „ადამიანს რა აამაღლებს, თუ არ მისივე წმინდა სამშობლო“, ამიტომ სამშობლოს ბედნიერებას ადამიანმა საჭირო შემთხვევაში ყველაფერი უნდა შესწიროს: დაღვაროს საკუთარი სისხლი და ოფლი, გასწიროს სული და ხორცი, დათმოს სატრფო და ტკბილი სიცოცხლე, სანთელივით დაიწვას ქვეყნის დიდებისათვის. ამ კეთილშო'ილური იდეალებით შთაგონებული პოეტი აცხადებდა:

არა! სიკვდილი ვერ შემაშინებს,
მომზადებულსა მამულის მსხვერპლსა!
მზად ვარ შეკსწირო სული და ხორცი
და სამსხვერპლოზე ვყრიდე თვით ფერფლსა!

აკაკი აღვივებდა ხალხში იმ ნათელ იდეალს, რომ თუ მამულიშვილი არ იწვის ღრმა კეთილშობილური შთაგონებით და დიდი პატრიოტული მისწრაფებით, თუ ის საჭირო შემთხვევაში ქვეყნისა და ხალხისათვის სიცოცხლეს არ გასწირავს, არ დათმობს პირადულს საზოგადოების ბედნიერებისათვის, ის ვერ გამოაშუქებს ნათელს, ვერ დასძლევს წყვდიადს, რადგან „რაც არ იწვის, არ ანათებს“. ნამდვილი პატრიოტი კი უნდა იწვოდეს ქვეყნის სამსახურში. პოეტი სამშობლოს უნაზესი გრძნობით მიმართავდა:

მსურს მოვფინო მშვენიერო,
შენი ქება ცის კიდეს!
ვფიცავ, ლხენად მიმაჩნია
ჭირი, შენს გადამკიდეს!

---

[1] აკაკი წერეთელი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, გვ. 69.

სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული აკაკიმ განსაკუთრებული სიძლიერითა და ამაღლებული დიდების შარავანდედით შემოსა ლექსში „განთიადი". დიდებულმა მგოსანმა დიდი გულწრფელობითა და იშვიათი მხატვრული ოსტატობით უმღერა „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტოვან" სამშობლოს სიყვარულის უნაზეს გრძნობას, მისთვის თავდადების გმირულ იდეას:

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო!..
ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო...
და, რომ მოკვდები, გახსოვდეს,
ანდერძი დავიბარეო:
„დედა შვილობამ, ბევრს არ გთხოვ:
შენს მიწას მიმაბარეო,
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლოვ მხარეო!"

ორმოცდაათზე მეტ წელს პოეტის „გენიალური მუზა განუწყვეტლივ, შეუსვენებლივ ემსახურებოდა მხოლოდ ერთადერთს, მაღალს დანიშნულებას: სამშობლოს აღდგენას, ამაღლებას, აყვავებას"... ეკლიან გზას არც ერთხელ არ შეუდრეკია დიდი პოეტის „მამულიშვილობით აღსავსე გული"[1]... „რასაც უნდა წერდეს აკაკი ლექსით თუ პროზით, ყველაში გამოსჭვივის აპრიალებული სიყვარული სატრფო-სამშობლოსი"... აკაკი განხორციელებული მამულიშვილობაა,[2] — წერდა იაკობ გოგებაშვილი.

და მართლაც, პოეტი უნაზესი გრძნობით აცხადებდა: „ჩემი სატრფო-სამშობლო" არის ჩემი ერთადერთი სათაყვანო!.. ჩემი გულისთქმა, ჩემი სულისდგმა და მეც იმაში ვარ განხორციელებული"[3].

პოეტი რაღაც უცნაური ტრფობით, წარმოუდგენელი სიყვარულით, უსაზღვრო გრძნობით გატაცებული შეტრფის დიდებულ სამშობლოს ვით ცოცხალ ტრფიალს, ამმაღლებელ „საიდუმლო ღვთიური ძალის" აღმძვრელ ნეტარებას, პოეტურ მუზას და სიყვარულს, როგორც „ღვთიურ ძალას", ზეშთაგონების წყა-

---

[1] ი. გოგებაშვილი, თხზ., დასაბეჭდად მოამზადა და კომენტარები დაურთო ვარლამ ქაჯაიამ, რედაქტორები: გ. თავზიშვილი, დ. ლორთქიფანიძე, 1955 წ., ტ. I, გვ. 208.

[2] იქვე, გვ. 226.

[3] ა. წერეთელი, ტ. 14, გვ. 359.

როს, „ციურ ნიჭს“ და შუქფენილი ექსტაზით აღტაცებული მიმართავს:

შენ, სიყვარულო, ცისა და ქვეყნის
კავშირო და თან შუამავალო!
შენ, რომლის ერთ წამს, იმ სანეტაროს,
მზა ვარ, სიცოცხლე მთლად ვანაცვალო!..
შენ და მხოლოდ შენ, ციურო ნიჭო,
გამოუთქმელი კაცთა ენითა...
შენგან მგოსანი ფრთებშესხმული ვარ
და მონავარდე აღმაფრენითა,
რომ მეც, ჯედივით სიკვდილის წინეთ
უტნაურ პანგზე ჩავიხმატკბილო...
ვცხო წმინდა სიმებს ციურ მალამოდ
და ვსთქვა გალობა საშვილიშვილო[1].

სამშობლოს სიყვარულის სატრფოს სიყვარულად სიმბოლურ-ალეგორიული გამოხატვა დამახასიათებელია მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურისათვის. მაგრამ მხატვრული გამოსახვის აღნიშნული ხერხი განსაკუთრებული სხივმოსილებით, უაღრესად ფართო მასშტაბით განავითარა და იშვიათი მრავალფეროვნებითა და მომხიბლავი გრაციით გამოიყენა აკაკი წერეთელმა. პოეტმა მას მიანიჭა ნათელი გამჭვირვალება და სილამაზე.

ძველი მწერლობისაგან განსხვავებით, სიყვარულს აკაკიმ, ახალი ეპოქის მწერლებთან ერთად, დაუმკვიდრა რეალური, კონკრეტული და მიმზიდველი შინაარსი, მიანიჭა ახალი მოქალაქეობრივი, პოლიტიკური ფუნქცია და მებრძოლი ხასიათი. სატრფოს ხატის ასახვის ეს ახალი თავისებურება დამახასიათებელია აკაკის გენიისათვის, ის დიდ ილიასთან ერთად, ამკვიდრებდა მისი პოეზიისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან სპეციფიურობას.

გამოჩენილი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე ახასიათებდა რა ალ. ჭავჭავაძისა და აკაკის პოეზიაში სიყვარულის გამოხატვის თავისებურებებს, აღნიშნავდა: „აკაკი წერეთელი იმ „სატრფოს“ მგოსნად უნდა დაისახოს, რომელსაც საერთო არა აქვს რა ხორციელ სატრფოსთან, მაგრამ რომელიც პოეტის საოცარმა ნიჭმა განახორციელა, სული ჩაუდგა. ნამდვილ „ცხრაკლიტულში დამწყვდეულ ნესტან-დარეჯნად“ გაიხადა და მისი ტარიელობა თავს იდვა“[2].

---

[1] აკაკი წერეთელი, ტ. II, გვ. 68-69.

[2] კიტა აბაშიძე, ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, პროფ. დ. გამეზარდაშვილის რედაქციითა და შესავალი წერილით, 1962 წ., გვ. 217.

კიტა აბაშიძეს აკაკის პატრიოტული პოეზიის უკვდავ, მარადიულ და უჭკნობ მხარედ სწორედ ეს აღნიშნული გარემოება მიაჩნდა და წერდა: „არის მხოლოდ ერთი მხარე, აკაკი წერეთლის პოეზიაში, რომელიც უკვდავად ქმნის მის პატრიოტულ ლექსებს. ე. ი. საუკეთესო სალირიკო ლექსებს, ეს ის მხარეა, რომ მან სიყვარული სულიერიდან უსულოზე გადაიტანა, თუმცა ეს უსულოც რაღაც კონკრეტულია და ადვილად გასაგები. ის, და მასთან ერთად ილია ჭავჭავაძეც, ამ დიდ სულიერს, ამ ერთ დიდ არსებას — თავის საყვარელ სამშობლოს, ისეთი ენით ელაპარაკება, თითქოს ნამდვილი, გულ-წარმტაცი და მომხიბვლელი სატრფო უჯდეს გვერდით“[1].

და მართლაც, აკაკი წერეთელი ისეთი გატაცებით, იმგვარი გრძნობითა და ვნებიანობით ხატავს თავის სატრფიალო საგანს, რომ ზოგ შემთხვევაში ძნელი გასარკვევია ნამდვილად ხორციელ სატრფოს უმღერის პოეტი თუ სატრფო-სამშობლოს. აკაკი თავისი ტრფობის საგანს, მისი „გულის საფიცარს“ ათასგვარი საღებავებით ხატავს. ახასიათებს მის მომხიბლავ გარეგნობას, სულიერ სიდიადეს, მაღალ ღირსებებს; წარმოგვიდგენს მას ნამდვილი ადამიანური გრძნობებით, ვნებათაღელვით, მისწრაფებითა და განცდებით, მისი ტკივილებით, ტანჯვით, მწუხარებითა და დრამატიზმით აღსავსე ცხოვრებით. პოეტი მუქი ფერებით, მეტად მგრძნობიარე სახეებით ხატავს თავისი სატრფოს აუტანელ მდგომარეობას, ჩაგვრასა და დაბეჩავებულობას, გულამოსკვნილი დასტირის მის დაკარგვას. სიხარულით ეგებება მის გამოჩენას, მოსაჯს მას ჩვეულებრივი ადამიანური თვისებებით. პოეტი მრისხანებით ღელავს რაყიფის დანახვაზე. მწარედ დასტირის მოტყუებულ სატრფოს, უსაზღვროდ განიცდის საყვარელი არსების გულგრილობას. ერთი სიტყვით, აკაკი წერეთელი ისე ხატავს სატრფო-სამშობლოს სახეს, მის თვისებებს, სულიერ მოძრაობას, ღირსებასა და ნაკლს, მის მღელვარებასა და ვნებას, მის განცდებსა და მისწრაფებებს, ქცევასა და მშვენებას, ისე უმღერის მის სხივმოსილებას, მწარე ბედს, მომავალ ბედნიერებასა და სიდიადეს, ისეთის ბუნებრიობით, უშუალობითა და წმინდა ადამიანური გრძნობით ექსოვება მას, რომ არ შეიძლება არ დავეთანხმოთ კიტა აბაშიძის აზრს, „რომ ხშირად გიძნელდებათ გაიგოთ, რომელ სატრფოს უგალობს პოეტი, ქაჯებისაგან მოტაცებულ, ცხრაკლიტულში დამწყვდეულ ნესტანს, თუ უბრალო, ჩვეულებრივ საარშიყო სალაღობო

---

[1] კიტა აბაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 223.

არსებას"[1]. აკაკის დიდებულ მუზას პოეტური გენიის ასეთი სიდიადე და სიმბოლური სახის ამგვარი ხატვის გრძნობიერება ახასიათებს.

აკაკიმ სიყვარული „შესანიშნავად შეაქსოვა პატრიოტიზმს" და თავის უჭკნობ პატრიოტულ ლირიკაში სატრფოს სახით დახატა საყვარელი სამშობლო. ღვთის მიჯნურობის ნაცვლად მან თავის პოეზიაში დედა-სამშობლოს მიჯნურობას, მის ტრფიალებას უმღერა და, ამასთანავე, შემდგომი ახალი აზრი და მხატვრული ბრწყინვალება მიანიჭა ადრინდელი ქართული მწერლობის მიერ სატრფოს სახით სამშობლოს ასახვის სახელოვან ტრადიციასაც. პოეტი აცხადებდა:

მაგრამ იცით ჩემი სატრფო ვინ არი?
ძველი ტურფა, დღეს მკვდარივით მძინარი,
ფეხ-შიშველი, თავზედ ლეჩაქ-ახდილი და სხვ.

აკაკი წერეთლის პატრიოტულ ლირიკაში სამშობლოს სიყვარულის გრძნობა განსაკუთრებულ ხასიათს ატარებს. მიჯნურობა, სატრფოსადმი სიყვარული აქ რეალურ, მარადიულ და ამაღელვებელ ხასიათს იღებს. იგი განმათავისუფლებელი ბრძოლის პათოსს შთააგონებს მკითხველს.

აკაკი წერეთელს ადამიანის მთავარ დანიშნულებად სამშობლოსთვის პატიოსანი შრომა მიაჩნდა. პოეტი პატივს სცემდა ადამიანს არა მისი მხოლოდ ნიჭისა და ჭკუა-გონებისათვის, არამედ სამშობლოს ინტერესების საკეთილდღეოდ გაწეული შრომისა და ღვაწლისათვის. განყენებული ჭკუა და ნიჭი, თუ იგი არ არის გამოყენებული ქვეყნის ბედნიერების მოსაპოვებლად, უსარგებლო სიტყვა, აბსტრაქტული მსჯელობა და მკრეხელობაა. საერთოდ თავისთავად არსებული უსაგნო ნიჭი და ჭკუა არ იმსახურებდა პოეტის სიმპათიებს, იგი ამგვარ სიმდიდრეს უსარგებლოდ თვლიდა და წერდა: „კაცს განყენებული ჭკუა და ნიჭი კი არ ამაღლებს ქვეყნის თვალში, მხოლოდ შრომა [illegible] კეთილად მიძღვნილი ერისათვის, ესე იგი, ქვეყნისაკენ"[2]. სამშობლოს სამსახური, როგორც აღვნიშნეთ, აკაკის [illegible] დანიშნულებად მიაჩნია. სახალხო საქმეს, [illegible] ინტერესებს იგი ყოველთვის მაღლა აყენებდა პირა[illegible] ინტერესებზე. „საზოგადოს — წერდა იგი, —

---

1 კ. აბაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 225.
2 „თემი", 1912 წ., № 79.

მაღლა ვაყენებთ პირადულზე და საზოგადო ინტერესებს ვერ შევწირავთ პირადობას!"[1].

ქვეყნისათვის თავდადებული პოეტი ყოველთვის წინ იხედებოდა. იგი დაუცხრომელი მღელვარებითა და უშრეტი ოპტიმიზმით შთაგონებული შეჰყურებდა მომავალს. ხალხის დიდ გაზაფხულს, სამშობლოს თავისუფლებასა და ბედნიერების ბრწყინვალე ზეიმს და მთელი არსებით მიისწრაფოდა ამ დიადი მომავლისაკენ.

პოეტი კიცხავდა პესიმიზმს, უიმედობას, უმოქმედობას და დიდებით უმღეროდა აქტიურ მოქმედებას, მოძრაობას, ბრძოლასა და ხალხისათვის თავგანწირვის კეთილშობილურ იდეალს. მას გულწრფელად სწამდა ქვეყნის კეთილი მომავალი და მის მოლოდინში მუდამ იმედითა და სასოებით ჰქონდა გული აღვსილი. აკაკი დარწმუნებული იყო, რომ მის მიერ განვლილი გზა, სამოციანელთა მიერ გაწეული შრომა თავის ნაყოფს გამოიღებდა, მომავალ თაობას შემდგომი შრომისა და ბრძოლის გზას გაუადვილებდა და საბოლოოდ, თუ შვილები ვერა, შვილიშვილები მაინც მიაღწევდნენ თავისუფლებისა და კეთილდღეობის ნავსაყუდელში. საყურადღებოა, რომ აკაკი ამ მხრივ გარკვევით ეხმაურება ნ. ბარათაშვილს. მის თავგანწირულ ბრძოლას არსებული უკუღმართი სინამდვილის წინააღმდეგ და მის სხივმოსილ იმედს მომავალი გამარჯვების აუცილებლობის შესახებ, მის გმირულ მისწრაფებას: მერანის მიერ გათელილი გზით მომავალ თაობას „სიძნელე გზისა გაუადვილდეს", ოპტიმისტური შთაგონებით წერდა აკაკი: „რამდენიმე გზას ხომ მაინც გავივლით და ის ხელ-ახლად გასასვლელად აღარ გაუხდება ჩვენს შვილებს! სადაც ჩვენ საუკუნოდ დაგვიღამდება, ისინიც მაშინ იქიდან დაიწყებენ წინ მსვლელობას და ამგვარად, თუ შვილები ვერა, შვილისშვილები მაინც უეჭველად, მიაღწევენ ჩვენი ქვეყნის კეთილ დღეობამდე". ხალხთა ცხოვრების ისტორიული მოძრაობის პროგრესი, მისი განვითარების აუცილებლობა, ადამიანის სიკეთისათვის, შრომის განთავისუფლებისა და მონობის ბორკილების დამსხვრევის სასოება, ქვეყნის უეჭველი კეთილდღეობის დამკვიდრების ისტორიული ოპტიმიზმი ასულდგმულებდა პოეტის მთელ შემოქმედებას. აი, ეს არის ის უცნაური რაღაც, — წერდა აკაკი, — ჭირში რომ გვანუგეშებს [illegible] რების დროს გვასულდგმულებს! ამის ბრალია, [illegible] პირადობა საზოგადოებისათვის შეგვიწირავს და [illegible]

---

[1] „თემი", 1911 წ., № 10.

კერძოება დაგვიზოგნია, როდესაც ის ჩვენდა საწინააღმდეგოდ, ჩვენდა ხელის შემშლელად სადმე გზაზედ გადაგვღობებიაო.

პოეტი მუდამ მზად არის სამშობლოს გულისათვის, როცა ეს საჭიროა, და, როდესაც ამას ქვეყნის ინტერესები მოითხოვენ, დათმოს მეგობრები, მოშორდეს ნათესავებს, ოღონდ კი ამით ემსახუროს ქვეყანას და უანგაროდ თავი დასდოს მისთვის:

ნათესავებს და მეგობრებს
შენ-ათვის ყველას ვეყრები!
უსასყიდლოდ გმსახურებ და
მძიმე ტვირთ ქვეშ ვიხრები.

ამ უდიადეს იდეალს უმღეროდა დიდი პოეტი თავის შედევრებში, რომელთაგან დიდი უმრავლესობა მადლიერმა ხალხმა საყვარელ სიმღერებად აიტაცა.

სამშობლოს მძიმე მდგომარეობა ძლიერ აწუხებდა პოეტს და ამის გამოც ზოგჯერ მწვავე ნაღველი და სევდა ეუფლებოდა მგოსანს. პოეტი ნაღვლიანად მოთქვამდა დაჩაგრული სამშობლოს მწარე ბედზე.

აკაკის ეს კვნესა, სევდა და მწუხარება სახალხო, საზოგადოებრივი ხასიათისაა.

პოეტი აშკარად აცხადებდა:

ნურვინ სცდილობს, იმ ცრემლებში
ნახოს კერძო სიყვარული!
იქ იქნება საიდუმლო
გულგამხეთქი, დაფარული!
ყოველ წუთში ტანჯვას ნახავს
საქართველოს გამოჰბატველს
და მწარესა ნაკადულში
გრძელ მოთხრობას, გულის დამწველს, („შიქასტა")

პოეტს პირადი მწუხარება ყოველთვის ავიწყდებოდა, როგორც კი ხალხის, საზოგადოების ტაჯვას ხედავდა. საზოგადოსახალხო ინტერესებთან შედარებით პირადი ინტერესებისადმი გამოდევნება აკაკის სისაძაგლედ მიაჩნდა. როცა ქვეყანა განსაცდელშია, მაშინ ყველაფერი მის ხსნას უნდა ეწირებოდეს, და ამ დროს, პოეტის სიტყვით, რომ ვთქვათ, „რას მიქვიან პირადი მწუხარება, მოკვდეს კაცი თუ პირუტყვს ედარება". ეს რწმენა ნათელ ზოლად მიჰყვება აკაკის მთელ შემოქმედებას. ამასვე იმეორებს ბაში-აჩუკი საკუთარი გაჭირვების შეფასებისას: ჩემი განსაცდელი რაღა სახსენებელია, შენი ჭირიმე, მაშინ როდესაც მთელი საქრისტიანო განსაცდელშია ჩავარდნილიო.

სამშობლოს ჩაგრული მდგომარეობით იყო გამოწვეული პოეტის მწუხარება, მისი უნაზესი ჩანგის სევდიანი კვნე-

სა. ქვეყნის უბედურებით შეწუხებული პოეტი აცხადებდა: არ-ღარა აქვს ბოლო ამ ჩემ სატანჯველს, არავინ მაძლევს სანუგე-შოდ ძმურად ხელსო. ხოლო სატრფო სამშობლოს ტანჯვით განაწამები პოეტი სევდიანად ამბობდა:

რაღას ველი, დროა გაპქრეს იმედი,
გინდ მეწიოს, ვერას მარგებს აწ ბედი!..

აბედივით გულდამწვარ მგოსანს ისიც აწუხებდა, რომ მისი სამშობლო პოეტის რჩევას ზოგჯერ უყურადღებოდ სტოვებდა, რომ ჯერ კიდევ არ იყო გაღვივებული ეროვნულ-განმათავისუფ-ლებელი ბრძოლის ცეცხლი, რომ ქვეყანა იმ ხანებში, ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ გამოფხიზლებული. ამ გარემოებით შეწუხე-ბული პოეტი ნაღვლიანად მოთქვამდა:

ჩემო თავო! ველარ გკურნენ წამალით!
დაღმართ-დაღმართ დაუყევი, წა მალით!
იქ ჩაბრძანდი, სად გელიან ლოდებით,
ბარით, ნიჩბით, კუბოთი და ლოდებით!
დაივიწყე, ვინც გახსოვდა მარად, ის!
ხელდაკრეფით განისვენე მარადის!

(„აღმართ, აღმართ"...)

აღსანიშნავია, რომ აკაკი წერეთელი სამშობლოს მდგომა-რეობით გამოწვეულ მწუხარებას სავსებით ბუნებრივ მოვლენად თვლის. პოეტი კიცხავს კუბოსთან მღერალს. მისი აზრით ადა-მიანი ნამდვილად უნდა განიცდიდეს თავისი ხალხის მწარე სი-ნამდვილეს, მისი საუკეთესო შვილების ავბედობას. ჭეშმარიტი ოპტიმისტი პოეტისათვის როდია უცხო ტანჯვა და სევდა, რო-დესაც ეს მწუხარება და სევდა ხალხის ტანჯვასთან არის დაკავ-შირებული. აკაკი არ თანაუგრძნობს იმ შეხედულებას, რომ ნამ-დვილ პატრიოტს და მომავლის იმედით შთაგონებულ მწერალს თითქოს არ უნდა აწუხებდეს ქვეყნის უბედურება და რომ თით-ქოს ეს უბედურება არ უნდა იწვევდეს ოპტიმისტი მწერლის მწუ-ხარებას და ტანჯვას. ქვეყნის მწარე სინამდვილით გამოწვეული ტანჯვისა და მწუხარების მხატვრული ასახვაც ხელს უწყობს ხალხის გამოფხიზლებას, მისი თვითშეგნების განვითარებას, მიუღებელი აწმყოსადმი სიძულვილის გრძნობათა დანერგვას და უკეთესი მომავლისათვის მებრძოლი სულისკვეთების გაძლი-ერებას. მაგრამ აღნიშნულ ფუნქციას მაშინ შეასრულებს მწარე სინამდვილის ამგვარი ასახვა, თუ იგი შთაგონებულია მომავლის ღრმა რწმენით, ძლიერი ოპტიმიზმით.

ხალხის დაბეჩავებული ცხოვრებით განაწამები პოეტი გაბე-დულად და დაუცხრომლად ებრძოდა უკუღმართ სინამდვილეს.

ხალხის ჭირ-ვარამით გულდამწვარ მგოსანს ბევრჯერ უკვნესებია „გული წყლული“, „სული კრული“, „თვალნი ცრემლით ანატირი“ და მისი მგრძნობიარე მებრძოლი ლირიკა არაერთხელ აჟღერებულა ხალხის კვნესითა და გოდებით, მისი მწუხარებითა და სევდით, მისი სასოებითა და მომავლის რწმენისა და მებრძოლი სულისკვეთებით. მისი ჩანგი შთაგონებული იყო სამშობლოს ჭმუნვისა და სიხარულის მაღალი გრძნობით და მომავლის დიდი მისწრაფებით. იგი წერდა:

სად არის ჩვენი ჩანგური,
ქვეყნის ჭირი და ლხინიო,
სამშობლოს სისხლი და ხორცი,
მისივე ნაღველ-ტკივნიო. („თემურ-ლენგის ტყვე“)

ან კიდევ:

ჩვენი სამშობლოს სიცილი
და მისი მნარე კვნესაო...
ორივე-ერთად სიმებმა
შიგ გულში ჩაიკვნესაო.

ხალხის მწარე მოთქმის, მისი მწუხარების, მისი მძიმე, აუტანელი ტანჯვით გამოწვეული გმინვისა და მწვავე ტკივილებით აღძრული კვნესის, ამასთანავე უმთავრესად ხალხის მომავლის სიხარულის, გმირობის, ვაჟკაცობის, მებრძოლი სულისა და კეთილშობილური მისწრაფებების მრავალსახოვანი ამღერება დამახასიათებელია აკაკის ლირიკისათვის. მომავლის დიდ რწმენასთან ერთად, მიუღებელი და მავნე სინამდვილით გამოწვეული ტანჯვა და მწუხარება და მასთან ბოროტების წინააღმდეგ, ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა ამრავალფეროვნებს აკაკის მდიდარ შემოქმედებას და ანიჭებს მას ნაირსახოვან მნიშვნელობას ქართულ ლიტერატურაში. მან შოთა რუსთაველის გენიალური „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ ყველაზე მეტად და ძლიერად მიიპყრო ხალხის გულისყური, გრძნობა და გონება. მძლავრად შეიჭრა მის გრძნობათა სამყაროში, გააცოცხლა, გააღვივა და გამოიწვია მღელვარე, ენებიანი სასიცოცხლო ძალები და ერთიანად აამღერა მთელი ერი დიდების ჰანგით. აკაკის ლექსებმა შეაყვარა ქართველ ხალხს პოეზია და აშკარად აგრძნობინა მისი მადლი და სიდიადე. გ. ყიფშიძის ცნობით აკაკის ლექსებს მღეროდნენ მაჰმადიანი ქართველები ორდუმში. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ხალხის ფართო მასებზე ზეშთაგონების და ზემოქმედების დიდ საქმეში დიდებულ მგოსანს ახალი ქართული ლიტერატურიდან ვერც ერთი მწერალი ვერ შეედრება. რევოლუციური მებრძოლი ოპტიმიზმის ფართო გამოხატვა და ზოგჯერ სევ-

დიანად ჩაკვნეს-ჩაჭიკჭიკება გარკვეული თავისებურებაა აკაკის პოეზიისა. მისი ჩანგის მრავალხმიანობა უბადლო და განუმეორებელია. აკაკის ლირიკის კილო თავისებურია. იგი ხალხს გამოფხიზლებისა და გმირული ბრძოლისაკენ მოუწოდებს. იგი დიამეტრალურად განსხვავდება ზოგიერთი რომანტიკოსი მწერლის იმ სევდისა და კაეშნის მოტივისაგან, რომელიც ავრცელებს უიმედობას, სასოწარკვეთილებას, უძლურებასა და პესიმიზმს. მართალია, აკაკი თავის ლირიკაში ამჟღავნებს მგრძნობიარე გულის კვნესას, მღელვარე სულის ტკივილებს, იმის გამო, რომ მას სამშობლოს უბედურებამ მწარე შხამი შეასვა და ცხოვრება სამსალად უქცია („გამოთხოვება"), რომ ვიდრე მისი სატრფო არ განთავისუფლებულა, მისი „გული მკვდარია", რომ „სიცილი ბევრჯერ ცრემლზე უფრო მწარეა" („მუხამბაზი"), რომ პოეტს წილად ხვდა სიცოცხლის მთელს მანძილზე მხოლოდ სიმწარე, ტანჯვა და ჭირი, რომ იგი სამშობლოს მძიმე მდგომარეობის გამო მოკლებულია შვებასა და ბედნიერებას, რომ მას „ვინ აღირსებს სასუფეველს, ჯოჯოხეთი უძევს გულში" („საღამო"), რომ ის „ჯოჯოხეთს მარად გულით ატარებს" და ამის გამო შეწუხებული მწარედ მოთქვამს: „აღარა აქვს ბოლო ამ ჩემ სატანჯველს... ჩემს შარბათში ნაღველს ვჭვრეტ და ვარდში გველს", რომ ცხოვრებამ მას გზა-კვალი აურია და მწუხარე სიტყვები წარმოათქმევინა; მაგრამ მებრძოლი პოეტი ყოველთვის ინარჩუნებს სულიერ სიმტკიცეს და მოწყენით მტერს არ ახარებს, იგი ყოველთვის შთაგონებულია ძლიერი ბრძოლის პათოსით, რევოლუციური ოპტიმიზმით. აკაკის მთელი პოეზია ბრძოლის ვაჟკაცური პათოსითაა შთაგონებული. აკაკის ამ კილოს დამახასიათებელი ფუნქციაა მწარე სინამდვილის სისრულით შეგრძნება, მისი მხილება, დაგმობა, მისდამი ძლიერი სიძულვილის გრძნობით გამსჭვალვა და უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის ცეცხლის გაღვივება. ამიტომ, სავსებით გასაგებია პოეტის სიტყვები: დამჭკნარი ვარდი ცრემლებით არ განელდება... არაო! და ჭირში ტირილი სრულებითაც ვერ უზრუნველყოფს უბედურებისაგან თავისდაღწევის შესაძლებლობას. ამიტომ, — აცხადებს პოეტი, — არ უნდა ვიტიროთ, რადგან „ვაჟკაცსა არ შვენის ცრემლით გლოვანი!"..

იმედის შარავანდით მოსილ პოეტს არ აშინებს გაჭირვება, მის ვაჟკაცურ გულს ვერ შეაკრთობს ავბედობა და მოზღვავებული მტრის რისხვა. მწარე ცხოვრებით გარემოცული მგოსანი ჯოჯოხეთის სახნისით გულდაფლეთილი მტკიცედ აცხადებს:

გავკაჟებივარ შავ-ბედსა,
დავდივარ შეუპოვარი!

ვერ შემაშინებს რისხვით ცა,
ჭირზედა ჭირის მთოვარი!
(„გამოფხიზლება“)

აკაკი წერეთელს ყოველთვის ახასიათებდა უკეთესი მომავლის რწმენა. მიუხედავად იმისა, რომ პოეტი საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაბატონებულ წყვდიადს აწყდებოდა და მთელი მისი არსება ულმობელი შხამიანი ისრით იყო დაგესლილი („გულისფიცარზედ, — როგორც პოეტი ამბობდა, — ნევსის ყუნწის ოდენა ადგილიც ვერ ვიპოვე, რომ ეკლით არ ყოფილიყოს ნაჩხვლეტიო“), აკაკის შემოქმედება და მთელი მისი ვნებათა ღელვა სხივმოსილი იყო მომავლის დაჯერებული რწმენით. მის გულს ყოველთვის ამხნევებდა მომავლის იმედი. პოეტი წერდა: „შუა-გულზედ ეწერა დიდის ასოებით: „იმედი“ მარჯვენა კუთხით: „გამარჯვება შრომას“, მარცხნივ: „ქება გამბედაობასო“[1]. სასოება, იმედი და გაბედული ბრძოლა უკეთესი მომავლის მოპოვებისათვის საერთოდ დამახასიათებელი თვისებაა აკაკის შემოქმედებისა. აკაკის შემოქმედება შთააგონებდა ხალხს, რომ უიმედობა, უსასოება და „გულის გატეხა ცოდვაა“. პესიმისტური განწყობილება, აპათია და ხელჩაქნეულობა დამღუპველია ხალხისათვის. ისტორიული და მებრძოლი ოპტიმიზმით შთაგონებული მგოსანი ყოველთვის ამხნევებდა ქვეყანას, რომ „დღეს თუ აქა-იქ დასუსხულ ყვავილებსა ვხედავთ, მომავალი ნაყოფს გვიჩვენებს დამწიფებულსაო“. ამ დიდი ოპტიმიზმით დაჯერებული პოეტი მოუწოდებდა გადამწყვეტი და მედგარი ბრძოლებისაკენ. იგი აღტაცებით უმღეროდა დიად მომავალს, არ უდრკებოდა მოზღვავებულ გაჭირვებას და ყოველთვის მზად იყო ხალხის მტრების შესამუსრავად, ბედნიერი მერმისის დასამყარებლად. პოეტი ხშირად აღნიშნავდა, რომ, მართალია, აწმყოთი გამწარებული ჩანგის სიმები კვნესით მოსთქვამს და გოდებს, მაგრამ მომავლის იმედი გვიბრუნებს გულს და გვწამს, რომ კეთილი მომავალი სრულიად გაჰფანტავს გარსმოდებულ სიბნელეს და ქვეყნად სინათლე დაისადგურებსო. ამ რწმენით შთაგონებული მგოსანი წერდა:

შევსტრფით, შევგალობთ მომავალ ვარდსა,
აღარად ვიმჩნევთ დღევანდელ ეკალს!..
დეე, გაგვაწროს!.. სხვების სანიშნოდ
სისხლით და ოფლით მოვრწყავთ გზა და კვალს.

საერთოდ, აკაკის შემოქმედება ხალხის გამარჯვების, თავისუფალი, ბედნიერი ცხოვრების მოპოვების ღრმა სიყვარულითა

[1] „დროება“, 1872, № 1.

და იმედიანი ბრძოლის სულისკვეთებით არის შთაგონებული. პოეტს ღრმად სწამდა ქვეყნის მომავალი, ხალხის უშრეტი ძალა და ამიტომაც მისი სიხარული უაღრესად საზოგადოებრივი, სახალხო ხასიათისა იყო. იგი დარწმუნებული გახლდათ იმაში, რომ ბოროტება ადრე თუ გვიან მაინც დამარცხდებოდა, სიმართლე გაიმარჯვებდა, ბოროტს დასძლევდა კეთილი, ისევ გაიღვიძებდა დაძინებული სამშობლო, გამოფხიზლდებოდა ხალხი და გაწყვეტდა მონობის ჯაჭვს.

ამ იმედით დაჯერებული პოეტი, დიდი „ტრუბადური ხალხის იმედებისა",[1] სამშობლოს მოუწოდებდა:

ბერო ქართლო, გულს ნუ იტეხ,
კმარა, ცრემლი რაც გედინა!..
ამდენი ხნის მწუხარება
ნახავ, მალე გაგეყრება!..
(„ძველ სამეფოს")

აკაკი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ქვეყნის მომავლის ვარსკვლავი უკვე გაბრწყინებულია და ჩქარა ახალი ბედის გვირგვინი უნდა დაწნულიყო. ამ იმედით შთაგონებული იგი სამშობლოს ანუგეშებდა:

გაუმაგრდი განსაცდელს,
აიტანე ტყვეობა!
გშვენის ნესტან-დარეჯნის
მაგალითი... მზეობა.
ტარიელი დაგეძებს,
გაეარდნილი დღეს კელად,
ავთანდილიც, ფრიდონით
მოდის გამოსახსნელად!.. („სატრფოს")

დიდ პოეტს ანუგეშებდა იმედი, რომ მისი სამშობლო დალეწდა ცხრაკლიტულს და მოიპოვებდა თავისუფლებას. პოეტი მოუწოდებდა ხალხს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გაჩაღებისაკენ, იგი ოცნებობდა ძლიერ ქარიშხალზე და ჰღალადებდა:

ღმერთო, ნვიმა მოიყვანე
წითელი და შხაპუნაო,
რომ გავიდეთ სამუშაოდ
და დავძახოთ ჰოპუნაო!

„მებრძოლი, გულგაუტეხელი, ბნელში იმედით მკვესელი „პოეტი" მზად იყო მტრის სისხლით შეეღება ჭაღარა, მსხვერპლად

---

[1] პ ა ვ ლ ე ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელნი, 1975, გვ. 341.

შეეწირა თავი სამშობლოს კეთილდღეობისათვის. მთელი სიცოცხლე სანთელივით დაეწვა, წვეთ-წვეთად დაეღვარა საკუთარი სისხლი, უშიშრად შეხვედროდა მტრის მახვილს და მით კეთილი მომავალი მოეპოვებინა თავისი ქვეყნისათვის. ეს მებრძოლი პატრიოტიზმი, რევოლუციური ოპტიმიზმი და ხალხურობა, როგორც ითქვა, აკაკის შემოქმედებისათვის დამახასიათებელ და წამყვან თვისებას შეადგენს.

* * *

აკაკი წერეთელმა თავისი მოწინავე იდეალები გამოხატა როჯორც უმშვენიერეს ლირიკაში, ისე პოემებსა, მოთხრობებსა, დრამატურგიასა და სხვა სახის თხზულებებში. აკაკი, როგორც ვიცით, მრავალფეროვანი მწერალია და ყველა ჟანრის ნაწარმოებთა დიდი ოსტატია. დამახასიათებელია, რომ მთელი მისი მდიდარი შემოქმედება ღრმა იდეურობითაა შთაგონებული და მაღალი მხატვრული ოსტატობითაა შესრულებული. იგი წარმოადგენს ცოცხალი, სადა, მდიდარი და ხატოვანი მეტყველების იშვიათ ნიმუშს: მისი ენა ტკბილი, გასაგები, მოქარგული, მსუბუქი. მოქნილი, ჰაეროვანი და უაღრესად მდიდარია. დიდი მგოსანი თავისი საოცარი მგზნებარებით „უბრალო სიტყვას ცეცხლს აფრქვევინებდა" (ვ. კოტეტიშვილი) და პოეტური გენიის ძალთა-მძლეობით ხალხის სულსა და გულს მომხიბლავად აჯადოებდა.

აკაკი თავისი მოწინავე იდეალების გამოსახატავად ხშირად მიმართავდა ისტორიულ თემატიკას, ქართველი ხალხის ისტორიულ ცხოვრებას. გარდასულ დროთა მოვლენებს იგი ხატავდა სიმართლით, რეალიზმის პრინციპით, კეთილშობილური პატრიოტიზმის, მებრძოლი ისტორიზმისა და მომავლის დაჯერებული ოპტიმიზმით. პოეტი ღრმად სწავლობდა ჩვენი ხალხის წარსულს, მის მდიდარ ლიტერატურას, ხალხურ შემოქმედებას, მემატიანეთა, უამთააღმწერელთა და ისტორიკოსთა წყაროებს და საერთოდ ქვეყნის წარსული ისტორიული ცხოვრების ამსახველ როგორც ქართულ, ისე არაქართულ წყაროებს. ამ მდიდარი მასალების გამოყენებით დიდი განმანათლებელი ხატავდა წარსულის რეალისტურ სახეებს. საქართველოს ბულბულს დაუშვებლად მიაჩნდა ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების დამახინჯებულად გადმოცემა მხატვრულ თხზულებებში. ისეთ ნაწარმოებს, რომელშიც ხალხის წარსული ცხოვრება დამახინჯებულად იქნებოდა წარმოდგენილი, პოეტი თავხედურად შედგენილს უწოდებდა და მიიჩნევდა ისეთ თხზულებად, რომლებიც „მხოლოდ შეურაცხყოფენ ჩვენს ისტორიას და ცილსა სწამებენ წარსულ ცხოვრე-

ბას" („ივერია", 1886 წ., № 30). აკაკი ისტორიულ მოვლენებს, მემატიანეთა მიერ მოთხრობილ ამბებს, წარსული ცხოვრების ეპიზოდებს, ისტორიული წყაროებიდან აღებულ მასალებს დიდი პოეტური შთაგონებითა და დიდი შემოქმედებითი ძალით ამუშავებდა, ატარებდა მხატვრული შემოქმედების ქურაში და სხივმოსილი აღმაფრენით აცოცხლებდა, აღადგენდა მათ სიმართლით და ისტორიული სიზუსტით, ანიჭებდა მხატვრული განზოგადების ძალას და ჰქმნიდა ტიპურ სახეებს, ბრწყინვალე მხატვრულ შედევრებს, საჭირო შემთხვევაში პოეტი მიმართავდა ისტორიულ მოვლენათა თავისებურ მხატვრულ გადაჯგუფებას, ამდიდრებდა ისტორიულ ცნობებს მხატვრული გამოცდილებით, ავსებდა მათ „პოეტური გამონაგონით", „მხატვრული შევსებით", მაგრამ ყოველივე ეს ავტორის გადაჭარბებული ოცნებით კი არ არის შექმნილი, არამედ დიდი ოსტატის ხელით სინამდვილის ფონზე მხატვრულად მოქსოვილი იმგვარად რომ იგი შეესატყვისება ისტორიული ცხოვრების გარკვეულ ვითარებას. ამ ხერხით დახატული სახეები, აკაკის მოხდენილი დახასიათებით, ისეთი ტიპებია. რომლებიც აღებულია „ნამდვილი ცხოვრებიდან... და არა ოცნებითი" („დროება", 1880, № 208). აკაკი წერეთელი ისტორიულ თხზულებებს ორ ჯგუფად ჰყოფდა: ნამდვილ ისტორიულად და „ვითომ ისტორიულად", ანუ „ისტორიულ-გვარად". ორივე სახის ნაწარმოები პოეტს საერთოდ ისტორიული ხასიათის თხზულებად მიაჩნდა. „საზოგადოდ ისტორიული თხზულება, — წერდა აკაკი, — უეჭველია ჭეშმარიტებაზე უნდა იყოს დამყარებული: მაგრამ არის ერთგვარი თხზულებაც, თუმცა არა ნამდვილი ისტორიული, მაგრამ „ვითომ ისტორიული", ანუ „ისტორიულ-გვარი", როდესაც თხზულებაში, როგორც მოქმედება, ისე პირებიც გამოგონებულია განზრახვით, მაგრამ ისე ნამდვილად კი, რომ იმ დროს, რა დროსაც ეკუთვნის, ხასიათსა და ვითარებას ნამდვილად გვიხატავს, და რაც ამბავი მოხდებოდა, სწორედ ისე უნდა მომხდარიყო, როგორც ავტორი გვიხატავს, არა სხვაგვარად" (გაზ. „შრომა", 1881 წ., № 12). პოეტის ეს შეხედულება სავსებით ნათელყოფს ისტორიულ თემაზე დაწერილი თხზულებებისადმი მისი დამოკიდებულების სპეციფიკას. იგი თითქოს ეხმაურება დობროლუბოვის აზრს:

«В произведениях исторического характера правда должна быть фактическая» (11, 326).

«...в беллетристике, где происшествия вымышлены, она заменяется логическою правдою, то есть разумной вероятностью и сообразностью с существующим ходом дел» (11, 326).

აკაკის მიერ დაშვებული „პოეტური გამოგონებანი“ და „მხატვრული შევსებანი“ დიდი მხატვრის ისეთი მაგიური ოსტატობითაა შესრულებული, რომ მკითხველს სავსებით სჯერა; ამ სახის სურათები, მოვლენები და სახეები თითქოს ნამდვილად უნდა არსებულიყო და იგი ისტორიული რეალობაა. გამონაგონის რეალურ სინამდვილედ ჩვენების ოსტატობა აკაკის მხატვრული გენიის ერთ-ერთი სპეციფიკური ნიშანთვისებაა.

გასული საუკუნის სამოციან წლებში საქართველოში ეროვნული და სოციალური ჩაგვრის, ბატონყმობისა და ცარიზმის მძვინვარების პერიოდში ქართველ სამოციანელთა მოწინავე წარმომადგენელთა შემოქმედებაში მამულის სიყვარული, ხალხის დაბეჩავებული მდგომარეობის, „მთა-ბარობამ უსწორმასწორო ცხოვრებისა“. ხალხის საუკეთესო იდეალების, მათი „სანატრელებისა“ და მისწრაფებების, მათი „გლოვისა და სიხარულის, ჭირისა და ლხინის, ძულებისა და სიყვარულის“ ფართოდ გამოხატვამ (ილია ჭავჭავაძე) გამოიწვია მრავალფეროვანი ლიტერატურული ჟანრის განვითარება, მწერლობის ხალხის ინტერესებისადმი სამსახურის მძლავრი მისწრაფება, დიდი მოქალაქეობრივი და ხალხურობით შთაგონებული პათოსი. ამ საერთო მოძრაობის პირობებში საჭირო გახდა მშობლიური ქვეყნის წარსულის, მისი აწმყოსა და მომავლის კვლევა და გამოძიება, მისი მხატვრული ასახვა და გამოყენება თანამედროვეობის მწვავე პრობლემების გადასაწყვეტად. ამ მოვლენებმა განაპირობეს ხალხის წარსული ცხოვრების საფუძვლიანი შესწავლისა და მწერლობაში ისტორიული თემატიკისადმი ღრმა მისწრაფება. დიდი კრიტიკოსი ბ. ბელინსკი, როგორც აღვნიშნეთ, ძლიერ დაინტერესებული იყო თავისი ერის ისტორიული ცხოვრების შესწავლით. მისი ღრმა რწმენით, მშობლიური ხალხის ისტორიის შესწავლამ უნდა „აგვიხსნას ჩვენი აწმყო და გადაკვრით მიგვითითოს ჩვენს მომავალზე“. ამიტომ იგი აღტაცებით აღნიშნავდა: „ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი გონებრივი წარმატება სწორედ ის არის, რომ ჩვენ, ბოლოს, მივხვდით, რომ რუსეთს ჰქონდა თავისი ისტორია... და რომ ეს ისტორია უნდა შევისწავლოთ და განვსაჯოთ თვით მისსავე საფუძველზე“. ქართველი სამოციანელები დიდად აფასებდნენ მშობლიური ქვეყნის ისტორიას, მისი შესწავლის აუცილებლობას და მნიშვნელობას აწმყოს გაგების, მომავლის განჭვრეტისა და ხალხზე ზემოქმედების საქმეში. „ისტორია, წერდა ი. ჭავჭავაძე, — იგი დიდებული ტაძარია, საცა უწირავს ერთიანს სულსა ერისას და საცა აღუმართავს ერს თავის დიდებული და დიდბუნებოვან კაცთა უწმინდესნი ხატნი და

ზედ წარუწერია დიდთა საქმეთა მოთხრობა ვითა საშვილიშვილო ანდერძი". წარსული ცხოვრების შესწავლის მნიშვნელობის შეგნება, მისი დაფასება, ხალხის შინაგანი ისტორიული განვითარების კანონზომიერების გათვალისწინება და მწერლობაში მისი ისტორიული თემატიკის ფართოდ გამოყენება ხალხის საკეთილდღეო იდეალების საქმეში, როგორც აღვნიშნეთ, განსაზღვრავდა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიისადმი აკაკი წერეთლის დამოკიდებულებას, მის მხატვრულ-ესთეტიკურ ინტერესს. პოეტი წერდა: „ყოველგვარი ნაშრომი ძველთაგანი, რომელიც კი გვიმტკიცებს ჩვენი წინაპრების გონიერებას და მათ შემოქმედებითს ძალას, დღესაც კიდევ საჭიროა, შესაწყნარებელი და არა უარსაყოფი"... კაცს „წარსულიდან გამოჰყავს აწმყო და აწმყოდან ჰსურს წარმოშობოს მომავალი". ამიტომ, პოეტის აზრით, საჭიროა „გავიხსენოთ წარსული, დავინახოთ აწმყო და წარმოვიდგინოთ მომავალი". აკაკი გმობდა წარსულისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას („ჩემი ჭმუნვა"). მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელია მებრძოლი ისტორიული ოპტიმიზმი, წარსულისადმი აქტიური, შემოქმედებითი დამოკიდებულება და არა პასიური ჭვრეტა. პოეტი ქართველი ხალხის ისტორიულ მრავალსაუკუნოვან და მდიდარ კულტურას ანიჭებდა არა მარტო ეროვნულ მნიშვნელობას, არამედ იგი მიაჩნდა კაცობრიობის გრანდიოზული კულტურული ცხოვრების ერთ-ერთ დამამშვენებელ და განუყოფელ ნაწილად. ჩვენი ხალხის მდიდარ სულიერ ცხოვრებას პოეტი თვლიდა მსოფლიო კულტურის დიად საგანძურში ჩვენ სახელოვან წინაპართა მიერ თავმდაბლად მიტანილ, მაგრამ მძაფრ ისტორიულ ქარტეხილში გამოტარებულ ძვირფას საუნჯედ. ჩვენი წინაპრები, — წერდა პოეტი, „ცალი ხელით რომ თოხ-ნამგალს იღებდნენ, მეორეში ფარ-ხმალი ეჭირათ მტრის მოსაგერიებლად, და როდესაც კი ათასში ერთხელ მათ ქორონიკონში... მშვიდობის ხანა დაუდგებოდათ ხოლმე, იმათაც ხალისით შეჰქონდათ მსოფლიო საგანძურში თავისი ღვაწლი და სიმდაბლით სდებდნენ მცირე წვლილს საერთო ტრაპეზზე" („აკაკის თვიური კრებული", 1897 წ., გვ. 46). ისტორიულ პოემაში „თორნიკე ერისთავი" პოეტი დიდი პატრიოტული გრძნობით მოგვითხრობს ქართველი ხალხის უმაგალითო გმირობაზე, მის ღრმა პატრიოტულ შთაგონებაზე, ისტორიულ დამსახურებაზე კაცობრიობის წინაშე, მის მხნეობას, თავისუფლებისმოყვარეობას, თავდადებულ შრომასა და ქედუხრელობაზე:

ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა,
და ან ცაზედ ვარსკვლავები,
ვინ შეამკოს ღირსეულად

ქართველ გმირთა მხარ-მკლავები!
ვინ მოგვითხროს მათი საქმე
უთვალავი, საგმირონი,
და ან მათზე გადმოსული
მადლი ღვთისა და მირონი.

პოეტი, ხატავს რა ქართველი ხალხის დამსახურებას ბიზანტიის წინაშე, პოემის ერთ-ერთ ვარიანტში აღნიშნავს:

დიდი ხანია, რაც ბიზანტიას
აღარა ჰქონდა მხიარულება
მას შემდეგ რაკი აჯანყებულთა
მას შეურყიეს თავისუფლება...
მაგრამ ამ ბრძოლამ, სადაც იმდენმა
ივერიელმა შესწირა თავი,
ისევე ფეხზედ წამოაყენა
ის დაცემული და მომაკვდავი.

პოემაში ასახული ქართველი ხალხის ამ დამსახურებაზე მოწიწებით მოგვითხრობენ ძველი ქართველი და უცხოელი მემატიანეები, მასზე მიუთითებენ ახალი და თანამედროვე ისტორიკოსები.

აკაკი დიდი პატრიოტული გრძნობით ხატავდა ქართველი ხალხის ისტორიის შესანიშნავ ეპიზოდებს და აღნიშნავდა: „უხსოვარ დროიდანვე აუარებელი გუნდი ბარბაროსთა პრომეთეოსის შავ-ყორანივით გულ-ღვიძლს ჰგლეჯდნენ საქართველოს, ულტდნენ, თუ აქ, თუ იქა, მაგრამ იმას მაინც სიცოცხლე არ გაჰქრობია — გასძლო და გასძლო... იმან, როგორც ორბმან ცეცხლისა და ფერფლისაგან ახალ — საცხოვრებლად წმინდათ გამობრძმედულად გამოსახულმა". პოეტი მრავალფეროვანი მხატვრული საღებავებით ხატავდა წინაპართა გმირობას, სამშობლოსადმი თავდადებას, უნაპირო სიყვარულსა და შრომისმოყვარეობას. ამით აკაკი ძარღვიანად უკავშირდებოდა თანადროულობას, ეპოქის მოთხოვნებს და ხელს უწყობდა ხალხის ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის გაღვივებას. პოეტმა კარგად იცოდა, რომ ერი თავის გმირებში და ინტენსიურ ისტორიულ ცხოვრებაში „პოულობს თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს". პოეტი ისტორიულ სახეებს, წარსულის დადებით და უარყოფით მხარეებს, ისტორიულ თემატიკას, მის მხატვრულ განსახიერებას მთლიანად აყენებდა თანამედროვეობის სამსახურში. წარსულის ნამოსელში აკაკი მოხდენილად ახერხებდა თანამედროვეობის პოლიტიკური და სოციალური პრობლემების გაშუქებას. პროგრესული იდეალების გამოსახვას და პროპაგანდას, ხალხზე ძლი-

ერი ზეგავლენის მოხდენას, მისი შეგნების ამაღლებას, უსამართლობის წინააღმდეგ ხალხში მებრძოლი სულის გაღვივებას, მომავლის რწმენის განმტკიცებას, მკითხველის ესთეტიკურ ტკბობას.

ამრიგად, დიდებული პოეტი „ძველის ჩვენებისას აწმყოდან ამოდიოდა... წარსული იყო აკაკი წერეთელისათვის არა თავისთავად ღირებული, არა როგორც აწმყოს მაგიერი, არამედ როგორც განთავისუფლების ამოცანის გადასაწყვეტი საშუალება აწმყოსა“ (შალვა ნუცუბიძე). აკაკი თავის მოთხრობებსა და პოემებში გარდასულ დროებას მიმართავდა „არა წარსულისა და მისი განდიდებისათვის, არამედ აწმყოს საშველად და სამსახურად“ (გ. ჯიბლაძე). ისტორიული მასალების მხატვრულ შემოქმედებაში გამოყენების მიზანდასახულობის შესახებ აკაკი წერდა: „ჩვენ რომ ისტორიას მივმართავთ ხოლმე გარდასულ გმირების გამოსაჩხრეკად, ამას განა მიტომ ჩავდივართ, რომ ის ძველი დრო გვენატრებოდეს, გვინდოდეს მისი დაბრუნება და მამულისათვის ქვა-კუთხედად დადება. სრულიადაც არა. ჩვენ იმ გმირებს სამაგალითოდ ვაძლევთ დღევანდელ მაჩანჩალებს, რომ ამათაც იმ ძველებისაგან ისწავლონ, თუ როგორ უნდა სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავდადება, რომ დღევანდელ დროსა და ცხოვრების მოთხოვნილებას ისეთივე შესაფერი პასუხი გასცენ, როგორც ჩვენი წინაპრები აძლევდნენ იმ დროს“[1]. აკაკის ღრმად სწამდა, რომ ისტორიულ თემაზე შექმნილი ნაწარმოები ხალხის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს და ამ რწმენით ქმნიდა ის თავის შესანიშნავ ისტორიულ პოემებს, მოთხრობებს, დრამატულ თხზულებებსა და მრავალ ლექსს. პოემა „თორნიკე ერისთავი“ ეპოქის სხვა მრავალ პრობლემასთან ერთად, შთააგონებდა ქართველ ხალხს მებრძოლ პატრიოტულ გრძნობას, ოპტიმიზმსა და გამარჯვების რწმენას:

მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა გმირი!
სიხარულად შეეცვლება
აქდენი ხნის გასაჭირი!

მომავლის მძლავრი იმედით შთააგონებდა მგოსანი ეროვნული ჩაგვრის უღელში მოქცეულ ხალხს და ეუბნებოდა:

შვიდ სამთაურს მოგვაგონებს
მოელვარე ის შვიდფერი
და გვამღერებს: „არ მომკვდარა,
გაიღვიძებს ისევ ერი!

---

[1] აკაკი წერეთელი, ტ. 14, გვ. 484-485.

მაგრამ მარტო მომავლის რწმენა ჯერ კიდევ არ ნიშნავს გამარჯვებას. პოეტის აზრით, მებრძოლი ოპტიმიზმი განმტკიცებული უნდა იყოს სამშობლოს ძლიერი სიყვარულის გრძნობით. ამასთანავე, ბრძოლის ცეცხლით, იმის შეგნებითა და შეგრძნებით, რომ სამშობლო ღმერთია.

და როგორც ღმერთი, სამშობლოც ერთია... ერთადერთია.[1] დედასამშობლო ადამიანს ყველაზე უფრო უნდა უყვარდეს. მაგრამ არც მარტო დიდი სიყვარულია საკმარისი. ამასთანავე საჭიროა მისთვის ყველაფრის შეწირვა. პოეტი შთააგონებდა ხალხს, რომ სამშობლოს თავისუფლების მოპოვების, მისი ღირსების დაცვისა და დიდებისათვის ადამიანმა საკუთარი სიცოცხლე, ცოლი, შვილი, სიყვარული და ყოველი პირადი ბედნიერება უნდა გაწიროს. ამ უმაღლესი გრძნობისა და გმირული თავდადების ნიმუშად, მრავალთა შორის, პოეტი გვიჩვენებს პოემის („ბაგრატ დიდი") ერთ-ერთი გმირის იოსების სახეს. იგი შთამაგონებლად აცხადებს:

ჩემი ცოლ-შვილი, ჩემი სახლ-კარი,
ამქვეყნიური მე ნეტარება,
ყველა შევწირე ტკბილ სამშობლოსა,
მინდოდა მისი ბედნიერება.

ამგვარი ტიტანური სულის სიმაღლე, აკაკის რწმენით, ყოველთვის განპირობებული უნდა იყოს თავისუფლებისმოყვარეობით, მონობის სასტიკი სიძულვილით, და იმ გმირული მებრძოლი შემართებით, რომ:

ცოცხალ მონაზე უმჯობესია
თავისუფლების ძებნაში მკვდარი!
იმისი საქმე შთამომავლობას
ბნელს გაუნათებს, როგორც ლამპარი.

ყოველმა ადამიანმა, პოეტის აზრით, გულში ღრმად უნდა ჩაიწეროს და საკვალდებულოდ გაიხადოს დიადი შეგონება, რომ: „ვისაც სამშობლოს წინაშე თავისი ვალი არ შეუსრულებია, იმას ნება არა აქვს არც დედის, არც დისა და არც ცოლის გვერდით მშვიდობიანი ცხოვრებისა! სირცხვილია მამაკაცისათვის დედის კალთაში ქალაჩუნობით თავის ჩადება, დის კისერზე მოხვევა და ცოლის გვერდით ამოჯდომა მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანას შავი დღე ადგია და მისი მოძმეები თავგანწირვით ბრძოლის ველზე სისხლად იწურებიან".

პოეტი მტკიცედ აცხადებდა — მსხვერპლია ადამიანის გვირგვინი: რკინას ცეცხლი აფოლადებს, ხოლო ცხოვრება არის

---

[1] აკაკი წერეთელი. ტ. III, გვ. 244.

ადამიანის გამომწველი ბრძმედი. სხვა ადგილას პოეტი დასძენს: ხალხის მტანჯველებს, ბოროტებას, ეკალს, ძირი ამოვუგდოთ, სისხლით ვღებოთ მთა და ველიო („გოგია მეჩონგურე").

ამასთანავე, აკაკი მებრძოლ პოეტურ სიტყვას, ხალხის მისწრაფებათა ამსახველ ლიტერატურას ყოველთვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა და სწამდა მისი უდიდესი ძალა და ზემოქმედება, ამის შესახებ იგი წერდა:

როცა მუშა პხნავს და სთესავს,
ხორბალს აბნევს... აღარა სჩანს...
მაგრამ მოვა დრო და თესლი
ერთხელ ნაყოფს გამოიტანს.
სიტყვა იგიე თესლი არის,
ნორჩი გული-მინა-ხნული,
და აბიბინ-ამწვანდება,
რომ მოუვა გაზაფხული[1].

აკაკის ეს რევოლუციური შთაგონება ნასაზრდოებია მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურითა და კულტურით, ქართველი ხალხის მებრძოლი ინტენსიური ისტორიული ცხოვრების საუკეთესო ტრადიციებით და, ამავე დროს, ეხმაურება რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა მისწრაფებებს, დობროლუბოვის ზემოთ მოყვანილ შეგონებას — თავისუფლების მოსაპოვებლად გადამწყვეტია „Живое дело вместо слов". სამშობლოს სიყვარული, მისთვის თავდადება, კეთილშობილი პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის წმიდათაწმიდა გრძნობა, ზნეობრივი სიმტკიცე და ქედუხრელობა აკაკის აზრით წარმოადგენს ქართველი ხალხის არსებით თვისებას, მის საამაყო და ისტორიულად სახელოვან ტრადიციას.

პოეტი თავისი ბრწყინვალე შემოქმედებით ნერგავდა ხალხში იმ დიად რწმენას, რომ „რაც ფოთლებია ხისათვის, ჩვენც ისევე ვართ ქვეყნისათვის და, რაც წელიწადია ფოთლებისათვის, ის საუკუნეა ჩვენთვის. საქართველოც ჩვენი ცხოვრების ხეა, საკუთარ ქართულ ნიადაგზე დანერგილი... სანამდის მისი ძირი არ შესუსტდება, ღერო არ შეინძრევა და ფესვები მაგრად ექნება გადგმული, შტოების შერხევითა და ფოთლების დაცვენით არა უჭირს რა. ჩვენც ერთი ფოთოლთაგანი ვართ, ადრე თუ გვიან დასაცვენი... ხე, როგორც მცენარე, მოურწყველად ვერ იხარებს, ისე ეროვნების ხესაც ძირის გასამაგრებლად და ფესვების განზე გასადგმელად ოფლთან ერთად ხანდახან წმინდა მოწამებრივი

[1] აკაკი წერეთელი, ტ. III, გვ. 54, 55.

სისხლიც ეჭირვება სარწყავად"[1]. მებრძოლი პატრიოტიზმით შთაგონებული პოეტი ხანჯალს მოუწოდებდა: მიმოციქულე მტრის გულთან, ჩაერჭვე როგორც კალამიო.

* * *

აკაკი წერეთელი, როგორც მე-19 საუკუნის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი მედროშე, იმთავითვე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საზოგადოებაში ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას. იგი დაუნდობლად ებრძოდა ქვეყნის შიგნით გათიშულობისა და განკერძოების გამოვლინებებს.

აკაკი სამართლიანად ფიქრობდა, რომ ქვეყნის ძლიერებისათვის, სამშობლოს თავისუფლებისა და მომავალი ბედნიერებისათვის, სხვა ფაქტორებთან ერთად, აუცილებელი იყო ქართველი ხალხის ეროვნული მთლიანობა, ქართველთა მყარი ერთობა გარკვეულ ისტორიულ პირობებთან დაკავშირებით. ამიტომ იგი დიდი გატაცებით იბრძოდა საქართველოს მთლიანობისათვის. პოეტი ხედავდა, რომ ძველი დროიდან ცალკე სამთავროებად დაყოფილი საქართველო ჯერ კიდევ არ იყო სათანადო მთლიანი ცხოვრებით შეკავშირებული, რაც ასუსტებდა, აუძლურებდა ერს და ძალას უკარგავდა შინაურ და გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ იგი თავისი მხატვრული სიტყვით შთააგონებდა ხალხს აღნიშნული მდგომარეობის მთელ საშინელებას და აცხადებდა: „შავ-უკუღმართი დროებისაგან დათესილი ძველთაგანვე უთანხმოება უბედურებად მოიმკო საქართველოში, როდესაც ის, საქართველო, განაწილდა რამდენიმე სამეფოდ და სამთავროებად... ძმური კავშირი გაწყდა მათ შორის და მიზეზიც ეს იყო საქართველოს დაცემისა და გაოხრებისა აღა-მაჰმად-ხანის დროებიდან" [2].

პოეტი მოაგონებდა ხალხს, რომ საქართველო წარსულში ბევრჯერ დაარბია, დაანგრია, დაღუპა და დააუძლურა ტომთა შორის არსებულმა სეპარატიზმმა, ფეოდალურმა აშლილობამ, ქვეყნის ცალკე კუთხეებს შორის ატეხილმა შუღლმა და ქიშპობამ. შურითა და კარიერიზმით შეპყრობილ გარეწრებს ხშირად უღალატნიათ ქვეყნის ინტერესებისათვის და საკუთარი ეგოის-

---

[1] აკაკი წერეთელი, ტ. VII, გვ. 191-192.

[2] „დროება", 1867 წ., № 43, შდრ.: აკაკი, ტ. XI, გვ. 34.

ტური ზრახვების განხორციელების მიზნით შემოუყვანიათ სამშობლოს საზღვრებში გარეშე მტრები და მათი მეშვეობით დაურბევიათ და დაუქცევიათ მშობლიური მხარე.

სამშობლოს ეს საზიზღარი მოღალატეები დაუნდობლად აწიოკებდნენ და ჟლეტდნენ მოსახლეობას, აჩაღებდნენ ძმათა მკვლელობებს და ანადგურებდნენ ხალხის პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებას. ქვეყნის შინაგანი უთანხმოებითა და აშლილობით მოხერხებულად სარგებლობდნენ გარეშე მტრები და ისინი თავიანთი შემოსევებით საშინლად აოხრებდნენ ჭირნახულ საქართველოს. ამის საილუსტრაციოდ აკაკი თავის ცნობილ თხზულებებში ხშირად მიმართავდა სათანადო ისტორიული მოვლენების მხატვრულ განსახიერებას. და წარსულში ქვეყნის შიგნით არსებული სეპარატიზმის დამღუპველი გავლენის ჩვენებით მოუწოდებდა ერთიანობისაკენ. პოეტი მუდამ არწმუნებდა სალხს საქართველოს მთლიან ორგანიზმად გაერთიანების აუცილებლობაში, უმღეროდა ქართველ ტომთა ერთობლიობას, მათ შორის, როგორც საქართველოს ღვიძლი შვილებისა და სიცოცხლე-ხორცის, ძლიერი სიყვარულის გრძნობის დანერგვას, ურთიერთ-პატივისცემისა და ძმობის გაღვივებას. ქართველი ხალხის ძლიერ, გაერთიანებულ ერად ჩამოყალიბების პროცესისადმი თავდადება გასული საუკუნის სამოციანი წლების ქართველ მოღვაწეთა, და მათ შორის აკაკი წერეთლისათვის. ერთ-ერთ არსებით საზრუნავ საქმეს წარმოადგენდა, იგი პოეტის შემოქმედებაში ასახული პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალური სულისკვეთების საგანგებო თავისებურებას, და არსებით თვისებას შეადგენდა. ქვეყნის ტომობრივი სეპარატიზმის, შუღლისა და ძმათამკვლელი ომების, როგორც დამღუპველი მოვლენის ნათლად ჩვენებისათვის, აკაკი მიმართავდა წარსულ ცხოვრებაში მომხდარი სამწუხარო ფაქტების მხატვრულ ასახვას. პოეტი წერდა:

ერთი ძუძუთ გამოზრდილი
ერთი დედის ორი შვილი,
ერთს ჭირსა და ერთსვე ლხინში
შეთანხმებულ, გამოცდილი,
ამერი და იმერეთი
აირია, აიშალა!..
და ორივეს ჩამოაკლდა
სიმტკიცე და ძველი ძალა.
ძველი ქება და დიდება
დაჭკნა უცბად, როგორც მდელო:
აჯრინდელის ჩრდილი იყო
დაჩაგრული საქართველო!..
(„ნათელა")

ტომთა შორის, „ერთი დედის ორი შვილის" ურთიერთ შუღლის. განკერძოებისა და უთანხმოების ნიადაგზე ქვეყნის წახდენის, მისი დიდებისა და ღირსების დაცემისა და დაუძლურების სამ-

წუხარო ტრაგედიის დახატვასთან ერთად, აკაკი წერეთელმა საგანგებოდ გაუსვა ხაზი ქვეყნის შიგნით წარმოებულ სისხლისმღვრელ ომებს და მისგან გამოწვეულ ქვეყნის აოხრების მწარე გულსაკლავ ფაქტებს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია პოეტის მიერ მე-17 საუკუნის საქართველოს ძნელბედობის შემაძრწუნებელი სურათების დახატვა. ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოში მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო სამთავროების განცალკევებამ. ამ ნიადაგზე ატყდა სამეფო-სამთავროებს შორის სასტიკი და გამუდმებული ომები: ორგული მთავრებისა და თავადების მოწვევით დასავლეთ საქართველოში არაერთხელ შემოსულა ოსმალთა დამპყრობი ჯარები, რომლებიც უწყალოდ წვავდნენ და სასტიკად აოხრებდნენ ქვეყანას. დაუსრულებელი ურთიერთდაწიოკება და თავდასხმები არბევდა მთელ მოსახლეობას, განსაკუთრებით კი გლეხობას. ქვეყნად მძვინვარებდა საშინელი გაუკითხაობა, ძმა ძმას არ ინდობდა. მამა შვილს ღალატობდა, შვილი კი მამას და საზიზღარი მოღალატეების სისხლიანი მოქმედების გამო მოსახლეობა განადგურდა. ქვეყანა გაპარტახდა და „ოხერ სამარეს" დაემსგავსა. არეულობამ, ღალატმა და გაუტანლობამ, სამშობლოს განწირვამ და ორგულობამ უკუღმა დაატრიალა ქვეყნის ცხოვრების ჩარხი და იგი დაღუპვის კარამდე მიიყვანა. აკაკი წერეთელმა, საისტორიო წყაროების ღრმად შესწავლის საფუძველზე, ამაღელვებლად დახატა წარსული ცხოვრების ეს ტრაგიკული სურათები და დაუნდობლად ამხილა ტომობრივი სეპარატიზმი, ძმათა კავშირის დამრღვევი ვერაგობა, შუღლი და აშლილობა. დრამატულ ნაწარმოებში »თამარ-ცბიერში" პოეტმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება დარეჯან დედოფლისა და გიორგი გურიელის მეფობის პერიოდზე. დარეჯანის თვითნებობა დასავლეთ საქართველოში, აკაკის თქმით, აღინიშნა შავბნელ ხანად:

ის დრო საზარი აწევს ჩვენს მხარეს;
საქრისტიანოს ტკბილი სავანე
მან დაამსგავსა ოხერ სამარეს:
ასტეხა ხალხში შური და მტრობა,
უკუღმა სცვარა ჩვენი ქვეყანა;
გასწყდა კავშირი სისხლ-ხორცობისა,
ძმას აღარ ჰქონდა ძმისა გატანა!
ქვეყნის განწირვით და ორგულობით
იხვეჭდენ კერძო ბედნიერებას.
სხვადასხვა მუხლებს პოროტებისას
სწავლობდნენ თითქოს მეცნიერებას.

განუკითხაობისა და ბოროტების ამ განსაცდელის ჟამს ქვეყნად გაბატონდა ფარისევლობა, ცბიერება, უწყალო სისხლისღვრა და უკულმართობა. ყველგან დაისადგურა ჯოჯოხეთურმა ტანჯვამ და შავბედობამ. პოეტის თქმით:

ტახტზე ასული ფარისევლობა
სისხლით და ცრემლით შავ პირს იბანდა;
და ღღევანდელმა დღემ არ იცოდა
თუ ხვალინდელი რას მოიტანდა.

აკაკის დახასიათებით ქვეყანას კიდევ უფრო უარესი უბედურება დატყდა თავს გიორგი გურიელის მეფობის ხანაში. ამ დროს ტახტის დაუფლებისათვის ერთმანეთს ეომებოდნენ მეფე, ერისთავები. დედოფალ თამარ ცბიერის გულისმოსაგებად ერთიმეორეს არ ინდობდნენ დიდებულები და მღვდელმთავრები; ქვეყანა აიარა, დაეცა და ცოცხალმკვდარი მხარე ბოროტების მორევში შეცურდა. ისარგებლა რა ქვეყნის არევით გიორგი „გურიელმან სწვალა ღმერთი, დაჰგმო თავისი რჯული და ნაქორწილევი ცოლი გაუშვა და თავისი სიდედრი ცოლად შეირთო და ყოველმან რჯულმან შვიდის გზით დაკრულეს და დაიწყევლა და ძალით მეფობა დაიჭირა და მეათეს თვეს ისიც მოიკლა და ცოლიც მოუკვდა“ (ფარსადან გორგიჯანიძე). ქვეყნის ამ მეტად ტრაგიკული პერიოდის ასახვას, როდესაც შინაგანი აშლილობისა და ღალატის მძვინვარების დროს ძმა ძმას წირავდა, მამა შვილსა და მეგობარი მეგობარს, როდესაც ცალკე სამთავროები არ ერიდებოდნენ ძმათა სისხლისღვრას და ერთი მეორეს დაუნდობლად ასუსტებდნენ და უგუნურად ანადგურებდნენ, პოეტმა მრავალი ნაღვლით სავსე სტრიქონი მიუძღვნა „თამარ-ცბიერში“. საქართველოს ისტორიულ წარსულში იშვიათი არ ყოფილა გათიშულობისა და შინაგანი მტრობის შემთხვევები. სხვას რომ თავი დავანებოთ, ღალატი და ვერაგობა საშინელ უბედურებად დაატყდა თავს მეფე ერეკლე მეორეს. საისტორიო წყაროებიდან ცნობილია, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ერეკლეს ღალატობდნენ არა მხოლოდ დიდებულები, თავადები და ერისთავები, არამედ უფლისწულებიც კი. „ყველა გვარეულობა შემცოდენი იყვნენ ირაკლისთან“.[1] საკუთარი განდიდების მანიით, კარიერიზმითა და ეგოიზმით შეპყრობილი ბატონიშვილები, მთავრები და ერისთავები ღალატის ქსელში აბამდნენ ქვეყანას და უფსკრულისაკენ მიაქანებდნენ მას. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორ-

---

[1] მოგონება ალექსანდრე ორბელიანისა თავის მამის ვ. ორბელიანის შესახებ, სარგის კაკაბაძის გამოცემა, გე. 7.

ბელიანის გადმოცემით „მთელს საქართველოში იყო მოდებული საზიზღარი მოღალატე კაცები, ეშმაკებისაგან ეშმაკები“[1]. აკაკი კარგად იცნობდა საქართველოს ისტორიის ამ ტრაგიკულ პერიოდებს. მას მშვენივრად ჰქონდა გათვალისწინებული ის მწარე ხვედრი, რაც ქართველმა ხალხმა განიცადა შინაგანი მტრების ძალადობის ხანაში. ამიტომ პოეტი სწორად მოაგონებდა მისდროინდელ ქართველ საზოგადოებას იმ მეტად მძიმე ისტორიის შესახებ, რაც ქვეყანამ გადაიტანა შინაგანი აშლილობის ნიადაგზე. აკაკი „კიკოლას ნაამბობში“ მეფე ერეკლეს წერილით გადაუშლის იმერეთის მეფე სოლომონს აღმოსავლეთ საქართველოს იმ შავბედობას, რაც ქვეყანას თავს დაატყდა ბატონიშვილებისა და დიდებულების ურთიერთშორის ქიშპობისა და მტრობის ნიადაგზე:

ოხვრით ვხედავ უფლისწულებს,
რომ ერთმანეთს ჰგლეჯენ კალთას;
სხვადასხვა მხრივ მიიწევენ,
ზოგი „ალთას“, ზოგი „ბალთას“...
შინ ბევრი მყავს მოღალატე,
გარეთ — ჰტერი უთვალავი!
რას გააწყობს მარტო ჩემი
ფარ-ხმალი და გულ-მკერდ-მკლავი?!

მთავრების, ერისთავების, დიდებულების და სხვა ჯურის-მაღალთანამდებობათა პირების მიერ გაჩაღებული ძმათასისხლისმღვრელი ომებითა და გაუტანლობით, როცა „ქართველები ხშირად ექცეოდნენ ერთმანეთს უსამართლოდ და უდიერად“[2], საშუალება ეძლეოდა გარეშე მტრებს დაეღუპათ და დაერბიათ ქვეყანა, ეს გარემოება კი ძლიერ აწუხებდა მოწინავე ქართველ საზოგადოებას. პროგრესული ადამიანები თავდადებით იბრძოდნენ ქვეყნის მთლიანობის დარღვევისა და დანაწილების წინააღმდეგ. ისინი დაუღალავად იღვწოდნენ ქვეყნის მთლიანობის განმტკიცებისათვის: „ჩვენნი მამა-პაპანი, — წერდა ილია ჭავჭავაძე, — ჩვენნი უკეთესნი და უდიდესნი მამულის-შვილნი, ჩვენნი გენიოსები, ჩვენნი ვაჟკაცნი და მეომარნი, ჩვენნი მსწავლულნი და მეცნიერნი, სისხლის ღვრით იღვწოდნენ, რომ მკვდრეთით აღედგინათ ჟამთა ვითარებისაგან დარღვეული და დამხობილი ძმობა და ერთობა. ამას შესწირეს თავისი სახელოვანი სიცო-

---

[1] ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯამბაკურ-ორბელიანი, აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში, 1895 წელი, გვ. 47.

[2] ი. გოგებაშვილი, ქართული მიმართულება, „ივერია“, 1890, № 67.

ცხლე, თავისის სისხლით და ღვაწლით შემოსეს და აკურთხეს"[1]. აკაკი წერეთელი თავისი აღმამფრენი პოეტური სიტყვით არწმუნებდა ხალხს, რომ ქვეყნად მთლიანობის, ძმობის, ურთიერთსიყვარულისა და პატივისცემის დამყარების გარეშე შეუძლებელია სამშობლოს ბედნიერების მოპოვება. პოეტი სამართლიანად შთააგონებდა ხალხს იმ უდავო ჭეშმარიტებას, რომ ყოველთვის, როდესაც ძველად საქართველოში თავს იჩენდა ტომობრივი შუღლი და მტრობა, ქვეყნად ისადგურებდა უსაზღვრო უბედურება, აუტანელი ჩაგვრა და შინაგანი და გარეშე მტრების განუსჯელი თარეში.

აკაკი დიდი მხატვრული ოსტატობით ხატავდა გათიშულობის ნიადაგზე ეროვნული სხეულის დაფლეთილობის პირობებში საქართველოს წარსული ცხოვრების შავბედობას. პოეტი მიუთითებდა, რომ ტომობრივი აშლილობისა და ომების შედეგად, მონღოლების შემოსევის ხანაში ქვეყნად დიდი უბედურება დატრიალდა:

დადგა ბნელი საზარელი
დრო, მხეცების სანავარდი. .
მზის სხივების ველარ მჭვრეტი,
გახმა ია, დასჭკნა ვარდი..
მაძა-პაპის წაღმა ხნული,
შვილიშვილთა დაღმა ფარცხეს!
და ამერეთ-იმერეთმაც
ერთმანეთი დაამარცხეს! („ნათელა")

გამოჩენილი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი თავის ცნობილ სახელმძღვანელოებსა და თხზულებებში ყოველთვის ნათლად აშუქებდა გათიშულობისა და ქვეყნის დაქუცმაცების დამღუპველ ხასიათს. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა: ქართველი ხალხის ცხოვრებაში მეტად მავნებელი... იყო ჩვენი ისტორიული, პოლიტიკური სეპარატიზმი, რომელმაც დააქუცმაცა ჩვენი ქვეყანა, დააუძლურა და მტრების ლუკმად გახადა იგი.

პოლიტიკური სეპარატიზმის უაღრესად მავნე შედეგებზე მუდამ მიუთითებდა აკაკი. იგი წრფელი პოეტური სტრიქონებით შთააგონებდა ხალხს იმ უბედურებას, რაც ქვეყნის გათიშულობას მოჰყვებოდა ხოლმე:

მას შემდეგ რაც საქართველო
ორ ნაწილად გაყოფილა,
მშვიდობა და მოსვენება
აღარც ერთში არ ყოფილა.

---

1 „ივერია", 1895 წ., № 106, ავტოგრაფი მოგვაწოდა მკვლევარმა პაველ ინგოროყვამ; შდრ. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრ. კრებული, ტ. 9, 1957 წ. გვ. 262.

საქართველოს ისტორიული ცხოვრების ამ მეტად საბედისწერო და უაღრესად მძიმე ტრაგიკული მოვლენების მსატვრული ასახვის მეოხებით აკაკი წერეთელი ემსახურებოდა თანადროულ ეპოქას. იგი გარკვევით ეხმაურებოდა მისდროინდელი ცხოვრების აქტუალურ მოთხოვნებს. პოეტი ხედავდა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ადგილი ჰქონდა ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელ, ქვეყნისათვის მეტად საზიანო და დამღუპველ პოლიტიკურ სეპარატიზმს, რომ სამშობლოს კეთილდღეობისათვის აუცილებელი იყო ამ ბოროტების მოსპობა, ქართველ ტომთა შორის ძმობისა და სიყვარულის გრძნობის გაღვივება, ქვეყნის მტკიცე ორგანიზმად გაერთიანება. ამიტომ იგი, თავისი მდიდარი შემოქმედებით უმღეროდა ქვეყნის გამთლიანების დიდ ისტორიულ მოვლენას, ნერგავდა ტომთა შორის ძმობასა და სიყვარულს, მთელი მომხიბლაობით შთააგონებდა ხალხს, რომ ყველა ქართველი: ქართლელი, კახელი, მესხი, იმერელი, მეგრელი, გურული, ლაზი, სვანი, რაჭა-ლეჩხუმელი, თუშ-ფშავ-ხევსური, მოხევე, მთიული და სხვები სისხლხორცეული ძმები არიან; ყველას საქართველოს ჭირსა და ლხინში უთენ-უღამებია, მისი დიდების, ღირსებისა და თავისუფლების დაცვისათვის სისხლი და ოფლი უღვრია, მისი უბედობით ტანჯულა, მისი ლხენით გაუხარია. ამ იდეას ატარებდა ის თავის უკვდავ შემოქმედებაში. იგი წერდა:

ერთი დედის ძუძუები!
არის ამერ-იმერეთი!..
ჩვენ ძმები ვართ, ტყუპის ცალი
საქართველო-დედა ერთი!
ერთის სისხლით მორწყული გვაქვს
მინდორი, ტყე, მთა და ბარი! („კიკოლას ნაამბობი").

ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდმა მოღვაწეებმა გარკვევით დაინახეს მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, ბატონყმობის გაუქმებისა და კაპიტალიზმის განვითარების შედეგად საქართველოს ეროვნული გამთლიანებისა და მისი ბურჟუაზიულ ერად ჩამოყალიბების მძლავრი პროცესი.

საქართველოს ერთ მთლიან ეროვნულ ორგანიზმად შეკავშირების ამ საყურადღებო ისტორიული პროცესის დაჩქარებით მეტად დაინტერესებული მესამოციანელები ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს ხალხში ეროვნული მთლიანობის იდეის დანერგვას. ისინი მწარე წარსულის მოგონებით, ძველ საქართველოში ტომთა შორის არსებული უთანხმოების გაკიცხვისა და ახალი, მოწინავე შეხედულებების აღიარებით მოუწოდებდნენ ქართველ ტომებს ეროვნული სიმტკიცისაკენ. ქართველი სამოციანელე-

ბი აღიარებდნენ, რომ ყოველი ქართველი ტომის უწმინდესი მოვალეობაა საქართველოს ბედნიერებისათვის ზრუნვა, მის „ჭირსა და ლხინში ძმური მონაწილეობა“, ქვეყნის მთლიანობისათვის თავდადებული ბრძოლა, ტომთა შორის ძმური სიყვარულის გაღვივება. ცნობილი ქართველი მოაზროვნე ნიკო ნიკოლაძე ტომობრივ განკერძოებულობას კაცობრიობის უდიდეს უბედურებად თვლიდა. ქვეყნის სამთავროებად დანაწილება, ერთმანეთისაგან მოწყვეტილ ოლქებად დაქუცმაცება ნ. ნიკოლაძეს ხალხის დიდ ტრაგედიად მიაჩნდა. იგი, სხვათა შორის, საფრანგეთის მაგალითზე წერდა: »ტომობრივი გაცალ-ცალკევება და შემოზღუდვა მეტის-მეტათ აწუხებდა მთელ ქვეყანას, და როცა წარსულ საუკუნეში საფრანგეთმა პირველად გამოიჩინა მშვენიერი მაგალითი ნამდვილი და სამართლიანი შეერთების, როცა მთელი საფრანგეთისათვის დაიწერა ერთი კანონი, დამყარდა ერთი მმართველობა, ერთი წესი და სამზღვარი, მაშინ მთელი ქვეყნისათვის აშკარად გამოჩნდა ერთობის და შეერთების სიკეთე და სარგებლობა“.[1] ნ. ნიკოლაძე, სხვა სამოციანელებთან ერთად, დაუღალავად იღვწოდა ქართველ ტომთა ერთ ოჯახად გაერთიანებისათვის და იბრძოდა განცალკევების, დაქსაქსულობისა და შემოზღუდულობის წინააღმდეგ. ილია ჭავჭავაძეს ქართველი ხალხის სანუკვარი ბედნიერების საფუძვლად საქართველოს მთლიანობა და ერთიანობა მიაჩნდა: „ეგ ძმობა და ერთობა არის იგი კლდე, — რომელზედაც უნდა აშენდეს დიდი სასახლე ჩვენის ცხოვრებისა“[2]. ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი მედროშე ილია ჭავჭავაძე მტკიცედ იდგა საქართველოს ეროვნული მთლიანობის უზრუნველყოფისა და მისი დაცვის სადარაჯოზე. და, როდესაც 1895 წელს სათავადაზნაურო ბანკის საზოგადო კრებაზე ერთ-ერთმა ორატორმა დასავლეთ საქართველოს წარმომადგენელს „მოსული“ უწოდა, ქართველი ხალხის დიდი მოამაგე აღაშფოთა ორატორის ამგვარმა პროვოკაციულმა გამოსვლამ, და თავის სიტყვაში უდიდესი გულისწყრომით აღნიშნა: „როგორ? იმიერი ქართველი აქ, ჩვენს კრებაში... ჩვენს საქართველოში — მოსულია, უცხოა და არა სახლი-კაცი, არა სისხლ-ხორცი იმ დიდი ოჯახისა, რომელსაც საქართველო ჰქვიან! არა ბატონებო!... ყოველს ქართველს საქართველოს ნაწილისას, — გურული იქნება, მეგრელი, იმერელი, კახელი, თუ ქართლელი — ჩვენის ერთიანის ოჯახის კარი ღია აქვს, რომ ჩვენს საერთო ჭირსა და ლხინში ძმური მონაწილეობა მიიღოს.

---

[1] „დროება“, 1872, № 1.

[2] „ივერია“, 1895, № 106, შდრ.: ილია ჭავჭავაძე, ტ. 9, გვ. 262.

ეს არამცთუ უფლებაა თვითეულის ჩვენგანისა, უუწმინდესი მოვალეობაა.. დღეს უნდათ, — განაგრძობს ილია, — ერთმა ნაწილმა საქართველომ მეორეს უთხრას: შენ ჩვენ შორის მოსული ხარო! სამართლიანი გულისწყრომა მამულიშვილისა ამ აზრს ვერ მიაკარებს. მე ამით ვაცხადებ ჩემ მაგიერ და ჩემთა თანამოაზრეთა სახელით, რომ მამულიშვილურ გრძნობის წყევლა-კრულვით ჩვენ ზურგი შეგვიქცევია ამ უკეთურ აზრისათვის... დე, ამ უკეთურმა აზრმა იქვე გაითსაროს თავისი საკადრისი სამარე და დაიმარხოს, სადაც დაიბადა და აქვანი დაიდგა".[1]

ამგვარი მტკიცე პრინციპულობითა და ღრმა პატრიოტული გმირობით იღვწოდნენ მოწინავე ქართველი მოღვაწეები ქვეყნის მთლიანობის დაცვისათვის. აკაკი სამოციანი წლების მოღვაწეებთან ერთად, ახალ პირობებში აგრძელებდა და ავითარებდა გენიოსი შოთა რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანის, დ. გურამიშვილისა და სხვათა კეთილშობილურ იდეას საქართველოს მთლიანობის დაცვის შესახებ.

„ჩვენი საქართველო, — წერდა პოეტი, — ეს არის ჩონგური, რომლის სიმებსაც შეადგენენ: ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი, აჭარა, ლაზისტანი და სხვ. თვითეულს ამათგანს თავის საკუთარი ხმა აქვს, მაგრამ კერძოდ თავისთავად არც ერთს არა აქვს ძალა, თუ ერთმანეთს არ შეუთანხმდნენ და შეთანხმებით კი გაკეთილხმოვანდებიან"[2]. ანალოგიურ იდეას უმღეროდა პოეტი თავის ლექსებში, ამავე აზრს ატარებდა იგი პოემებსა, მოთხრობებსა და დრამატულ თხზულებებში. მრავალი მათგანი მადლიერმა ხალხმა საყვარელ სიმღერებად აქცია; მათ შორის შესანიშნავი სტრიქონები:

ჩონგური საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო,
სხვადასხვა კუთხის მცხოვრები:
„ოდელა-დელა-დელაო!.."

ერთი მათგანიც რომ გაწყდეს,
მაშინვე უნდა შველაო,
რომ არ გაფუჭდეს ჩონგური:
„ოდელა-დელა-დელაო!"

---

[1] „ივერია", 1895 წ., № 106, შდრ.: ილია ჭავჭავაძე, თხზ., სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 261—262.

[2] „დროება" 1867 წ., № 43. სხვა ადგილას აკაკი კვლავ იმეორებს ამავე შეხედულებას: „როგორც ჩონგურს სიმები, ისე საქართველოს სხვადასხვა მხარეები, სხვადასხვა კუთხეები აქვს მობმული: ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი, ლეჩხუმი, აჭარა, ლაზისტანი, ფშავი, ხევსურეთი და ა. შ. თვითეულს ამ მხარეთაგანს სხვადასხვა ბუნების გაჟღენით, თავისი საკუთარი ხასიათი, ჩვეულება, ზნე და საკუთარი ცხოვრების პირობები აქვს. კერძოდ, ცალ-ცალკე, ძალას და მნიშვნელობას მოკლებული ჰრიან, მაგრამ შეერთებულად კი შეადგენენ ძლიერსა და ვრცელს საქართველოს" (აკაკი, სამი ლექცია „ვეფხისტყაოსანზე", გვ. 18).

აკაკი წერეთელს ღრმად სწამდა, რომ

ერთობა ჩვენთვის ტახტია,
მტრებისთვის-სახრჩობელაო!..
მტრებს „ვაი-დედა" ვაძახოთ
და ჩვენ ვთქვათ: „დელა-დელაო!"

ცნობილია, რომ ფეოდალური ურთიერთობის ლიკვიდაციისა და ქვეყნად კაპიტალიზმის დამკვიდრების პროცესში მიმდინარეობდა ქართველი ხალხის ბურჟუაზიულ ერად ჩამოყალიბება. ეს დიდი მოვლენები საქართველოში აკაკის მოღვაწეობის პერიოდს დაემთხვა. პოეტმა ნათლად განჭვრიტა ახალი ისტორიული ცხოვრების მოთხოვნილება და, სამოციანელთა სახელოვან პლეადასთან ერთად, უმღერა საქართველოს ერთ მთლიან ორგანიზმად ჩამოყალიბების ისტორიულ პროცესს. იგი წერდა:

ჭაბუკობიდან მე გულში მედვა
ერთი ანდერძი, ერთი იმედი.. .
ის იყო ჩემი წმინდა-წმინდათა,
ჩემი სულისდგმა და ჩემი ბედი...
ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეს,
ვფიქრობდი, ვნახავ შეერთებულად („თამარ ცბიერი").

ქართველი ხალხის ეროვნული მთლიანობის იდეა, როგორც აღვნიშნეთ, აკაკი წერეთლის პატრიოტული მოწოდების განუყოფელ თვისებას შეადგენს. პოეტმა, ილია ჭავჭავაძესთან ერთად, მთლიანი საქართველოს იდეას ახალი აზრი, დიდი პოპულარობა, ფართო შინაარსი და ძლიერი ელვარება მიანიჭა. მან იგი გაათბო ღრმა ხალხურობით და აქცია ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ძირითად მოტივად.

აკაკი დაუნდობლად ებრძოდა ყველას, ვინც ქვეყნის შიგნით ტომთა სიძულვილსა და სეპარატიზმს ნერგავდა. პოეტი ნათლად ხედავდა, რომ ცარიზმი და მისი უბადრუკი მოხელეები ახორციელებდნენ ხალხთა დამონების ვერაგულ პოლიტიკას, და ამ მიზნის მისაღწევად ყოველმხრივ ცდილობდნენ ერის შიგნით გაევრცელებინათ გათიშულობა, ძმათა შორის სისხლის ღვრა, სიძულვილი და ამგვარად, დაშლილი და დასუსტებული ხალხი მონობის მძიმე კაბალაში უფრო მოხერხებულად მოექციათ. თვითმპყრობელობის სატრაპები და ურჯულო აგენტები ყოველგვარ შესაძლებლობას იყენებდნენ ამ თავიანთი მავნე პოლიტიკის გასატარებლად. მრავალთა შორის აღსანიშნავია მეფის მოხელის ვოსტორგოვის შავბნელი მოქმედება. შავრაზმელი დეკანოზი ვოსტორგოვი ქართული კულტურის მოსისხლე მტერი იყო. ცარიზმის

კოლონიური პოლიტიკის გატარების მიზნით, სხვა ვერაგულ ღონისძიებათა გატარებასთან ერთად იგი იბრძოდა საქართველოში არსებული სკოლებიდან ქართული ენის გაძევებისათვის. სურდა სკოლა გამოეყენებინა ქართველი ხალხის გადაგვარებისა და დაცემის საშუალებად, ქართველ ტომთა შორის შუღლისა და მტრობის იარაღად. ამ მიზნით მან 1902 წელს გააუქმა სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის სწავლება და გააჩაღა ხალხის უბოროტესი სენის ვიწრო ნაციონალიზმისა და კუთხური შოვინიზმის კამპანია. ბნელეთის ამ მოციქულის წინააღმდეგ მიმართა აკაკიმ თავისი პოეზიის მძაფრი მახვილი. პროვოკატორ ვოსტოროგოვს და მის მფარველ ბიუროკრატიას გაბედულად შეუტია პოეტმა ლექსით „უცნაური ამბავი". ამ ლექსით აკაკიმ შოვინისტი და მისი დამქაშები სავსებით სწორად დაახასიათა, როგორც ცარიზმის აგენტები, ეშმაკისაგან გაძლიერებული და ქვეყნის გადაგვარების მიზნით მოგზავნილი შოვინისტი. პოეტი ყოველთვის მოუწოდებდა ხალხს ცარიზმისა და მისი მოხელეების ვერაგული პოლიტიკის ბრძოლით ამოძირკვისაკენ. იგი მუდამ ეხმარებოდა ხალხს შენიღბული მტრის გამოცნობაში, მისი ვერაგული პოლიტიკის ნათლად გათვალისწინებასა და შეფასებაში, მისი მავნე ზრახვების მხილებასა და ამ ბოროტების კვანძის — თვითმპყრობელობის წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლის გაჩაღებაში. ცარიზმისა და მისი უბადრუკი დამქაშების მიერ საქართველოში, ისე როგორც იმპერიის სხვა სალხებში, შინაგანი შუღლის, მტრობისა და სიძულვილის გავრცელების წინააღმდეგ, აკაკი წერეთელი, როგორც ვთქვით, ხალხში ნერგავდა მთლიანი საქართველოს იდეას. იგი გაბედულად მოუწოდებდა:

ნუ დაივიწყებთ, ძმები ხართ!
შეერთდით! შეკაშირდითო!
კმარა, რაც ცალ-ცალკე ტანჯვით
ობლობით ცრემლებს ღვრიდითო!..

დრო არის. შრომას შეუდგეთ;
სტაცეთ იარაღს ხელიო,
კარს გაზაფხული მოგადგათ,
აყვავდა მთა და ველიო!

(„მერცხლები")

აკაკი ცდილობდა, საქართველოს ცალკე მხარეებსა და ტომთა შორის მტკიცე მთლიანობისა და სიყვარულის გრძნობის გაღვივებას, ამასთან ის არასდროს არ ივიწყებდა იმ

ქართველ ტომებს, რომლებიც იმყოფებოდნენ მეზობელი ქვეყნების ბატონობის უღელქვეშ. პოეტს დიდად აწუხებდა რომ უცხოელი აგრესორების მიერ მიტაცებული ჩვენი მიწა-წყლის მკვიდრნი, ქართველი ხალხის სახელოვანი ტომები საუკუნეების მანძილზე იტანჯებოდნენ ეროვნული ჩაგვრის მარწუხებში. და, როდესაც გასული საუკუნის 80-იან წლებში შესაძლებლობა დაისახა აგრესორთა მიერ მიტაცებული ტერიტორიის კვლავ შემომტკიცებისა და ტყვეობაში მყოფი ქართველი ტომების საქართველოს ორგანიზმში გამთლიანების შესახებ, აკაკიმ მოუწოდა ჩაგრულ ქართველობას თავის მშობლიურ ხალხთან ერთობისაკენ. პოეტმა ღრმა სიყვარულის გრძნობით და სათუთი გულისხმიერებით შეაფასა მესხების ის დიდი ისტორიული დამსახურება, რაც მათ მიუძღვის მშობლიური ქვეყნის წინაშე და დაახასიათა ის ტრაგედია, რომელიც სამშობლოს დაატყდა მოძალადე აგრესორების მიერ. აკაკი თავის წერილებში აღნიშნავდა: „უკუღმართმა ბედმა დაგვიკარგა ჩვენი მრავალსაუკუნოებითი ერთობა, გაგვაპო შუა ორად და დაგვაშორა ერმანეთს ქვეშევრდომობით. მაგრამ ჩვენ კი მაინც იმავე ერთის ტომის ხალხი ვართ, რაც ადრე ვიყავით: იმგვარივე სისხლი სდუღს ჩვენში დღესაც, რომელსაც ადრე ჩვენ და თქვენ ჩვენის ერთობისათვის თავგანწირულად, შეერთებულად ვათხევდით, იგივე გული სძგერს ჩვენში, რომელიც ძველად ჩვენის ქვეყნის ერთობისათვის სიყვარულით იმსჭვალებოდა, და იგივე ამაყი და პატიოსანი სული გვამხნევებს, რომლითაც ჩვენ მაშინ ერად გაუყოფელ ქვეყანაში ქებით ვიხსენებოდით... ჩვენ გვაქვს ერთი ისტორია, რომელიც საქართველოსადმი ღვაწლში თქვენ უფრო დიდ წილს გიდებსო, როგორც მესხებს, მოსაზღვრეებს, — ის არ დაივიწყება უკუნისამდე, სანამ კი საქართველო არსებობს და სანამ ჩვენი დედაენა არ გამქრალა, ის ტკბილი ენა, რომელიც თქვენ აგრე მამაცურად და პატიოსნურად უცხოობაშიც კი შეგინახავთ“[1]. აკაკი დიდი აღტაცებითა და ღრმა სიხარულით ეგებებოდა ყოველი კუთხის საქართველოს მიწაწყლისადმი კვლავ შემომტკიცების ისტორიულ მოვლენას. იგი სხვა სამოციანელებთან ერთად, ღრმა პატრიოტული შთაგონებით აფასებდა ამ მოვლენის უდიდეს მნიშვნელობას და მის განხორციელებაში რუსი ხალხის როლსა და დამსახურებას. „დროთა უკუღმართმა ბრუნვამ, — წერდა ი. გოგებაშვილი, — დიდი ნაწილები ჩვენი ქვეყნისა მოსწყვიტა მას. ახლა ზოგი ეს ნაწილები

---

[1] წერილის ავტოგრაფი დაცულია ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის კ. ლორთქიფანიძის არქივში, ხელნაწერთა კოლექცია, № 6, 965.

ძლიერმა რუსეთმა ჩვენის მონაწილეობით შემოიერთა"[1]. აკაკი წერეთელი საქართველოს მთლიან ერად ჩამოყალიბების საქმეში ჯეროვნად აფასებდა იმ დიდ როლს, რომელიც საქართველოს ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების განვითარებაში რუს ერთან შეერთებამ შეასრულა. „მხოლოდ რუსეთის მფარველობის ქვეშ, — წერდა პოეტი, — ამ სენისაგან (ე. ი. საქართველოს ტომთა და სამთავროების სეპარატიზმისაგან — პ. კ.) განიკურნა ჩვენი სამშობლო, სამთავროების ერთმანეთთან შეერთებით"[2].

ამრიგად, აკაკი წერეთლის ეს მოწინავე შეხედულებები და მისი ბრძოლა ერის მთლიანობისათვის ღრმა ისტორიულმა პროცესებმა განაპირობეს და იგი უდავოდ პროგრესული მოვლენაა ახალი ქართული რეალისტური ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნებისა და ცხოვრების ისტორიაში. დიდმა პოეტმა ისტორიული განვითარების აღნიშნული პროცესი გარკვევით დაინახა და თავის შემოქმედებაში სიმართლით, სისრულით, სიცხადით და სისწორით გამოხატა იგი. ამით კი ღრმად ასახა ხალხის საუკეთესო იდეები, აზრები, ფიქრები და განცდები, მისი სიბრძნე და კეთილშობილური მისწრაფებანი.

ბრძოლა ბურჟუაზიული კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ

აკაკი სასტიკად ებრძოდა ბურჟუაზიულ კოსმოპოლიტიზმს და ჭეშმარიტი პატრიოტიზმის მგზნებარე მქადაგებელი იყო. პოეტმა გაკიცხა ერთ-ერთი მეგობარი იმის გამო, რომ მან მიატოვა თავისი სამშობლო და სხვა ქვეყანაში დაიწყო მოღვაწეობა თავის გამოჩენის მიზნით. „უნდა გამოგიტყდე, — წერდა პოეტი, — რომ შენ კეთილი მუშა არა ხარ! შენ მხოლოდ თავის გამოჩენა გინდა იქ, სადაც უფრო მალე შეგნიშნავენ, ესე იგი მდიდრის ოჯახში... თუკი შრომა გინდა და კეთილი ნაყოფის მოტანა, შენს ღარიბ ქოხს რათ შორდები და მდიდრის ოჯახში მირბიხარ, მაშინ, როდესაც იქ უშენოდ არა უჭირთ რა!"

პოეტის აზრით, ხალხისათვის ზრუნვა და მისდამი სამსახური შეუძლებელია მისი ცხოვრების დეტალურად შესწავლის გარეშე, ხოლო ხალხის მდგომარეობისა და მისწრაფების ნამდვილი შესწავლა მოღვაწისაგან მოითხოვს ქვეყნის მაჯისცემასთან ახლო

---

1 ი. გოგებაშვილი, რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები, ტ. 1, 1910 წ., გვ. 365.

2 „დროება", 1867 წ., № 43.

დგომას, შორიდან ცქერა კი უნაყოფოა: „დურბინდით რაც უნდა უკირკიტო მაგ სიშორიდამ შენს ღარიბ ქოხს, — წერდა აკაკი იმავე მეგობარს, — მაინც ვერ დაინახავ, სანამ თვითონ არ ჩამოხვალ და ადგილზე არ მიათვალიერ-მოათვალიერებ. შეისწავლე მისი ყოველი კუთხე, გაუსინჯე საძირკველი, გადაათვალიერე სახურავი, ძირს ნაგავი მიხვეტ-მოხვეტე და მაშინ კი ნათლად დაინახავ და მიხვდები, თუ რა ეჭირვება შენს ღარიბ ქოხს".

ხალხის ჭირ-ვარამის, მისი წარსულისა და აწმყოს ღრმა ცოდნის გარეშე აკაკის შეუძლებლად მიაჩნდა ხალხის მკურნალის როლში გამოსვლა და ქვეყნის სასარგებლო საქმის გაკეთება. თუ საზოგადოებრივი მოღვაწე ხალხს არ იცნობს, ისე მისი შრომა უნაყოფოა და ჰგავს იმ მკურნალს, რომელმაც თავისი ავადმყოფის სენი არ იცის.

„ჩვენში ექიმებმა იციან, — ამბობდა პოეტი, — რაც უნდა გვტკივოდეს, მაშინვე მზადა აქვთ ქინაქინა; ისინი არც ავადმყოფის ბუნებას დაგიდევენ, არც ავადმყოფობის მიზეზს და არც სხვა რამეს; თუ მორჩა, ხომ კარგი, თუ არა და რა ჩემი ბრალია, ვიდა არ დამიკლიაო".

აკაკის რწმენით ქვეყნის ნამდვილი მოჭირნახულე ყოველთვის ხალხთან ახლოს უნდა იყოს და საზოგადოებას არ მოწყდეს. პოეტის ეს თვალსაზრისი სავსებით ემთხვეოდა ილიას შეხედულებას; ილიასაც არ უყვარდა ცამდე აზიდული მყინვარი, რადგან ქვეყნის მაჯისცემისაგან დაშორების გამო „ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხლის ქროლვა, ქვეყნის ავ-კარგი მის მაღალს შუბლზედ ერთ ძარღვსაც არ ატოკებს".

პოეტის აზრით ადამიანი, ხალხის კეთილდღეობისათვის მოღვაწე, ძირფესვიანად უნდა იყოს დაკავშირებული თავისი ქვეყნის სასიცოცხლო პროცესებთან, თავის ხალხთან, მის მიწასთან, მის ინტერესებთან. მას მაგრად უნდა ჰქონდეს გადგმული ფესვები თავისი ქვეყნის ნიადაგში. იგი არ უნდა მოწყდეს ხალხს, თორემ დაიღუპება, რადგან საკუთარი ქვეყნის ნიადაგს მოწყვეტილი ადამიანი ხალხს ვერ გაუწევს სამსახურს. ანალოგიურ შეხედულებებს იზიარებდნენ სხვა ქართველი სამოციანელები. მათ შორის ი. გოგებაშვილი, რომელმაც ხალხს მოაგონა ძველი გმირის ანტეოსის ტრაგედია: „ანთეოზი [1], — წერდა იაკობი, — როგორც მოგეხსენებათ, იყო ღვიძლი შვილი დედა-მიწისა, და ვიდრე მას თავის მშობელს დედამიწაზე ფეხი მაგრად ედგა, იგი იყო უძლეველი და მას ვერასგზით ვერ მოერია თვით გმირთა

---

[1] ანტეოსს ქართულ წყაროებში შეცდომით ანთეოზს უწოდებდნენ. იხ. აკ. ურუშაძე, „ანტეოსი", ქართული ფოლკლორი, III, 1969, გვ. 104-112.

გმირი ჰერკულესი[1]. მაგრამ როცა ამ უკანასკნელმა შეიგნო, რომ უძლეველობა ანთეოზისა იმალებოდა დედა-მიწასთან კავშირში, აიტაცა მაღლა, მოაშორა დედა-მიწას, გააჩერა დიდ სანს ჰაერში, დააუძლურა და დაღუპა"[2].

აკაკი კიცხავდა მაწანწალა კოსმოპოლიტის მავნე ესთეტიკურ შეხედულებას. საკუთარ ხალხთან მჭიდრო კავშირს აკაკი წერეთელი განსაკუთრებულ აუცილებლობად თვლიდა მწერლისათვის. თუ მწერალი ხალხისაგან მოწყვეტილია, მისი ნაწარმოებები ვერ ასახავს ნამდვილ ცხოვრებას, ვერ იქნება ერის სარკე.

წინააღმდეგ უთვისტომო კოსმოპოლიტებისა, აკაკიც, ისევე როგორც ბელინსკი, ამტკიცებდა,—ნაციონალური ლიტერატურა შეუძლებელია აღორძინდეს ერის თავისებური პირობების, მისი სულიერი ცხოვრების შესწავლისა და ასახვის გარეშე. ერის ცხოვრება და მისწრაფება ლიტერატურის სარჩულ-საპირეა და ეროვნული ლიტერატურა შეუძლებელია არსებობდეს ამ „სარჩულ-საპირეს" გათვალისწინების გარეშე. ამ გარემოების უგულებელყოფით მწერლობა მნიშვნელობას დაკარგავს, „უმნიშვნელო იქნება" და უბრალო, უსახო ლანდად გადაიქცევა.

აკაკის სწამდა, რომ ნაციონალური კულტურის განვითარების გარეშე შეუძლებელია საკაცობრიო კულტურის წინსვლა: „ნურავინ იტყვის იმას, — ამბობდა აკაკი, — რომ არის კაცობრიობა და არა ნაციაო, ეროვნებაო და მეც მინდა, რომ პირდაპირ კაცობრიობას ვემსახუროო! ...ფერადოვანი კაცობრიობა, სხვადასხვა ნაციის, ეროვნებისაგან არის შემდგარი და თვითეულმა მათგანმა თავისი საკუთარი ელფერი და საკუთარი — „რამეობა" უნდა შეიტანოს, რომ აივსოს საკაცობრიო ზღვა!"

თანამედროვე მკითხველისათვის ნათელია, თუ რამდენად მართალი იყო აკაკი, როცა ის უგვარტომო კოსმოპოლიტებს ებრძოდა. აკაკი წერეთლის ეს თვალსაზრისი დღესაც ინარჩუნებს თავის ძალასა და მნიშვნელობას.

პოეტი შეუბრალებელი მტერი იყო ბრმა მიბაძვისა და უცხოური კულტურის წინაშე სამარცხვინო ქედმოხრილობისა. ამ მხრივ საყურადღებოა აკაკის განცხადება ხალხური სიმღერების შესახებ. იგი წერდა: „ყოველ ხალხს თავისი განსაკუთრებული ხასიათი აქვს, მიხრა-მოხრა, გამოთქმის კილო, გამომეტყველება და სხვანი. სიმღერა არის ხალხის ნაგრძნობისა და ნაფიქრალის, თავგადასავალის გამოხატვა და ამიტომაც, როგორც ცხოვრება, ისე სიმღერაც სხვადასხვაა. მიბაძვა ერთი მეორესი, გინდ გამ-

---

[1] ჰერკულესი — იგივე ჰერაკლე; შდრ. „მითოლოგიური ლექსიკონი" შედგენილი ნ. გაფრინდაშვილის მიერ, თბ., 1972, გვ. 36, 322—325.

[2] ი. გოგებაშვილი, თხზ., ტ. 4, გვ. 475.

შვენიერებულიც იყოს, გაფუჭებაა. ქართულ ხმებსაც თავისი განსაკუთრებული კილო აქვს, თავისი ეროვნული საიდუმლოება. ეს უნდა შეიგნონ ჩვენმა მომღერლებმა და კომპოზიტორებმა და მაშინ ექნება ფასი მათ მოღვაწეობასაც. ამგვარ შეგნებას დიდი შრომა, მეცადინეობა, ხალხის შესწავლა და დაკვირვება უნდა".[1]

აკაკი წერეთელი ყოველი ხელოვანისაგან მოითხოვდა ხალხის ღრმად შესწავლას, მის ცხოვრებაზე დაკვირვებას. — უცხოურისადმი ბრმა მიბაძვა საქმის გაფუჭებაა, ნამდვილის დამახინჯება და უფერულ სახედ ქცევაა, — წერდა პოეტი. იგი, ამასთანავე, როგორც აღვნიშნეთ, დიდად აფასებდა მოწინავე ქვეყნების მაღალი კულტურისა და ლიტერატურის შესწავლის აუცილებლობას და სასარგებლო მიღწევების მომზადებულ ნიადაგზე ნაყოფიერად გადმონერგვას, მის შემოქმედებითად ათვისებასა და ერის გენიის შემოქმედებით ბრძმედში გატარებას. ამგვარ გადმოტანას და მით ეროვნული კულტურის წინსვლასა და გამდიდრებას აუცილებელ პროგრესულ მოვლენად თვლიდა.

აკაკი წერეთელს შეუძლებლად მიაჩნდა კაცობრიობის ინტერესებისათვის სამსახური, თუ ადამიანს საკუთარი სამშობლოსათვის, მშობელი ქვეყნისათვის არ უძგერს გული. ვისაც ღვიძლი ხალხი და მხარე არ უყვარს, ის ვერც სხვას შეიყვარებს: „ვისაც თავისი მშობელი არ უყვარს, ის სხვებსაც ვერ შეიყვარებს. ვინც თავის პატარა ერს არ ემსახურება, ის ვერც კაცობრიობას გამოადგება. თავისი ქვეყნის სამსახურში მსოფლიოც გამოიხატება[2]...

აკაკი, გმობდა რა უგვარტომო კოსმოპოლიტიზმს, ამავე დროს ნაციონალისტურ-შოვინისტური სულისკვეთების სასტიკი მტერი იყო. შოვინისტობა აკაკის უდიდეს სიმახინჯედ, მავნედ და საძაგლობად მიაჩნდა: „შოვინისტობა, — აღნიშნავდა პოეტი, — ესე იგი სამშობლოს უკუღმართი სიყვარული, როცა იმას ანაცვლებენ სხვების კეთილდღეობასა და ბედნიერებას, საძაგლობაა!"

---

[1] გაზ. „თემი", 1912, № 53.

[2] გაზ. „თემი", 1913, № 109.

აკაკი —ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის დიდი მომღერალი

აკაკი წრეთელი ხალხთა მეგობრობის დიდი მომღერალია. იგი პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის დაუცხრომელი ტრუბადურია. პოეტი ნერგავდა ხალხთა სოლიდარობის იდეას. იგი დიდად აფასებდა და უმღეროდა რუს, უკრაინელ, სომეხ, აზერბაიჯანელ, აფხაზ, ოს და სხვ. ხალხებთან ძმურ, მეგობრულ ურთიერთობასა და ღრმა სიყვარულის დამკვიდრებას. პოეტი აღტაცებითა და სიყვარულით წერდა:

„მსურს რომ ქვეყანა გულში მიიკრა
და გახსნილი მაქვს ყველასთვის გული!...
დაბადებიდან თან. ჩამესახა
„ძმობა", „ერთობა" და „სიყვარული".

ხალხთა შორის ძმობის, მეგობრობისა და სიყვარულის დამყარებისათვის ზრუნვას მგოსანი ყოველი ადამიანის უწმინდეს მოვალეობად აღიარებდა. იგი მიაჩნდა ცხოვრების სიტკბოებად, ხალხთა დიდ ბედნიერებად და მოუწოდებდა ამ უკეთილშობილესი გრძნობის განვითარებისა და განმტკიცებისაკენ. პოეტის რწმენით ამ უწმინდესი გრძნობის განმტკიცებას ადამიანმა, საჭირო შემთხვევაში საკუთარი სიცოცხლეც კი უნდა შესწიროს. ღრმად შთამაგონებელია მგოსნის სიტყვები:

ისევ თაფლია ცხოვრებისათვის
ძმობა ერთობა და სიყვარული,
და ღირს დალიოს იმის ძებნაში
ადამიანმა სული და გული.

პროგრესული კაცობრიობის დიდი ბელადი ვ. ი. ლენინი ბურჟუაზიული ერის შესახებ გვასწავლის: „ორი ერია თვითეულ თანამედროვე ერში... არის ორი ნაციონალური კულტურა თვითეულ ნაციონალურ კულტურაში. არის ველიკოროსული კულტურა პურიშკევიჩების, გუჩკოვების და სტრუვეებისა, — მაგრამ არის აგრეთვე ველიკოროსული კულტურა, რომლის დამახასიათებელია ჩერნიშევსკისა და პლეხანოვის სახელები".[1]

„მრავალსაუკუნოვან ქართულ კლასიკურ ლიტერატურასა და ხელოვნებას, რომელიც ეროვნულ ნიადაგზე ვითარდებოდა, იზრდებოდა მგზნებარე პატრიოტიზმის, მშობლიური ხალხის ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის თავდადებული ბრძოლის იდეებზე, ამავე დროს, თავიდანვე ახასიათებდა ინტერ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 20, გვ. 21.

ნაციონალიზმის გრძნობა, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მრავალი საუკუნის მანძილზე მისი ორგანული ნაწილი იყო და არის ხალხთა მეგობრობის იდეა. ამას დამაჯერებლად მოწმობს შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ზაქარია ფალიაშვილის, გიგო გაბაშვილის და ბევრი სხვა მოღვაწის ქმნილებანი".[1]

* * *

ქართველი სამოციანელები, როგორც აღვნიშნეთ, დიდად აფასებდნენ რუს ხალხს, მის უმდიდრეს პროგრესულ კულტურას, მეცნიერებასა და ლიტერატურას. ისინი უდიდესი რწმენით შეჰყურებდნენ რევოლუციური რუსეთის ძლევამოსილებას, ღრმად სწამდათ რუსი ხალხის მომავალი, მისი მსოფლიო-ისტორიული როლი კაცობრიობის განვითარებაში. სამოციანელები ქართველ ხალხში ნერგავდნენ რუსეთთან მეგობრობის, ძმური სოლიდარობის, პატივისცემისა და გულწრფელი სიყვარულის კეთილშობილურ გრძნობებს და, ამასთანავე, დიდად აფასებდნენ რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული კულტურის ნაყოფიერ როლს ახალი ქართული ლიტერატურისა და კულტურის განვითარების საქმეში. სამოციანელთა სახელოვანი პლეადის ბელადი ილია ჭავჭავაძე წერდა: „თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერს ძალღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი ავკარგიანობა. არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მოქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებულ ლიტერატურის ზეგავლენისაგან. საკვირველი არ არის: რუსულმა სკოლამ — მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ... თვითეული ჩვენგანი რუსულის ლიტერატურით გაზრდილა, თვითეულს ჩვენგანს მის გამონარკვევზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურჩევია".

ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და სხვები, რუსეთის მოწინავე მოაზროვნეებთან ერთად, თავგამოდებით ილაშქრებდნენ ცარიზმის წინააღმდეგ,

[1] ე. შევარდნაძე, ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი", 1976, № 12, გვ. 77.

მათ უყვარდათ ბელინსკისა და ჩერნიშევსკის, პუშკინისა და ტოლსტოის რუსეთი. ისინი ქართველი ხალხის განთავისუფლების საქმეში დიდ იმედს რევოლუციურ რუსეთზე, დიდ რუს ხალხზე ამყარებდნენ. გამოჩენილი სამოციანელი ი. გოგებაშვილი რუსეთის პროგრესული საზოგადოების შესახებ წერდა: „საბედნიეროდ, რუსეთს ცოტა არა ჰყავს ისეთნი შვილნი, რომელნიც სულ სხვანაირად ფიქრობენ. ეს კიდევ ცოტაა. ისინი ზიზღით და გულამღვრეულები უცქერიან იმ სისტემას, რომლის ძალითაც ერთი ერი ფიქრობს მეორე ერის აღმოფხვრას მაშინ, როდესაც ეს მეორე ერი მეგობრულად შეჰყურებდა პირველსა. ამისთანა საუკეთესო შვილნი დიდის მხნეობით ებრძვიან ამჟამად პოლიტიკანებისა და კარიერისტების კაცთ-მოძულებას. ეჭვს-გარეშეა, რომ მომავალი ბედი რუსეთისა ამ საუკეთესო მის შვილთა ხელში იქნება. ეს გარემოება აძლიერებს ქართველთა გულში იმედს, რომ მოვახერხებთ და მშვიდობიანის გზით შევინარჩუნებთ ჩვენს მიწა-წყალსაც, ჩვენს ეროვნებასაც, ჩვენს თვითმმართველობასაც, და უკეთეს მერმისსაც შევესწრებით“[1].

აკაკი ღრმა პატივისცემისა და დიადი სიყვარულის გრძნობით იყო გამსჭვალული რუსი ხალხისადმი, მისი უმდიდრესი, მსოფლიო მნიშვნელობის კულტურისა და მწერლობის, მისი რევოლუციური ტრადიციებისა და გმირული მომავლის ოპტიმისტური რწმენისადმი. მას სწამდა რევოლუციური რუსეთის მსოფლიო ისტორიული მისია. პოეტი თავისი ერის განთავისუფლების საქმეში დიდ იმედს ამყარებდა პროგრესულ რუსეთზე. აკაკის სჯეროდა, რომ ჩქარა მოვა განახლებული, ახალგაზრდა რუსეთი ხელში ძმობის, თანასწორობისა და სიყვარულის თაიგულით. მგოსანი წინასწარმეტყველურად აცხადებდა: ახლოა ის გაზაფხული, რომელიც თავისი მაცოცხლებელი, ცხოველმყოფელი და თბილი სხივებით გაათბობს, როგორც რუსეთს, ისე საქართველოს[2]. ამ რევოლუციური ოპტიმიზმით შთაგონებული პოეტი დაუღალავად ნერგავდა ქართველ ხალხში რუსი ხალხისადმი ღრმა სიყვარულის, დიადი მეგობრობისა და ურყევი ძმობის ინტერნაციონალურ გრძნობას. პოეტი აცხადებდა: ჩვენ მართლა რომ დიდად ვაფასებთ ძმობას, ერთობასა და მეგობრობას რუსეთის ხალხებთან. მართალია, რუსის ხალხში ბევრია ისეთები, რომლებსაც არ სურთ და ეჯავრებათ ჩვენი ასეთი ძმური კავშირი, მაგრამ არის სამაგიეროდ ახალგაზრდა რუსე-

---

[1] იაკობ გოგებაშვილი, რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები, ტ. 1, 1910 წ., გვ. 525-526.

[2] აკაკი წერეთელი, ტ. 15, გვ. 561.

თი, რომელთანაც ჩვენ გვსურს ხელიხელჩაკიდებული სიარული. არა მარტო ეროვნული, არამედ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად, იმ იდეალების, რომელსაც ეწოდება ძმობა, ერთობა თანასწორობა".

თავის მხრივ რუსი ხალხის უდიდეს მწერლებსა და გამოჩენილ მოღვაწეებს განსაკუთრებული ღრმა გრძნობით უყვარდათ ქართეელი ხალხი, მისი მოწინავე მწერლები, წარმტაცი, მშვენიერი ბუნება, პროგრესული ტრადიციები და მდიდარი კულტურა. ცნობილია, რომ კავკასიისა და საკუთრივ საქართველოს მომხიბლავი ბუნებისა და ქართველი ხალხის ცხოვრების წიაღში ბევრმა გამოჩენილმა რუსმა მწერალმა მიიღო ახალი, მანამდე უცნობი პოეტური შთაგონება და შექმნა მარადუჭკნობი შემოქმედებითი შედევრები. გენიოსი რუსი მოაზროვნე და დიდი კრიტიკოსი ბ. ბელინსკი აღნიშნავდა: „უცნაური რამაა! კავკასია თითქოს მოწოდებული იყო გამხდარიყო ჩვენი პოეტური ტალანტების აკვნად, მათი მუზის შთამაგონებლად, მათ პოეტურ სამშობლოდ".

აკაკი წერეთელი ხალხთა მეგობრობის დაუცხრომელი ხუროთმოძღვარი იყო. თავისი ერის სიყვარულში იგი მუდამ სსვა ერისადმი პატივისცემას და სიყვარულს აქსოვდა. შენი „ერი უნდა გიყვარდეს, — ამბობდა პოეტი, — მაგრამ, რასაკვირველია, არა შოვინისტურად, არამედ მამულისადმი ჩვენს სიყვარულს სხვა ერებისადმი სიყვარული, ძმობა, ერთობა უნდა უძღოდეს წინ".

შოვინიზმი აკაკისათვის შეუთავსებელი იყო ნამდვილ პატრიოტიზმთან. პატრიოტიზმი საკუთარი სამშობლოს ღრმა სიყვარულთან ერთად შეიცავს სხვა ერთა მიმართ ძმობასა და სიყვარულს: „შოვინისტობა საზიზღრობაა, საძაგლობაა — წერდა პოეტი. ყოველ ადამიანს გულწრფელად უნდა უყვარდეს თავისი სამშობლო, მისადმი უსაზღვრო ერთგულებისა და თავდადების გრძნობით იყოს გამსჭვალული, უყოყმანოდ შესწიროს თავი ქვეყნის წინსვლას, მისი თავისუფლების, ღირსებისა და დიდების დაცვის საქმეს. მაგრამ, ამასთანავე, ყოველი ადამიანი ღრმა პატივისცემით უნდა ეპყრობოდეს სხვა ერის ღირსებას, მის უფლებას". აკაკის შეეძლო ყოველ ერში გაერჩია პროგრესული რეაქციულისაგან. ამიტომ იყო, რომ იგი ცარიზმთან და შოვინისტებთან ბრძოლაში ყოველთვის ინარჩუნებდა რუსი ხალხისა და მისი საუკეთესო შვილებისადმი უსაზღვრო სიყვარულს. ერთა შორის მეგობრობის დიადი კეთილშობილური იდეები უძღოდა წინ აკაკის მეფის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში, იგი წინააღმდეგობას უწევდა ცარიზმის მიერ ერთა

ურთიერთ წასისიანების, მათ შორის შუღლის დანერგვისა და მტრობის პოლიტიკას.

ვ. ი. ლენინი გვასწავლის: „თვითმპყრობელობის წყეულმა ისტორიამ ჩვენ მემკვიდრეობად დაგვიტოვა ამ თვითმპყრობელობის მიერ ჩაგრულ სხვადასხვა ეროვნებათა მუშათა კლასების უდიდესი განკერძოება. ასეთი განკერძოება უდიდესი ბოროტებაა, უდიდესი დაბრკოლებაა თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში და ჩვენ არ უნდა დავაკანონოთ ეს ბოროტება, არ უნდა ვაკურთხოთ ეს უმსგავსობა".[1] ცარიზმი, როგორც ხალხის დაუძინებელი მტერი, წინ ეღობებოდა მშრომელების, პროლეტარების შეერთების საქმეს, ის დაუზოგავად ავიწროებდა და სდევნიდა ხალხს, რუს და არარუს დაბეჩავებულ ერებს, მათ კულტურას, არ თმევდა მათ ყოველგვარ უფლებებს და, ამასთანავე, ავრცელებდა მათ შორის შუღლსა და მტრობას, რაც დროგამოშვებით სასტიკ სისხლისღერად იქცეოდა. ცარიზმი სელს უწყობდა ერების ერთიმეორისადმი გადამტერებას და ამით ცდილობდა ხელი შეეშალა მუშათა კლასის შეკავშირების დიადი საქმისათვის.

ცარიზმისა და ბურჟუაზიის ამ წყეული პოლიტიკის შედეგად ითესებოდა შური და მტრობა ერებს შორის. აკაკი წერეთელი ხედავდა, რომ ეს გარემოება ასუსტებდა და აუძლურებდა ხალხთა განმათავისუფლებელ მოძრაობას, ხელს უშლიდა დაბეჩავებულ ერთა ბრძოლას მჩაგვრელთა წინააღმდეგ, რომ ცარიზმის ეს პოლიტიკა მიმართული იყო ხალხთა გათიშვის, მათი დამონების და დამორჩილებისაკენ. ამიტომ თავის ნაწარმოებებსა, წერილებსა და სიტყვიერ გამოსვლებში პოეტი ნიღაბს ხდიდა თვითმპყრობელობის ამ პოლიტიკას, კიცხავდა და ამხელდა ცარიზმის ვერაგობას და ხალხს შოვინიზმის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლისაკენ მოუწოდებდა:

იმას არ ეთქმის ადამიანი,
ვინც აღიარებს ბარტო თავის ერს,
და სხვა ტომებს კი ისე შეჰყურებს
ჩასაყლაპავად, როგორც მტერი მტერს.

ამ კეთილშობილური, ჭეშმარიტი ხალხუროპით შთაგონებული პოეტი აცხადებდა: „ღმერთმა ნუ დაგვიჩლუნგოს ისე გრძნობაგონება, რომ რომელიმე ერი შევიძულოთ და მისი მტრობა გულში გავივლოთ".

აკაკი, როგორც ინტერნაციონალური გრძნობის გაღვივებისა და ხალხთა მეგობრობის, ერთობის და სიყვარულის დიდი ტრუ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 6, გვ. 575.

ბადური, ოცნებობდა ყველა ხალხის თავისუფალ და ძმურ, მეგობრულ ცხოვრებაზე, ხალხთა ურყევი თანამეგობრობის ისეთ მომავალზე, როდესაც ყოველი ხალხი ქვეყნად ტკბილად იცხოვრებდა და სხვა ერის სიყვარულით შთაგონებული ძმობით, თავისუფლებით, სიყვარულით და ბედნიერებით დატკბებოდა:

დეე, სუყველამ იბედნიეროს
თვის სამშობლოში... თავის მხარეში,
რომ მოძმე იყონ ერთი-მეორის
და არა მონა, ყმა და ფარეში .

ხალხთა მეგობრობის ამგვარი გულწრფელი სიყვარულით გატაცებული პოეტი წერდა: „ყველაზე პირველად მე ქართველი ვარ, რადგანაც ქართველად დავბადებულვარ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მე შოვინისტი ვიყო. სხვა ხალხის უბედურებით რომ ჩემი ხალხი იყოს ბედნიერი, ეს არ მინდა. არც ჩემ ხალხს შევსწირავ მსხვერპლად რომელიმე ერს. ჩემი სურვილია, რომ ყველა თავ-თავის ბედნიერი იყოს, ერთი მეორის გადაუკიდებლად". აკაკი ქართველი სამოციანელების სახელით აცხადებდა: შოვინისტობა ის არის, როცა გაურჩევლად, შენი ხალხის ცუდიც კი მოგწონს და სხვების მტრობა-უბედურებით ეძებ შენი ხალხის კეთილდღეობას, და ჩვენ—კი ამ გვარი რამ ფიქრადაც არ მოგვსვლიაო. განსაკუთრებული სიყვარულით, პატივისცემითა და მეგობრული გრძნობით იყო შთაგონებული პოეტი რუსი ხალხისადმი. აკაკი მაღალ შეფასებას აძლევდა რუს ხალხთან ქართველი ხალხის დაკავშირების უაღრესად დიდმნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენას. პოეტის ღრმა რწმენით აგრესორთა წინააღმდეგ გამუდმებული, მრავალსაუკუნოვანი ბრძოლებით დასუსტებულ საქართველოს უცხოელი დამპყრობლები საბოლოო განადგურებით ემუქრებოდნენ. ამ დროს საქართველო განსაცდელისაგან იხსნა რუსეთთან შეერთებამ, ან როგორც დიდი ილია ამბობდა: „დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან... გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება". ქართველ ხალხს „დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა. მეფე და ერი გულწრფელად მიენდო თავისს მომავალსა, დიდი რუსეთის მფარველობის იმედითა და ნუგეშით ფრთაშესხმული". ამის შესახებ სხვა ადგილას აკაკი წერდა: ძლიერმა მაჰმადიანობამ სრულიად დალეწა და დაამხო სახელგანთქმული ვიზანტია; დაიპყრო სლოვენთა ქვეყნები და გადასწვდა ევროპასაც, მაგრამ ეს პატარა ქვეყანა,

საქართველო, კი გაუმკლავდა. ყოველ კუთხით შემოხვეულ თათრობას საუკუნოების განმავლობაში იგერიებდა; მართალია, ხალხი გამეხუთედდა... გამეათედდა, მაგრამ თავისი ეროვნება კი მაინც დაიცვა და შეუბღალავად მოიტანა მეცხრამეტე საუკუნის კარებამდე. მაშინ მიიხედ-მოიხედა და მხოლოდ ჩრდილოეთი დაინახა, თავისუფალი, ერთადერთი თანამერჯულე და იმას მიჰმართა: „დღეიდან შევკავშირდეთ, გადავებათ ერთმანეთზე... დამეხმარე და ამ დახმარებისათვის მეც ქირში და ლხინში შემოგიდგები და მიგიულე ერთგულ ძმადო“. პოეტი ნათლად ხედავდა, რომ რუს ხალხთან ქართველი ხალხის ბედის დაკავშირება უაღრესად პროგრესული მოვლენა იყო, და ამ ისტორიული აქტის მეოხებით საქართველო გადარჩა ფიზიკურ განადგურებას, მოიშუშა მძიმე ჭრილობები, დაადგა ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების განვითარების ახალ გზას და იწყო ერთ მთლიან ორგანიზმად განმტკიცება.

აკაკი წერეთელი, ცარიზმისაგან სასტიკი დევნის მიუხედავად, უშიშრად გამოდიოდა რუსი ხალხის საამაყო შვილების — პუშკინის, გოგოლის, ლერმონტოვის, კრილოვის, ბელინსკის, ნეკრასოვის, უკრაინის დიდი კობზარის ტარას შევჩენკოს, აზერბაიჯანის ცნობილი კლასიკოსის მირზა-ფატალი ახუნდოვის, სომეხი ხალხის გამოჩენილი მწერლის გ. სუნდუკიანცის და სხვათა სახალხო იუბილეებზე. ხშირად იგი თვითონ იყო ამ იუბილეების ორგანიზატორიც. აკაკის ყოველი გამოსვლა მოძმე ერების პროგრესულ მოღვაწეთა იუბილეებზე ხელს უწყობდა ერთა შორის სიყვარულისა და პატივისცემის იდეის გავრცელებას. მრავალთა შორის აღსანიშნავია აკაკის გამოსვლა დიდი უკრაინელი კლასიკოსის ტარას შევჩენკოს დაბადების ასი წლისთავის იუბილეზე. მიუხედავად იმისა, რომ მეფის მთავრობამ აკრძალა ტარას შევჩენკოს საიუბილეო თარიღის აღნიშვნა, ის მაინც მრავალ ქალაქში ჩატარდა და ყველგან გადაიქცა გრანდიოზულ დემონსტრაციად ცარიზმის უხეში პოლიტიკის წინააღმდეგ. თბილისში მოწყობილ იუბილეზე, პოეტ ი. გრიშაშვილის გადმოცემით, აკაკის ლამაზი და შესანიშნავი სიტყვა აუდიტორიამ ფეხზე ადგომით მოისმინა. უკრაინელები პარტერში მყოფ ქართველებს ეხვეოდნენ და ჰკოცნიდნენ. სიტყვის დამთავრების შემდეგ აკაკი მივიდა შევჩენკოს ბიუსტთან, მუხლი მოიდრიკა და, პატივისცემის ნიშნად, თავისი ჭაღარა თავი დახარა მის წინაშე. დიდებულ პოეტს ძლიერ უყვარდა უკრაინელი ხალხი, მისი პროგრესული კულტურა და სახელოვანი ტრადიციები, ქვეყნის გამოჩენილი მოღვაწეები და მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატები. აკაკი უკრაინის ხშირი სტუმარი იყო. იგი მგზნებარე გატა-

ცებით ეძებდა უკრაინის ქალაქ მირგოროდში გამოჩენილი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის საფლავს, კრებდა ცნობებს ვახტანგის დროის გადასახლებულ ქართველებზე, აგროვებდა სელნაწერებს უკრაინაში მოსახლე ქართველ ოჯახებში[1]. უკრაინის მოწინავე საზოგადოებრიობა დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ეგებებოდა ქართველ მგოსანს. აკაკი წერეთელი, ცხადია, კარგად იცნობდა ტარას შევჩენკოს გენიალურ შემოქმედებას, მის უდიდეს ღვაწლს უკრაინელი ხალხის კეთილი მომავლისათვის ბრძოლაში. ამიტომ ინახავდა პოეტი თავის ბიბლიოთეკაში სათუთად და განუშორებლად ტ. შევჩენკოს თხზულებათა კრებულის იმ ტომს, რომელიც პეტერბურგში გამოიცა 1860 წელს ნ. გერბელის რედაქციით[2]. პოეტის მგრძნობიარე გულს ალბათ აღელვებდა ტ. შევჩენკოს მიერ თავის თხზულებათა ზემოხსენებულ ტომში წარმოდგენილ ავტობიოგრაფიაში ჩართული სიტყვები:

«Для меня ужасно, что мои родные братья и сестра... до сих пор крепостные»[3].

თავისი მებრძოლი, კეთილშობილური იდეალებისა და გენიალური შემოქმედების გამო შეიყვარა აკაკიმ ტ. შევჩენკო და ის უკრაინელი ხალხი, რომელმაც თავისი მადლიანი ძუძუ აწოვა დიდებულ პოეტს. „ჭაბუკურ ოცნებას, — როგორც აკაკი აცხადებს, — იგი (შევჩენკო — პ. კ.) მუდამ ეხატებოდა ბუმბერაზად, რომელსაც თავს ედგა დიდების შარავანდედი[4]. აკაკი დიდად აფასებდა ტ. შევჩენკოს პიროვნებას და მის გენიალურ მხატვრულ შემოქმედებას: „აღვიარებ რომ მე, — წერდა მხცოვანი პოეტი — პირველად მისი სიტყვებიდან გავიგე, თუ როგორ უნდა სამშობლოსა და საკუთარი ხალხის სიყვარული“ [5].

უკრაინელი ხალხის, მისი მდიდარი მწერლობისა და გენიოს ტარას შევჩენკოსადმი წრფელ სიყვარულს, ღრმა თანაგრძნობასა და უდიდეს პატივისცემას მთელი სიცოცხლის მანძილზე სავსე გულით ატარებდა მგოსანი. პოეტის ამ მაღალ სიყვარულს კარ-

---

1 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. გოგებაშვილის არქივი, 5331, ა-ბ.

2 «Кобзарь» Тараса Шевченко, в переводе русских поэтов, 1860.

3 იქვე, გვ. 11-14.

4 აკაკი წერეთელი, ჩემი მოგონებანი შევჩენკოზე, გაზ. „ზაკავკაზიე", 1911, 45, შდრ.: ლ. ასათიანი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, 1953, გვ. 130, შდრ.: აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული შვიდ ტომად, ტ. V, ლ. ასათიანის რედაქტორობით, 1957. გვ. 557.

5 იქვე, გვ. 559.

გად გრძნობდნენ უკრაინის გამოჩენილი მოღვაწეები. ამის მკაფიო გამოსატულებას სხვათაშორის წარმოადგენდა სასიამოვნო ფაქტი, როდესაც ბაქოში საიუბილეო საღამოზე უკრაინელებმა აკაკი წერეთელს საჩუქრად მიართვეს ძვირფასი განძი — ტარას შევჩენკოს სურათი. ამ მოვლენით აღფრთოვანებულმა პოეტმა უკრაინელი ხალხის დელეგაციას განუცხადა: „მე სულ ახალგაზრდა ვიყავი, როცა ნატვრა ამისრულდა და შევჩენკო ვნახე, მას უკან აღარ მინახავს. დღეის იქით ჩემს კაბინეტში მეყოლება შევჩენკო. ეს სურათი სიკვდილამდე იცხოვრებს ჩემთან". უკრაინელი ხალხისა და მისი საუკეთესო შვილების ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით აკაკი ნერგავდა და აღვივებდა ქართველ და უკრაინელ ხალხთა შორის მეგობრობის, ძმური სოლიდარობის, ღრმა თანაგრძნობის, ერთობისა და სიყვარულის კეთილშობილურ გრძნობებს.

1886 წელს თბილისში ქართულმა დრამატულმა საზოგადოებამ აკაკის ხელმძღვანელობით მოაწყო დიდი რუსი მწერლის გოგოლის კომედია „რევიზორის" სცენაზე დადგმის 50 წლის იუბილე. ამ დღესასწაულს ფართოდ გამოეხმაურა მოწინავე ქართველი საზოგადოება და პრესა. აკაკის მეთაურობით დრამატული საზოგადოების წევრებმა და თვით პოეტმა ღრმა პატივისცემისა და სიყვარულის ნიშნად გენიოსი მწერლის — გოგოლის სურათი ყვავილებითა და დაფნის გვირგვინით შეამკეს. საიუბილეო საღამოზე აკაკიმ წაიკითხა თავისი შესანიშნავი ლექსი „გოგოლის ხსოვნას". იუბილეს შესახებ „დროება" და „თეატრი" აღნიშნავდნენ: „ამ წელს შესრულდა ორმოცდაათი წელიწადი მას შემდეგ, რაც პირველად წარმოადგინეს გოგოლის უკვდავი კომედია „რევიზორი". მთელმა რუსეთმა დიდის ამბით იდღესასწაულა ხსენება თავისი სახელოვანის მაღალნიჭიერი მწერლისა. ჩვენმა დრამატულმა დასმაც არ დაივიწყა რუსეთის სასელოვანი მწერალი და ღირსეულად პატივი სცა მის სახელს. გუშინ, 6 მაისს, „დრამატული საზოგადოების" თაოსნობით გაიმართა წარმოდგენა გოგოლის სახსოვრად. ითამაშეს „რევიზორი"-ს მე-2 და მე-3 მოქმედება. წარმოდგენის წინათ, აიხსნა თუ არა ფარდა, სცენაზე გამოჩნდნენ არტისტები ხუთის ყვავილის გვირგვინით ხელში. სცენაზე ერთს ამაღლებულ წითელს მაუდით დაფენილს და ყვავილებით შემკულ ადგილას გოგოლის სურათი იდგა... ...გამოვიდა ჩვენი სახელოვანი აკაკი და დიდის გრძნობით წაიკითხა თავისი მშვენიერი გრძნობით და აზრით სავსე ლექსი. ლექსმა მთელი საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. ...შემდეგ გოგოლის სურათის ქვეშ გვირგვინები დააწყვეს".

თავის ლექსში აკაკიმ ხაზი გაუსვა დიდი რუსი ხალხის გენიოსი მწერლის უდიდეს სახალხო დამსახურებას. მან საგანგებოდ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ მაშინ, როდესაც ცრუმგოსნები ცრუღმერთს ადიდებდნენ და უმაღლესი მტარვალების კალთის ქვეშ ამოფარებული უგუნურება, მოჩვენებითი დიდება. ყოველგვარი საძაგლობა, ფარისევლობა და ბოროტება ბატონობდა, ხალხში გაბედულად და მძლავრად გაისმა დიდებული გოგოლის მგზნებარე პოეტური ხმა, რომელმაც ელვის სისწრაფით შემოვლო მთელი ქვეყანა, შეაკრთო მჩაგვრელების ბუნაგი და გამოაფხიზლა ხალხი:

როდესაც უგუნურებას,
გაბერილსა დიდებას,
ყოველგვარ საძაგლობას
და ცრუ ჭეშმარიტებას —

უმაღლეს მტარვალობის
კალთა ეფარებოდა
და ჩაგრულების ცრემლი
დღითი-დღე იღვრებოდა,

როდესაც ცრუ მგოსნები
ადიდებდნენ ცრუ ღმერთებს,
და მით ფარისევლობა
თამამად ისხამდა ფრთებს, —

მაშინ გაისმა ხალხში
ხმა, რაღაც უჩვეულო,
და ის ხმა კიდით-კიდემდე
ელვასავით შემოვლო...

შეჰკრთა მოულოდნელად
მით მჩაგვრელების კრება,
და გამოფხიზლდა უცბად
მცონარე უმეცრება.

აკაკიმ ამ ლექსში აღნიშნა, რომ ნამდვილი ხელოვნება „ყოველ ხალხს ეკუთვნის, იგი საერთო სახალხო საკუთრებაა. გოგოლის მხატვრული შემოქმედება, როგორც უაღრესად იდეური, ხალხურობით გამთბარი, ჰუმანიზმით შთაგონებული მხატვრული ქმნილება, დიდი ეროვნული მოვლენაა. იგი რუსი ხალხის ნაციონალური მებრძოლი სულის გამომხატველია, და რამდენადაც მასში ასახულია ხალხის ფიქრები და განცდები, მისი კეთილშობილური იდეალები და მისწრაფებები და უსამართლო-

ბის წინააღმდეგ შეუდრეკელი ბრძოლის პათოსი, ამდენად გოგოლის უჭკნობი, ელვარე და „კეთილგანზრახვით სრული“ მხატვრული მემკვიდრეობა მსოფლიო კულტურის უძვირფასესი საუნჯეა და იგი პროგრესული კაცობრიობის საკუთრებაცაა. ამიტომ აცხადებდა აკაკი, გოგოლის შემოქმედებას, როგორც ჩაგრულთა „სალხინო“-ს და მჩაგვრელების რისხვას — „ზარს“ და მხატვრული სიტყვის „ძლიერ მოვლინებას“, რისთვისაც „ჩვენც პატივსა ვცემთ, და ვადიდებთ მის ნიჭსა და ხელოვნებას“-ო. აკაკი წერეთელმა გოგოლის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსით და ღირსახსოვარი თარიღის სახალხო აღნიშვნაში აქტიური მონაწილეობით გამოხატა მთელი ქართველი ხალხის უსაზღვრო სიყვარულის მადლიერებისა და პატივისცემის გრძნობა გოგოლისადმი და რუსი ხალხის, მისი მდიდარი კულტურისადმი:

თაყვანი სცეს საერთოდ
მის ძლიერ მოვლინებას,
და ჩვენც დღეს პატივსა ვცემთ
მის ნიჭს და ხელოვნებას...

უცხო არც ჩვენთვის არის
„რევიზორის“ შემთხზველი,
და თავზე გვირგვინს ადგამს
ქართველში ქართველთა ხელი.

აკაკი ყოველთვის დიდი მოწიწებით იხსენიებდა რუს მოღვაწეებს. ამის ნათელსაყოფად საკმარისია გავიხსენოთ აკაკის წერილი დიდებული მწერლის ლევ ტოლსტოის შესახებ. ეს წერილი გამოქვეყნდა გამოჩენილი მწერლის გარდაცვალებისა და დაკრძალვის დღეებში. აკაკი წერდა: „რაღა გასაკვირალია, რომ ნამდვილმა გენიოსმა, რუსეთში წარმოშობილმა, გაითქვას სახელი და ცამდი აიყვანოს მისი დიდება! მე ვამბობ გრაფ ლევ ტოლსტოიზე, რომლის სიკვდილმაც, თუმცა არა უდროო, დიდად შეაძრწუნა ყველა ადამიანი. ტყუილად კი არ ჰყავდა ის ტურგენევს საოცრად წარმოდგენილი: გრაფ ტოლსტოის ხელოვნური ნაწარმოებები, პატარ-პატარა მოთხრობები სევასტოპოლის ბრძოლის შესახებ, კავკასიის ამბები, „კაზაკები“ და სხვანი მართლა საოცრად ხიბლავენ მკითხველს. დიდმა რომანებმა „ომი და ზავი“, „ანნა კარენინა“ და სხვათა, საქვეყნოდ გაუთქვეს სახელი, როგორც გენიოს ხელოვანს“. აკაკის დახასიათებით ლევ ტოლსტოი ქადაგებდა „ერთობას, თანასწორობასა და სიყვარულს“. წინააღმდგი იყო ძლიერისაგან სუსტის დაჩაგვრისა დიდისაგან პატარას ჩაყლაპვისა“. პოეტმა, ამასთანავე, აღნიშნა

მწერლის შეხედულებათა ზოგიერთი ნაკლოვანება, მაგრამ საერთოდ აღიარა იგი გენიოს, შეგნებულ, გაბედულ და იშვიათ მებრძოლად, მომავლის მოციქულად და მახარობლად, რითაც აკაკის რწმენით, „მიიზიდა მან ყველა დაჩაგრულთა გული და გაიჩინა მიმდევრები, არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპასა და ამერიკაშიც“. პოეტმა გამოხატა თავისი ხალხის გულწრფელი გრძნობა, როდესაც დასძინა: „რა საკვირველია თუ ქართველებიც დღეს მას გულწრფელად იგლოვებენო“.[1]

ასეთივე წრფელი გრძნობით უყვარდა პოეტს ნ. ნეკრასოვი. აკაკი წერეთელმა თავისი პოეტური ხმა შეუერთა ნეკრასოვის გარდაცვალებით გამოწვეულ რუსი ხალხის დიდ ეროვნულ მწუხარებას. იგი დაესწრო მშრომელი ხალხის მოსარჩლის დაკრძალვას და წერილი გამოაგზავნა თბილისში ნ. ნიკოლაძის „ობზორში“ დასაბეჭდად. აღნიშნულ სტატიაში აკაკი ნეკრასოვს ახასიათებს, როგორც ერთ-ერთ უნიჭიერეს რუს სახალხო პოეტს. სხვათაშორის აკაკი უსაყვედურებდა ნეკრასოვის ცხედართან სიტყვით გამოსულ ზოგიერთ ორატორს და მწუხარებით მიუთითებდა: ხომ შეიძლებოდა სხვანაირად თქმულიყო მასზე, ვინც ხალხს იგონებდა და გაიძახოდა:

Холодно, родименькій, холодно,
Голодно, родименькій, голодно![2]

აკაკი წერეთელმა დიდი ამაგი დასდო ამიერკავკასიის ერთა შორის მეგობრობის განმტკიცებას. პოეტი ყოველ შესაძლებლობასა და მოხერხებულ შემთხვევას იყენებდა მოძმე სომეხ, აზერბაიჯანელ და ქართველ ერთა შორის კეთილი დამოკიდებულების გაძლიერებისათვის, ურთიერთ სიყვარულისა და პატივისცემის დანერგვისათვის.

აკაკის სძულდა სომეხი ბურჟუაზია, ისე როგორც სძულდა მას ქართველი გადაგვარებული თავადაზნაურობა და ბურჟუაზია, ხოლო სომეხი ხალხი მას ნამდვილი სიყვარულით უყვარდა. იგი წერდა: „ის სომხები, რომელთანაც ჭირი და ლხინი გაგვიზიარებია და აწცა მზად ვართ გავიზიაროთ, სულ სხვა გვარისა არიან“.

---

[1] „სახალხო გაზეთი“, 1910 წ., 154.

[2] გაზ. „Обзор“ 1878 წ., № 8. დაწვრილებით იხილეთ: ანა ნიკოლაძე, რუსი კლასიკოსები და ქართული კულტურა, 1961 წ., გვ. 384-385. შდრ.: ნ. ა. ნეკრასოვი, თხზულებათა და წერილების სრული კრებული, მოსკოვი, 1948 წ., ტ. II, გვ. 139 (მცირე ცვლილებაა).

ეს იყო აკაკის, როგორც სახალხო მოღვაწის, განსაკუთრებული ღირსება.

აკაკი საგანგებოდ მიუთითებდა, რომ სომეხ, ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხებს ერთი ინტენსიური ცხოვრებით უცხოვრიათ, ისტორიულ ქარცეცხლში გამოუტარებიათ თავიანთი ენა, ეროვნება, სახელოვანი კულტურა და ზნეჩვეულება. წარსულის მრავალ, ტრაგიკულ ეპოქებში, ავბედობის უმძიმეს პირობებში ქართველებს, სომხებსა და აზერბაიჯანელებს ერთად უღვრიათ სისხლი თავიანთი დამოუკიდებლობისა და ღირსების დასაცავად. „ჩვენს წინაპრებს, — წერდა აკაკი — ყოველთვის ძმური განწყობილება ჰქონდათ" და ურთიერთშორის ამ კეთილი დამოკიდებულების ნიადაგზე „არაერთგზის მორწყულა სასომხეთის მიდამოები მათთვის თავდადებულ ქართველებისაგან მოწამებრივი სისხლით".

პოეტი გულმოდგინედ ხატავდა სომეხი და ქართველი ხალხის მწარე ცხოვრებას, მათ გმირულ ბრძოლას აგრესორთა წინააღმდეგ, მათი ურთიერთძმური და გმირული ურთიერთდახმარების ეპიზოდებს. საყურადღებოა მონღოლთა ექსპანსიის მძიმე პერიოდში ანისის მცხოვრებთა ზღაპრული გმირობის ასახვა პოეტის მიერ.

ანელები ქედს არ იხრიდნენ მრავალრიცხოვანი აგრესორების წინაშე და უთანასწორო ბრძოლებში სამშობლოსათვის თავგამეტებით იხოცებოდნენო. პოეტი ასე ახასიათებს მრავალტანჯული ანისის მკვიდრთა გმირულ, მაგრამ მეტად ტრაგიკულ მდგომარეობას:

ვინ მოსთვლის, ჭირი რამდენი
უნახავს ანის ქალაქსა!..
სისხლით მორწყული არ იყოს,
ვერ ნახავ მტკაველ ალაგსა! („ნათელა")

მართალია, აღნიშნავს პოეტი, — ურიცხვი მტრის ურდოებისაგან ყოველმხრივ გარემოცული გმირი ხალხი დამარცხდა, მაგრამ განაწამები ანისელები იმედს არ კარგავდნენ და საშინელი განსაცდელის წინაშე კვლავ ინარჩუნებდნენ გმირულ სულს, ვაჟკაცობას და მომავლის რწმენას. აკაკი წერდა:

მაგრამ ქალაქი ტანჯული,
განსაცდელს უმაგრდებოდა,

და, ვით ამირანს გულ-მკერდი,
წყლული კვლავ უმთელდებოდა!.. (ნათელა)

პოეტი ხაზს უსვამს იმ ისტორიულ მოვლენას, რომ ანისის გმირული ბრძოლა წარმოადგენდა სომეხი და ქართველი ხალხების დამოუკიდებლობისათვის ერთობლივ ბრძოლას.

ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების ძმური ურთიერთობისა და მეგობრობის საფუძველს აკაკი განიხილავს როგორც მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ცხოვრების მანძილზე აგრესორთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლებისა და მოწამებრივი სისხლის გაღების დიდ პროცესს. ეს კავშირი და მეგობრობა, პოეტის სამართლიანი დახასიათებით, შორეული წარსულის წიაღში წარმოიშვა და იგი ურთიერთისადმი სისტემატური, ძმური დახმარებისა და თავდადების წმინდა სისხლით არის შედუღაბებული და განმტკიცებული. ამ ხალხთა შორის ძველთაგანვე დამყარებული კავშირი ამტკიცებდა მათს ერთობას, ძმობასა და სიყვარულს. ამის გამო, პოეტს სავსებით ბუნებრივ მოვლენად მიაჩნდა სომეხ და ქართველ ხალხთა მეგობრობა: „რაღა გასაკვირველია, რომ სომხებიც, ეს ჩვენი ქრისტიანი მეზობლებიც, ჩვენთან ერთად ერთ ისტორიულ ტაფაში ნაწვავ-ნადაგი, მიყვარდეს და თანავუგრძნობდეო". — წერდა პოეტი.

აკაკი სასტიკად გმობდა მოძმე ერთა შორის მტრობისა და წასისიანების მავნე პოლიტიკას. იგი დაუღალავად ქადაგებდა იმ ჭეშმარიტებას, რომ ერთა შორის მტრობა დამღუპველია.

ცნობილი სომეხი მწერლის გაბრიელ სუნდუკიანცისადმი მიძღვნილ ლექსში აკაკიმ ჩააქსოვა ხალხთა შორის მეგობრობის კეთილშობილური გრძნობები:

შენ სომეხი ხარ და მე ქართველი,
მაგრამ ძმები ვართ ერთმანეთისა,
ორივე შვილი ერთი მინა-წყლის,
ერთი მიდამოს და ერთი მთისა...

პოეტი ქადაგებდა სომეხ ხალხთან ძმურ, განუყრელ კავშირს, იგი წერდა: „ისინი (სომხები —პ.კ.) მიყვარს და მსურს, რომ ჩვენ შორის ისეთივე განწყობილება იყოს, როგორც ჩვენ წინაპრებს ჰქონიათ. მინდა, რომ ამიერიდან მაინც ძმურად ხელიხელ ჩაკიდებული ერთის სწორის გზით მივდიოდეთ მომავლისაკენ".

გაბრიელ სუნდუკიანცისადმი მიძღვნილ სტრიქონებში მგოსანმა გამოხატა თავისი მხურვალე სიყვარული სომეხი ხალხისადმი:

ქართველი ხალხის გრძნობას და სურვილს
მეც შევუერთებ ამ ჩემს გულისთქმას
და თაყვანსა გცემ, დიდო მოღვაწევ,
როგორც უმცროსი თავის უფროს ძმას (გ. ნ. სუნდუკიანცს)

აკაკი ყოველთვის დიდი სიყვარულითა და ღრმა პატივისცემის გრძნობით იყო გამსჭვალული მოძმე სომეხი ხალხის დიდი მწერლის გაბრიელ სუნდუკიანცისადმი. ნათელმოსილ მგოსანს მოსწონდა მისი ღრმა პატრიოტული შთაგონება, სისადავე, გულისხმიერება, სპეტაკი და ფაქიზი მგრძნობელობა, ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის ქადაგება, ხალხისა და ბუნებისადმი თაყვანისცემა და დახვეწილი ესთეტიკური გემოვნება.

გ. სუნდუკიანცისადმი ფაქიზი დამოკიდებულება აკაკიმ, სხვათა შორის, გამოამჟღავნა სიყვარულის გრძნობით დაწერილ ერთ თავის „გახსენებაში“:

„ერთხელ, — წერდა პოეტი, — ახალ გაზაფხულის დილას, მუშტაიდში ამოვყავი თავი... მოულოდნელად ერთმა რამემ გამაშტერა: შუაგულ ბაღში ერთ ყვავილებით გაპენტილ ატმის ქვეშ თვალი მოვჰკარ გაბრიელ სუნდუკიანცს. ის ხის ქვეშ მუხლებმოყრილი და ხელებ მაღლა აპყრობილი იყო, როგორც ქანდაკება. მე შევკრთი... უკანვე გამოვბრუნდი და წრეში შემოვედი. ნახევარი საათის შემდეგ შემოვიდა აღტაცებული სუნდუკიანციც და მომაყვირა: „აკაკი-ჯან, აქ რას უზიხარ? წამოდი რა გიჩვენოვო — დამავლო ხელი და მიმიყვანა იმ ატმის ხესთან — ამას ვერ ხედავ? რატომ არ დაემხობი და თაყვანს არა სცემ მშვენიერების გამჩენს? მე კი ეს ერთი ხანია, ყოველ დილას მოვდივარ და ვლოცულობო!“.

ამ ფირუზოვანი სტრიქონების წაკითხვა ხალხთა და მის საუკეთესო შვილთა მიმართ უდიდესი სიყვარულის, მეგობრობისა, ერთობისა და გულწრფელობის ღრმა გრძნობებს შთააგონებს ადამიანებსა და ხალხებს.

1901 წელს გადახდილ იქნა სომეხი ხალხის დიდი კლასიკოსის გაბრიელ სუნდუკიანცის შესანიშნავი დრამატული ნაწარმოების „პეპოს“ სცენაზე დადგმის 30 წლის იუბილე. „პეპოს“ აკაკი ობოლ მარგალიტს უწოდებდა. ამ სახალხო დღესასწაულში, აკაკის მეთაურობით, მხურვალე მონაწილეობა მიიღო მოწინავე ქართველმა საზოგადოებამ. იუბილეზე პოეტმა გ. სუნდუკიანცს მიუძღვნა გულწრფელი სიყვარულით გამთბარი ლექსი, რომელშიც ნათლად გააშუქა სომეხ-ქართველთა ძმური მეგობრობა:

განურჩევლად გვარ-ტომობის,
ყველასათვის კეთილი მსურს,

ვინც კი კაცად-კაცადია
და სიმართლით გული უხურს.

ერთობას და მასთან ძმობას
არაფერი მირჩევნია!..
ამ კავშირის ორ-ძალობა
იმ თავითვე შემიგნია.

პოეტი ამავე ლექსში აფრთხილებდა ქართველ და სომეხ მოწინავე საზოგადოებას: თუ ჩვენ შორის მეგობრობა და ძმობა არ იარსებებს, მტერი ამით ისარგებლებს და ორივეს ადვილად დაგვიმორჩილებს და წაგვახდენსო:

მე წამახდენ... შენც წახდები!
გავაცინებთ მხოლოდ მტერსა!
ჩვენ ვიყვირებთ: „ვაი დედას",
ის კი — „მრავალ-ჟამიერსა".

ეს აზრი აკაკიმ გაიმეორა გაბრიელ სუნდუკიანცის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაწერილ ლექსშიც. აკაკი წერეთელსა და გ. სუნდუკიანცს უღრმესი მეგობრობა აკავშირებდათ.

აკაკი დიდად აფასებდა აფხაზ ხალხს, მას ძლიერი სიყვარულისა და გულწრფელი მეგობრობის გრძნობა აკავშირებდა მოძმე აფხაზ ხალხთან. პოეტს მრავალი აფხაზი მეგობარი და კეთილი ამხანაგი ჰყავდა. იგი აფხაზეთის ხშირი სტუმარი იყო. გულმოდგინედ სწავლობდა მის ისტორიას, ზნე-ჩვეულებას, კულტურას, ყოფა-ცხოვრებას, მდიდარ ხალხურ შემოქმედებას. ადათ-წესებს, ხალხის ფიქრებს, სიბრძნესა და მისწრაფებებს. აკაკი დიდად აფასებდა აფხაზი ხალხის ბრძოლას ბატონყმობისა და ცარიზმის წინააღმდეგ. პოეტმა თავისი ერთ-ერთი პოეტური შედევრი „გამზრდელი" აფხაზი ხალხის ფაქიზ გრძნობებსა და კეთილშობილურ მორალურ-ეთიკურ თვისებებზე ააგო. აფხაზი ხალხის ლიტერატურის გამოჩენილმა ფუძემდებელმა დიმიტრი გულიამ იგი თარგმნა მშობლიურ ენაზე. მრავალ აფხაზ მეგობართა შორის აკაკის გულწრფელი ძმობა და სიყვარული აკავშირებდა ცნობილ პოეტსა და საზოგადო მოღვაწესთან გიორგი შარვაშიძესთან. ცნობილია, რომ გ. შარვაშიძე იყო აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ-ჰამუთ-ბეგ-შარვაშიძის შვილი. მიხეილმა ალღო აუღო იმპერატორის გადაწყვეტილებას აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შესახებ და „თითონ გამოუცხადა, თავისი ადმინისტრაციის საშუალებით, აფხაზეთის მოსახლეობას რუსული მმართველობის დამყარება სამთავროში და ამრიგად

სრულიად უინციდენტოდ ჩაატარა იგი".[1] მიუხედავად ამისა, ავადმყოფი და დაუძლურებული მიხეილი მაინც გააძევეს აფხაზეთიდან და იგი გზად მიმავალი გარდაიცვალა ქალაქ ვორონეჟში.[2] ამის შემდეგ აფხაზეთში 1866 წელს იფეთქა აჯანყებამ, რომელსაც საფუძვლად დაედო სოციალური და პოლიტიკური მოტივი. ბრძოლაში თავადაზნაურობასთან ერთად ჩაება უკმაყოფილო გლეხობა, რომელიც აღელვებული იყო მთავრობის მოთხოვნით, რომ გლეხებს თავი უნდა დაეხსნათ მებატონეებისაგან. აჯანყებულებმა გიორგი მთავრად გამოაცხადეს. ამბოხება დამარცხდა, გიორგი გადაასახლეს. ბოლოს ის შეწყალებულ იქნა და საქართველოში დააბრუნეს, ცხოვრობდა ქუთაისში. მას აკრძალული ჰქონდა თავის მშობლიურ აფხაზეთში ხანგრძლივი ცხოვრება. იგი სიცოცხლის მთელ მანძილზე იბრძოდა სამშობლოს კოლონიური და სოციალური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის. გიორგი ნამდვილი პოლიგლოტი, ფართოდ განსწავლული და განათლებული მოღვაწე იყო. მშობლიურ აფხაზეთთან ერთად ძლიერ უყვარდა საქართველო და მოძმე ქართველი ხალხი; მისი პიესები, რომლებსაც ძლიერ აფასებდა აკაკი, ხშირად იდგმებოდა თბილისისა და ქუთაისის სცენაზე. მისი ღრმა იდეური და მაღალმხატვრული ლექსები ფართოდ ვრცელდებოდა საზოგადოებაში და ხალხის გულწრფელ სიყვარულსა და აღტაცებას იმსახურებდა, მის პოეზიას— „ხმატკბილსა და ტურფა ლექსებს" აფასებდნენ, რამეთუ მის ავტორს „ქვეყანა მისი მშობელი უყვარს ყმითა და ბერითა, ეტრფის მოძმეთა გულადთა, სულდგმულობს თავისის ერითა"[3]. იგი მუდამ შთაგონებული იყო თავისი ხალხის მომავლით. მას სწამდა, რომ რკინის გალიაში გამომწყვდეული მისი ხალხი გულით ლომია და აუცილებლად დალეწავს რკინის გალიას[4].

როგორც აღვნიშნეთ, აკაკისა და გიორგი შარვაშიძეს ღრმა მეგობრობა აკავშირებდა და ისინი ხშირად ერთმანეთს ლექსებსაც უძღვნიდნენ. აკაკიმ, როგორც შემდგომ გაირკვა, მეტად საინტერესო ლექსი მიუძღვნა გიორგის, სათაურით „მეგობარს"[5]. როგორც ჩანს, ამ ლექსის დაწერის დროს შეუძლებელი იყო ად-

---

1 სიმონ ჯანაშია, გიორგი შარვაშიძე. ნარკვევი აფხაზეთისა და სამეგრელოს კულტურული ისტორიიდან, 1939, გვ. 11 (იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვეთი III).

2 იქვე, გვ. 12.

3 დანვრილებით იხილეთ სიმონ ჯანაშიას დასახელებული შრომა.

4 იქვე, ლექსი „ლომი", გვ. 65.

5 აკაკი ნერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, გვ. 335—6.

რესატის აშკარად დასახელება, რადგან ცარიზმისაგან დევნილი გ. შარვაშიძე იმ ხანებში შორეულ მხარეში იყო გადასახლებული. ლექსის ავტოგრაფში კი პირდაპირ აღნიშნულია ადრესატი და ტექსტშიც მითითებულია სახელი გიორგი[1].

ლექსში აკაკი გ. შარვაშიძეს მიმართავს ტკბილი, გულთბილი სიყვარულითა და გულისხმიერებით აღსავსე სიტყვებით: „გულით მოგიძღვნა, ძმაო, სალამი; გვინდა ვიცოდეთ (ხარ მეგობარი) ვით შეეთვისე, მაგ უცხო მხარეს", „ხომ არ შეგიფრთხა, ჩემო გიორგი, მით ეგ უმანკო ჭაბუკი გული" და სხვ. შორეულ მხარეში გადასახლებულ მშობლიურ აფხაზეთს მონატრებულ პოეტს აკაკი მიმართავს:

„ეგებ შენუხდი, ვითა გულჩვილი,
და სისუსტისგან თავსაც დაბლა ჰხრი,
როს გაგონდება ბუნებით თბილი
ტკბილ მოღიმარი შავი ზღვის პირი?"

ლექსი მთავრდება ქართველი და აფხაზი ხალხების განთავისუფლების ოპტიმისტური რწმენით:

კმარა, რაც დღემდის ახლად და ძველად
გადაგვხდომია დიდი საბრიყვო!
ან კი დრო არის, რომ დროს შემცვლელად
მოგვევსმას ჩვენში ერთი „ყიყლიყო".

აკაკისა და შარვაშიძეს ბოლომდის აკავშირებდათ ღრმა ძმური, განუყრელი მეგობრობა. ამას ნათლად ადასტურებს ბოლო დროის ლექსებიც, რომლებიც დიდი სიყვარულითა და ლაღი ხუმრობით ერთმანეთისათვის მიუძღვნიათ. ლექსში „გიორგი შარვაშიძეს" აკაკი წერდა:

„შენი ტკბილი საუბარი
მიყვარს, როგორც „ქებათ-ქება"!
შენი ნახვა ნერვებაშლილს
სამკურნალოდ შეერგება!
ეს შენც იცი!.. მაგრამ, ძმაო,
ცოტა მოიაფხაზურებ:
ახალ-ახალს რომ მონახავ,
ძველებს აღარც კი უყურებ,

---

1 იხ. აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის პირველ ტომზე დართული კომენტარები, გვ. 480.

ეს არ არის მოსაწონი,
გეფიცები ზენაარსსა!
ნათქვამია: „ნუ დააგდებ
ძველ გზასა და მეგობარსა!.. და სხვ.[1]

ამ ალერსიანი, ტკბილი და გულში ჩამწვდენი ლექსის საპასუხოდ გ. შარვაშიძეს ასეთივე გრძნობით აღსავსე ლექსითვე უპასუხნია. ეს ლექსი იმდენად საინტერესოა, რომ მოგვყავს სრული ტექსტი:

„შენი ტკბილი მგოსნის ენა
რა ხანია არ მსმენია.
ფუტკარმაცა იცის კბენა,
მაგრამ თაფლის გამჩენია.
რაც უნდ მითხრა, მეგობარო,
მე, შენს შაგირდს, მაძლევს ლხენას,
რადგან ვიცი, უკვე ხარო,
მადლსა ვსწირავ ცას და ზენას...
მაგრამ შენსა მაღალ ნიჭსა
არ შეფერის უმართლობა:
მოჰყოლიხარ ცოტა ჭორსა,
მოგრევია იმერლობა,
სვანი[2] ყანწით გადღეგრძელებს,
მე, აფხაზი, ნრფელის გულით,
ვით სცოდნიათ ჩვენსა ძველებს,
ძმობითა და სიყვარულით![3]

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ ლექსებშიც ამღერებულია ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიული ძმობა, განუყრელი მეგობრობა და წრფელი გულით მტკიცედ შედუღაბებული მარადიული სიყვარული[4].

---

1 ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრ. ტ. 3, გვ. 388; შდრ.: ს. ჯანაშია, დას. ნიგნი, გვ. 70.

2 სვანი — აკაკის ლექსში მოხსენიებული თათარხანია — თათარხან (ივანე) დადეშქელიანი.

3 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დასახ. ნიგნი, გვ. 71; აღნიშნული ლექსი შეტანილია აგრეთვე კრებულში: „გ. შარვაშიძე — ლირიკა, ეპოსი, დრამა". 1949. შდრ.. აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის მესამე ტომზე დართული ვარიანტები და შენიშვნები, გვ. 557.

4 ო. ჭ უ რ ღ უ ლ ი ა, ნარკვევები ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, სოხუმი, 1, 1974, გვ. 56—57. აგრეთვე, გ. გ უ ბ ლ ი ა, ხალხთა ძმობის მაგალითი, „კომუნისტი", № 289, 1980.

პირველი რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში, როდესაც რუსეთის იმპერიაში შემავალი ერების რევოლუციური პროლეტარიატი თვითმპყრობელობის დასამხობად იბრძოდა, ცარიზმმა თავისი ტირანიის გასავრცელებლად რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ეროვნებების ერთმანეთზე წასისინების ბინძურ პოლიტიკას მიმართა და მოაწყო მოძმე ერებს შორის ვერაგული სისხლისღვრა.

აკაკი წერეთელმა დაინახა, რომ პირველი რევოლუციის პერიოდში ერებს შორის ატეხილ ძმათამკვლელ ომს ზიანი მოპქონდა ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების განხორციელების საქმისათვის, რევოლუციის გამარჯვების საქმისათვის, რომ ძმათა შორის მტრობა, შური და რბევა დამღუპველი იყო. ამიტომაც, ერთმანეთზე წასისინებულ ხალხებს პოეტმა მიმართა ლექსით „რჩევა", რომელშიაც მიუთითა;

ორივეს მტერი ერთია,
შორეულ-გადამთიელი;
ერთ ტაფაშია ორივე,
ერთი ადგიათ უღელი.
ძაღლმაც კი იცის, პირუტყვმა:
შინ ბრძოლა მაშინ ძნელია,
როცა იმაზე მიმსვლელად
გარეშე მტერი მგელია...
ბედნიერება ამ ქვეყნად —
შეერთებული შრომაა.
რა დროს მტრობაა
და რა დროს განზე დგომაა? და სხვ.

თავისი სამშობლოს ბედნიერება პოეტს ვერ წარმოუდგენია მსოფლიოს ხალხთა კეთილდღეობის გარეშე. მისი შემოქმედება შთაგონებულია მაღალი ინტერნაციონალური მისწრაფებებით. იგი სახალხოდ აღიარებდა:

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა,
და რომ ვიწოდე, ცდნებოდე,
არ შემიძლია მეც, განა!

პოეტი მუდამ თავდავიწყებით უმღეროდა „საერთაშორისო მტკიცე კავშირს, საყოველთაო, სამარადისო ძმობასა და მეგობრობას". აღვივებდა ხალხში მებრძოლი პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებას და აცხადებდა:

სომეხი, ფრანგი, თათარი, ოსი,
ყველა ძმა არის, ვინც — კი მოგვცემს ხელს,
და საზიარო ჭირსა და ლხინში
ინამებს მოძმედ მოკეთე ქართველს.

პოეტი შეჩვენებასა და წყევლა-კრულვას უცხადებდა ყველას, ვინც უღალატებდა ხალხთა მეგობრობისა და სიყვარულის წმინდათა-წმინდა იდეალს:

მთელ ქვეყანაზე და კაცთა შორის
იყოს წყეული... ის იყოს კრული,
ვისაც არ სწამდეს და არ უყვარდეს
ძმობა, ერთობა და სიყვარული.

იაკობ გოგებაშვილი სამართლიანად წერდა:

„ძლიერი სიყვარული სამშობლოსი ჰბადავს ძლიერს სიყვარულს კაცობრიობისას, მსოფლიო ტალანტები — დიდი პატრიოტები, იმავე დროს დიდი მოყვარულნი იყვნენ კაცობრიობისა, ასეთია აკაკიც".

ხალხთა მეგობრობის დიდი ტრუბადურის აკაკის გენიალურ შთაგონებასა და მოწოდებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხალხთა შორის ძმობის, მეგობრობისა და სიყვარულის გრძნობის გავრცელებისა და დანერგვის დიდ ისტორიულ საქმეში. იგი დღესაც ნაყოფიერად ეხმაურება ჩვენი დიადი ქვეყნის — საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობას, ჩვენს გრანდიოზულ სოციალისტურ ეპოქას.

მოღვაწეობა ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისათვის

პროლეტარიატის დიდი ბელადი ვ. ი ლენინი უდიდესი გრძნობით შესტრფოდა მშობლიურ რუს ხალხს და დიდად აფასებდა მშობლიურ რუსულ ენას. სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელი 1914 წელს წერდა: „ჩვენ გვიყვარს ჩვენი ენა და ჩვენი სამშობლო"[1]. ვ. ი. ლენინი დიდი რუსი ხალხის ენის, ამ მოქნილი, ლამაზი და წარმტაცი ენის შესახებ მიუთითებდა: „ტურგენევის, ტოლსტოის, დობროლუბოვის, ჩერნიშევსკის ენა დიადია და მძლავრი".[2]

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 21, გვ. III.
[2] ვ.ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 20, გვ. 72.

რუსულ ენას მსოფლიო მნიშვნელობას ანიჭებდა ფრიდრიხ ენგელსი. „რუსული ენა, — წერდა ის, — მსოფლიო მნიშვნელობას იმსახურებს და შესწავლის ღირსია როგორც მის მიერ შექმნილი ლიტერატურის მხრივ, ისე თავისი სიმდიდრით"[1].

ღრმა პატრიოტულ გრძნობასა და აღტაცებას გამოხატავდნენ გენიოსი რუსი მწერლები, მოაზროვნენი და მოღვაწეები მშობლიური ენის მიმართ დედაენის სიდიადით აღფრთოვანებული და მისი სიყვარულით შთაგონებული ა. ს. პუშკინი წერდა: „რუსული ენა... მოქნილი და მძლავრია თავისი მიმოქცევებითა და საშუალებებით". დიდი რუსი მწერალი ლევ ტოლსტოი ღრმა პატრიოტული სიამაყით აღნიშნავდა: რუსული ენა „Где нужно — нежный, трогательный, где нужно — строгий, серьезный, где нужно — страстный, где нужно бойкий и живой».

მშობლიური რუსული ენის სიყვარულით არის ჩაგონებული ი. ს. ტურგენევის შემდეგი სიტყვები: „ხშირად, როდესაც სრული სასოწარკვეთილება მომერეოდა ხოლმე ჩემი სამშობლო ქვეყნის მომავლის შესახებ, ერთადერთს ნათელს წერტილად შავს ჰორიზონტზედ, ერთადერთს გამამხნევებელ იმედად უიმედო მდგომარეობაში მომევლინებოდა ხოლმე ჩემი მშობლიური რუსული ენა, და ჩემს გულში ვამბობდი: ხალხმა, რომელმაც შეჰქმნა ამისთანა მდიდარი და მშვენიერი ენა, არ შეიძლება, ადრე თუ გვიან, არ დააღწიოს თავი ახლანდელს გაჭირვებულს მდგომარეობას, არ გავიდეს წარმატების ფართო გზაზედ და არ დაეწაფოს შორს მომავალში მაინც ბედნიერის ცხოვრების წყაროს"[2].

ქართველი ხალხი განსაკუთრებული სიყვარულითა და ღრმა პატივისცემით ეკიდება ლენინის, გორკის, შოლოხოვის მშობლიურ ენას, იმ ენას, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციაში ჰეგემონი ენის როლს ასრულებდა. ქართველობა ყოველთვის ცდილობდა დაუფლებოდა ამ ენას.

ილია ჭავჭავაძე, იბრძოდა რა ქართული ენის უფლებისა და ღირსების დაცვისათვის, განსაკუთრებული პატივისცემითა და სიყვარულით აფასებდა რუსულ ენას და წერდა: რუსული ენა „ღონეა არამც თუ როგორც მეტის ცოდნა, არამედ როგორც საბსარი საცხოვრებლად ბრძოლისათვის, იგი ფარხმალია დღეს

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Об искусстве, 1937, стр. 322.

[2] ციტირებულია ი. გოგებაშვილის თარგმანის მიხედვით (ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, II, 1940, გვ. 359-360. ბურჯი ერთვნებისა).

ჩვენთვის ყველაფერში და ყველგან, რაკი შინიდამ გარეთ ფეხს გამოვდგამთ"[1].

დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი გამოხატავდა ქართველი ხალხის ღრმა სიყვარულს რუსული ენისადმი და წერდა: „ჩვენ საზოგადოებას მოუთმენლად უნდა რომ ყმაწვილობამ მალე შეისწავლოს რუსული ენა. ამაზედ კანონიერი და მშვენიერი სურვილი ძნელღა იქნება"[2]. ი. გოგებაშვილის სამართლიანი დახასიათებით, რუსული ენა „ხალხთა შორის ენას წარმოადგენს". გამოჩენილი პედაგოგი აცხადებდა: „ჩვენებური გლეხი და მუშა გრძნობს, რომ რუსული ენის ცოდნა გამოიყვანს ვიწრო კალაპოტიდან, სარბიელს გაუფართოვებს, სხვა ხალხებთან დააახლოვებს და გაუხსნის დიდ ბაზარსა"[3]. იაკობი მრავალგზის მიუთითებდა: „რაც შეეხება კერძოდ რუსულს ენასა, ჩვენთვის, ქართველებისათვის, მას მრავალგვარი მნიშვნელობა აქვს. იგი არის პირველად, სახელმწიფო ენა, სავალდებულო ყველა ქვეშევრდომ ხალხთათვის; მეორედ, იგი კულტურული ენაა, რომლის დახმარებით ვითვისებთ ევროპულს განათლებას და რომელსაც აუცილებლად მოელის მნიშვნელობა ერთის მსოფლიო ენისა; მესამედ, იგი არის ენა ხალხისა, რომლის ბედთან ისტორიამ და ხალხის სურვილმა შეაერთა ბედი საქართველოსი. ამიტომ რუსული ენა უნდა მიუცილებლად მისდევდეს ქართულ ენასა როგორც სკოლაში, ისე სახლობაში, და ქართველნი უნდა ვცდილობდეთ სრულად შევითვისოთ ეს ენა და მისი ლიტერატურა"[4].

ამრიგად, ქართველი ხალხი, დედაენასთან ერთად დიდად აფასებდა და დღეს, სოციალისტური მშენებლობის დიად ეპოქაში, კიდევ უფრო აფასებს რუსი ხალხის უმდიდრეს მოწინავე კულტურას, მის დიდ რევოლუციურ ტრადიციებს, მის მსოფლიო ისტორიულ ძლევამოსილებას, დიად რუსულ ენას, რომელიც წარმოადგენს მძლავრ იარაღს ჩვენი დიადი სამშობლოს, საბჭოთა კავშირის გმირ ხალხთა ურთიერთობის, უშრეტი საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთების აღზრდისა და საბჭოეთის ერთიან, ურღვევ მეგობრულ ოჯახში გაერთიანებულ ხალხთა მტკიცე დარაზმულობისათვის. მსოფლიოში უმდიდრესი და უმშვენიერესი რუსუ-

---

1 ილია ჭავჭავაძე, თხზ., ტ. II, გვ. 560.

2 ი. გოგებაშვილი, ბუნების კარი, პირველი გამოცემის წინასიტყვაობა, 1868, გვ. 3.

3 ი. გოგებაშვილი, რჩეული პედაგოგიური და პუბლიც. წერილები, ტ. I, 1910, გვ. 471.

4 ი. გოგებაშვილი, თხზ., ტ. 2, გვ. 223—224.

ლი ენა წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ენისა და კულტურის, შემოქმედებითი მუშაობისა და შრომითი გმირობის, ძლიერებისა და გამდიდრების დაუშრეტელ წყაროს. მსოფლიო მნიშვნელობის ენას, ამიტომ უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს კომპარტიის ცენტრლური კომიტეტის დადგენილებას სკოლებში რუსული ენის სწავლების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ და მის ცხოვრებაში გატარებას, ქართველი ხალხის მიერ რუსული ენის დაუფლების შემდგომ აღმავლობას.

დედაენა ღრმა გრძნობით უყვარს ჩვენს ხალხს. ქართველი ხალხი მარად იცავდა და სრულქმნიდა თავის დედაენას და დღეს, გამარჯვებული სოციალისტური მშენებლობის ეპოქაში დიდი ლენინის ნაციონალური პოლიტიკის ბრძნულად გატარების საფუძველზე კიდევ უფრო ძლიერად ავითარებს თავის საყვარელ საერთო-სახალხო ენას, დაუღალავად იღვწის ქართული ლიტერატურული ენის შემდგომი სრულყოფისა და აყვავებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილება „რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების შესახებ“ ახალი დადასტურებაა კომუნისტური პარტიის დაუშრეტელი ზრუნვისა ქართული ენის შემდგომი უმაგალითო აღმავლობისათვის.

ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს ღრმად სწამდათ დედაენის უდიდესი როლი და მნიშვნელობა ქვეყნის თავისუფლებისა და დიდების დაცვის საქმეში. ამიტომ ისინი განუწყვეტლივ ზრუნავდნენ დედაენის სრულყოფის, განვითარებისა და დაცვისათვის. მშობლიური ენის ღრმა სიყვარულით იყო შთაგონებული იოანე ზოსიმეს ცნობილი ჰიმნი „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“. აგრესორთა ვერაგ მისწრაფებათა წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველებმა თეორია შეიმუშავეს, რომლის მიხედვით ქართულ ენას უდავო უპირატესობა ენიჭებოდა ბერძნული ენის წინაშე. დედაენის ღირსებასა და უდიდეს მნიშვნელობაზე მიუთითებდა გრიგოლ ორბელიანი, როცა წერდა:

ერის ცხოვრება,
მისი დიდება,
მის ისტორია დაცულ არს ენით;
რა ენა წახდეს,

ერიც დაეცეს...
ნაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდასა..

უღრმესი გრძნობით უყვარდათ დედაენა მეცხრამეტე საუკუნის სხვა დიდ მწერლებსა და მოღვაწეებს — ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, იაკობ გოგებაშვილს, ნ. ნიკოლაძეს, გ. წერეთელს, ა. ყაზბეგს, ვაჟა-ფშაველას და სხვ.

ილია დედაენას უდიდეს საუნჯედ თვლიდა. მშობლიური ენის ხსენებისას მოწიწებით ჩაურთავდა: „ჩვენი საყვარელი ენა", „ჩვენი დალოცვილი ენა" და ღრმად სწამდა, რომ „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი სული და გული ენაა". ილიასათვის აშკარა იყო კ. უშინსკის ცნობილი სიტყვები: „სანამ ცოცხლობს ხალხის ენა ხალხის ბაგეზე, მანამ ცოცხლობს თვით ხალხიც... მოკვდა ენა ხალხის ბაგეზე და მოკვდა თვით ხალხიც".[1] ილია მტკიცედ აცხადებდა:

მტერობა ენის
არს მტრობა ქვეყნის.

აკაკი ილიასა და იაკობთან ერთად უდიდესი პატრიოტული შთაგონებით აცხადებდა: დედაენა ქვაკუთხედია, საფუძველი და საუკუნო განძია ერისაო და იქვე მიუთითებდა: ჩვენი ენა მდიდარიაო... ძვირად რომელიმე ხალხი გვეგულება, რომ ქართველებსავით მდიდარი ლექსიკონი ჰქონდეს და დედაენის დავიწყება „სიკვდილის თანასწორია" ხალხისათვისო.

გამოჩენილმა პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა, რომელმაც დედაენას „ბურჯი ეროვნებისა" უწოდა, „ბუნების კარის" პირველი გამოცემის (1868) სატიტულო ფურცელზე დედაენის შესახებ მოათავსა შემდეგი ლექსი:

ვინც რომ სამშობლო ენას
ივიწყებს და არ ეძებს,
ძლიერ კარგიც რომ იყოს,
ნაყოფს ვერ გამოიღებს.

დიდი რუსი პედაგოგი კ. უშინსკი მშობლიურ ენას აღიარებდა ხალხის უდიდეს მასწავლებლად. „ენა,—წერდა ის,—არის ხალხის უდიდესი მასწავლებელი, რომელიც ასწავლიდა ხალხს მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო არც წიგნები, არც სკოლები, და კვლავ განაგრძობს სწავლებას ხალხის ისტორიის დასასრულამდე"[2]. დედაენის შესწავლა კ. უშინსკის მიაჩნდა ადამიანის

---

[1] კ. დ. უშინსკი, რჩეული პედაგ. თხზ., პროფ. დ. ლორთქიფანიძის რედაქციით და წინასიტყვაობით, თბ., 1948, ტ. I, გვ. 136.

[2] იქვე.

გონებრივ-მორალური აღზრდის მთავარ საშუალებად: „ყრმა, რომელიც დედაენას შეისწავლის, — აცხადებდა კ. უშინსკი, — ცხოვრებაში განუზომელი ძალით შედის... მშობლიურ ენას რომ სწავლობს, არა მარტო პირობით ბგერებს სწავლობს ბავშვი, არამედ დედაენის მშობლიურ ძუძუდან იწოვს სულიერ ცხოვრებასა და ძალას“[1]. ილია ჭავჭავაძე იბრძოდა სკოლებში დედაენაზე სწავლების განხორციელებისათვის და მიუთითებდა: „უდედაენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია“. დიდი იაკობი დედაენას ახალთაობის სწავლა-აღზრდის საფუძვლად თვლიდა. იგი წერდა: „ყველა სკოლა... დედა-ენაზედ უნდა იყოს დაფუძნებული; დედაენით უნდა საზრდოობდეს, მით უნდა ვითარდებოდეს, მით უნდა ხარობდეს. დედა-ენა სულია სკოლისა“[2]. ქართული პედაგოგიური აზროვნების ამ დიდ წარმომადგენელს ღრმად სწამდა, რომ „ენა, ლიტერატურა არის უმდიდრესი სალარო, რომელშიაც მრავალთა თაობათა ძვირფას განძივით შეუნახავთ საუკეთესო ნაწარმოებნი ხალხის გონებისა, უმაღლესი და უკეთილშობილესი გრძნობები გულისა“...[3] და ამიტომაც დედაენაზე სწავლების დაფუძნება არის „საუკეთესო ღონე გონების განვითარებისა და ცოდნის შეძენისა“.

ცნობილია, რომ ცარიზმის მძვინვარების პერიოდში ქართული ენა დაბეჩავებულ მდგომარეობაში იყო. ი. გოგებაშვილი გულისტკივილით აღნიშნავდა: „საქალაქო გიმნაზიაში ხელსაქმისათვის დადებულია 306 გაკვეთილი, ტანციობისათვის და გიმნასტიკისათვის 194 და ქართულის ენისათვის მხოლოდ 26 გაკვეთილი“[4]. ქართველი ხალხის მოწინავე საზოგადოებრიობა და მათ შორის ილია, აკაკი, იაკობი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ვაჟა-ფშაველა და სხვები თავგანწირვით იბრძოდნენ სწავლების დედა-ენაზე დაფუძნების, მისი უფლებების დაცვისა და განვითარებისათვის. ამ დიდ ბრძოლაში ისინი იზიარებდნენ და ნაყოფიერად იყენებდნენ რუს პროგრესულ მოაზროვნეთა, მწერალთა და გამოჩენილ პედაგოგ კ. უშინსკის შეხედულებებს.

ქართული ენის უფლებები აღადგინა დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, საბჭოთა ხელისუფ-

---

1 კ. დ. უშინსკი, ტ. 1, გვ. 137.

2 ი. გოგებაშვილი, რჩ. ნაწ., გ. თავზიშვილის რედ., 1940, ტ. 2, გვ. 70.

3 იქვე, გვ. 117.

4 ი. გოგებაშვილი, რჩ. პედ. და პუბლიცისტური ნაწერები, ტ. 1, 1910, 29.

ლებამ. ვ. ი. ლენინის ბრძნული ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების შედეგად უზრუნველყოფილ იქნა ნაციონალურ ენათა მძლავრი განვითარება და აყვავება. ქართული ენა საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო ენაა, იგი სწავლების საფუძველია. ამ ენაზე იქმნება ლიტერატურა, მეცნიერება, მთელი კულტურული ცხოვრება. იგი უდიდესი იარაღია ურთიერთობის განვითარების, კომუნისტური აღზრდის, გმირული შთაგონებისა და კომუნისტური საზოგადოების გრანდიოზული მშენებლობისა. მას სავსე გულით უმღერიან მთელ ხალხთან ერთად ქართველი საბჭოთა მწერლები.

აკაკის აზრით, დედაენა ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია ერის არსებობისა, ადამიანთა ეროვნული სახისა. პოეტის თქმით: „შეიძლება მკვიდრი მაჰმადის სარწმუნოებისა იყოს, ან რომის თაყვანისმცემელი, ან გრიგორიანელი, ან სხვა რომელიმე რჯულის, მაგრამ მაინც ქართველი იყოს. სამშობლო მიწა-წყალი, ენა, ისტორია, და ერთნაირი თავგადასავალი და არა სარწმუნოება ჰქმნის ერს". (14, 395). აკაკის აზრით „ქართული ენა არის ერთი უძველესთაგანი"... იგი ძველთაგანვე „კარგად არის შემუშავებული და შევსებული"... ამიტომ მოუწოდებდა საქართველოს ბულბული — აკაკი მშობლიური ენისადმი უსაზღვრო სიყვარულისა, მისი დაცვისა და მოწიწებით შენარჩუნებისაკენ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ მცხოვრებ ქართველებს. როგორც ითქვა, პოეტი დიდად აფასებდა სამშობლოს წიაღიდან მოწყვეტილ სამხრეთ საქართველოს ძველთაძველ მკვიდრთა იმ საამაყო დამსახურებას, რომელიც მათ ქვეყნის წინაშე მიუძღოდათ და იმ დიდებულ გმირობასა და პატრიოტულ შთაგონებას, რომლის მეოხებითაც ისინი „ტკბილ ქართულ ენას" უცხოეთშიც ფრთხილად და სათუთად ინახავენ, აკაკი მათ მარად სამახსოვრო სიტყვებით მიმართავდა: თქვენი ღვაწლი „არ დაივიწყება უკუნისამდე, სანამ კი საქართველო არსებობს და სანამ ჩვენი დედა ენა არ გამქრალა, ის ტკბილი ენა, რომელიც თქვენ აგრე მამაცურად და პატიოსნურად უცხოობაშიაც კი შეგინახავთ".

ერთიანი ქართული ლიტერატურული ენის დამკვიდრებასა და მისი სიწმინდის დაცვასთან ერთად აკაკი გაბედულად იცავდა მშობლიურ ენას ცარიზმის მკაცრი შემოტევისაგან და მოუწოდებდა ქართველ ხალხს, გაფრთხილებოდა დედაენას. პოეტს ღრმად სწამდა, რომ:

ენაში არის ძალაც,
საიდუმლო გონებისა!
ვინც დაპკარგავს გახდება
ნერა სხვისი მონების.

აკაკი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა დედაენას ხალხის ცხოვრებაში. მშობლიური ენა მიაჩნდა აზრისა და გრძნობის გამოხატვის საშუალებად, ადამიანთა ურთიერთობის იარაღად, ხალხის აღზრდის, განვითარებისა და განათლების ბურჯად, ერის ნაფიქრ-ნააზრევის გზად და სალაროდ, მისი ისტორიული ცხოვრების საგანძურად და გამომხატველად, წარმატების ხარისხის მაჩვენებლად. მგოსანი წერდა: „გინდა შეისწავლო ისტორიულად რომელიმე ხალხი? გამოიკვლიე მისი ენა“ (XIV, 51). აკაკის რწმენით ენა ადამიანისა და ხალხის ცხოვრებას სრულად და სარწმუნოდ ინახავს, იგი ისტორიული მოძრაობის, მისი უტყუარი მაჯისცემისა და სულისკვეთების გამომხატველია. თუ რომელიმე ხალხის წარსული შეუსწავლელია და საისტორიო წყაროებში ამბები მოხსენიებული არ არის, მისი წარმოდგენა შესაძლებელია მშობლიური ენის საშუალებით. აკაკი აღნიშნავს, რომ „ბევრი რამ საქართველოს შესახებ ისტორიაში მოხსენებული არ არის, მაგრამ ვიცით, რომ ჩვენს ქვეყანას ბევრი დარი უნახავს და უფრო მეტი ავდარი დასდგომიაო“ (XI, 67). აქ კითხვას სვამს პოეტი: თუ ისტორიაში არ არის მოხსენებული ეს ამბები, საიდან ვიცით, წარმოდგენით ვიგულისხმებთ თუ კვალი რამე დაგვრჩენიაო? და უპასუხებს: „არის ნიშანი: ეს ის კვალია, რომელიც ყოველთვის ხალხში იბეჭდება აუხოცელათ, ეს ის კვალია, რომელიც არა თუ ადამიანის მოქმედებას, არამედ მის გულის მოძრაობასაც გამოხატავს ხოლმე. ეს არის ენა, უტყუარი და ძვირფასი განძი ხალხისა“ (XI, 68).

აკაკი, ილიასა და იაკობთან ერთად, დაუღალავად იბრძოდა სწავლა-განათლების დედაენაზე დაფუძნებისათვის. პოეტის აზრით, უდედაენოდ ყოვლად შეუძლებელია ახალგაზრდობის წესიერი და ჭეშმარიტი აღზრდა. „სწავლა რომ ადვილად გასაგები და სასარგებლო იყოს, რომ დედის ძუძუსავით შეერგოს და შეენოვოს ბავშვის გონებას“, ამისათვის საჭიროა, რომ ახალგაზრდა მოსწავლემ „თვალი გაახილოს და გულისყური გაიხსნას, იმ ხელსაწყოს წყალობით, რომელიც უფრო ეადვილება, ე. ი. იწყოს სწავლა იმ ენაზე, რომელზედაც იმას პირველად ხმა ამოუღია და შეუთვისებია“ (XII, 403). ძველ სკოლაში სწავლა-აღზრდის მდგომარეობის გათვალისწინებით აკაკი მიუთითებდა, რომ როდესაც ბავშვი დედაენით იწყებს სწავლას, ის ძალდაუტანებლად იძენს ცოდნას და ეუფლება დედაენასაც, ხოლო შემდეგ უფრო ეადვილება მეორე ენის შესწავლაც და გონების განვითარებაც. იმ ქართველ ბავშვს, წერდა პოეტი, „რომელსაც დედაენაზედ ესწავლა... წერა-კითხვა, ქართულად გაეტეხა თვალი და გაეხსნა გულისყური, გაუჭირვებლად გადადიოდა უცხო ენა-

ზე და უცხო ენის წყალობითაც ადვილად ითვისებდა სწავლა-განათლებას. და ვინც პირდაპირ იწყებდა უცხო ენის სწავლას, ის კი გულისყურს ჰკარგავდა" (XII, 404). საკუთარ ნიადაგს მოწყვეტილი ადამიანი პოეტს გადაგვარებულად მიაჩნდა და მის შემოქმედებით მოღვაწეობასაც ძალადაკარგულად თვლიდა. ამგვარი ადამიანების მისამართით აკაკი წერდა: „აბა მიჩვენეთ ჩვენში იმისთანა ნიჭიერი მოღვაწე ვინმე, რომ თავდაპირველად მშობლიურ ენაზე არ დაეწყოს ვარჯიშობა, არ ესწავლოს მხედრული და ხუცური წიგნი, ზღაპრები და ანდაზები არ ცოდნოდეს? ისინი კი, რომელნიც მშობლიურ ნიადაგს მოსხლეტიან და პირდაპირ გადასულან უცხოზე, ორთაშუა რჩებიან და ვეღარცერთს ვერ წვდებიან" (XII, 357). ცარიზმის პერიოდის ეს მეტად რთული პრობლემა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეოხებით გადაწყდა: ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა სწავლა-განათლებას მშობლიურ ენაზე იღებს.

აკაკი წერეთელმა ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარების, სრულყოფისა და ხალხში მისი დამკვიდრების დიდ სახალხო საქმეში მეტად ნაყოფიერი და უდიდესი როლი შეასრულა.

ცნობილია, რომ ქართული ენა ერთ-ერთი უძველესი ენაა. „ქართველურ (და საერთოდ, იბერიულ-კავკასიურ) ენათა წრეში, — წერს პროფ. არნ. ჩიქობავა, — ქართული ერთადერთი სამწერლო ენაა, რომლის ისტორიაც მრავალი საუკუნის მანძილზე მდიდრადაა დოკუმენტირებული ძეგლებით".[1]

ჩვენი სახელოვანი მეცნიერების გამოკვლევების თანახმად, ქართველებს უძველესი დროიდანვე უნდა ჰქონოდათ საკუთარი ანბანი, საკუთარი დამწერლობა. ამ გარემოებას ნათლად ადასტურებენ მცხეთა-არმაზის რაიონში წარმოებული გათხრების შედეგად მოპოვებული წარწერები, რომლებიც, პროფ. გ. წერეთლის გამოკვლევით, „ეჭვმიუტანლად მოწმობენ ჩვენში მრავალი წლის ეპიგრაფიკული და ლიტერატურული ტრადიციების არსებობას ჯერ კიდევ უძველეს დროს"[2].

მეხუთე საუკუნიდან ჩვენ უკვე მოგვეპოვება მრავალფეროვანი და მდიდარი ლიტერატურა. იშვიათია ენა, რომელსაც ისეთი დოკუმენტირებული წერილობითი ძეგლები ჰქონდეს, როგორიც ქართულ ენას. საუკუნეთა განმავლობაში ქართული ენა თანდათან ვითარდებოდა, სრულყოფილი ხდებოდა. მრავალი საუკუ-

---

1 არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება („ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი", ტ. I, გვ. 018).

2 იხ. გ. წერეთლის წინასიტყვაობა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისა", ტ. II, გვ. 203.

ნის მანძილზე იხვეწებოდა მისი გრამატიკული წყობა და მდიდრდებოდა ლექსიკური მარაგი.

მეთორმეტე საუკუნიდან იწყება სალიტერატურო ქართულის განვითარების ახალი პერიოდი. შოთა რუსთაველმა ლიტერატურული ენა ხალხურ სასაუბრო ენას დაუახლოვა. ცოცხალ ხალხურ მეტყველებასთან სალიტერატურო ქართულის დაახლოება შემდეგ საუკუნეებშიც გრძელდებოდა. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის ენა, რომელიც დახვეწილი, ჩამოყალიბებული, ხალხურ ცოცხალ სასაუბრო ენასთან ახლო მდგომი ენაა.

ცნობილია, რომ არჩილმა და ვახტანგ ბაგრატიონებმა, სულხან-საბა ორბელიანმა, დ. გურამიშვილმა და სხვებმა ნოყიერი ნიადაგი მოამზადეს ახალი ქართული სალიტერატურო ენის განსავითარებლად. „ქართული ენა XVIII საუკუნის ოციან წლებში უკვე მზად იყო რეფორმებისათვის, მაგრამ საამისო საზოგადოებრივი პირობები მაშინ ჩვენში არ მოიპოვებოდა. კლერიკალური წრეები თავიანთ შეხედულებებს იცავდნენ ენისა და სტილის საკითხში, ცხოვრება კი მოითხოვდა და საჭიროც იყო ერთიანი თვალსაზრისის გატარება. ამ ახალ პირობებს გაბედულად ვერ აუღო ალღო ანტონ პირველმა, იგი აშკარად დაიბნა და მოძღვრებით „სამი შტილის შესახებ“ სცადა გაეუმჯობესებინა ქართული სალიტერატურო ენა“.[1] მაგრამ გაუმჯობესების ნაცვლად, როგორც ცნობილია, ანტონმა „მე-18 საუკუნისათვის საკმაოდ გადახალისებული ქართული სალიტერატაურო ენის ბუნებრივი განვითარება და სასაუბრო ენასთან დაახლოების ტენდენცია ძლიერ შეაფერხა“.[2]

ახალი ქართული სალიტერატურო ენის ბუნებრივი განვითარების ძლიერი ტენდენცია წარმოიშვა მეთვრამეტე საუკუნის სამოციანი წლებიდან. ცნობილია, რომ ანტონ კათალიკოსმა და მისმა მიმდევრებმა მთელი საუკუნით — მეთვრამეტე საუკუნის მესამოცე წლებიდან მეცხრამეტე საუკუნის მესამოცე წლებამდე შეაფერხეს ახალი ქართული ლიტერატურული ენის ბუნებრივი განვითარება. ფეოდალურ-კლერიკალურ ლიტერატორთა ეს ჯგუფი ცდილობდა ქართული ენისათვის თავს მოეხვია განსაკუთრებული სტილი, რის გამოც ქართული სალიტერატუ-

---

[1] ი. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის XII-XVIII სს. ნიგნი I, 1964, გვ. 37.

[2] ა. შანიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის ენა. იხ. ნ. ბარათაშვილი, ლექსები, პოემა, წერილები, 1939, გვ. 160.

რო ენა და ლიტერატურა მოწყდა ხალხს. ანტონის სტილით დაწერილი თხზულებები გაუგებარი იყო მასებისათვის, ანტონ კათალიკოსის სამი სტილის თეორიის თანახმად, შეუწყნარებლად იყო აღიარებული სხვადასხვა საგანზე ერთი და იმავე ენით წერა. „მაღალ მატერიას" (მაგ., ღვთისმეტყველებას) აღზევებული ენა, „მაღალი სტილი" შეეფერებოდა; ისტორიული თხრობა, მაგალითად, საშუალო სტილს მოითხოვდა; ყოველდღიური ამბები, საყოფაცხოვრებო მოვლენები „უბრალოდ" ითქმოდა, მას ჩვეულებრივი სასაუბრო ენა გამოადგებოდა, — ეს იყო „დაბალი სტილის" სამყარო... სამი სტილის თეორია პრინციპში უარყოფდა ერთი სალიტერატურო ენის საკმარისობას: ერთი სალიტერატურო ქართულის ნაცვლად უნდა შეექმნათ სამი სახის წიგნური მეტყველება „სამი სტილის ქართული"[1]. ბუნებრივი ქართული სალიტერატურო ენა გამოცხადდა საქმიანი მიწერ-მოწერისა, სასამართლო ორგანოებისა, ადმინისტრაციული განკარგულებებისა და ლიტერატურის ზოგიერთი ჟანრისათვის, მაგალითად, კომედიებისათვის გამოსაყენებელ ენად. ამით აიხსნება ისიც, რომ როდესაც გამოქვეყნდა ხალხურ მეტყველებასთან დაახლოებული გ. ერისთავის კომედია „გაყრა", პლატონ იოსელიანი განსაკუთრებული აღფრთოვანებით მიეგება ამ მოვლენას. ანტონ კათალიკოსის სკოლის მიმდევრებს კარგად ესმოდათ, რომ კომედიების წერა „მდაბიურ ენაზე" დასაშვები იყო, ეს სამი სტილის უარყოფას არ მოასწავებდა. ანტონმა თავისი გრამატიკა მის მიერ გაბატონებული „მაღალი სტილით" დაწერა.

ანტონ კათალიკოსის სკოლამ მეცნიერებიდან და ლიტერატურიდან განდევნა ხალხური სასაუბრო, ცოცხალ მეტყველებასთან დაახლოებული, ხალხისათვის გასაგები სალიტერატურო ენა, შოთა რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანის, დ. გურამიშვილის ენა და მის ნაცვლად „ამ დარგში დაამკვიდრა „ენა" ღვლარჭნილი, რთულ წინადადებათა მოტრფიალე, მიმღეობებით მდიდარი, ზმნებით ღარიბი, გასაგებად ძნელი, — ძველი ქართულის თავისებური სუროგატი".[2] ამით კი ქართული სალიტერატუ-

---

[1] არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება („ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი", ტ. 1, გვ. 021).

[2] არნ. ჩიქობავა, ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ, 1938 წ., გვ. 4; შდრ. არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება („ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი", ტ. I, გვ. 021).

რო ენის ბუნებრივი განვითარების მაგისტრალი გაიხარა და ენის წინსვლა დიდი ხნით შეფერხდა"[1].

ანტონისა და მისი სკოლის ავტორიტეტს მეტ-ნაკლები ძალით ემორჩილებოდა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის მწიგნობართა და მწერალთა გარკვეული წრე. ანტონის გრამატიკულ შეხედულებებს ემყარებოდა ჟურნალი „ცისკარიც", რომელიც სამი სტილის თეორიას იზიარებდა. მე-19 საუკუნის მესამოცე წლებში ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანმა წერილში „ქართული უბნობა ანუ წერა"[2] წამოაყენა ერთი ენით წერის მოთხოვნა. იგი საეკლესიო ენას ძნელ ენად თვლიდა და მისი დაკანონების მომხრე არ იყო, მაგრამ „მდაბიურ ენაზე" წერაც არ მიაჩნდა დასაშვებად და მოითხოვდა „საშუალო ენის", ანუ „დარბაისელთ ენის" გაბატონებას. ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი „დარბაისელთ ენას" სრულყოფილ, უნაკლო ენად თვლიდა.

ამრიგად, როგორც აღნიშნული იყო, ანტონის სკოლის მიმდევრები აბატონებდნენ არისტოკრატიულ-კლერიკალურ სტილს. ეს კი იწვევდა ხელოვნებისა და მეცნიერების მოწყვეტას ხალხისაგან, სამწერლო ენის ვიწრო სოციალური ჯგუფის „ენად" გადაქცევას და აბრკოლებდა ახალი ქართული ერთიანი ლიტერატურული ენის დამკვიდრება-სრულყოფას. ამგვარი მდგომარეობის კვლავ გაგრძელებას შეიძლებოდა მოჰყოლოდა ქართული სამწერლო ენის აცდენა საერთო-სახალხო ლიტერატურული ენის პოზიციებიდან. ამას მეცხრამეტე საუკუნეში დაერთო ცარიზმის ეროვნული ჩაგვრის პოლიტიკა და მით ქართული ენის დაცემის, დაქვეითებისა და მოსპობის გზაზე დაყენება.

ამ ვითარებაში უაღრესად დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ქართული სალიტერატურო ენის ბუნებრივი განვითარებისათვის თავდადებულ ბრძოლას და დაუღალავ ზრუნვას ხალხისათვის გასაგები საყოველთაო ეროვნული ლიტერატურული ენის გასავითარებლად და ხალხში დასამკვიდრებლად.

ამ მისიის შესრულება იტვირთეს ქართველმა სამოციანელებმა: აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა, ნიკო ნიკოლაძემ, გიორგი წერეთელმა, კირილე ლორთქიფანიძემ და სხვებმა. ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. ქართველმა სამოციანელებმა მწვავედ დააყენეს ეროვნული, სოციალური და კულტურული სა-

---

[1] ვ. თოფურია, აკაკი და ქართული სალიტერატურო ენა („ლიტერატურული ძიებანი", 1944 წ., ტ. II, გვ. 144).

[2] „ცისკარი", 1860, ტ. II.

კითხების პროგრესული იდეების თვალსაზრისით გადაწყვეტის აუცილებლობა. აღნიშნული ამოცანების გადასაწყვეტად ახალი თაობა საგანგებო როლს მხატვრულ ლიტერატურას ანიჭებდა. რეალისტური ქართული ლიტერატურა, რომელსაც ხალხში უნდა გამოეწვია ნაციონალური და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ძლიერი ბრძოლის სულისკვეთება, ბუნებრივად გამოხატავდა ხალხის საუკეთესო მისწრაფებებს, თავის მაღალ იდეურობას და მომავლის ღრმა რწმენას; იგი ფართოდ ემყარებოდა ხალხურობის პრინციპს და ნაციონალურ თვითმყოფადობას.

ქართული რეალისტური ლიტერატურის დიდი კლასიკოსები, რომლებიც იბრძოდნენ ეროვნული და სოციალური ჩაგვრის მოსასპობად და ხალხს რაზმავდნენ ბატონყმური წყობილებისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ამით მონაწილეობას იღებდნენ რუსეთის დიდი რევოლუციონერ-დემოკრატების მიერ ხალხის მტრების წინააღმდეგ გაშლილ გრანდიოზულ ბრძოლებში. ასეთ ვითარებაში მასებზე ზემოქმედებისათვის, ხალხში პროგრესული იდეების გავრცელებისა და ბრძოლის ცეცხლის დანთებისათვის აუცილებელი იყო მწერლობის მიერ მასებთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარება, მხატვრულ ნაწარმოებთა ხალხისათვის გასაგები ენით წერა, ახალი ქართული, ერთიანი ეროვნული სალიტერატურო ენის განვითარება და მთელ ხალხში მისი დამკვიდრებისათვის ბრძოლა.

ამრიგად, ახალი თაობის ეს ბრძოლა წარმოადგენდა პოლიტიკურ ბრძოლას, კონსერვატიული და პროგრესული იდეების მძაფრ შეტაკებას, სამოციანელების მიერ ხალხის კეთილდღეობისათვის წარმოებულ ბრძოლას.

როგორც ვიცით, ანტონის სკოლის მიმდევრების წინააღმდეგ შკაცრი და სერიოზული ბრძოლა პირველად ილია ჭავჭავაძემ დაიწყო.

1861 წელს ჟურნალ „ცისკრის" აპრილის ნომერში (ტ. IV) დაიბეჭდა ილიას ცნობილი წერილი „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის" თარგმნაზედა".

აღნიშნულ წერილში ილია ჭავჭავაძემ საოცარი სიცხადითა და პრინციპულობით ამხილა, ერთი მხრივ, რევაზ ერისთავის თარგმანის უვარგისობა, ხოლო, მეორე მხრივ, გაანადგურა ანტონ კათალიკოსის სკოლის მიმდევართა შეხედულებები, დაიცვა ქართული ენა მათი გაჟღენისაგან, დასახა გარკვეული პროგრამა

ახალი ქართული ლიტერატურული ენის განვითარებისა და სრულყოფისათვის. ილიას ამ წერილმა, მართლაც, უდიდესი აღშფოთება და უკმაყოფილება გამოიწვია ძველი თაობის ბანაკში. პოეტის წინააღმდეგ, როგორც აღვნიშნეთ, დაირაზმნენ რეაქციულ-კონსერვატიული ძალები. „ცისკარში“ დაიბეჭდა საპასუხო წერილები. გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა. ამ ბრძოლაში ილიასთან ერთად ჩაება აკაკი წერეთელი.

ახალი ქართული ლიტერატურული ენის დამკვიდრებისა და განვითარების საქმეში, ილია ჭავჭავაძესთან ერთად, დიდი ღვაწლი მიუძღვის აკაკი წერეთელს. აკაკიმ და ილიამ გადამწყვეტი იერიში მიიტანეს ლიტერატურულ ენაში არქაული სტილისა და დიალექტების გაბატონების წინააღმდეგ და თავიანთი მდიდარი შემოქმედებითი პრაქტიკით გზა გაუკაფეს ერთიანი სახალხო-ლიტერატურული ენის დამკვიდრებას, მის ბუნებრივ განვითარებას. აკაკი იმთავითვე ხალხისათვის გასაგები ენით წერდა. ამიტომ მან, ჯერ კიდევ თაობათა შორის მკაცრი ბრძოლის დაწყებამდე, განიცადა ერთგვარი თავდასხმა არქაისტების ბანაკიდან. 1860 წლის ჟურნალ „ცისკრის“ იანვრის ნომერში დაიბეჭდა აკაკის ლექსი „საიდუმლო ბარათი“. ამ ლექსის გამოქვეყნებისთანავე პოეტს მოუვიდა საყვედურის წერილები, რომელთა ავტორები მას ურჩევდნენ ხელი აეღო „მდაბიო ენაზე“ და „დარბაისლური ენით“ ეწერა ლექსები. მაგრამ აკაკიმ, როგორც თვითონ ამბობს, მტკიცედ გადაწყვიტა ეწერა „სახალხო ენით და არა დარბაისლურით“. ამის შესახებ პოეტი გადმოგვცემს: „იმ ხანებშივე ამ ლექსის გამოისობით ორი წერილიც მივიღე. ერთი ჩემი უცნობის ანჩისხატის დეკანოზის ეფრემის იყო. აი, რას მწერდა, სხვათა შორის: „გილოცავ მოშაირობას და თანვე გთხოვ. მამაშვილობას ამისთანა ლექსებს მდაბიო ენით ნუ სწერ! დარბაისლური ენა ეჭირვება და შენ კი რაღაც სოფლური ენითა სწერ. და ეს მით უფრო საშიშია, რომ შენი ლექსი ყველას გულში ხვდება, გამოსვლისთანავე სასიმღერო ლექსად გადაიქცა. განსაკუთრებით ქალები იმღერიან, და ვაი თუ მაგ შენ ენას მიეჩვიონ და გადიგდონ გულიდან ძველი დარბაისლური ქართული“. მეორე წერილი იყო თ. ირაკლი ლორთქიფანიძისა. ისიც მაქებდა და მთხოვდა ძველი ენითა სწერეო. ამ წერილებმა, ცოტა არ იყოს გამაყოყოჩეს. ცხრამეტი წლის ახალგაზრდას სულსა და გულს მიტკბობდა უფრო ის, რომ „ქალები იმღერიანო“. და მეც გადავწყვიტე, რომ თავი დავუდვა მწერლობას, მაგრამ სახალხო ენით და არა დარბაისლურად ვწერო“[1].

---

[1] აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, 1940 წ., გვ. 857.

ცნობილია, რომ „ცისკარში“ გაბატონებული მდგომარეობა ეჭირათ არქაისტებს, რომლებიც ანტონის სკოლის მიერ დანერგილი სტილით წერდნენ. „ცისკრის“ იმ ნომერში, რომელშიაც აკაკის „საიდუმლო ბარათი“ გამოქვეყნდა, მოთავსებული იყო ბარბარე ჯორჯაძის ლექსიც „მადლობის შესხმა“. აღნიშნული ლექსის ენის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ რამდენიმე ტაეპი.

გამზგავსებ ბრძენსა, სოლომონ მძლესა,
დავითს ფსალმუნით გამომეტყუშლსა,
ღუთის პირველ მცნობელს, აბრაამს მკსნელსა,
ჩუშნს შემომყუანელს, კერპთა მომსრელსა.

ჰსჯულთ მასწავებელს, ფარაოზთ მთხრობელს,
მოსეს ისრაელთ, გამომყუანებელს,
იუსტიანეს, შრომის მოყუარეს,
რომის კეისარს, დიდათ საკურველს.[1]

„ცისკარში“ იბეჭდებოდა აგრეთვე სალომე მაყაევის არქაული ენით დაწერილი ლექსებიც, რომლის სტილის დახასიათებისათვის საკმარისია მოვიტანოთ სტრიქონები:

„დედა უფლისა და ყოველთა წმიდათა კრება,
ჩუშნთჳს ოხევდენ, შესნირესცა ცრემლით ვედრება“...[2]

ჟურნალის ფურცლებზე ჰკიცხავდნენ დ. ჩუბინაშვილის ახალგამოცემულ ქართული ენის სახელმძღვანელოს და ქებათა-ქებით იხსენიებდნენ ანტონის გრამატიკას. არქაისტები ცდილობდნენ ანტონის გრამატიკის სასკოლო სახელმძღვანელოდ დანერგვას. ამის შესახებ „ცისკრის“ ერთ-ერთი თანამშრომელი წერდა:

„...ტყვილათ რაღას ვედებით ღობე-ყორეს, დაიბეჭდოს იგი ღრამმატიკა (ანტონის გრამატიკაზეა ლაპარაკი — ჰ.კ.) და ისწავლებოდეს სასწავლებელში, სადაცა ასწავლიან ქართულ ენას“[3]. ანტონის სტილისა და გრამატიკის სასარგებლოდ აგიტაციის წარმოების, სალომე მაყაევის, ირაკლი ლორთქიფანიძის, ბარბარე ჯორჯაძისა და სხვათა არქაული ენით დაწერილი თხზულებების ფონზე ჟურნალში უეცრად გამოჩნდა აკაკი წერეთლის „საიდუმლო ბარათის“ მომხიბვლელი, სადა და სახოვანი ენით დაწერილი სტრიქონები:

საიდუმლო ბარათო!
გითხრეს: „ექმენ მარადო

---

1 „ცისკარი“, 1860 წ., იანვრის ნომერი. გვ. 66.
2 „ცისკარი“, 1857 წ., № 1, გვ. 5.
3 „ცისკარი“, 1857 წ., № 5, გვ. 45.

სიხარულის მიმნიჭედ
და სევდისა ფარადო".
მისთჳს გიდებ უბეში,
გალბობ ცრემლის გუბეში,
აღასრულო რაც გითხრეს,
თუ ხარ ჩემი ნუგეში!..[1] და სხვ.

ამგვარი სახალხო ენით შესრულებული, მოქნილი, ფაქიზი და ყველასათვის მისაწვდომი სტილით დაწერილი ლექსის ჟურნალის ფურცლებზე გამოჩენამ ააღელვა არქაისტები და დარაზმა ისინი ახალგაზრდა პოეტის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს ეტაპი, როგორც აკაკი გადმოგვცემს, საყვედურის წერილებით დაიწყო, ხოლო აშკარა და ნამდვილი გააფთრებული ბრძოლა მოგვიანებით გაჩაღდა.

ამ მწვავე ბრძოლებში, როგორც ითქვა, იშვიათი შეუპოვრობითა და თავგამოდებით ჩაება აკაკი წერეთელი.

პროგრესული ახალთაობის დიდ დამსახურებად აკაკი თელიდა, რომ მოწინავე ახალგაზრდობამ საგანგებო ყურადღება მიაქცია მშობლიური ენის ღრმად შესწავლას, მის აუცილებელ ცოდნას. რადგან ხალხთან დაახლოება, მისთვის სარგებლობის მოტანა და მათი მისწრაფებების გათვალისწინება შეუძლებელია მშობლიური ენის საფუძვლიანი ცოდნის გარეშე. იმ კაცისათვის, წერდა პოეტი, რომელსაც ჰსურს თავის მოძმეებს შორის სიტყვითა და საქმით მოქმედება, მიუცილებლად საჭირო იყო სამშობლო ენის ზედმიწევნით ცოდნა, მაგრამ, დასძენს პოეტი, ახალ თაობას, ხმარებიდან გამოსული ძველი მეტყველების ნაცვლად, უნდა შეესწავლა ის ცოცხალი ენა, რომელზედაც ლაპარაკობდა ხალხი, რადგან ახალგაზრდების მიზანი იყო „ეცხოვრათ და ემოქმედათ ამ ხალხში"[2]. ახალთაობის მიერ ხალხისათვის მისაწვდომ ენაზე ლაპარაკმა და წერამ გამოიწვია თაობათა შორის გამწვავებული ბრძოლა. ახალთაობის მოქმედებამ, წერდა აკაკი, თავზარი დასცა ჩვენი ძველი თაობის წარმომადგენლებს: იმ ენაზე წერა და ბეჭდვა, რომელზედაც ეხლა ჩვენი ხალხი ლაპარაკობს. და არა იმ გაუგებარი ენით და იმ კილოზე, რომელზედაც წარსული საუკუნის ქართველებს უწერიათ, იმათ შეჰრაცხეს ახალი თაობის ცოდვად და მათგან ჩვენი ენის გარყვნად, და დაუწყეს... გინება და დევნა ახალ მწერლებს. აკაკი ამასთანავე გულახდილად აღიარებდა, რომ იმ მძიმე პირობებში ახალთაობის მეტყველებას მრავალი შეცდომა ახასიათებდა და იგი არ იყო უნაკლო: „ჩვენ არ ვამბობთ, აღნიშ-

---

[1] „ცისკარი", 1860 წ., იანვარი, გვ. 59.

[2] აკაკი, წერეთელი, თხზ., სრ. კრებული, ტ. 11, გვ. 168-169.

ნავდა პოეტი, რომ ვითომც ჩვენი ახალგაზრდა მწერლების ენას არა ჰქონდეს ნაკლოვანება", მაგრამ ამაში ჩვენ არ მიგვიძღვის ბრალიო.

აკაკიმ თავის ცნობილ „ენების გასამართლებაში" მომაკვდინებელი ლახვარი ჩასცა ანტონის სკოლის მიმდევართა სტილს. პოეტმა იგი მოხდენილი იუმორით დახატა, როგორც „უთავბოლოდ მრგვალი" და „ასლიტრიან ლანგარზე მდებარე", მისი დამცველი კი ახმახ ადვოკატად წარმოადგინა „ნოეს ყავარჯნით" სელში. არქაული სტილი და მისთვის დამახასიათებელი ხელოვნური რიტორულობა აკაკიმ ამავე სტილის ადვოკატის — ახმახის პირით შემდეგნაირად დაახასიათა: „ენითა ამით მეტყველიყო შავთელ ჩახრუხითურთ მშვენიერ ლექსად. ამავე ენითა ღაღადებდა ბრძენ, რიტორ, პიიტიკოს ანტონ გაიოსითურთ... ენა ესე გასაგონ არს მხოლოდ რჩეულთათვის და არა საზოგადოდ. ოდესცა, შემდეგ ლიტურღიისა, დღესა ერთსა უბნობად ჰყვეს კათალიკოსმა ანტონ და მიტროპოლიტმა ბოდბელმა, ერი ვერა გამგები ვერცა ერთისა მარცვლისა მათ მიერ თქმულისა, სდუმდა საკვირველებითა, ამგვართა მაგალითთა ძალგვიძს წარმოდგენად ლეგეონი..."[1] (დაყოფა ჩვენია. — პ. კ.).

პოეტმა აღნიშნული ენა დაახასიათა მოძველებულ, „საფლავის ენად", ხალხისათვის სრულიად გაუგებარ მეტყველებად, „რაღაც ჯანი ბეჟანის დროს... ადამის წინეთ რომ პირველი კაცი გხლებიათ... იმ კაცის ენა ყოფილა" და მაგ ენის ხელახლა გაცოცხლება მურვანყრუობა იქნებაო... ეს საფლავის ენა რაღა გასაცოცხლებელია, „რაღასთვის და ვიღასთვის არის საჭირო ის ენა, რომელსაც ვერც ბერი გაიგებს და ვერც ერი?".[2] აღნიშნულ თხზულებაში მსაჯულების პირით აკაკიმ ამ სტილს ასეთი ჯანაჩენი გამოუტანა: „რადგანაც ეგ... ენა სააქაოს აღარავის ეყურება, ცოდვა არის, რომ ტყვილად გაფუჭდეს და ამისთვის უმჯობესია საიქიოს გაიგზავნოს! გაიყვანეთ! მშვიდობით წარვედინ!"

აკაკი სავსებით სწორად მიუთითებს, რომ „ქართული ენა არის ერთი უძველესთაგანი. მეათე საუკუნეში ენის კანონები, გრამატიკა, დამთავრებული იყო არა მარტო ქალალდზე, ხალხშიაც კი სასაუბროდ" (XII, 389). ამ შეხედულების შესაბამისად პოეტი აღნიშნავდა, რომ ლიტერატურული ენა ხალხში დამკვიდრებული იყო და რუსთაველს ენა კი არ შეუქმნია, არა-

---

[1] აკაკი წერეთელი, ტ. 5, გვ. 77-78.

[2] იქვე, გვ. 78.

მედ მან „ხალხის ენა გადმოიღო უმეტნაკლებოდ, რადგანაც მის დროს ენა გაწმენდილი იყო". ამრიგად, აკაკის რწმენით, ქართული სალიტერატურო ენა ძველადვე ხალხის სასაუბრო ენიდან გამომდინარეობდა და იგი დაფუძნებული იყო ხალხის მეტყველებაზე, ყველასათვის გასაგები იყო. რუსთაველის ენა ქართველი ხალხის სამეტყველო ენაა. სხვა ადგილას პოეტი წერდა: „ძველად სჩნდებოდნენ პოეტები და მწერლები, გამოდიოდნენ მრავალი ნამდვილი და ნათარგმნი სასულიერო და საერთო წიგნები და ამგვარად მდიდრდებოდა ლიტერატურა და შშვენიერდებოდა სამშობლო ენა" (XI, 157). სამოციან წლებში კი ლიტერატურული ენა დაშორებული იყო ხალხის სასაუბრო ენისაგან და ამ ნიადაგზე ატყდა დავა, „ერთი ვაი-უშველებელი: რა ენით უნდა ვსწეროთ? ახლით, თუ-ძველითო?" დაიწყო ბრძოლა ერთმანეთის მოწინააღმდეგე შეხედულებათა მომხრეებს შორის. ამ დროს, აცხადებს აკაკი, „თავადმა დავით ციციშვილმა დასწერა ერთი პატარა მოთხრობა: „შინაგანი უშვერება გარეგან მშვენიერებასა შინა". ეს პატარა სამტკიცო მოთხრობა ისეთის ძველის ენით იყო დაწერილი, რომ მისი გაგება ანტონ კათალიკოზსაც კი გაუჭირდებოდა". ახალთაობამ დაიწუნა ამ თხზულების ენა და მოითხოვა: „იმ ენით უნდა ვსწეროთ, რა ენაზედაც ლაპარაკობს დღეს ხალხი, რომ გასაგები იყოსო" (XIV, 389). ამ ბრძოლის შედეგად მწერლობაში ნელ-ნელა ახალმა ენამ დაიჭირა ადგილი, ერთიანი ახალი სალიტერატურო ენის გავითარება, აკაკის აზრით, შეუძლებელია, ერთი რომელიმე კუთხის მეტყველების საშუალებით. საჭიროა ამ დიდ საქმეში გამოყენებულ იქნას საქართველოს ყოველი კუთხე, ყოველი კილოს ენობრივი მასალა, მაგრამ ყველაფერი, რაც ადგილობრივ კილოებში გვხვდება, შეუძლებელია სალიტერატურო ენაში გადმოვიტანოთ. აქ საჭიროა ენობრივი მასალის დაკვირვებული და მხოლოდ სიტყვების მარგალიტების შიგნება, ამოკრეფა, გამოყენება და მით ლიტერატურული ენის გამდიდრება. ამ მიზნის განსახორციელებლად აკაკი მწერლის მოვალეობად თვლის, რომ „მან არ წარმოიდგინოს საერთო ქართულ ენად ის ენა, რომელიც მის სოფელში გაუგონია".

„მწერალს უნდა მოვლილი ჰქონდეს ყველა კუთხეები საქართველოში, ყური დაუგდოს ყოველი მსარის საუბარს, დაუკვირდეს, ამოკრიფოს ის ქართული სიტყვების მარგალიტები, რომელიც დღეს აქა-იქ გაბნეული არიან, აგრეთვე გამოჰყოს ის უცხო სიტყვები, რომელნიც ნაძალადევად შემოსულან, არ მიუდგებიან ქართულს და ისე სწეროს" [1]. საქართველოს სხვა-

[1] აკაკი წერეთელი, ტ. 14, გვ. 390-391.

დასხვა კუთხეებში, აცხადებს პოეტი, ბევრი საინტერესო და ლიტერატურული ენისათვის გამოსადეგი სიტყვებია დარჩენილი, საჭიროა მათი გულმოდგინედ შესწავლა და გამოყენება. ზოგჯერ ერთი და იმავე ცნების აღმნიშვნელად გვხვდება რამდენიმე სიტყვა, შევაგროვოთ ეს სიტყვები და გავამდიდროთ ლიტერატურული ენაო, ხოლო ენისათვის მიუღებელი სიტყვები, რომელ კილოშიც უნდა იყოს იგი, ხელმოსაკიდებელი არ არისო. ამასთან ერთად, აკაკი მწერლების მისამართით განმეორებით აცხადებს: „საქართველოს ერთი რომელიმე კუთხე კი არ შეადგენს, რომ მთლიანი საქართველოს ენა მარტო მას დაუმორჩილოთ, იმერეთიც ისეთივე საქართველოა, როგორც ამერეთი".. და ქართველ მწერალს „უნდა ყოველი კუთხე ჰქონდეს მოვლილი, შესწავლილი და გამოკვლეული".[1] და ყოვლად შეუწყნარებელია, როცა ზოგიერთი „იმ ენას, რაცხს წმინდა ქართულ ენად, რომელზედაც თვითონ ან მისი მეზობლები ლაპარაკობენ".[2]

ანტონის მომხრეთა სტილის განდევნისა და ახალი ქართული ლიტერატურული ენის დამკვიდრების დიდ ისტორიულ საქმეში ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს ფასდაუდებელი დამსახურება მიუძღვით.

ამ დიდი მოღვაწეების ენერგიულმა ბრძოლამ და მათი ბრწყინვალე თხზულებების გამოქვეყნებამ ლიტერატურის სარბიელიდან განდევნა ანტონისეული სტილი და გზა გაუხსნა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ბუნებრივ განვითარებას.

აკაკიმ კარგად იცოდა, რომ საერთო სალიტერატურო ქართულ ენას დიდი ხნის ისტორია ჰქონდა. იგი ძველი დროიდანვე დიდად დამუშავებული და საკმაოდ მაღალგანვითარებული ენა იყო. ამ საერთო სალიტერატურო ენაზე დაიწერა გენიალური „ვეფხისტყაოსანი" და საყოველთაოდ ცნობილი სხვა ბრწყინვალე ქართული თხზულებანი, რომელთა ენა ნათლად და სარწმუნოდ გვიჩვენებს ჩვენი სალიტერატურო ენის ძველი დროიდანვე წარმომავლობასა და მისი განვითარების მაღალ დონეს: „მე მგონია, წერდა პოეტი, ცხადი უნდა იყოს ყველასათვის, რომ საქართველოს ერთობის დროს ენაც ერთი გვქონდა, ღრმად შემუშავებული და წესიერადაც დაკანონებული; ამას გვიმტკიცებენ: „ვეფხისტყაოსანი", „ვისრამიანი", „დარეჯანიანი", „რუსუდანიანი" და სხვ.[3] მაგრამ აკაკის აზრით ქვეყნის პოლიტიკურად დაცემისა და მისი ცალკე სამეფოებად და სამ-

[1] აკაკი წერეთელი, ტ. 14, გვ. 392-399.

[2] აკაკი წერეთელი, ტ. 12, გვ. 70.

[3] იქვე, გვ. 242.

თავიროებად დაქუცმაცების შავბნელ ეპოქაში საერთო სალიტერატურო ენაც დაკნინდა, მისი ერთიანი მაგისტრალური ხაზი გადატყდა და მისი სიმდიდრე, ძვირფასი მონაპოვარი, ენობრივი მარგალიტები მიმოიფანტა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. კანონიერი ერთიანი სალიტერატურო ქართული დაირღვა და გაძლიერდა ადგილობრივი კილოები. „სამეფოს გაყოფისა და დაცალკევების შემდეგ,—წერდა აკაკი,.—ენასაც ხრწნილება შეჰპარვია, ადგილობრივი კილო მიუღია და ისე შელახულა, რომ დღეს ის კანონიერი ენა აღარსად ისმის, მაგრამ, ეს მაინც არ ნიშნავს ენის სრულიად დაკარგვას. ავიღოთ მაგალითად, ძვირფასი რამ შანიაკი: ის რომ იმისთანა უფსკრულში ჩავარდეს, საიდანაც ამოღება შეუძლებელია, მაშინ ეთქმის დაკარგულობა და თუ მხოლოდ ის ძაფი გაუწყდა, რომელზედაც აუსხავთ მისი მარცვლები, გაიფანტა მარგალიტები და გაიბნა აქეთ იქით, სხვადასხვა კუთხეებისაკენ, ეს არ იქნება დაკარგული.[1] ამგვარად გაბნეული საერთო ენის მარგალიტები, პოეტის აზრით, შეიძლება მოიძებნოს, აიკრიფოს, მოგროვდეს, ხელახლა აიკინძოს და „ხელში დაგრჩება ისევ ძველი სამკაული გაწმენდილი და გაახლებული". აკაკი მიუთითებდა, რომ საერთო სალიტერატურო ენის აღდგენის, გამდიდრებისა და განვითარებისათვის, მისი სიწმინდისა და სისრულის უზრუნველსაყოფად სრულიადაც არ არის საკმარისი ერთი რომელიმე კუთხის ენობრივი მასალის შერჩევა. საჭიროა ყველა კუთხეში, ყველა დიალექტსა და კილოში დაცული ერთიანი ენისათვის მოხდენილი მხოლოდ საუკეთესო მარგალიტების დაძებნა, გაერთიანება და გამოყენება. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ წარმოიქმნება სრულყოფილი, მდიდარი და მრავალფეროვანი ერთიანი სალიტერატურო ენა. პოეტი დაჟინებით იმეორებდა: „მარტო ერთ რომელიმე კუთხეში რომ აჰკრიბოს ვინმემ მხოლოდ იქ მიგორებული მარცვლები და სხვაგან აღარ ეძიოს, თანვე იმ მარგალიტებს ააყოლოს ლობიოს მარცვლებიც, აასხას მანიაკად და იძახოს: ეს არის ნამდვილი ის ჩვენი ძველი მანიაკიო, ეს იქნება პირდაპირ ან უგუნურება, ან სიზარმაცის ნიშანიო, აცხადებდა პოეტი[2]. ამრიგად, ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის შეფასებისა და განვითარების წყაროდ აკაკის მიაჩნია ყველა ქართულ დიალექტსა და კილოზე ფაქიზად შესრულებული ენობრივი მასალა და არა რომელიმე ერთი კუთხისა ან ტომის მეტყველება. თანაც აუცილებელია ისეთი მასალის შერჩევა, რომე-

[1] აკ. წერეთელი, ტ. 12, გვ. 242.
[2] იქვე.

ლიც ძვირფასი და შესაბამისია ერთიანი სალიტერატურო ენისათვის. ამის შესახებ პოეტი წერდა: „ზოგს ქალაქური, კინტოური — სხვადასხვა ენებისაგან შემდგარი ენა ჰგონია ნამდვილი ქართული, ზოგს სიტყვებდაკარგული ამერული და ზოგს სხარტულობით გატაცებული იმერული, მაგრამ ყველანი კი სტყუიან და სანამ ყოველ კუთხეს არ მოივლიან, ყველგან არ გამოიძიებენ სიტყვებს და არ შეასწორებენ ძველთან, ცუდად მოყვრობენ სამშობლო ენასო“ [1].

ანტონის სკოლის ლიტერატურული სტილის წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად, აკაკი წერეთელი სასტიკად ილაშქრებდა ერთიან სახალხო ლიტერატურულ ენაში დიალექტის, პროვინციული კილოს დამკვიდრების წინააღმდეგ. პროვინციული კილოს თაყვანისმცემელთა მისამართით აკაკი, როგორც ითქვა, სამართლიანად შენიშნავდა „თვითეულ ჩვენთაგანს მხოლოთ ის ადგილი და მისი ახლომახლო გარემო მიაჩნია საქართველოთ, სადაც თვითონა დგას. იმენას რაცხს წმინდა ქართულ ენად, რომელზედაც თვითონ და მისი მეზობლები ლაპარაკობენ“ [2] (ხაზი ჩვენია — პ. კ.). მწერალმა არ უნდა წარმოიდგინოს საერთო ენად ის ენა, რომელიც თავის სოფელში გაუგონიაო, [3] შენიშნავს აკაკი. იმავე „ენების გასამართლებაში“ აკაკი წერეთელმა გაკიცხა სალიტერატურო ქართულში ტერიტორიული დიალექტის გაბატონების მცდარი ცდებიც. ამ მხრივ, პოეტმა თავისი პოზიცია გარკვეულად ჩამოაყალიბა რაზიკაშვილების, კერძოდ, ვაჟა-ფშაველას ზოგიერთი ლექსისა და პოემის ენის შეფასებისას.

უდავოა, რომ ჩვენი დიდებული პოეტის ვაჟა-ფშაველას პოეტური მეტყველება ხასიათდება ახალი ქართული სალიტერატურო ენის მდიდარი ტრადიციების შემოქმედებითი განვითარებით. ამიტომაც, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებამ დიდი როლი შეასრულა სალიტერატურო ქართულის ხალხში დამკვიდრებასა და განვითარებაში. მაგრამ ამასთანავე აღნიშნავდნენ, რომ ვაჟა-ფშაველამ თავისი შესანიშნავი ლექსები და პოემები უმთავრესად ფშაურ კილოზე დაწერაო.

აკაკი წერეთელსაც არ მოსწონდა რაზიკაშვილების, კერძოდ, ვაჟა-ფშაველას ენობრივი პოზიცია. ამის გამო აკაკიმ გამოთქვა თავისი შეხედულება. 1898 წელს სათავადაზნაურო სკოლების, სასულიერო და საოსტატო სასწავლებლების, სემინა-

---

[1] აკაკი წერეთელი, გვ. 243.

[2] „აკაკის თეორი კრებული“, 1898, V, გვ. 16—17.

[3] გაზ. „თემი“, 2911, № 12.

რიებისა და საეპარქიო საქალებო სკოლებისათვის გამოიცა სახელმძღვანელო წიგნი „სიტყვიერების თეორია სალიტერატურო ნიმუშების დართვით", შედგენილი კირიონისა და გრ. ყიფშიძის მიერ. ამ სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში 520 გვერდის მოცულობით წარმოდგენილი იყო ლიტერატურული ნიმუშები, მათ შორის ვაჟა-ფშაველას, ბაჩანას და თედო რაზიკაშვილის თხზულებები. აკაკი წერეთელმა აღნიშნული სახელმძღვანელოს შესახებ თავის ჟურნალში მოათავსა „ბიბლიოგრაფიული შენიშვნები". ამ რეცენზიაში პოეტმა დადებითი შეფასება მისცა სახელმძღვანელოს, მაგრამ რამდენადმე დაიწუნა შიგ ჩართული ზოგიერთი ლიტერატურული ნიმუშის ენა და განსაკუთრებით ყურადღება გაამახვილა რაზიკაშვილების შემოქმედებიდან აღებულ ზოგიერთ მასალაზე. აკაკი წერდა: „ეს სახელმძღვანელო წიგნები, ამ დაკნინებისა და დაცარვის დროს, ჩვენში შესანიშნავი მოვლენაა და ქართულ ოჯახებში აუცილებელ განძად შესატანია. ამის შემდგენლებს არ ჰკლებიათ არც ცოდნა, არც ბეჯითობა, არც სხვა რამ, რაც კი საჭიროა ამგვარ სახელმძღვანელოს შესადგენად. ცხადია, რომ ნიჭი კეთილად მოუხმარიათ, მაგრამ სალიტერატურო ნიმუშების დამატებაში კი ცოტა უსუსტებიათ. თუმცა არც მათი ნიმუშებია უვარგისი, მაგრამ ჩვენს მწერლობაში მოიპოვება უკეთესი სანიმუშოები და ისინი გამოპარვიათ. აგრეთვე დიდი შეცდომაა გაურჩევლად რაზიკაშვილების ნაწერების სანიმუშოდ შემოტანა სახელმძღვანელოში. ამით მე ის კი არ მინდა ვთქვა, რომ რაზიკაშვილებს ნიჭი აკლდეთ.. პირიქით, უხვად არიან მადლით მიმადლებული. ამ კრებულში რომ დაბეჭდილია ვაჟა-ფშაველას პოემა „გოგოთურ და აფშინა", ერთი უკეთესთაგანია მთლად ჩვენს მწერლობაში. წვრილმანი ლექსები, როგორც საკუთრად ვაჟასი, ისე მისი ძმების ბაჩანასი და თედოსი, საზოგადოდ, სამარგალიტო შაირები არიან.. პროზა ხომ კიდევ უკეთესი. მაგრამ... ვინ არ იცის, რომ ქართული ენის სიმდიდრეს უმეტესად შეადგენენ ზმნები, მათი უღვლილება და მიმოხვრა.. და ზმნებს საზოგადოდ, რაზიკაშვილებიც... არ ხმარობენ სისწორით, მაგალითად:

ვაჰმე იღუპვის ქვეყანა
ფშაველები ჩაუხოცავის, (ე. ი. დაუხოციათ).
წასულა სისხლის ღვარიო —
ლეკეთში გაურეკავის (ე. ი. გაურეკიათ). (გვ. 614).

ან ეს:

იქით გავხედნებ — მთებია (ე. ი. გავიხედავ — მთებია),
მაღლა ავხედნებ — ცა არის, (ე. ი. ავიხედავ — ცა არის). (გვ. 615).

და ან თედოსი:

მინდორო, მინდვრის დედაო!
ნიკორა შეიბრალოდეთ!
რომ მოკვდეს თქვენსა კალთაში
მიიღეთ მიიბაროდეთ,
ნუ გახდით საყვავ-ყორნეთა.
შვილურად შეინახოდეთ! და სხვანი (გვ. 618).

ეს ზმნები: „ჩაუხოცავის, გაურეკავის, გავხედნებ, ავხედნებ, შეიბრალოდეთ, მიიბაროდეთ“ და სხვ. ამგვარნი, ნეტავი რა ფრაზებია და ღრამატიკულს რომელ კანონთაგანს ეთანხმება?.. გვეტყვიან: „მათ მხარეში, მთებში ხალხი სწორედ მაგრე ხმარობს მაგ სიტყვებს და ეს პროვინციალიზმიაო!“ ჩვენ საზოგადოდ პროვინციალიზმის წინააღმდეგი არა ვართ!.. სხვადასხვა მხარეში ბევრი იმისთანა სიტყვებია დარჩენილი, განსაკუთრებით მთა-ადგილებში, რომ მათი გამოძებნა და მითი ჩვენი დღეს დაკნინებული ენის შევსება საჭიროა; აგრეთვე ახალი რამ სიტყვის ხმარება, თუ კი სადმე პროვინციაში გასპეტაკებულა და დედაენის კანონის თანახმად აღმოცენებულა, მისაბაძავია საყოველთაოდ... ამგვარ კანონიერ რამეებით რომ შევავსოთ და გავასუქოთ ქართული ენა, საჭიროც არის. მაგრამ ის, რაც დედაენის წინააღმდეგ სხვადასხვა მხარეებში, პროვინციებში, გადაუმახინჯებიათ და გაუფუჭებიათ, ხელმოსაკიდები კი არა, პირიქით, გასადევნია!..

მაგალითად, გურიაში ამბობენ: „ნენა! რას უყუნცულებ? დროა პაწა შუკიდოთ ცეცხლს და ჩა ვსვათ“ (დედა! რას უცდი, დროა შევუკიდოთ ცეცხლს და ჩაი დავლიოთ).

იმერეთში: დანები მოსულარიან და აქანეი ჯილარიან (დები მოსულან და აქ ზიან, ან სხედან).

რაჭაში: ქვე ქნიან ფონ ქვერე ჩემ გოჭუკელას (ფონს ქვეით (წყლის პირად) ასო-ასოდ სჭრიან ჩემს გოჭს).

ქართლში: ჯალაბი ობაზე წავასხი და ჩვენთან ერთად ფოფოდიაც მოაბოტებდა (სახლობა ხატობაზე ანუ ჯვარობაზე, ანუ დღეობაზე წავიყვანე და ჩვენთან ერთად მღვდლის ცოლიც მოდიოდა). ამგვარი რამ ყოველ კუთხეშია — ესენი ყველა პროვინციალიზმია; მაგრამ ქართულ ენაში ამგვარი რამეების შემოტანა, აქაო და ჩვენს კუთხეში ასე ხმარობენო, ნუთუ ენის გარყვნა არ იქნება? სხვებმაც რომ რაზიკაშვილებსავით ზმნები ამახინჯონ და სწერონ: „ჯილარიან, გაშპა, ქვე ქნიან, მოაბოტებს“ და სხვანი ბაბილონის გოდოლის დაქცევის შედეგი იქნება!..“[1]

აკაკის ეს კრიტიკა, რომელიც გამომდინარეობდა ახალი ქარ-

[1] „აკაკის თვიური კრებული“. № II, 1899 წ., გვ. 101—103.

თული ლიტერატურული ენის განვითარების, მისი სიწმინდის დაცვის დიდი ეროვნული ინტერესებიდან, ეწყინა ვაჟა-ფშაველას, რომელმაც აკაკის საიუბილეოდ წარმოთქმულ ლექსში გულისტკივილით უსაყვედურა მოხუც მგოსანს:

თუნდ არ მოგწონდეს, იქნება,
ჩემის ფანდურის ჩხაკუნი,
მიიღე სარეკელასი,
როგორც წისქვილში რაკუნი,
ეს ჩემი შენთვის მოძღვნილი
სალამი, გრძნობის ნაყური!

მაგრამ აკაკი წერეთელი ბოლომდე თავისი შეხედულების დამცველი დარჩა. 1913 წელს გაზ. „თემში" მან გამოაქვეყნა ვაჟასადმი მიძღვნილი ლექსი, რომელშიაც კვლავ შეეხო პოეტის ენას:

ენას გიწუნებ, ფშაველო,
მგოსანო მაღალ მთისაო,
თუმც კი გვითესავ მარგალიტსს..
მკითხველიც ამას მკისაო!!

შემდეგში, თავის ლექსში „დაგვიანებული პასუხი აკაკის" ვაჟა-ფშაველამ, აკაკის საყვედურის გამო გამოწვეულ მწუხარებასთან ერთად, გამოთქვა თავისი დამოკიდებულება ქართული კილოების საკითხისადმი:

როს დავაპირე სიტყვის თქმა,
უცებ თავზარი დამეცა:
სიტყვა მოსული სათქმელად,
ენიდან მომწყდა, გამექცა.
დავღონებულვარ ძალიან,
თითქოს სახლ-კარი დამექცა...

და შემდეგ:

მე არც ერთ კილოს არ ვწუნობ,
თუა ქართულის გვარისა.
მოთაყვანე ვარ ყოვლისა,
იმათ ტკბილის და მწარისა.

ვაჟა-ფშაველას პროზის, აგრეთვე მრავალი ლექსისა და პოემის ენა ქართული სალიტერატურო ენის ბრწყინვალე ნიმუშია და მით დიდებულმა პოეტმა, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, დიდად შეუწყო ხელი ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებას, ხალხში მის დამკვიდრებას. ამას აკაკიც აფასებდა.

ქართული გვარის კილოების ღრმა პატივისცემასა და სიყვარულში, მათი ტკბილისა და მწარის თაყვანისცემაში, ეს ორი

დიდი ქართველი პოეტი, ცხადია, ერთმანეთს ვერ შეეცილება. ახალი ქართული სალიტერატურო ენისათვის ბრძოლის პირობებში აკაკი იძულებული იყო აღენიშნა გენიოსი პოეტის ვაჟა-ფშაველას მიერ ზოგიერთი ლექსისა და პოემის ფშაურ კილოზე ამღერების მაგალითები. რასაკვირველია, ფშაური კილოს ზომიერი გამოყენება ვაჟა-ფშაველას პოეზიას თავისებურ ხასიათს ანიჭებს[1], მაგრამ ჯერ კიდევ შესწავლას მოითხოვს, რამდენად აუცილებელი იყო იგი ვაჟას გენიალური შემოქმედებისათვის. საერთოდ, იმ პერიოდში კუთხური კილოს გამოყენებას, როგორც ცნობილია, მკაცრი პოლემიკური ტონით უსაყვედურებდნენ აკაკის, იაკობს, სერგეი მესხს, გიორგი წერეთელს და ზოგჯერ თვით ილიასაც კი. ამ საერთო მდინარებაში ვაჟა-ფშაველაც მოჰყვა. ერთი რამ ცხადია, ამ პოლემიკამ სელი შეუწყო ახალი ქართული ლიტერატურისა და სალიტერატურო ენის შემდგომ აღმავლობას, ამდენად ის სასარგებლო მოვლენა იყო და მან დადებითი როლი შეასრულა ჩვენი მწერლობისა და ენის განვითარებაში.

პოეტი ამასთან ერთად, იბრძოდა რა ფეოდალურ-საეკლესიო ჟარგონისა და დიალექტების წინააღმდეგ, მტკიცედ ეყრდნობოდა ხალხის ცოცხალ მეტყველებას და მდიდარ ქართულ მწერლობას. აკაკის ღრმად სწამდა, რომ ხალხის ცოცხალი სალაპარაკო ენა წარმოადგენს ლიტერატურული ენის გამდიდრებისა და განვითარების დაუშრეტელ წყაროს. იგი წერდა: „ენა ხალხმა კარგად იცის და არ ვიცით, მხოლოდ ჩვენ, რადგან კაბინეტში ვზივართ და ხალხს არ ვიცნობთ"[2]. პოეტი მოუწოდებდა მწერლებს, ესწავლათ ხალხის ენა, მისი მდიდარი მეტყველება და ამ დაუშრეტელი წყაროდან შეერჩიათ დედაენისათვის მოხდენილი, გამოსადეგი სიტყვები, გამოთქმები, მით „გაესუქებინათ" ლიტერატურული ენა. პოეტი თავის საკუთარ გამოცდილებასაც აცნობდა მწერალ-მთარგმნელებს, როდესაც წერდა: „აი ახლაც, სოფლელებს ზღაპრებს ვათქმევინებ ხოლმე და, უნდა ნახოთ, რამდენს სიტყვებს მისთანას ხმარობენ, რომელიც მე ან დავიწყებული მაქვს და ან არ მცოდნია, მაგრამ ნამდვილი ქართული სიტყვები კი არის. როცა უცხო ენებიდან რამეს ვთარგმნით და სიტყვებს ველარა ვპოულობთ, ჩვენ ყოველთვის მითი ვმართლულობთ თავს, რომ ქართული ენა ღარიბიაო და იმას კი არა ვფიქრობთ, რომ ჩვენ თვითონ ვართ ცოდნით ღარიბი ძველ

---

1 დაწვრილებით იხ. შოთა ძიძიგური, მწერლის ენა, 1957 წ.

2 აკ. წერეთელი, XIII, გვ. 391.

წიგნებს ჩვენ აღარ ვკითხულობთ, ხალხში ჩამდგარი არა ვართ, მათს სიტყვა-პასუხს ყური ვუგდოთ, ვიგონებთ, რაც მოგვადგება ენაზე და მორჩა, გათავდა... მეტი გზა აღარ არის, ზეპირსიტყვაობას უნდა მივაქციოთ ყურადღება" [1]. დიდებული პოეტი განმარტებითი ლექსიკონის შედგენას, ტერმინებსა და ახალი სიტყვების წარმოქმნას უკავშირებდა ხალხის ენის შესწავლის აუცილებლობას. უამისოდ მას შეუძლებლად მიაჩნდა ლიტერატურული ენის სრულყოფა და მაღალ საფეხურზე აყვანა. „ლექსიკონსაც თუ დაბლიდან არ მოეწოდა მასალა, ისე არა გამოვა რა. ვიმეორებ, უნდა მოვაგროვოთ ზეპირსიტყვიერება, დავბეჭდოთ და მერე ისე შევუდგეთ ლექსიკონის გამოცემას"[2] — წერდა იგი. ამრიგად, როგორც ითქვა, აკაკი წერეთელი სალიტერატურო ქართულის გამდიდრების საქმეში უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ხალხურ ცოცხალ სალაპარაკო ენასთან ერთად სახელოვან ქართულ მწერლობას. მაგრამ ამ საკითხისადმი პოეტის ასეთი დამოკიდებულება სრულიადაც არ გულისხმობდა ლიტერატურული ენის ხალხური ენისადმი დამორჩილებას ან მათ შორის იგივეობის ნიშნის დასმას.

აკაკის დამოკიდებულება ლიტერატურული ენის ცოცხალ ხალხურ მეტყველებასა ან ტერიტორიულ კილოებთან სავსებით ნათელია. სალიტერატურო ქართულში გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ ისეთი სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც უდავოდ ხელს შეუწყობენ ლიტერატურული ენის გამრავალფეროვნებასა და გამდიდრებას. ისეთები კი, რომლებიც სალიტერატურო ქართულის ბუნების წინააღმდეგი და შეუფერებელია, დაუნდობლად უკუგდებული და უარყოფილი უნდა იყოს, რადგან ლიტერატურულ ქართულში ამგვარი სიტყვების შემოტანა პოეტს ენის დანაგვიანებად მიაჩნდა.

აკაკი დიდად აფასებდა ლიტერატურული ენის სისადავეს, ადვილად გასაგები ენით წერას, ლამაზ, ფაქიზ, მაღალმხატვრულ, მასებისათვის მისაწვდომ მდიდარ, შთამაგონებელ და მიმზიდველ მეტყველებას, ნათელ, დახვეწილ და მოქნილ ლიტერატურულ სტილს. სიტყვის, მეტყველების, ენისა და აზრის გასაგებად და მისაწვდომად გამოთქმას პოეტი სიტყვის გენიალურ ხელოვნებად თვლიდა და, როგორც აღვნიშნეთ, არაერთხელ მიუთითებდა, რომ გენიოსური მხოლოდ ის არის, რაც ადვილი გასაგებია და უბრალო ადვილგასაგები სიტყვებით ხიბლავს გრძნობა-გონებასო. სხვათა შორის, აკაკის მოსწონდა

---

[1] აკ. წერეთელი, XIII, გვ. 391.

[2] აკ. წერეთელი, XIV, გვ. 407.

ჟურნალ „ჯეჯილის“ ზოგიერთი თანამშრომლის მიერ „გაუზვიადებლათ“, „გაუბერავათ“ და „მარტივათ“ წერა (356).

ცნობილია, რომ ვ. ი. ლენინი ურთულესი აზრების გარკვეულად, ნათლად და სადად გამოთქმას, დახვეწილ, მასებისათვის გასაგებ და მისაწვდომ მეტყველებას დამსახურებულ გენიოსობად თვლიდა. წინააღმდეგ მახისტებისა და საერთოდ ემპირიოკრიტიციზმის მიმდევართა ღვლარჭნილი და ბუნდოვანი სტილისა და მათ მეტყველებაში ხელოვნურად შეთითხნილი ტერმინების და გამოთქმების ხმარებისა, ვ. ი. ლენინი მიუთითებდა: „მარქსის და ენგელსის გენიოსობა, სხვათა შორის, იმაში გამოიხატა, რომ მათ ეზიზღებოდათ გელერტული თამაში ახალი სიტყვებით, შეთხზული ტერმინებით, თვალთმაქცური „იზმები“ და პირდაპირ და უბრალოდ ამბობდნენ: არის მატერიალისტური და იდეალისტური ხაზი ფილოსოფიაში, ხოლო მათ შორის აგნოსტიციზმის სხვადასხვა ელფერი“ [1]. აკაკი წერეთლის რწმენით, ერთიანი ეროვნული სალიტერატურო ენის სისადავე, პოპულარობა და ხალხურობა გულისხმობს ენის მაღალ ლიტერატურულ ხასიათს და არა მის განუვითარებელი მკითხველის, უშუალოდ ხალხურ სალაპარაკო ენამდე დაყვანას ან ენის გაუბრალოებას, ვინაიდან სალიტერატურო ენა და ხალხური სასაუბრო ენა ერთი და იგივე არ არის. ამ მხრივ საინტერესოა მოვიგონოთ ვ. ი. ლენინის მითითება საწარმოო გაზეთის ენის შესახებ: „საწარმოო გაზეთი უნდა იყოს პოპულარული, იმ აზრით, რომ გასაგები იყოს მილიონებისათვის, მაგრამ ამ მხრივ, არამც და არამც არ უნდა გადავარდეს უკიდურესობაში. კი არ უნდა დაეშვას განუვითარებელ მკითხველამდე, არამედ განუხრელად — ძლიერ ფრთხილი თანდათანობით — აამაღლოს მისი განვითარება“ [2]. პოეტი აღიარებდა, რომ ცოცხალი ხალხური მეტყველება ლიტერატურული ენის საფუძველია და მისი გამდიდრების დაუშრეტელი წყარო. მაგრამ საერთო-ეროვნულ ლიტერატურულ ენაში უნდა დამკვიდრდეს მხოლოდ ისეთი სიტყვები და გამოთქმები, რაც, აკაკის თქმით, „გასპეტაკებულა და დედაენის კანონის თანახმად აღმოცენებულა“.

როგორც აღვნიშნეთ, აკაკი წერეთელმა დიდი ამაგი დასდო ახალი ქართული ლიტერატურული ენის ლექსიკური შემადგენლობის გამდიდრებისა და ტერმინების შემუშავების საქმეს. მან მრავალი ახალი სიტყვა და გამოთქმა შემოიტანა ქართულ ენა-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 14, გვ. 178.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 31, გვ. 494.

ში (მაგალითად, „შეხმატკბილება“, „ბობოლა“, „გაიძვერა“ და სხვ.) [1].

ახალი სიტყვებისა და ტერმინების დადგენისათვის პოეტი, პირველ რიგში — ხალხურ ენას მიმართავდა.

საყურადღებოა რუსული **водопад**-ის ქართული შესატყვისი სიტყვის მოძებნის გზა, რომლის შესახებაც აკაკი წერდა:

„დიდი კამათობა გამოიწვია იმან, თუ როგორ უნდა ითარგმნოს რუსული სიტყვა „ვოდოპად“. ზოგმა „წყალვარდნილი“ იხმარა, ზოგმა „ჩანჩქერი“, ზოგმა რა და ზოგმა კიდევ რა... არ იციან, რა დაუძახონ, მაშინ. როდესაც სიტყვა „ვოდოპადი“ ქართულად სხვადასხვა წოდებით იხმარება; მათი განსაკუთრებითი ხასიათის შესაფერისად: „ჩქერი“, ანუ გადამახინჯებული იგივე „შაქერი“ ჰქვია მდინარის იმ ადგილს, სადაც ქვები ყრია და გაქანებული წყალი, ქაფად გამსქდარი, თავზე ევლება ლოდებს... რუსები იმას „პაროგს“ ეძახიან. — სიტყვა „ჩქერი“ „ჩქარისაგან“ უნდა იყოს წამომდგარი. — როდესაც მაღლიდან კედელზე გადმოჩუხჩუხებს წყალი და კლდის კედლებს კი არა შორდება, იმას ეძახიან „ჩანჩქერს“, ანუ „ჩენჩქერს“. როდესაც მაღლიდან შორსა სცემს ტოტად და კლდის კედელს არ ეკარება, იმას „საჩქეფი“ ჰქვია. აგრეთვე, როცა მაღლიდან უფსკრულისაკენ ექანება, ჯურღმულში ჩადის და კაცი ზევიდან დაჰყურებს, თუ პატარა წყალია „ჩახრიალა“ ჰქვია და თუ დიდი წყალი „ჩაქუხა“. ეს ხალხმა კარგად იცის.“

აკაკი წერეთლის აზრით. „ენა, როგორც ნაგრძნობ-ნაფიქრალის გამომხატველი იარაღი, ადამიანის განვითარებას თან მოჰყვება და მიტომაც თანდათან ივსება და მდიდრდება“ [2]. პოეტის ღრმა რწმენით, ენა უნდა გაიზარდოს, მაგრამ ამ ზრდასაც თავისი კანონები აქვს. ამ კანონებისაგან გადახვევა ყინითა და ხმის უმეტესობით არ შეიძლება [3].

აკაკი წერეთელი სასტიკი წინააღმდეგი იყო სიტყვების ხელოვნური, ქარაფშუტული გამოგონებისა, ენის ნორმების და ფორმების თვითნებურად შეცვლისა, საკუთარი სიტყვა-ფრაზების თავაშვებული „ნავარდისა“ და „ენაზე შემთხვევით მომდგარი სიტყვების“ ხმარებისა. ამგვარ თვითნება-უმეცართა და ყოყოჩა პირების მისამართით იგი წერდა: „მის ნაცვლად, რომ ძველი წიგნები გადაიკითხონ, ტალხის სიტყვა-პასუხს ყური დაუგდონ, ენის ხასიათს დაუკვირდენ, მისი გრამატიკული კანო-

[1] გაზ. „თემი“, 1911 წ., № 12 შდრ.: აკ. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული, ტ. XIV, გვ. 392.

[2] აკ. წერეთელი, ტ. XIV, გვ. 392.

[3] იქვე.

ნები შეისწავლონ და ისე სწერონ, ისინი თავის საკუთარი გამონაგონი სიტყვებით და ფრაზებით ნავარდობენ! სიტყვების მნიშვნელობა არ ესმით და აზრს აუკულმართებენ... თვითონ არ იციან, მაგრამ ამ თავის უმეცრებას ისეთი თავმოყვარეობით კი აფარებენ ხელს, რომ ყოველგვარ შენიშვნას შეურაცხყოფად მიიღებენ და თავისას მაინც არ იშლიან"... [1]

საინტერესოა აკაკის შეხედულება ქართულ ენაში უცხოური სიტყვების შემოტანის შესახებ. აკაკი წერდა: „ძვირად რომელიმე სალხი გვეგულება, რომ ქართველებსავით მდიდარი ლექსიკონი ჰქონდეს... არა, ჩვენი ენა მდიდარი არის. ძვირად დარჩენილა ენა, რომელსაც არ შემოეწიროს ჩვენთვის რამდენიმე სიტყვა. ჩვენს ენაში ვხედავთ სხვადასხვა ენების სიტყვებს: სპარსულს, არაბულს, ებრაულს, სომხურს, ბერძნულს, თათრულს, რომაულს და სხვ. და ამ მიზეზით ხშირად ერთისა და იმავე საგნის გამოსახატავად ჩვენ გვაქვს რამოდენიმე სიტყვა"[2]. სხვა ენის ხარჯზე ქართული ენის ლექსიკური შემადგენლობის ამგვარი გამდიდრების მიუხედავად, ქართულ ენას არ დაუკარგავს თავისი ეროვნული თვითმყოფადობა, პირიქით, იგი უკუაგდებდა უცხო ენის შემოტევას და განაგრძობდა წინსვლას, სრულყოფას თავისი განვითარების შინაგანი კანონების მიხედვით. აკაკი წერეთელს ღრმად სწამდა ქართული ენის ეროვნული თვითმყოფობის ძალა, იგი წერდა: „საკვირველი ეს არის, ამდენ ვაი ვაგლახში ჩვენი ქართული ენა არ გადასხვაფერებულა. ვერც ერთ ენის ძალას ვერ დაურღვევია ჩვენი ენის კანონები, ვერ გადურევია, ვერ გადურჯულებია, დაუთმია ჩვენი ენისათვის და ჩვენკენ თვითონ გადმორჯულებულა. სხვათა შორის, შესანიშნავი კიდევ ეს არის, რომ როდესაც ერთისა და იმავე საგნის გამოსახატავად სხვადასხვა სიტყვები შემოსულა, განსაკუთრებითი ხასიათიც მისცემია... ბევრი სიტყვები გვაქვს შემოღებული სხვადასხვა ენებიდან... ამგვარად, მიგვიღია რამდენიმე ლექსები, მაგრამ ჩაგვიდგამს მათთვის ქართული სული და შეგვისხამს ქართული ხორცი იმ ძალაუნებურ შეტაკებაში მაინც ძლევამოსილი დარჩენილა დედა-ენა. ერთ სტაქან წყალში რამდენიმე წვეთი ღვინისა რომ ჩაურიოთ, უთუოდ ფერს უცვლის წყალს, მაგრამ რამდენიმე წვეთი წყალი რომ ერთ ყანწ ღვინოში ჩაურიოთ,— ვერც ფერს დააკარგვინებს და ვერც ძალას. სწორედ ასე წვეთ-წვეთობით შემოსულან ზოგიერთი სიტყვები უცხო ენებიდან ჩვენს ენაში" [3].

[1] აკ. წერეთელი, ტ. XIII, გვ. 342.
[2] აკ. წერეთელი, ტ. XII, გვ. 69.
[3] იქვე, გვ. 70.

მაგრამ აკაკი სასტიკი წინააღმდეგი იყო ქართულში უცხოური ენიდან იმ სიტყვების დამკვიდრებისა, რომლებიც იწვევდნენ ენის დანაგვიანებას. ამ შემთხვევაში პოეტი არ ინდობდა ისეთ გავრცელებულ სიტყვასაც კი, როგორიც არის „ბედ-იღბალი". აკაკი ივ. მაჭავარიანის მისამართით წერდა: „სხვების მიბაძვით ამბობს სიტყვას: „ბედ-იღბალი". ეს ხომ ენის გარყვნაა?! „ბედი" ქართულია, „იღბალი" თათრული და რა საჭიროა ორივეს ერთად ხმარება, რომ ორეტაჟიანი სიტყვა გამოვიდეს და ქართულზე თათრულიც დაასკუპდეს?... ეს თათრული სიტყვა „იღბალი" რაღათ გვინდა და რაღა უნდა მოგვაგონოს. თუ არ ის, რომ თათრებისაგან საუკუნეების განმავლობაში სულითაც და ხორცითაც დატანჯული ვიყავით?!"[1]

უცხოელმა აგრესორებმა ვერ შესძლეს ჩვენი ხალხის განადგურება, ჩვენი დედაენის მოსპობა. ქართული ენის ლექსიკურმა შემადგენლობამ მკაცრ ისტორიულ მსვლელობაში გარკვეული ცვლილება განიცადა; იგი, სხვათა შორის, ივსებოდა უცხოური ენის ლექსიკიდან შემოსული ახალი სიტყვებითა და გამოთქმებითაც, მაგრამ ქართულმა ენამ ბრწყინვალედ შეინარჩუნა საკუთარი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი.

ქართულ ენას თავისი ისტორიული განვითარების პროცესში გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა მრავალ ენასთან და საბოლოოდ ჩვენი ენა გამარჯვებული გამოდიოდა.

აკაკი დიდად აფასებდა ქართული ენის სიმდიდრეს. ქართულ ენას დიდი სიტყვის-კონა აქვსო; მისი ლექსიკონი ისე ვრცელია, რომ ადამიანს, მწერალს არ გაუჭირდება თავისი საპატიო საქმის რიგიანად შესრულება, თუ მას კარგად აქვს შესწავლილი მშობლიური ენა, მისი მრავალმხრივი, მდიდარი შესაძლებლობანი და აქვს შემოქმედებითი სიდიადით გამოყენების უნარი. ამას ნათლად გვიმტკიცებსო, წერდა პოეტი, ჩვენი ძველი მთარგმნელები. აიღეთ უცხო ენებიდან ნათარგმნი წიგნები: საერო გნებავთ თუ საღმრთო-სასულიერო და მაშინ დარწმუნდებით, თუ რამდენად შემუშავებული და სრულია ქართული ენა! მთარგმნელმა, ისე როგორც ყოველმა მწერალმა, ზედმიწევნით უნდა შეისწავლოს ქართული ენის მდიდარი ლექსიკური და ფრაზეოლოგიური საუნჯე, მისი ამოუწურავი შესაძლებლობანი და დიდი ცოდნითა და მხატვრული უნარით შეარჩიოს, აწონ-დაწონოს იგი და ყოველი სიტყვა გამოსახატავი ცნებისა და აზრის ზუსტი, მოხდენილი ნიუანსის დაცვით გამოიყენოს.

ლერმონტოვის „მწირის" ერთ-ერთ ნიჭიერ მთარგმნელს აკა-

---

[1] აკ. წერეთელი, ტ. XIII, გვ. 390.

კი საერთოდ უწონებს თარგმანს, მაგრამ ამასთანავე ზოგიერთ შეცდომებზედაც მიუთითებს: მთარგმნელს „შეცდომები გაურევია, მაგალითად, საუარყოფო სიტყვებს „არა" და „ვერას" ვერა ხმარობს თავის ადგილზე, „არ ვნახე", — ნიშნავს, რომ შემეძლო მენახა, მაგრამ არ ვისურვე,—„ვერ ვნახე" კი ჩემი სურვილის წინააღმდეგ რასმეს ხელი შეუშლია.

„ხელის მოხვევა" სხვა არის და „გადახვევა" სხვა. „გველი ბეჭდის მსგავსად იხვეოდაო" ეს ითქმის — რგოლივით და არა ბეჭედივით" [1].

აკაკის ერთ-ერთ დიდ დამსახურებად ითვლება ისიც, რომ მან ცნობილ ჟურნალისტსა და საზოგადო მოღვაწე კონსტანტინე დოდაშვილთან და გიორგი წერეთელთან ერთად ჟურნალ „კვალში" შექმნა სპეციალური განყოფილება „სასწორმეტყველო". მათ მიზნად დაისახეს ემხილებინათ მწერლობაში დაშვებული ენობრივ-სტილისტური ხასიათის შეცდომები. პირველი სანიმუშო ისარი, წერს პოეტი, მე გავტყორცე და იმ ისარმაც ყურთან გაუზუზუნა ბ-ნ იაკ. სიმონისძეს... პირველად სიმონისძეს იმიტომ გამოვეთამაშეთ, რომ ის სხვებზე უფრო შესამჩნევია: ისა ზრდის და ისა წვრთნის ქართველ ახალგაზრდობას! ენასაც მისგან სწავლობს და, მაშასადამე, იმის მცირე შეცდომასაც უფრო მეტი ვნების მოტანა შეუძლია, ვიდრე სხვისას [2]. პოეტმა თავის რეცენზიაში იაკობის მიერ რამდენიმე სიტყვის არაზუსტი ხმარება აღნიშნა. ამან გამოიწვია გაცხოველებული კამათი. პაექრობაში ჩაებნენ სასწორსამეტყველო განყოფილების მეთაურები, შემდეგ სილოვან ხუნდაძე და სხვები. პაექრობის შედეგად ენობრივად საინტერესო ბევრი საკითხი გაირკვა, ბევრიც გასარკვევია და მოითხოვს ენის სპეციალისტთა დაკვირვებას. საერთოდ, როგორც ცნობილია, აკაკი ქართული ენის სისწორისა და სიწმინდის დაცვისათვის ბრძოლაში არავის ერიდებოდა და შეძლებისდაგვარად ფხიზლად მიუთითებდა ყველას, ვისაც შეამჩნევდა ენაში დაშვებულ უზუსტობას. ამ ბრძოლაში, რომელიც ერთიანი სალიტერატურო ქართულის განვითარებისა და ხალხში მისი დამკვიდრების დიდი პატრიოტული შთაგონების პათოსით მიმდინარეობდა, გზას იკაფავდა სწორი და მართებული ენობრივი ფორმები. დიდი მგოსნის ტიტანურ დამსახურებაში ზოგიერთ მცირე უზუსტობებს არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს და აკაკი, ილიასთან ერთად, ახალი ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის დიდი ფუძემდებელია.

---

[1] აკ. წერეთელი, ტ. 12, გვ. 37.

[2] იქვე, გვ. 143.

აკაკი, როგორც მწერლისაგან, ისე მსახიობისაგან მოითხოვდა წმინდა ქართულით გამოსვლას და ძლიერ უსაყვედურებდა აქტიორებს უსაფუძვლო ლოკალურ კილოზე მეტყველებას. პოეტი დასცინოდა მსახიობებს ისეთი სიტყვების ხმარებისათვის, როგორიცაა „ასთე", „აქანეი", „მაქანე", „მოუშვი", „შავიტყვე" და სხვა [1]. მწერალი და მსახიობი დიდ პოეტს ხალხის მოძღვრად მიაჩნდა. მათ მეტყველებას ხალხზე დიდი გავლენა აქვსო და თუ ისინი დედაენის სიტკბოს, მის ღირსებას არ დაიცავენ, ამას მოჰყვება ენის დამახინჯება და, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, მათ თხზულებებსა და სცენაზე გამოსვლით დამახინჯებული ენა ხალხის მეტყველებასაც ამახინჯებს და ხელს უშლის სალიტერატურო წმინდა ქართულის განვითარებას.

პოეტი უაღრესად დიდ როლს აკუთვნებდა დედაენის დაცვის, გავრცელებისა და გადაგვარებისაგან გადარჩენაში გენიალურ, და საერთოდ, მაღალი ღირსების მხატვრულ ლიტერატურას. საქართველოს ავბედობის ხანაში, აგრესორთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობის პირობებში, როდესაც მშობლიური ენა სასტიკად შევიწროებული იყო, პოეტის სამართლიანი თქმით „ვეფხისტყაოსნის წყალობით წერა-კითხვას ყველა სწავლობდა და ქართულმა ენამ ჭირში თავი შეინახა" [2].

აკაკის მართებულად არ მიაჩნდა სიტყვის „ყვავის" „ჰყვავის" მაგივრად ხმარება. პოეტი მოხდენილი იუმორით გამოხატავს თავის აზრს: საიქიოში შევხვდი ანტონ კათალიკოსს, რომელმაც მკითხა, თუ რა მდგომარეობაშია საქართველოო. მე მოვახსენეო, — წერს პოეტი, ყვავის-თქო! ამ სიტყვაზედ გამირისხდა და მომაძახა: — უგნურო, შენ არ გიკითხავს ჩემი გრამატიკა?.. მაგ ლექსს რად გამოაკელი ერთი ასო „ჰ" და რად დააკარგვინე მნიშვნელობა? საქართველო ჰყვავის ნიშნავს, რომ საქართველო აჰყვავებულია... და საქართველო ყვავის კი იმას ნიშნავს, რომ ყვავს ეკუთვნისო" [3].

დიდი ქართველი მეცნიერების: ალ. ცაგარლის, ნ. მარის, ივ. ჯავახიშვილის, აკ. შანიძის, არნ. ჩიქობავასა და სხვათა გამოკვლევების თანახმად ქართულში არ არის გრამატიკული სქესი. აკად. ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ ქართულს, არც თანამედროვესა და... არც ძველს, გრამატიკული სქესი არ აქვს, მაგრამ ხანმეტობის პერიოდის შემდეგ დაბადების წიგნების თარგმნისას ზოგიერთ მთარგმნელს მდედრობითი სქესის გამოსახატავად

[1] აკაკი ნერეთელი, ტ. 14, გვ. 235, 592.
[2] აკაკი ნერეთელი, ტ. 13, გვ. 281.
[3] იქვე, ტ. 11, გვ. 294.

ა დაბოლოება დაურთავს და ასეთი ხელოვნური და ქართულისათვის შეუფერებელი საშუალებით გრამატიკული სქესის შექმნა უცდია. შემოუღია ფორმები მეფ-ა, უფალ-ა, ჭაბუკ-ა, ყრმ-ა და სხვ. სულხან-საბა ორბელიანსა და ანტონ კათალიკოსს ეს ხელოვნური წარმოება შეცდომით ძველად მიუჩნევიათ. მაგრამ ანტონს სრულებით მკაფიოდ ჰქონდა შეგნებული, რომ ქართულს გრამატიკული სქესი არ გააჩნია [1]. იგი მიუთითებს, რომ არსებით სახელს აქვს ოთხი სქესი: „1. მამრობითი, თუ იგი მამრობით სქესს აღნიშნავს (წული, მამაი, ძმაი), 2. მდედრობითი, თუ სახელი მდედრობითი სქესის არსებობას აღნიშნავს (ქალწულაი, დედაი, დაი...), 3. საშუალი (თუ სახელი არც მამრობითი და არც მდედრობითი სქესის არსებობას არ აღნიშნავს და ორივე სქესს შეიძლება მიეკუთვნოს (შვილი, ლეკვი...)" [2]. გრამატიკული სქესის შესახებ ამგვარ მოსაზრებათა გამოთქმის შემდეგ ანტონი აღიარებს, რომ „ქართულში არ არსებობს ამა თუ იმ სქესის აღმნიშვნელი სპეციალური ნიშანი განსხვავებით სხვა ენებისაგან" [3]. მართალია, ანტონი სქესის ნიშნებს საერთოდ არ განასხვავებს, მაგრამ მდედრობითი სქესის აღმნიშვნელად მაინც ასახელებს ა მაწარმოებელს (უფალ-ა, ჭაბუკ-ა) [4].

აკაკიმ კარგად იცოდა, რომ ქართულს არ ახასიათებდა გრამატიკული სქესის გარჩევა და იგი მიაჩნდა სხვა ენათა მიბაძვის შედეგად, პოეტი დიდ ცოდვად უთვლიდა ჟურნალ „მწყემსის" რედაქციას ქართული ენის სპეციფიკის გვერდის ავლას და სხვა ენის ანალოგიურად ჩვენს ენაში ისეთი გრამატიკული ფორმის შემოტანას, რომელიც ქართულს არ ახასიათებს: „მწყემსი", — წერდა აკაკი, — თავის თავათაც ვარდება ხოლმე ცოდვაში როცა... წამხედურობით ქართულშიაც შემოაქვს სქესი და მდედრობით სქესს ხმარობს „მეფა", „ხელმწიფა"... და სხვანი" [5]. პოეტი გამუდმებით ზრუნავდა ქართული ენის სრულყოფისა და განვითარებისათვის. 1901 წელს აკაკი წერდა: „ბევრი მიფიქრია ჩვენს ქართულს ენაზე, დავკვირვებივარ: ხან ავფრთოვანებულ-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, 1937, გვ. 135, 165, 168, 169.

[2] ე. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, 1970, გვ. 109—110.

[3] იქვე, გვ. 110.

[4] იქვე, შდრ.: გაიოზ რექტორი, ქართული ღრამმატიკა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ელენე ნიკოლაიშვილმა, 1970, გვ. 40.

[5] „აკაკის თვიური კრებული", 1898, XI, გვ. 5, შდრ.: ტ. XIII, გვ. 389.

ვარ, ხან დავნაღველიანებულვარ, უძილობით ხომ ღამეები გამიტეხია“ [1].

აკაკი ქართული ლიტერატურული ენის განვითარებისა და მისი სიწმინდის დაცვის საქმეში მკაცრ მოთხოვნას უყენებდა როგორც თავის თავს, ისე ყოველ მწერალს. პოეტი მწერლის უპირველეს მოვალეობად თვლიდა დედაენისა და მისი მართლწერის საფუძვლიან ცოდნას. „მწერალს... უნდა შესწავლილი ჰქონდეს ის ენა, რომელზედაც აპირებს წერას“ [2], — მიუთითებდა აკაკი.

ისეთ მწერალს, რომელიც ენას ჭერ ფლობდა და ბუნდოვნად წერდა, პოეტი „თავხედსა და მჯღაბნელს“ უწოდებდა, მას მწერლად არ თვლიდა.

ცნობილია, რომ მწერალი მხატვრულ ნაწარმოებში ასახულ ცხოვრების მოვლენებს, წარმოდგენებს, აზრებს, შეხედულებებსა და გრძნობებს აცნობს მკითხველს იმის მეოხებით, რომ ყოველივე ეს ნაწარმოებში ჩამოყალიბებულია მატერიალურ ენობრივ ფორმებში, გადმოცემულია გარკვეული სტილისტიკური თავისებურებებით, ხორცშესხმულია სიტყვიერ სახეებში და მაღალი მხატვრული ოსტატობით შესრულებულ სურათებში.

მწერალი ენის საშუალებით ამყარებს ურთიერთობას მკითხველთან. მწერლისათვის ენა ძირითადი მხატვრული საშუალებაა, რომლის საფუძველზეც ის ქმნის თავის ნაწარმოებს. ამ გარემოებაზე სავსებით სამართლიანად მიუთითებდა მ. გორკი, როდესაც ამბობდა: „ლიტერატურის ძირითად მასალას წარმოადგენს სიტყვა, რომლის საშუალებითაც ფორმდება ჩვენი შთაბეჭდილებები, აზრები. ლიტერატურა არის სიტყვის მეშვეობით პლასტიკური გამოსახვის ხელოვნება“ [3]... „ლიტერატორმა უნდა იცოდეს, — წერდა მ. გორკი — რომ იგი არა მარტო კალმით წერს, არამედ — ხატავს სიტყვებით“ [4].

ენა ლიტერატურის არსებობის ძირითად საფუძველს წარმოადგენს, იგი მისი პირველი ელემენტია [5].

ენას, როგორც ლიტერატურის ძირითად მასალას, როგორც ზევით აღვნიშნეთ, დიდ რუს მოაზროვნეებთან ერთად უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქართველი კლასიკოსები.

გავიხსენოთ დიდი პედაგოგის ი. გოგებაშვილის სიტყვები:

---

[1] აკ. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული, ტ. XIV, გვ. 53.

[2] „აკაკის თვიური კრებული“, 1897, IV, გვ. 8.

[3] М. Горький, Литературно-критические статьи, М., 1937, стр. 516, შდრ. М. Горький, О литературе, 1937 г., стр. 115.

[4] იქვე, გვ. 549.

[5] «Правда», 1950, № 251 (წერილი: Литература и вопросы языка»).

„უმთავრესი და საუკეთესო ღონისძიება ენის შესწავლისათვის გახლავთ: ხალხის გონების ნაწარმოები, პოეზია და სიტყვა-კაზმული პროზა, ერთი სიტყვით ლიტერატურა არის ერთადერთი ცხოველი წყარო ენის სიმდიდრის შეთვისებისათვის“ [1].

როდესაც ვ. ი. ლენინმა რუსული საერთო-სახალხო სალიტერატურო ენის დასახასიათებლად პირდაპირ მიუთითა: „ტურგენევის, ტოლსტოის, დობროლუბოვის, ჩერნიშევსკის ენა დიადია და მძლავრი“ [2], ამით დიდმა ბელადმა გახაზა მოწინავე მწერლების თვალსაჩინო დამსახურება ერთიანი ნაციონალური ენის განვითარებაში, მისი სიმდიდრის, ძლიერებისა და სიდიადის ასახვა-გამოვლინებაში. ენის სრულყოფასა და განვითარებაში პროგრესული ლიტერატურისა და მწერლის როლზე ყოველთვის მიუთითებდა მ. გორკი. ილია ჭავჭავაძე, როგორც ვიცით, პირდაპირ აცხადებდა: „ჩვენ მარტო ეს ვიცით ძალიან კარგად, რომ ლიტერატურას შეჰყავს წარმატებაში ენა; ესეც კარგად ვიცით, რომ ლიტერატურის განზრახვაც ის არის, რომ ერთგვარი ენა შესდგეს და არა მრავალშტოიანი“ [3].

ამრიგად, ცხადია, რომ მოწინავე მხატვრული ლიტერატურა, ერთი მხრივ, ფართოდ ასახავს საერთო-სახალხო ენას მთელი თავისი მდიდარი და მრავალფეროვანი ლექსიკით, ხატოვანი გამოთქმებით, გრამატიკული თავისებურებებითა და მხატვრული შესაძლებლობით; მხატვრული ლიტერატურა შენდება ერთიანი ეროვნული ენის ბაზაზე, ხოლო, მეორე მხრივ, თავისი უდიდესი სპეციფიკური საშუალებით იგი ხელს უწყობს ენის განვითარებას, მის სრულყოფასა და ხალხში დამკვიდრებას.

ამიტომაც, სავსებით ბუნებრივია, როცა აცხადებენ, რომ მხატვრული ლიტერატურა არა მარტო მდიდარი საგანძურია ნაციონალური ენისა, არამედ მისი შემოქმედებითი ლაბორატორიაც, სადაც გზა ეხსნება ხალხის მეტყველების უდიდეს მხატვრულ საშუალებათა ახალ-ახალი შესაძლებლობის ფართო გამოყენებას, მისი მოქნილობის, გამომხატველობითი ძალის, სიმდიდრისა და მშვენიერების გამოვლინებას.

აკაკი წერეთელს ნამდვილი, ჭეშმარიტი მწერლის საპატიო მოვალეობად მიაჩნდა „ტკბილ-ქართულის“ სიწმინდისა და ღირსების დაცვა, აზრის სწორად, გამართული ენით გადმოცემა, დედაენის განვითარებისა და სრულყოფისათვის დაუღალავი

---

[1] ი. გოგებაშვილი, რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები, 1910, გვ. 161.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 72.

[3] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, 1941 წ., გვ. 615—616.

ზრუნვა. „მწერლობის მოვალეობაა, — წერდა პოეტი, — რომ დამახინჯებულ სიტყვებს ასწორებდეს, არა თუ ამახინჯებდეს!“ [1] მწერლის ვალდებულებაა ასისა, ათასი სიტყვა-ფრაზისაგან აირჩიოს მასალები, რომელნიც უკეთ დაახასიათებენ მისგან აღებულ საგანს [2].

ახალი ქართული ლიტერატურული ენის განვითარების საქმეში დიდებული პოეტის ნაყოფიერი მოღვაწეობის შესახებ პროფ. ვ. თოფურია შენიშნავს: „...აკაკის ლიტერატურული ჟანრი მრავალმხრივია (ეპოსი, ლირიკა, დრამა, კრიტიკა, პუბლიცისტიკა, ბიბლიოგრაფია და სხვ.) და მას ყველგან გამოყენებული აქვს ერთნაირი ენა; აკაკი კარგად ერკვევა ენისა და ლიტერატურის თეორიულ-პრაქტიკულ საკითხებში და უჩვენებს საჭირო გზებს მათ დამუშავებაში... იგი ყველაზე პოპულარული და ნაყოფიერი მწერალია (აქვს 2000-მდის ნაწარმოები, მისი ლექსები ზეპირად იცოდნენ, ხშირად მღეროდნენ, ნაკვესებს იმეორებდნენ, მას წერაში ბაძავდნენ). ცხადია, მისი გავლენა განუზომელი იყო.

ილიასა და აკაკის მნიშვნელობა ისევე დიდია ახალი სალიტერატურო ქართული ენის დამკვიდრება-ჩამოყალიბებაში, როგორც რუსულისათვის პუშკინისა და გოგოლისა“ [3].

აკაკი წერეთლის მთელი შემოქმედება მრავალფეროვანი, ცოცხალი, მდიდარი და სახოვანი მეტყველების იშვიათ ნიმუშს წარმოადგენს. მისი ენა ყოველთვის გასაგები, მხატვრულად მოქარგული, მსუბუქი, მოქნილი, ჰაეროვანი და მდიდარია.

გამოჩენილმა ქართველმა პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა აკაკის შემოქმედება შეადარა ანკარა წყაროებისაგან წარმოქმნილ იმ უწმინდეს და ბროლისებური გამჭვირვალების ლიტერატურულ ზღვას, რომელშიაც „ყველაფერს მეტად ადვილად და ცხადად ჰხედავ... არა მარტო... დიდი, არამედ რვა-ცხრა წლის შეგნებული ბავშვიც“ [4]. ხოლო დიდი ილია აკაკის სიტყვისა და ლამაზი ქართულის შესახებ წერდა: „ერთი ფრიად შესანიშნავი საგანიც არის. ეგ არის სიტყვა აკაკი წერეთელის თქმული თეატრში კახელების წინაშე. ამაზედ მშვენიერი სიტყვა ჩვენ არ გვახსოვს ქართულს ენაზედ. კითხულობთ და გიკვირთ, გიკვირთ და კითხულობთ, არ იცით, რა რას დაამჯობინოთ, სიტყვა აზრს, თუ აზრი სიტყვას, — ისე შეზავებულია, ისე შეხამებულია, ისე

[1] „აკაკის თვიური კრებული“, 1898, XI, გვ. 6.

[2] დაწვრილებით იხ. ვ. თოფურია, აკაკი და ქართული სალიტერატურო ენა, „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. II, 1945 წ.

[3] იქვე.

[4] ჟურნ. „საქართველო“, 1908, № 10, გვ. 6.

შეხორცებულია სიტურფე სიტყვისა აზრის მშვენიერებასთან... აკაკი წერეთელს არა ერთხელ დაუკვნესებია თავისი ტკბილი ქნარი; უმოქმედებია თავისი მიმზიდველი ნიჭიერება, თავისი მარილიანი სიტყვა, თავისი სიტურფით სავსე ქართული" ...რითაც „ატკბობდა ქართველის ყურს, აფხიზლებდა გონებას და ჰმართავდა ქართველის გულს ქართველისა და საქართველოს სიყვარულისათვის" [1].

ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარების საქმეში აკაკი წერეთლის სხივმოსილმა ღვაწლმა თავის დროზე დიდი როლი შეასრულა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ჩვენი დიადი სამშობლოს — საბჭოთა კავშირის სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული მშენებლობის პირობებში ქართული სალიტერატურო ენა განვითარების კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა.

აკაკი ქართული თეატრის მოამაგე

აკაკი წერეთელი ლიტერატურულ-შემოქმედებით მუშაობასთან ერთად უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სკოლების, თეატრების, ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა და სხვა სახის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა განვითარებას. აკაკიმ დიდი მუშაობა გასწია ახალი ქართული რეალისტური თეატრის აღორძინებისა და განვითარებისათვის. მისი ენერგიული ხელშეწყობით გამრავლდა დრამატურგიული ხასიათის თხზულებები, გამოიზარდა მსახიობთა ახალი კადრები და საკმაოდ ამაღლდა სასცენო ხელოვნება. აკაკი ახალი ქართული თეატრის დროებითი და მუდმივი დასის ჩამოყალიბების ინიციატორი, მისი რეჟისორი და ზოგჯერ მსახიობიც იყო.

აკაკი წერეთლის მრავალფეროვან და მდიდარ მხატვრულ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დრამატურგიულ თხზულებებს. პოეტი აქტიურად ეხმაურებოდა ეპოქის საჭირბოროტო მოვლენებს, „დიდსა თუ მცირე" საკითხებს, ფართოდ ასახავდა მას თავის დრამატულ პოემებში, კომედიებში, დრამებში, ვოდევილებსა და სცენებში. მანვე თარგმნა ქართულ ენაზე მოლიერის „სკაპენის ცუღლუტობა", მირზა ფათალი ახუნდოვის „ხანის ვეზირი", ალექსანდრე სუმბათაშვილის — „ღალატი" და პოლონელი მწერლის ჰენრიკ სენკევიჩის „ვიდრე ხვალ, უფალო". თავისი შესანიშნავი დრამატული თხზულებებით აკაკი წერეთელმა დიდად შეუწყო ხელი, როგორც ახალი

[1] ჟურნ. „ივერია", 1882, IX, გვ. 143.

ქართული დრამატურგიის განვითარებას, ისე განსაკუთრებით, ახალი ქართული რეალისტური თეატრის აღორძინებას, ქართული ორიგინალური სასცენო რეპერტუარის გამდიდრებას, ხალხში პროგრესული იდეების გავრცელებას, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაღვივებას და ხალხის აღზრდას ახალი, მოწინავე, რევოლუციური ბრძოლის სულისკვეთებით.

ამდენად, აკაკის დრამატურგია მნიშვნელოვანი საუნჯე და ძვირფასი განძია ქართული ლიტერატურისა. პოეტის დრამატული თხზულებანი ისეთივე აზრით, იდეით, გრძნობითა და მისწრაფებებით არის შთაგონებული, როგორითაც სხვა მისი თხზულებები; დრამატული ნაწარმოებების შექმნის სურვილი და ინტერესი აკაკის ბავშვობიდანვე აღძვრია. როგორც აღვნიშნეთ, პატარა აკაკის მამისეულ სასახლეში შეუთხზავს დრამატული თხზულება, რომელშიც აღწერილი ყოფილა სასახლის ცხოვრების ზოგიერთი მოვლენა. ამ ნაწარმოების შინაარსს საფუძვლად დასდებია აკაკის მიერ სასახლეში უშუალოდ ნახული და განცდილი, ხოლო თხზულებათა დაწერის იმპულსად გამხდარა გიორგი ერისთავის კომედია „გაყრა“. აღნიშნული თხზულების პირველი დადგმა თბილისის სცენაზე უნახავთ როსტომის ნაცნობებს და აკაკის მშობლებთან სასახლეში სტუმრობის დროს მათ კომედიის მთელი შინაარსი და წარმოდგენისაგან მიღებული შთაბეჭდილება დეტალურად გადმოუციათ. პატარა აკაკის სიტყვასიტყვით მოუსმენია სტუმართა ნაამბობი და ნიჭიერ ბავშვს ამ მოსმენილის მიხედვით შეუთხზავს პიესისმაგვარი სცენები, რომელშიც დაუხასიათებია მშობლების ფეოდალური ოჯახი, მოურავის მიერ ყმების ტანჯვა-დაწიოკება და მათი ბატონთან დაბეზღება, ბატონის სიხასტიკე და სხვა.

ხანში შესული პოეტი ამ ნაწარმოების შესახებ წერდა: „ერთხელ ქალაქიდან ჩამოგვიტანეს ამბავი, რომ „გლუხარიჩმა“ კომედია დაწერაო და ვარანცოვის სასახლეში ითამაშესო. ამ ამბავს გულმოდგინედ ვუგდებდი მე ყურს და ბოლოს თვითონაც მოვინდომე, რომ ამგვარი რამ კითხვა-მიგებითი დამეწერა და მართლაც ავწერე ჩვენი შინაურობა, მაგალითად, როგორ აწვალებდა ჩვენი მოურავი ხალხს, მერე ბატონთან აბეზღებდა; ბატონიც მოთმინებიდან გამოდიოდა და ჯავრობდა და სხვა და სხვა“[1]. აკაკის გადმოცემით, ეს ბავშვური სცენები სასახლეში თურმე ყველას მოსწონებია, გარდა მოურავისა.

---

[1] აკ. წერეთელი, თხზ., სრ. კრებული, ტ. IV, ჰ. ინგოროყვას რედაქციით, 1948, გვ. 40.

1912 წლის 15 იანვარს ქართული თეატრის ვარსკვლავის, გამოჩენილი მსახიობი ქალის მარიამ საფაროვა-აბაშიძის პატივსაცემად გამართულ „დილაზე“ წარმოთქმულ სიტყვაში მხცოვანმა პოეტმა კვლავ გაიხსენა ეს საგულისხმო ეპიზოდი. გიორგი ერისთავის კომედია „გაყრას“ წარმოდგენის ამბავი, — თქვა აკაკიმ, ელვის სისწრაფით მოეფინა მთელ დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოში და ყველგან და დიდხანს სულ იმ უცხო რამეზე ლაპარაკობდენ ოჯახებში და მე მგონია, რომ ამას დიდი გავლენაც ჰქონდა!.. მე მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი. რასაკვირველია, თეატრი არსად მენახა. მაგრამ ნაამბობით ისე ვიყავი გამსჭვალული, რომ მეც ვითომ კომედია დავსწერე „მოურავი“, სადაც ჩემი ოჯახის შინაური ამბავი იყო გამოყვანილი.[1] ამ მოგონებაში განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ აქ მითითებულია აღნიშნული ნაწარმოების სათაური („მოურავი“). სამწუხაროდ, ამ თხზულებას ჩვენამდე არ მოუღწევია. ამის შესახებ აკაკი მოგვითხრობს: „ეს ჩემი პირველი ნაწარმოები დედაჩემს თურმე შეენახა და, რუსეთიდან რომ დავბრუნდი, მიჩვენა. მე სიბრიყვე მორეულმა ვიუკადრისე, გამოვართვი დედას, დავხიე და ცეცხლში ჩავყარე. დედაჩემს ეს ძალიან ეწყინა და მისაყვედურა, მაგრამ ხომ ვერ გავამთელებდი!“..[2] ასე დაიღუპა აკაკის ეს პირველი, ბავშვობისდროინდელი ნაწარმოები. მაგრამ ამ პირველ ცდას უნაყოფოდ მაინც არ ჩაუვლია. იგი დაგვირგვინდა დრამატურგიის ისეთი შესანიშნავი მარგალიტებით, როგორიცაა: „პატარა კახი“, „თამარ ცბიერი“, „ბუტიობა“, „კუდურ-ხანუმი“, „მედია“ და სხვ. აკაკის დრამატული თხზულებები თემატურად მრავალფეროვანია. მათში („პატარა კახი“, „თამარ-ცბიერი“, „მედია“) ასახულია საქართველოს ისტორიული ცხოვრების გმირული და მასთან ერთად, მეტად ტრაგიკული მომენტები; ბევრ პიესაში განსაკუთრებით არის დასურათებული პოეტის თანადროული ცხოვრების მოვლენები. ზოგი ნაწარმოები („კუდურ-ხანუმი“ და სხვ.), მართალია, აგებულია ისტორიულ სიუჟეტზე, მაგრამ მასში მთლიანად გამოხატულია პოეტის თანამედროვე ცხოვრება, და ამდენად, ალეგორიულ ხასიათს ატარებს (ა. გაჩეჩილაძე). ისტორიულ სინამდვილეზე დაფუძნებული პიესებიც იდეურად ავტორის თანადროულ ვითარებას ეხმაურება და ეპოქის მწვავე პოლიტიკურ, ეროვნულ და სოციალურ

[1] გაზ. „თემი“, 1912, № 55.

[2] აკ. ნერეთელი, ტ. IV, 1948, გვ. 40.

პრობლემებს აშუქებს. დიდი პოეტის დრამატურგია მთლიანად შთაგონებულია მებრძოლი ხალხურობით.

აკაკის დრამატული თხზულებანი, ისე როგორც მთელი მისი შემოქმედება, კრიტიკული რეალიზმის მეთოდით შესრულებული შესანიშნავი მხატვრული ნაწარმოებებია. პოეტს მიზნად აქვს დასახული თავისი დრამატურგიით ემსახუროს ხალხს, იბრძოლოს ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ, დაიცვას ხალხის ინტერესები, ხელი შეუწყოს ხალხის თვითშეგნების განვითარებას, მორალური და ზნეობრივი სისპეტაკის დაცვას. აკაკი თავის დრამატულ ნაწერებში დაუზოგავად და უშიშრად ამხელს, ამათრახებს გადაგვარებულ ელემენტებს, ხალხის მტერს— თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიულ წყობილებას, მეფის უგვანო მოხელეებს, ქვეყნის მჩაგვრელ ხელჯოხიანებს, კონსერვატორებს, ძველი წყობილებისა და ყოფის დამცველ თაობას, ხალხის მძარცველ ადვოკატებს, მეფის სასამართლოს, უგვანო ადამიანთა ვერაგობას, ეგოისტობას, ფლიდობას, ბიწიერებას, მლიქვნელობას, ქვეყნისა და ხალხის მოღალატეებს, უმეცრებას და გზააბნეულ ახალგაზრდობას. ამავე დროს, პოეტი დიდების შარავანდედით მოსავს თავისუფლებისათვის გმირულ ბრძოლას, ქვეყნისა და ხალხისათვის თავდადებულ ადამიანებს, პატიოსნებას, კდემამოსილებას, პირდაპირობას, სათნოებას და საერთოდ ზნეობრივ-მორალურ სისპეტაკეს. თავის დრამატულ თხზულებებს აკაკი მჭიდროდ უკავშირებდა ქართული რეალისტური თეატრის აღორძინება-განვითარების დიდ ისტორიულ ამოცანებს. პოეტის დრამატულ ნაწარმოებთა დიდი უმეტესობა ქართული თეატრის რეპერტუარის გამდიდრებას, მის ამაღლებასა და გამრავალფეროვნებას ემსახურებოდა [1]. პოეტი მიზნად ისახავდა თეატრის, როგორც მასების აღზრდის ერთ-ერთი ძლიერი იარაღის საშუალებით აქტიური ზემოქმედება მოეხდინა ხალხზე, მასებზე. აკაკის ღრმა რწმენით, დრამატულ ნაწარმოებსა და მის თეატრალურ, სცენურ გაფორმებაში „სასაცილო და საგულისხმო, სასიამოვნო და სასარგებლო“ ერთად შეერთებული უნდა ვუჩვენოთ მაყურებელს, რათა ამით „დაანახვოს საზოგადოებას მისი ავი და მისი კარგი, იმაზედ დააფიქროს, ხან ამხიარულოს და ხან დაანაღვლიანოს“.[2]

აკაკი წერეთლისა და მისი თანამებრძოლების სამოღვაწეო

---

[1] დაწვრილებით იხ. ამბერკი გაჩეჩილაძე, ნარკვევები XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიიდან, თბ., 1963.

[2] „დროება“, 1880, № 208.

ასპარეზზე გამოსვლის პერიოდში ქართული თეატრი მეტად უნუგეშო მდგომარეობაში იყო. ცარიზმი ყოველმხრივ ავიწროებდა ადგილობრივ კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებს. მათ შორის თეატრსაც.

იმ დროს ქართული თეატრი მძიმე მდგომარეობაში იყო, მას არ ჰქონდა საკუთარი შენობა, არც სათეატრო მოწყობილობა, არ ჰყავდა მსახიობ-რეჟისორთა და დრამატურგთა საჭირო კადრები. ცარიზმის მიერ სასტიკი დევნის, დამცირებისა და შევიწროების მიუხედავად, ქართველმა სამოციანელებმა უდიდესი მუშაობა გასწიეს ახალი ქართული თეატრის აღორძინებისათვის. აკაკი თეატრს დიდ როლს აკუთვნებდა მასების გათვითცნობიერების, მათი თავისუფლებისათვის ბრძოლის, საერთო სალიტერატურო ენისა და კულტურული აღმავლობის საქმეში.

აკაკის სამართლიანი რწმენით, სასწავლებელთა, კულტურულ კერებსა, მწიგნობრობასა და თეატრს მოკლებული ხალხი ველურია, იგი მსოფლიოს ხალხთა წრიდან განაპირებულია და მივიწყებული. მასზე ფიქრი და ზრუნვა აღარავის აინტერესებს. იგი ცოცხალ ხალხად აღარ ითვლება.

განათლების, წინსვლისა და სიცოცხლის ძალას სწორედ აღნიშნული დაწესებულებები თავიანთი საღი მუშაობის მეოხებით აძლევენ ერს; ის ხალხი, წერდა მგოსანი, რომელსაც „არა აქვს... არც სასწავლებლები, არც მწიგნობრობა და არც თეატრი მშობლიური, მაშინ ის ხალხი ითვლება ან ველურ ხალხათ და ან მკვდრათ; ის საზოგადო კრების ანგარიშიდამ გამორიცხული არის და მაზედ გული აღარავის შესტკივა, ვერავინ იცნობს. მასზედ აღარავინ ფიქრობს. ის ხალხი მაშინ დედა-მიწის ზურგიდამ აღმოფხვრილია". [1]

ამიტომ, პოეტი თავის მოღვაწეობაში უდიდეს ყურადღებას უთმობდა ქართული თეატრის აღორძინებას. მის წინსვლასა და განვითარებას, მისთვის დაუცხრომელ ზრუნვასა და თავდადებას.

„მხოლოდ ერთადერთი ასპარეზი დაგვრჩენია — თეატრი, — წერდა აკაკი, — საიდამაც შეგვიძლიან გავიგონოთ ჩვენი დედაენა: ის ენა, რომელზედაც მუსიკობდა რუსთაველი... ჩვენ, ამ თეატრის წყალობით, შეგვიძლიან გავიხსენოთ ჩვენი წარსული, დავინახოთ აწმყო და წარმოვიდგინოთ მომავალი!"[2].

ერთ-ერთ წერილში იგი საგანგებოდ კიცხავს და მწვავე გულისტკივილით აღნიშნავს ისეთ შემთხვევას, როდესაც მსახიო-

[1] აკ. წერეთელი, თხზ., სრ. კრებული, ტ. 11, გვ. 513.
[2] იქვე.

ბები თავიანთ მეტყველებას ანაგვიანებენ დიალექტიზმებით. პოეტი დიდ მოთხოვნილებას უყენებდა პიესების ენობრივ გაფორმებას. მას სრულიად მიუღებლად მიაჩნდა სცენისათვის გამიზნული ენობრივად გაუმართავი ნაწარმოები. „სათეატრო ბიბლიოთეკაში, — წერდა პოეტი — ორასზე მეტი წარმოსადგენად ნებადართული პიესებია, მაგრამ ყველა ერთად კი ერთ ხეირიან პიესად არა ღირს მათის უვარგისობით. ორიგინალური პიესები ჩიქორთულის ენით არიან დაწერილი, ნათარგმნები და გადმოკეთებულები კი ბარბაროსულად გადმოტყავებული“[1].

ხალხის ზნეობრივი და გონებრივი ამაღლებისათვის აკაკი თეატრს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა და ადამიანზე ზემოქმედების მძლავრ იარაღად თვლიდა: „არა თუ ამ დროში,—ძველათ, პერიკლოსის დროსაც, — წერდა პოეტი, — თეატრი ხალხის გასაწვრთნელ და ზნეობრივათ ასამაღლებელ მოვლენებათ და საგნათ მიაჩნდათ და მართლაც, ვინ არ იცის, რომ ისტორიის მთელი ტომები ისე ვერ იმოქმედებენ კაცზედ, როგორც ერთი ხეირიანი პატრიოტული დრამული რამ წარმოდგენა. ერთის ან ორის საათის განმავლობაში მის თვალწინ ცოცხალის სურათებით წარმოდგენილი და ისიც შესაქცევის კილოთი და ხასიათით“.[2]

პოეტი გატაცებით შეუდგა ახალი ქართული რეალისტური თეატრის აღორძინებისთვის თავდადებულ მუშაობას. საგულისხმოა პოეტის ზოგიერთი შეხედულება თეატრის ფუნქციისა და აქტიორის დანიშნულების შესახებ.

თეატრი მას მიაჩნდა პატრიოტიზმის დანერგვის, ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის უნარის გაძლიერებისა და ესთეტიკური აღზრდის მძლავრ საშუალებად. მისი ღრმა რწმენით, „სათეატრო ხელოვნებაც... იგივე მხატვრობაა, მხოლოდ უფრო მეტყველი და საგულისხმო“[3]. აკაკი მკვეთრად ილაშქრებდა იმათ წინააღმდეგ, რომელთაც თეატრი მხოლოდ გასართობ ასპარეზად მიაჩნდათ. ამგვარი ობივატელების მისამართით იგი წერდა: „შემცდარია ის, ვისაც თეატრი უბრალო, უნაყოფო გასართობ რამედ მიაჩნია! სცენა სწორედ რომ წმინდა ტრაპეზია, რომელიც გულ-წრფელ მსახურებას მოითხოვს“[4].

მგოსანი დიდად აფასებდა მსახიობთა მიერ კარგად შესრულებული როლების მაყურებელზე ზემოქმედების უნარს. პოეტის აზრით სცენა შთააგონებს ადამიანს კეთილმოქმედებას, ხიბლავს

---

[1] აკ. წერეთელი, ტ. 14, გვ. 232-233.
[2] აკ. წერეთელი, ტ. XI, გვ. 218.
[3] აკ. წერეთელი, ტ. 14, გვ. 231.
[4] იქვე.

მაყურებელს პიესის მოქმედ პირთა განსახიერებით, გარდასახვის სიდიადით. თუნდაც შედარებით მდარე ხასიათის იყოს პიესა, თუკი მსახიობი პროფესიული დახელოვნებით, რამდენადმე შეფერხებითაც რომ ასრულებდეს როლს, იგი ძლიერად იჭრება მაყურებლის გრძნობა-გონებაში, ამოძრავებს მის სულს და დიდ ზეგავლენას ახდენს მასზე.

თავის „სათეატრო შენიშვნებში" პოეტი ერთი ნაცნობის პირით შემდეგს გადმოგვცემს: მიუხედავად იმისა, რომ მსახიობები უვარგისი პიესის გამო ბუნებრივად, მთელი შესაძლებლობით ვერ თამაშობდნენ, მათ „მაინც ჩვენზე დიდი გავლენა ჰქონდათ, თეატრიდან მოხიბლული გამოვდიოდით. მათი წარმოდგენილი გმირები თვალში გვებლანდებოდნენ; ვსცდილობდით მათ მიბაძვას და, როგორც ლოცვის დროს, ისე ვესისხლხორცებოდით ჩვენს გრძნობა-გონებაში გათვალისწინებულ გმირებს. ვინ იცის, რამდენი ღამე გაგვიტარებია უძილობით საზენაო ფიქრებით გართულს".[1]

პოეტი ეთანხმება მეგობრის განცხადებას და დასძენს: სცენა დიდი საღმრთო ამბიონია და წარამარა თეატრის ხელის შეხება დიდი დანაშაულობაა.

აკაკი თეატრს, ისე როგორც ხელოვნების ყველა დარგს, ხალხის სამსახურს უსახავდა მიზნად: „ჩვენ დღევანდელ მდგომარეობაში, წერდა პოეტი, სცენა დიდად საჭირო და მრავალგვარად საგულისხმო ასპარეზია". სცენამ უნდა „გატეხილი გული გაგვიმთელოს, გაგვამხნეოს, ჩვენი ცხოვრების ავ-კარგი გაგვაცნოს, ბოროტი შეგვაძულოს და კეთილი შეგვაყვაროს. ეს შესაძლებელია, თუ ჩვენს გრძნობა-გონებასთან ექნება საქმე და მშობლიურ ნიადაგს ფეხქვეშ არ გამოიცლის".[2]

აკაკის სამართლიანი შეხედულებით, თეატრი ხალხის ინტერესებს, მის კეთილშობილურ მისწრაფებათა განხორციელების დიდ საქმეს უნდა ემსახურებოდეს. იგი ხალხის ცხოვრებას, მის დადებით და უარყოფით მხარეებს სიმართლით უნდა ასახავდეს, და ამდენად: „თეატრი უნდა იყოს სარკე ხალხის ავისა და კარგის მაჩვენებელი".[3] პოეტი აღიარებდა რეალისტურ თეატრს. იგი თანამიმდევრულად იბრძოდა კრიტიკული რეალიზმის პრინციპებზე დაფუძნებული დრამატურგიისა და თეატრალური ხელოვნებისათვის. თეატრს აკაკი თვლიდა რა ხალხის სარკედ, ამასთანავე იგი დიდ პოეტს საზოგადოების მომხიბლავ, აღმზრდელ

---

[1] აკ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ტ. 14, გვ. 184.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 185.

[3] საქ. სსრ მეცნ. აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, H — 1493.

სკოლად მიიჩნევდა. ამ სარკეში ქვეყანამ უნდა დაინახოს თავისი როგორც ნაკლი, ისე ღირსებაც. თეატრი, როგორც ხელოვნების, შთაგონების, მაღალი იდეითა და მშვენიერებით მომხიბვლელი ტაძარი, ხალხს უნდა ასწავლიდეს ბოროტების დანახვას, უნერგავდეს მისადმი სიძულვილს, ამაღლებდეს ხალხის გემოვნებას, უვითარებდეს მშვენიერისადმი ესთეტიკურ დამოკიდებულებას, აფაქიზებდეს სულს. ნამდვილი სახალხო თეატრისათვის საკმარისი როდია ცხოვრების სინამდვილის ჩვენება, არამედ, მისი ვალია დაეხმაროს საზოგადოების უარყოფით მხარეთა გაკიცხვაში, გამოსწორებაში, ღირსეულის განვითარებასა და ცხოვრების მოვლენათა ახსნაში. „თეატრი, აცხადებდა პოეტი, ხელოვნების ტაძარია, სამოძღვრო ამბიონი და არა უბრალო გასართობი, საფუნდრუკო რამ. სცენა არის ეროვნული სარკე, რომელიც უშიშრად და უტყუვრად უნდა გვისახავდეს ჩვენი ცხოვრების ავ-კარგს, რომ სანახაობით მოხიბლული, მშვენიერებისაკენ სიყვარულით მივისწრაფოდეთ და უშვერობას ზიზღით გავურბოდეთ". ეს ძლიერი სარკე, პოეტის ფიქრით, მსახიობებმა უნდა დაიჭირონ ხელში და დიდი შთაგონებით ემსახურონ მას. აკაკის აზრით, თეატრმა ხალხს უნდა მისცეს ნათელი წარმოდგენა ერის წარსულ ცხოვრებაზე, აგრძნობინოს მისი მოწინავე ტრადიციები და აჩვენოს ცუდი, უარსაყოფი მხარეები, დაანახვოს აწმყო და დაეხმაროს მომავლის განჭვრეტაში. „ჩვენ, — წერდა პოეტი, — თეატრის წყალობით შეგვიძლიან გავიხსენოთ წარსული, დავინახოთ აწმყო და წარმოვიდგინოთ მომავალი".[1] სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ხალხის მებრძოლი სულისკვეთებით აღზრდა, აკაკის გაგებით, თეატრისაგან მოითხოვს ბოროტების დაურიდებლად მხილებასა და მისაბაძი მაგალითების ნათლად ჩვენებას. მებრძოლი, რეალისტური თეატრის აუცილებელ თვისებად კი მიაჩნდა მაღალმხატვრულობა და ხალხის ინტერესისათვის სამსახური. მართალია, ხელოვნება და კერძოდ თეატრიც საყოველთაო, საერთაშორისო კუთვნილებაა, მაგრამ ყოველი თეატრი გარკვეული ხალხის ეროვნული თვითმყოფობის მოწინავე ტრადიციებით უნდა საზრდოობდეს და თავისი ხალხის ინტერესებს გამოხატავდეს. ქართული სცენა, წერდა იგი, ყველგან უეჭველად ხელოვნებას უნდა ემსახურებოდეს და ეროვნული ინტერესების დამცველი იყოს. „სცდებიან ისინი, ვინც ამბობენ: რა მოსახსენებელია ჩვენი წარსული? რა გამოსაძიებელია ჩვენი აწმყო? და რა საფიქრებელია მომავალი... ენას რა მნიშვნელობა აქვსო? ეროვნული ელფერი ოცნებააო და

---

1 „დროება", 1880, № 208.

სხვანი“ [1]. ამრიგად, აკაკი სასტიკად იბრძოდა ბურჟუაზიული კოსმოპოლიტობის წინააღმდეგ, რომელიც ქადაგებდა თეატრალური ხელოვნების მოწყვეტას ეროვნული ტრადიციებისაგან, ინტერესებისა და ენისაგან. პოეტი თავდადებით ებრძოდა მშობლიური ენის მნიშვნელობის დამამცირებლებს, იღვწოდა დედაენის განვითარებისა და დამკვიდრებისათვის სცენაზე და ამ საქმეში დიდ მნიშვნელობას აკუთვნებდა თეატრსაც. აი, მისი სიტყვები: მხოლოდ ერთადერთი ასპარეზი დაგვრჩენია — თეატრი, საიდანაც შეგვიძლიან გავიგონოთ ჩვენი დედაენა, ის ენა, რომელზედაც მუსიკობდა რუსთაველი [2]. აკაკი იბრძოდა მსახიობის მეტყველების სიფაქიზის, სიწმინდისა და სინატიფისათვის.

1862 წელს აკაკი რუსეთიდან დროებით ჩამოვიდა ქუთაისში. აქ ცნობილ მასწავლებელ მოსიძის თხოვნით გამართა წარმოდგენა „მზის დაბნელება“. როგორც აკაკი გადმოგვცემს, იმ დროს, გიორგი ერისთავის თეატრის დახურვის შემდეგ სათეატრო მოღვაწეობა მოიშალა და მისი ხსენებაც მივიწყებას მიეცა. თეატრალური ხელოვნება, როგორც პოეტი აცხადებს, დიდ შრომასა და ღვაწლს მოითხოვდა, ზოგიერთი ძველი კაცი თეატრალურ წარმოდგენებს ჯამბაზობად თვლიდა. სცენაზე გამოსვლა კი ქალს და კაცსაც სასირცხვო საქმედ მიაჩნდათ. ხალხშიც ბევრი იყო ისეთი, რომელსაც თეატრის შესახებ ზოგი რამ გაგონილი ჰქონდათ, მაგრამ თვალით კი არ ენახათ. ასეთ პირობებში ქუთაისში წარმოდგენის გამართვა, ცხადია, დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ, ამასთანავე, იგი ქვეყნისათვის მეტად საჭირო და სასარგებლო მოვლენა იყო. ამიტომ ახალგაზრდა აკაკიმ სიამოვნებით მიიღო მასწავლებელ მოსიძის წინადადება და შეუდგა პიესის სცენაზე წარმოსადგენად ენერგიულ მზადებას. ამის შესახებ პოეტი გადმოგვცემს: „1862 წ. დროებით ჩამოვედი რუსეთიდან ქუთაისს. აქ ერთი ქართული ენის მასწავლებელი იყო გიმნაზიაში, მოსიძე. იმან მთხოვა ერთხელ: მოდი ერთი ვსინჯოთ და თეატრი გავმართოთო... აქაურებს გაგონებით კი ბევრი რამ გაუგონიათ თეატრზე, მაგრამ თვალით არ უნახავთ და ვაჩვენოთ ერთიო“ [3]. გადავწყვიტეთ და ხმა რომ გავარდა, თეატრი უნდა წარმოადგინონ, თუ მოახერხესო, მაშინ ერთმა ახალგაზრდა ქალმა, ნინო აბაშიძისამ (დღეს ორბელიანისამ) სთქვა: არა თუ მე გამოვალ სცენაზე, ჩემ მეგობარ ქალს კეკელა აგიაშვილსაც (დღეს დადია-

[1] „ივერია“, 1904, № 111.

[2] „დროება“, 1880, № 208.

[3] აკაკი წერეთელი, ტ. 14, გვ. 365—366.

ნისას), ავაგულიანებო! და მართლაც იკისრეს როლები. იმათ, როგორც ოჯახის შვილებს, სხვებმაც მიჰბაძეს და გაიმართა რეპეტიციებიო. ქალებისა და ვაჟების ამგვარი აქტივობით, მხარდაჭერითა და დახმარების შედეგად მოხერხდა წარმოდგენის გამართვაც, რასაც დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მაყურებელზე. ორი-სამი წარმოდგენის შედეგ აკაკი რუსეთში გაემგზავრა და სცენისმოყვარეთა წრეც დაიშალა და მერე, გადმოგვცემს პოეტი, „ხუთი წლის განმავლობაში... თეატრის ხსენებაც არ ყოფილა არც თბილისში და არც ქუთაისშიო".[1]

• • •

ქუთაისში ცხოვრების პერიოდში აკაკი ახლო გაეცნო ცნობილ პოეტს რაფიელ ერისთავს, რომელიც იმ დროს იქ მომრიგებელ მოსამართლედ მსახურობდა, მასთან ერთად ჩამოაყალიბა დრამატული წრე და შეუდგა წარმოდგენებისა და ლიტერატურული საღამოების მოწყობას. „სახელმწიფო სახლში" გამართეს სცენა და კვირაში ერთხელ,აგრეთვე დღესასწაულებზე, აწყობდნენ წარმოდგენებს. წარმოდგენების შემოსავლით ინახავდნენ „ქალთა უსასყიდლო სკოლას". ამ მოღვაწეობის შესახებ აკაკი წერდა: „იმ დროს ქუთაისში მომრიგებელ მოსამართლედ იყო პოეტი რაფ. ერისთავი და მისი მეცადინეობით შედგა სცენისმოყვარეთა წრე. მუდმივი მოთამაშეები იყვნენ ქალთაგან: ქ-ნი ეფროსინე კლდიაშვილისა, ყიფიანის ქალი, კაცებთაგან მე, თქვენი უმორჩილესი მონა, და ჭეიშვილი. სხვები ხან ის და ხან ეს გვეხმარებოდნენ... თვით რაფიელი სუფლიორობდა, სწერდა სათამაშო პიესებს და ორჯერ-სამჯერ კიდეც ითამაშა. წარმოდგენა იმართებოდა ხანგამოშვებით, მაგრამ უსუსტრად. ხალხი დიდძალი დაიარებოდა. თეატრი სავსე იყო ხოლმე"[2].

აკაკი წერეთელი ქუთაისში გამართულ თეატრალურ წარმოდგენებში მონაწილეობდა როგორც რეჟისორი და აქტიორი.

ქუთაისის დრამატულმა წრემ თბილისშიც იმოგზაურა და გამართა წარმოდგენა. დაუდგამთ „ყვარყვარე ათაბაგი". „ერთხელ კიდევ ტფილისში მოგვიწვიეს, — წერდა აკაკი, — მაშინ ჯერ კიდევ რკინიგზა არ იყო გათავებული... წარმოვადგინეთ „ყვარყვარე ათაბაგი". დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. ეფრო მენახშირის ქალის როლს თამაშობდა და ისე გაიტაცა პუბლიკა, რომ ზოგიერთებს ისტერიკა მოუვიდა. ყაფლან ორბელიანმა.

---

[1] აკ. წერეთელი, ტ. 14, გვ. 366.

[2] იქვე, გვ. 460, შდრ.: იქვე, გვ. 368.

რომელიც მუხლზე ფეხშემოდგმული იჯდა პირველ წყებაში, დაიღრიალა: „გაიყვანეთ ეგ მოთამაშე, თვარამ დაგვხოცაო!“ [1]

აკაკი დიდად აფასებდა ეფროსინე კლდიაშვილის დამსახურებას, მის სამსახიობო ნიჭსა და შესრულების მაღალ კულტურას. ამ მსახიობ ქალს იგი 1875 წლის ერთ-ერთ წერილში წერდა: თქვენი თავგანწირული და ყოვლის მხრით უანგარო შრომა საზოგადო საქმეებში სამაგალითოა და ჯერ მიუბაძავიაო. [2] ხოლო 1910 წელს დაბეჭდილ წერილში „გახსენება თეატრის შესახებ“, გულისტკივილით აღნიშნავდა: „ასლა კი, როცა თეატრზე რამეს სწერენ, ეფროს ხსენებაც არ არის და მე კი უნდა ვაღიარო, რომ ჯერ ქართულ სცენაზე უკეთესი მოთამაშე არ გამოსულაო... არა თუ უსასყიდლოდ შრომობდა, პირიქით თავის ღარიბ ქონებიდანაც ბევრი დაუხარჯავს თეატრის გულისათვის“. საერთოდ კი, პოეტი ქართული თეატრალური ხელოვნების უდიდეს მოამაგედ, ჭეშმარიტ მსახიობებად, ეროვნული სცენის ბრწყინვალე მაგალითებად და მანათობელ ვარსკვლავებად სამართლიანად თვლიდა ვ. აბაშიძეს, მ. საფაროვს, ნ. გაბუნიას, კ. ყიფიანსა და ვლ. მესხიშვილს.

აკაკი წერეთლის ხელმძღვანელობით თეატრალური ცხოვრება თბილისშიც გამოცოცხლდა. აქ აკაკი, ცნობილ საზოგადო მოღვაწე ნიკო ავალიშვილთან ერთად, სათავეში ჩაუდგა სცენისმოყვარეთა წრეს და რადგან ქართულ თეატრს შენობა არ ჰქონდა, კერძო ბინაზე მოაწყო წარმოდგენა. ეს მოხდა 1868 წლის 9 თებერვალს. წარმოდგენილ იქნა აკაკის პიესა „ძველსა და ახალს შუა“. ამის შესახებ პოეტი გადმოგვცემს „ტფილისში თეატრის ხსენება არსად იყო, მაგრამ ახალგაზრდა სემინარიელებს საღერღელი ჰქონდათ აშლილი და ეძებდნენ შემთხვევას, მაგრამ რა ექნათ, რომ სცენა არსად იყო. ამაგულიანეს ყმაწვილებმა, მუხრანბატონის ქვრივმა მისი ზალა მათხოვა სცენად გადასაკეთებლად. შევუდექით საქმეს. ფიცრები სატივეზედ ვიყიდეთ სცენისათვის და მოტანა რომ ძვირად არ დაგვჯდომოდა, ახალგაზრდობამ მოზიდა ღამე ზურგით. დიდი ტანჯვის შემდეგ წარმოვადგინეთ ჩემი პიესა „ძველსა და ახალს შუა“. თეატრი გაიჭედა, მაგრამ შემოსავალმა მაინც ვერ დაფარა ხარჯი და გაგრძელება ვეღარ შევძელით“ [3].

ამრიგად, აკაკი წერეთელმა 70-იან წლებში, სხვა ქართველ

---

[1] აკ. წერეთელი, თხზ., ტ. XIV, გვ. 368, შდრ.: იქვე, გვ. 461 (აქ ბოლო სტრიქონი ასე იკითხება: „დაიყვირა დაანებეთ თავი მაგ წარმოდგენას, თორემ ქალები დაგვეხოცებიანო!“).

[2] აკ. წერეთელი, თხზ., ტ. XI, გვ. 326.

[3] აკ. წერეთელი, ტ. XIV, გვ. 369.

მოღვაწეებთან ერთად, ჩამოაყალიბა ქუთაისში დრამატული წრე, გამართა წარმოდგენები და მოაწყო გასტროლები თბილისში. 1868 წელს მისი ხელმძღვანელობით თბილისის სცენისმოყვარეთა წრემაც დაიწყო მუშაობა. ამასთანავე აკაკიმ დაწერა მთელი რიგი დრამატული ნაწარმოებები („სცენა საპატიმროში", „ძველსა და ახალს შუა", „ჩვენი ნაცარქექიები", „არსენა"), რომლებმაც დიდი დახმარება გაუწიეს ქართულ თეატრს. ეს მუშაობა აკაკის შემდგომშიც არ შეუნელებია. 1875 წელს მისი ხელმძღვანელობით თბილისში წარმოდგენილ იქნა მოლიერის კომედია „სკაპენის ცუღლუტობა", რომლის ქართული თარგმანი თვითონ აკაკიმ შეასრულა. აკაკი წერეთელმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ახალი ქართული რეალისტური თეატრის ჩამოყალიბებაში. მუდმივი დასის ხელმძღვანელ „დრამატულ კომიტეტს", ილია ჭავჭავაძესთან ერთად, სათავეში აკაკი წერეთელი ედგა. პოეტი უდიდესი სიხარულითა და გატაცებით მოეკიდა თეატრის აღორძინების საქმეს. 1880-1881 წლის სათეატრო სეზონი გაიხსნა აკაკის ხელმძღვანელობით, მის მიერ დაწერილი პიესა „კუდურხანუმით". ქართველი მწერლებიდან აკაკი წერეთელი თეატრთან ყველაზე ახლო იდგა. აკაკის არაერთხელ უხსნია ქართული თეატრი სარეპერტუარო კრიზისისაგან. პოეტი ზოგჯერ იძულებული გამხდარა დღე-ღამის განმავლობაში დაეწერა პიესა თეატრის გადაუდებელი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ამ მხრივ მეტად საინტერესოა კომედია „კინტოს" (1880 წ.) ისტორია:

„პირველ ხანებში, — გადმოგვცემს აკაკი, — როცა ქართულ თეატრს ჯერ კიდევ არ ჰქონდა სცენაზე ფეხი მოდგმული, რთული პიესების წარმოდგენა ჯერ კიდევ მოუხერხებელი იყო. გარდა გაბუნიასა და საფაროვის ქალისა, არტისტი ქალები არ გვყოლია და ეს გარემოება გვაიძულებდა, რომ პიესებიც მისთანა აგვერჩია ხოლმე, სადაც ქალების როლი ნაკლები იყო. სეზონი თავდებოდა, უკანასკნელ დღეს გაბუნიას ბენეფისი იყო, მაგრამ, რადგანაც რამოდენიმე დღის წინათ საფაროვის ქალი ავად გახდა მოულოდნელად, საბენეფისოდ ამორჩეული პიესის თამაში მოუხერხებელი შეიქმნა და ბენეფისი აღარ შედგებოდა. ახალგაზრდა ნიჭიერ გაბუნიას ქალს გული დასწყდა და კიდეც მართებდა; სხვაც რომ არა ყოფილიყოს რა, მატერიალურად იჩაგრებოდა. დრო აღარ იყო, სხვა პიესა აგვერჩია და ვერც პიესა გამოვნახეთ მისთანა, რომ მარტო ერთი ქალი ყოფილიყო მოთამაშე. — ახალგაზრდა ნიჭის ყოველთვის თანამგრძნობი ვიყავი და გაბუნიას დაღონებამ მეც შემაწუხა. მეტი ვეღარ მოვახერხე რა, დავჯექ იმ ღამესვე და გათენებამდე დავსწერე ეს

სცენები „კინტო“, სადაც ერთი ქალის მეტი არ არის საჭირო და რომელსაც თვითონ მებენეფისე ითამაშებდა. ცენზურამ ნება დაგვრთო მეორე დღესვე, და ხელათ, სამ დღეში მოვამზადეთ ახალი პიესა. ბენეფისმა კარგად ჩაიარა. გაბუნიას ქალი კმაყოფილი დარჩა და მეც მიამა, რომ ნიჭიერ, ახალგაზრდა არტისტ ქალს გული არ დაეჩაგრა. რადგანაც იმ პიესამ თავისი საკუთარი მოვალეობა აასრულა, მეც ავიღე და შევინახე, არც მისი დაბეჭდვა და არც ხელმეორედ წარმოდგენა გონებაში აღარ მქონია“. აღსანიშნავია, რომ ამ სახელდახელოდ დაწერილ პიესას აკაკი დაბეჭდვის ღირსად არ თვლიდა, ის მხატვრულად დაბალი ხარისხის ნაწარმოებად მიაჩნდა და არც აპირებდა მის გამოქვეყნებას. მაგრამ პიესა ძლიერ გავრცელდა ქალაქებსა და სოფლებში ხელნაწერის სახით, თანაც დამახინჯებულად და, ამის გამო, პოეტი იძულებული გახდა გამოექვეყნებინა ნამდვილი ტექსტი: „თუ ეს მიზეზი არ ყოფილიყო, — წერს აკაკი, — „კინტო“, როგორც ბევრი ჩემი სხვა ნაწერთაგანი, რომელთაც მხოლოდ დროებითი მნიშვნელობა ჰქონიათ — წარმავალი, — ვერ ეღირსებოდა სტამბას“.[1]

აფასებდა რა თეატრის უდიდეს მნიშვნელობას ქვეყნის საზოგადოებრივი, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების განვითარების საქმეში, პოეტი ქართული თეატრის უმთავრეს ფუნქციად თვლიდა ხალხში მებრძოლი პატრიოტული გრძნობის განმტკიცებას, ცარიზმისა და ბატონყმური ნაშთების დაუნდობლად მხილებას, მათ წინააღმდეგ ბრძოლის მისწრაფებათა გაღვივებას, საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებული ნაკლის დაუზოგველად გაკიცხვას, კარგი, სასარგებლო ჩვევებისა და ტრადიციების განვითარება-გაღრმავებას, ხალხის ესთეტიკური გემოვნების ამაღლება-დახვეწას, ცოდნისა და განათლების ფართოდ გავრცელებას. ამის გამო იყო, რომ აკაკი თეატრს მოცლილი ხალხის გასართობ ადგილად კი არ მიიჩნევდა, არამედ ადამიანებზე მრავალმხრივი და მრავალნაირი ზამოქმედების უმძლავრეს იარაღად. იგი წერდა: თეატრი საზოგადოებისათვის სარკეა, „რომ ქვეყანამ შიგ ჩაიხედოს, თავისი როგორც ნაკლი, ისე ღირსებაც დაინახოს და გასწორდეს.“

დიდი მგოსანი დიდად აფასებდა თეატრს. იგი მას მიაჩნდა ხალხის მწვრთნელ სკოლად, რომელიც მომხიბლავი აზრითა და ხელოვნებით იპყრობს მაყურებლის გრძნობა-გონებას და ატარებს მას ცხოვრების ბრძმედში. „თეატრი შკოლაა ხალხისათვის, მომხიბლავი გამასწორებელი“[2]. „თეატრი საზოგადოდ

---

[1] აკ. წერეთელი, ტ. XIII, გვ. 479-480.

[2] აკ. წერეთელი, ტ. 14, გვ. 370.

სასკოლო სარბიელია, საიდანაც ხელოვნურად შეზავებული, სასიამო და იმავე დროს სასარგებლო რამ, მსმენელ-მაყურებლებს გრძნობა-გონებას უხიბლავს და ცხოვრების ბრძმედში ატარებს“ [1]. ამიტომ, აცხადებდა პოეტი, ნურავის ჰგონია, რომ თეატრის ამოცანა იყოს მოცლილი ხალხის გაცინება და გამხიარულება, ამისათვის ცირკი და კლოუნები არსებობენო. ამიტომ ჩვენს მსახიობებს სურთ, რომ „სასაცინო და საგულისხმო, სასიამოვნო და სასარგებლო ერთმანეთს შეუერთოს და ისე ეჩვენოს სცენიდან მაყურებლებს. უნდა დაანახვოს საზოგადოებას მისი ავი და მისი კარგი, იმათზედ დააფიქროს, ხან ამხიარულოს და ხან დაანაღვლიანოს“ [2].

ქართველი მოღვაწეები დიდი გატაცებით შეუდგნენ განახლებული მუდმივი თეატრის განმტკიცებას, მაგრამ მეფის მთავრობა ყოველმხრივ წინ ეღობებოდა და ხელს უშლიდა მათ. ქართულ თეატრს არ ჰქონდა სათანადო ბაზა: არ გააჩნდა საკუთარი შენობა, არც ფულადი სახსრები და წარმოდგენების გამართვისათვის საჭირო მოწყობილობა — ტანსაცმელი, დეკორაციები, ავეჯი და სხვა. იმ დროს თბილისში არსებულ ერთადერთ სათეატრო დარბაზში ქართულ დრამატულ დასს არ ჰქონდა წარმოდგენების გამართვის უფლება და იძულებული იყო დადგმებისათვის უხერხული და მოუწყობელი კერძო ბინა დაექირავებინა. ამის შესახებ აკაკი წერეთელი უდიდესი გულისწყრომით აცხადებდა: „ჩვენს ერთადერთ თეატრში, სადაც მთავრობს ბატ. პალმი... ქართველებს ნება არა აქვთ, რომ იქ რამ წარმოადგინონ და ამის გამო იძულებული არიან მიმართონ ბატ. არწრუნის (გვარია სახლის მეპატრონისა. ეს არწრუნი სომხური გაზეთის „მშაკის“ რედაქტორი იყო. — პ. კ.) ვითომ თეატრს, რომელიც ერთი ორათ ნაკლებია პალმის თეატრზედ, ერთი ათად უფრო უხერხული და ერთი ორადაც ძვირი... ამგვარად, ჩვენი ქართული ტრუპპა ცუდ მდგომარეობაშია ჩავარდნილი; მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლის და კიდევაც დაიწყო წარმოდგენები“ [3].

ყოველივე ეს დიდად აძნელებდა დასის მუშაობას. ასეთ პირობებში, ილია ჭავჭავაძის წინადადებით, აკაკიმ იკისრა დასის დირექტორობა და სამხატვრო ნაწილის ხელმძღვანელობა; მან დაიქირავა შენობა, შემოიკრიბა მსახიობები და შეუდგა წარმოდგენების გამართვას. შემდეგ კი ილიასა და აკაკის ინიციატივით დაარსდა „ქართული დრამატიული საზოგადოება“,

[1] აკ. წერეთელი, ტ. 14, გვ. 513.
[2] იქვე, გვ. 591.
[3] აკ. წერეთელი, ტ. 11, გვ. 513.

რომელიც მრავალი წლის განმავლობაში უწევდა ხელმძღვანელობასა და მატერიალურ დახმარებას ქართულ თეატრს. აკაკი აირჩიეს ამ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ (თავმჯდომარედ — ილია ჭავჭავაძე).

აკაკი წერეთელი ქართულ თეატრს დიდ ენერგიას ახმარდა, რადგან მას ძალიან კარგად ესმოდა თეატრის როლი მასების აღზრდის საქმეში. აკაკი მაღალ შეფასებას აძლევდა მსახიობს, მის მოქალაქეობრივ როლს საზოგადოებაში. იგი წერდა: „აქტიორი იგივე მოძღვარია ხალხისა. ის არის მწერლის თანაშემწე... მწერლის სურათებს ის ახორციელებს და ერთად თავმოყრილ ხალხს ცოცხლად და ნათლად გადასცემს. ერთსა და იმავე დროს აქტიორს ან აქტრისას შეუძლიან ამოდენა ხალხს აგრძნობინოს ისე, როგორც თვითონა გრძნობს; თვალი აუხილოს და დაანახვოს: რა არის ცუდი და რა არის კარგი; რა არის საგულისხმო. ან რა არის საქები და სასიამოვნო. ერთის სიტყვით, — დააფიქროს, აგრძნობინოს და ამოქმედოს“ [1].

ნამდვილი მსახიობი, აკაკის დახასიათებით, სცენიდან გადასცემს ხალხს ჭეშმარიტ აზრებს, თვითონაც გვევლინება ცოცხალ სარკედ და ჩვენი ცხოვრების მოვლენების ავკარგიანობას ნათლად და ცოცხლად გვიჩვენებს. ჭეშმარიტი მსახიობი ხალხის მოძღვარია და თავისი სასცენო ხელოვნებით აღძრავს მაყურებლის გულში კეთილისადმი მისწრაფებას და ბოროტისადმი სიძულვილს.

აკაკის აზრით ჭეშმარიტი მსახიობის მოღვაწეობა მეტად ძნელი და მძიმეა. ვინც კარგად არ იცნობს სასცენო შემოქმედებითს მუშაობას, ვინც ამ საქმეში ღრმად არ არის ჩახედული, მას არ შეუძლია ნათლად დაინახოს მსახიობის ესოდენ რთული და ფრიად საპასუხისმგებლო მოღვაწეობა. იგი წერდა:

„ვინც შორიდან უყურებს და დაახლოებით არ იცის, იმას არ შეუძლია წარმოიდგინოს, თუ რა ძნელია სასცენო მოღვაწეობა“, რა „მძიმე უღელია და მწარე ტვირთი არტისტის ხვედრი“[2]. პოეტის ეს შეფასება არა ყველას, არამედ ნამდვილ, ჭეშმარიტ, ხალხისა და ხელოვნების ინტერესებისათვის თავდადებულ შემოქმედ მსახიობს ეკუთვნის. აკაკი აცხადებდა: „მე ვამბობ იმ ჭეშმარიტ არტისტებზე, რომელნიც სცენას თხემის ადგილად სთვლიან, საიდანაც გულწრფელად გადმოდგებიან ხოლმე ავკარგიანობის სამოძღვრებოდა, და თვით გვეჩვენებიან გულუბრყვილო ცოცხალ სარკეებად. რომ ჩვენი ცხოვრების

---

[1] აკ. წერეთელი, ტ. XII, გვ. 19.

[2] იქვე, გვ. 335.

სხვადასხვაგვარი მოვლინება თვალდათვალ დაგვანახონ, და აღძრან ჩვენს გულში კეთილისადმი სურვილი და ბოროტებისადმი სიძულვილი". [1]

თავის განთქმულ სათეატრო რეცენზიებსა და კრიტიკულ შენიშვნებში აკაკი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მსახიობის, როგორც ხალხის მოძღვრის, გონებრივ განათლებას, განვითარებასა და როლის მომზადებისათვის ბეჯითი და ენერგიული შრომა-წვრთნის აუცილებლობას. მისი სამართლიანი რწმენით, მარტო ნიჭზე დამყარება და ამ იმედით სცენაზე გამოსვლა სრულებით არ არის საკმარისი. პიესის იდეურ-მხატვრული თავისებურებების ღრმა ცოდნისა და შთაგონებული შესისხლხორცების, შესასრულებელი როლის ნათლად წარმოდგენისა და ძლიერი განცდის გამოწვევის, დიდი შრომის გაწევისა და დაუღალავი წვრთნისა და ვარჯიშობის გარეშე, პოეტის აზრით, მსახიობი, რაც უნდა ნიჭიერი იყოს, დიდ შემოქმედებით შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს, მსახიობის ჭეშმარიტ მისიას ვერ შეასრულებს. „განუვითარებელი ნიჭი, წერდა პოეტი, სჭკნება და ნაყოფი ვეღარ მოაქვს"... ასეა „ყოველგვარ ხელოვნებაში: პოეზიაში, მხატვრობაში, ქანდაკებაში, სათიატრო მოღვაწეობაში" [2] (ხაზი ჩვენია — პ. კ.). ფართო განათლების, ღრმა ცოდნისა და ბეჯითი, სისტემატური წვრთნის გარეშე მსახიობის ნიჭი დაჭკნება, დასუსტდება, დაიფერფლება. მარტო ნიჭით არაფერი გამოვა. იგი სასურველ ნაყოფს ვერ მოუტანს ხელოვნებასა და ხალხს. ნიჭიც, დიდი ცოდნაც და განათლებაც ბეჯითი წვრთნის მადლით უნდა იყოს განათებული. „უდაბნოში, გადმოგვცემს პოეტი, სუნნელოვანი ყვავილი ვერ ისარებს, თუ მზის სხივები და ციური ნამი აკლია. ხელოვნებაც ასეა. თუ სულიერი საზრდო გამოელია და გრძნობა-გონების წვრთნამა და განვითარებამ არ ააბიბინა, უნაყოფოდ დასჭკნება. ჩვენ არტისტებსაც, ნიჭის გარდა, ყოლიფერი აკლიათ". მათ სპეციალური განათლება არ მიუღიათ, დედა-ენა საფუძვლიანად არ იციან, ხელოვნების არა გაეგებათ რა და ამისთანა ხალხის წინ წაძღოლა და სწორ გზაზე დაყენება ძნელია—დასძენს იგი[3]. აკაკი გულისტკივილით უსაყვედურებდა მსახიობებს, რომ ისინი, ვერ ფლობენ რა ხელნაწერი პიესების ამოკითხვის უნარს, მასალას არ იწერდნენ და როლებს შინ არ სწავლობდნენ. ამის შედეგად კი ცხადია, მსახიობს „პიესის დედააზრი არ ექნება შეგნებული, თვით თავის როლიც არ ექნება გათვალისწინებული, იძულებული ხარ, რომ ყველა მათგანს

[1] აკ. წერეთელი, ტ. XII, გვ. 335.
[2] აკ წერეთელი, გვ. 194.
[3] იქვე, გვ. 231—232.

სათითაოდ აუხსნა პიესის დედააზრი... გააგებინო როლის ხასიათიც". ამ სწორი პოზიციიდან გამომდინარე, აკაკი გადაჭრით მოითხოვდა მსახიობებისაგან განათლებულობას, ღრმა გონებრივ განვითარებას, შეუსუსტებელ შრომა-გარჯას, წვრთნას და როლის შეგნებულად და კარგად ცოდნას. ამ მხრივ საინტერესოა პოეტის შენიშვნები სუმბათაშვილის პიესის „ღალატის" როლების შემსრულებელ მსახიობებზე. იგი აღნიშნავს, რომ ქალბატონ კარგარეთელის ქალს უკეთესად შეეძლო ზეინაბის როლის შესრულება, რომ გარდასახვის ობიექტი უფრო ღრმად შეესწავლა და დაემუშავებინაო. ზეინაბის როლის მოთამაშეს ზუსტად უნდა ჰქონოდა გათვალისწინებული პიესაში გამოყვანილი ზეინაბ-თამარის მდგომარეობა, მისწრაფება და ხასიათიო. პოეტი უსაყვედურებს მსახიობს როლის უცოდინარობასაც. „კარგარეთელის ქალს, წერს აკაკი, სხვებზე ნაკლებ არ უთამაშნია და კიდევ უკეთესიც იქნებოდა, რომ როლი სცოდნოდა". პოეტი ზუსტი ირონიით შენიშნავს მსახიობის ამ ნაკლს: კარგარეთლის ქალი „აღელვების დროს წამ და უწუმ კავებზე ივლებდა ხელს. ბევრს ეგონა. რომ ეს ქართული მიმიკა არისო, მწუხარების დროს კავებს იგლეჯს და მორცხვობის დროს კი იგრეხს. მაგრამ რა შუაშია? მიზეზი თურმე სხვა იყო: სქელი კავები ყურებზე ედებოდა და სუფლიორის ყურის გდებას უშლიდა და ზეინაბიც იმ მოუსვენარს აქეთ-იქით მიდენ-მოდენიდაო".[1]

ასე უსაყვედურებდა პოეტი გამოჩენილ ქართველ მსახიობ ქალს ნატო გაბუნიასაც, რომელმაც ისახარის როლი ვერ წარმოადგინა. მის არსში ღრმად ვერ ჩასწვდა. „ძველებური გამდელი ვერ წარმოგვიდგინა გაბუნიას ქალმა". ის უფრო სოფლის ძალზე მოწუწუნე ქალსა ჰგავდა, ვიდრე ისახარსო. ამის მიზეზად კი აკაკი თვლის ნატო გაბუნიას მიერ ხელოვნებაზე ნაკლები დროისა და ენერგიის ხარჯვას. „ცხადია, რომ ამ მაღალნიჭიერ არტისტ-ქალს, გაბუნიას, აღარ რჩება დრო, რომ ხელოვნებაზე იფიქროს და დღიურ წვრილმანობას არ გადაჰყვეს".[2]

აკაკიმ რონელის ქალის შესახებ შენიშნა: რომ იგი „მარტო ნიჭის იმედზედა დგას და შრომა-წვრთნას გაურბის, თორემ უკეთესი გაიანე იქნებოდაო".[3] პოეტი თავგამოდებით იბრძოდა აღნიშნული და სხვა უარსაყოფ მხარეთა გამოსასწორებლად და მსახიობთა დასს შეგნებული, ერთგული, მუყაითი და დიდად შთაგონებული შემოქმედებითი შრომისაკენ მოუწოდებდა, იგი განსაკუთრებით აფასებდა აქტიორის ცოდნა-განათლებას. ამ

[1] ა კ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ტ. 14, გვ. 224.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 224-225.

[3] ი ქ ვ ე.

საკითხს მრავალგზის განიხილავდა და უბრუნდებოდა სხვადასხვა სტატიაში და წერილში, ანიჭებდა რა მსახიობს უაღრესად დიდ მნიშვნელობას, აკაკის აუცილებლად მიაჩნდა, რომ იგი, მსახიობი, მცოდნე, მომზადებული, გონებაგანვითარებული ყოფილიყო: „საზოგადოდ მსახიობი (აქტიორი თუ აქტრისა), დაჟინებით მიუთითებდა აკაკი თავის სათეატრო შენიშვნებში, — ნასწავლი და ჭკუა-გონება განვითარებული უნდა იყოს, თორემ მარტო ნიჭი ვერას უშველის! უმეცარი მსახიობი, ცამდინაც რომ ნიჭიერი იყოს, ვერას გახდება მაშინ, როდესაც საჭირო არის სხვადასხვაგვარის სულის მოძრაობა და ძლიერის კვეთების გადმოცემა. ის მხოლოდ იმას წარმოადგენს კარგად, რაც თვალით უნახავს და რასაც მისი განუვითარებელი გონება მორევია, მაგალითად, ყოველდღიურ მოვლენას: თუ როგორ იქცევიან მაჭანკლები ჩვენში, რანაირად ჰგრეხენ სიტყვას იმერლები, როგორ მუშტი-კრივობენ ბაზრის ბიჭები და სხვ.“ [1] როგორც აღვნიშნეთ, აკაკი აღიარებდა თეატრალური ხელოვნების მაღალ იდეურ-მხატვრულ ღირსებას. იგი რეჟისორებისაგან მოითხოვდა სრულფასოვან დადგმებს. მსახიობებს კი ავალდებულებდა სცენური სახის, არჩეული როლის შემოქმედებითად, შთამაგონებლად და მაყურებელზე დიდი ზემოქმედებითი ძალით გადაცემას, ხალხის იდეურ-ესთეტიკურ აღზრდას. ამისათვის კი, მისი აზრით, აუცილებელია მსახიობი ღრმად ჩაწვდეს თავის გმირს, შეისწავლოს მთელი ნაწარმოები და ისე გამოვიდეს სცენაზე. დიდი თეატრალური მოღვაწენი ვალდებულნი არიან სცენაზე გამოსვლისას „ხელმარჯვეთ სცემდნენ ჩოგანსა“. ამ „სარკეკაცებმა“ სავსებით და სინამდვილით უნდა ჩაისახონ ის, რაც შემდეგ ხალხს უნდა უჩვენონ. სარკეს ზედაპირი არ უნდა გაუმურონ უმეცრებით, ხელოვნებისა და აზრის გამრუდებით. მათ სცენიდან უნდა გველაპარაკონ წმინდა ქართულით და თუ მსახიობი ენის ცოდნაში მოიკოჭლებს, „ვაი მისს ყურთა-სმენას, ვინც კარგად იცის ქართული... რამდენი ეკალი ეჩხვრიტება ყურში?“ [2] მსახიობი ზუსტად, ძალადაუტანებლად, ბუნებრივად და მაღალი ხელოვნების მოთხოვნილებათა შესაბამისად უნდა ასრულებდეს როლს. სათეატრო ხელოვნებაში „უბრალო ხაზის გამრუდებაც“ [3] დაუშვებელია. იგი მაყურებელში მსახიობისადმი უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს და ბღალავს ხელოვნებისა და აზრის სიდიადეს.

---

[1] აკ. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული, ტ. XII, გვ. 135—136.
[2] აკ. წერეთელი, ტ. XIV, გვ. 217.
[3] იქვე, გვ. 226.

მსახიობის ნამდვილი განცდები, მისი სულიერი ვნებათაღელვა და სიყვარულის, სიხარულის, მწუხარების, ტანჯვის გამოხატვა თავის გამოსახულებას უნდა პოვებდეს მიმიკაშიც, გამოთქმის კილოში, ჟესტში, ენაში, ტაქტსა და მოძრაობებში. მოძრაობა სისრულით უნდა გამოიხატებოდეს შემსრულებლის მთელს არსებაში და შინაგანი განცდების გამომმჟღავნებელი უნდა იყოს, ასევე ზუსტად უნდა გამოხატავდეს ფსიქოლოგიას, მის ნიუანსებს. „ყოველგვარ სულიერ მოძრაობას, წერდა პოეტი, თავისი შესაფერი გარეგანი გამომეტყველებაცა აქვს. ამას ეძახიან მიმიკას. რა გრძნობითაც არის ადამიანი შებოჭვილი, იმ გრძნობის შესაფერი მიმიკაც თან ახლავს, თავისთავად, ძალდაუტანებლად გამომეტყველი, და როცა გრძნობა ნაძალადევია, მაშინ კი გარეგნობაც ვეღარას გვაგულისხმებს".[1] აღნიშნულ მოსაზრებათა დასამტკიცებლად აკაკის, სხვათა შორის, მოჰყავს მაგალითი პიესა „სამშობლოდან". იგი წერდა: „სამშობლოში" ერთი ადგილია, სადაც ქეთევანს აწამებს შაჰი: თითებზე ქანჩს უჭერენ, რომ შეთქმულების სახელები ათქმევინონ. ქალიც, როცა უჭერენ ქანჩს და მეტს ვეღად აიტანს, ასახელებს და როცა შეუშვებენ ხელს, ისიც გულს იბრუნებს და აღარას ამბობს. ეს როლი, რასაკვირველია, ნამდვილად შეასრულა ჩხეიძის ქალმა"[2]. მაგრამ რეცენზენტებმა დაიწუნეს: მსახიობს შეუშვებდნენ თუ არა ხელს, მალე ავიწყდებოდა ტკივილი და სახეზე ტანჯვა აღარ ეტყობოდაო. პოეტი არ იზიარებს ასეთ შეფასებას და აცხადებს: რეცენზენტს ცხადზე უცხადესიც კი არ აქვს გათვალისწინებული. მაგალითად, ყმაწვილს რომ ეკალი შეერჭობა ფეხში, სანამ გამოიღებდეს, სტირის და გამოიღებს თუ არა, მაშინვე დაჩუმდება, თუმცა წყლული მაინც რჩება. მწვავე ტკივილი რომ შეჩერდება, ადამიანს ეფონება და ასე ჰგონია, თუ სულაც აღარა მტკივა რაო. მდუნე ტკივილი იარისა შემდეგში იჩენს თავს. ქეთევანს რომ ქანჩის შეშვების შემდეგაც თითებზე სულის ბერვა დაეწყო და ხელის ქნევა, განა ეს ნამდვილი იქნებოდა?. მერე კიდევ როდის? როცა უარესი ცეცხლი გულში ედებოდა, ვიღას აგონდება წვრილმანი სატკივრები დიდი ტკივილის დროს?..[3] პოეტი ვერ ურიგდებოდა ავტორის ხელიდან გამოსული პიესის ტექსტის მსახიობთა და დამდგმელ რეჟისორთა მიერ გადაკეთება-შესწორებებს, დამახინჯებას. დიდ დანაშაულად მიაჩნდა არტისტებისა და რეჟისორების მიერ ორიგინალში პიროვნული მოსაზრებით სიტყვების, ფრაზების

---

1 აკ. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული, ტ. XIV, გვ. 220.
2 იქვე, გვ. 196.
3 იქვე, გვ. 197.

ცალკეული ადგილების ამოშლა და საკუთარის წამატება-ჩაგვირისტება. აღნიშნული ვითარება აკაკის მიაჩნდა ტექსტის დამახინჯებად, მის უთავბოლო წვალებად და ყოვლად დაუშვებელ მოქმედებად. „ერთ ნათამაშევ პიესას ვერ ნახავთ ბიბლიოთეკაში, წერდა იგი, რომ ნაწამები არ იყოს, როგორც რეჟისორის, ისე არტისტების წყალობითაც. რაც არ მოსწონებიათ, გამოუკლიათ, გამოურიცხავთ და, სამაგიეროდ, თავისი რაღაცაები ჩაუკერებიათ".[1]

ამის შედეგადო, აცხადებს პოეტი, შექსპირის პიესას „კაპასის მოთვინიერებას" ავტორის სახელიც აღარა შერჩენია, იმგვარად არის დამახინჯებული და შერყვნილიო. ასეთი მოპყრობა პიესების ტექსტისადმი დიდ მგოსანს ავტორების აბუჩად აგდებად მიაჩნია. ამ თვითნება რეჟისორ-მსახიობთა მიერ ჩადენილი ინტერპოლაცია ისე შორს მიდის, რომ „ამით ენის გასწორება და აზრის აღდგენა უფრო ძნელია, ვიდრე ხელახლა გადათარგმნაო, წერდა პოეტი.[2] ავტორის ან კვალიფიციური მთარგმნელის ხელიდან გამოსული პიესის ტექსტის თვითნებური შეცვლისა და დამახინჯების გამო აღშფოთებული აკაკი წერდა: „რატომ ისე არ ადგენენ პიესას, როგორც ავტორებს უწერიათ? რა ნება აქვთ მოთამაშეებს, რომ ზოგს ჰკვეცენ, ზოგს თავისას უმატებენ, ამახინჯებენ პიესებს და თავის საკუთარ გემოზე ადგენენ?[3] დიდი პოეტის ეს თვალსაზრისი გასათვალისწინებელია. იგი თავის მნიშვნელობას დღესაც ინარჩუნებს.

პოეტის რწმენით მსახიობისათვის აუცილებელია საკუთარი მხატვრული შემოქმედებითი ძალა და თეატრალური, სამსახიობო ხელოვნება მთელი არსებით უნდა ჰქონდეს განცდილი, ღრმად შეთვისებული, დიდხანს გულში ნატარები და ღრმად დამუშავებული; მას „ყოველგვარი ხელოვნური ნაწარმოები... შესისხლხორცებული უნდა ჰქონდეს, გულში ნატარები და შემდეგ ღვიძლ-შვილივით წარმონაშობი და არა სხვაგან, გარეშედ დაგდებული და სხვის შვილად აყვანილი"[4].

აკაკი წერეთელი თეატრის სათავეში ყოფნის დროს ყოველნაირად ცდილობდა ნიჭიერი და განათლებული მსახიობების კოლექტივის ჩამოყალიბებას. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა ქართველ მსახიობთა სახელოვანი პლეადა.

აკაკიმ, თეატრისათვის მეტად მძიმე პირობებში, ქართულ სცენას შესძინა მრავალი გამოჩენილი მოღვაწე. მათ შორის

---

[1] აკ. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული, ტ. XIV, გვ. 233.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 215.

[4] „ივერია", 1901, № 168.

მარიამ საფაროვი (აბაშიძისა), ქართული თეატრის დიდი რეფორმატორი კოტე მარჯანიშვილი და სხვ. მარიამ საფაროვი პოეტის რჩევით შეუდგა თეატრალურ მოღვაწეობას. ამ ფაქტის შესახებ აკაკი საინტერესოდ მოგვითხრობს: „— კახეთიდან ჩამოვიდა თბილისში აბედოვის ოჯახი. ერთხელ სადილად ვიყავით მიწვეული მათთან... გაიმართა მამა-პაპური ლხინი. „ლხინის პაპობა“ იმ დღეს დარჩა ერთ ახალგაზრდას, 16-17 წლისას, დიასახლისის დისწულს: სიმღერა, სიტყვა-პასუხი, მიხვრა-მოხვრა, ხუმრობა და სხვანი, ყველაფერი შვენოდა იმ ღვთით კურთხეულს. რაფიელ ერისთავმა რომ თავისი შესანიშნავი ეოდევილი „ბიძიასთან გამოხუმრება“ გადმოაკეთა ქართულად, სახეში ის ქალი ჰყავდა. ნასადილევს, სხვათა შორის, შევეკითხე ახალგაზრდას (მარიამს, პ. კ.): ჯამაგირი რომ დაგინიშნონ არ გამოხვალ ქართულ სცენაზე? მაგას ვინ ეღირსებაო! 15 მანეთი რომ ვიშოვო მე ჩემი შრომით, მეტი არ მინდაო“.[1] პოეტი მოელაპარაკა ოჯახის დიასახლისს — აბელიშვილის ქალს და გადაწყდა მარიამის მსახიობთა წრეში შესვლა.

საფაროვის ქალის სცენაზე გამოსვლას, როგორც პოეტი გადმოგვცემს, მაყურებლები აღტაცებაში მოუყვანია.* ამავე დროს, დავით ერისთავს გორიდან ჩამოუყვანია მეორე ნიჭიერი ქალი გაბუნია (ნატო — პ. კ.) და ნიჭიერი ქალის კორინთელის (ბაბო კორინთელი, გრ. ყიფშიძის მეუღლე — პ. კ.) დახმარებით საქმე გაჩარხულა. „ამავე ტრუპაში, წერს აკაკი, გაჩნდნენ მართლა მოთამაშეები, როგორიც არიან ვასო აბაშიძე, კოტე ყიფიანი და სხვანი — სწორედ მაშინ მათი წყალობით აიდგა ფეხი ქართულმა თეატრმა“.[2]

თბილისსა და ქუთაისს გარდა აკაკი წარმოდგენებს მართავდა გორში და სხვა ქალაქებში, რითაც ხელს უწყობდა ფართო მასებში თეატრალური კულტურის შეტანას და მოწინავე იდეების დანერგვას.

აკაკი წერეთელი განსაკუთრებით ზრუნავდა თეატრის მატერიალური ბაზის შექმნაზე, რეჟისორული ხელოვნების ამაღლებაზე. ქართული ორიგინალური დრამატურგიისა და თეატრალური კრიტიკის განვითარებაზე. შეიძლება ითქვას, რომ პოეტი თეატრალური კრიტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მისი

---

[1] აკ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებული, ტ. XIV, გვ. 369.

* 1912 წ. მარიამ საფაროვის იუბილეზე აკაკიმ გამოჩენილი მსახიობი შემდეგნაირად დაახასიათა: „სანამ ქართული სცენა იხსენიება, მისი სახელიც არ გაქრება! ამან გამოხვია პირველად ხოჭიჭში ქართული თეატრი, დაურნია აკვანი და აადგმევინა ფეხიც სხვებთან ერთად“ (14, 451).

[2] ი ქ ვ ე, გვ. 371.

წერილები ქართული რეალისტური თეატრის შესახებ („ქართული თეატრი", „სათეატრო შენიშვნები", „ქართული თეატრის დაარსება საქართველოში", „გახსენება თეატრის შესახებ", „მცირე შენიშვნა" და სხვ.), რომლებიც იმდროინდელი პრესის ფურცლებზე ქვეყნდებოდა, ძვირფას საუნჯეს წარმოადგენს თეატრმცოდნეობის საგანძურში. ამასთანავე, საჯარო გამოსვლებითა და წარმოდგენა-საღამოებში პირადი მონაწილეობით აკაკი ხელს უწყობდა ქართული თეატრის ავტორიტეტის ზრდას.

საგანგებო ყურადღების ღირსია ის დამოკიდებულება, რომელსაც დიდი პოეტი იჩენდა რუსული, უკრაინული, სომხური და აზერბაიჯანული კლასიკური დრამატურგიის მიმართ. აკაკი იბრძოდა რა ქართული დრამატურგიის შემდგომი განვითარებისა და ქართული თეატრის ეროვნული, ორიგინალური რეპერტუარის გამდიდრებისათვის, უდიდესი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით იყო შთაგონებული მოძმე ხალხების ლიტერატურისა საერთოდ, და კერძოდ, დრამატურგიის მიმართ.

იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა პროგრესული რუსული, უკრაინული, სომხური და აზერბაიჯანული ლიტერატურის, დრამატურგიის როლს ქართველი ხალხის მოწინავე შეხედულებათა შემდგომი განვითარების, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ მისი ბრძოლისუნარიანობის გაძლიერების დიდ ისტორიულ საქმეში. ამიტომ აკაკი წერეთელი, თავისი სათეატრო მოღვაწეობის ხანგრძლივ პერიოდში თითონაც თარგმნიდა და ხშირად ახორციელებდა ქართულ სცენაზე მოძმე ხალხთა საუკეთესო დრამატული თხზულებების დადგმებსა და ყოველთვის აღნიშნავდა ამ წარმოდგენის ფართო მნიშვნელობას, როგორც სახალხო პროგრესული იდეების გავრცელების, ისე მატერიალურად შევიწროებული თეატრის მოღონიერების საქმეში. ამ მხრივ საკმარისია გავიხსენოთ, თუ როგორ აფასებდა პოეტი გამოჩენილი სომეხი დრამატურგის გაბრიელ სუნდუკიანცის პიესების დადგმას ქართულ სცენაზე. აკაკი მოგვითხრობს: ერთხელ ილია ჭავჭავაძე შემოვიდა ჩემთან და მითხრა: „დავიღუპეთო!.. თეატრი ხელიდან გამოგვაცალეს და ასე კარგად დაწყებული საქმე უნდა შევაჩეროთ ამ სეზონში და ეს ხომ დაღუპვაო. მეც ჩემი გულ-დაწყვეტა გამოვუცხადე. მერე მომიბრუნდა და მითხრა: „მოდი ერთი შენ მოჰკიდე ამ საქმეს ხელი-ო". აკაკიმ იკისრა დასის ხელმძღვანელობა, წარმოდგენების გასამართად დაიქირავა შენობა და შეუდგა მუშაობას. „არწრუნის სახლში, — განაგრძობს პოეტი, — გავმართეთ სცენა და დავიწყეთ წარმოდგენები „ამავე დროს გ. სუნ-

დუკიანცმა მოგვაშველა თავისი, იმდროისათვის დიაღ საინტერესო პიესები და საზოგადოებამაც თანაუგრძნო. შემოსავალმა ბევრად გადააჭარბა გასავალს!". [1]

აკაკის ძლიერ მოსწონდა გ. სუნდუკიანცის პიესა „პეპო". მას პოეტი ობოლ მარგალიტს უწოდებდა. აკაკი „პეპოს" დადგმას დაესწრო ხონში და აღნიშნა: „ობოლი მარგალიტი, სადაც არ უნდა იყოს, თვისს ღირსებას არ დაჰკარგავს... გუშინ, 25 ივლისს, სახალხო თეატრში (ხონში, — პ. კ.) სცენის მოყვარეებმა „პეპო" წარმოადგინეს და მეც ერთი დამსწრეთაგანი ვიყავ" [2]. პოეტი შიშობდა, რომ „პეპოს" პერსონაჟების დინჯ ქალაქურ ენას „სხაპა-სხაპით" მოლაპარაკე ხონელი სცენისმოყვარეები, რომელთაგან ბევრს არც კი ენახა თბილისი და „იქაური ვაჭრები და კინტოები", ე. ი. არ ქონდათ მოსმენილი და შესისხორცებული ქალაქური ჟარგონი და მეტყველება, როგორ შეძლებდნენ „პეპოს" ენობრივ თავისებურებათა წარმოჩენას, მის დაცვასა და სცენაზე გამოხატვას: „მაგრამ, — აცხადებს პოეტი,—შევცდი. თვით ჩვენი საყვარელი სათნო ავტორიც რომ დასწრებოდა წარმოდგენას, უეჭველად იტყოდა: ესენი ხომ ჩვენი ნამდვილი ნათლულები არიან" [3]. აკაკი, როგორც ვხედავთ, მსახიობისაგან მოითხოვდა მეტყველების იმ კოლორიტის დაცვას, რომელზედაც დაწერილი იყო თხზულება. პოეტი ამასთანავე დიდ ყურადღებას აქცევდა მეტყველების შესაბამისი, არსებითად დამახასიათებელი გამოთქმის კილოს შენარჩუნებასაც. ხონელი სცენისმოყვარეთა მიერ „პეპოს" მოქმედ პირთა მეტყველების დამახასიათებლად წარმოჩენასთან ერთად, პოეტი მიუთითებს მსახიობთა მიერ გამოთქმის კილოს დაუცველობაზე და აცხადებს: „პეპოს" ავტორი იტყოდაო „ე რა სხვანაირად უქცევენ კილოს". [4] აკაკის შეხედულება პიესის მოქმედ პირთა მეტყველებისა და გამოთქმის კილოს მსახიობთა მიერ სწორედ გამოხატვისა და დაცვის შესახებ სავსებით მართებული პრინციპია და იგი ყველა დროის აქტუალურ პრობლემად რჩება.

გ. სუნდუკიანცის პიესის „პეპოსადმი" დიდი სიმპათიები აკაკიმ გამოხატა ცნობილ რეცენზიაში. აღნიშნული პიესის მოქმედი პირი პეპო პოეტს საერთო დამახასიათებელ ტიპად მიაჩნდა. აკაკის აზრით პეპო საქართველოში მცხოვრებ მიწის შვილთა და ყოველი წოდების ზოგადი ტიპური მოვლენაა. „პეპო, წერდა აკაკი, ჩვენი ქვეყნის საზოგადო ტიპია; საქართველოს მიწის

---

[1] აკ. წერეთელი, ტ. XIV, გვ. 463-464.
[2] იქვე, გვ. 44.
[3] იქვე.
[4] იქვე.

შვილი, ძვირად მოიპოვება იმისთანა, რომ, ცოტათ თუ ბევრად, პეპოობაში წილი არ ედვას. ის ყოველ წრეშია და ყოველ წოდებაში".[1] ეს საერთო თვისება, პოეტის აზრით, იმით გამოიხატება, რომ პეპო „ხვალისთვის არა შფოთავს, არა ზრუნავს; სჯერდება მხოლოდ დღევანდელ დღეს". მას „იმედი აქვს ჯერ ღვთისა და მერე თავისის საკუთარ, ჰალალ-მარჯვენის. რასაც იშოვის და მოიმკის დღიურად, მით კმაყოფილია".[2] აკაკის დახასიათებით პეპო არ არის ხარბი, მცირედითაც კმაყოფილდება, მუშაობს კეთილსინდისიერად, თევზს იჭერს „პეტრეს მორევში", არავის ჩაგრავს, სხვისი შრომის ნაყოფს არ ითვისებს, პირიქით, თავისას სხვებს უნაწილებს და გუნებაში იმღერის:

სანამ ცოცხალ ვარ, ასე ვსჯამ,
დაკვრეშაც ვარდს და იასა...
მოკვდები გაეხარდება
სამარის კარზე ჭიასა.[3]

პოეტს მოსწონს პეპოს ხელობა — საქმიანობა, მისი გულწრფელობა, თავისი საქმისადმი სიყვარული და ერთგულება. მგოსანი დიდი უშუალობით აღწერს პეპოს გატაცების სურათს:

„პეპოს ხელობა, წერს აკაკი, მეთევზეობაა. იმას შესტრფის და შეჰხარისს... მისი საფუნდრუკო „პეტრეს მორევია". იქ რომ ბადეს გაისვრის, ცივ წყალში ფეხებ ჩაყოფილი; გულმკერდზე რომ გრილი თელხი (წყლის ნიავი) სცემს და თავზედაც ვარსკვლავები დაჰფეთქენ-დასჭიკჭიკობენ, ის მაშინ ბედნიერია; მით უფრო, რომ მის სიხარულს საძირკვლად წმინდა საქმიანობა უდევს"[4]. აკაკი პეპოს დადებით თვისებად თვლის იმას, რომ მას ალალი შრომა ამოძრავებს, რომ ის „არავის არ დააჭერს ფეხს" და „არც თვითონ ვისმეს გაეთელვინება", ებრძვის უსამართლობას და თავდადებით უყვარს ძმა-ბიჭები, ერთგული მეგობრები.

პოეტის რწმენით, ვინც ხალხის ინტერესებს პირად ინტერესებზე მაღლა აყენებს, ებრძვის მომრავლებულ არუთინ-ზიმზიმოვებს და საპირადო „ხვალისათვის" არ ფიქრობს, ისინი პეპოს ხასიათისაგან არ განსხვავდებიანო. დიდი პოეტის მიერ გ. სუნდუკიანისა და მისი პიესის „პეპოს" შეფასებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და კვლავაც აქვს მოძმე სომეხი და ქართველი ხალხების ურღვევი მეგობრობისა და მათი კულტურული ურთიერთობის განვითარებისათვის.

---

[1] აკ. წერეთელი, ტ. 14, გვ. 45.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 46.

პოეტმა დიდი გულისტკივილით კვლავ ხაზი გაუსვა გარკვეული წრეების მიერ სცენისმოყვარეობისა და საზოგადოდ სახალხო მოღვაწეობის საპატიო სამსახურისადმი უარყოფით დამოკიდებულებას, რომ ისინი სცენაზე გამოსვლას და ხალხის სამსახურს სათაკილოდ მიიჩნევდნენ და უსაქმო კაცის საქმედ თვლიდნენ. აკაკის დახასიათებით ისინი „ამ ჩვენ გუდა-ტიკჭორაობის დროს... არ კადრულობენ მონაწილეობის მიღებას, რომ დარბაისლობას არ უღალატონ. მათის აზრით, ამისთანა წვრილმანი საბურჭალი რამეები, გინდ საქველ-მოქმედო მიზნითაც იყოს გამოწვეული, არა ღირს საყურებლად. სალიტერატურო საღამოები, წარმოდგენები, სხვადასხვა საზოგადო საქმეების გამო კრებები, მათთვის მეტი ბარგია".[1] სცენისადმი ამგვარი დამოკიდებულებით აღშფოთებული პოეტი სასტიკი სატირის მოწამლულ მახვილზე აგებს მათ და აღნიშნავს: „იმათ არცა სცალიათ მათთვის, თავისი საკუთარი საქმეც ბევრი აქვსთ: ავადმყოფებს მაჯას უსინჯავენ, ენას აყოფინებენ და ჯიბეებს უბერტყავენ, ანდა მსუქან-მსუქან კლიენტებსა სთლიან უდანოდ. და თუ მოსამსახურე პირები არიან, მაშინ ხომ კიდევ უარესი: თავკოტოშა ინდოურებივით იბერებიან, ფრთების დაბლა ხოხიალით კუდს მარაოდ შლიან და მედიდურად ყლოჭინობენ, რომ ქვეყანას ამჩატებულად არ ეჩვენონ" [2]. ქართული თეატრის განვითარებაში აკაკის ერთ-ერთი დიდი დამსახურება ისიცაა, რომ პოეტი ყოველმხრივ უწყობდა ხელს თეატრალური ხელოვნების მასებში გავრცელებასა და დანერგვას, სცენისმოყვარეთა წრეების ჩამოყალიბებას ქალაქებსა, დაბებსა და სოფლებში. ამ საქმეში ადგილობრივი მოსახლეობისა და ინტელიგენციის აქტიურ მონაწილეობას, მათი ინიციატივის წახალისებას, პოეტი ხშირად ესწრებოდა პროვინციებში ჩატარებულ წარმოდგენებს, წერდა რეცენზიებს და სხვ. დიდი მგოსნის სოფლად გამოჩენა და სიტყვითა თუ წერილობით გამოსვლა უდიდესი სახალხო დღესასწაული იყო. აკაკი ქართულ სცენაზე დადგმულ ორიგინალურ დრამატულ ნაწარმოებებთან ერთად დიდად აფასებდა გრიბოედოვის, გოგოლის, ოსტროვსკის, მირზა-ფათალი ახუნდოვისა და სხვათა ნაწარმოებების გასცენიურებას.

აკაკი იბრძოდა დადგმებისა და სასცენო რეპერტუარის გამდიდრებისათვის. იგი მოითხოვდა ეროვნული, ორიგინალური პიესების სცენაზე დადგმას. მან კარგად იცოდა, რომ ქართული

---

[1] აკ. წერეთელი, ტ. 14, გვ. 44-45.

[2] იქვე, გვ. 45.

ორიგინალური პიესები საკმაო რაოდენობით მოიპოვებოდა. „ჩვენს არტისტს ბ-ნ ვასილ აბაშიძეს, წერდა პოეტი, შეუდგენია სია, რასაკვირველია, სრული არც ის არის, მაგრამ მაინც იქიდან ჩანს, რომ ჩვენი დრამატიული ლიტერატურა ღარიბი არ არის.... სულ ცოტა რომ ვსთქვათ, ასამდი მეტია ქართული ორიგინალური პიესები, რომლის წარმოდგენა შესაძლებელია".[1] მაგრამ ამ პიესების დადგმას, აკაკის აზრით, ხელს უშლიდა სცენის სიღარიბე, არტისტების ნაკლოვანება, საზოგადოების ახირებულობა და მომზადებულ რეცენზენტთა უყოლობა.[2]

ნაციონალური თეატრის განვითარებისათვის, ორიგინალური ქართული რეპერტუარისათვის ბრძოლა გამომდინარეობდა დიდი პოეტის საერთო პოზიციებიდან. ცნობილია, რომ აკაკი თეატრს დიდ როლს აკუთვნებდა. მას პოლიტიკურ ფუნქციას აკისრებდა და ხალხის კულტურული და სულიერი ცხოვრების განვითარების ძლიერ საშუალებად სახავდა. მისი აზრით, მებრძოლი რეალისტური თეატრი ღრმა იდეური და მაღალმხატვრული ხასიათისა უნდა იყოს. იგი უნდა უპასუხებდეს ქვეყნისა და ხალხის მწვავე პრობლემებს, გამოხატავდეს ხალხის ინტერესებს, მის სიბრძნეს, საუკეთესო ტრადიციებსა და განმათავისუფლებელ მისწრაფებებს, ხელს უწყობდეს ხალხის გამოფხიზლებას, განვითარებას.

თავისთავად ცხადია, აღნიშნული ამოცანების გადაწყვეტა ძირითადად შეეძლო ეროვნულ თეატრს, ეროვნულ პიესებს, ნაციონალურ რეპერტუარს, ადგილობრივ კადრებს, რომელიც ნაციონალური და მსოფლიო თეატრალური და ლიტერატურული კულტურის ნაყოფიერად და შემოქმედებითად გამოყენების საფუძველზე აამაღლებდა თავის პროფესიულ ხელოვნებას და დრამატურგიას. ხალხზე დიდი ზემოქმედებისა და მასების აღზრდის აუცილებელ პირობად აკაკის მიაჩნდა თეატრის კავშირი მშობლიურ ხალხსა და მიწასთან, მისი ცხოვრების მოვლენებთან. თეატრი მაშინ შეასრულებდა თავის დიდ მიზანს, როდესაც იგი თავისი ხალხის ცხოვრების რეალისტურ სურათებს წარმოსახავდა მოწინავე იდეებითა და მომხიბლავი მხატვრული სახეებით. მაგრამო, აღნიშნავს აკაკი, ბევრი ნაცარქექია უარყოფდა ორიგინალური რეპერტუარის საჭიროებას და დაცინვით იხსენიებდაო მას. პოეტი გულდაგულ ებრძოდა ეროვნული პიესებისადმი ნიჰილისტურ, ქედმაღლურ დამოკიდე-

---

[1] აკ. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული, ტ. 14, გვ. 191.
[2] იქვე.

ბულებას და უგვარტომო კოსმოპოლიტიზმს. იგი გულისტკივილით წერდა: „პიესებიცა გვაქვს, ნიჭსაც ვერ დავემდურებით, მაგრამ დროთა ვითარებამ გაგვანაცარქექიავა, და... მკვდრის ძილმა წაგვიღო, თვალის გახელა გვიჭირს და ცხვირს იქით ვეღარასა ვხედავთ". ასეთ პირობებშიო, აღნიშნავს პოეტი, უარყოფა საზოგადო თვისებაა უმეტესობისაო... [1] „ამავე საკირეშია ჩავარდნილი ქართული რეპერტუარიც. ან ისტორიული ან ცხოვრებითი ნაციონალური რამ სად გაგვაჩნიაო, რომ გაიძახიან, რა უფლება აქვთ და რა იციან? ვის და როდის უდევნებია თვალყური, ასე დაბეჯითებით რომ უარყოფენ?.. ჩვენი დრამატიული ლიტერატურა ღარიბი არ არის". და იგი „რაც უნდა ნაკლულევანი იყოს" უთავბოლო ნათარგმნ პიესებს მაინც ჯობს, რადგან მათში „ჩვენთვის სანუკვარი არა არის რა!"[2] ასე ლაპარაკობდა პოეტი. აკაკი გმობს ეროვნული რეპერტუარის იმ უარმყოფელებსაც, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ქართული ორიგინალური პიესები ვერ უტოლდება რა უცხოურ პიესებს, ამიტომ მათი სცენაზე წარმოდგენა უხერხულიაო. მით უფრო, რომ ამგვარ წარმოდგენებზე მაღალი წრის საზოგადოება არ ივლისო. პოეტი ამგვარი წრის საწინააღმდეგოდ წერდა: „ზოგიერთები იმ აზრისანი არიან, რომ თუ ქართულ სცენაზე იმისთანა პიესები არ წარმოვადგინეთ, რომელნიც ცნობილნი და სახელ-განთქმულნი არიან სხვაგან, და ქართულ რეპერტუარს დავადექით, მაღალი წოდებისანნი აღარ ივლიან თეატრშიო. არა მგონია, ეს ჭეშმარიტება იყოს, და თუ მართალია, მაინც კიდევ ჩვენ ჩვენის ეროვნულის გზით უნდა ვეცადოთ გავლას და ვისაც არა ჰსურს, გადაუხვიოსო" [3].

პოეტი მიუთითებდა, რომ წმინდა ქართულ რეპერტუარს რომ უჭირს სცენაზე ფეხის მოკიდება, ამას ზემოაღნიშნულს გარდა სხვა მიზეზიც აქვსო. მათ შორის უცხო ენებიდან გადმოთარგმნილი პიესების მოძალება და საკუთარის უარყოფა, მაყურებლის სიმცირე; განმეორებით დადგმაზე აღარავინ ესწრება, „მინახავსო" ამბობს და ახალ დადგმას თხოულობს. ამ ახალ-ახალი დადგმების განხორციელება კი დიდ ხარჯს მოითხოვს, რომლის ანაზღაურება თეატრს, რა თქმა უნდა, არ შეუძლია და სხვ.

ქართული ცხოვრებიდან აღებული თანამედროვე ორიგინალური პიესების დადგმასა და გავრცელებას აკაკის აზრით განსაკუთრებით ხელს უშლის ისიც, რომ თანამედროვე პიესებში

---

[1] ტ. წერეთელი, ტ. 14, 190.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 186.

ბევრი პიროვნება საკუთარი თავის, ან ნაცნობის თუ მეგობრის სახეს ხედავს. ეს კი იწვევს აუარებელ მითქმა-მოთქმასა და მწვავე უსიამოვნებას. ამგვარი ბედი ეწვიათ, აცხადებს პოეტი, პიესებს: „ძველსა და ახალს შუა“, „მომაკვდავ სურათებს“, „კუდურ-ხანუმს“, „ახალ გმირსა“ და სხვ.[1]

აკაკი დიდად აფასებდა ისტორიულ თემაზე შექმნილ პიესებსა და მათ სცენურ განხორციელებას. ცნობილია, რომ ისტორიულ მასალას, გარდასულ დროთა ცხოვრებას პოეტი მიმართავდა თანადროულობის პოზიციებიდან. მას ისტორიული პიესები, პოემები, მოთხრობები და ლექსები მიაჩნდა ძველი სახელოვანი ტრადიციებისა და გამოცდილების მისდროინდელი ხალხის მაგალითის ნიმუშად და ხალხში პატრიოტიზმის, თავისუფლებისმოყვარეობის, მხნეობის, ქედუხრელობის, შრომისმოყვარეობის და პროგრესული ზნეობრივ-მორალური თვისებების დანერგვისათვის ხელშემწყობ პირობად. ისტორიული ცხოვრების ცოდნა პოეტს მიაჩნდა ახლის გაგების, ახლისა და მომავლის გათვალისწინების საშუალებად. ამიტომ მოითხოვდა იგი ორიგინალურ პიესებს, აგებულს ქართველი ხალხის გარდასული ცხოვრების ამბებსა და ისტორიაზე. მგოსანი დიდად იყო შეწუხებული იმის გამო, რომ ასეთი პიესების დადგმის მატერიალური საშუალება თეატრს არ გააჩნდა. იგი წერდა: „ორიგინალური ისტორიული პიესების წარმოდგენა ჩვენს სცენაზე თითქმის რომ მოუხერხებელია სიღარიბის გამო. ერთი საუკუნე მეორეს აღარა ჰგავს. სხვა-და-სხვა საუკუნეს ელფერიც სხვა-და-სხვა აძევს, როგორც შინაარსით, ისე გარეგნობითაც; სცენა ვალდებულია, რომ სხვა-და-სხვა ისტორიული ეპოქის გათვალისწინებით დროს სინამდვილეს არ უმტყუნოს, და ჩვენ კი ვერ ვახერხებთ, რომ დავანახვოთ მაყურებლებს დიდებულ დროების პალატები, ციხე-გალავნები, დარბაზები დარბაისლებით და მათი საჭურველ-სამკაულები... ჩვენ ამისი შეძლება არა გვაქვს და კარიკატურული წარმოდგენა ხომ ცილისწამება იქნება ჩვენი ძველი დიდებისა, ჩვენივე გულ-სატკენად“[2].

აკაკი მოითხოვდა, რომ პიესებში ასახული ყოფილიყო ქართველი ხალხის ცხოვრება და სცენაზედაც იმგვარად წარმოეჩინათ, რომ მაყურებლისათვის ნათელი ყოფილიყო წარსული და აწმყო ცხოვრება და, ამავე დროს, რაც მთავარია, ხალხი წაექეზებინა და შთაეგონებინა ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლაში. ამ

---

[1] აკ. წერეთელი, ტ. 14, გვ. 193.
[2] იქვე, გვ. 191—192.

მიზნის მიღწევა, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება ნაციონალური ყოფა-ცხოვრებისა და ხალხის მწვავე პრობლემების მხატვრული ასახვით პიესებში. ევროპის მწერალთა პიესები კი იმდენ ზეშთაგონებას ვერ მოახდენს, რამდანსაც მშობლიურიო. „ქართული თეატრი, წერდა პოეტი, სარკე უნდა იყოს მისი (საქართველოს — პ. კ.) წარსულისა და აწმყოსი, რომ მომავალზე წააქეზოს მაყურებელი, თორემ დღევანდელ ევროპულ ავტორების ნაწარმოებები, რომ მშვენიერათაც წარმოგვიდგინონ, ასე ვერ მოხვდება ჩვენს გულს, როგორც უბრალო ნაწყვეტი ჩვენის ცხოვრებიდან". ამას გარდა, პოეტი აღიარებს ევროპელი ავტორების პიესების დადგმის აუცილებლობასაც. იგი აცხადებს: „ამით ის კი არ მინდა ვსთქვა, რომ ევროპული გადააგდონ მეთქი. არა! მე მსურს, რომ ეროვნულს მეტი ყურადღება მიაქციონ".[1]

პოეტი მოითხოვდა ორიგინალური, რეალისტური რეპერტუარის გაძლიერებას. „ჩვენ, ჩვენი ეროვნული რეპერტუარი უნდა გავიჩინოთ. ნათარგმნი უმნიშვნელო დეკადენტური პიესები ჩვენთვის არაფერი ხელსაყრელიაო". ამასთანავე, აკაკის კარგად ესმოდა მსოფლიო დრამატურგიის დიდ ქმნილებათა ქართულ სცენაზე დადგმის საჭიროება და სარგებლიანობა. ამიტომაც აცხადებდა: „პიესებს, რომელნიც ყველა ეროვნებისათვის ერთნაირად საგულისხმოა, გვერდს ვერც ჩვენ ავუვლითო"[2]. დიდი პოეტი თავის რეცენზიებსა და სიტყვიერ გამოსვლებში საგანგებოდ აფასებდა რუს და უცხოელ კლასიკოსთა დრამატულ თხზულებებს.

როგორც ვიცით, მე-19 საუკუნის დამლევს და მე-20 საუკუნის დასაწყისს დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ლიტერატურაში ფეხი მოიკიდა დეკადენტურმა მიმართულებამ, პესიმიზმმა, მისტიციზმმა. დეკადენტების შეხედულებათა წინააღმდეგ ძლიერი ბრძოლა ჩაატარა საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებელმა მ. გორკიმ. ბურჟუაზიული ლიტერატურის წინააღმდეგ გამოჩენილ რუს მოაზროვნეებთან ერთად, ნაყოფიერ ბრძოლას აწარმოებდნენ მოწინავე ქართველი მწერლებიც, მათ შორის აკაკი წერეთელი.

პოეტი დაუნდობლად იბრძოდა ბურჟუაზიული, ანტიხალხური, რეაქციულ-მისტიკური იდეებით გაჟღენთილი დრამატურგიის წინააღმდეგ. ის სასტიკად გმობდა დეკადენტურ-მისტიკურ პიესებს, რომლებშიც უარყოფილი იყო ხალხის ბრწყინვალე მო-

---

[1] აკ. წერეთელი, ტ. 14, გვ. 532.
[2] იქვე, გვ. 185.

მავალი და რომლებიც ქადაგებდნენ უიდეობას, დაცემულობას, თეზისს „ხელოვნება ხელოვნებისათვის". დიდებული პოეტი რეალიზმისა და ხალხურობის პოზიციებიდან ილაშქრებდა მისტიკურ-დეკადენტური დრამატული თხზულებების წინააღმდეგ და ხელს უწყობდა ქართული რეალისტური თეატრისა და დრამატურგიის სახელოვანი ტრადიციების განმტკიცება-განვითარებას. აკაკი წერდა: „პიესებიც, რასაკვირველია, ბევრი გვაქვს, განსაკუთრებით ნათარგმნები. ბიორნსებმა, მეტერლინკებმა, იბსენებმა და სხვათა სცენა მოიკავეს, მაგრამ მათი ხელოვნური დეკადენტობა დღევანდელ ქართველის გრძნობა-გონებას ბევრს ვერას ეუბნება, რადგანაც, ახალ პიესებზე ის ძველი ქართული, ანტონოვ-ერისთავის ნაწერები უფრო ახლოს არიან"[1].

ზოგიერთი „ყოველივე მშობლიურს... უარსა ჰყოფს, რადგანაც მათის შეხედულებით არც ისტორია, არც დღევანდელი ცხოვრების დაკვირვება და არც მამულის გათვალისწინება საჭირო არ არის ჩვენთვის და საკმაოა მხოლოდ, რომ მზამზარეულად რაც სხვა ქვეყნებში, სხვა ხალხებისათვის დღიური ვარამია და სასარგებლო, ის გადმოვიტანოთ... მათი აზრით, არც ქვეყნის მოთხოვნილება, არც ეროვნული ელფერი და არც დედა ენა საჭირო არ არისო"[2]. პოეტი გმობს ამგვარ კოსმოპოლიტიზმს, უცხოეთისადმი მონურ ქედმოხრას, მშობლიურისადმი ქედმაღლურსა და უპრინციპო, ნიჰილისტურ დამოკიდებულებას. მას კარგად ესმის, რომ უგვარტომო კოსმოპოლიტიზმი საზიანოა, იგი პროგრესი არ არის, მისადმი უნიადაგო გამოდევნება ხელს შეუშლის ეროვნული კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის, ნაციონალური თეატრის განვითარებას: უპასპორტო, მაწანწალა კოსმოპოლიტიზმის გზით სიარული გადააგვარებს ერს და მოსპობს თვითმყოფ ეროვნულ კულტურას. ამ რწმენით დაჯერებული პოეტი მსახიობთა დასს მოუწოდებდა: „ქართული სცენა, ყველგან უეჭველად ხელოვნებას უნდა ემსახურებოდეს და ეროვნულ ინტერესების დამცველი იყოს". ქართულ სცენაზე ნამდვილმა ქართულმა დრამატულმა ხელოვნებამ უნდა მოიკიდოს ფეხი-ო.[3] უცხოური ქვეყნებიდან გადმოტანილი კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის ნიმუშებს „უნდა შესაფერისი შტო აურჩიონ და მარჯვედ, მოხდენილად დამყნათ, რომ შეეზარდოს, შეეხორცოს, შეეთვისოს და ერთად იმ ხესთან, რომელზედაც დაუმყნიათ, იხაროს, თორემ უამისოდ ხანგრძლივობას ვერ ეღირსება და გახმება". და-

---

[1] აკ. წერეთელი, ტ. 14, გვ. 592.
[2] იქვე, გვ. 236.
[3] იქვე, გვ. 216.

ვით ერისთავის მიერ ფრანგულიდან ქართულად გადმოკეთებული პიესის „სამშობლოს“ შესახებ პოეტი ავითარებს იმ აზრს, რომ სხვადასხვა ქვეყნებიდან გადმოტანილი თხზულებები ხალხმა შემოქმედებითად უნდა აითვისოს, გაატაროს იგი ნაციონალური სიბრძნის, გამოცდილებისა და მისწრაფებათა ბრძმედში და გამოიყენოს თავისი ინტერესებისათვის. ამიტომ „უცხო ქვეყნებიდან გადმოკეთებულს თხზულებასაც, წერდა აკაკი, სწორედ შესაფერი და მოწყობილი დრო და ადგილი უნდა აურჩიოს მწერალმა, რომ უცხოობა აღარ ეტყობოდეს, თორემ ტყუილი დროს კარგვა იქნებაო“.[1] პოეტის ღრმა რწმენით ყოველმა ერმა შემოქმედებითად უნდა გამოიყენოს და ისარგებლოს სხვა ხალხთა პროგრესული მონაპოვრებით, მოწინავე, მდიდარი კულტურული საუნჯით, ლიტერატურისა და ხელოვნების ოქროს ფონდით, ურთიერთგამამდიდრებელი და ურთიერთობის განვითარების საჭირო საშუალებებით. ყოველი ერი მსოფლიოს ერთა შორის მეგობრობას, სიყვარულსა და ძმობას უნდა აღვიებდეს. აკაკი წერეთელს ერთა შორის მეგობრობის, ძმობის, ერთობისა და სიყვარულის დამკვიდრების ყველაზე უფრო მოხდენილ და კეთილშობილურ იარაღად სხვადასხვაგვარი ხელოვნება მიაჩნია, მათ შორის სათეატრო ხელოვნება, რომელიც იგივე მხატვრობაა. მხოლოდ უფრო მეტყველი და საგულისხმო“[2].

პოეტის რწმენით ხელოვნება საერთოდ, და კერძოდ, თეატრი უდიდეს ზემოქმედებას ახდენს ხალხის გრძნობა-გონებაზე. შთაგონების ეს ძალა ხელოვნების ძირითადი თვისებაა და ეს იმიტომ, რომ ხელოვნების ყოველ დარგს აქვს რა სამშობლო, ამავე დროს ის კარჩაკეტილი და განკერძოებული არ არის თავისი ქვეყნის საზღვრებში, მას საზღვარი არ აქვს და მისი მიღწევები მთელ კაცობრიობას ეკუთვნის: „ყოველ დარგს ხელოვნებისას, წერდა პოეტი, აქვს სამშობლო, მაგრამ განსაკუთრებით... განკერძოებული სამფლობელო, მამული კი არა, ის ღვიძლი შვილია იმ ერის, სადაც პირველად თავი უჩენია და იმავ დროს შვილად შეტკბობილი გერია მთელის კაცობრიობისაც. და მიტომაც ხელოვნებას საზოგადოდ პირველი ადგილი უნდა „ჰქონდეს დათმობილი, როგორც საერთაშორისო კავშირს“[3]. აკაკი აღნიშნავს, რომ ადამიანის ბოროტმა მოქმედებამ, კერძო ინტერესებით გატაცებამ „გამოიწვია ერთა შორის უთანხმოება, შური, მტრობა, გაუტანლობა და ბრძოლა“. ამჟამად ყვე-

---

[1] აკ. წერეთელი, ტ. XII, გვ. 136—137.

[2] აკ. წერეთელი, ტ. XIV, გვ. 231.

[3] იქვე, გვ. 230.

ლამ შეიგნო ის ჭეშმარიტება, რომ საჭიროა ადამიანთა გრძნობა-გონების ამაღლება, სულისა და გულის გასპეტაკება და „კაცთა შორის მშვიდობა და სათნოება დამყარდეს“ [1]. მართალიაო, შენიშნავს პოეტი, ცდილობენ ამ მიმართულებით სასურველი შედეგის მიღწევას, მაგრამ მიზნის განსახორციელებლად სხვა და სხვა გზა აქვთ არჩეულიო. „უმეტესობა, წერს პოეტი, შიშითა და ძალ-მომრეობით... ცეცხლითა და მახვილით ჰფიქრობს ამ პროგრამის განხორციელებას და რჩეულნი კი მომავალ აღთქმის მოციქულ-წინამორბედები, სულისა და გულის გასასპეტაკებელ იარაღად მხოლოდ სხვა-და-სხვა ხელოვნებას აღიარებენ. სათიატრო ხელოვნებაც ერთი მათგანიაო... სცენაც წმინდა ტრაპეზია“ [2]. და დიდ, გულითად სამსახურს მოითხოვსო.

ამ აზრით დაჯერებული პოეტი ცდილობდა ქართული თეატრის აღორძინებას და ისეთ მაღალ საფეხურზე აყვანას, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მისი ხალხზე ზემოქმედების ძალა და მხატვრული მშვენიერება სამშობლოს ფარგლებს გარეთაც გასულიყო, და ხალხთა მეგობრობის საკაცობრიო იდეალების განხორციელებაში თავისებური წვლილი შეეტანა. „ასე ვფიქრობდი მე, წერდა აკაკი, როდესაც ქართულ სცენაზე შემოვდგი ფეხი, სურვილი დიდი მქონდა მემსახურნა, იმედები კიდევ უფრო მეტი“... მაგრამ ცარიზმის ძალადობის პირობებში ყოველგვარი პროგრესული და ხალხისათვის სასარგებლო მოვლენები სასტიკად იდევნებოდა. ეროვნული ჩაგვრის პირობებში კიდევ უფრო უარესი ძალადობა იყო გამეფებული, ტირანია სასტიკად ახშობდა ქვეყნის სულიერი და კულტურული განვითარების გზებს, კრძალავდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაფართოებას, არ ზრუნავდა მსახიობთა კადრების მომზადებაზე, სკოლების გახსნაზე, არ ზრუნავდა თეატრების მატერიალურ უზრუნველყოფისათვის, მსახიობთა მინიმალური საარსებო პირობების შექმნისათვის. ამის გამო, ცხადია, ქართული თეატრის მსახიობთა უმრავლესობას, როგორც აკაკი გადმოგვცემს, „არ გაუვლიათ სათიატრო შკოლა“ და ამიტომ ხელოვნება არ გაეგებოდათ. თეატრს არ ჰქონდა საკუთარი შესაფერისი შენობა. „შენობა თავშესაფარ სათბურის ნაცვლად საყინულე გამოდგა. სცენაზე არტისტები ცახცახებდნენ სიცივით და პარტერში პუბლიკა... სარკმელებიდან და კედლის ჭუჭრუტანებიდან უბერავდა. საგულდაგულო რემონტი იყო საჭირო და ფულები კი არსად იყო“[3].

---

[1] აკ. წერეთელი, ტ. 14, გვ. 230.
[2] იქვე, გვ. 230—231.
[3] იქვე, გვ. 232.

მსახიობებს ხელფასი არ ეძლეოდათ, რის გამოც ისინი იძულებულნი ხდებოდნენ სადმე სამსახურში ჩამდგარიყვნენ და ოჯახები ერჩინათ. ამის გამო, მათ საშუალება აღარ ჰქონდათ დანიშნულ დროს რეპეტიციაზე მისულიყვნენ და საჭირო წვრთნა-ვარჯიშები ჩაეტარებინათ. „უნდა უცადო, მწუხარებით აღნიშნავს პოეტი, შუადღემდი და მაშინაც კიდევ ოთხი-ხუთი მათგანი სულ არ მოდის დილის რეპეტიციაზე, რადგან სამსახურში არიან და თავს ვერ დაანებებენ... უნდა საღამოსათვის გადადო რეპეტიცია, მაგრამ აქაც უარესი ამბავია“[1].

ასეთ უმძიმეს პირობებშიც დიდი პოეტი არ ზოგავდა ძალასა და ენერგიას ქართული თეატრის ასაღორძინებლად და ფეხზე დასაყენებლად.

აკაკის ღრმა რწმენით თეატრალურ ცხოვრებაში, სხვა მხარეებთან ერთად, განსაკუთრებით საჭიროა მსახიობის გამართული მეტყველება, მისი კილო, ინტონაცია, ხმის ტონალობა, ემოციის გამოხატვის თავისებურება და სხვ. პიესებში მრავალი ტომის, ეროვნების, თანამდებობის, სოციალური წრის, ასაკის, განათლების, სქესის, ძალის, განცდების, სულიერი ყოფის, ინტერესების, განწყობილების, ხასიათის, გრძნობებისა და შთაბეჭდილებათა და სხვა მრავალ თვისებათა მატარებელი სახეები გვხვდება. ყველა მათგანი სცენურ განსახიერებაში თავისებურ კოლორიტულ გამოხატვას საჭიროებს. ამის განსახორციელებლად, ჩაცმულობის, გრიმის, მუსიკის, გარეგნობისა და სხვა პირობებთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს კილოს, ხასიათს, გამომეტყველებასა და მიხვრა-მოხვრას: „ყოველ ხალხს, წერდა პოეტი, თავისი განსაკუთრებული ხასიათი აქვს, მიხვრა-მოხვრა, გამოთქმის კილო, გამომეტყველება და სხვანი“... ყველაფერი ეს ეროვნული საიდუმლოებაა და იგი გულში გვწვდება, გვხიბლავს. ამიტომ ნამდვილმა მსახიობმა ეს ჭეშმარიტება უნდა შეიგნოს, დიდი შრომა და მეცადინეობა გასწიოს, დაუკვირდეს და ღრმად შეისწავლოს ხალხის თავისებურებანი და შემოქმედებითად შეძლოს მისი სცენიდან განსახიერება. აკაკი უსაყვედურებდა მსახიობ შალიკაშვილს, რომ მან პიესა „ღალატში“ სამშობლოს გამარჯვებისა და საზიზღარი აგრესორის დამარცხების მაუწყებელი ფრაზა „ქრისტე აღსდგა“ ვერ წარმოსთქვა გამარჯვებულისა და აღტაცებულის ინტონაციით, ვერ მიანიჭა ფრაზას ის საზეიმო ძალა და ასპექტი, რომლითაც ერს სიხარულისა და სიამაყის გრძნობას გაუძლიერებდა და მოზღვავებული დღესასწაულის წუთებს კიდევ უფრო მეტ აღზევებუ-

[1] აკ. წერეთელი, ტ. 14, გვ. 233.

ლობასა და ბრწყინვალებას მიანიჭებდა. პოეტმა აღნიშნა, რომ მსახიობმა ეს სიტყვა ისე გამოთქვა, თითქოს სასომიხდილი გლახა-მათხოვარი შესწუწუნებს ქრისტეს მმოსავ მდიდარს „ქრისტე აღსდგა“ და შენც მოწყალება უნდა მოიღო, როდესაც გრგვინვით უნდა ყოფილიყო ეს ჭეშმარიტება წარმონატყორციო... გაუძლო ქვეყანამ იობის განსაცდელს... სჯულის გამტეხლები და მოღალატეები სინანულში ვარდებიან და მაშ, თუ ამ დროს არა, როდისღა აღაფრთოვანებს ჭირნახულ ქართველს და ძლევა-მოსილ უეჭველობით როდის-ღა დააძახებს „ქრისტე აღსდგაო?“ ეს უკანასკნელი სიტყვა გვირგვინია მთელის პიესისა... ამ სიტყვას სულ სხვა გრძნობა უნდა, სხვა ძალა გამოთქმის დროს.[1]

სამაგიეროდ პოეტს მოსწონდა მსახიობ ჩარკვიანის მიერ „ღალატში“ ირაკლის მეტად მძიმე და რთული როლის შესრულება. პოეტის თქმით მსახიობმა სიძნელე დაძლია, „რადგანაც ყველაფერი ხელს უწყობდა: გარეგნობაც, ენის ცოდნაც, გამოთქმაც, კილოც, ნიჭიც და მონდომებაცო“.[2] „თვალ-ტანადობას, წერდა აკაკი, დიდი მნიშვნელობა აქვს სცენისათვის. სიყვარულის როლში, რაც უნდა სუსტი იყოს, ლამაზი მოთამაშე მაინც თვალს უხვევს მაყურებლებს“[3]. განსაკუთრებით აღნიშნავდა აკაკი ვლადიმერ მესხიშვილის დამსახურებას, რომ მან ბეჯითი შრომით დაძლია ნაკლულოვანება და დღეს დარბაისლურ, ტკბილ ქართულით გვესაუბრებაო სცენიდან. მისი გამოთქმების კილო, მიმიკასთან შეთანხმებული, მოწმობს მის შრომა-მეცადინეობასო[4].

თეატრალური ხელოვნების ამაღლების მიზნით პოეტი თეატრალური საზოგადოებისაგან მოითხოვდა სათეატრო სკოლისა და დრამატული კურსების გახსნას[5].

აკაკის არ მოსწონდა მიმბაძველობა და დიდად აფასებდა ორიგინალობას „თავისთავადობით“ შემსრულებლობას, რომელსაც საფუძვლად და ქვაკუთხედად შემოქმედებითი ძალა უდევს. ასეთი მსახიობები, პოეტის აზრით, თვითონ ქმნიან როლებს, სულს უდგამენ მას. მაგრამ ასეთი მშვენიერი, თვითმყოფი, გენიოსი მსახიობი თითო-ოროლა მოიპოვებაო. ამავე დროსო, აცხადებს პოეტი, საკმაოდ მრავალია „მიმბაძაობითი“ ნიჭის, „წამხედურა მსახიობები“, რომელთაც უბრალო სხვისი მიბაძ-

---

[1] აკ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ტ. 14, გვ. 226.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 227.
[3] აკაკი წერეთელი, ტ. XI, გვ. 491.
[4] აკაკი წერეთელი, ტ. 14, გვ. 524.
[5] იქვე, გვ. 240.

ვით, წამხედურობის მეტი არა ეჭირვებათ რა [1]. პოეტს არ აკმაყოფილებს მიმბაძველობა, მექანიკური წაბაძვა რომელიმე მსახიობისადმი. იგი წერდა: „მიბაძვა ერთი-მეორესი, გინდ დამშვენიერებულიც იყოს, გაფუჭებაა“ [2]. მრავალ მაგალითთა შორის აკაკიმ აღნიშნა მსახიობ ვ. აბაშიძისა და აწყურელის მიერ შესრულებული როლების თავისებური ფაქტი: „ვ. აბაშიძემ, წერდა პოეტი, სხვათა შორის, შეჰქმნა „ისაიას“ როლი „ხათაბალაში“ და იმ როლს შ. აწყურელი სამაგალითოდ ასრულებს, როგორც შესანიშნავი პირი (კოპიო) უფრო შესანიშნავ დედნისა (ორიგინალის). ვისაც დედანი (ორიგინალი) არ უნახავს, იმას ხშირად პირი (კოპიო) ნამდვილი ჰგონია და სტყუვდება. ვისაც ნამდვილი არტისტი არ უნახავს განმახორციელებელი ამა თუ იმ როლისა რომელსამე პიესაში, იმას, რასაკვირველია, მისი წამხედურა-მსახიობიც დიდ ვინმედ მოეჩვენება“ [3]. ყოველმა მსახიობმა, აკაკის რწმენით, თავისი ინდივიდუალობა, ორიგინალობა, საკუთარი სპეციფიკა და ხმა უნდა გამოავლინოს. ამით ის უფრო მეტად განავითარებს ხელოვნებას და თავის სამსახიობო ფუნქციას უკეთ შეასრულებს, ვიდრე უბრალო მიმბაძველობის გზის გამოდევნება და მით საკუთარი შემოქმედებითი სახის დაკარგვა და ხელოვნების დამცირება.

მსახიობის მიერ თავისი როლის შესრულების ერთ-ერთ ძირითად პირობად აკაკის მიაჩნია პიესაში გამოხატული მოქმედი პირის სცენაზე იმგვარად წარმოსახვა, როგორც ეს ავტორს აქვს მოცემული. მსახიობს ყოველთვის უნდა ჰქონდეს მხედველობაში ავტორის მიერ დახატული ტიპი, იგი სიმართლით და შემოქმედებითად უნდა გაიაზროს და თვითნებურ წაკითხვას არ უნდა ეძებდეს. „არტისტის ვალია, წერდა პოეტი, რომ ისე წარმოადგინოს ის პირი, რომელსაც ახორციელებს, როგორც პიესის ავტორს ჰყავს გამოხატული და არა სხვებს. როგორც მწერალს, ისე აქტიორს წარმოდგენის დროს უნდა ჰქონდეს სახეში მხოლოდ იმ პირის სინამდვილით გადმოცემა და გამოხატვა, რომელსაც ადგენს და არა სხვა რამე“ [4]. აკაკის კარგად ესმოდა, რომ ზოგიერთი მსახიობი როლებს მაყურებლის მოწონების მიხედვით ხატავდა და მხედველობიდან ეპარებოდა ძირითადი პრინციპი — თეატრალური ხელოვნების მოთხოვნათა დაცვა. ასეთი აქტიორები, პოეტის აზრით, მაყურებლის მხოლოდ იაფფასიანი გემოვნებით აფასებენ თავიანთ ხელოვნებას

---

[1] აკაკი წერეთელი, ტ. 14, გვ. 194.

[2] იქვე, გვ. 454.

[3] იქვე, გვ. 195.

[4] იქვე, ტ. XI, გვ. 514—515.

და არა მისი მაღალი შემოქმედებითი ხარისხის მიხედვით. „სასიამოვნო მაშინ არის ტაში არტისტისათვის, როდესაც ის გრძნობს, რომ ნამდვილად ითამაშა და თავისი ხელოვნება და გრძნობა აგრძნობინა სხვებსაც და ძალაუნებურად გაიტაცა, თორემ მოტყუებით ან ფოკუზით გამოწვეული ტაში არტისტს ამცირებს"[1].

ამ მხრივ პოეტის დიდი შეფასება დაიმსახურა მსახიობმა კ. ყიფიანმა, ვისაც როლი ისე შეუსრულებია, როგორც ეს ავტორის ჩანაფიქრს შეეფერებოდა. მას გამომსახველობის სწორი გზა ჰქონია არჩეული და მაყურებლის მდარე გემოვნების ტყვეობაში არ ექცეოდა, და ამის შედეგად მაღალ სცენურ შემოქმედებითს ხელოვნებას ნიჭიერად ემსახურებოდა და ქართულ მსახიობთა დასის „დედაბოძიც" გახდა. „გაბედვით შეიძლიან ვსთქვა, წერდა აკაკი კ. მესხის შესახებ, რომ ის არის არტისტი სულით, გულითა და ჭკუით. უყვარს მისი ხელობა და მხოლოდ იმასა ცდილობს, რომ გვიჩვენოს როლები ისე, როგორც ჰსურვებია პიესის ავტორს. თამაშების დროს, იმას თითქმის დავიწყებული ჰყავს მაყურებლები და მხოლოდ ჰფიქრობს როლის სინამდვილეზედ. თამაშობს დაწყნარებით, მშვიდობიანად და სხვების გულის მოსაგებათ არას უმატებს..."[2] პოეტს არ მოსწონს საერთოდ მსახიობის გადაჭარბებული ჟესტიკულაცია, მოძრაობა და საოხუნჯო მანჭიაობა. ამიტომ იწონებს კ. მესხის მიერ როლის შესაბამის, ნორმალურ და დინჯ მიხვრა-მოხვრასა და შთამაგონებელი მიმიკის განსახიერებას. ცნობილია, რომ აკაკი დაუღალავად იბრძოდა მაღალი რეალისტური თეატრალური ხელოვნებისათვის და მსახიობისაგან მოითხოვდა ფართო, ღრმა განათლებასა და წვრთნასთან ერთად, როლის სიმართლით, დიდი ოსტატობით შესრულებას. პოეტს სწამდა, რომ ხელოვნება საერთოდ და კერძოდ ნამდვილი სასცენო ხელოვნება თავისი მაღალი იდეურობით, ესთეტიკური გატაცებითა და მშვენიერებით ხიბლავს ხალხს, რადგან მშვენიერებაც ერთ-ერთი ციური მოვლინებაა და ადამიანი თაყვანს სცემს მასო. ამიტომ, აკაკი შთააგონებდა მსახიობებს, რომ „ხელოვნება ისეთი რამეა, რომ ვისაც ის ხიბლავს, მისგან მოხიბლული კი არ გაურბის, პირიქით, სცდილობს, რომ ხშირად ადევნოს თვალ-ყური და ინეტაროს"[3]. ამგვარი მომხიბლველი და სანეტარო ხელოვნების შექმნისა და განვითარებისათვის, პოეტის აზრით, სხვადასხვა მრავალფეროვან და მნიშვნელოვან შე-

---

[1] აკ. წერეთელი, თხზ., სრ. კრებული, ტ. 11, გვ. 515.
[2] აკ. წერეთელი, ტ. 12, გვ. 38.
[3] იქვე, ტ. 14, გვ. 594.

მოქმედებით მუშაობასთან ერთად, აუცილებელია მსახიობის მიერ მხატვრული ნაწარმოების სცენაზე დასადგმელად არჩეული პიესის ღრმად შესწავლა-შეთვისება, მისი საკუთარ გონებაში, სულსა და გულში შვილივით დიდხანს ტარება და შემდეგ ბუნებრივად, თავის დროზე წარმოშობა. ნაუცბათევად, უგულოდ და ზერელედ დამუშავებული როლი ვერ მოახერხებს თხზულებისა და მოქმედი პირის მაღალიდეურ მხატვრულ განსახიერებას და შედეგიც სავალალო იქნება. „ყოველი ხელოვნური ნაწარმოები შესისხლხორცებული უნდა ჰქონდეს არტისტს, გულით ნატარები და შემდეგ ღვიძლ-შვილივით წამონაშობი და არა სხვაგან, გარეშე დაგდებული და სხვის შვილად აყვანილი, თორემ უამისოდ თაღლითობა გამოვა“ [1].

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ აკაკი წერეთლის უდიდესი დამსახურება ქართული თეატრის განვითარების საქმეში, მისი რეჟისორული მოღვაწეობა, დიდებული რეცენზიები და კრიტიკული წერილები, პოეტის შეხედულებანი თეატრალური ხელოვნების შესახებ, მის მიერ წარმოდგენილი პრინციპები როლების გასცენიურებისა და სხვ. ფრიად საყურადღებო მოვლენაა ქართული თეატრის ისტორიაში და იგი მოელის სათანადო სპეციალისტის, თეატრმცოდნე მეცნიერთა მიერ ახლებურ და შეგნებულ შესწავლას.

პოეტი გმობდა „ვითომ კრიტიკოსებს“, რომელთაც ნამდვილი ხელოვნება არ გაეგებოდათ და მხოლოდ რაც სარიტორიკო სახელმძღვნელოში ამოეკითხათ, ის ეგონათ სიმართლე. ასეთ მოუმზადებელ და უვიც კრიტიკოსს პოეტმა „აკაკური“ სარკაზმით დასცინა. მესამოცე წლებში, წერდა აკაკი, ერთმა ჩვენმა ინტელიგენტთაგანმა გაარჩია გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“ და აი, რა დაბეჭდა „დროებაში“: „ეს პიესა თუმცა კარგი რამ არის, მაგრამ მაინც არც დრამაა და არც კომედია!“ დრამა რომ ყოფილიყო, ხუთმოქმედებიანი უნდა იყოსო და კომედია სამ-მოქმედებიანი, და ეს კი ოთხმოქმედებიანიაო“[2]. ამგვარივე მკაცრი სატირით გესლავს აკაკი ისეთ რეცენზენტებსაც, რომელნიც არ იცნობენ სასცენო ხელოვნებას და რეჟისორებსა და მსახიობებს კი ურჩევენ ისეთ რამეს, რომელიც გაუმჯობესების ნაცვლად აკნინებს, აუარესებს და აფუჭებს დადგმას. ასეთ კრიტიკოსებს გაურჩევიათ სცენაზე წარმოდგენილი გ. წერეთლის კომედია „ოჯახის ასული“. კრიტიკოსებმა, წერს აკაკი, წუნი დასდეს, პიესაში მოძრაობა ცოტა არისო და ჩაუმატეს პიესაში უხმო პირები, რომელნიც მოქმედების დროს გარბოდნენ და გამორ-

---

[1] აკ. წერეთელი, ტ. 14, გვ. 41.

[2] იქვე, გვ. 196.

ბოდნენ სცენაზე. რასკვირველია, პიესა გააფუჭეს და მერე აღარ უთამაშნიათო[1]. ასეთ და სხვა ანალოგიური ხასიათის მაგალითებზე მითითებით პოეტი მოითხოვდა, რომ „რეცენზენტობას არ უნდა ჰკისრულობდნენ ისინი, ვისაც ხელოვნების ანბანიც არ გაუვლიათ"[2].

ამრიგად, აკაკი იბრძოდა ჭეშმარიტი, მაღალკვალიფიციური თეატრალური კრიტიკისათვის.

აკაკიმ დიდი ამაგი დასდო ქართული რეალისტური თეატრის განვითარებას თავისი განთქმული სათეატრო რეცენზიებითა და კრიტიკული წერილებით. პოეტის მებრძოლი, პრინციპული, შეურიგებელი და ბრძნული მითითებებით აღსავსე რეცენზიები და კრიტიკული წერილები ქართული თეატრმცოდნეობის მშვენებაა, მისი ღირსება და დიდებაა. მან ბრწყინვალე ფურცლები ჩასწერა ქართული თეატრის მატიანეში და ამიტომაც წარმოადგენს ოქროს ფონდს თეატრალური კრიტიკის ძვირფას საგანძურში. აკაკის კრიტიკული შენიშვნები და რეცენზიები მიმართულებას აძლევდა ქართული თეატრის მოღვაწეებს. მოუთმენლად ელოდნენ პოეტის რეცენზიებსა და კრიტიკულ მიმოხილვებს. ყოველი მისი გამოსვლა, პრესაში თუ საჯარო ლექციებით, შთააგონებდა ხალხს თეატრისადმი ღრმა სიყვარულს და ხელს უწყობდა თეატრალური ხელოვნების აღმავლობას, ნაკლის გამოსწორებასა და მიღწეულის განმტკიცებას. დიდი პოეტი ნამდვილი ხელმძღვანელი, გეზის მიმცემი და მოძღვარი იყო მსახიობებისა და თეატრალური ხელოვნებით დაინტერესებული საზოგადოებისა. აკაკი უაღრესად განათლებული და უმდიდრესი ცოდნით აღჭურვილი მოღვაწე იყო. შესწავლილი ჰქონდა უამრავი პიესა და სასცენო დადგმები. განსაკუთრებით რუსული და ევროპული თეატრებისა. როგორც პოეტის ბიოგრაფიიდან ჩანს, იგი სისტემატურად ესწრებოდა წარმოდგენებს მოსკოვში, პეტერბურგში, კიევში, პარიზსა და სხვა ქალაქებში. პირადად იცნობდა მსოფლიოს გამოჩენილ მსახიობებს. დაბეჯითებით ეცნობოდა მათს შემოქმედებას. ამიტომაა, რომ მის რეცენზიებსა და კრიტიკულ სტატიებში მრავლადაა მოხსენიებული და შეფასებული სხვადასხვა ქვეყნის პიესები და მსახიობები. შეიძლება ითქვას, რომ აკაკი წერეთელი ახალი ქართული თეატრალური კრიტიკის ფუძემდებელი და ბრწყინვალე ისტორიკოსია.

აკაკის უსაზღვროდ უყვარდა ქართული თეატრი. როდესაც 1903 წელს პოეტი ისევ მიიწვია ქართულმა დრამატულმა საზოგადოებამ ქართული დასის რეჟისორად, აკაკიმ მსახიობებს აღ-

---

[1] აკ. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 14, გვ. 41.
[2] იქვე, გვ. 197.

ტაცებით მიმართა: „მოხარული ვარ, რომ გარემოებამ ამ სიბერის დროს კიდევ გამომიყვანა თქვენთან ერთად სამუშაოდ. დიდის სიამოვნებით გავები მეც თქვენს უღელში. მართალია, თქვენ, როგორც ახალგაზრდებს, ჯან-ღონითა და ენერგიით სავსეს, მეტი შრომის ატანა შეგიძლიანთ, ვიდრე მე, სიბერით ღონემოკლებულს, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ გონიერი მუშაკი, როდესაც გახედნას უპირებს სისხლჭარბს და ჯან-ღონით გატაცებულ მოზვერს, გვერდში უღლის ცალად ბებერ ხარს ამოუყენებენ ხოლმე, რომ ჯერ უცადმა, გასახედნმა, თავში არ გაიწიოს და ნაცადმა ბებერმა ხარმა, რომლისაც „რქაც კი ხნავს", სასურველ კალაპოტში ჩააყენოს" [1]. დიდი პოეტის აზრით, ახალგაზრდა ხელოვანს წვრთნა სჭირდება, რაც უფრო ნიჭიერია იგი, მით უფრო მეტი საზრდო, მითითება და გეზის მიცემა სჭირდება, ხოლო მწვრთნელი, მიმართულების მიმცემი, პროფესიული დახელოვნების ხელმძღვანელი გამოცდილი, ნაცადი თავკაცი უნდა იყოს, რომ ახალგაზრდა „სისხლჭარბი", „ჯან-ღონით" სავსე და კეთილი საქმით გატაცებული ახალგაზრდა მსახიობი „ნაცადმა" ბებერმა ხარმა უნდა ჩააყენოს სასურველ კალაპოტში და გაუკაფოს გზა დიდი შემოქმედებითი მუშაობისაკენ. ახალგაზრდა მსახიობებთან მომავალი შეთანხმებული და გააზრებული მოღვაწეობით შთაგონებულმა მხცოვანმა პოეტმა თეატრალური ხელოვნებით გატაცებულ და ქართული რეალისტური თეატრის შემდგომი აყვავებისათვის დარაზმულ მოღვაწეებს მოუწოდა: „დამანახვეთ ერთგულება, მხნეობა და გამრჯელობა ქართული თეატრისადმი და მე გიჩვენებთ მაგალითს მისის სიყვარულისას".[2]

აკაკიმ მსახიობებს კვლავ მოსთხოვა „განმტკიცებულ-გასპეტაკებული ქართული ენის" ცოდნა, მისი დამახინჯების წინააღმდეგ ბრძოლა — „ჩიქორთული" დამახინჯებული ენით გამოსვლის დაუშვებლობა, როლის ზეპირად ცოდნა, პიესის მთავარი აზრის შედგენა, სცენაზე მხატვრული სახის რეალისტური, მაღალი პროფესიული შთაგონებით განსახიერება. ცნობილი მსახიობის ნიკო გვარამაძის გადმოცემით, „აკაკის სიტყვით მთელი დასი და გამგეობა აღტაცებული იყო... აკაკიმ მართლაც გულმოდგინედ დაიწყო მუშაობა" [3].

მსახიობთა დასთან შეხვედრისას აკაკიმ ყურადღება გაამახვილა დასადგმელად გამიზნული პიესის როლების განაწილება-

---

[1] აკ. წერეთელი, ტ. 14, გვ. 182.

[2] იქვე.

[3] ნ. გვარამაძე, თეატრალური მემუარები, 1949, გვ. 21—22.

ზე. ცნობილია, რომ ეს დღესაც მტკივნეული პრობლემაა. მსახიობები ხშირად უკმაყოფილონი არიან „მცირე“ როლების დაკისრების გამო. ისინი ესწრაფვიან „მთავარი“ როლების განსახიერებას. ამ საკითხში რეჟისორისა და მსახიობთა სურვილების შეთანხმება ყოველთვის არც თუ ისე ადვილი საქმეა. აკაკი ითვალისწინებდა რა არსებულ ვითარებას, დასის წევრებს მოსთხოვა როლების განაწილებისას რეჟისორისა და მსახიობთა სურვილის ერთიანობა, რომ არავინ სთქვას: „—ეს დიდი როლია“, „ეს პატარა“, „ეს შემშვენისო“, „ეს არაო“, „ამას ვითამაშებ“, „ამას არაო და ამგვარები“[1].

ამასთან დაკავშირებით, პოეტმა გამოთქვა მშვენიერების შესახებ საყურადღებო შეხედულება, რომ „ხელოვნება მშვენიერებაა და მშვენიერებამ კი თავისთავად დიდი და პატარა არ იცის“. [2]

აკაკის აღნიშნული შეხედულება იმეორებს პოეტის მიერ მწერლის თემატიკის შესახებ გამოთქმულ აზრს, რომ მხატვრული ასახვისას თემის მარტო სიდიდე კი არ არის მთავარი, არამედ საქმე მისი გამოხატვის სიდიდეშიაო. პოეტის ეს შეხედულება თეატრალურ ცხოვრებაში დღესაც არ არის ინტერესმოკლებული.

ქართველი საზოგადოება ყოველთვის აფასებდა აკაკი წერეთლის უდიდეს ამაგს ქართული თეატრის განვითარებაში. მისი მადლიანი რეჟისორული ოსტატობის შესახებ გაზეთი „დროება“ წერდა: „დასაწყისი სეზონისა, საზოგადოდ, ყოვლად ჩინებული იყო. მართალია, საეჭვოდ არავის მიაჩნდა, რომ ბატონი აკაკი დასაბამითვე მოამაგე და დიდად დახელოვნებული ჩვენი სცენის საქმეებში, თავის მადლიან ხელს დაამჩნევდა წრევანდელ ქართულ წარმოდგენებს, მაგრამ კვირის წარმოდგენამ მაინც ყველა მოლოდინს გადააჭარბა“. 1914 წელს აკაკი არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ. მხცოვანმა პოეტმა ამჯერადაც პირნათლად მოიხადა ვალი ქართული თეატრალური საზოგადოებრიობის წინაშე. არც ერთ ქართველ მწერალს, კრიტიკოსს, თეატრის პროფესიულ მოღვაწეს და სხვებს გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან დაწყებული ვიდრე 1914 წლამდე იმდენი ამაგი არ მიუძღვის ქართული თეატრის მიმართ, რამდენიც აკაკი წერეთელს. მან თავისი პიესებით უაღრესად გაამდიდრა მებრძოლი ქართული რეალისტური თეატრის ეროვნული რეპერტუარი. მისი ბრწყინვალე ისტორიულ-დრამატული თხზულებები, თანა-

---

[1] აკ. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული, ტ. 14, გვ. 183.

[2] იქვე.

შედროვეობის თემებზე დაწერილი დრამები, კომედიები, ვოდევილები, სცენები და სხვ. ნოყიერად ასაზრდოებდა, როგორც მხატვრულ ლიტერატურას, ისე, განსაკუთრებით ქართულ თეატრს. ზოგიერთი მათგანი „პატარა კახი", „თამარ-ცბიერი", „კინტო" და სხვ. მუდმივი თანამგზავრი იყო ჩვენი თეატრალური ცხოვრებისა. განუზომელია აკაკის დამსახურება ქართული თეატრის ორგანიზაციასა და რეჟისორული შემოქმედებითი მუშაობის დარგში. ამიტომ ხალხი ყოველ მის დადგმას უდიდესი აღფრთოვანებით ხვდებოდა და მრავალგზის აჯილდოებდა ძვირფასი სამახსოვროებით: იგი ორმოცდაათ წელზე მეტ ხანს მიუძღოდა წინ მსახიობთა დასს, დიდი ხელოვნებით ახორციელებდა სასცენო დადგმებს და, მიუხედავად შავბნელი დროის მრავალი წინააღმდეგობისა და გაჭირვებისა, გმირულად იბრძოდა ქართული თეატრის დიდებისთვის.*

პოეტი ქართველი ქალის შესახებ

აკაკი წერეთლის მდიდარ შემოქმედებით მემკვიდრეობაში მრავალი და მეტად საყურადღებო აზრია გამოთქმული ქართველი ქალის შესახებ. იგი სპეციალური კვლევის საგანია. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ ასპექტს შევეხებით.[1] პოეტს, უპირველეს ყოვლისა, ხიბლავდა ქალის ღრმა პატრიოტული შთაგონება, სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლა, საქვეყნო საქმისადმი ერთგულება, მამაცობა და გმირობა. აკაკის აზრით, ქართველი ქალის უდიდესი დამსახურება სამშობლოს წინაშე ცნობილი ისტორიული ფაქტია. ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების მანძილზე, საქართველოს მძიმე წარსულში ქალებს მრა-

---

* დაწვრილებით იხილეთ: ა. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, აკაკი წერეთელი და ქართული თეატრი (აკაკი წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი „საიუბილეო კრებული", თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; 1940 წ., 330-342); ლ. ა ს ა თ ი ა ნ ი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, 1940 წ., სერვო გერსამია, აკაკი წერეთელი და ქართული თეატრი, თბილისი, გამომცემლობა „ხელოვნება", 1949 წ. ა. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე, ნარკვევები XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიიდან, ნაწილი მეორე, 1963; ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, ძველ თეატრში, 1948; შ. რ ა დ ი ა ნ ი. აკ. წერეთელი და ქართული თეატრის პრობლემები; ს. ხუციშვილი, აკაკი ქართული თეატრის ისტორიკოსი, იხ. მისი წიგნი „ლიტერატურულ-კრიტიკული ნარკვევები", თბ., 1969.

1 1967 წელს გამოქვეყნდა ო. გ ი ო რ გ ა ძ ი ს საყურადღებო გამოკვლევა: „აკაკი წერეთელი და ქართველი ქალი" (იხ. ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის „შრომები", ტ. XXX, გე. 149-167).

ვალგზის უსახელებიათ თავი სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლების დაცვის დიდ ისტორიულ საქმეში.

ქართული ხალხური შემოქმედება, საისტორიო წყაროები და მხატვრული ლიტერატურა მრავალ მოღვაწე და გმირ ქალს ჰმოსავს უჭკნობი შარავანდით სამშობლოსა და ხალხის წინაშე მათი დიდი დამსახურების გამო, მათი გმირული პათოსისა და კეთილშობილური პატრიოტული შთაგონებისათვის.

სამშობლოს წინაშე ქალთა უდიდესი დამსახურება, მათი საგანგებო როლი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის და თავისუფლების დაცვაში, შეუპოვარი თავგანწირვა სამშობლოს მტრებთან ბრძოლებში, ქალის უკეთილშობილესი ღვაწლი მამულისათვის გმირ თაობათა აღზრდისა და ოჯახის მორალური სიწმინდის შენარჩუნების საქმეში წარმოადგენდა დიდი პოეტის მხატვრული შემოქმედების შთაგონებას. ამასთანავე, აკაკი მოურიდებლად ხატავდა ქალთა უარყოფით სახეებსაც.

აკაკის პოეტურ გენიას საერთოდ ქალთა სახეების დახატვაში ნაყოფიერად ასაზრდოებდა ჩვენი ქვეყნის სინამდვილე, მდიდარი ხალხური შემოქმედება, ისტორიული წყაროები, მრავალსაუკუნოვანი ქართული და უცხოური მხატვრული ლიტერატურა, სხვადასხვა მასალებში დაცული ცნობები, წარსული და ქართველი ხალხის ცხოვრებისეული მოვლენები. ამ მდიდარი წყაროების საფუძველზე აკაკი დიდი პოეტური შთაგონებით ძერწავდა ქართველი ქალის დაუვიწყარ ტიპურ სახეებს.

თავის წერილებსა და მხატვრულ თხზულებებში პოეტი მოუთხრობდა ხალხს იმ ბრწყინვალე და შესანიშნავი ზნეობრივ-მორალური თვისებებისა და ტრადიციების შესახებ, რომლებიც უჭკნობი შარავანდედით შუქსა ჰფენდა სახელოვან ქართველ დედას. აკაკის დახასიათებით ქართველი ქალები საქვეყნო სამსახურისათვის „ქმრებს ამხნევებდნენ, შვილებს მამულისათვის ზრდიდნენ და გმირებად ხდიდნენ“.

ქალები, — წერდა პოეტი, — „სამეფო საქმეებშიაც ერეოდნენ, თავისი რჩევით და ხშირად პირადის დახმარებითაც. ათას და ათიათას მაგალითებში მოვიყვანთ შემდეგს: როდესაც ხრესილზედ მეფე სოლომონ პირველმა დაამარცხა გოლი-ფაშა, ერთს ქალს მოუვიდა მახარობელი, რომ მეფემ სძლიაო. ის ქალი (მგონი აბაშიძის ქალი) სიხარულმა აიტაცა და დიდხანს აღარ უთქვამს რა. ბოლოს იკითხა: ვინ მოკვდა და ვინ დარჩაო? მომთხრობელმა გადმოჰყარა ცრემლები და მიუგო „თქვენი უფროსი შვილიო! დედამ არაფრად შეიმჩნია და სთქვა:

— მადლობა, ღმერთს, სამიც კიდევ სხვებიც დამრჩენიაო!

— ვაი, რომ ვერა!. მეორემაც თქვენი ჭირი წაიღოო!

— დიდება უფალს, ორი ხომ დამრჩნენ!

— მესამეც მტრის რაზმში განგმირეს!

— ერთი ხომ მაინც დამრჩა?

ჰკითხავდა თანდათან აღელვებული დედა!

— მეოთხე კი ცოცხალი გადარჩა!

— იყავენ ნება უფლისა, მეც მისთვის გავზარდე ისინი, რომ მამულს გაჭირვებაში გამოდგომოდნენ. დღეს ჩემს თვალებს ცრემლები არ შეშვენის. ჩვენ გავიმარჯვეთ, ვსძლიეთ მძვინვარე მტერს! მაშ, საზოგადოდ შვება გვმართებს და მერე კი გავიმცხადებ ჩემს შვილებს.

— ერთიც მითხარი, ხომ სახელოვნად დაიხოცნენო!..

— მათმა სიმხნევემ მეომრები გააკვირვა.

— დედამ ამპარტავნულად გაიღიმა.

— მაშ ჩემი ის ერთი შვილი როგორღა გადარჩა?

— ძმებთან არ ყოფილა.

— როგორ თუ ძმებთან არ ყოფილა?

— დიახ, სულაც არ დასწრებია ომს.

— ფუ შენ ვაჟკაცობას. შენ ქალაჩუნავ, მოგიკლავარ შენ, დედა!.. აქ კი მმართებს, ტირილიო! — სთქვა დედამ და იწყო მოთქმა ცოცხალი შვილისა".[1]

პატრიოტი ქართველი ქალის აღნიშნული გმირობის ამბავი პოეტმა განმეორებით მოუთხრო საზოგადოებას თბილისში ქართველი ქალის შესახებ წაკითხულ იმ საჯარო ლექციაზე, რომელსაც დამსახურებული ქება შეასხეს გაზ. „დროებამ" და „კავკაზმა". „დროება" სხვათა შორის, აღნიშნავდა: „ყველამ იცის, ვისაც კი შარშანდელი ლექციები „ვეფხის ტყაოსნის" გმირებზე გაუგონია აკაკი წერეთლისა — თუ რა თბილმოუბარი ლექტორია ის, რა ჩინებული ქართულით, რა გარკვევით და რა მშვენიერი, მოხდენილის, მახვილის მაგალითებითა და ეპიზოდების მოყვანით აცხოველებს ხოლმე ის თავის ლექციებს"[2]. ხოლო გაზეთი „კავკაზი" აღფრთოვანებით წერდა: «Публичная. читанная Ак. Церетели в воскресенье, 21-го марта, была не в пример лучше всех лекций, когда-либо слыханных нами на грузинском языке»[3].

გაზეთ „კავკაზში" გადმოცემულია აბაშიძის ქალის აღნიშნული ეპიზოდი თითქმის სიტყვა-სიტყვით, რომლის შინაარსი სავსებით იდენტურია აკაკის ცნობილი ლექსის „ქართველი ქალის"

---

[1] ა კ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ., სრ. კრებული, ტ. 11, გვ. 309-310; შდრ.: ტ. 15, გვ. 371.

[2] გაზ. „დროება", 1882, № 61.

[3] გაზ. „კავკაზი", 1882, № 23.

სიუჟეტთან (გაზეთში მხოლოდ შეცდომით ხრესილის ნაცვლად მარაბდაა მოხსენიებული).

აკაკის საჯარო ლექციაში გადმოცემული ამბავი განსახიერებულია ლექსში „ქართველი დედა", რომელშიც იგი დიდი შთამბეჭდაობით ხატავს გმირ პატრიოტ დედას. გმირ ქართველ დედას თათრების წინააღმდეგ ომში სამი შვილი გაუმგზავრებია. სამშობლოს ბედით დაინტერესებული დედა უმძაფრესი მღელვარებით ელოდება ცნობებს ქვეყნის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის შესახებ. გამოჩნდა შიკრიკი, რომელიც ტირილითა და ღრმა სამძიმრით იწყებს თხრობას ომში გმირულად დაღუპული შვილების შესახებ. პატრიოტი დედა შეაჩერებს შიკრიკს შემდეგი სიტყვებით:

..სუ!.. არ გკითხავ!
ჯერ მითხარი შენ ესაო:
თათრებს დარჩა გამარჯვება,
თუ ჩვენ ძლიერ მეფესაო?

და რა მოისმინა სასიხარულო ცნობა, რომ ქართველებმა:

ზარი დასცეს სერასქირსა,
არ მოსულა ჯერაც გონსა!
ქართველები ღმერთს მადლობენ,
ადიდებენ სოლომონსა!

მხოლოდ ამის შემდეგ გამოიკითხა შვილების ამბავი. პატრიოტ ქართველ ქალს, უპირველეს ყოვლისა, სამშობლოს ბედი აინტერესებს, ხოლო შემდეგ შვილები. და როდესაც გაიგო მისი ორი შვილის გმირულად დაღუპვის ამბავი, სახეზე ნაცრისფერგადაკრული, გულაძგერებული, წამწამებზე უნებლიეთ ცრემლშეჩერებული დედა სიამაყის გრძნობით ანთებული ამბობს:

. . . . . გამიზრდია
ქართველ ქალსა ქართვლის შვილი!
ეს ნაღველი დედისათვის
მწარე არის და თან ტკბილი!
მამულისთვის მიშობია,
მისი ჭირის სანაცვლოდო;
ქართველ დედებს ვალად გვაძევს,
ამ ჭირს უნდა გაეუძლოთო.

ქართველი დედა თავს ინუგეშებს. ამაყობს მისი შვილების გმირული თავგანწირვის გამო. ამასთანავე იგი სასტიკ გულისწყრომას, უსაზღვრო მწუხარებასა და სინანულს გამოხატავს, როდესაც გაიგებს საშუალო შვილის სამარცხვინო, უგუნური საქციელის შესახებ. დედა ამოყრილი ძუძუებით მწარედ

დასტირის მოღალატე შვილის უმსგავსო მოქმედებას და სასტიკად შეურაცხყოფილი მოსთქვამს:

ვაი, ლეჩაქს, შერცხვენილსა
ვაჰ ძუძუებს გაკიცხულსო,
ვაი დედას, თითქმის პირშავს,
რა მახვილი მეცა გულსო!

რამდენიმე წლის შემდეგ გენიოსმა ვაჟა-ფშაველამ უდიდესი შთამბეჭდაობით დახატა დედის განუზომელი მწუხარება და ვაება გამოწვეული სამშობლოს მოღალატე შვილის მოქმედებით. გამწარებული დედა მოთქვამს:

შვილო, სირცხვილი მაჭმიე,
ძუძუ დასწყევლე დედისა!
თვითონ შენა ხარ მწამლავი
თავის უბედო ბედისა („ბახტრიონი").

აკაკის მიერ ლექსებში დახატულია ქართველი დედის გმირული თვისება. ომში წასული ქმრისა და შვილების ამბის გამოკითხვამდე იგი შიკრიკს ჯერ სამშობლოს ბედზე ეკითხება: „ჩვენ გავიმარჯვეთ თუ მტერმაო", ხოლო შემდეგ გამოიკითხავს ქმრისა და შვილების ბრძოლის შესახებ. პოეტი ემყარება საისტორიო წყაროებში, კერძოდ „ქართლის ცხოვრებაში" დაცულ ცნობებს. იგი თითქმის ემთხვევა „ქართლის ცხოვრებაში" გადმოცემულ ისტორიულ ამბებსა და ერთგვარად ეხმაურება კავთისხეველი გლეხი ქალის სვიმონ მეფესთან შეხვედრის ეპიზოდს. გავიხსენოთ ეს ეპიზოდი: მეფე სვიმონ პირველი ომში დამარცხების შემდეგ სასახლეში ბრუნდებოდა. გზად დაიღალა და შემოაღამდა კიდეც სოფელ კავთისხევთან და იქ ღამის გასათევად შეჩერდა ერთი ღარიბი გლეხის ოჯახში. სახლში მარტოხელა დედაკაცი დარჩენილიყო, რადგან ქმარი სვიმონის ლაშქარში იბრძოდა. ქალმა მეფე ვერ იცნო. სტუმარს ჯერ გამოჰკითხა ომის, მეფის, ხოლო შემდეგ ქმრის ამბავი. სტუმარმა უპასუხა: მეფის არა რა ვიცი რაო და არც შენს ქმარს ვიცნობო. პატრიოტი ქალი ძლიერ შეწუხდა სამშობლოსა და მეფის მდგომარეობის გამო, მწარე ტირილი მორთო და სთქვა: ოღონდ მეფე კარგად იყოს და სანაცვლო იყოს მისთვის ჩემი ქმარიო. „ქართლის ცხოვრებაში" აღნიშნული ეპიზოდის შესახებ ვკითხულობთ: „მეფე სვიმონ მოვიდა კავთისხევს და მიადგა ერთისა კაცის სახლსა, რომელი იყო მდაბალი გლეხი, რამეთუ დამაშვრალ იყო და ითხოვა მისგან განსვენება. და გამოვიდა ქალი ერთი და ვერა იცნა, შეუძღვა და დააყენა კარგად, რამეთუ ქმარი მის ქალისა ლაშქარში იყო. რა ჟამს მოუმზადა სერი და მიართუა და იკმია მეფემან, შეატყო არლა-

რა ნდომა საჭმლისა მაშინ ჰკითხა ამბავი მეფისა და სპისა მისისა, თუ მეფე რა იქმნაო. ხოლო სვიმონ ესრეთ თქუა: „არა უწყი მეფისა თუ რა იქმნა“. და რაჟამს ესმა დედაკაცსა მას სიტყუა ისე, დიდად იწყინა და იმწუხრა და იტირა. და შემდგომად ამისა ჰკითხა ქმრისა მისისა, ნიშნეულად ანიშნა, რომე ამგუარი და ამისთანა კაცი იყო, და ის რა იქმნაო. მეფემან მისიცა უთხრა, არა უწყიო. მაშინ დედაკაცმან უთხრა, რომე თუ ღმერთმან იპრიანა და მეფე მორჩაო და ის მშჳდობით არისო, ჩემი ქმარიც იმისი ჭირის სანაცვლო იყოსო, და სხუანი, რომელნიცა მყვანანო, იგინიცაო. მაშინ დიდად იამა მეფესა სჯმონს სიტყვა ესე ერთგულებისა დედაკაცისაგან მისგან“. შემდეგში მეფემ, როგორც „ქართლის ცხოვრებაშია“ აღნიშნული, ეს გლეხი გააზნაურა და ახლა „არიან ქვლივიძენი“.[1]

ქართველი ქალი, აკაკის დახასიათებით, ყველა გრძნობაზე მაღლა სამშობლოს სიყვარულს აყენებდა. მისი სუნთქვა, სიცოცხლე, სიხარული და გულისძგერა მშობელი ქვეყნის კეთილდღეობასთან, ძლიერებასთან, დიდებასა და წინსვლასთან იყო განუყრელად დაკავშირებული. ქართველი დედისათვის სამშობლოსათვის თავგანწირვა ყველაზე დიდი და უკეთილშობილესი გრძნობა და მოვალეობაა. პოეტის აზრით, სწორედ ამიტომაც იყო, რომ საქართველო გადაურჩა მრავალგზის წასალეკად აბობოქრებულ მრისხანე ისტორიულ ავბედობას.

კარგად არის ცნობილი, რომ ქართველი ქალი ხმლით ხელშიც გამოსულა სამშობლოს დასაცავად. ლექსში „ბოდვა“ პოეტი გვიხატავს სიმშვენიერით მოსილ, ლამაზ ქართველ ქალს, რომელსაც ქმარი თათრებმა მოუკლეს, მამა არ ჰყავდა, ხოლო შვილები კი ჯერ მცირეწლოვანნი არიან და ოჯახს რომ სირცხვილი არ აჭამოს, თითონ გამოსულა ბრძოლის ველზე სამშობლოს ვალის მოსახდელად; მაგრამ ტყვედ ჩავარდა! ქალი შაჰს წარუდგინეს. ვით მრისხანე ანგელოზი, „ეშხით მოელვარე“ პატრიოტი ტყვე ქართველი ქალი შაჰ-აბაზს ეუბნება:

მამა არ მყავს!.. თათრის ომში
მოკლულია ჩემი ქმარი!..
შვილები ჯერ არ დაზრდილან...
მელა დავრჩი მეომარი.
მომეხადა უნდა ვალი:

---

[1] „ქართლის ცხოვრება“, ბერი ეგნატაშვილი ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II, გვ. 378; შდრ.: „ქართლის ცხოვრება“, II, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, 1854, გვ. 301-302; დ. ჯანაშვილი, ისტორიული სურათები, „ივერია“, 1882, გვ. 58-59.

მამაკაცის მაგიერად
მე ავიღე ხელთ ფარ-ხმალი...
ერთი ერთზე ვერ მიბედავ..
გუნდად ებრძვი ყოველ ქართველსl
ხომ ქალი ვარ, მაგრამ ერთი
მეც ვერ დამრევს თათარი ხელს.

გმირმა, მშვენებით სავსე ქართველმა ქალმა შეაგონა მრისხანე აგრესორს, ისეთი ქვეყნის დამორჩილება, სადაც ამგვარი ქალები იზრდებიან, უნაყოფო ოცნება იყო, და ბოლოს, მტერმა ხელი აიღო თავის პირვანდელ განზრახვაზე. ამ ქალის სიმამაცით მოხიბლულ-გაოცებული მტერი გულისწყრომას იოკებს და სისხლისღვრის შემდგომ გაგრძელებაზეც ხელს იღებს. შემდეგში დიდმა ვაჟა-ფშაველამ დახატა ანალოგიური გმირი ქართველი ქალის — ლელა ბაჩლელის უმშვენიერესი სახე: „ქალი ჰგავს სამოთხის ყვავილს, ნარწყავსა უკვდავებითა; ხორცშესხმულ სიყვარულსა ჰგავს აუწყველს უწყვებითა...“ ლელა ვარდია, ვარდის წყლით ნაბანი. ეს ციური ვარსკვლავი სამშობლოს სიყვარულით ანთებული მტერზე ჯავრის ამოსაყრელად მოვიდა ლაშქარში. მას ძმები თათრებმა მოუკლეს, მამა ლოგინადაა ჩავარდნილი და თათრებთან ომში თვითონ გამოვიდა და სამშობლოსათვის თავი დასდო. აკაკის ერთ-ერთი ლექსის მიხედვით, გმირი ქართველი ქალი, ბორკილებით ფეხშეკრული მძვინვარე შაჰ-აბაზს წარუდგინეს. იგი ზღაპრული სილამაზით იყო შემკული, მისმა მშვენიერებამ განაცვიფრა შაჰი და ვნებათაღელვით ააძგერა მისი გული:

თრთის ყველი ფერწასული,
ჰხიბლავს ქალის მას მშვენება,
მოეღელვა გულზე სისხლი,
აეშალა ვნებათ-ვნება,
და ტყვეს ჰკითხავს: „ჩვენება ხარ,
თუ ნამდვილი მინის შვილი?
თავს გვირგვინი გეკადრება
და რას ნიშნავს ფეხთ ბორკილი?

აკაკი განზრახ უსვამს ხაზს ქართველი ქალის სილამაზეს და გვიჩვენებს, რომ მშვენიერი, ცით მონაბერი სილამაზით დამშვენებული გმირი ქალი მხოლოდ ამ ციური ნიჭით კი არ გამოირჩევა, არამედ მისი სულიერი ელვარება დიდი პატრიოტული შთაგონების შუქითაა გაბრწყინებული და ორივე ერთად შეკავშირებული დიდების შარავანდედით განათებულია, რის მეოხებითაც ქვეყნისათვის თავდადებული, გალომებულ-გავეფხვებული აცვიფრებს მძვინვარე მტერს და სწრაფად ინადირებს მის გულს. როგორც ვხედავთ, აღნიშნულ ლექსებში აკაკი უმღერის

გმირ ქალებს, რომლებიც სამშობლოს სიყვარულით ანთებულნი ქვეყნის მტრების მიმართ უღრმესი სიძულვილის გრძნობით არიან შთაგონებულნი და სამშობლოს დაცვისა და თავისუფლების მოსაპოვებლად მზად არიან უყოყმანოდ გაწირონ თავი, გავიდნენ ბრძოლის ველზე და გააფთრებით ეკვეთონ მტერს. მათ აუცილებელ მოვალეობად მიაჩნიათ მამის, ქმრის და ძმების მაგივრად გავიდნენ ლაშქარში და ოჯახს სამშობლოს წინაშე სირცხვილი არ აჭამონ, შური იძიონ საზიზღარი აგრესორების ძალადობაზე და სამაგიერო მიუზღან მათ. ეს პატრიოტი გმირი ქალები შემკულნი არიან სულიერი მშვენებითა და ხორციელი სილამაზით. ამ სრულყოფილების ძალით ისინი იპყრობენ და ამარცხებენ მტერს.

პოეტი აღფრთოვანებულია გმირი დედის საქციელით და დიდების ჰიმნს უძღვნის მას. იგი აღიარებს, რომ დედობრივი გრძნობა უსაზღვროა და უძლიერესი, რომ დედა შვილისათვის დაუფიქრებლად გასწირავს თავს, რომ დედის შვილისადმი სიყვარული ზებუნებრივი, უძვირფასესი გრძნობაა. სწორედ მასზე ამბობდა ილია ჭავჭავაძე: დედობრივი სიყვარული უძლეველიაო, იგი მაღალი მთაა, „საცა მარტო ჭეშმარიტი დედა-შვილური სიყვარული ჰსადგურობსო“, „ჩემისად მაყურებელს თვალს დავიბრმავებ და შენისად მაყურებლითღა ვივლი და ვიცოცხლებო“, — ამბობს დედის გული. შვილის დაკარგვა აუტანელი და შემაძრწუნებელია დედისათვის, რასაც ხშირად დედის დაღუპვაც მოჰყვება ხოლმე. შვილის სიკვდილმა „გასტეხა“ რკინის დედაკაცი, ოთარაანთ ქვრივი, ეს ფესვმაგარი ხეც წამოიქცა... ეს გაუტეხელი დედაკაციც გასტეხა და გაანადგურა შვილის სიკვდილმაო. დედაშვილური სიყვარულის წარმოუდგენელი და ენით გამოუთქმელი გრძნობა ძალუმად ექსოვება სამშობლოს სიყვარულს. ქვეყნის გაჭირვების ჟამს დედური სიყვარულით მიაცილებს დედა შვილს პატრიოტული ვალის მოსახდელად. ყოველი ეს თვისება და გააზრება ახასიათებს აკაკის ლექსს „ქართველი ქალი“.

სამშობლოს ავბედობის ჟამს ყოველი პატრიოტი დედა ისტუმრებდა შვილს ბრძოლის ველზე შემოსეული მტრის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ომის გადასახდელად. იგი წინდაწინვე ზრდიდა და ამზადებდა შვილს ქვეყნის სასარგებლო ადამიანად და, საჭირო შემთხვევაში, მამულისათვის სამსხვერპლოდ. ამ დედობრივ ვალს იხდიდა ყველა, განურჩევლად მდგომარეობისა და პირობებისა. „პატარა კახში“ დედოფალი აცხადებს:

როგორც ქართველ ქალს, ჩემი ირაკლი
ქვეყნის სამსხვერპლოდ გამომიზრდია
და სხვა დედებთან მეც ერთად ჩემი
მოვალეობა გადამიხდია!
გადახდეს მასაც გადასახადი,
ქვეყნის სამსხვერპლო სესხი და ვალი!
და ჩვენც ღმერთს ვთხოვოთ: აუმჯობესოს
მისი ვარსკვლავი და მომავალი (VI, 152-153).

აკაკი, ისე როგორც ილია, ცხოვრებას დიდი რეალისტის თვალით უყურებდა. იგი უარყოფდა უნიადაგო ფანატიზმს, ფორმალიზმს, უსაფუძვლო ოცნებას. ერის ამ დიდმა მოამაგეებმა კარგად იცოდნენ, რომ სამშობლოს სიყვარული და დედობრივი გრძნობა ორივე „ციური ძალაა", ორივე კანონიერი, უაღრესად საპატიო, ძლიერი და დიადია. მათ წინაშე ყოველგვარი სხვა გრძნობა უძლურია. „დედა-შვილური და მამულის-შვილური სიყვარული, წერდა ილია, ორივე კანონიერია, ბუნებრივია, და მით ორივე დიდს გრძნობას წარმოადგენს ადამიანის ბუნებაში" [1]. მაგრამ პატრიოტი დედა სამშობლოს დიდებისათვის შვილის გაწირვით უდიდეს, ენით გამოუთქმელ მსხვერპლს იღებს და ეს შეწირვა დედობრივი სიყვარულის გრძნობისა ადვილი არ არის. იგი მეტად მტკივნეულია და დედას სიცოცხლის ფასად უჯდება. ამიტომ იყო, რომ დიდი ილია სამართლიანად აკრიტიკებდა ისეთ მწერლებს, რომლებიც მსუბუქად უყურებდნენ და აფასებდნენ დედობრივ სიყვარულს და ძალზე იოლად ხატავდნენ დედის მიერ სამშობლოსათვის უმძიმესი მსხვერპლის გაღებას.

ილია მკაცრად აკრიტიკებდა ა. ცაგარლის დრამას „ქართვლის დედას" იმის გამო, რომ მასში დედაშვილური გრძნობა სათანადოდ არ არის დაფასებული და დედა დახატულია რაღაც უგრძნობელ და გულქვა ადამიანად: „დედა-შვილურს გრძნობას, აგრე მოსალოდნელს, აგრე სასურველსა და საპატიოს მის გულში არავითარი ადგილი არ უჭირავს" — წერდა ილია. პიესის მიხედვით არ ჩანს, რომ დედის გულში ბობოქრობდეს „აფორიაქებულ გრძნობათა გრიალი ქროლვა... ბუდიდამ დაძრულ გულის ქარცეცხლისა, როდესაც „ძლიერს გრძნობას დედა-შვილურ სიყვარულისას წინ წარმოუდგა, თუ არ მეტი, არა ნაკლებ ძლიერი გრძნობა მამულის-შვილურ სიყვარულისა" [2]. დრამის ავტორის მიერ დედისადმი წინასწარ შეგონებული წარა-მარა განცხადება, რომ მე ქვეყ-

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული, ტ. III, გვ. 191.
[2] იქვე, გვ. 194, 191.

ნისათვის გაეზარდე ჩემი ხუთი შვილი და საქართველოსთვის ვაწოვე ძუძუო, ილიას დახასიათებით, ისე უგულოდ და განყენებულად არის წარმოთქმული, რომ „თითქოს დედა-შვილური სიყვარული ისე ცოტა რამ იყოს, რომ უომრად, უბრძოლველად ლაჩარსავით დაჰნებდეს, თუნდ იმისთანა დიდ-პატიოსანსა და დიდ-მშვენიერს გრძნობას, როგორიც, მამულის-შვილური სიყვარულია“ [1]. ალ. ცაგარლის დრამის ნაკლი ისიც იყო, რომ მასში არ იგრძნობოდა დედის მიერ გაღებული მსხვერპლის სიდიადე. დედა ყოველგვარი ტრაგიკული, უმძიმესი და უმწვავესი სულიერი განცდის გარეშე იმეტებს „ძნელად გასამეტებელს“ და ამიტომ აუფასურებს მის სიდიადეს და მაყურებელსა და მკითხველში არ იწვევს შესაფერის ზეშთაგონებას. ილიას სამართლიანი დახასიათებით „გაწირვა მაშინ არის დიდსულოვნების საქმე, როცა გამწირველი თითონ დიდს რასმე ჰკარგავს ამით, როცა ვხედავთ, რომ ამ გაწირვამ გულში ერთი უმთავრესი ძარღვი ჩასწყვიტა გამწირველსა, ერთი დიდი რამ დააკლო, ძნელად გასაწირი, ძნელად გასამეტებელი, ძნელად დასათმობი ადამიანისაგან“. და, როდესაც დედა-შვილური და მამულიშვილური სიყვარულის გრძნობები, ეს მეტად ძნელადგასაწირი და ძნელად გასამეტებელი დიდი გრძნობები, შეხვდნენ ერთმანეთს, რამდენადაც ერთიცა და მეორეც „ძნელად გასაწირია და ძნელად გასამეტებელი, იმოდენად თვით განწირვა დიდია, საპატიო და სახელოვანი“ [2].

ამგვარი შთაგონებითა და აზრითაა შექმნილი ილიას ცნობილი პოემა „ქართვლის დედა“. აქ უდიდესი სულიერი ბრძოლითაა აღბეჭდილი დედაშვილური და მამულიშვილური სიყვარულის გრძნობათა მძაფრი ჭიდილი. დედას უჭირს შვილის დათმობა, უჭირს მამულიშვილური ვალის მოუხდელობა. მას არც ერთის გაწირვა და შეწირვა არ სურს. მაგრამ დიდი შინაგანი ბრძოლის შემდეგ დედა ძნელად გასამეტებელს დედაშვილურ გრძნობას სწირავს ასევე ძნელად გასაწირ მამულიშვილურ გრძნობას. მაგრამ გამწირველის გულში ცხოვრებისკ უმთავრესი ძარღვი წყდება და მოხუცი დედა ამთავრებს სიცოცხლეს. მისი უკანასკნელი სიტყვებია:

ვაიმე, შვილო!.. შენს წასვლასთან მიქრება ალი
ჩემის სიცოცხლის... უშენოდა ძნელია ყოფნა...
დიდ ხანს ებრძოდა შვილის ტრფობას მამულის ვალი,
ვალმა აჯობა, მაგრამ ძვირად დამიჯდა ჯობნა.
სულიც ამომდის... არ ყოფილა ძნელი სიკვდილი,
როცა შენ შენი აღასრულე... მამული... შვილი! (I. 157)

[1] ილია ჭავჭავაძე, ტ. 3, გვ. 192.

[2] იქვე, გვ. 192.

ასევე რეალისტურად და ცხოვრებისეულად არის შთაგონებული აკაკის მიერ ქალთა და დედათა სახეები. მამულიშვილური და დედაშვილური სიყვარულის გრძნობით ანთებული დედები უდიდესი მღელვარებით მიაცილებენ შვილებს ბრძოლის ველისაკენ, ამაყობენ და ცოცხლობენ შვილის გმირობით, მაგრამ უბედურების შემთხვევაში ყოველივე ეს, გარკვეულ პირობებში, სიცოცხლის ფასად უჯდებათ.

პოეტის რწმენით, კეთილი და ჭეშმარიტი დედაკაცის ღირსება არის ერთგული ცოლობა, „ეს არის მისი უმაღლესი დანიშნულება“ [1]. მაგრამ აკაკის აზრით თანამედროვე ცოლები ამ მაღალ დანიშნულებას ვერ ასრულებენ. ისინი გადასული არიან მუქთახორობაზე, ფუქსავატ ცხოვრებაზე, ფუფუნებით ჩაცმა-დახურვაზე. ამგვარი ქალების მისამართით პოეტი სინანულით წერდა: ცოლობას იმაში ხედავენ, რომ „სთხოვენ ქმრებს, რომ შეძლებაზედ მეტათ შეინახონ, ასვან, აჭამონ, ჩააცვან, დაახურონ, იშრომონ და ისინი კი არ გასაჯონო“ [2].

შემდეგი ღირსება და მთავარი მოვალეობა ქალისა, აკაკის აზრით, არის შვილების აღზრდა, ე. ი. დედობა. ეს ვალი შვილების თავდაპირველი აღზრდისა, აწევთ დედებს, მაგრამ დედობა მარტო იმით კი არ გამოიხატება, რომ დედებმა შვილი მუცელში ატარონ, შემდეგ შობონ, ძუძუ აწოვონ და იზრუნონ მის ფიზიკურ აღზრდაზე. ამგვარი დედები ასრულებენ მხოლოდ ბუნების მოთხოვნებს. „ამგვარ დედობრივ ღირსებას, წერს აკაკი, არც პირუტყვები არიან მოკლებულნი“. ნამდვილი დედობრივი ღირსება ის არის, რომ „მათ უნდა დაუდგან შვილებს განათლების საფუძველი... ღირსი დედა წვრთნის შვილს და ზრდის მის სულიერ მხარესაც“, მაგრამ „ჩვენში ძვირად იპოვება დედა ამ ღირსებით აღჭურვილი“ [3] — აცხადებს აკაკი .

პოეტს აწუხებდა თანამედროვე დედებში შვილების აღზრდის გაბატონებული მავნე წესი, როცა დედები შვილებს მხოლოდ გარეგანი, კერძო სარგებლიანობისა და საკუთარი ბედნიერების მოპოვების სულისკვეთებით ზრდიდნენ, „საკაცად-კაცო“ ღირსება დაუვიწყებიათ და ამის გამო დედის რძესთან ერთად თან შეაწოვებენ ხოლმე ამ სასურველ და სანეტარო, მათის აზრით, ბედნიერების ძებნის სურვილს. ასეთი დედები პოეტის

---

[1] აკაკი წერეთელი, ტ. XI, გვ. 40-41.

[2] იქვე.

[3] იქვე.

ფიქრით „უნებურათ მტრობენ თავიანთ ნაშობელს“[1]. დედობის ამგვარი გადაგვარებისა და დაცემის საპირისპიროდ აკაკი მოაგონებს თანადროულ დედებს ძველი ქალების მიერ შვილების აღზრდის სახელოვან ტრადიციას, როდესაც დედები თავის შობილთ, პირველ რიგში, ქვეყნის გმირებად ზრდიდნენ და სიხარულით შეჰქათქათებდნენ სამშობლოსათვის სასარგებლო, მისი ღირსებისათვის შეუდრეკელი მებრძოლი შვილების აღზრდას. თუ თანადროული დედები საკაცად-კაცო ღირსებას ივიწყებდნენ და დედის რძესთანვე საკუთარი, პირადი ბედნიერების სურვილს თან შეაწოვებდნენ, ძველი ქართველი დედები „შვილებს მამულს უზრდიდნენ, დედის რძესთან ერთად მამულის სიყვარულს თან აწოვებდნენ მათ, გმირებათ ზრდიდნენ, და აკვნის რწევის დროს, ნანინათ მათ წინაპრების გმირულ თავგანწირულობას უმღერდენ![2] „და მით აჩვევდნენ საგმირო საქმეებს“. „მწიგნობრობაც მათ ხელში იყო, საერო რაც იყო, იმ დროში იცოდნენ და საღმრთოზედ რაღა თქმა უნდა... ამგვარათ გონებანავარჯიშები და საქმე გამოულეველნი ზნეობით სიმაღლემდე აღწევდნენ“[3] პოეტი ხედავდა, რომ თანადროული ქალები ფუქსავატ ცხოვრებას ეწეოდნენ. მშვენიერი, სილამაზით გაბრწყინებული ქალები, რომელზედაც იტყვის კაცი: „განგებას მგონია ამათზე მშვენიერი არა შეუქმნია რაო“, სრულიად არ აქცევდნენ ყურადღებას „სახლის მოვლას, შვილების გაზდას, ძველი და ახალი ისტორიული ამბების წაკითხვას“. ისინი სრულიად უცოდინარი და უსწავლელნი არიან. მათ თამარ მეფის პორტრეტი სახლში ჰქონდათ, მაგრამ „მისი ისტორია ვინ და რა იყო, ძვირად იცოდნენ. ეს ქალბატონები თანადროულ ლიტერატურასაც არ იცნობდნენ, „ცისკარსაც“ კი არ კითხულობენო“.[4] ასეთ ქალებს, ცხადია, შვილის აღზრდა და განვითარება არ შეეძლოთ, და ამისათვის არც იწუხებდნენ თავს. ქალების ამგვარი გონებრივი დაქვეითება და დაკნინება სამარცხვინო მოვლენად მიაჩნდა პოეტს, რის გამოც მათ ხშირად კიცხავდა და თანვე მოაგონებდა გარდასულ დროთა მოწინავე ქალებს. „ძველ დროში, წერდა აკაკი, ქართველს ქალს ძვირათ იპოვიდით ჩვენში, რომ არ ყოფილიყო განსწავლული საღმრთო-საეროზედ; იცოდნენ ქართული ზედმიწევნით, იყვნენ კარგი მოსაქნარნი და მეოჯახეები; მათი გონება მუდამ გართული იყო

[1] აკაკი წერეთელი, ტ. XI, გვ. 40—41.
[2] იქვე, გვ. 309.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 12.

რიგიან საქმეებში და ახლა კი ძვირად იპოვება საქართველოში დედაკაცი ამ ღირსებით სრული"[1]. თხზულებაში „ჩემი თავგადასავალი" პოეტი ხატავს თავისი დედის სურათს და შიგ ტკბილი გრძნობით აქსოვს საყვარელი დედის თვისებებს, ზედმეტი არ იქნება მოკლედ გავიხსენოთ აკაკის დახასიათება: „დედაჩემი დიდი ძველებური ოჯახის ასული იყო... მასზე დიდი გავლენა იქონიეს ევროპულად განათლებულმა და გონებაგანვითარებულმა მეცნიერებმა: მათი მეოხებით შესწავლილი ჰქონდა, სხვათა შორის, ექიმობა და მეურნეობა, რაც კი იმ დროში ქართველ ქალის ხელიდან გამოვიდოდა, ყველაფერი ზედმიწევნით იცოდა: იყო კარგი მწიგნობარი, მეოჯახე, მოხელესაქნარე და ამასთანაც კარგი აღმზრდელი. პოეტი კარგად გრძნობდა, რომ ყველა თანადროული ქალი არ იყო გადაგვარებული და დაკნინებული, „მე ვერ მოგახსენებთ, რომ ახლანდელ დროში ჩვენში ქალები ყველა ამგვარი იყონ! — ზოგნი დიახ ღირსნი დედაკაცები არიან, რომლების რიცხვშიდაც, ჩვენის აზრით, ერთი უპირველეს ადგილთაგანი უჭირავს კ. ბ. ჯორჯაძისა"[2]. მისი წერილებიდან კარგად მოჩანს, რომ იგი კეთილად ამოქმედებს თავის გონებას და განჭვრეტაც საგნების რიგიანი და მართალი აქვსო. მაგრამ ამით პოეტი სრულიადაც არ უარყოფდა, დროთა ვითარების გამო, თავადაზნაურთა, ვაჭართა წრის ქართველ ქალთა დიდი უმრავლესობის გადაგვარებას. რომ მათი უმეტესობა მშობლიურს არაფერს სწავლობდა, არც კითხულობდა და არც რაიმე ლიტერატურულ-სასარგებლო შრომას ეწეოდა, მიუხედავად იმისა, რომ „ხშირათ არიან ჩვენ ქალებში მისთანა ნიჭიერნი, რომელთაც კარგი თხზულების დაწერა გარკვევით და საამოთ მკითხველთათვის შეუძლიანთ[3]. მაგრამ ქვეყნისათვის ამ კეთილშობილური მოღვაწეობის ნაცვლად ისინი უბრალო გართობით არიან გატაცებული. აკაკი ნიჭიერი ქალებისაგან მოითხოვდა ჩვენი ლიტერატურისათვის ზრუნვას, მასში აქტიურ მონაწილეობას. პოეტი მოელოდა, რომ ქართველი ქალები განათლების გზას დაადგებიან, დაგმობენ უმეცრებას და გულმოდგინებით „მიაქცევენ ყურადღებას ქართულ წიგნებზე, ძველს და ახალს თხზულებებზე"[4]. გაიცნობენ წარსულსა და ახალ მიმდინარეობას, დაიწყებენ გაცხოველებულს მსჯელობას, შეუდგებიან მოღვაწეობას და

[1] აკაკი წერეთელი, ტ. XI, გვ. 42.
[2] იქვე, გვ. 62.
[3] იქვე, გვ. 11.
[4] იქვე, გვ. 12

მით სიამაყის გრძნობას მოჰფენენ საზოგადოებას. დიახ, ამ იმედით არის შთაგონებული პოეტი, მაგრამ სინამდვილეში კარგად ხედავდა, რომ „მაღალი ფენის“ ქალთა უმრავლესობა არ ასრულებდა თავის საპატიო მოვალეობას ქვეყნისა და ხალხის წინაშე, მეუღლისა და ოჯახის მიმართ, რომ ათასში ერთ ქალს ვერ მიჩვენებთო, რომ „ქართულათ რამეს კითხულობდეს და რომ თვითონაც სწერდესო“ [1].

აკაკი მკაცრად აკრიტიკებდა მისდროინდელ გადაგვარებულ ქალებს, რომლებიც მხოლოდ მეჯლისებით, ლოტოს თამაშით, მოდებითა და სხვა უშინაარსო მისწრაფებებით იყვნენ გატაცებულნი და საზოგადო-სასარგებლო შრომას არ ეწეოდნენ, არც საჭირო განათლება ჰქონდათ და არც მაღალი გრძნობებითა და იდეალებით საზრდოობდნენ. „ამდროულს ჩვენს ქალს, წერდა პოეტი, უკიდურეს ტრაგიკულ მწუხარებათ ის მიაჩნია, თუ სადმე მეჯლისში ვერ წავიდა და კადრილი არავინ ეტანცავა. მისი სული მხოლოდ მაშინ შეძრწუნდება, თუ სხვა ქალის ტანზედ უკეთესი კაბა დაინახა და გულიც მაშინ აუღელდება, თუ ქმარმა ლოტოს სათამაშოდ არ გაუშვა“ [2].

აკაკი მწუხარებით მიუთითებდა, რომ მისდროინდელი ქალები უკუღმართმა ცხოვრებამ გასთელა, დასცა და დაამონა. სოციალური და ეროვნული ჩაგვრის გამწვავების შედეგად მშრომელი ქალი, ისე როგორც მამაკაცი, სასტიკი ექსპლუატაციით გაჩანაგებული, უუფლებო, განათლებას მოკლებული, დაბეჩავებული და უმწეო პირობებში იყო. თავადაზნაურული და ბურჟუაზიული წრის ქალთა უმრავლესობა კი გადაგვარების გზას დაადგა, დაჰკარგა სამშობლოს, ოჯახისა და მეუღლისადმი ერთგულება, სიყვარული და პატივისცემის გრძნობა და ფუქსავატური დროსტარებით გატაცებული გაჰყვა მცონარობას, ბიწიერებას, უზნეო, უშინაარსო ცხოვრებას, და სრულიად დაივიწყა სახელოვანი ქალის ბრწყინვალე ტრადიციები. ამით აღშფოთებული მგოსანი წერდა:

> ჰეი! ჰეი! ვეღარ ვხედავთ
> დღეს ძველებურ ქართველ დედებს,
> მათ მაგიერ მომავალზე
> ვეღარავინ გვაიმედებს („ბოდვა“).

პოეტის დახასიათებით, გადაგვარებულმა ქალებმა გულიდან ამოიგდეს შვილების ღირსეულად აღზრდის მოვალეობა. ასეთი გარეწარი ქალი „მიჰქრი-მოჰქრის და ფარფაშობს! აღარ ახსოვს მას ოჯახი, არც იგონებს ქმარს და ნაშობს“ („ბოდვა“).

---

[1] აკაკი წერეთელი, ტ. XI, გვ. 47.

[2] იქვე, გვ. 215.

თანადროული გადაგვარებული ქალი ქვეყნისა და ხალხის ინტერესებზე მაღლა საკუთარ, პირად სიამოვნებასა და მისწრაფებას აყენებდა, აბუჩად იგდებდა სამშობლოსა და ხალხს. გადაგვარებული ქალი მოურიდებლად აცხადებდა:

მე ჩემი დღე და სოფელი
უნდა დავლიო ბალებში!..
მომწონს კალინა მალინა
მძულს ვარდები და იაო
სამშობლო რასა მიქვიან,
მეწყურსაც წაუღია.

ამგვარი გადაგვარებული თანადროული ქალების შესახებ პოეტი წერდა: „დღეს კი, როდესაც დროთა ვითარებამ დაგვა-მუხლისთავა, რაღას უნდა ჰხატავდეს ჩვენი ქალების სახე, თუ არა წვრილმან გრძნობებს? და რაღა უნდა იხატებოდეს მათს თვალებში, თუ არა ცალ-ფეხი ჭკუა? და ამგვარად აღჭურვილებმა ვინ უნდა გააკეთილ-შობილონ? ვის უნდა აუძგერონ გული? ვინ ააღელვონ? და ვინ იქნება, რომ მათ სახელობაზე სიკვდილი კი არა, სიცოცხლე ინდომოს?.. მათში მშვენიერება ფუჭიაl.. მათი ვინაობა-არაფერია". [1] თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული წრის თანადროულ გადაგვარებულ ქალთა საპირისპიროდ აკაკი წერდა: „აბა სად-ღა არიან ის დედები, ის დები და ქალები, რომელნიც თან თავზედ ბაირაღებსავით ლეჩაქ-ფრიალით, პირველ რაზმში იდგნენ და თავისუფალ ცხოვრებაში პირველ ბიჯს ადგამდნენ? მათი გამომეტყველი სახე და მათი ფიქრმოსილი თვალები ჯაბანთაც კი ალომგულოვანებდნენ. ქალების გადაგვარება ძლიერ აწუხებდა პოეტს. აკაკის ღრმა რწმენით „ქალია ქვეყნის მარილი, მისი ბარომეტრი და გვირგვინი". და მისი ამაღლება, განვითარება, ყოველგვარი ჩაგვრისაგან განთავისუფლება, სახალხო, სახელმწიფო და საოჯახო საქმეებში აქტიური მონაწილეობა, მაღალი პატრიოტული შთაგონება და ზნეობრივ-მორალური სიწმინდე უდიდეს სამსახურს გაუწევდა ქვეყანას, ხალხის წინსვლასა და გამარჯვებაში. კეთილი მომავლის დამკვიდრებაში. პოეტის აზრით „საკეთილო ნიშნები მომავლისათვის ქალებში მეტია, ვიდრე ვაჟებში და რადგანაც ქალები, „ხალხის ზნეობრივი ბარომეტრები არიან, დავარდნილ საზოგადოებაში ყველაზე პირველ ეცემიან ქალები და ხალხის გამოფხიზლების დროსაც პირველი ნიშნები მათში იხედებიან". [2] ამიტომ საჭიროა განსაკუთრებული მზრუნველობა გამოვიჩინოთ ქალთა მიმართ და ვიზრუ-

[1] აკაკი წერეთელი, ტ. XI, გვ. 499.
[2] იქვე, გვ. 368.

ნოთ მათი ზნეობრივ-მორალური და მოქალაქეობრივი ცხოვრების ამაღლებისათვისო. „ქალები! ქალები! და კიდევ ქალები!!! მოუწოდებდა პოეტი, ჯერ ისინი უნდა დავაყენოთ ღვთისა და კაცის სასიამოვნო და სასარგებლო გზაზეო", „გავხსნათ ქალებისათვის საქალებო შკოლები". აკაკი დიდი მოწონებით შეხვდა თელავში ახალგაზრდა ქალების მიერ ღარიბ-ღატაკთა შვილებისათვის უფასო სკოლის გახსნას. რომელშიც ასწავლიდნენ მშობლიურ და უცხო ენებს, აგრეთვე, ხელსაქმესა და მეოჯახეობას. პოეტი დიდ იმედს ამყარებდა აღნიშნულ სკოლაზე და ფიქრობდა, რომ იქ გაზრდილები მომავლის ღირსეული წევრები იქნებიანო. „ერთი მცირე რამ შევნიშნე თელავში, წერდა აკაკი, რომელმაც გული გამიმთელა და აღმაფრთოვანა მომავლის იმედით: აქ, ახალგაზრდა ქალებს, ოჯახის შვილებს ნაცვლად იმისა, რომ სხვებსავით მაღალ ფარდებში იფარფაშონ, ხელი მოუკიდიათ პატარა საქმისათვის: გაუმართავთ უსასყიდლო შკოლები ღარიბ-ობლებისათვის, სადაც ასწავლიან ხელსაქნარს, მეოჯახეობას, უცხო ენასთან ერთად მშობლიურსაც და დროს შესაფერად და საკადრისად სწორ გზაზე აყენებენ მათ; ამისთვის არ ზოგავენ არც ხარჯსა და არც შრომას. უეჭველია, განაგრძობს პოეტი, რომ აქედან გამოვლენ ის დედები, რომლებიც ჩვენ გვენატრება და მერე მათი გაზდილი შვილებიც ღირსი წევრები იქნებიან მომავალი, სანატრელი ახალ-თაობისო". საქმიან, მშრომელ, დარბაისელ, ნამდვილ ქართველ ქალებს, რომელთაც ჯერ არ დაჰკვრიათ, „ზამთრის სუსხი" და ზნეობრივად კვლავ მაღალი და სულით სპეტაკები დარჩენილან პოეტის აზრით, არიან სოფლის მშრომელი ქალები. იგი წერდა: „სოფლიდან ამოსულმა ქალებმა გამაკვირვეს... ყოველ ქალს თავის ხელით შეკერილი და ოქრომკედით ნაკერ-ნაქსოვი ტანისამოსი აცვია", ბევრი მათგანი „ღამეებსა სტეხს და ისე კერავენ". ამ ღირსებასთან ერთად აკაკი აღფრთოვანებულია იმით, რომ სოფელში გაზრდილი ზოგიერთი ქალები, ხელსაქნარობის გარდაც, ქართულის ცოდნით და ნიჭიერის წერაკითხვით იჩენენ თავსო.

აკაკის რწმენით, საზოგადოდ ქალები უკეთესად შეასრულებენ ქვეყნის მოწოდებას, ვიდრე მამაკაცები. ეს გარემოება ყველამ უნდა გაითვალისწინოს, უნდა იბრძოლოს ქალთა ცხოვრებისა და მდგომარეობის გასაუმჯობესებლადო. „ქალები, წერდა აკაკი, საზოგადოდ კაცებზე უფრო კარგები არიან ყველგან და განსაკუთრებით ჩვენშიო".[1]

[1] აკაკი წერეთელი, ტ. 13, გვ. 542.

პოეტს ძლიერ აწუხებდა ის გარემოება, რომ მისდროინდელი ქალები არ ჰგავდნენ რუსთაველის მიერ გენიალურად დახატულ გმირ ქალებს: ნესტან-დარეჯანსა და თინათინს, რომლებიც როგორც „მომავლისა და წარსულის დროის დედები უცნაურად და საკვირველათ გამოუხატავს რუსთაველს თავის უკვდავ „ვეფხის-ტყაოსანშიო". [1] ნესტან-დარეჯანი და თინათინი კი პოეტის დახასიათებით დიდი პატრიოტები, უებრო მიჯნურები, გაბედული, პირდაპირი, უშიშარი, ბრძენი გაზომილად და გამოანგარიშებულად მოქმედნი, უაღრეკად მაღალი სულიერი და ხორციელი მშვენებით სხივმოსილი გმირები არიან. ეს იდეალური გმირი ქალები თავიანთ მიჯნურებს შთააგონებდნენ სამშობლოს ბედნიერებისათვის თავდადებულ მოქმედებას და ეუბნებოდნენ: „წადით ჯერ ქვეყანას ემსახურეთ, გვიჩვენეთ ჩვენცა საქმენი საგმირონი და მაშინ მოდით, პირნათლად შეგვეყარეთ და შეგეყრებითო". [2] აკაკი მწუხარებით აღნიშნავდა, რომ „დღევანდელი ჩვენი ქალები ადრინდელის აჩრდილიც არ არიან" (XIII, 297), და საუბედუროდ შეძლებული წრის ქალებში „ძალიან გამრავლდნენ თინიები და აღარ ჰგვანან იმ თინათინებს, რუსთაველმა რომ დაგვისურათაო". შრომას არ კადრულობენ, საზოგადოებრივ ასპარეზზე არ გამოდიან და მათ აღსარებას წარმოადგენენ: „ჩამაცვი, დამხურე, მალხინე, მაფარფაშეო" [3].

პოეტი დარწმუნებული იყო, რომ ქართველი ქალები განათლებისა და საქვეყნო მოღვაწეობის იმდენად მაღალ საფეხურზე ავლენ, რომ დიდ სამსახურს გაუწევენ ქვეყანას, ჩადგებიან სამშობლოს განთავისუფლებისათვის მებრძოლთა მოწინავე რაზმში და ქვეყანას პირველნი აუწყებენ ჩაგვრის, ძალადობის დასასრულსა და თავისუფლების გამარჯვებას. იგი წერდა: ჩვენს ქვეყანას „ნიშნად განთავისუფლების მოახლოებისა და უგუნურების წარღვნის გათავებისა... ქალებმა უნდა მოიტანონ ზეთისხილის რტო, ჩვენი ქვეყანა ჩვეულია ამგვარ ამბებს".

აკაკი ხშირად მიუთითებდა წარსულის მაგალითებზეც და წერდა:

„საქართველოს ცხოვრებაში ქალებს თუ მეტი არა, კაცებზედ ნაკლები ღვაწლი არ მიუძღვისთ... ვალდებულია ისტორია, თუ არ უკეთ, ნაკლებ მაინც არ უნდა მოიხსენიოს ქალები

---

[1] აკაკი წერეთელი, ტ. 12, გვ. 107.
[2] იქვე, გვ. 108.
[3] იქვე, გვ. 329.

კაცებზედ“ [1]. ამას იმ დროს მიუთითებდა პოეტი, როდესაც ჩაგვრის მძვინვარების პირობებში ქალი სასტიკად დაბეჩავებული და უუფლებო იყო.

ქალთა გმირული შთაგონების განზოგადებისას აკაკი ხშირად მიუთითებდა: „ცოლები გვერდში უდგნენ ქმრებს და ამხნევებდნენ: მეც თან წამიყვანე, რომ შენი ჭირი და ლხინი გავიზიაროო! მე ქუდს დავიხურავ და ლეჩაქს კი მამაკაცებს მოვახვევ, თუ სადმე ლაჩრები გამოჩნდებიანო“ [2].

ქართველ დედებს მართლაც რომ „ერთი საზრუნავი და საფიქრალი ჰქონდათ — სამშობლო და მის მეტი არა აგონდებოდათ რა“. [3] სამშობლოს მტრებისადმი ღრმა სიძულვილის გრძნობით შეპყრობილი ქალები საარაკო გმირობით იბრძოდნენ თავიანთი მიწა-წყლის დასაცავად. მათი საგმირო საქმეები თაობიდან თაობას გადაეცემოდა, როგორც საშვილიშვილო საარაკო თავდადება და ვაჟკაცობა. „საქართველოს ისტორიის შესწავლა, წერდა აკაკი, თვალდათვალ დაგვანახვებს, რომ ჩვენს წარსულ ცხოვრებაში უმეტესი ღვაწლი მიუძღვის დედათა სქესს. ჭირში თუ ლხინში, შინ თუ გარეთ ცხოვრების მანქანა მათ ხელში ყოფილა და ჯარაც მათ უტრიალებიათ. სამშობლოსათვის თავის განწირვა... ჩვეულებრივი ყოფილა. ათას და ათიათას მაგალითებიდან ერთიც რომ მოვიყვანოთ, საკმაო იქნება. მარაბდის ომში, სადაც ცხრა ძმა ხერხეულიძე მედროშენი ერთს დღეს მოიკლა, უკანასკნელ შვილს, მომაკვდავს ჩამოართვა ხელიდან ბაირაღი მოხუცმა დედამ... იმ დროს სძლია ქართველმა ქალმა დედობას და თვითონ წაუძღვა წინ ქართველ ჯარს“ [4].

პოეტი ხშირად აღნიშნავდა, რომ ქალები ომის დროს ქმრებს, ძმებსა და მამებს გვერდში უდგნენ და ამხნევებდნენ მრავალრიცხოვანი აგრესორების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში. მრავალთა შორის საკმარისია დავასახელოთ „პატარა კახი“.

სასტიკი ომის დაწყებისას დედოფალი მეფეს ევედრებოდა, რათა შეუსრულოს თხოვნა: „რომ შვილის მახლობლად დავრჩეო“. ამასვე თხოვს მეფეს ქალთა სახელით პიესის მოქმედი პირი ელენე:

---

[1] აკაკი წერეთელი, ტ. 12 გვ. 140—141.

[2] აკაკი წერეთელი, ტ. 14, გვ. 486.

[3] იქვე, გვ. 485.

[4] აკაკი წერეთელი, ტ. 12, გვ. 106.

დიდო ხელმწიფეო, ჩვენც გადავწყვიტეთ,
რომ აქვე დავრჩეთ ყველა მახლობლად,
ჩვენის ქმრების და ჩვენის შვილების
სანუგეშოდ და გასამხნევებლად („პატარა კახი").

როდესაც ომის ქარცეცხლში გარშემორტყმული ირაკლის უაღრესად სახიფათო მდგომარეობა შეიტყვეს ქალებმა, ლეჩაქები მოიხადეს და გაეშურენ ომის ცეცხლის ხაზზე შემდეგი შეძახილებით: წავიდეთ ყველა ჩვენ ძმებთან, ქმრებთან და ჩვენ შვილებთან, რომ მათი ბედი გავიზიაროთო. ანალოგიურ შემართებასა და გმირობას იჩენენ დედოფალი და მისი მხლებელი ქალები „პატარა კახის" პროზაულ ვარიანტში „ირაკლი ბატონიშვილი". ქალები ერთხმად აცხადებენ: ჩვენ დიდი ხანია ერთპირად კიდეც გადავწყვიტეთ, აქვე დავრჩეთ მახლობლად, სადაც ჩვენები იქნებიან. დეე, ჩვენი სიახლოვით სიმხნე გაუორკეცდესთ ჩვენს ქმრებს, ძმებს და შვილებს, და ჩვენი შეხედვით გაიმსჭვალონო. დიდი პოეტის მიერ დახატული მოვლენები გარკვეულად ეხმაურება „ქართლის ცხოვრებაში" გადმოცემულ ისტორიულ ცნობას, რომ სვიმონ მეფემ ოსმალთა მრავალრიცხოვანი ჯარების წინააღმდეგ საბრძოლველად „შემოიკრიბნა სპანი და თვისთა წარჩინებულთა ცოლნი მოიყვანნა, წარიყვანა დედოფალი და იგინი და აღვიდა ლილოსა ზედა". ხოლო, როდესაც გაჩაღდა ბრძოლა „მიეტევა მეფე სპითა თვისითა და „სჭვრეტდენ ჯარნი ქალთა-ჯალაფთანი, მოსწყვიტნა და აოტნა ოსმალნი".[1]

ქალთა მიერ გამხნევებულმა ქართველმა მეომრებმა, რომელთაც სასტიკად დაამარცხეს მტრის ურიცხვი ჯარი, ეს გმირობა ჟამთააღმწერელის ყურადღების საგნად აქციეს. აკაკის აღნიშნული შეხედულებაც ძველი ქართველი ქალების შესახებ ემყარება „ქართლის ცხოვრების" ცნობებსა და სხვა ისტორიულ წყაროებს.

ძველი ქალების დამსახურებად პოეტი თვლიდა მათ თავდადებულ მონაწილეობას ქვეყნის საშინაო და საგარეო —

---

[1] „ქართლის ცხოვრება", დ. ჩუბინაშვილის გამოც. II, 1854, გვ. 30. შდრ.: „ქართლის ცხოვრება", ბერი ეგნატაშვილი, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, 1959, გვ. 373. აქ დაბეჭდილია ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება", რომელშიც ჩვენთვის საინტერესო ტექსტი ასე იკითხება:

„უყურებდენ დედოფალი და დარბაისელის ცოლები". ხოლო აქვე, გვ. 528 დაბეჭდილ „ახალი ქართლის ცხოვრების" მესამე ტექსტში წერია: „და უქვრეტდეს თვით დედოფალი და დარბაისელთა ჯალაბნი თუალითა"; შდრ.: დიმ. ჯანაშვილი ისტორიული სურათები, „ივერია", 1882 წ., № 10, გვ. 56.

„საპოლიტიკო ასპარეზზე". აკაკის დახასიათებით, ქალები ხელს უწყობდნენ სამშობლოს ძლიერებას, მისი ავტორიტეტის ამაღლებას და მეზობელ ქვეყნებთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებას. პოეტი, ისტორიულ წყაროებზე დამყარებით, თავის პუბლიცისტურ სტატიებში ქებით იხსენიებს ძველ მოღვაწე ქალებს, მათ შორის: დავით აღმაშენებლის ძმისწულს თამარს, რომელიც მთელს მცირე აზიაში ყოფილა განთქმული და „გურჯთ-ვექილ-ვექილ თამარად წოდებულ" ბურდუხანუმს, გიორგი III-ის დას, თამარ მეფის მამიდასა და აღმზრდელს. კრავაი ჯაყელს, ხოშაგ ცოქალს, ვახახის (XIV, 574-575), მარიამ დედოფალს, როსტომ მეფის მეუღლეს, რომელიც სულითა და ხორცით სამშობლოს ემსახურებოდა (X, 449).

მრავალ პატრიოტ ქალებთან ერთად აკაკიმ საგანგებოდ აღნიშნა ჯაფარიძის ქალის ღირსება: „თუ სხვა ერს ჰყოლია გამოჩენილი ქალები, წერდა პოეტი, არც საქართველო იყო ღარიბი სასიქადულო დედებით, მაგალითისათვის მოვიგონოთ მზეხათუნ ჯაფარიძის ქალი, რომელიც ყოველგვარი სილამაზით იყო დაჯილდოებული ბუნებისაგან: მრავალი ყმაწვილი ცდილობდა მის ქმრობას, მაგრამ მზეხათუნი ყველას უარს ეუბნებოდა, ბოლოს მზეხათუნს მოეწონა ერთი ყმაწვილი და უთხრა: ყოველგვარი ღირსება გაქვს, მაგრამ ერთი რამ გაკლიაო, სანამ შენში არ დავინახავ იმ ღირსებას, მანამ ვერ შეგირთავო". ყმაწვილმა მონაწილეობა მიიღო ასპინძის ომში, სადაც... სხვა თავგანწირულ მამულიშვილებთან ერთად, ეს ყმაწვილიც საშინლათ იქნა დაჭრილი და დასახიჩრებული. რასაკვირველია, ყმაწვილი ამის შემდეგ ვერ გაბედავდა დანახვებოდა მზეხათუნს და ყოველი იმედი იმის შერთვისა დაჰკარგა; მაგრამ მზეხათუნმა დაიბარა ის თავისთან და შემდეგი სიტყვებით მიმართა: აი ეს ხაზი გაკლდა სახეზე და ახლა კი შეგირთავო [1].

პოეტი სიამაყის გრძნობით აღნიშნავდა ქართველი ქალების საარაკო გმირობას, მიუთითებდა, რომ საქართველოში „ივდითებიც" ცოტანი არ ყოფილან და, მართალია, ეგებ ბიბლიურ ივდითივით ქვეყნის გამოსახსნელათ თავი არ მოუჭრიათ ონოფრეებისათვის, მაგრამ საქართველოს დასაღუპავათ შახებსა და სულთნებში აღძრულ სურვილებისათვის კი ბევრჯერ მოუკვეთიათ თავი მათი საკუთარი თავგანწირვით-ო" [2].

ქართველი ქალის მონაწილეობას წარსული ცხოვრების

---

[1] შდრ.: ო. გიორგაძე, აკაკი წერეთელი და ქართველი ქალი (ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის „შრომები" 1967, გვ. 59).

[2] აკაკი წერეთელი, ტ. 12, გვ. 106; შდრ.: აკაკი წერეთელი, ტ. XI, გვ. 310.

მდინარებაში აკაკი რევოლუციური ისტორიზმის პრინციპით აფასებდა, და იმედი ჰქონდა, რომ მომავალში, როცა ჩვენი ქვეყანა წინ წავიდოდა „პირველ რაზმში ქართველი ქალებივე ჩადგებიანო“ [1].

აკაკი დიდი მოწონებისა და პატივისცემის ღირსად თელიდა ქალის მიერ სატრფოსა და მეუღლისადმი თავგანწირვას. იგი უაღრესი შთამბეჭდაობით ხატავს გლეხის ქალს, მშვენიერ ტურფა სახეს, რომელმაც შური იძია სატრფოსათვის და თავი შესწირა სამშობლოს ინტერესებს („პატარა კახი“). ქართველი ხალხი ოდითგანვე პატივსა სცემდა პატრიოტ, ქვეყნის სიკეთისათვის მებრძოლ, სპეტაკი და მაღალი ზნეობით აღვსილ ქალთა მარად უჭკნობ სახეებს. მეისტორიებს, ჟამთააღმწერლებსა და ქრონოგრაფებს გულმოდგინედ შეჰქონდათ ხალხის ისტორიულ მატიანეში მათი ღვაწლი და თავდადება. მწერლები, სიტყვის გამოჩენილი ოსტატები კი დიდი შთაგონებით ხატავდნენ მათს დიდებულ სახეებს. აკაკი წერეთელმა, მდიდარი შემოქმედების, მხატვრული ლიტერატურისა და საისტორიო წყაროების პოეტური გამოყენების საფუძველზე დახატა ფიზიკურად ლამაზი, მნათობთა შუქმფენი, „ცით მოწყვეტილი ვარსკვლავი, ედემში რგული ვარდი“, სულიერად სრულქმნილი გმირი, პატრიოტი ნათელა.

პოეტი არ იშურებს ულამაზეს, გულში ჩამწვდომ ფერებს ამ დიდებული ქართველი ქალის ფიზიკური მშვენიერების წარმოსაჩენად:

ვარდს მიუძღვნია ელფერი,
სინაზე-ტურფა იასა;
ზედ შუქი მოუფენია
სამოთხის კარსა ღიასა.
ტანადობა აქვს ალვის ხის
და თვალადობა მთვარისა,
ღიმილი — ცისკრის ვარსკვლავის,
სხივოსან მოელვარისა...

ნათელას, ამ ღვთაებრივი სილამაზით დამშვენებულ ქალს, მგოსანი ხატავს როგორც ღრმა პატრიოტული შთაგონების, გმირული ქმედების, სპეტაკი მორალური თვისებების, მეუღლისადმი განუზომელი ერთგულების მქონე ადამიანს. ნათელას პიროვნებაში განსახებულია ფიზიკური მშვენება და სულიერი მაღალი თვისებანი. იგი სატრფოსაგან იმას მოითხოვს, რასაც ისტორიულად მოითხოვდნენ ნამდვილი ქართველი ქალები „გვიჩვენეთ საქმენი საგმირონიო“, რაც გულისხ-

[1] აკაკი წერეთელი, ტ. 14, გვ. 574.

მობდა სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში გმირობას. სიმპტომურია, რომ ნათელაც აღნიშნული საუკეთესო ტრადიციის გამგრძელებელია. იგი აცხადებს:

გულს ვერაფერი გაათბობს,
თუ არ სხვაგვარი გმირობა!
საცოლოდ იმან მიგულოს,
ვინც შეასრულოს პირობა:
...წავიდეს, მტრებში იომოს,
გვიჩვენოს ძალა მკლავისა!
წითლად შეპღებოს საპირე
ამ ჩემი ნახელავისა!.

ამრიგად, აკაკიმ გვიჩვენა ქართველი ქალის სამშობლოსადმი თავდადების მშვენიერი მაგალითი, სამშობლოს სიყვარულის წმიდათა წმიდა გრძნობა. ნათელა ყველაფერს აკეთებს რათა მშობელ ხალხსა და ქვეყანას შვება მოუტანოს, იღვწის მათთვის, მთელ თავის მშვენებას სამშობლოს სამსახურში აყენებს. იგი მზად არის ქვეყანას, თუკი საჭიროება მოითხოვს, თავი შესწიროს. ამ სახით აკაკიმ ერთგვარად გამოხატა გმირი ქართველი ქალების ხასიათი. ნათელას სახეში ერთგვარად გაერთიანდა სამშობლოს ერთგული კავთისხველი დედაკაცის (სვიმონ მეფესთან გამოჩენილი ერთგულების ამბავი), აბაშიძის ქალის (ხრესილის ომთან დაკავშირებული ეპიზოდი), ხერხეულიძეთა დედის (ცხრა თავდადებული ძმის დედა), შაჰ-აბასის ტყვე ქართველი ქალის, ქეთევან დედოფლის. ქიზიყელი გლეხი ქალებისა და მატიანეებსა, ხალხურ შემოქმედებაში (მაია წყნეთელის, ჩერქეზი ქალის ჯაფარიძის ასულის, თამრო ვაშლოვანელის, თინა წავკისელის, გიგაის ცოლისა და სხვ.) და ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში ასახული მრავალი ბრწყინვალე ქართველი დედისა და ქალის მარად უჭკნობი თვისება. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ნათელა არ არის პოეტის ზღვარდაუდებელი ფანტაზიის ნაყოფი. იგი ნასაზრდოებია ქართული სინამდვილით, ისტორიულ წყაროებში დაცულ-შემონახული „სამარგალიტო“ ცნობებით. ამდენად, ნათელა სინამდვილის მხატვრული განსახიერებაა. მისი საფუძველი ჩვენი ხალხის ისტორიულ-კულტურულ-ყოფითი სინამდვილეა, პოეტის გარკვეული მხატვრული კონცეფციის თარგზე გამოჭრილი. მაგრამ, ამასთანავე, ისეთი წყაროებიც შეიძლება გამოგვეძებნა, რომლებიც შეეძლო გამოეყენებინა პოეტს.

როგორც ვიცით, ნათელა თავის ზღაპრულ სილამაზეს იყენებს ქვეყნის საკეთილდღეოდ. იგი მხოლოდ ისეთ ადამიანს გაჰყვება მეუღლედ, ვისაც მისი ხელით შეკერილი თეთრი ჩოხა

მოუვა კარგად და სამშობლოს მტერთა წინააღმდეგ გაშლილ ბრძოლაში თავს გამოიჩენდა.

ლიტერატურის ისტორიკოსებს პოეტის ქარბი ფანტაზიის ნაყოფად მიაჩნდათ ნათელას მისვლა ნიონთან, ცოტნეს განთავისუფლებისათვის ზრუნვა, ნოინის შეგონება და ამ მოვლენებთან დაკავშირებული ქართველი ქალის გმირული თავგადასავალი.

მართალია, ნათელას მიერ მონღოლთა ბანაკში გამოცხადების ფაქტი საისტორიო წყაროებით არ დასტურდება, მაგრამ ანალოგიური ხსიათის ცნობა მოთხრობილია სომეხ ისტორიკოსთა თხზულებებში, კერძოდ, კირაკოზ განძაკელის ისტორიაში. სადაც სხვათა შორის ნათქვამია, რომ **ურდოთა ბანაკში გამოცხადდა** ერთ-ერთი შეთქმულის, **ავაგის** დედა ხოშაქი (ხაზი ჩვენია—პ. კ.), რომელმაც იკისრა პასუხისმგებლობა თავისი შვილის ერთგულებისათვის და მიღწეულ იქნა შეთქმულთა გათავისუფლება.[1] ეს ისტორიული ცნობა სიმპტომატურია აკაკის პოემის იმ ეპიზოდისათვის, სადაც ასახულია ნათელას მისვლა ნიონთან, ზრუნვა ქმრის განთავისუფლებისათვის და სასურველი შედეგის მიღწევა. კირაკოზ განძაკელის ისტორიისა და აკაკის პოემის აღნიშნული ეპიზოდების ერთგვარი მსგავსება გვაფიქრებინებს, რომ ქართული ისტორიული სინამდვილიდან მომდინარე მდიდარ მასალასთან ერთად, აკაკის აღნიშნული კონკრეტული შემთხვევისთვის უნდა გამოეყენებინა კირაკოზ განძაკელის ისტორიაში დაცული მოკლე, მაგრამ ჩვენი პრობლემისათვის მეტად მნიშვნელოვანი ცნობები ქართველი ქალის ისეთი გმირობის შესახებ, როგორიც დამახასიათებელია ნათელას პოეტური სახისათვის. რამდენადაც პოემის აღნიშნულ სიუჟეტურ ქსოვილსა და კირაკოზ განძაკელის კონკრეტულ ცნობას შორის ერთგვარი მსგავსება შეინიშნება, აკაკის ნაწარმოებში აღწერილი ეს ეპიზოდი კირაკოზ განძაკელის წყაროდან რემინისცენციას ძალიან ჰგავს და ამდენად, პოემის ეს ნაწილი არ მიგვაჩნია ქარბი ფანტაზიის შედეგად. აკაკი დიდ ყურადღებას აქცევდა ისტორიულ ცნობებს, დაცულს არა მარტო ქართულ წყაროებში. ჩვენთვის ამჟამად ის არის საგულისხმო, რომ აკაკის „მხატვრული გამონაგონი" სულაც არ არის შეთხზულ-მოგონილი ზღაპარი. ამგვარი რამ დადასტურებულია აგრეთვე სომეხი ისტორიკოსის ნაშრომში. ბუნებრივია, აკაკი

---

[1] История монголов по армянским источникам. Выпуск второй, заключающий в себе извлечения из истории Киракоса Гандзакеци. Перевод и объяснения К. П. Патканова С.-Петербург, 1874, стр. 71—72.

ისტორიული მასალის გამოყენებით ქმნის მოწინავე იდეებით შთაგონებულ ქალთა სახეებს.

ზედმეტი არ იქნება, თუ ქალების შესახებ აკაკის ერთ გამონათქვამსაც განმეორებით გავიხსენებთ. ჩვენი ძველი დედები „მამულიშვილებსა ზრდიდნენ!.. სამშობლოსათვის თავსა სდებდნენ და არც ერთ საქვეყნო საჭიროებას, შეძლებისდაგვარად, უპასუხოდ არ აგდებდნენ! თავის სამშობლოს მტერი საკუთარ პირად მტრად მიაჩნდათ და მოყვარე — მოყვრად. თავისი თანამოძმე მამულიშვილებს ჭირში და ლხინში მხარს აძლევდნენ როგორც საქმით, ისე სიტყვითაც და ამის გამო საქართველოს მოსისხარ მტრებისაგანაც მოწონება ჰქონდათ". ქალის ღირსება და დიდება, მისი კეთილმოსილება და გმირობა აკაკის რწმენით, უპირველეს ყოვლისა, როგორც ითქვა, გამოიხატება სამშობლოს სიყვარულით, ერისადმი სიყვარულითა და თავდადებით. ქალმა ყველა თავისი ღირსება სამშობლოს უნდა ანაცვალოს. ამასთან ერთად, აკაკიმ იცოდა, რომ თუ ქალი ზნეობრივად წმინდა და სპეტაკი არ იქნა, ისე სამშობლოს სქმეს ვერ მოემსახურებოდა. ამიტომაც იყო, რომ პოეტი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ქალის მორალურ სახეს, აჩვენებდა სპეტაკი ზნეობის გმირ ქალთა თავდადებას სამშობლოსათვის. ამგვარ ხატთა გალერეაში უთუოდ ინტერესს იწვევს „ბაში-აჩუკის" გმირი ქალების სახეები. მათ შორის კი საგანგებო შარავანდედით არის შემოსილი პირიმთვარისა. პატრიოტმა ქალმა ხანის ხელში მოსალოდნელ ბედნიერებას სიკვდილი არჩია, საკუთარი უმანკო სისხლი შეუპოვრად, გმირულად დაღვარა და მით დაიცვა პატიოსნება, წრფელი სინდისი და მაღალი ზნეობა.

პირმთვარისას სახის ისტორიული წყაროების შესახებ აკად. კორნელი კეკელიძემ ქართული და უცხოური მასალის შედარების საფუძველზე ცხადყო, რომ აკაკი წერეთლის მიერ „ბაში-აჩუკში" დახატული პირმთვარისას სიუჟეტი ზოგადი ქართული კუთვნილებაა, მაგრამ, ამასთანავე, იგი გვხვდება სხვადასხვა ქვეყანაში გავრცელებული სიუჟეტის სახითაც (იხ. აკ. წერეთლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1940, გვ. 196—202). ცნობილია, რომ ქართველი მემატიანეები და ისტორიკოსები ქება-დიდებას ასხამდნენ იმ გმირ პატრიოტ ქალებს, რომლებმაც სამშობლოსაგან მოწყვეტილ და გარეშე მტრის ხელში ფუფუნებით ცხოვრებას სიკვდილი არჩიეს და საკუთარი სიცოცხლის ფასად გმირულად დაიცვეს ზნეობრივი სიწმინდე და მორალური სიფაქიზე. მრავალთა შორის საკმარისია დავასახელოთ ისტორიულ წყაროებში შემონახული ცნობა არჩილ II-ის ასულის შუშანის შესახებ,

რომელიც იყო ჯუანშერის უმრწემესი დაი, „სახითა შუენიერ". შუშანის სილამაზის ამბავი ესმა ხაზარათა მეფეს ხაკანს. მან მოციქული მიუგზავნა ჯუანშერს და თხოვა იგი ცოლად. შუშანმა, დედამ და ძმებმა უარით გაისტუმრეს მოციქული. სამი წლის შემდეგ ხაკანმა დიდძალი ჯარით გამოგზავნა სპასალარი ბლუჩან, რომელმაც დაარბია ქართლ-კახეთი, შუმუსრა ქვეყანა, დაატყვევა „ჯუანშერ და დაი მისი შუშან" და დარიალის გზით გაუყენა ხაზარეთს. გზაში შუშანმა თავის ძმას უთხრა: „უმჯობეს არს ჩემთვის სიკუდილი, რათა ღირს მყოს მე უფალმან წმიდათა დედათა თანა, ვიდრეღარა შევიგინო წარმართთა მიერ" და ჰქონდა მას ბეჭედი, ამოუგდო მას თვალი და მოწოა იგი; რამეთუ იყო თუალსა მას ქუეშე წამალი სასიკუდინე, და მუნქუესვე მოკუდა". [1] ანალოგიურ შემთხვევას გვაუწყებს მემატიანე მეფე ლუარსაბ I-ის დედის ნესტან-დარეჯანის შესახებ. სპარსელებმა ატენის ციხე აიღეს. შაჰ-თამაზმა დაატყვევა ნესტან-დარეჯანი და „სხუანი ჯალაბანი თავადთანი". შაჰმა მოინდომა დედოფლის შეურაცხყოფა. მაგრამ წარმოიდგინა რა დედოფალმა „გაუპატიოება თავისა თვისისა... შესუა წამალი სასიკუდინე და მოიკლა თავი თვისი" [2].

„ქართლის ცხოვრებაში" აღწერილ ქართველ ქალთა პატრიოტული და გმირული სიდიადე სიუჟეტურად განსხვავებულია აკაკის პირმთვარისას ეპიზოდისაგან, მაგრამ საერთო იდეური მისწრაფებით ერთნაირია. ამდენად, პირმთვარისას სახის დახატვისას პოეტს ქართულ საისტორიო წყაროებში დაცული მასალებიც შეეძლო გამოეყენებია და, სხვა ცნობებთან ერთად, მათზე დამყარებით შეექმნა გმირი ქალის იდეალური სახე.

ქართველ ქალს, — წერდა პოეტი, — „ბევრჯერ თავისი... სარწმუნოება გაუცვლია მისთვის საზიზღარ მაჰმადიანობაზე და დაუგდია სამშობლო, მოუკლავს გულში ნამდვილი ტრფიალება და შეუღლებია მძვინვარე შახს. ვინ იცის, რამდენ გზის ალერსითა და მოჩვენებულის ტრფიალებით ქართველ ქალს დაუცხვრია მრისხანე შახის ან ხანის გულისწყრომა და გადაურჩენია სამშობლო უბედურებისაგან" [3]. ჩვენი ქალები, განაგრძობს აკაკი, საკუთარი თავგანწირვით, „არა თუ ხორცით,

[1] მატიანე ქართლისა („ქართლის ცხოვრება" ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, I, გვ. 249—250), შდრ.: ბროსე, საქართველოს ისტორია, გვ. 184—185. დიმ. ჯანაშვილი, ისტორიული სურათები, „ივერია", 1882, № 10, გვ. 51.

[2] „ქართლის ცხოვრება", II, 1854, გვ. 24, შდრ.: „ქართლის ცხოვრება" ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, II, ბერი ეგნატაშვილი, გვ. 365, 507. დიმ. ჯანაშვილი, ისტორიული სურათები, „ივერია" 1832, № 10, გვ. 51.

[3] აკაკი წერეთელი, ტ. XI, გვ. 310.

სულითაც კი ემსხვერპლებოდნენ ხოლმე მამულის სიყვარულს: რჯულზე ხელს იღებდნენ.. და ცოლად მიჰყვებოდნენ უსიამო შახებსა და სულთნებს, ოღონდ სამშობლოს შესახებ მათი გული მოეგოთ".[1] ამგვარ თავდადებულ ქალთა შესახებ, მრავალთა შორის მაჩაბლისეური ნუსხის „ქართლის ცხოვრების" კრებულში, სხვათა შორის, დამოწმებულია ტურფა და მშვენიერი მაჩაბლის ქალის დიდი ღვაწლი მონღოლთა ბატონობის დროს საქართველოს მწვავე პოლიტიკური საქმეების მოგვარებაში „აი, ამ მაჩაბლის ქალის საშუალებით, — აღნიშნავს აკად. ს. ყაუხჩიშვილი, — აგვარებენ ქართველები ულუ დავითის სამშობლოში დაბრუნების საქმეს".[2]

„ქართლის ცხოვრების" მაჩაბლისეულ ნუსხაში ვკითხულობთ: ქართველი დიდებულები „წარვიდეს ჩორმაღონის სახლთა. ჩორმაღონს ასული ყუა მაჩაბლისა, ტყუეობათა შინა ეშოვნა, ტურფა და შუენიერი იყო და დიდად უყვარდა და კიდეც უჯერებდა." თხოვეს მაჩაბლის ქალს, რათა შეხვეწოდა ქმარს ულუ დავითის ტყვეობიდან დახსნისა და საქართველოში მისი მეფედ დაბრუნების შესახებ. „ქალი ფიცხლავ წარვიდა და ჩორმაღონის ქმარსა თჳსსა ყოველივე მოახსენა". ქართველი ქალის მიერ ჩორმაღონის შეგონებამ ნაყოფი გამოიღო — ულუ დავითი იხსნა ტყვეობიდან და სამშობლოში დააბრუნა.[3] საქართველოს წარსული ცხოვრების მეისტორიე ომან მდივანბეგი განსაკუთრებული სიამაყის გრძნობით აღწერს ვახტანგ VI-ის ასულის, თეიმურაზ II-ის მეუღლის თამარ დედოფლის, რომელიც „იყო სადგური კეთილისა და საუნჯე სათნოებისა", დიდ დამსახურებას სამშობლოს წინაშე ისტორიკოსი გადმოგვცემს ნადირ-შაჰი „გამძვინდა საქართველოსა ზედა და განიგულა აყრა მათი და მოწყვეტა ქართლ-კახეთის ერისა". თამარი ეწვია ნადირ-შაჰს და „ევედრა აუყრელობისა ქართლ-კახეთისასა და ესრეთვე აცნობა უცოდველობა ქმრისა თვისასა მეფის თეიმურაზისა და ერთგულება ძის თვისისა ირაკლი მეორისა, რომლისთვის მყის თანად ლმობიერ-იქმნა მძლავრი იგი და პატივჰსცა, ვითარცა დედასა და ყოველი თხოვილი მიანიჭა და გამოუტყევა დიდითა ნიჭითა კახეთს". სწორედ ამ თამარის შესახებ წერდა აკაკი: „თამარ-დედოფალი, ასული ვახტანგ მეფისა, სჯულის მდებლისა, ცოლი თეიმურაზ მეფის და გამზრდელი დედა პატარა-კახისა ირაკლის, სახელს იხვეჭდა შორს ქვეყნებშიაც კი და ამიტომაც

---

[1] „ქართლის ცხოვრება", ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1959, II, 026.

[2] აკაკი წერეთელი, ტ. 12, გვ. 106.

[3] იქვე, გვ. 218, სქოლიო 1, 2.

შემოუთვალა სპარსეთის ყეენმა: „დამეხმარე და დამიმშვიდე შენის ზეგავლენით დაღისტანიო! რომელი ერთი დავასახელოთ? ამისთანები იყვნენ ჩვენი დიდები საზოგადოდ და ფეხ-ქვეშ არავის უვარდებოდნენ!.." [1].

ისტორიული სინამდვილე ჰქონდა გააზრებული აკაკის, როცა აცხადებდა: სამშობლოს მოშორებული, უცხოეთში იძულებით დასახლებული ქართველი ქალები თავს იმით ინუგეშებდნენ, რომ „წმინდა გულზედ ავგაროზად პეშვი მიწა ედვათ და დღედაღამ საქართველოზე ოცნებობდნენ!"

სამშობლოს წინაშე უდიდესი დამსახურების საუკეთესო მაგალითებად ასახელებდა მგოსანი თამარ მეფისა და ქეთევან დედოფლის ცხოვრებას. „არც ერთი მეფის დროს ისე არ განთქმულა საქართველო, როგორც თამარ მეფის დროს, თუმცა ქალი კი იყო; არც ერთ მოწამეთაგანს ამდენი ტანჯვა არ მიუღია რჯულისა და ქვეყნისათვის და მისთანა მაგალითი არ უჩვენებია ხალხისათვის, როგორც ქეთევან დედოფალმა" [2]. პოეტი განსაკუთრებული სიყვარულით ხატავდა გლეხ ქალთა გმირულ დამსახურებას სამშობლოს წინაშე. აკაკი კარგად ხედავდა, რომ ქვეყნის ცხოვრების მდინარებაში დიდი ღვაწლი მიუძღოდა გლეხის ქალებს, მშრომელი ხალხის სახელოვან დედებს, მათ პატრიოტულ შთაგონებასა და გმირულ შემართებას. იგი წერდა: „უპირატესობა მარტო თავად-აზნაურულ ქალებს არ ეკუთვნისთ, გლეხის ქალებიც თავისდაგვარად ამისთანებივე არიან. — ქიზიყელები რომ ბაკურ-ციხეს მიადგნენ და უფროსები დაზურგეს, მაშინ იქ მეთაურები ქალები იყვნენ; ლეჩაქის ფრიალით მიუძღოდნენ კაცებს წინ და აქეზებდნენ. გადასახლება რომ გამოუცხადეს ერთ ქიზიყელ დედაკაცს, მაღლიდან გადაიგდო თავი და ძირს კლდეს დაესრისა" [3].

„პატარა კახის" პროზაულ რედაქციაში—„ირაკლი ბატონიშვილი"—აკაკიმ დიდი გრძნობით დახატა გლეხი ქალის გმირობა და მამაცობა. იმ დროს, როდესაც მძვინვარე მტრებმა ქართველთა ჯარი შეიტყუეს ხეობაში, გარშემოერტყნენ და დიდძალი მეომარი გაწყდა, იმედდაკარგული მხედრობა გარდუვალი კატასტროფის წინაშე დადგა, ამ დროს მტერს თავს დაესხა მშრომელი გლეხობა და ერთიანად გაჟლიტა. ამ ლაშქარს წინ მიუძღვოდნენ და ამხნევებდნენ ქალები: „დედაკაცებს ლეჩაქები გამოებათ ჯოხებზე, გაეკეთებინათ დროშები და მიუძღოდნენ ქმრებს. კალთით ქვებიც კი თანა ჰქონდათ... ამ სანახაობამ შიშის

[1] აკაკი წერეთელი, ტ. 14, გვ. 222.

[2] აკაკი წერეთელი, ტ. 12, გვ. 105-106.

[3] იქვე, გვ. 238.

ზარი დასცა სერასქირს... მოდიდებული ალაზანი მტრებით აივსო" და აგრესორები სრულიად მოისრნენ.[1] გლეხი ქალების პატრიოტულ თავდადებას გვიჩვენებს პოეტი აგრეთვე „ბაში-აჩუკში", „თამარ-ცბიერსა" და სხვა თხზულებებში.

გლეხობა აკაკის „ეროვნების ფესვად" მიაჩნდა, სწამდა მისი ძალა, შრომისმოყვარეობა, სახავდა მას მომავლის იმედად, მონობის წინააღმდეგ აქტიურ მებრძოლად. გლეხ გელას მეუღლეს ომში დაცემული სამი შვილი ერთად დაუწყვეს თვალწინ. „საბრალომ ჭრილობა გაუსინჯა, მოისმინა მათი ვაჟკაცობის ამბავი და, როგორც ქართველმა ქალმა, გამარჯვებისათვის ღმერთს მადლობა შესწირა, მაგრამ როგორც დედამ... ვეღარ აიტანა უბედურება და თან გადაჰყვა".

როგორც აღვნიშნეთ, პოეტი დიდად აფასებდა ქალის როლს ოჯახის სიწმინდისა და სიმტკიცის დაცვაში. ქმრის უზადო სიყვარულსა და ერთგულებაში.

იგი საგანგებოდ მიუთითებდა: ძველად „დედა-კაცების ხელში იყო ყოველგვარი საოჯახო საქმე... ამან აამაღლა ქალები სულით". საოჯახო და საზოგადოებრივმა საქმიანობამ ქალში სისპეტაკის, ზნეობრივი სიწმინდის საწყისები უნდა აამაღლოს — აი, აკაკის მიხედვით ქალის იდეალი. ამ მხრივ განსაკუთრებით გულში ჩამწვდომია და უაღრესად შთამაგონებელი „გამზრდელში" ჩაქსოვილი ბრწყინვალე სურათი ბათუსა და ნაზიბროლას სხივმოსილი სიყვარულისა და ურთიერთგულებისა. მოწყვეტილი ცით ვარსკვლავი, ნაზიბროლა, რომელიც „ელვარებით ვარდი არის, სინაზით კი — მორცხვი ია"... განსახიერებაა „ქვეყნიური ნეტარების" ჭეშმარიტი სიყვარულისა და მეუღლის უერთგულესი გრძნობისა:

ცა და ქვეყნის შუამაელად
მიაჩნია მას აფხაზი!..
გულში გულს სდებს,
სულში სულს სცვლის,
ხორცს ეწმახვნის სურო ვაზი...

ცოლ-ქმრის ასეთ წრფელ სიყვარულს იგი აღტაცებით უმღერის:

ნეტავი მათ!.. მათ სიყვარულს
და მათ უხმო აღსარებასა!
ერთად ჰგრძნობენ ამ ქვეყნადვე
სასუფეველ ნეტარებას.

---

[1] აკაკი წერეთელი, ტ. VI, გვ. 375.

დადებით ქართველ ქალთა სასახელო საქმეთა გამოჩინებასთან ერთად აკაკი არ ივიწყებდა სუსტი ნებისყოფის, ფუჭსავატი, უიდეო, მოღალატე ქალების სახის ჩვენებას. პოეტი „აკაკისებური" მახვილით კიცხავდა მათ, აკრიტიკებდა უზნეო, ბიწიერს, ქორიკანა, გადაგვარებულ და სამშობლოს მოღალატე ქალებს. მრავალი ვერაგი ქალის სახე დახატა პოეტმა თავის თხზულებებში. აქედან დავასახელებთ ზოგიერთს: თიმსალმაკო („ბაში-აჩუკი"), კუდურ-ხანუმი („კუდურ-ხანუმ"), დარეჯან დედოფალი, თამარ დედოფალი („თამარ-ცბიერი"), ზია-ხანუმი („გამზრდელი") და სხვ.

ვერაგი, თვალთმაქცი, გაიძვერა, ანგარებით შეპყრობილი ჯაშუში ქალი დახატა მგოსანმა „ბაში-აჩუკში" თიმსალ-მაკოს სახით. მას საღერღელი აუშალა ბაში-აჩუკის თავის ათას ოქროდ დაფასებამ და ყოველგვარი ბიწიერი საშუალებით ცდილობდა ამ სახალხო გმირის დაღუპვას, ქვეყნის აოხრებას და მით ათასი ოქროს ხელში ჩაგდებას. ზნედაცემული თიმსალ-მაკო გუნებაში ამბობდა: „ხუმრობა არ არის ამდენი ფული! ჩემი ხერხი და ეს ერთად ქვეყანას, უნდა, წაღმა დაატრიალებენ და უნდა, უკუღმაო. ბაში-აჩუკი როგორმე მე უნდა ჩავიგდო ხელშიო". მანვე გასცა შუამთის მონასტერში თავშეფარებული ქართველი ქალები, რომელთაც მუსრი გაავლო მუხანათმა მტერმა. თიმსალ-მაკომ შეატყობინა მტერს ბაში-აჩუკის სამყოფელი. პოეტის დახასიათებით, იგი გაქნილი მაჭანკალიც იყო.

„ატყდებოდა თუ არა სადმე ახალგაზრდებში ტრფობის ცეცხლი, ეს მაშინვე, თითქოს ტრუსის სუნი ეცაო, იქ გაჩნდებოდა და დაატრიალებდა ჯარს; დიდსა და პატარას ყველას იცნობდა... მაგრამ არავის არ უყვარდა" (VII, 165). განსაკუთრებული გულისწყრომით ხატავს პოეტი ზნედაცემული, გახრწნილი, ქვეყნისა და ხალხის მოღალატე კარიერისტის კუდურ-ხანუმის სახეს. ეს ქალი, მეუღლესთან ერთად, სწორედ ქვეყნის უბედურების კოცონზე ითბობს ხელს, ვერაგობით აღწევს ქმრის სამსახურებრივსა და პირად წარმატებებს. იგი ოსმალეთის ერთ-ერთი მოხელის გულს მოიგებს და ქმარს დააწინაურებინებს. იმდენად დაუნდობელი და ვერაგია, რომ საკუთარ დისშვილს, მშვენიერ ელენესაც კი არ დაინდობს და მას მსხვერპლად სწირავს თავის ბინძურ ზრახვებს: მოტყუებით ჩაუგდებს მას ხელში ვალს, რასაც ელენეს დაღუპვაც მოჰყვება. კუდურ-ხანუმი ასე მსჯელობს: „სანამ ეს გარყვნილი ვალი, რომლის სიტყვაზედაც დიდებული ხონთქარი დაიარება, ხელშიდა გვყავს, კიდევ ბევრს უნდა ველოდეთ!.. თუ ეს უკანასკნელი პირობაც შევუსრულე... მაგრამ ელენე... ეჰ, რაც უნდა იყოს... რაც მოხდეს, ოღონდ მე კი ჩემი საქ-

მე გავირიგო და... თავს არ დავზოგავ და ელენეს კი დავითანხმებ როგორმე"-ო, კუდურ-ხანუმმა მართლაც მოახერხა ელენეს ვერაგულად დაღუპვა.

აკაკი აღიარებდა, რომ »დედაკაცი არის ჩვენის ცხოვრების გვირგვინი"[1] და აცხადებდა, „ნეტავი იმ ერს, რომელსაც კარგი ქალები ჰყავსო",[2] და თუ ქალები მაღალ საფეხურზე დგანან მაშინ ერსაც კარგი დარი უდგასო. ეს და მრავალი აფორიზმის სახით გამოხატული გამოთქმები აშკარად მეტყველებენ ქვეყნის ცხოვრებაში ქალის უდიდეს მნიშვნელობაზე. პოეტის აზრით ერს ზრდის ქალი და თუ იგი თვითონ არ არის აღზრდილი და განათლებული. ბუნებრივია, ხალხიც ასეთივე გაუნათლებელი დარჩება. „ერთა ცხოვრებაში, — წერდა პოეტი — ქალებს იგივე მნიშვნელობა აქვთ, რაც ბარომეტრს ჰაერის ცვლილებაში. თუ ქალები მაღალ საფეხურზე დგანან ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში მაშინ იმ ხალხსაც დარი უდგას და, თუ დაბლად არიან, ხალხის ცხოვრებაც იცარება"[3]. აქედან გამომდინარეობს პოეტის მეორე დასკვნაც: „თუ რომელიმე ხალხის გაცნობა გინდა, იმ ქვეყნის ქალები უნდა გაიცნო, შეისწავლო... ისინი არიან თავისი ქვეყნისა და ხალხის მაჩვენებელი, როგორც ბარომეტრი ტაროსის".[4] პოეტი კარგად ჭვრეტდა დროისა და ვითარების გავლენის ძალას ქალის მდგომარეობაზე. იგი წერდა: „როდესაც საქართველო დასცეს ეს დაკნინება ქალებს უფრო დაეტყოთ"[5]. აკაკის სამართლიანი თქმით, იმისათვის, რომ ქალმა ქვეყანას შემწეობა აღმოუჩინოს. საჭიროა იგი განათლებული, აღზრდილი, პატრიოტი, სულიერად მაღალი და ჭკვიანი იყოსო. მარტო ფიზიკური სილამაზე არ კმარაო. მგოსანი წერდა: „პოეტებს არ დარჩენიათ, სილამაზის იდეალის გამოხატვის დროს, აუწერელი არც შავი თვალები, არცა ბროლის კბილები, არც საროს ტანი, არც თმა გიშერი, არც შვილდივით მოხრილი წარბები და არც ისარივით ინდოს ჯარათ წამოზიდული წამწამები. ერთი სიტყვით, იმათ გვიჩვენეს ჩვენ მათს პოეტიკურს აღწერილობაში სხეულის მშვენიერების სრული სურათი". — მართალია, დასძენს იგი, ფიზიკური მშვენება არის ბუნების წესით კაცობრიობის ერთი მოთხოვნილებათაგანი, მაგრამ კაცის სრულს ღირსებას დიახაც ვერ შეადგენს, რადგანაც... იმას აქვს მეორე, უმაღლესი მხარეც — სუ-

[1] აკაკი წერეთელი, ტ. XI, გვ. 38.
[2] აკაკი წერეთელი, ტ. 14, გვ. 109.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 507.
[5] იქვე, გვ. 347.

ლიერი (ზნეობითი), ურომლისოდაც ის შორს ვერ წავა, ვერ აცდება პირუტყვულს თაობას: კაცს უნდა ჰქონდეს სულის ანუ ჭკუის სილამაზეც. ის უნდა ამშვენიერებდეს იმას, რასაც ჭკუა მოითხოვს". საბოლოოდ აკაკი ასკვნის: იდეალური იქნება თუ ადამიანში ორივე ეს მხარე — გარეგნულიცა და შინაგანიც. ფიზიკური და სულიერი მშვენება ჰარმონიულად იქნება შეთანხმებული ერთმანეთთანაო.

აკაკის სწამდა, რომ სიყვარული ქალიდან იწყება და რომ სიყვარული მხოლოდ გარეგნული თვისება კი არ არის, არამედ შინაგანი, იგი სულის თვისებაა და არა მხოლოდ ხორცის. ამიტომაც, მისი აზრით, ნამდვილი სიყვარული სულთა კავშირშია და არა მხოლოდ ხორციელში, ნამდვილ გრძნობას იწვევს ადამიანის მიერ მეორე ადამიანში სილამაზესთან ერთად სულიერი კეთილშობილება. აკაკი აღიარებს, რომ ორივე ამ თვისებით შემკული ქალები, რა თქმა უნდა საზოგადოდ შედარებით ძნელად იპოვების, მაგრამ საქართველო ამგვარ ქალთა სამშობლო იყო და არისო. ამრიგად, საკმაოდ აფასებს რა ფიზიკურ მშვენებას, როგორც ასეთს, აკაკის მხოლოდ ფიზიკური მშვენებით გამორჩეული ქალი არ მიაჩნია მშვენიერების იდეალად, არც სიყვარულის წყაროდ ეგულება მხოლოდ ფიზიკური, ხორციელი მშვენება. მისი ფიქრით, ჭეშმარიტ სიყვარულს აღძრავს ის ქალი, ვინც ჰარმონიულად ფლობს ორივე სილამაზეს — სულისა და ხორცის უზადო მშვენებას. და რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, აკაკი მომხიბვლელი ქალის იდეალში მუდამ და ყოველთვის სდებდა სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის გრძნობას. ეს თვისება ყოველ ჭეშმარიტად იდეალურ ქალს უნდა ახასიათებდესო.

პოეტის აზრით, სიყვარული სიხარულს შობს, სიხარული — შვება-ლხენას და ორივე კი ფრთებს ასხამს — საოცნებო აღმაფრენას". ჭეშმარიტი სიყვარული ზეცამდე აამაღლებს ადამიანს და ქვესკნელშიაც ჩაიტანს, თუ უკუღმართი გზით წავიდა[1].

აკაკი იზიარებს ქართული ლიტერატურის სახელოვან ტრადიციას სიყვარულის შესახებ და ანიჭებს მას ახალ რეალურ გაგებასაც. პოეტი გარეგან მშვენიერებასთან ერთად დიდად აფასებს სულიერ სიმდიდრესა და სილამაზეს. იგი აღნიშნავს, რომ ჩვენმა ქალებმა „უნდა დანერგონ ჩვენში სიყვარული და აღგზნან ჩვენს გულში ტრფიალება, მაგრამ ოცნებითი სიყვარული კი არა, არა, ის სიყვარული, რომელიც აპატიოსნებს კაცს და რომლის საფუძველი პატიოსანი შრომა და განათლებაა[2],

[1] აკაკი წერეთელი, თხზ., სრული კრებული, X, 450.

[2] იქვე, I, 39.

ამგვარი სიყვარულის საფუძველია, როგორც გარეგანი მშვენიერება, ისე მასთან შედუღებული სულიერი სილამაზე, ე. ი. სულიერი და „ხორციელი ნიჭის“ ერთიანობა. ხოლო პლატონური სიყვარული არავისთვის სასარგებლო არ არის (XIII, 467): სილამაზე და სიყვარული საჭიროებისათვის, ქვეყნის დიდებისათვის უნდა გამოვიყენოთ, ეს ორი დიდი „ციური ნიჭი“ უპირატესად სამშობლოს, ხალხის ინტერესებით უნდა იყოს შთაგონებული და ტრფიალთა ერთგულებით გაბრწყინებული.

პოეტის ღრმა რწმენით ნამდვილი სიყვარული, რაც აამაღლებს ადამიანს, არსებობს თავისი კანონებით. „ის კანონები მარტო გარეგნობაში ვერ იხარებენ“... სიყვარული ყოვლისშემძლე ხელოვნება არის, ციური ნიჭია, ღმერთი... ქართველ ქალთა უმეტესობას... გარეგნობით შემკულს, შინაგნობაც ეკავშირებოდა: სული სცემდა ხორცს ნათელს და ხორცი სულს შექათქათებდა“ [1] და „ნურავინ დაიჩემებს, წერდა პოეტი, გულგრილობას მაშინ, როცა მის წინ სდგას ლამაზი ქალი, რომლის თვალებშიც ღრმა ჭკუა იხატება და სახეზე მაღალი გრძნობა“...[2] ასეთი ქალები სათაყვანოა და მეც მათ „ვეთაყვანები, და ეს თაყვანია უხმო ლოცვა-დიდება შემოქმედებისა“.

ამრიგად, პოეტის სიმპათიებს ვერ დაიმსახურებდა ისეთი ქალი, ვინც მხოლოდ ფიზიკური ღირსებით, ხორციელი სილამაზით იყო შემკული და სულიერი მშვენება არ ალამაზებდა.„მშვენიერების ზექალი“, „საზღაპრო მზეთუნახავი“, ფიზიკურად რარიგ მომხიბლავიც არ უნდა იყოს, თუ ის სულიერად დაცემულია არ არის სიყვარულის, მოწონებისა და პატივისცემის ღირსი. „გამზრდელის“ ავტორი არაერთხელ აცხადებდა: „მშვენიერების თაყვანისცემა უპირველესი ლოცვაა კაცისათვის და მართალი იყვნენ ბერძნები, სისრულესა და მშვენიერებას რომ აღმერთებდნენ“ [3], მაგრამ აკაკის რწმენით, თუ ქალის გარეგნულ მშვენიერებას სულისა და გულის მშვენიერებას თან თანხმობა არ აქვს, გული უნებურად იკოდება [4], რადგან „ამაღლებული გრძნობა ხორცსაც ამშვენიერებს და სახეს მომხიბლავად ბეჭდავს“ (XII, 349). აკაკის რწმენით, ქალის სილამაზის, სიყვარულისა და სხვა კეთილშობილურ თვისებათა ღირსება ფასდება მისი პატრიოტული შთაგონებით, ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლის ხარისხით, საჭირო შემთხვევაში

---

[1] აკაკი წერეთელი, თხზ., სრული კრებული, XIV, 317.
[2] იქვე, XI, 499.
[3] იქვე, XII, 111.
[4] იქვე, 221.

თავისი ქვეყნის დიდებისათვის თავდადებით. ქალმა, როგორც ჩვენი ცხოვრების დედაბოძმა, ერის ტიტანურმა ძალამ და ღირსებამ სამშობლოს ინტერესებისათვის ბრძოლაში უნდა გამოიყენოს სილამაზისა და სიყვარულის, გონებრივი და ზნეობრივი ცხოვრების ძალა. ამ უდიდესი შთაგონების საშუალებით ის ზემოქმედებას უნდა ახდენდეს ერის ცხოვრებაზე. ჭეშმარიტი პატრიოტი, ნამდვილი ადამიანი ისეთ ქალს, რომელიც გარეგნულად მშვენიერია, მაგრამ სულით მახინჯი, და მოქმედებით მავნეა, ზიზღით უნდა აშორებდეს თვალს, რადგან ღვთაებრივი სილამაზის მქონე, მაგრამ ბიწიერი ქალი ხშირად ხალხისა და ქვეყნისათვის საშიში და საზიანოა. ამგვარი უარყოფითი ქალის სახე დახატა აკაკიმ „თამარ-ცბიერში". თამარ დედოფალი, როგორც ცნობილია, ისტორიული პიროვნებაა. იგი ვახტანგ V (შაჰნავაზის) ძმისწული იყო. ჯერ ლევან დადიანის, ხოლო შემდეგ ბაგრატ უსინათლო მეფის მეუღლე გახდა. ჟამთააღმწერლები, მემატიანენი და ისტორიკოსები განსაკუთრებით მიუთითებენ მის ფიზიკურ სილამაზეზე: თამარი იყო ფრიად კეკლუცი და აღმატებული შვენიერებითა სრულ უმეტესად" (ვახუშტი). იგი „იყო შვენიერებითა მდიდარი ფრიად" (ნ. დადიანი), „დედოფალი მშვენიერია" (შარდენი), ფეშანგის დახასიათებით თამარი სილამაზითა და ელვარებით მთიების დამჩაგვრელია, მას სახე „მიუგვანდა ვარდისა ფერს", იგი ედრებოდა მუშთარს, მარიხსა და მზეს, მისი მშვენების ენით აღწერა შეუძლებელია, ქვეყნად არ ნახულა მისებრი, სხვა იყოს მასთან ფერითა", მისი ბრწყინვალე სხივით მაყურებელს თვალები უბნელდებოდა და სხვ. აი, როგორი ფერებით ხატავდნენ ამ ქალის სილამაზეს. აკაკის გენიალურმა პოეტურმა შთაგონებამ შეძლო სათანადო ისტორიული წყაროების გათვალისწინებით პერსონაჟის ისტორიული კოლორიტი დაეცვა და მხატვრული ფანტაზიის მეოხებით დაეხატა ხორციელი სილამაზით „ქვეყნის მომხიბვლელი", ვნების „ეშხით მთვრალი", ფიზიკური მშვენებით „ქვეყნად ჩამოსული ციური მნათობი", სულქმნილი სილამაზით დამშვენებული, სავსე მთვარესავით შუქმომფინარე, „მშვენიერების ზექალი, საზღაპრო მზეთუნახავი[1], მაგრამ ამასთანავე განსახიერებული „სულიერი უშვერების", ბიწიერების, უზნეო, ვერაგი და ბოროტი თამარ დედოფლის სახე. თამარის ზღაპრული სილამზე მართლაც იზიდავდა ყველას, განურჩევლად ეროვნებისა, მდგომარეობისა და წოდებისა. სილამაზის ამ ღვთაებრივი მოვლენების ხილვით გაოცებული გოჩა-პოეტი, ასე მიმარ-

[1] აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 14, გვ. 409.

თავს „ციურ შვენებას“: „ენამ უძლურმა მომაკვდავისამ ღირსშესაფერი ვით შეგძლვნას ქება“. ასე, რომ ხალხის დიდი მოამაგე, მისი ინტერესებისათვის თავგანწირული და შეუდრეკელი მებრძოლი გოჩაც კი წუთიერად მაინც მოიხიბლა დიდოფლის სილამაზით. მაგრამ ის პატივს არ სცემს ხორციელ სილამაზეს, რომელიც ქვეყნის დაღუპვისათვის არის მოვლენილი. პოეტს სასტიკად სძაგს ამგვარი ბილწი სილამაზე და თამარ ცბიერს პირდაპირ ეუბნება: მე თვალწინ მეხატვის შენი ნაღვაწი სისხლისა კალო; მომაკვდავთ კვნესა, ქვრივ-ობლების წყევა, ქვეყნის ღალატი, ერთა ყვედრება... ვისიც წარსული შებღალულია, ვის გამოც იდგა სისხლისა ღვარი, მას ჩემი გული ვერ მიენდობა და შეაჩვენებს ეს ჩემი ქნარიო. აკაკის აზრით, სილამაზეც საჭიროების მიხედვით, ქვეყნის სამსახურს უნდა მოხმარდეს და თუ ის ამ ფუნქციას ვერ ასრულებს, სამშობლოს საზიანოდ მაინც არ უნდა იყოს მიმართული. თამარ ცბიერმა კი თავის ფიზიკური სილამაზე გამოიყენა პირადი სიამოვნებისათვის, ქვეყნის საზიანოდ. პოეტმა მისი სახით გვიჩვენა ბიწიერი, ვნებააშლილი, უზნეო, მრუში, მორალურად დაცემული, ვერაგი და გადაგვარებული ქალის სახე, ვინაც სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაამტერა ერთმანეთს მეფე, მთავრები, ერისთავები, სჯულს გადუყენა სამღვდელოება და არსად იყო იმისაგან შველა. რომელმაც საქართველოს ტკბილი ედემი დაამსგავსა ოხერ სავანეს: ასტეხა ხალხში შური და მტრობა უკუღმა ცარა ჩვენი ქვეყანა; ძმას აღარ ჰქონდა ძმისა გატანა! ქვეყნის გაწირვით და ორგულობით იხვეჭდნენ კერძო ბედნიერებას. ტახტზე ასული ფარისევლობა სისხლით და ცრემლით შავ პირს იბანდა; და დღევანდელმა დღემ არ იცოდა თუ ხვალინდელი რას მოიტანდა. თამარ ცბიერის მიზეზით ჩამოვარდა ძმათაშორის დაუსრულებელი და საშინელი სისხლისღვრა, სამშობლოს ღალატი და გარეშე მტრებთან ვერაგული შეთანხმებითა და კავშირით, ქრთამის გაღებით გახშირდა აგრესორთა უწყალო შემოსევა და გაიჟლიტა ხალხი, აირია და აოხრდა ქვეყანა, გახშირდა ტყვეებით ვაჭრობა, დაიცარა და დაინგრა ცხოვრების ბჭენი. ჟამთააღმწერლის დახასიათებით ქვეყანა ჩავარდა: „იწროებასა, ოხრობასა, მწუხარებასა შინა, რომე ესე ვითარი არასოდეს მოსულიყო. ესრეთი შფოთი და ურვა მას აქეთ არავინ ისმინოს და არცა ვის სმენოდეს“ (თედო ჟორდანია, ქრონიკები, II, 481). პოეტის რწმენით თამარ ცბიერი იყო ყოველივე ამის მიზეზი: „თუ არ იმისგან, მაშ, ვისგან არის ჩვენი ქვეყანა დღეს ცოცხალ-მკვდარი? დიდი ხანია, ლეჩაქის ნაცვლად, ეშმაკის ქსელი

მას თავზე ხურავს და იმერეთი, მისგან გარყვნილი, დღეს ბოროტების მორევში სცურავს".

დიდმა პოეტმა თავის თხზულებებში ნათლად გვიჩვენა, რომ ძველად, სახელოვან ქალებთან ერთად, იყვნენ ზნედაცემული, ქვეყნის ამაოხრებელი, გამანადგურებელი და დამღუპველი ბინიერი ქალებიც, რომლებიც მაგდალინელურ სიამოვნებას ანაცვალებდნენ სამშობლოს ბედს, ქვეყნად აყენებდნენ სისხლის კალოს, იწვევდნენ მოკვდავთ კვნესას, ქვრივ-ობლების წყევას. მრისხანე ნგრევასა და აუწერელ ტანჯვას.

ასეთი ბოროტებით აღსავსე „ქვეყნის მავნებელი მტერი" ქალები პოეტის დახასიათებით ძველადაც ყოფილან და მათი ნაშთების განადგურებით „მოვისხამთ ქვეყნის მაღლსო". მიუხედავად სათაყვანებელი ზეციური სილამაზისა, ასეთი ქალების შეყვარება შეუძლებელი და მიუღებელია, როგორც სულიერი უშვერობა, იგი სიყვარულის ღირსი არ არის, „მას ჩემი გული ვერ მიენდობა და შეაჩვენებს ეს ჩემი ქნარი" — ამბობს პოეტი-გოჩა.

წარსული ცხოვრებიდან პოეტმა სხვა ვერაგ ქალთა შორის დახატა დარეჯან დედოფლის სახე. დარეჯანიც ისტორიული პირია. საისტორიო წყაროები მოგვითხრობენ, რომ იმერეთში მეფე ალექსანდრე გიორგის ძემ პირველ მეუღლესთან განშორების შემდეგ ცოლად შეირთო თეიმურაზ პირველის ასული დარეჯანი. პირველ ცოლთან მას ჰყავდა შვილი ბაგრატი, რომელიც მამის გარდაცვალების შემდეგ ავიდა სამეფო ტახტზე. დედინაცვალმა დარეჯანმა თავის გერს ბაგრატს და მთელს ქვეყანას უდიდესი უბედურება მიაყენა. ცბიერმა დ ვერაგმა ქალმა ისიძა ბაგრატი, ცოლად შერთო თავისი ძმის დავითის ასული ქეთევანი. ხოლო ექვსი თვის შემდეგ „შეიპყრა ბაგრატ მეფე... წაგვარა ცოლი ქეთევან და აღმოხადნა თვალნი", ცოლად გაჰყვა ვახტანგ ჭუჭუნაშვილს, „დაიპყრნა თვით იმერეთი და ვახტანგს უწოდა მეფედ"[1]. ამას მოჰყვა საშინელი სისხლისღვრა რის შედეგადაც მეფე კვლავ ბაგრატი გახდა. მაგრამ ქვეყანა კვლავ აირია. დაიწყო სასტიკი და დაუნდობელი ძმათამკვლელი ომი, რასაც თან მოჰყვა „ხალხის მოსვრნა და მოსტყვევნა... ხდომა, შფოთი, კირთება ერთგან მეორისა და ოხრება ქვეყანათა".[2] დარეჯან დედოფალმა კვლავ აუტანელი უბედურება მიაყენა

---

1 „ქართლის ცხოვრება", დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, ტ. 2, გვ. 202. შდრ.: „ქართლის ცხოვრება", ტ. II, ბერი ეგნატაშვილი, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, გვ. 437.

2 იქვე, გვ. 204.

ქვეყანას. დიდძალი ფულით მოისყიდა ფაშა, ვინც აურაცხელი ჯარით მოადგა იმერეთს, მას მხარი გაუმაგრეს დადიან-გურიელ-ერისთავებმა. ბაგრატი ქართლს გარდაიხვეწა, ხოლო „ოსმალთა მოსრნეს, მოსტყვევნეს იმერეთი.. მოსწვეს ქვეყანანი და ეკლესიანი". [1] ეპოქის ამ ტრაგიკულ ისტორიულ მოვლენათა საფუძველზე დახატა აკაკიმ დარეჯან დედოფლისა და თამარ ცბიერის სახე. პოეტმა თუ „ნათელაში" და სხვა თხზულებებში ასახა ძველი დროის დადებითი, ბრწყინვალე პატრიოტული იდეალებით შთაგონებული ქალები, დრამატულ პოემა „თამარ-ცბიერსა" და სხვა ნაწარმოებებში ნათლად გვიჩვენა უარყოფითი, ვერაგი, ბილწი, სამშობლოს გამყიდველი, საკუთარი, პირადი ინტერესებისათვის საქვეყნო ინტერესთა გამწირავი ქალებიც. ამიტომ „თამარ-ცბიერის" მაგალითზედაც სავსებით ნათელია, რომ პოეტი ქართველი ხალხის წარსულიდან დადებით, სამაგალითო და მისაბაძ გმირ ქალებთან ერთად უარყოფითს, ბიწიერს, ქვეყნის მოღალატე და ვერაგ ქალთა სახეებსაც ხატავდა. დარეჯან დედოფლის სახე ისტორიული სიმართლით, სპეციფიკური კოლორიტითაც გამოირჩევა.

ქართველი და ირანელი ისტორიკოსები, როგორც ითქვა, დარეჯანს მიიჩნევენ ქვეყნის უბედურების მიზეზად. ირანის ცნობილი ისტორიკოსი მოჰამედ თაჰერის ცნობით: „თეიმურაზ-ხანის ქალმა, რომელიც ცოლად ჰყავდა ალექსანდრე ხანს... გამეფება განიზრახა. ის შეეთქვა ერთ ჯგუფს, რომ შვილი ალექსანდრე ხანისა მოესპო და გიორგი.... მის ადგილას დაენიშნა. რაღაც საბაბით ის თავის ბინაზე მოიყვანა და „მისი ქვეყნის მხედველი თვალის გუგები მხედველობის ღირსებას მოკლებული გახადა (დააბრმავა)". „ბაში-აჩუკის ხალხს (იმერეთის სამეფოს ხალხს — პ. კ.) ის ამ ამბის გამო სრულიად შესძაგდა". ამას მოყვა დიდი ომები ბაში აჩუკის მთავრებსა, ერისთავ-დადიანსა და შაჰნავაზს შორისო"[2].

იმერეთის ავბედ ცხოვრებას ალექსანდრე მეფის გარდაცვალებისა და დარეჯან დედოფლის ვერაგობით გამოწვეულ ქვეყნის უბედურებას ასე ახასიათებს არჩილი:

მეფე მოკვდება ლიხს იქით, საქართველოს თან ჩაიტანს.
ალაღდებიან თავადნი, ერთი მეორეს აიტანსო.

აკაკიც არ იშურებს მამხილებელ საღებავებს დარეჯანის ბიწიერების დასახატავად. იგი მიუთითებს, რომ დარეჯანმა

---

1 „ქართლის ცხოვრება", დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, ტ. 2, გვ. 204.

2 ვ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ, იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, 1954, გვ. 395.

მოაწია „დრო საზარი მოღალატობის“, ჩვენი ქვეყანა „ტკბილი სავანე მან დაამსგავსა ოხერ სამარეს, ასტეხა ხალხში შური და მტრობა, უკუღმა სცარა ჩვენი ქვეყანა“. ამ უბედურების დროს „გასწყდა კავშირი სისხლ-ხორცობისა, ძმას აღარ ჰქონდა ძმისა გატანა... ტახტზე ასული ფარისევლობა სისხლით და ცრემლით შავ პირს იბანდა, და დღევანდელმა დღემ არ იცოდა თუ ხვალინდელი რას მოიტანდა“ დარეჯან დედოფლის ამგვარი სახის დახატვით აკაკი მიუთითებდა, თუ რა აუნაზღაურებელი უბედურება შეუძლია მოუტანოს ქვეყანას დარეჯან დედოფლისა და თამარ ცბიერის მსგავსმა ქალებმა.

პოეტი გულმოდგინედ ხატავდა ძველი ქალების გმირულ სახეებს, რომლის მიზანი იყო გარდასულ დროთა მოწინავე ქალების სახელოვანი ტრადიციების დროის შესაფერად თანადროულ ქალთა შორის დანერგვა და განვითარება. „მე ძველ დედებს, წერდა აკაკი. იმიტომ ვაქებ, რომ დღევანდელი ჩვენი ქალებიც ისეთივე მხნე, თავდადებული და სამშობლოს მოსიყვარულენი იყონ, როგორც ჩუენი ძველები ყოფილან და ესენიც ამ დროს შესაფერად დღევანდელ ბოროტებას ეწინააღმდეგებოდნენ და ებრძოდნენო“.[1] პოეტის წარსულის სახელოვან ტრდიციათა დახატვას თანამედროვე ცხოვრების გარდაქმნისათვის ბრძოლის ამოცანას უსახავდა, წარსულის თანადროულობისა და მომავლის სამსახურში აყენებდა. ისტორიული წარსულიდან თავისი შემოქმედების ობიექტად ხდიდა ისეთ მოვლენებსა და ტრადიციებს, რომელთაც თანამედროვეთათვის აქტუალური მნიშვნელობა ჰქონდა. ამ თვალსაზრისით პოეტი დადებით, სახელოვან და დიდბუნებოვან გმირთა სახეებთან ერთად უარყოფით, დასაგმობ და უკუსაგდებ მოვლენებსაც ხატავდა.

აკაკი გარკვევით აცხადებდა, რომ „წარსულმა თავისი პური მოსჭამა და ზოგიერთი მისი წესწყობილებათაგანი დღეისათვის არა სასარგებლო, საგინებელიც არის. საჭიროა ახალი გზა და სხვა მიმართულება. ძველნი რაც მალე დაემხობიან, ისა სჯობს“-ო[2]. ძველად არსებული ცუდი, მიუღებელი და მავნე მოვლენები ისტორიას უნდა დავუტოვოთო. პოეტი რევოლუციურ-დემოკრატიული პოზიციებიდან აფასებდა გარდასულ დროს, მისი ცოდნისა და გამოყენების ხასიათს, ისტორიის ცოდნის დიდ მნიშვნელობას აწმყოსა და მომავლის ცხოვრებისათვის.

პოეტის მებრძოლი ისტორიზმი აღვივებდა ხალხში უსამართ-

---

[1] აკაკი წერეთელი, ტ. XIV, გვ. 118.

[2] იქვე, გვ. 377.

ლობის წინააღმდეგ ბრძოლის პათოსს და ნერგავდა ოპტიმიზმს. ამასთანავე, პოეტი ნათლად ხატავდა იმ უარყოფით, მავნე და მიუღებელ მხარეებსა და მოვლენებს, რაც გარდასულ დროს ახასიათებდა და სრულიად არ ერიდებოდა მათ სასტიკ მხილებას. აკაკი გარკვევით მიუთითებდა, რომ ჩვენს წარსულ ცხოვრებაში ცოტა როდი იყო იმის მაგალითი, როცა ეკალი, ღვარძლგორვალი ითესებოდა, როცა „ჩვენს მამა-პაპებშიაც გამოერეოდნენ ხოლმე უკუღმართები". პოეტი დაუნდობლად კიცხავდა სამშობლოს მოღალატე, ზნედაცემულ და ბიწიერი ცხოვრებით გატაცებულ მეფეებს, დედოფლებსა და თავადაზნაურობას, მაღალ სასულიერო პირებს, მკაცრად ამხელდა მათ ვერაგობას, ურთიერთშორის მტრობას, განხეთქილებას, შურიანობას, ძმათა შორის სისხლის ღვრას, სეპარატიზმს, ქვეყნის აოხრება-გაჩანაგებას, ხალხის უსაზღვრო ტანჯვასა და ვაებას.

იგი ამხელდა მავნე წეს-ჩვეულებებს, უკუღმართ, მიუღებელ და ხალხის დამლუპველ საზიანო გადმონაშთებს, მანკიერებას, მლიქვნელობას, ანგარებას, დაცემულობას, გაუტანლობას, სამშობლოს გამყიდველობას, უსამართლობას და სხვა ანტიხალხურ მოქმედებებს.

აკაკის დახასიათებით, ძველად ქართველ თავადაზნაურთა გარკვეული ჯგუფი ქვეყნის გარეწარი, ორგული და მოღალატე, მხოლოდ საკუთარი ინტერესებით იყო გატაცებული. ამის გამო ერთი რომ წაღმა თესავდა, მეორე უკუღმა ფარცხავდა და ერთი რომ ართავდა, მეორე სცარავდა".[1] ამ მიუტევებელ ცოდვაში, მოღალატე მამაკაცებთან ერთად, გადაგვარებულ ქალთა მონაწილეობასაც მოურიდებლად ამხელდა დიდი პოეტი.

წარსულის უარყოფითი მოვლენები პოეტმა დიდი რეალისტური შთაგონებით ამხილა თავის მრავალ მხატვრულ შედევრში, მაგრამ ის ძვირფასი და სახელოვანი, რაც წარსულში ხალხს მრავალსაუკუნოვანი დიადი ბრძოლებისა და შემოქმედებითი შრომის საფუძველზე შეუქმნია და აურაცხელი ტანჯვით ქარცეცხლში გამოუტარებია, როგორც საუკეთესო და ბრწყინვალე ტრადიცია, ხელსაკრავი არ არის, რადგან კარგი რამ არც ერთ საუკუნეში არ ჰკარგავს თავისს ღირსებასა და ფასს, რამეთუ „ლალ-ზურმუხტ-იაგუნდი, წერდა პოეტი, პირველ საუკუნეში, მეთორმეტეში და მეჩვიდმეტეში გამოჩენილი ნუთუ ამ საუკუნეში აღარ უნდა იხსენიებოდნენ თვალ-პატიოსნად?"[2]

მადლით მოსილი, მაღალი ნიჭით მომადლებული, ხალხის

---

[1] აკ. ნ ე რ ე თ ე ლ ი, ორი პუბლიცისტური სტატია, 1903, გვ. 6-7.

[2] აკაკი წერეთელი, ტ. XIV, გვ. 119.

დიდი ბრძოლითა და რუდუნებით მოპოვებული და დაცული ძვირფასი საგანძური დროის შესაფერისად უნდა შევაფასოთ და გამოვიყენოთო. ამ შეხედულებათა გავრცელების სურვილით შეპყრობილი პოეტი კრძალვით და აღტაცებით უმღეროდა გმირ ქართველ ქალებს. მათ შესახებ პოეტი წერდა: „დიდება იმათ დედობას! დიდება იმათ სახელსაო". აკაკი, როგორც დიდი ოპტიმისტი, მომავლის ღრმა რწმენით მოუწოდებდა ქალებს ადამიანის ამამაღლებელი, პატიოსანი შრომისაკენ. პოეტის აზრით ცხოვრების მოთხოვნათა გათვალისწინებით, მათ უნდა გამოიჩინონ საკუთარი ინიციატივა და ჩაებან საერთო სამოღვაწეო და საბრძოლო ფერხულში. საქმე ქვეყნად ბევრი და მეტად საგულისხმოა. საჭიროა მხოლოდ სურვილი და მონდომებაო. „დღევანდელი საუკუნის მოთხოვნილება, წერდა პოეტი, უფრო რთული, უფრო შორს გამჭვრეტი, უფრო საფრთხილო და უფრო საგულისხმოა... და ამაების შესაფერად უნდა ირჯებოდნენ ჩვენი ქალებიც... რა გავაკეთოთო, ნუ იტყვიან! სურვილი რომ ჰქონდეთ, თვითონ მიაგნებენ საგანსა და მიხვდებიან, როგორც მოიქცენ"[2].

აკაკი თანადროულ ქალებში სედავდა ზოგიერთ პატრიოტ. უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლ, მოღვაწე და სახელოვან ქალებს, რომლებიც ნაყოფიერად და გონივრულად, დიდი სიყვარულითა და გატაცებით მუშაობდნენ საზოგადოებრივ ასპარეზზე. იგი დიდად აფასებდა მწერალ, მთარგმნელ, რედაქტორ ქალებს. საგანგებო პატივს სცემდა მსახიობ და პედაგოგიურ დარგში მომუშავე დედაკაცებს და იმედს გამოთქვამდა, რომ მათი რიცხვი თანდათან გაიზრდებოდა და მით ხელი შეეწყობოდა ქვეყნის წინსვლასა და გამარჯვებას. ეს დიდი მოღვაწე ქალები, პოეტის დახასიათებით, არ იშურებდნენ ძალ-ღონეს ქვეყნის წარმატებისათვის და გულწრფელად აცხადებენ: ქვეყნის მომავალს და მის სიკეთეს, რომ არ დავეხმაროთ, უსინდისობა იქნებაო! შესდგომიან საქმეს და შეძლების და გვარად კიდეც სცდილობენ, რომ გააკეთონ რამეო[3].

პოეტმა დახატა ისეთი თანადროული ქალებიც, რომელთაც სასტიკად სძულდათ ხალხის მტრები, თვითმპყრობელობა და მისი საზიზღარი მოხელეები, გადაგვარებული და ზნედაცემული ადამიანები, რომელნიც მარჯვედ იყენებდნენ რა თავის მდგომარეობას, სისხლს სწოვდნენ დაბეჩავებულ ხალხს. მრავალთა

---

1 აკაკი წერეთელი, ტ. III, გვ. 44.

2 იქვე, ტ. XII, გვ. 329.

3 იქვე, გვ. 16.

შორის საკმარისია დავასახელოთ ერთი მაგალითი: პოეტმა დახატა შორაპნელი გაიძვერა, ვერაგი პიროვნება, რომელიც „სტრაჟნიკად" მსახურობდა და დამსჯელ რაზმში თარჯიმანის თანამდებობასაც ასრულებდა. ეს არამზადა ისე შეეჩვია ბოროტებასა და სიბილწეს, ისე შეტოპა უწმინდურობის წუმპეში, რომ ვეღარავინ სჯობდა ხალხის ძარცვა-გლეჯაში და სოფლელების წივილ-კივილი აღარაფრად მიაჩნდაო [1].

აი, ამ ჩაგრული ხალხის სისხლის მწოველმა მოინდომა გლეხის ლამაზი ქალის ცოლად შერთვა. მიუგზავნა შუამავლები, მაგრამ ქალმა შემოუთვალა: „ძაღთაპირას არ წავყვებიო! ოქროში რომ ჩამსვას და თვალ-მარგალიტით შემჭედოს, მაშინაც არ მინდა ქვეყნის მძარცველიო. იმას რომ წავყვე, მერე რაღა პირით უნდა შევხედო სოფელსო?" [2].

პოეტის დროინდელი ქალების მებრძოლი სახე მრავალგზის არის დახატული აკაკის მდიდარ შემოქმედებაში.

1909 წელს პარიზში წარმოთქმულ სიტყვაში აკაკიმ კვლავ გაამახვილა ყურადღება ერის ცხოვრებაში ქალის მნიშვნელობის შესახებ და სთქვა: „რომელიმე ხალხის გაცნობა თუ გინდა, ჯერ ქალები უნდა გაიცნოთ, როგორც ეროვნების ბარომეტრი". [3] პოეტის აზრით ხალხის ცხოვრების უტყუარი მაჩვენებელია ქალი. ერის მდგომარეობა, მისი კარგი და ავი ცხოვრებისა და კულტურის მაღალი თუ დაბალი დონე, უპირველეს ყოვლისა, აირეკლება და გამოჩნდება ქალის ცხოვრებაში. იგი, როგორც ბარომეტრი, ისე დაგვანახვებს ერის ტკივილებს, მის ტანჯვას, მწუხარებას, სისარულსა და სასიცოცხლო მაჯისცემას. ქალი, როგორც ხალხის უდიდესი ძალა, ქვეყნის მშვენება, სიცოცხლის ფუძე, ოჯახის გვირგვინი და სიამაყე დიდად მოქმედობს ერის ცხოვრების გაუმჯობესებასა და გაძლიერებაზე. რამდენადაც ქალების მონაწილეობა სახელმწიფოს, საზოგადოებასა და კულტურის საქმეში სასარგებლო, აქტიური და ნაყოფიერია, ხალხის ცხოვრებაც მაღალი, მდიდარი, და წარმტაცია.

პოეტს ახარებდა რომ „ახალმა მოძრაობამ" (1905 წლის რევოლუციამ, — პ. კ.) გამოაფხიზლა ახალგაზრდა ქართველი ქალებიც და ისინი „მზად იყვნენ, რომ სამსხვერპლოდ თავი დაედ-

---

[1] აკაკი წერეთელი, ტ. VIII, გვ. 231.

[2] აკაკის თხზულების ამ ადგილისათვის თავის დროზე ყურადღება მიუქცევია ფილიპე მახარაძეს (იხ. ანდრო აბრამიშვილის წერილი „ფილიპე მახარაძის უცნობი წერილი აკაკი წერეთლის გარდაცვალებაზე", ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", 1973 წ., № 2, გვ. 77).

[3] აკაკი წერეთელი, ტ. XIV, გვ. 347.

ვათ საქმისათვის“ [1]. პოეტი გამოღვიძებულ, თავისუფლებისმოყვარე სულისკვეთებით გატაცებულ ქართველ ქალებს უსურვებდა წარმატებას ხალხისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ.

აკაკი დიდად აფასებდა თანადროული ქალების მოღვაწეობას. ცხოვრებაზე ხუთი ათეული წლის დაკვირვების შედეგად პოეტი აცხადებდა: „ის საქმე, სადაც ქალები არ ურევიან, ვერ ხარობს. ისინი უფრო სიფრთხილითა და სიყვარულით ეკიდებიან მათგან არჩეულს, თუ სხვისგან დავალებულ საზოგადო საქმეებს, ვიდრე კაცები“ [2]. აკაკის რწმენით, თუ გვსურს საზოგადო სასარგებლო საქმის წინსვლა და გამარჯვება ქალები უნდა ჩავაბათ შიგ და უზრუნველვყოთ მათი აქტიური მონაწილეობა.

პოეტი მოითხოვდა რომ „დრამატიულმა საზოგადოებამაც უნდა უეჭველად რამდენიმე ქალი აირჩიოს გამგეობაში“. [3] პოეტი აღფრთოვანებით აცხადებდა, რომ მისდროინდელი მოწინავე ქალები ბეჯითად და მონდომებით მონაწილეობდნენ სამწერლო-სალიტერატურო ასპარეზზე. ასეთ მოღვაწე ქალებად, მრავალთა შორის, მას მიაჩნდა: ეკ. გაბაშვილისა, ა. თუმანიშვილისა, ა. ერისთავისა, განდეგილი (დომნიკა ერისთავი) და სხვ. აკაკი განსაკუთრებულ მაღალ შეფასებას აძლევდა აღნიშნულ და სხვა ქალთა სამწერლო ნიჭსა და შემოქმედებით მოღვაწეობას. პოეტმა, სხვათა შორის, მაღალი შეფასება მისცა გრიბოედოვის გენიალური თხზულების „ვაი ჭკუისაგან“ განდეგილის მიერ შესრულებულ თარგმნას. აკაკი წერდა: მხატვრულ ნაწარმოებთა შორის „მარგალიტად მიგვაჩნია ჩვენ გრიბოედოვის კომედია „ვაი ჭკუისაგან“, ქ-ნ განდეგილის ნათარგმნი და დრამატული საზოგადოების გამოცემული... უნდა ვაღიარო... ამაზე უკეთესი თარგმანი არა თუ ქართულსა, არცა სხვა რომელსამე ენაზე მოხერხდებოდა. მთარგმნელის ნიჭს, ენის ცოდნასა და მეცადინეობას უძლევია ყოველიფერი და შეუტანია ქართულ სალიტერატურო სალაროში ღირსეული განძი. აქ მთარგმნელის ნიჭი ორიგინალის და მწერლის ნიჭს კვესივით მოხვედრია და ამიტომაც არა ჰგავს ეს უკანასკნელი სხვა თარგმანებს“.

ქალები უფრო უდებენ გულს საზოგადო საქმეს, ვიდრე კაცებიო. „მწერლობის გარდა სხვა ასპარეზზეც ქალები გვჯობნიან... და აი, ეს მაძლევს მე იმედს, რომ ჩვენში; თუ კი რამ გამო-

---

[1] აკაკი წერეთელი, ტ. XIV, გვ. 348.

[2] იქვე, გვ. 239.

[3] იქვე, გვ. 240.

ბრუნდება, ისევ ქალების მეოხებით"-ო [1]. ამ იმედით შთაგონებული პოეტი ქალებს მოუწოდებდა: თქვენ ქალებო ვალდებულები ხართ!.. თქვენ რომ კეთილ საქმეს თანაგრძნობა გამოუცხადოთ და სიტყვა სთქვათ, ხმა ამოიღოთ, რისა და ვისა გეშინიათ? მითი რას დაკარგავთ! ჩინებს, ორდენებს, პენსიებს თუ სხვას რამეს? არაფერს, მხოლოდ მჟავე კომპლიმენტებს... და ამაში როგორ სცვლით და ჰყიდით თქვენის ქვეყნის ბედნიერებას?.. თქვენ რომ სამშობლო გიყვარდესთ, მისი თანაგრძნობა გქონდესთ, მისი ავი და კარგი გაელევებდესთ, გალაპარაკებდეთ, მაშინ საზოგადო ჰაზრი შეიცვლებოდა, სხვა გვარად დამყარდებოდა და ხალხში გავრცელებული ხმა ბევრს ცუდს გადაგვარჩენდა!.. საზოგადო ღაღადი დიდია და ძლევამოსილია ყოველთვის!... იმის დალაგმვა ძნელია!.. ბევრს ცუდს კაცს შეაჩერებს და რომ უნდოდეს უსამართლობა, ველარც კი გაბედავს ...ქვეყნის ღაღადს მოერიდება... აი ესეც დიდი მუშაობა და შრომა იქნება თქვენის მხრით თუ კი მოინდომებთ!"...

აკაკი მოითხოვდა ქალებისადმი დიდ პატივისცემას, მოკრძალებასა და ყურადღებას, ქვეყნის ცხოვრებაში ქალის მონაწილეობის უდიდესი მნიშვნელობის შეგნებას, ხალხმა უნდა დააფასოს დედაკაცის ამაგი, მისი ღირსება და საქვეყნო დამსახურება. ყველა მამაკაცმა, მდგომარეობისა და პირობების მიუხედავად, ქალებისადმი ღრმა გულისხმიერება უნდა გამოიჩინოს. „გიორგი III რომ ანის ქალაქიდან ძლევა-მოსილი დაბრუნდა, პირველად თავის გამზდელ მამიდასა სცა თაყვანი და მის მიხედვით ჯარმაც — დედათა სქესს. მათ გულწრფელად აღიარეს, რომ მამულისშვილები მათის წყალობით იზდებოდნენ საქართველოში" [2].

ანალოგიური აზრი გაატარა პოეტმა „თორნიკე ერისთავში". ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლაში გამარჯვებულ და სამშობლოში ძლევამოსილად დაბრუნებულ ქართველ ჯარს დიდი აღტაცებით შეეგება მეფე დავით კურაპალატი თავისი მრავალრიცხოვანი ამალით. ამ საზეიმო შეხვედრაში მონაწილეობენ ქალებიც:

ცალკე სერზედ უთვალავი
გადმომდგარა დედა-წული,
სხვებზე მეტად დასტყობიათ
საზოგადო სიხარული (V, 77).

დავით კურაპალატი საგანგებოდ მიესალმა დედებს:

---

[1] აკაკი წერეთელი, ტ. XIV, გვ. 292—293.

[2] აკაკი წერეთელი, ტ. XII, გვ. 328.

გამარჯობა ქართველ დედებს,
ჩვენს გამზრდელსა და მშობლებსო:
მათი ძუძუ გვავაჟკაცებს
და ზრდა სულით გვამაღლებსო!

ამ სიტყვებით აღტაცებულმა ჯარმაც ერთხმად შესძახა: „გაუმარჯოს ქართველ დედებსო“.

პოეტი შთააგონებდა ხალხს, რომ ქალები უდიდეს ძალას წარმოადგენენ ქვეყნის ცხოვრებაში. ისინი უნდა გავააქტიუროთ, გავანათლოთ, ავამაღლოთ და ჩავრიოთ საქვეყნო საქმეში. მათ უფრო მეტის გაკეთება შეუძლიათ, ვიდრე მამაკაცებს. ქალების მიერ კეთილად გამხნევებული მამაკაცებიც უკეთ შეასრულებენ თავიანთ ვალს ხალხის წინაშე: „ქალის უბიწო თანაგრძნობა, წერდა აკაკი, ელექტრონის ძალაა მამაკაცისათვის კეთილი მისწრაფების დროს“. [1]

საყურადღებოა, რომ აკაკის შეუძლებლად მიაჩნდა ხალხის გამოღვიძება, თავისუფლება და აყვავება თუ საქვეყნო საქმეში ქალები არ იქნებიან ჩაბმულნი და კარგი საქმის თანაგრძნობასთან ერთად, საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ მიიღებენ ქმედით მონაწილეობას. „მე მხოლოდ მაშინ ვიწამებ, წერდა პოეტი, ჩვენის ხალხის გამოღვიძებას, როდესაც ჩვენი ქალები ყოველს კეთილსა და საზოგადოებისადმი კეთილ-ნაყოფის მომტან მოვლინებაებს არა თუ თანამგრძნობნი, თანა-მოქმედნიც იქნებიან“-ო [2].

დიდ პოეტს ხალხის ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან განთავისუფლება და სანუკვარი საზოგადოებრივი ცხოვრების დამყარება და ამაღლება არ სწამდა ქალების გამოღვიძების გარეშე. „მე არ მიმაჩნია, წერდა აკაკი, ის გაზაფხული გაზაფხულად, როდესაც სიცივის გამო მერცხლები არ მოფრენილან. არა მწამს საზოგადოების გამოღვიძება მაშინ, როდესაც ქალებს კი სძინავთ [3].

იშვიათია მწერალი, რომელიც ქალს ხალხის ცხოვრებაში ისეთ მაღალ შეფასებასა და მნიშვნელობას ანიჭებდეს, როგორც აკაკი წერეთელი. დიდი პოეტი სიცოცხლის მთელ მანძილზე დაუღალავად უმღეროდა ქალს, როგორც ქვეყნის გვირგვინს, მარილს და ხალხის ცხოვრების ქვაკუთხედს. უგალობდა მის სიდიადეს, მებრძოლ პატრიოტულ შთაგონებას,

---

[1] აკაკი წერეთელი, ტ. XIV, გვ. 158.

[2] აკაკი წერეთელი, ტ. XI, გვ. 368.

[3] იქვე.

ძალასა და მოქმედებას, დედობას, მის მშვენებას, ჭირსა და ლხინში მონაწილეობას, სახელოვან ტრადიციებს, მაღალ-ზნეობრივ-მორალურ სიწმინდეს, დიდ საქვეყნო საქმეებში აქტიურ მონაწილეობასა და დიდებას. პოეტი თავდადებით იბრძოდა ქალთა უფლებებისათვის და მოელოდა მათ გამოღვიძებას, ამაღლებას, თავისუფლებას, სახალხო დაფასებას, ემანსიპაციასა და პატივისცემას. მათ მიერ, მამაკაცებთან ერთად, საოცნებო მომავლის მოპოვებისათვის თავდადებასა და გმირობას.

დიდებული მგოსანი ოცნებობდა დიად მომავალზე, როდესაც ხალხი თავს დააღწევდა ჩაგვრას, გასწყვეტდა მონობის ჯაჭვს და ქვეყნად სამოთხე დაისადგურებდა და ყოველმხრივ შემკულ მშვენიერ, თავისუფალ და აყვავებულ ედემში დიდებით ნათელმოსილი ქალები გმირული შთაგონებითა და თავდადებით ასახელებენ სამშობლოს, როცა ისინი წმინდის საქმით და გრძნობით იგზნებიან;

სამშობლოსათვის შეუწირავთ მთლად გული და უსტვენენ ისე, როგორც ბულბულის.. [1].

ლიტერატურული საღამოები და საჯარო ლექციები

აკაკი წერეთელი იმდროინდელ გამოჩენილ მოღვაწეებთან (ილია ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი, რ. ერისთავი, პ. უმიკაშვილი, მ. გურიელი, ალ. ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა, კოტე ყიფიანი, ავქს. ცაგარელი, ნატო გაბუნია და სხვ.) ერთად მეტად ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა საღამო-ლექციების ჩასატარებლად. პოეტი ხალხის საყვარელი ლექტორი, მხატვრული კითხვის დიდი ოსტატი, ლიტერატურული საღამოების მშვენება, სული და გული იყო. მის ყოველ გამოსვლას საზოგადოება უდიდესი აღფრთოვანებით ეგებებოდა.

აღსანიშნავია აკაკი წერეთლის ერთ-ერთი პირველი მონაწილეობა სამოცდაათიანი წლების დასაწყისში ქუთაისში სალიტერატურო საღამოში. პოეტმა აქ წაიკითხა ცნობილი თხზულება „სცენები საპყრობილეში“ („სცენა საპატიმროში“). აკაკის ოსტატურმა კითხვამ დამსწრე საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. ამ შემთხვევის შესახებ მხცოვანი პოეტი ერთ-ერთ მოგონებაში წერდა: „...ერთხელ სალიტერატურო საღამო გაიმართა „სცენები საპყრობილეში“ ახალი დაწერილი მქონდა და დავიწყე მისი სხვადასხვა ხმით კითხვა ზეპირად.. გამოფხიზლებულ პუბლიკას მოეწონა, ასტყდა სიცილ-ხარხარი და იმდენად მოე-

[1] აკაკი წერეთელი, ტ. II, 52.

წონა, რომ ითხოვა გამეორება".[1] აღნიშნულ თხზულებას შემდეგ აკაკი ხშირად კითხულობდა სალიტერატურო საღამოებისა და თეატრალური წარმოდგენების დროს და მუდამ საზოგადოების დიდ მოწონებას იმსახურებდა.

აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით საფუძველი ეყრება ქართული სალიტერატურო საღამოებისა და წარმოდგენების დროს დივერტისმენტებში ლიტერატურულ-მუსიკალურ გაფორმებათა ტრადიციას.

1875 წელს თბილისში მოეწყო სალიტერატურო საღამოები, რომლებშიც, აკაკისთან ერთად, მონაწილეობდნენ ილია ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი, რაფიელ ერისთავი, დავით ერისთავი, პეტრე უმიკაშვილი და სხვები. საღამოებს დიდძალი ხალხი ესწრებოდა: ცნობილი საზოგადო მოღვაწის სერგეი მესხის გადმოცემით, ამ ქართულმა ლიტერატურულმა საღამოებმა უაღრესად დიდი სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინეს დამსწრე საზოგადოებაზე. გაზეთი „დროება" სპეციალური მეთაური წერილითა და რეცენზიებით გამოეხმაურა სალიტერატურო საღამოებს და მათი მონაწილეების შეფასებისას აკაკისა და ილიას შესახებ აღნიშნა: „მაგრამ ნამდვილი დამამშვენებელი და გამაცოცხლებელი ამ საღამოსი იყვნენ აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე... ჩვენ იშვიათად გაგვიგონია ისეთი ოსტატური და ხელოვნური წაკითხვა, როგორც აკაკიმ თავისი „ადვოკატის დილა" და „სცენა საპყრობილეში" წაიკითხა". აკაკი სისტემატურად მონაწილეობდა სალიტერატურო საღამოებში, როგორც თბილისში, ისე ქუთაისსა, გორსა, ბათუმსა, თელავსა და სხვა ქალაქებში. დიდებული პოეტის გამოსვლა ყველგან დიდ სიხარულსა და აღტაცებას იწვევდა და ხალხში აღვივებდა ქართული კულტურისა და სამშობლოს ღრმა სიყვარულს. მრავალთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია აკაკის ერთ-ერთი გამოსვლა თბილისში 1880 წელს, როცა პოეტს სცენიდან წაუკითხავს ლექსი „ავადმყოფი". გაზეთმა „დროებამ" საგანგებოდ განიხილა პოეტის ეს გამოსვლა და აღნიშნა: „...მაგრამ ყველაზე მომეტებული ტაში და ყურადღება საზოგადოებისაგან დივერტისმენტში დაიმსახურა და დაიმსახურა სამართლიანადაც აკაკი წერეთელმა თავის მშვენიერი ლექსების მშვენივრად წაკითხვით. განსაკუთრებით ლექსი „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს" ისეთი აღტაცებითა და გრძნობით სთქვა, რომ როცა გაათავა, თეატრში ერთი ისეთი საშინელი გაუწყნარებელი ტაშის კვრა, „ბრავო"-ს ძახილი, სკამების ბრახუნი და გრიალი შეიქმნა, რომ

[1] ჟურ. „თეატრი და ცხოვრება", 1910 წ. № 35, გვ. 4.

თეატრის პატრონი რომ ყოფილიყო იქ, უეჭველად იტყოდა „ვსთქვათ აკაკი წერეთელი კარგად ამბობს, მაგრამ ჩემმა სკამებმა რა დააშავაო"[1].

თავისი საჯარო გამოსვლებით აკაკი წერეთელი უდიდეს ზეგავლენას ახდენდა მსმენელზე და მთლიანად იპყრობდა დამსწრე საზოგადოების ყურადღებას. თელავში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილების ინიციატივით მოწყობილ ილია ჭავჭავაძის ხსოვნის აღსანიშნავ ტრადიციულ საღამოზე (1911 წ.) აკაკის მიერ ლექს „განთიადის" წაკითხვის შესახებ გაზეთი წერდა: „აკაკიმ წაიკითხა ლექსი „მთაწმინდა" (იგულისხმება „განთიადი" — ავტ.). რასაკვირველია, წაკითხულ „მთაწმინდის" და წამკითხველის დაფასება არ ძალმიძს, მხოლოდ ამოდენა .დამსწრეთა შორის ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ სულგანაბული უსმენდნენ, თითქოს თითო-თითო სიტყვას ჰკრეფავენ და ღრმად იმარხავენ გულში".

პოეტი მონაწილეობდა ლიტერატურულ გასამართლებებშიც. ამ მხრივ აღსანიშნავია 71 წლის მხცოვანი პოეტის მონაწილეობა (1911 წ.) მისივე თხზულების „თამარ-ცბიერის" ლიტერატურულ გასამართლებაში.

აკაკი წერეთელი გამომეტყველებითი კითხვის ოსტატი იყო. ის 1910 წელს ქართული დრამატული საზოგადოების კურსებზე მიიწვიეს გამომეტყველებითი კითხვის ლექტორად. პოეტი სისტემატურად გამოდიოდა ხალხის წინაშე ფრიად საინტერესო ლექციებით როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე. ლექციებს კითხულობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და სამშობლოს გარეთაც. აკაკის ლექციები მეტად დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელზე, მათ ყოველთვის დიდძალი ხალხი ესწრებოდა. აკაკის შინაარსიან, სადა, სასიამოვნო, მახვილი შედარებებითა და მოხდენილი ანდაზებით გამდიდრებულ ლექციებს ხალხი აღტაცებაში მოჰყავდა. გაზეთი „დროება" პოეტის მიერ 1881 წელს წაკითხული ლექციის გამო წერდა: „აკაკი წერეთელს ორატორული ნიჭი, მართალია, არა აქვს, ის გემუსაიფება, გელაპარაკება, თითქოს ამბავს რასმე გიამბობსო, მაგრამ ეს ლაპარაკი და მუსაიფი ისე ტკბილია, ისეთი საამოა, რომ არ შეგიძლიათ ყური მოაშოროთ. ამას დაუმატეთ მშვენიერი შინაარსი ლექციისა, მახვილი შედარებანი, მოხდენილი ანდაზებითა და იუმორული კილოთი შეზავებული საუბარი... იმის ლექციამ ჩინებული შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე".

იგივე გაზეთი აკაკის მიერ 1882 წლის 21 მარტს წაკითხული

---

[1] „დროება", 1880 წ. № 206.

ლექციის შესახებ აღნიშნავდა: „ყველამ იცის, ვისაც კი შარშანდელი ლექციები „ვეფხის ტყაოსნის გმირებზე“ გაუგონია აკაკი წერეთლისა — თუ რა ტკბილმოუბარი ლექტორია ის, რა ჩინებულის ქართულით, რა გარკვევით და რა მშვენიერი, მოხდენილის, მახვილის მაგალითებითა და ეპიზოდების მოყვანით აცხოველებს ხოლმე ის თავის ლექციებს“.

აკაკი წერეთელმა მრავალი საინტერესო ლექცია წაიკითხა „ვეფხის ტყაოსნის“ შესახებ. მისი ეს ლექციები დღესაც სიღრმითა და აზროვნების ორიგინალობით დიდ ყურადღებას იმსახურებენ.

აკაკი წერეთელი თავისი ლექციებით ნერგავდა ხალხში პატრიოტულ გრძნობებს და გენიალური პოემის გმირთა ძმობის, გამძლეობის, ქვეყნისათვის თავდადებისა და სიყვარულის მაგალითებით მოუწოდებდა მასებს, პირადი ინტერესები შეეწირათ ქვეყნის საზოგადო სასარგებლო საქმისა და ინტერესებისათვის. ხალხიც უდიდესი სიყვარულით ხვდებოდა აკაკის ლექციებს. ქუთაისში წაკითხული ლექციის შესახებ გაზეთი „დროება“ წერდა: „თეატრის დარბაზი თითქოს ვერ იტევდა მაყურებლებს და კედლები კინაღამ დასკდენ. აღტაცებაში მოსულ დამსწრეთა ტაშისკვრით საკითხავის პირველი ნასევრით ნიჭიერმა პოეტ-ლიტერატორმა მრავალგზის გვაცინა ტირილით, გვაცინა იმნაირი სიცილით, რომელიც სამართლიანად ჩაითვლება სატირის საუკეთესო სხარტულად და უფრო ადვილად მიაღწევს აღმზრდელობით ზნეობითადს საგანსა, ვიდრე ფილოსოფიური ვრცელი ტრაქტატი, რომელისამე სუსტმეცნიერისა. სწორედ მოსწრებულ დროზე იყო წაკითხული ეს ჩინებული საკითხავნი. სწორედ დროზე გაისმა... მოწოდება მამულიშვილთა ძმობისა და ერთობისადმი; მოწოდება, რათა დავივიწყოთ პიროვნული ინტერესები საზოგადო სარგებლობისათვის“.

ერთ-ერთი ლექციის დასრულების შემდეგ აკაკი წერეთელს დამსწრე საზოგადოებამ მიართვა მშვენივრად გაკეთებული ჩანგი წარწერითა და დაფნის გვირგვინით.[1]

აკაკი და ქართული პერიოდული პრესა

აკაკი წერეთელმა დიდი როლი შეასრულა ქართული პერიოდული პრესის განვითარების საქმეში. პოეტის ენერგიული მხარდაჭერითა და მონაწილეობით დაარსდა მისი დროის თითქმის

---

1 დაწვრილებით იხ. აპ. მახარაძე, „ლიტერატურული შეკრება-საღამოები საქართველოში“, 1939.

ყველა პროგრესული ქართული ჟურნალი და გაზეთი. ამასთან აკაკი ყველა ამ გაზეთის აქტიური თანამშრომელი იყო, იგი ქართულ პრესას ასაზრდოებდა თავისი მხატვრული ნაწარმოებებით, ფელეტონებით, პუბლიცისტური წერილებით, კრიტიკული შენიშვნებითა და ისტორიული ნარკვევებით. აკაკი წერეთლის ნაწარმოებები სისტემატურად იბეჭდებოდა ისეთ ორგანოებში, როგორიც იყო „ცისკარი", „დროება", „მნათობი", „კრებული", „ივერია", „იმედი", „შრომა", „ნობათი", „თემი", „ნიშადური", „კვალი", „ჯეჯილი", „საქართველო", „თეატრი", და სხვ. აკაკიმ გამოსცა საკუთარი ჟურნალი „აკაკის თვიური კრებული". ხანგრძლივად და ნაყოფიერად მუშაობდა აკაკი წერეთელი გაზეთ „დროებაში" როგორც ცნობილია, ეს ორგანო 1866 წელს დაარსდა და უდიდესი როლი შეასრულა ქართული კულტურის განვითარების ისტორიაში. პოეტი ამ გაზეთის თანამშრომელი ხდება 1867 წლიდან და პირველ ხანებში აქ ათავსებდა ლექსებსა და კორესპონდენციებს. 1867 წელს აკაკიმ აქ დაბეჭდა ლექსი „მოზარე" და კორესპონდენცია სადილი გუბერნიის წინამძღომლისას". აღნიშნულ კორესპონდენციაში აკაკი წერეთელი მიესალმა სამეგრელოს ცალკე არსებული სამთავაროს გაუქმებისა და ქუთაისის გუბერნიისადმი მისი შეერთების ფაქტს, რომელიც მოხდა 1867 წლის აპრილში. პოეტი იმედს გამოთქვამდა რომ ასეთი გაერთიანებით საქართველოს ფართო შემოქმედებითი გზა გაეშლება და მის ხალხს უკეთესი მომავალი დაუდგებაო.

აკაკი წერეთელი განსაკუთრებით მჭიდროდ დაუკავშირდა გაზეთ „დროებას" და „ახალი ახალგაზრდობის ჯგუფის"[1] წევრებს 1871 წლიდან, როცა აკაკიმ სისტემატურად დაიწყო გაზეთში ფელეტონების — „ცხელ-ცხელი ამბების" მოთავსება. პირველი ფელეტონი მან ხელმოუწერლად გაზეთის რედაქციას 1870 წელს გაუგზავნა. რედაქტორს, სერგეი მესხს მოეწონა წერილი და დაბეჭდა გაზეთში („დროება", 1870, №20). ს. მესხს ეგონა, რომ წერილის ავტორი იყო ნ. ნიკოლაძე, რომელიც იმ ხანებში დროებით ქუთაისში იმყოფებოდა. ნ. ნიკოლაძე კი მიხვდა, რომ აღნიშნული წერილი აკაკი წერეთელს ეკუთვნოდა და გადაწყვიტა პოეტის მჭიდროდ დაახლოება „დროების" რედაქციასთან. ამის შესახებ აკაკი მოგვითხრობს: „ერთხელ ქუთაისის თავად-

---

[1] „ახალი ახალგაზრდობის" ჯგუფში შედიოდნენ: გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, კირილე ლორთქიფანიძე და პეტრე უმიკაშვილი. გიორგი წერეთელი გადმოგვცემს, რომ „ეს მეორე დასი იყო პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების მიმდევარი. ამ დასმა განუწყვეტლად იშრომა ფრიად მთელი ათი წელიწადი" („კვალი", 1897, № 46, გვ. 817).

აზნაურობამ თავი მოიყარა მარშლების ამოსარჩევად. რასაკვირველია, ჩვეულებისამებრ პარტიებად დაიყვნენ, ატეხეს აყალმაყალი და ბევრი რამ სასაცილოც ჩაიდინეს. საღამ-საღამოობით შევდიოდი ხან ნიკოლაძის, ხან ხელთუფლიშვილის ოჯახში და მომხდარს ამბებს გადავცემდი ხოლმე მუსაიფის დროს.

ქალებმა მთხოვეს, რომ ერთი ფელეტონი დამეწერა და დამებეჭდვინებია „დროებაში“ და მეც ავასრულე მათი რჩევა. გამოვიყვანე იმ ფელეტონის სათაურად: „ცხელ-ცხელი ამბები“ და ხელმოუწერლად გავუგზავნე რედაქტორს. ის ფელეტონი იქ წაეკითხათ, ძალიან მოსწონებოდათ და ნ. ნიკოლაძისათვის მიეწერათ, რადგან ის იმ ხანებში დროებით იყო ქუთაისში ჩამოსული, „ის თუ მოგვწერდა იმერეთიდან ამისთანა ფელეტონს, თვარა სხვა ვინ მოახერხებდაო?“ არ ვიცი, რად იყვნენ დარწმუნებული, რომ მე გარდა ლექსებისა მეტი არა შემეძლო რა? თუმცა ჩემი საიდუმლო არც ნიკოლაძის დებს და არც დეიდაშვილებს ხელთუფლიშვილის ქალებს, არ გაუმჟღავნებიათ ნიკოლაძისათვის, მაგრამ ის თავისთავად მიხვდა, რომ ჩემი დაწერილი იყო ის ფელეტონი, მოვიდა ჩემთან სასტუმროში და, სხვათა შორის მკითხა: „რა მიზეზია, რომ აჰყოლიხარ აქაურს აყალმაყალს და არ გინდა ტფილისში გადმოსვლა, სადაც უფრო ადვილად შეგიძლია დააკმაყოფილო შენი ინტელიგენტური მოთხოვნილებაო?..“ ამისთანები ბევრი რამ მითხრა და იმდენი მეჩიჩინა, რომ გული გადამიბრუნა, მაშინ მეც ის ვუთხარი, რომ ცხოვრება არ შემიძლია, არაფერი მაქვს-მეთქი! „კარგიო, — მითხრა, — მეტი არ შემიძლია და ყოველთვიურად, სანამ ჩემი საქმეები გათავდებოდეს, მე გაძლევ ჩემი ჯამაგირიდან შვიდთუმანნახევარს და შენც დამჯერდი ამას და იმუშავე „დროებაშიო“. დამითანხმა, მომცა გზის ფული და გამისტუმრა ტფილისისაკენ, თვითონ კი საქმეების გამო საზღვარგარეთ გაუდგა“.

აკაკი შეუდგა „დროებაში“ სისტემატურად თანამშრომლობას, აქვეყნებდა გაზეთის ფურცლებზე თავის ცნობილ „ცხელ-ცხელ ამბებს“, რომლებშიც ამხელდა ცხოვრების მახინჯ მოვლენებს და შეუპოვარი პირდაპირობით ებრძოდა უსამართლობაზე დაფუძნებულ საზოგადოებრივ წყობას. „ნუთუ დიდხანს იქნება კიდევ ეს დრო, როდესაც კაცი მაღლა მიდის ჩვენში, მხოლოდ მეტანიობით, ენატანიობით, ჩანჩურ-ბეგობით“, წერდა პოეტი.

აკაკი წერეთელს არ აკმაყოფილებდა მხოლოდ მხატვრული მწერლობა. იგი პუბლიცისტურ მოღვაწეობას მაშინდელ პირობებში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა და, როგორც ყველა

იმდროინდელი მოღვაწე, ამ ჟანრს თავისი მაღალი მიზნების განხორციელებისათვის საბრძოლველად იყენებდა. თვითონ აკაკი წერდა: „მარტო ნაწერებით ჩვენი მესამოცე წლების მოღვაწეთა დაფასება დიდი შეცდომა და უსამართლობა იქნება. მწერლობა მათთვის მხოლოდ ერთი... იარაღი იყო ქვეყნის სასამსახუროდ აღებული! ისინი ყველგან და ყოველთვის აქტიურ მონაწილეობს იღებდნენ, იყვნენ დღიურ მუშებად და შავი სამუშაო რამეც არ ეთაკილებოდათ“.

პოეტმა თავისი პუბლიცისტური მოღვაწეობა დაუქვემდებარა ხალხის, ქვეყნის მოთხოვნილებებს, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის მოსპობის ამოცანებს. აკაკი წერეთელის წერილები ყოველთვის აქტუალურ საკითხებს შეეხებოდა და მებრძოლი ხასიათის იყო. მისი ფელეტონები გამოირჩეოდა მოსწრებული თქმებითა და მახვილი იუმორით. წერილებში პოეტი იშვიათი ოსტატობით იყენებდა ხალხური შემოქმედების ნიმუშებს: ზღაპრებს, იგავებს, ანდაზებს, გამოცანებს და მახვილ გამოთქმებს, რითაც მისი წერილები უდიდეს ზემოქმედებითს ძალას იძენდა. აკაკი წერეთელი თავის წერილებში („ცხელ-ცხელი ამბები“, „საგულისხმო“, „შენიშვნები“, „შავ-შავი ამბები“, „გახსენება“, „უბრალო საუბარი“, „ფიქრები ბუხრის წინ“, „ჩემი აღსარება“, „ეპისტოლე“, „როგორ უნდა ხალხის დაახლოება“, „ჩვენი გულის პასუხი“, „ცხელ-ცხელი სიმართლე“ სხვ.) აშუქებდა დროის საჭირბოროტო საკითხებს. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი აქტუალური თემა, რომელსაც პოეტი არ გამოხმაურებოდეს.

აკაკი საგაზეთო ფელეტონების ნიჭიერი ოსტატი იყო. პუბლიცისტიკაში მან იშვიათი უნარი გამოამჟღავნა. გაზეთ „დროების“ რედაქტორი სერგეი მესხი აღნიშნავდა: „თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ყველა ახლანდელ ჩვენს მწერლებში აკაკი ყველაზე უფრო ნიჭიერია და ყველაზე უფრო გამოსადეგი გაზეთისათვის. ამისთანა ცოცხალი კალამი, მარჯვე, მკვირცხლი სიტყვა, ირონია და ადვილი წერის ნიჭი არც ერთ ჩვენ მწერალს არა აქვს. ამიტომ ძვირფასად მიმაჩნია ის გაზეთისათვის და საზოგადოდ ჩვენი ახალი ლიტერატურისათვის“.

ყველა გაზეთისა და ჟურნალის რედაქცია დაინტერესებული იყო, რომ აკაკი დაეახლოებინა და თავისი ორგანოს მუდმივ თანამშრომლად გაეხადა. როდესაც აკაკიმ ქართველი ხალხოსნების ორგანოს „იმედის“ გამოსვლას კრიტიკულად შეხედა, რედაქციამ ამის გამო დიდი მწუხარება გამოთქვა. მაგრამ, როცა 1883 წელს აკაკიმ ამ ჟურნალში მოათავსა ლექსი „გლეხისა და თავადის ბაასი“, რედაქციამ სიხარულით აუწყა თავის მკითხვე-

ლებს: ამ დღიდან ჩვენი გამოჩენილი მწერალი აკაკი წერეთელი მუდმივ თანამშრომლობას დაგვპირდაო.

როცა მეფის მთავრობამ 1885 წელს გაზეთი „დროება“ აკრძალა და ილიამ გადაწყვიტა თავისი ჟურნალი „ივერია“ ყოველდღიურ გაზეთად გადაეკეთებინა, ილია ჭავჭავაძემ აკაკი წერეთელს შემდეგი წერილი გაუგზავნა:

„ძმაო აკაკი, მე შენ არ გაგიკადნიერდი და ვერ მოგართვი ის დაბეჭდილი წერილი, რომელიც სხვებს გავუგზავნე. სხვები სხვანი არინ და შენ ერთადერთი აკაკი ხარ. ამიტომაც გარდა ჩემის საკუთარი წადილისა, მოვალეობამ მამულის შვილობისამ მაიძულა ჩვენი ქვეყნის „რჩეულისათვის“ რჩეული, განსაკუთრებითი წერილი მიმერთმია და მეთხოვნა გაგემშვენიერებინა ჩვენი გაზეთი შენის ნიჭის ნაშუქითა. თუ აქამდე ეს წერილი დავაგვიანე, მაგას ნურც ჩემს გათქმულს ზარმაცობას მიაწერ, ნურც რომელსამე ავ-გუნებიან მოძრაობას ჩემის გულისას, რომელსაც შენ ყოველთვის სასიქადულოდ ეყოლები, როგორც უკეთესი მეომარი, ჩვენის ქვეყნის ბედნიერებისათვის თავგანწირული. მიზეზი ის იყო, რომ არ ვიცოდი სად იმყოფებოდი ჯერ აქ მეგონე, ახალი წლის წინა ღამეს მოგიწვიე და პასუხად მომიტანეს, — ქალაქში აღარ არისო. დღეს შევიტყვე, რომ ჩამოსულხარ და გწერ კიდეც. გწერ და არ ვიცი, რა გთხოვო, და როგორ გთხოვო. რაც ხანი ჟურნალი „ივერია“ გამოვიდა, შენ ძალიან შორს უვლიდი, არ ეკარებოდი: ეგ ჩემთვის თუმცა დიდი დანაკლისი იყო, მაგრამ საწყენი კი არა, რადგანაც ვფიქრობდი, იქნება ჩემი მიმართულება არ მოსწონს-მეთქი. ეს ისეთი სამართლიანი საბუთია, რომ ვერა გონიერი და პატიოსანი კაცი წუნს ვერა დასდებს, წინ ვერ აღუდგება, სიტყვას ვერ შეუბრუნებს; რაკი ეს ვიგულისხმე მეც „კისრად ვიღე და დავდუმდი“.

დღესაც ამ ყოფაში ვარ შენს წინაშე, რადგანაც ჩვენს ახალ გაზეთს იგივე მიმართულება ექნება, რაც ძველს ჟურნალსა ჰქონდა და მეც იგივე, რაც უწინ. გულითადი წადილი მაქვს, რომ შენმა სახელმა დაამშვენოს ჩვენი გაზეთი, გული მერჩის გთხოვო შემწეობა და გულის ხმათ აღებული საბუთი კი მაფრთხობს: ვაი თუ ეს თხოვნა ზნეობითი ძალდატანება იყოს და იმ კაცს ჰოს თქმაც გავუძნელო და არასიცა-მეთქი.

მე ჩემი სათქმელი გულახდილად გითხარი, გულახდილადვე ზედ ვუმატებ. რომ უშენობა ჩემის გაზეთისათვის დიდი დანაკლისი იქნება. ეხლა შენ იცი. მაინც და მაინც გთხოვ დარწმუნებული იყო, რომ შემეწევი თუ არ შემეწევი, ორსავე შემთხვევაში, სხვათაშორის, მეც ერთი გულწრფელი მადიდებელი და დამაფა-

სებელი შენის 25 წლის ღვაწლისა ვყოფილვარ, ვარ და ვიქნები".

აკაკი „ივერიის" მუდმივი თანამშრომელი გახდა. აკაკი წერეთელი დიდ ორგანიზაციულ მუშაობასაც ეწეოდა ქართული პრესის განვითარებისათვის. 1876 წელს იგი შედიოდა „დროების" სარედაქციო კოლეგიაში; გ. წერეთელსა და ივანე მაჩაბელთან ერთად იგი ფაქტიური დამაარსებელი და რედაქტორი იყო ყოველკვირეული ორგანო „კვალისა". აქ მოათავსა პოეტმა თავისი შესანიშნავი ლექსები: „განთიადი", „ჭაღარა", „სანამ ვიყავ ახალგაზრდა" და სხვ; აქვე განაგრძო „ცხელ-ცხელი ამბების" ბეჭდვა.

1882 წლის 1 დეკემბერს აკაკი წერეთელმა კავკასიის მთავარმართებელს სთხოვა, ნება დაერთო გამოეცა ქართული გაზეთი „გზა", მაგრამ პოეტის თხოვნა არ დააკმაყოფილეს. 1897 წელს აკაკიმ დაიწყო საკუთარი ჟურნალის „აკაკის თვიური კრებული" გამოცემა. ამ ორგანოს მთავარი დანიშნულება იყო პოეტის თხზულებათა და ხალხური შემოქმედების ნიმუშების გამოქვეყნება.

ჟურნალმა „კრებულმა" 1900 წლის მაისამდე იარსება და მოკლე დროის განმავლობაში უდიდესი სიყვარული მოიპოვა ფართო მკითხველ მასებში. დიდმა პოპულარობამ აიძულა ალბათ მეფის მთავრობა, რომ 1900 წელს „კრებულის" გამოცემა აეკრძალა.

აკაკიმ 1907 წელს გამოსცა პირველი იუმორისტული ჟურნალი „ხუმარა", აგრეთვე „ბზიკი" და „ცეცხლი". პოეტს მიზნად ჰქონდა დასახული ჟურნალში გაეკიცხა იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების უარყოფითი მხარეები. მაგრამ ჟურნალი „ხუმარა" მეფის მთავრობამ, იმის გამო, რომ მასში მხილებული იყო თბილისის გუბერნატორი, პირველი ნომრის გამოსვლისთანავე აკრძალა, ხოლო აკაკი დაატუსაღა. მაგრამ ხალხში პოეტის დიდი პოპულარობის გამო მეფის მთავრობა იძულებული გახდა იგი ერთი ღამის პატიმრობის შემდეგ გაეთავისუფლებინა. ამის შემდეგ აკაკი წერეთელი კვლავ ნაყოფიერად მონაწილეობდა ქართულ პერიოდულ პრესაში და თავისი უბადლო შემოქმედების იშვიათი მარგალიტებით ამშვენებდა იმდროინდელი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებს.

ხალხური შემოქმედების შემკრები და გამომცემელი

ხალხური შემოქმედება ყოველთვის იზიდავდა აკაკი წერეთელს. მოხუცი პოეტი ერთ-ერთ წერილში წერდა: „...ეროვნული იგავ-არაკებითა და ზღაპრებით მაქვს გული სავსე... იგი არ ძველდება და ახლაც კიდევ ახალია".

მთელი სიცოცხლის მანძილზე აკაკი დაუღალავად იღვწოდა ხალხური შემოქმედების შეგროვებისა, შესწავლისა და გამოცემისათვის. „ზეპირსიტყვაობა, — წერდა პოეტი, — არის სარკე ჩვენის წარსულის, როგორც ხორციელის, ისე სულიერის ცხოვრებისა... იმის დაკარგვა, დავიწყება ჩვენი სიკვდილია და თუ სიკვდილი არ გვინდა, უნდა მალე მივეშველოთ და შევაგროვოთ... და ბევრს მარგალიტს შევიძენთ საშვილიშვილოდ ხელიხელ საგოგმანებელს“.[1] პოეტი, იმ მეტად საშურ, სერიოზულ და საჭირბოროტო საქმეთა შორის, რომლებიც მოწინავე ქართველ ინტელიგენციას ჰქონდა გასაკეთებელი, ხალხური სიტყვიერების შეგროვების ამოცანას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა: ქართველებს რომ დღეს ბევრი სხვადასხვა საჭიროება გვაქვს და აუარებელი საქმეც გვაწევს ტვირთად. ეს ვინ არ იცის... მაგრამ ერთი კი მათგანი ისეთი საჭირო და სასწრაფო არ არის, როგორც „ზეპირ გადმოცემების“ შეკრება და შეგროვება“.

აკაკიმ მრავალი მოწოდება, მითითება და წერილი უძღვნა ხალხური შემოქმედების შეგროვების, დამუშავება-შესწავლისა და გამოცემის საკითხს. მისი ინიციატივით დაარსდა ფოლკლორის შესწავლის სპეციალური ფონდი. ხოლო საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას მან უანდერძა საკუთარი ვენახი და მთელი თავისი უძრავი ქონება, რათა ამ საზოგადოებას შეეკრიბა და გამოეცა ქართული ზღაპრები, ლექსები და საზოგადოდ ზეპირი თქმულებანი. თუ ვინიცობაა, — წერდა პოეტი ანდერძში, — ვინმე მოისურვებს ჩემს ხსოვნას პატივი სცეს გვირგვინით, მე ვთხოვ მას გვირგვინის საფასური შეიტანოს ხსენებულ ეთნოგრაფიულ საზოგადოებაში ზემოთ აღნიშნული მიზნისთვისო. თავის ჟურნალში „აკაკის კრებული“ მან პირველი ადგილი ხალხური შემოქმედების ბეჭდვას დაუთმო, მრავალი გამოკვლევა და წერილი გამოაქვეყნა.

პოეტი მაღალ შეფასებას აძლევდა ხალხურ შემოქმედებას და ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს უხვად იყენებდა თავის შემოქმედებაში. აკაკიმ განიხილა ხალხური ლექსები და მრავალთა შორის ერთი მათგანის („ხომალდში ჩავჯექ, ზღვას გაველ“) მაღალმხატვრული ოსტატობით აღტაცებულმა განაცხადა: მას „თვით

---

[1] აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმი, ხელნაწერების განყოფილება, ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტი, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდი (H), № 1502.

რუსთველიც მოაწერდა შეურცხვენლად ხელს"[1]. პოეტი ამტკიცებდა,რომ „ზეპირსიტყვაობა არის საფუძველი ისტორიისა და წარსულის ქვაკუთხედი... ხალხური პოეზია უტყუარი სარკეა გადასული ცხოვრებისა და ისტორიის მტკიცე საძირკველი... ქართველებს დიდი და შესანიშნავი ზეპირსიტყვაობა გვაქვს დარჩენილი...არც ერთი რამ შესანიშნავი მივლინება არ ყოფილა ჩვენში, რომ ხალხს უყურადღებოდ დაეგდოს და შაირი არ გამოეთქვას". აკაკი წერეთელმა უდიდესი ამაგი დასდო ამ მდიდარი ქართული ხალხური შემოქმედების შეკრება-გამოცემის, ხალხში მისი პოპულარიზაციის, მეცნიერული შესწავლისა და დაცვის დიდ სახალხო საქმეს.[2]

პოეტი ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის შესახებ

აკაკი წერეთელი უდიდეს ყურადღებას აქცევდა სწაელა-აღზრდის საქმეს. სწავლა-განათლების ფართოდ გავრცელება აკაკის ხალხის ბედნიერების აუცილებელ პირობად მიაჩნდა.

პოეტი დაუნდობლად ამხელდა მეფის მთავრობის სწავლა-აღზრდის რეაქციულ სისტემას, სააშკარაოზე გამოჰყავდა იგი და ებრძოდა ძველ სკოლაში გამეფებულ სწავლების მახინჯ ფორმასა და მეთოდებს. ამ ბრძოლას აკაკი წერეთელი თავისი დროისათვის მოწინავე, პროგრესული იდეების პოზიციებიდან აწარმოებდა. იგი მხარში ედგა ილია ჭავჭავაძეს და განთქმულ ქართველ პედაგოგს იაკობ გოგებაშვილს, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს ქართული პედაგოგიური აზროვნების განვითარებაში. სწორ, მეცნიერულ ნიადაგზე დაყენებულ განათლებას აკაკი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა. „კარგი აღზრდა — საზოგადოების წინსვლაა", — აცხადებდა იგი. პოეტი კარგად ხედავდა, რომ მეფის მთავრობა ყოველმხრივ გზას უხშობდა ნამდვილ სახალხო განათლებას, მასების გათვითცნობიერებას. ახასიათებს რა ძველ სკოლას, დიდი ლენინი გვასწავლის: „ძველი სკოლა აცხადებდა, რომ მას სურს შექმნას ყოველმხრივ განათლებული ადამიანი, რომ ის ასწავლის მეცნიერებებს

---

1 აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმი, ხელნაწერების განყოფილება. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდი (H) № 1502.

2 დანვრილებით იხილეთ ქს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, აკაკი წერეთელი და ხალხური შემოქმედება (აკაკი წერეთლის დაბადებიდან ასი წლისთავის იუბილისადმი მიძღვნილი „საიუბილეო კრებული", თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1940 წ., გვ. 230—256); მ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი. აკაკი წერეთელი და ხალხური სიტყვიერება („ლიტერატურული ძიებანი", ტ. IV, გვ. 329—361).

საზოგადოდ. ჩვენ ვიცით, რომ ეს მთლიანად სიცრუე იყო, ვინაიდან მთელი საზოგადოება ადამიანების კლასებად, ექსპლოატატორებად და ჩაგრულებად დაყოფაზე იყო დაფუძნებული და დაყრდნობილი. ბუნებრივია, რომ მთელი ძველი სკოლა, მთლიანად და სავსებით კლასობრივი სულით გაჟღენთილი, ცოდნას მხოლოდ ბურჟუაზიის შვილებს აძლევდა. ყოველი მისი სიტყვა ბურჟუაზიის ინტერესებისადმი იყო შეგუებული. ამ სკოლებში მუშათა და გლეხთა ახალგაზრდა თაობას იმდენად არ ზრდიდნენ, რამდენადაც იმავე ბურჟუაზიის სასარგებლოდ გეშავდნენ. მათ ზრდიდნენ ისე, რომ შეექმნათ ბურჟუაზიისათვის გამოსადეგი მსახურნი, რომელნიც მას მოგებას მისცემდნენ და ამავე დროს არ შეაშფოთებდნენ მის მოსვენებას და უსაქმურ ცხოვრებას".[1]

კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში იყო კოლონიური ჩაგვრის უღელქვეშ მოქცეულ ხალხთა განათლების საქმე. აქ კიდევ უფრო შეზღუდული იყო სასკოლო ქსელი და სწავლა დაფუძნებული არ იყო დედაენაზე; სკოლებიდან დაუზოგავად იდევნებოდა მშობლიური ენა და ლიტერატურა.

ავითმპყრობელობის პირობებში მშრომელთა შვილებს დახშული ჰქონდათ განათლების გზა, მათთვის ცხრაკლიტულით იყო გადარაზული სასწავლებლის კარები. ისედაც მცირერიცხოვან სკოლებში უპირატესად თავადაზნაურთა, ბურჟუაზიისა და მსხვილ მოხელეთა შვილებს ღებულობდნენ.

იმ დროს საქართველოში მხოლოდ რამდენიმე საშუალო სკოლა არსებობდა, ისიც უმთავრესად ცენტრალურ ქალაქებში, ხოლო უმაღლესი სასწავლებელი სრულიად არ გვქონდა.

აკაკი წერეთელი ცხადად ხედავდა, რომ სწავლას მოწყურებული ახალგაზრდები ცარიზმის პოლიტიკის შედეგად უსწავლელი რჩებოდნენ. ბევრი მათგანი სწორ გზას სცდებოდა, ქვეყნისა და ხალხისათვის გამოუსადეგარი იყო. ამით აღშფოთებული პოეტი წერდა: „ვინ არა ჰხედავს, რომ ჩვენი ხალხი სწავლას თხოულობს, მაგრამ სასწავლებლების უქონლობით სამი წილი მეტი უპატრონოთა რჩება?.. ყოველწლობით ასობითა და ათასობით აბრუნებენ ყმაწვილებს უკანვე, რომ „ადგილი არ არისო". ვის არ უნახავს ის საზარელი და გულისგასახეთქი სურათი, როდესაც პატარა ყმაწვილები ტირილითა და მოთქმით ბრუნდებიან უკანვე, თავიანთ სახლებში?.. ისინი რჩებიან საუკუნოდ უსწავლელნი, ოხერ-ტიალად და უმეტესი მათგანი ბოლოს, როგორც ქვეყნის, ისე თავის-თავის მტრებიცა ხდებიან და

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი ტ. 31, გვ. 341.

ნაცვლად უნივერსიტეტებისა სხვადასხვა საპყრობილეებს ავსებენ. არაა ან სულ მტკნარი გიჟი უნდა იყოს კაცი და ან ყოვლად ბოროტი, რომ ჩვენში სასწავლებლის გამრავლება არ ისურვოს".[1]

აკაკი წერეთელი თავგამოდებით იბრძოდა, რათა ახალგაზრდებს, მშრომელი ხალხის შვილებს ფართო განათლების საშუალება მისცემოდა. ქართველ მეჯამოციანელეთა ეს ბრძოლა მათი საერთო პოლიტიკური ბრძოლის ნაწილი იყო. ამიტომ ამ საკითხშიაც ისინი სწორუპოვარნი და თანმიმდევრულნი იყვნენ. აკაკი მოითხოვდა, რომ სწავლა-განათლება მშობლიურ ენაზე და მეცნიერულ პრინციპებზე ყოფილიყო დაფუძნებული, რომ მოსწავლე ახალგაზრდა ღრმად დაუფლებოდა ცოდნას, მეცნიერების ამა თუ იმ დარგს.

აკაკი მეფის მთავრობას ბრალს სდებდა იმაში, რომ ცოდნას მოწყურებული ახალგაზრდობა უსწავლელი რჩებოდა. განსაკუთრებით აწუხებდა პოეტს იმ ახალგაზრდების ბედი, რომელთაც თვითმპყრობელობის დროს სწავლის არც უფლება და არც საშუალება ჰქონდათ. ამით აღშთოფებული პოეტი ბოლომდე აშიშვლებდა მეფის მთავრობის შავ-ბნელ ზრახვებს, იგი წერდა: „ყოველ წლობით ათასობით მიდიან სხვადასხვა სასწავლებელში სწავლის მილების მოსურნეები... ვედრებით: „გაგვიღეთ კარი სასწავლებლისა, რომ რამე შევიძინოთ და პირუტყვებად არ დავრჩეთო" მაგრამ იმათ სასწავლებლის კარს არ უღებდნენ... ამოდენა ხალხი ყოველწლობით ათასობით შინ დაბრუნებული რჩება უპატრონოდ და ზნეობით ეცემა. მაგრამ ნათქვამია, ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო"... მდევნელებს ეს უნდათ.. ძლივს გაჭირვებით თითო ოროლას მიიღებენ ხოლმე. მხოლოდ იმ ანგარიშით, რომ ხალხს ერთბაშად არ დავანახოთ ჩვენი უსურვლობა და არ მიგვიხვდნენ განზრახვასო, და ბოლოს ნელნელა იმითაც ჰყრიან სასწავლებლიდან... ნიჭი არა აქვსთ და ცუდი ზნისანი არიანო..." ზოგსა ჰრყვნიან და ზოგს თავს აკვლევინებენ... ამაზედ დაფიქრება არ გვმართებს საზოგადოდ?" [2] — სვამდა პოეტი კითხვას და ეს კითხვა თავისთავად მრისხანე პასუხს წარმოადგენდა.

აკაკი წერეთელი აღშფოთებული იყო იმით, რომ იმ მცირერიცხოვან სკოლებში, რომლებიც კი არსებობდა, სწავლა-აღზრდის მახინჯი, რეაქციული სისტემა იყო გამეფებული. ვ. ი. ლენინის გენიალური დახასიათებით „ძველი სკოლა დასწავლის

---

[1] გაზ. „შრომა", 1881 წ., № 15.

[2] ა კ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ., სრ. კრებული, ტ. XI, გვ. 506—507.

სკოლა იყო, ის აიძულებდა ადამიანებს შეეთვისებინათ მრავალი გამოუსადეგარი, ზედმეტი, მკვდარი ცოდნა, რომელიც ახალთაობას თავს უტენიდა და ერთ ყალიბში გამოყვანილ მოხელეებად აქცევდა". [1]

აი ამიტომ აკაკი, სხვა დიდ ქართველ მოწინავეებთან ერთად, შეუპოვრად იბრძოდა არა მარტო განათლების ქსელის გაფართოების და სკოლების რიცხვის გადიდებისათვის, არამედ სკოლებში სწავლის სწორი მეცნიერული მეთოდების დანერგვისათვისაც. ძველ სკოლაში გამეფებული სქოლასტიკური მეთოდები და უხეში ძალადობა ფრიად აძნელებდა სწავლის პროცესს.

აკაკი წერეთელი იბრძოდა აგრეთვე საქართველოში უმაღლესი სასწავლებლების დაარსებისათვის და მოწინავე პედაგოგიური იდეების, ახალი სკოლისა და აღზრდა-განათლების პროგრესული თეორიისა და პრაქტიკის დამკვიდრებისათვის. [2]

მოგზაურობა საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში

ქართველი ხალხის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწეები დიდად აფასებდნენ ხალხის ცხოვრების შესწავლას, ხალხთან დაკავშირებას და მისი მისწრაფებების უშუალოდ გაცნობას. აკაკი დარწმუნებული იყო, რომ ხალხის სამსახური შეუძლებელია მისი ცხოვრების უშუალო და ღრმა შესწავლის გარეშე. პოეტის აზრით, ქვეყნის კეთილდღეობისათვის ზრუნვა მოითხოვს ხალხთან დაახლოებას, მისი ჭირ-ვარამის გაცნობას, მასების მისწრაფებებისა და ძალების უშუალო გათვალისწინებას. ამიტომ, აკაკის სამართლიანი მოთხოვნით, საზოგადო მოღვაწემ საფუძვლიანად უნდა შეისწავლოს ქვეყნის ცხოვრება. „ადრეც გვცოდნია, — წერდა აკაკი, — და ახლაც ვიცით, რომ თუ კი ქვეყნისათვის კეთილი გვსურს, ჯერ უნდა დავუახლოვდეთ ხალხს, გავიცნოთ, გამოვიკვლიოთ მისი ვითარება, მისი საჭიროება და ისე ვემსახუროთ, თორემ შორიდან წრუპუნით და დაკეტილ ოთახიდან ტკბილი სიტყვების ტყორცნით რა გამოვა?!"

აკაკის რწმენით, ხალხის მოჭირნახულე და ხელმძღვანელი მოღვაწე ყოველთვის ხალხთან ახლო უნდა იყოს, ხალხს არ უნდა მოწყდეს. ხალხის მასებს მოწყვეტილი ადამიანი კარგავს

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 31, გვ. 342.

[2] დაწვრილებით იხ. გ. თ ა ვ ზ ი შ ვ ი ლ ი, აკაკი წერეთელი და სახალხო განათლება (აკაკი წერეთლის დაბადების ასი წლისთავისადმი მიძღვნილი „საიუბილეო კრებული", 1940 წ., გვ. 135-136). იხ. უ. ო ბ ო ლ ა ძ ე., აკაკი და ახალგაზრდობა, 1955.

სწორი ორიენტაციის უნარს. ეიფელის კოშკის მწვერვალიდან პოეტს ქალაქი ლანდად წარმოუდგა ქვეყნის ბობოქარი ცხოვრება კოშკს ვეღარ წვდებოდა, ამან კი მგოსანს ათქმევინა:

და მაშინ ვთქვი: ნუთუ ისიც,
ვინც ხანდახან ხალხს შორდება
და სულ მაღლა-მაღლა მიდის.
ორთა შუა გახირდება?
რა თქმა უნდა, რომ დაპკარგავს
ხალხზე ის სნორ მხედველობას
და სიმართლით ვერ გაარჩევს
სიკარგეს და საძაგლობას....

პოეტი საზოგადო მოღვაწისაგან მოითხოვდა მშობელი ქვეყნის ყველა კუთხის საფუძვლიან შესწავლას. „ვისაც უნდა, რომ საქართველო გაიცნოს, — წერდა აკაკი, — უნდა ყოველი მისი კუთხე შეისწავლოს, თორემ მარტო ქართლის, ან კახეთის, ან იმერეთის, ან სამეგრელოს, ან გურიის და ან სხვა რომელიმე კუთხის შესწავლით ვერას გახდება".[1] ამ მოთხოვნებს პოეტი თავის თავსაც უყენებდა.

აკაკი სისტემატურად მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ქალაქებსა, დაბებსა და სოფლებში, საფუძვლიანად სწავლობდა ხალხის ცხოვრებას, მის მისწრაფებებს; სისტემატურად აგროვებდა ხალხური შემოქმედების ძვირფას ნიმუშებს. უშუალოდ ეცნობოდა ხალხის სიბრძნეს, ზნე-ჩვეულებასა და მეტყველებას. მწერალ სოფრომ მგალობლიშვილის სამართლიანი დახასიათებით, „სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე აკაკიმ თავის სამშობლო ერს მიაშურა. იგი ერთადერთი მწერალია, ერთადერთი მგოსანია, რომელიც პირდაპირ გაეცნო თავის ხალხს, თავის ერს, ჩაიხედა იმის სევდიანს, მაგრამ უმწიკვლო სულსა და გულში. იქიდან სევდიან ცრემლთაგან შეკინძული მარგალიტები ამოკრიფა, მძივად აჰკინძა, თავის ჩანგს სიმებად დაასხა და მადლიანი მარჯვენით ააჟღერა იგი. აკაკი ამ ჩანგით აწვეთებდა ყურში ქართველს მამულის სიყვარულს, მტკიცე ერთობასა, ერთად შედუღებასა".[2] პოეტმა მოიარა მთელი საქართველო და ზედმიწევნით შეისწავლა იგი: „ჩემს სამშობლოს კარგად ვიცნობ, მომივლია კიდით კიდეო", — წერდა აკაკი.

აკაკი წერეთელი ქართლის, კახეთის, სამეგრელოს, აფხაზეთის, იმერეთის, გურიისა და საქართველოს სხვა მხარეების

---

[1] „დროება", 1878 წ., № 107.
[2] სოფრომ მგალობლიშვილი, „მოგონებანი", გვ. 173.

ხშირი სტუმარი იყო. განსაკუთრებითაა აღსანიშნავი მისი მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში, პოეტი ერთხელ სვანეთსაც ეწვია.

ხალხში მოგზაურობათა დიდი მნიშვნელობის შესახებ სოფრომ მგალობლიშვილი წერდა: „აკაკიმ რაც წერით გააკეთა, ერთი იმდენი ხალხში გამოსვლით, იგი ყოველ წლივ ეწვეოდა სოლმე ხან ერთს კუთხეს საქართველოსა, ხან მეორეს, ხან მესამეს. პირადად ეცნობოდა თავის ერს, ცხოველი სიტყვა გაჰქონდა ხალხში".[1] აკაკის ხალხში გასვლასთან დაკავშირებით იმართებოდა ლექცია-მოხსენებები, ლიტერატურული საღამოები, დისპუტები, ბანკეტები, სხვადასხვა შინაარსის შეკრება-საღამოები, რომლებშიც პოეტი უშუალო, წამყვან მონაწილეობას იღებდა და თავისი ღრმად შთამაგონებელი გამოსვლებით უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა საზოგადოებაზე. მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი ქალაქ გორში პოეტის ერთ-ერთი მოგზაურობის შესახებ გადმოგვცემს: „აკაკი ხშირი სტუმარი იყო ქართლის განსაკუთრებით ქ. გორისა... მაშინდელი გორის ქართველი ინტელიგენცია ქებული იყო თავისი ენერგიული მოქმედებით, საანმყოვო და სამყობადო მისწრაფებებით. მისი მოსვლა გორში და ქართლად სწორედ დღეობა იყო: გარს ერტყმოდა ინტელიგენცია, მოსწავლე ახალგაზრდობა საოსტატო სემინარიისა, ქარული ოჯახები, სადაც შერჩენილი იყო კიდევ ძველი ოჯახური სული, ფაქიზი ზნეობა და მამულის სიყვარული. დიდს გავლენას ახდენდა აკაკი მოსწავლე ახალგაზრდობაზე — მომავალ მასწავლებლებზე ჩვენი ხალხისა. იგინი პირადად ისმენდნენ აკაკის ტკბილ მოსწრებულ ნალაპარაკევსა, მისს ხელდახელ, მომენტის მიხედვით წარმოთქმულს ლექსებსა; ითვისებდნენ მამულიშვილურს აზრებსა და ახალ მიმართულებას. ინტელიგენციის გარეშე მისი მუდმივი მსმენელი იყვნენ გორის საოსტატო სემინარიის მოწაფენი: ლუკა რაზიკაშვილი — დიდებული ვაჟა-ფშაველა, ნიკო რაზიკაშვილი — ბაჩანა, სანდრო ნათაძე — უებრო მასწავლებელი და მწერალი, თეოფილე ხუსკივაძე — ბელეტრისტი, ალექსანდრე ციმაკურიძე და სხვ".

1882 წლის აგვისტოში აკაკი თელავს ესტუმრა. თელავის საზოგადოებამ პოეტის პატივსაცემად წვეულება გამართა. ნადიმზე პოეტმა სიტყვით მიმართა საზოგადოებას: ამ ბრწყინვალე სიტყვიდან მოვიტან ვრცელ ამონაწერს: „ისტორიული სიმართლე მალაპარაკებს და არა პატრიოტული გატაცება, რომ... ჩვენი წარსული გასაოცარია, უძველეს დროიდან დაწყებული, მისთანა ხალხი არავინ გამოჩენილა, რომ ამ პა-

---

[1] სოფრომ მგალობლიშვილი, „მოგონებანი", გვ. 155 და 174.

ტარა ქვეყანას არ მოზღვავებოდეს! ეგვიპტე, ბაბილონი, ასურეთი, არაბეთი, მონღოლეთი, საბერძნეთი და სხვანი. სულ ამ პატარა ქვეყანას ეძალებოდნენ... საქართველო იდგა, როგორც სალი კლდე ზღვის პირად, რომელსაც უზარმაზარი ტალღები ზე ეხლებიან, მაგრამ, ღაუძლურებული და ქაფად ქცეულნი, უკანვე იქცევიან... ჩვენს სამშობლოში მისთანა ადგილზე ფეხს ვერ დაადგამთ, რომ ჩვენის წინაპრების ძვლებით არ იყოს გაპოხიერებული და მათი სისხლით დამბალი. ისე ლუკმა პურს ვერ ჩავიდებთ პირში, რომ ჩვენი მამა-პაპების ნაწილი არ ჩაგვყვეს. და წვეთ ღვინოს ვერ ჩავყლაპავთ ისე, რომ შიგ ჩვენი თავგანწირული გმირების სისხლიც არ ერიოს! ეს ლუკმა და წვეთი არიან ჩვენი „წმინდათა-წმინდა“... რომელიც სიწმინდითა და სასოებით უნდა მივიღოთ ხოლმე და გვაგონებდეს წინაპართა ღვაწლსა და ჩვენც იმავე გზით მივემართებოდეთ, რა გზითაც მათ უვლიათ, მხოლოდ დროების შესაფერად კი... საჭირო არიან მეომარი გმირი მამულიშვილები. იმავე გრძნობითა და გონებით სრულნი, რა გრძნობითა და გონებითაც ჩვენი წინაპრები იმსჭვალებოდნენ... დღეს სიხარულით ვხედავთ, რომ სურვილი არ დაგვლუპვია. ხალხი გამოღვიძებულია და მტერი შეშინებული! ერთი ბიჯი გადადგმულია, რაც ჩვენ წვა და დაგვით მიგვიღია, რაც სისხლით, ოფლით და მწარე ცრემლებით მოგვიპოვებია, დღეს იმას ჩვენ სიხარულით და ადვილად გადავცემთ შემდეგ დგმას და იმიტომაც შემდეგის დგმისაგან მეტს მოვითხოვთ და მამულიშვილობაც მათ მეტი უნდა გამოიჩინონ... საზოგადო ბრძოლის დროს, როდესაც ჩვენი წინაპრები... ქვეყანას აკვირვებდნენ, კახელები ყოველთვის მოწინავე რაზმში ყოფილან... ჩვენ დროსაც (ე. ი. 60-იან წლებში — პ. კ.) მეთაური და მოწინავე იყო თქვენივე შვილი ილია ჭავჭავაძე, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, ყოველი თქვენგანი სიამოვნებით იგონებს და რომლის სადღეგრძელოსაც მე ახლა გიახლები, იმედია, თქვენივე თანხმობით“...

აკაკი წერეთლის ამ სიტყვას, მას სხვა საჯარო გამოსვლებთან ერთად, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის ნაციონალური თვითშეგნების გაღვივებისა და ამაღლებისათვის. პოეტის ეს შესანიშნავი სიტყვა იმავე დროს წარმოადგენს ძვირფას მარგალიტს, ოქროს ფონდს ქართული მჭევრმეტყველების საგანძურში. ილია ჭავჭავაძემ ამ სიტყვას და ხალხში აკაკის მოგზაურობას დამსახურებული შეფასება მისცა. აკაკის ამ სიტყვის შესახებ ჟურნალ „ივერიაში“, როგორც ვიცით, ილია წერდა: „ყოველი წესი ორატორის ხელოვნებისა დაცულია და ხმარებული, რომ სიტყვამ ისე გასჭრას, როგორც მთქმელს განუ-

საზღვრავს და აზრმა და გრძნობამ იმ გზით მიაღწიოს დანიშნულ ადგილამდე, როგორც მთქმელს სურვებია.“

„ღმერთმა ჰქნას, შენ და შენისთანები მომავალშიაც ბევრი გვყოლოდესო“, უთქვამთ ბ-ნ აკაკისათვის. „ღმერთმა ნუ გაამართლოს ეგ თქვენი სიტყვებიო, — უპასუხნია აკაკის, — რასაც დღესაც ვჯერდებით, ის ხვალ საკმაო არ არის ხოლმე“...

„ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო“, — დაუგვირგვინებია თავისი სიტყვა ბ-ნ აკაკის...

გაუმარჯოს იმ შვილს, რომელიც მამას დაემჯობინება ქვეყნის სამსახურში და რომელიც ეგრე ეჭივრება ჩვენს მშვენიერს მიწა-წყალს, ჩვენს საყვარლ საქართველოს! გაუმარჯოს აკაკი წერეთელსაც, რომლის სამსახურს და ღწვალს ქართველი გულში ჩაირჩენს სამუდამო სახსოვრად, რომლის მშვენიერის ლექსებით არა ერთხელ დაიტკბობს ყურს და გრძნობას, და არაერთხელ გულს მოიცემს მამულის შვილობისათვის“[1].

ოცდაცხრა წლის შემდეგ აკაკი წერეთელი, თელავში გამართულ ნადიმზე, დამსწრე საზოგადოებას მომავალი გმირის შესახებ საოცარი წინასწარმჭვრეტით ეუბნებოდა: „...შემიძლია გიმახარობლოთ, რომ ის გმირი მოგევლინებათ ამ შავ დღეებში; როგორც ახალგაზრდა ქალებში, ისე ახალგაზრდა კაცებშიაც მე ვხედავ ნიშნებს... ის ნიადაგი, ის ხალხი, რომელმაც წარმოშობა: ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარი, გიორგი ბრწყინვალე, დიდი მოურავი, მთაწმინდელი, პეტრინი, რუსთაველი და სხვები... მსოფლიო გმირები კიდევ წარმოშობს იმისთანა გმირებს, რომელიც თქვენ გეჭირვებათ და მოელით. მე ვერ მოვესწრები იმ მომავალი გმირის მირქმას, მაგრამ გულში იმედებით კი ჩავალ საფლავში და ჩემი უკანასკნელი სიმღერა იქნება: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს-მეთქი“ და ახლა კი, უზომო თანაგრძნობისათვის გულითად მადლობას გწირავთ, იმ გმირის სახელით, რომელსაც თქვენ მოელოდით“.

1912 წლის ზაფხულზე აკაკი წერეთელი ესტუმრა რაჭა-ლეჩხუმს. ამ მოგზაურობამ სახალხო ზეიმის ხასიათი მიიღო. საყვარელი პოეტი ქუთაისიდან გაემგზავრა ცოცხალი ყვავილებით მორთული ეტლით, რომელსაც სიმღერით გარს ერტყმოდა ცხენოსანთა გუნდი და მიჰყვებოდა თორმეტ ეტლში მსხდომი მრავალი გამცილებელი.

რაჭა-ლეჩხუმში აკაკიმ იმოგზაურა ორი კვირის განმავლობაში და ინახულა ყველა მნიშვნელოვანი დაბა-სოფელი. ხალხი უსაზღვრო სიყვარულითა და პატივისცემით ეგებებოდა დიდე-

---

[1] ჟურნ. „ივერია“, 1882 წ., № IX, გვ. 143.

ბულ პოეტს. დაბა-სოფლები, ხიდები, გადასასვლელები და ყველა შესანიშნავი ადგილი მორთული იყო ტრიუმფალური თაღებით. ხალხი თავს ევლებოდა საყვარელ სტუმარს, უმართავდა ბანკეტებს, უძღვნიდა ძვირფას საჩუქრებს. ამ გრანდიოზულმა შეხვედრამ აღტაცებაში მოიყვანა რუსი პროფესორი ს. ანისიმოვი, რომელიც რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის დროს შემთხვევით დაესწრო სახალხო დღესასწაულს. პროფესორი ს. ანისიმოვი ამის შესახებ წერდა: სოფელ წესს რომ გასცდებით, ორი ვერსის დაშორებით, მდინარის ახლოს დგას ძველი ეკლესია. ეკლესიასთან რომ გავიარეთ, დავინახეთ: მწვანე მდელოზე გაშლილი ხალხი ყვავილების კამარას ჰკრავდა. მეორე ჯგუფი ეკლესიისაკენ ჩასასვლელ ბილიკს აკეთებდა. აქ გავიგეთ, რომ ეს მხიარული ხალხი შეხვედრას უპირებს საყვარელ პოეტს... აკაკი წერეთელს. მთელ ღამეს იდღესასწაულეს, სიტყვები, სიმღერა, ცეკვა-თამაში გათენებამდე გრძელდებოდა. ხალხი თანდათან ემატებოდა. ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა, სადღესასწაულოდ გამოწყობილნი, ეკლესიისაკენ მიდიოდნენ. დედაკაცებს ხელში ძუძუმწოვარი ბავშვები ეჭირათ... ყველა ერთი გრძნობით იყო გამსჭვალული, ყველას უხაროდა აკაკის ნახვა. ყველა ერთნაირად ამაყობდა მისი ნიჭით. ყველამ იცოდა რომ ის იყო საქართველოს ბრწყინვალე გენიოსი. ხალხი მოუთმენლად მოელოდა აკაკის მოსვლას. ყველას პირზე „აკაკი" ეკერა, ყველას ხელში მისი ლექსთა კრებული ეჭირა. ბევრს მეტი სიხარულისაგან თვალებზე ცრემლი მოსდიოდა.

სოფლის შესავალში ჩინებულად იყო აღმართული თაღი, შემკული ვარდ-ყვავილებით. ზედ პურის თავლებით ეწერა: „გაუმარჯოს აკაკის". ყველას სახლი მოკაზმული იყო, ყოველ წუთს ხალხი ემატებოდა. ურმით მოიტანეს ორი უშველებელი რუმბით ღვინო. საღამოს ხუთი საათია. მზის სხივებში ვხედავთ ოქროსფერ მთებს. აკაკი ჯერ არსად ჩანს. ჩვენ. რადგან აკაკიმ დაიგვიანა, ქუთაისისაკენ გავემგზავრეთ. გავიარეთ ერთი უმშვენიერესი ხევი რიონისა... ჩვენი ეტლი ვიწრო ხეობიდან ფართო მდელოზე გავიდა. ორივე მხარეს აყუდებულიყვნენ მთები და ზედ მოჩანდა ციხე-კოშკების ნანგრევები.

შორს, დასავლეთით, გამოჩნდა მხედართა ჯგუფი, რომელიც რკალივით შემორტყმოდა აკაკის, ეტლს, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ამაყად ისხდნენ ცხენებზე.. ეტლს ყვავილებით ჰქონდა წარწერა „აკაკის გაუმარჯოს!".

ეტლი შეჩერდა. ჩვენ მივესალმეთ პოეტს. პოეტი გადმოვიდა და მოგვაჩერდა. ეს იყო ლამაზი, მთლად გათეთრებული წვერ-

ულვაშით შეკული მოხუცი. სახე დაღლილი, მაგრამ დინჯი და მშვიდი ჰქონდა, თვალებში სიამოვნების სხივი უკრთოდა.

მე მივესალმე: დიდად მოხარული ვარ თქვენი ნახვით. განუსაზღვრელი სიამოვნებით ივსება გული, როცა ვხედავ, თუ როგორ აფასებს და სიყვარულით ეგებება სალხი ძვირფას მგოსანს. ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ამ დღესასწაულმა".[1]

პროფესორმა ს. ანისიმოვმა გრძნობიერი სიტყვით მიმართა აკაკის, გაიზიარა ქართველი ხალხის სიხარული და პოეტის შემოქმედებას ღრმა შეფასება მისცა. ს. ანისიმოვმა აკაკის პოეზია აღიარა მთელი კულტურული კაცობრიობის კუთვნილებად.

რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობისას პოეტი კითხულობდა საჯარო ლექციებს და თავისი სიტყვითა და უბადლო შემოქმედებით სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულსა და თავდადებას ნერგავდა ხალხში.

პოეტი უდიდესი კმაყოფილებით აღნიშნავდა ამ მოგზაურობას. ის წერდა: „რაჭა-ლეჩხუმში ჩემი სტუმრობა და იმათი დახვედრა სწორედ საარაკო და საზღაპრო იყო! ვისაც თავისი თვალით არ უნახავს და თავისი ყურებით არ გაუგონია ის, რაც მოხდა, მისი წარმოდგენაც არ შეუძლია. მთელი ორი მაზრა ერთ პირად ფეხზე დადგა და ეროვნულ აღფრთოვანებით ლიტანიობდა მომავალს. თუმცა ამ ლიტანიობის ცოტა მოზიარე მეც ვიყავი, მაგრამ უნდა გამოვტყდე, ის მცირედიც აღემატებოდა ჩემს ღვაწლს".

ქართველი ხალხი უსაზღვრო სიყვარულითა და აღფრთოვანებით ხვდებოდა საყვარელ პოეტს. სადაც კი გამოჩნდებოდა აკაკი, მას ყველგან განსაკუთრებული პატივისცემითა და ზეიმით ეგებებოდნენ. პოეტის ყოველი გამოსვლა სახალხო დღესასწაულის ხასიათს ატარებდა.

საინტერესოა ქ. გორში პოეტის გაცილების ერთი ეპიზოდი, რომლის შესახებ გაზ. „დროების" კორესპონდენტი წერდა: „სადილის შემდეგ, მოახლოვდა თუ არა მატარებლის მოსვლის დრო, ყველანი, ქალნი და კაცნი, მივედით სასტუმროსთან, სადაც სადილობიდან წავიდა აკაკი. სასტუმროს ბალკონიდან ძირს ხელში აყვანილი და „ურას" ძახილით ჩამოვიყვანეთ პოეტი. წინ გაუძღვენ მომღერალნი, აქეთ-იქით მისდევდნენ სხვები. ...მომღერლებმა აკაკის ლექსი „უდარდელი კაცი" იმღერეს. ხიდთან რომ ჩავიდნენ, ფერხული გააბეს, აკაკი და ქალები შუაში

---

1 მიხეილ ალავიძე, აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში, 1947, გვ. 23—26.

იდგნენ. ფერხულის შემდეგ მომღერლებმა დაამღერეს „ნანა“ ილია ჭავჭავაძისა. ვაგზლის ასლოს შეჩერდნენ, აქ გახსნეს ბოთლები და ერთი კიდევ დალიეს აკაკის და ილიას სადღეგრძელოები „მრავალჟამიერით“. აკაკი ხელში აიტაცეს, ხალხი დაგვეხვია, დიდი, პატარა, სომეხი თუ რუსი მოსწავლეები, ყველანი შინჯავდნენ, ყველა ერთმანეთს ეკითხებოდნენ: აი ეს არის აკაკი, აი ლექსს რომ სწერსო. ამ მომენტით ისარგებლა მ. ყიფიანმა და წარმოსთქვა გრძნობიერი სიტყვა, რომლითაც გააცნო საზოგადოებას, თუ ვინ არის აკაკი და რა ღვაწლი მიუძღვის საქართველოსადმი... მინამ ორთქლმავალი წავიდოდა, „ურას“ და „მრავალჟამიერის“ ხმა არ შეწყვეტილა. ვაგზლის მოედანი ხალხით აივსო; როცა დაიძრა მატარებელი, ხანგრძლივი განუწყვეტელი „ურათი“ გააცილეს ჩვენი საყვარელი აკაკი“.

ილია ჭავჭავაძე აღტაცებული იყო აკაკი წერეთლისადმი ხალხის უდიდესი პატივისცემით, რაც დიდ პოეტსა და მოაზროვნეს ქართველი ერის „ჰასაკში მოსვლის“ ნიშნად მიაჩნდა. ილია ჭავჭავაძე აღფრთოვანებით წერდა: „...ჩვენდა სასიხარულოდ, ჩვენშიაც თითქმის ჩვეულებად შემოდის პატივისცემა ერისთვის გარჯილ კაცისა, საჯაროდ მადლის გადახდა მისი, ვისაც ერისთვის სამსახური რამ გაუწევია, შრომა დაუდვია, სიტყვით თუ საქმით შესწევნია თავის მამულსა და თანამემამულესა. ამის მაგალითი ბ-ნ აკაკი წერეთლის მოგზაურობაა ამას წინათ გორში და ამ ბოლოს ჟამს კახეთში; ერთგან და მეორეგანაც შესაბამის პატივით დახვედრია ქართველობა თავის პოეტსა და პირუთვნელის სიტყვით გამოუცხადებია თავისი მადლობა და პატივისცემა მისთვის, ვინც ტკბილის და გრძნობიერის სიტყვით ამ ოცდახუთ წელიწადში ატკბობდა ქართველის ყურს, აფხიზლებდა გონებას და ჰმართავდა ქართველის გულს ქართველისა და საქართველოს სიყვარულისათვის. ამ სიყვარულის აღფრთოვანებაში ბ-ნ აკაკის გამოჩენილი ადგილი უჭირავს ჩვენს ლიტერატურაში. ბედნიერია, ჩვენი ფიქრით, აკაკი, რომ იღვაწა და თავისი ღვაწლის ნაყოფი სიცოცხლითვე თავისის საკუთარის თვალით ინახულა. ვამბობთ, ინახულა, იმიტომ. რომ საქართველოს და ქართლის სიყვარულისაგან არის წარმომდგარი ის პატივისცემა, რა პატივისცემითაც დახვედრიან ჩვენს პოეტს გორსა და თელავში, და ამ სიყვარულის აღორძინებისათვის თვითონ აკაკი წერეთელს არა ერთხელ დაუკვნესებია თავისი ტკბილი ქნარი, უმოქმედებია თავისი მიმზიდველი ნიჭიერება, თავისი მარილიანი სიტყვა, თავისი სიტურფით სავსე ქართული. საცა წავიდა ბ-ნი აკაკი, წინ დახვდა მისგან ფრთაასხმული და გაღონიერებული სიყვარული საქართველოსი

და ქართველისა, წინ დახვდა გულწრფელი პატივისცემითა და მადლიერებით აღსავსე გულითა. აგრეთვე თვითონვე იგემა ბ-ნმა აკაკიმ ნაყოფი თავის დანერგულისა და დათესილისა“.

ცხოვრებისა და მოღვაწეობის სხვა მხარეები

1870 წელს აკაკი წერეთელმა ყურადღება მიაქცია ჭიათურის შავი ქვის (მარგანეცის) საბადოებს. ამ ძვირფასი მადნეულის არსებობა ჭიათურის რაიონში ადრეც იყო ცნობილი, მაგრამ აკაკიმ პირველმა დააყენა მისი სამრეწველო დამუშავების საკითხი. ჩვენი ქვეყნის ამ უძვირფასესი ბუნებრივი სიმდიდრის მოხმარეპის პრაქტიკულად განხორციელების ამოცანას პოეტმა დიდი აქაგი დასდო.

ქართული მარგანეცისა და ტყიბულის ქვანახშირის ნიმუშები აკაკიმ გაგზავნა რუსეთის ცენტრალურ ქალაქებში და საზღვარგარეთ. 1877 წელს პოეტი პეტერბურგიდან გამოგზავნილ წერილში სთხოვდა თავის მეგობარ არისტო ქუთათელაძეს, რათა გაეგზავნათ მისთვის მარგანეცის ნიმუშები და ტყიბულის ნახშირის ნაკვეცი. მარგანეცის მრეწველობის განვითარებას აკაკი განსაკუთრებულ ყურადღებას იმიტომ აქცევდა, რომ ამით ის ფიქრობდა ადგილობრივი მუშების მძიმე პირობების გაუმჯობესებას; შემდეგ, პოეტის აზრით, ეს საქმე გამოიწვევდა ჭიათურაში რკინიგზის ხაზის გაყვანას, რასაც თავის მხრივ უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიურ ცხოვრებაში! და, ბოლოს, შავი ქვის წარმოების ნიადაგზე მოგებული ფულით პოეტი ოცნებობდა სამშობლოს სხვადასხვა კულტურულ-საზოგადოებრივი წამოწყებებისადმი დახმარების გაწევას, პირველ რიგში კი ამ თანხით ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუშთა შეგროვებას, სტამბების გამართვას და ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოცემას. ამიტომაც აკაკი დიდ შრომას ეწეოდა აღნიშნული მადნეულის ფართო სამრეწველო დამუშავების მოსაწყობად. 1880 წელს გაზეთ „დროებაში“ პოეტი წერდა: „ამ ათი წლის წინეთ, როდესაც ჩვენში ფიქრადაც არვის ჰქონია, თუ რა იყო გუნდა ქვა (მარგანეცი), მე შევნიშნე ჩვენში ეს მადნეული და განვიძრახე, რომ მისგან ერთი რამ სასარგებლო საქმე შემოედგინა... ათი წლის განმავლობაში ბევრი შრომა გავსწიე, დროც დავკარგე და ხარჯიც კარგა ძალი ვნახე და შემწე კი არავინა მყოლია არც ფულით, არც საქმით. არც სიტყვით, მაგრამ რას ვამბობ, რისი შემწეობა, რომ უმეტესობა ყიჟინს მაყრიდა. დამცინოდა და შეძლებისდაგვარად ხელსაც კი მიშლიდა“.

ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გიორგი წერეთელი წერდა: „შავი ქვის წარმოება პირველად ჩვენმა პოეტმა აკ. წერეთელმა დაიწყო. პირველი ნიმუშები... მანვე გაგზავნა ევროპასა და რუსეთში. პირველი „პარტია“ შავი ქვისა ამის სახელით გავიდა ევროპის ბაზარში“. ჭიათურის მარგანეცით დაინტერესდნენ ევროპის კაპიტალისტები და მოინდომეს ამ ძვირფასი საბადოების ხელში ჩაგდება. აკაკი წერეთელმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია მათ მტაცებლურ მისწრაფებას და პრესაში თავგამოდებით ეწეოდა პროპაგანდას, რათა ადგილობრივ მესაკუთრეებს ხელიდან არ გაეშვათ ეს სიმდიდრე და უცხოელთა ხელში არ ჩაეგდოთ იგი. პოეტი, სხვათა შორის, წერდა: „...უნდა ამაზე თვალი გვეჭიროს და ვეცადოთ ხელიდან არ გავუშვათ. ეს ჩვენ ქვეყანას კეთილდღეობას მოჰმატებს, თუ ჩვენ გვექნა და თუ ხელიდან გავუშვით, დაგვღუპავსო“. აკაკის ბრძოლის მიუხედავად, ჭიათურის მარგანეცის საბადოები ხელში ჩაიგდეს უცხოეთის კაპიტალისტებმა, ნაწილობრივ კი ადგილობრივმა მრეწველებმა, და ეს ძვირფასი ბუნებრივი სიმდიდრე ჩვენი ქვეყნის მშრომელი ხალხის სასტიკი ექსპლოატაციის წყაროდ გადაიქცა. მხოლოდ ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ დაუბრუნა ჩვენს სამშობლოს ჭიათურისა და სხვა საბადოების ძვირფასი ბუნებრივი სიმდიდრეები, აქცია ისინი ხალხის ნამდვილ საკუთრებად და მშრომელთა კეთილდღეობისა და საამური ცხოვრების მძლავრ საშუალებად, კომუნიზმის დიადი მშენებლობის წყაროდ.

1877 წლის დამლევს პეტერბურგში აკაკი წერეთელი დაესწრო რუსეთის რევოლუციონერი-დემოკრატის, დიდი სახალხო პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ნიკოლოზ ნეკრასოვის დასაფლავებას. ნ. ნეკრასოვის დასაფლავება გადაიქცა რუსეთის რევოლუციური ინტელიგენციისა და მთელი პროგრესული საზოგადოების მძლავრ დემონსტრაციად ცარიზმის წინააღმდეგ. ამ ფრიად საყურადღებო მოვლენის შესახებ აკაკიმ ნ. ნიკოლაძეს თბილისში გამოუგზავნა წერილი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“.

ამ პერიოდში აკაკი წერეთელი უკვე საყოველთაოდ აღიარებული პოეტია, იგი უდიდესი პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობს ხალხში. საზოგადოება გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს მის შემოქმედებით ცხოვრებას და პოეტის თხზულებათა გამოცემის მცირე დაგვიანების შემთხვევაშიც კი მასობრივად მიმართავს გაზეთების რედაქციებს დიდებული პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედებითი მუშაობის შესახებ საჭირო ცნობებისათვის. ამ მხრივ დამახასიათებელია გაზ. „დროების“

ერთი განცხადება: „რამდენიმე პირი, მოყვარენი ქართულის მწერლობისა, გვკითხავენ ჩვენ, ამ დღეებში „დროებაში“ დაბეჭდილი აკაკის ლექსის გამო, თუ სად არის, რას აკეთებს და რატომ უფრო ხშირად აღარ სწერს ეს ჩვენი ნიჭიერი მწერალიო.

რადგან იმდენი დრო არა გვაქვს, რომ კერძო წერილებით დავაკმაყოფილოთ ყველა ამგვარი პირების ცნობისმოყვარეობა, ამიტომ აქვე ვაცხადებ, რომ უფ. აკაკი წერეთელი ამჟამად, თავის კერძო საქმეების გამო, პეტერბურგში იმყოფება და ამ მოკლე ხანში კავკასიაში დაბრუნებას აპირებს. ამასთანავე, სიამოვნებით ვაცნობებთ მკითხველებსა და საზოგადოდ ქართული მწერლობის მოყვარეთ, რომ ამ უკანასკნელ დროს უფ. აკაკის რამოდენიმე ლექსი, ორი მოთხრობა და ერთიც ისტორიული დრამაც დაუწერია. იმედი გვაქვს, რომ ეს ახალი ნაწერები უფ. აკაკისა, ზოგიერთები მაინც, წავაკითხოთ „დროების“ მკითხველებს“. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ აკაკის შემოქმედებას დიდი მოწონებითა და სიყვარულით ხვდებოდა გრ. ორბელიანი. ამის შესახებ საინტერესოა იონა მეუნარგიას ცნობა. იგი წერს: „აკაკის ლექსს ისე არ ნაიკითხავდა პოეტი, რომ ქვეშ არ მოეწერა: „ბარაქალა, აკაკიავ“, „მაშალლაჰ, აკაკიავ“; „შენ მაინც გაამშვენიერე ეს ჩვენი ენა, აკაკიავ!“ და სხვ. მაგრამ პროზაში კი ის ყოველთვის როდი იყო მისი თაყვანისმცემელი. „დროების“ ერთ ნომერში, რომელშიც აკაკის მაჭახელაძის[1] შესახებ დაუბეჭდავს „მცირე შენიშვნა“, ორბელიანი სიყვარულით სწერდა: „უი, შე ღვიტიკელა იმერელო, როდის ისწავლი ქართულსა“.

1878 წლის შემოდგომაზე რუსეთის ძლევამოსილი ჯარების გმირული ბრძოლით საქართველოს დაუბრუნდა ყარსისა და ბათუმის ოლქები. საქართველოს ამ შესანიშნავი მსარეების განთავისუფლების აქტს უდიდესი სიხარულითა და აღტაცებით შეხვდა მოწინავე ქართველი საზოგადოება. სხვათა შორის, განთავისუფლებული მხარეებიდან თბილისში ჩამოვიდა დელეგაცია. სანუკვარი სტუმრების პატივსაცემად გაიმართა სპეციალური სადილი, რომელიც გადაიქცა საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული გაერთიანების დღესასწაულად. სადილზე „ჩინებული, გრძნობით სავსე სიტყვა“ წარმოთქვა გრ. ორბელიანმა. გაზ. „დროების“ დახასიათებით, „განსაკუთრებული აღტაცება გამოუწვევია და დამსწრეებზე უდიდესი შთაბეჭდილება მოუხდენია“ აკაკის სიტყვას. პოეტმა თავის სიტყვაში, სხვათა შორის, მოუწოდა დამსწრეებს, მტკიცე შეკავშირების საფუძველზე. ბრძოლისაკენ ქვეყნის საკეთილდღეოდ. „მივსცეთ ერთმანეთს

---

[1] მაჭახელაძე — ცნობილი მოღვაწე ალექსანდრე ჭყონია.

ხელი, — ამბობდა აკაკი, — ერთ გზას დავადგეთ და ერთ მიზანს მივსდიოთ. ვინც ჩვენ ამ საქმეში კეთილს გვიქადებს, ვეცადოთ სიყვარულით გადავუხადოთ; ქვეყნის მოძრაობას, წინაპრების მსგავსად, თვალყური ვადევნოთ, მზად ვიყოთ, რომ საერთო უბედურებას ვეწინააღმდეგოთ და რომ კიდევ უფრო გავძლიერდეთ, ვიცნოთ ჩვენი თავი, შეერთებულად ვიღვაწოთ".

აკაკი წერეთელი იყო ერთ-ერთი ინიციატორი და თვალსაჩინო მოღვაწე ოთხმოციან წლებში მუდმივი ქართული დასისა და დრამატული საზოგადოების ჩამოყალიბებისა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებისა, ქართული წიგნის გამომცემელთა ამხანაგობის და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო წამოწყება საზოგადოებათა შექმნისა. აკაკიმ უდიდესი ამაგი დასდო აღნიშნულ საზოგადოებას. პოეტი ბევრს მუშაობდა „ვეფხის ტყაოსნის" სარედაქციო კომისიაში. ოთხმოციანი წლებისათვის აკაკი წერეთელს გამოქვეყნებული ჰქონდა მრავალი შესანიშნავი ნაწარმოები, მათ შორის: „ალექსი", „ციცინათელა", „ჩანგური" („ვარდის ხმაზე"), „ჩემო თავო", „ფარშავანგი", „რჩევა ახალგაზრდა მწერლებს", „სიმღერა", დაუმთავრებელი ნაწარმოები „იმერლები", „ბაგრატ დიდი", „გოგია მეჩონგურე", „აღმართ, აღმართ", „მუხამბაზი", „ღამურა", ძველებური ამბები: „დათუნა გოცირიძე", „ოთია მესხი" და სხვა მრავალი.

1881 წელს პეტერბურგში ნაროდნიკებმა მოკლეს იმპერატორი ალექსანდრე II. აკაკიმ ამ ცნობის მიღებისთანავე დაწერა და გამოაქვეყნა თავისი შესანიშნავი ლექსი „გაზაფხული", რომელსაც მთელი მოწინავე ქართველი საზოგადოება უდიდესი აღტაცებით შეხვდა. ლექსი „გაზაფხული" სწრაფად გავრცელდა ხალხში და გადაიქცა თავისუფლებისმოყვარე ინტელიგენციის ერთგვარ რევოლუციურ ჰიმნად. ეს გარემოება მეფის აგენტებს შეუმჩნეველი არ დარჩათ და მისი ავტორის წინააღმდეგ სასტიკი გამოძიება დაიწყო. ამ საქმის შესახებ აკაკი გადმოგვცემს: კინაღამ ციმბირში ამომაყოფინეს თავიო.

1881 წლის შემოდგომაზე თბილისში ჩატარდა რუსეთის არქეოლოგთა მეხუთე ყრილობა. ქართულმა დრამატულმა საზოგადოებამ ყრილობის მონაწილეებს სპეციალური საღამო გაუმართა. აკაკიმ ამ საღამოზე სტუმრებს იშვიათი პატრიოტული სიტყვით მიმართა და საყურადღებო აზრი გამოთქვა ქართველი ხალხის წარსულის შესწავლის დიდი მნიშვნელობის, ქვეყნის აწმყოსა და მომავლის შესახებ.

აკაკი წერეთელი, როგორც ვიცით, სასტიკად ებრძოდა ცარიზმის პოლიტიკას, მეფის დამქაშებსა და აგენტებს. მრავალ-

თა შორის, აღსანიშნავია პოეტის ბრძოლა ოთხმოციან წლებში შავრაზმელ კატკოვის წინააღმდეგ. 1882 წელს თბილისის სათეატრო სცენაზე ხალხის დიდი პატივისცემით სარგებლობდა დავით ერისთავის დრამა „სამშობლო“. ეს თხზულება გადმოკეთებულია ფრანგი დრამატურგის ვ. სარდუს პიესიდან. სცენაზე მისი დადგმა ხელს უწყობდა ხალხში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გაღვივებას. ეს გარემოება შეამჩნიეს შავრაზმელებმა და გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტში“ გამოაქვეყნეს ცილისმწამებლური, ქართველთა ნაციონალური ღირსების შეურაცხმყოფელი წერილი. აკაკიმ და ილიამ საკადრისი პასუხი გასცეს კატკოვის ამ შოვინისტურ გამოხდომას.

ოთხმოციან წლებში, შავი რეაქციის მძვინვარების პირობებში, აკაკი კატკოვის წინააღმდეგ მიმართულ წერილში, სხვათა შორის წერდა: „პასუხს არავინ გვათქმევინებს, თორემ მაშინ დავუმტკიცებდით, რა შვილებიცა ბრძანდებიან და, რადგანაც აქაურობა არ მოსწონთ, ვუჩვენებდით სად შეჰფერისთ ბინა“.

1883 წლის მარტში აკაკი წერეთელი სიტყვით გამოვიდა გრიგოლ ორბელიანის დასაფლავებაზე. თავის მგრძნობიარე სიტყვაში აკაკიმ პოეტს „ბუნებისაგან რჩეული, ჩვენი გამოჩენილი მამულიშვილი, კავშირი ძველსა და ახალ თაობას შორის, სხვადასხვა დგმის შემაერთებელი ხიდი“ უწოდა.

აკაკი, ილიასთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ჩვენში სათავადაზნაურო გიმნაზიების, ე. წ. ქართული გიმნაზიების ქსელის გაფართოების საქმეს. აღნიშნულ სასწავლებლებში იმ დროს სწავლის უფლება ჰქონდა ყველა წოდების ახალგაზრდობას. სკოლის დაარსების ხარჯებს კისრულობდა თავადაზნაურობა, განსაკუთრებით კი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და საადგილმამულო ბანკი. ამ გიმნაზიებში გარკვეული ყურადღება ექცეოდა მშობლიური ენისა და ლიტერატურის შესწავლას. დაბალ კლასებში სწავლა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. მასწავლებელთა უმრავლესობაც შერჩეული იყო მოწინავე ინტელიგენტთა წრიდან. პროგრესული მასწავლებლები აღნიშნულ სასწავლებლებში ახალ თაობას უღვივებდნენ პატრიოტულ გრძნობებს, უნერგავდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეებს, სამშობლოსა და ხალხისადმი სიყვარულსა და ერთგულებას. ერთი ამგვარი გიმნაზია უნდა გახსნილიყო 1884 წელს ქ. გორში. ამ წლის თებერვალში აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი და ივანე მაჩაბელი გაემგზავრნენ გორში თავადაზნაურთა კრებაზე დასასწრებლად. ამ მოგზაურობის დროს აკაკიმ ჩვენს შესანიშნავ ქალაქ გორს დიადი

ოპტიმიზმითა და სიყვარულით აღსავსე ლექსი მიუძღვნა. აი ადგილები ამ ლექსიდან:

გორო, ქართლის შუაგულო,
მეთაურო ქართლისაო,
ადრე ღირსად ნამებულო,
დღესაც მთქმელო მართლისაო!..

ძველად მისთვის სისხლის მღვრელი.
დღეს ცრემლის და ოფლისაო;
ტყვის დამხსნელად მონამზადო,
საიმედო ობლისაო!..

დასთესე თესლი კეთილი,
შესარგო მამულისაო,
და ნახავ ნამგლის ტრიალსა
„ჰოპუნით" მომკელისაო..

ამ ლექსში აკაკიმ გორს უწოდა დამონებულთა და დატყვევებულთა მხსნელად მოვლინებული ქალაქი, ობოლთა და ტვირთმძიმეთა ნუგეში და იმედი.

1866—1887 წლებში აკაკიმ ახლო მონაწილეობა მიიღო თბილისის ხელზე მომსახურეთა მოძრაობაში. მან წაახალისა ამ მომსახურეთა კოლექტივი ადამიანის უფლებისათვის ბრძოლაში. პოეტმა ამ კოლექტივს შეუდგინა წესდება.

1887 წელს აკაკი წერეთელი სიტყვით გამოვიდა ცნობილი საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვისას. როგორც ვიცით, დ. ყიფიანი ვერაგულად მოკლეს მეფის აგენტებმა ქ. სტავროპოლში, სადაც ის გადასახლებული იყო სამშობლოს ღირსების გამოქომაგებისათვის. პოეტმა თავის სიტყვაში ქართველი ხალხის უსაზღვრო გულისწყრომა გამოხატა ცარიზმის წინააღმდეგ. დ. ყიფიანის ხსოვნას შემდეგ აკაკიმ უძღვნა ლექსი „ქართველი სპარსეთში" და ქართული პოეზიის უბადლო შედევრი „განთიადი". დ. ყიფიანის საფლავზე აკაკის მიერ წარმოთქმული სიტყვის პრესაში გამოქვეყნება ცენზურამ აკრძალა.

1889 წელს ქუთაისის საადგილმამულო ბანკის საზოგადო კრებამ აკაკის სიცოცხლის მთელ მანძილზე დაუნიშნა პენსია წლიურად ათას ხუთასი მანეთის რაოდენობით. ამ მოვლენას მხურვალედ გამოეხმაურა მაშინდელი პროგრესული პრესა და მოწინავე საზოგადოებრიობა. ,

* * *

აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძესთან ერთად, ინიციატორი და ხელმძღვანელი იყო დიდებული ქართველი პოეტის ნიკოლოზ

ბარათაშვილის ნეშტის განჯიდან თბილისში გადმოსვენებისა. ეს დიდი მნიშვნელობის მოვლენა ჩვენმა მოწინავე ინტელიგენციამ გამოიყენა ქართველი ხალხის ნაციონალური თვითშეგნების გაღვივებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გაღვივებისათვის. საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსული დელეგაციებისა და გენიოსი პოეტის ნეშტის გასვენებაზე თავმოყრილ უამრავ დამსწრეთა წინაშე წარმოთქმული თავისი მხურვალე სიტყვით აკაკიმ ცხოველმყოფელი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე. მისი სამართლიანი დახასიათებით, ნ. ბარათაშვილი „გახდა წინამორბედად ჩვენი ახალი ცხოვრების განთიადისა და იქ, შორს, სამშობლოდან უცხო მხარეს, მზესავით ჩაესვენა, რომ დღეს აქ უფრო მეტის ძლიერებით აღმობრწყინებულიყო... იმისი კუბოა ყველა ქართველის გული... მგოსანი იყო უპირველესი მთესველი გონებრივი ნაყოფისა, არა მარტო ერთი კუთხის — მთელი საქართველოსი".

ამ სიტყვებში აკაკიმ გამოსახატა ქართველი ხალხის უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა თავისი გენიოსი პოეტის ნ. ბარათაშვილის მიმართ.

1895 წელს აკაკი წერეთლის ინიციატივით ჩატარდა ცნობილი ქართველი პოეტის რ. ერისთავის სამწერლო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლის იუბილე. ქართველი ხალხის კულტურის ამ ფრიად მნიშვნელოვანი დღესასწაულის გამო აკაკიმ პირველმა მოუწოდა საზოგადოებას და მოითხოვა მხცოვანი პოეტისათვის დამსახურებული პატივისცემა. აკაკის სამართლიან მოწოდებას გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძეც და 1895 წლის 22 ოქტომბერს გადახდილ იქნა ქართველი ხალხის ეს დიდი დღესასწაული.

ამავე წელს აკაკიმ განმეორებით იმოგზაურა უკრაინაში. მინერალური წყლების სადგურზე პოეტს შეხვდა ქართველ მოსამსახურეთა ჯგუფი, რომელმაც უზომო პატივისცემით გააცილა ის შემდეგ სადგურამდე. ხარკოვში დროებით ცხოვრობდა აკაკის ცოლშვილი. აქ საინტერესოა ერთი შემთხვევაც: პოეტი დაესწრო ხარკოვის თეატრში წარმოდგენას. ამ დროს სცენიდან განუცხადებიათ: დღეს აქ თეატრში ბრძანდება ქართველების პუშკინი აკაკი წერეთელიო. ამის გაგონებაზე ხალხი უდიდესი პატივისცემითა და ოვაციებით შეხვედრია დიდებულ პოეტს. ეს გულწრფელი თავაზიანობა და სიყვარული ქართველ და მოძმე უკრაინელ ხალხებს შორის შემდგომში კიდევ უფრო გაცხოველდა. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ უკრაინაში მყოფი აკაკი დაინტერესებულა იქ მცხოვრები ქართველების ისტორიის შესწავლით; ამასთანავე ცდილა მოეძებნა დიდი ქართველი პოე-

ტის დავით გურამიშვილის საფლავიც. ამის შესახებ პოეტი იაკობ გოგებაშვილს სწერდა: „მინდა აქაური, რაც რამე ცნობაა ვახტანგის დროის გადმოსახლებულ ქართველებზე, სულ ამოვაწერიო და თანაც ის ქართველი ოჯახები პალტავის გუბერნიაში სულ მოვიარო. ამბობენ, რომ ზოგიერთებს კიდევ აქვს ოჯახში როგორც საოჯახო რამ ნივთი, ქართული ხელნაწერებიო. აგრეთვე სასაფლაოებზე ქართული წარწერებიაო და ეგების დ. გურამიშვილის საფლავსა წავაწყდე".

აკაკის ოცნება დ. გურამიშვილის საფლავის აღმოჩენის შესახებ განხორციელდა მხოლოდ ჩვენს დიად ეპოქაში, როცა დავით გურამიშვილის უკვდავი ხსოვნისადმი პატივისცემამ კიდევ უფრო განამტკიცა ქართველ და უკრაინელ ხალხთა ძმური მეგობრობა და სიყვარული.

80-იანი წლებიდან ცხრაასიან წლებამდე აკაკიმ ფრიად დიდი შემოქმედებითი მუშაობა ჩაატარა. ეს პერიოდი სამართლიანად არის მიჩნეული დიდი პოეტური სიმწიფისა და უმაგალითო ნაყოფიერების წლებად. ამ პერიოდში შექმნა მან უბადლო შედევრები: „თორნიკე ერისთავი", „თამარ ცბიერი", „კიკოლას ნაამბობი", „პატარა კასი", „კუდურ-ხანუმ", „მელა", „ბაში-აჩუკი", „ნათელა", „ჩემი თავგადასავალი" (ნაწ. I), ლექსები: „ავადმყოფი", „თვალს მიხვევენ...", „გაზაფხული", „ხანჯალს", „გორი", „ჭალარა", „მუშური", „გოგოლის ხსოვნას", „პოეტი", „ქართველი უცხოეთში", „ბოდვა", „მუშის ნატვრა", „განთიადი", „ქართველი ქალი", „პატარა მურია", „სულიკო" და სხვა მრავალი. აღნიშნულ თხზულებებში კიდევ უფრო მკვეთრად აისახა აკაკის ნაციონალურ-რევოლუციური და სოციალ-პოლიტიკური იდეები. პოეტის სახელი უჭკნობი შარავანდით შეიმოსა და მისი პოპულარობა და სიყვარული უაღრესად გაიზარდა.

ა. წერეთელი და რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია

ნ. ჩერნიშევსკის, ნ. დობროლიუბოვისა და სხვა რევოლუციონერ-დემოკრატების მსგავსად, აკაკის ბრძოლის ქვაკუთხედი იყო თვითმპყრობელურ-მემამულური რეჟიმის დამხობისადმი მისწრაფება, რადგან კარგად უწყოდა, რომ ეკონომიური დათმობები სერიოზულ ცვლილებას არ გამოიწვევდა საერთო სოციალურ სისტემაში. ამასთან მას სწამდა ხალხის მომავალი და ეს რწმენა შთააგონებდა დაეწერა აშკარად მებრძოლი ლექსები. მათში იგი აქსოვდა რევოლუციურ პათოსს, ოპტიმიზმს. თავისი პუბლიცისტური წერილებითაც ამასვე ამტკიცებდა და წერდა, რომ მშრომელთა კეთილდღეობისათვის აუცილებელი იყო ცარიზმის დამხობა.

სავსებით შეიძლება აკაკი წერეთელსაც მივუყენოთ ის შეფასება, რაც ლენინმა ჩერნიშევსკის, როგორც თანამიმდევრულ რევოლუციონერ-დემოკრატს მისცა. ლენინმა აღნიშნა, რომ მის ნაწერებში კლასობრივი ბრძოლის სული ტრიალებსო. აკაკი ჯერ კიდევ 60-იან წლებში მოუწოდებდა მშობელ ქვეყანას:

გაიღვიძე. დროს ნუ კარგავ,
აღდეგ, შემოირტყი წენი!
(„სიმღერა“)

აკაკის ამ მებრძოლ მიმართვაში გამოკრთის დიდი რევოლუციონერ-დემოკრატის ნ. დობროლიუბოვის ცნობილი მოწოდება: „გაიღვიძე რუსეთო! აჯანყდი, მშობელო ქვეყანავ!“ აკაკიც გულმოდგინედ არწმუნებდა ხალხს, რომ მჩაგვრელებთან შეთანხმება არ შეიძლებოდა, აქ საჭირო იყო დაუნდობელი, შეუპოვარი ბრძოლა. რომ თავისუფლების მოპოვება თხოვნითა და მუდარით, ზღაპარია. „ვინ ნახა თავისუფლება, ტანჯვით და მოთმინებითო“ — უხსნის იგი ხალხს. საჭიროა მტერს თავგანწირულად ვეკვეთოთ:

მტერს მივაგებოთ ფარ-ხმალი,
ყორანს შევსტყორცოთ ისარი,

სხვა შრომა ტყვილა ჩაივლის
მათი წამალი ის არი.
(„არ გათეთრდება ყორანი")

აკაკის ოპტიმიზმი უსაფუძვლო არაა. მართალია, იგი ჯერ-ჯერობით არაფერს ხედავს სამხიარულოს, მაგრამ გრძნობს, რომ მშრომელთა ხალხის წიაღში მწიფდება რაღაც გრანდიოზული, ახალი, საოცარი და იმედოვნებს, რომ განახლების ქარიშხალიც მალე დაიქროლებს. ამ იმედით ფრთაშესხმული უმღერის სამართლიანობის გამარჯვებას:

უსამართლო ძლიერებას
საუკუნო არა აქვს ძალი.!.
უძლეველი საბოლოოდ
არის მხოლოდ სამართალი.

მგოსანი მიესალმა ალექსანდრე II მოკვლას ლექსით „გაზაფხული". საგულისხმოა, რომ ეს ლექსი გამოქვეყნდა იმავე გაზეთში, სადაც გამოცხადებული იყო მეფის მოკვლის ცნობა და განცხადებას შავი არშია ჰქონდა შემოვლებული. „გაზაფხული" ქართველი ხალხის მარსელიოზად, თავისუფლების ჰიმნად იქცა.

თვითმპყრობელურ-მემამულური ძალადობის დასამხობად პოეტი მოუწოდებდა სისხლისმღვრელი, გადამწყვეტი ბრძოლისაკენ: ეკალს ძირი ამოვუგდოთ, სისხლით ვღებოთ მთა და ველიო. აკაკი გმობდა მჩაგვრელთან მორიგების ვერაგულ, ოპორტუნისტულ პოლიტიკას. იგი უმღეროდა მტრის განადგურების იდეას, სახალხო ბრძოლის გაჩაღებას. ამიტომ ორლესულ ხანჯალს ასე მიმართავდა:

მიმოციქულე მტრის გულთან,
მიმიძღვენ ჩემი სალამი:
ის ვითომ საწერელია,
ჩაერჭვე, როგორც კალამი!
მისი წითელი მელნითა
შემაღებინე ჭაღარა,
იმისი კვნესა იქნება
ჩემთვის დაფი და ნაღარა!
(„ხანჯალს")

ხალხის ძალებში პოეტი დარწმუნებული იყო, ამიტომაცაა რომ ამ რწმენით განათებული მისი ლექსები ინარჩუნებენ საოცარ სიმტკიცესა და სიცხოველეს.

აკაკი ხოტბას ასხამს აზვირთებულ მაშვრალთა და უქონელთა მრისხანებას, მტარვალთა დამთრგუნველ ძალას:

მაშინ იქუხებს, იელვებს
ხალხთ ძალი მიძინებული
და მეხს დაგატეხს კერპ თავზედ,
წარსულზედ შენანებული;
გაგარონინებს ქვესკნელსა
გინდ მაღლა იყო ცათამდე
და შეაჩვენებს შენს სახელს
უკუნით უკუნისამდე!
(„გაძდიდრებულხარ ბატონო“)

როგორც ლექსში „ხანჯალს“, ისე „უკანასკნელ ნატვრაშიც“ პოეტი სამართლიანი შურისგების სურვილს გამოთქვამდა:

ის დანაშთენ სიცოცხლეში
არ ნატრობს მეტს აღარასა,
რომ სამშობლოს მტრის სისხლითა
იღებავდეს ჭაღარასა

ამგვარი მისწრაფებითა და განწყობილებით შეხვდა აკაკი 1905 წლის რევოლუციას. რევოლუციასთან იგი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მაშინდელმა პირობებმა დააკავშირა. ეს ისტორიული მოვლენები კლასიკური სიზუსტით დაახასიათა ვ. ი. ლენინმა: „განმათავისუფლებელმა მოძრაობამ რუსეთში სამი მთავარი ეტაპი განვლო, შესაბამისად რუსი საზოგადოების სამი მთავარი კლასისა, რომლებიც მოძრაობას თავიანთ ბეჭედს ასვამდნენ: 1. თავადაზნაურული პერიოდი, დაახლოებით 1825-დან 1861 წლამდე; 2. რაზნოჩინცული ან ბურჟუაზიულ-დემოკრატიული — დაახლოებით 1861-დან 1895 წლადე; 3. პროლეტარული — 1895 წლიდან დღემდე“ (თხზ. ტ. 20, გვ. 292).

ა. წერეთლის ხანგრძლივი შემოქმედებითი მოღვაწეობა ძირითადად მიმდინარეობდა განმათავისუფლებელი მოძრაობის ორ უკანასკნელ პერიოდში. პოეტი გატაცებით მიჰყვებოდა რევოლუციური მოძრაობის მეორე თაობას, მაგრამ გასული საუკუნის 90-იან და 1900-იან წლებში მისი მსოფლმხედველობის განვითარებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა მესამე თაობამ, რევოლუციური კლასის — პროლეტარიატის გამოსვლამ სამოქმედო ასპარეზზე. „რევოლუციის წინა ათწლეული, 1895-დან 1904 წლამდე, — წერდა ლენინი, — გვიჩვენებს პროლეტარული მასის უკვე აშკარა გამოსვლებს და შეუჩერებელ ზრდას, საგაფიცვო ბრძოლის ზრდას, სოციალ-დემოკრატიული მუშათა აგიტაციის, ორგანიზაციისა და პარტიის ზრდას. პროლეტარიატის სოციალისტური ავანგარდის კვალდაკვალ მასობრივ ბრძოლაში ებმებოდა, განსაკუთრებით 1902 წლიდან, რევოლუციურ-დემოკრატიული გლეხობაც“ (თხზ. ტ. 17, გვ. 130).

1905-1907 წლების რევოლუცია იმპერიალიზმის ეპოქის პირველი სახალხო რევოლუცია იყო. იგი წარმოადგენდა რუსეთის მუშათა და გლეხთა მიერ სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის გაჩაღებული ბრძოლის დიდმნიშვნელოვან ეტაპს („საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები", 1972, გვ. 132). ბუნებრივია, რომ აკაკი — ეს მებრძოლი პოეტი ამ მოვლენას გულითა და სულით მიესალმებოდა და ასეც მოხდა.

ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით რუსეთის იმპერიაში პროლეტარიატის მიერ გაჩაღდა ბრძოლები. ცარიზმის წინაღმდეგ მთელ ამიერკავკასიასა და, კერძოდ, საქართველოში გაძლიერდა მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობა. საქართველოსა და ამიერკავკასიაში სოციალურ უუფლებობას თან ერთვოდა და ამძაფრებდა ნაციონალური ჩაგვრა, რაც, თავის მხრივ, აღრმავებდა ხალხთა უკმაყოფილებასა და ამაღლებდა მათ მებრძოლ სულისკვეთებას. ეს იწვევდა გაფიცვებსა და დემონსტრაციებს. 1900 წელს მოეწყო თბილისის რკინიგზის სახელოსნოებისა და დეპოს მუშების ძლიერი გაფიცვა. 1902 წელს ბათუმში გაიფიცნენ მანთაშევისა და როტშილდის ქარხნების მუშები, ხოლო 1902 წლის 9 მარტს მოეწყო ბათუმის მუშათა გრანდიოზული პოლიტიკური დემონსტრაცია, რომელშიც 6 ათასი კაცი მონაწილეობდა. ვ. ი. ლენინის შრომაში „გერცენის ხსოვნას" მითითებულია: „ქარიშხალი — ეს თვით მასების მოძრაობაა. პროლეტარიატი, ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური კლასი, ჩაუდგა მათ სათავეში და პირველად დარაზმა აშკარა რევოლუციური ბრძოლისათვის მილიონობით გლეხი. ქარიშხალმა პირველად იგრიალა 1905 წელს" (თხზ. ტ. 18, გვ. 19).

1905 წლის ქარიშხლის გრიალმა დიდი პოეტის სული და გული შესძრა ახალი ქროლვითა და რევოლუციური ენერგიით აავსო მისი შემოქმედება. პოეტი გაიტაცა თავისუფლების მოსაპოვებლად გაჩაღებულმა მასობრივმა ბრძოლამ. პოეტის ხილვა მტკიცედ გადაენასკვა მომავალში განთავისუფლებული საქართველოს ზმანებებს. მთელი იმედები ამ ბრძოლაზე დაამყარა და წარსულის დანაკლისის შევსება მთლიანად მომავალს დააკისრა: „მწამს და მოველი, რომ მეცხრამეტე საუკუნის დანაკლისს მეოცე საუკუნე შემივსებს... ამთავითვე მე მეჩურჩულება ოცნება და მომავლის იმედი დღევანდელ ჩემს წყლულს მალამოდ ედება... მოთმინებასაც თავისი საზღვარი აქვს, თუ მეცხრამეტე საუკუნე მოთმინების საუკუნე იყო, დეე, მეოცე საუკუნე პირდაპირობისა და შეუპოვრობის საუკუნედ გადა-

იქცეს". აკაკიმაც იგრძნო, რომ მთავარი ძალა ახლის ძიებასა და მოპოვებაში მუშა იყო, ამ საიმედო ძალას ამიტომაც მიმართა:

გამარჯობა ნამდვილ მუშებს —
ვაშა, ვაშა, მომავალსა!
ის ასწორებს დღევანდლობის
გამრუდებულ გზა და კვალსა.
(„საქართველოს დღევანდელი სახე")

ცხრაასიანი წლებიდან, ვ. ი. ლენინის მეთაურობით, რუსეთის პროლეტარიატმა იერიში მიიტანა ცარიზმის ციხე-სიმაგრეზე. 1905—1907 წლების რევოლუციას წინ უსწრებდა რუსეთში მასების მზარდი აქტივობა. მაგალითად, 1903 წელს სამხრეთ რუსეთის მუშათა საყოველთაო გაფიცვა მოეწყო. 1904 წელს კიდევ უფრო გაძლიერდა მუშათა გაფიცვები და მღელვარებანი. მოხდა რამდენიმე შეტაკება ჟანდარმერიასა და მუშათა რაზმებს შორის. განსაკუთრებული ორგანიზაციულობით გამოირჩეოდა ბაქოელი მუშათა გაფიცვა 1904 წლის დეკემბერში. ბაქოს პროლეტარიატის გმირულ ბრძოლას აქტიურად შეუერთა თავისი ხმა საქართველოს პროლეტარიატმა: მოეწყო გაფიცვები თბილისში, ბათუმსა და სხვაგან. შეშინებული მთავრობა ათასგვარ ხრიკსა და გამოსავალს მიმართავდა. მათ შორის ე. წ. „პოლიციური სოციალიზმის" ქადაგებას („ზუბატოვშჩინას"), რაც გამოიხატებოდა ვერაგული დაპირებებით ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. ამგვარ აგიტაციას — პეტიციებითა და მშვიდობიანი მანიფესტაციებით მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ — ზუბატოვის შემდეგ მუშებში ეწეოდა ცარიზმის დაქირავებული აგენტი მღვდელი გაპონი. ბოლშევიკები ყოველ ღონეს ხმარობდნენ ამ დემაგოგიური და ცრუ-აგიტაციის მხილებისათვის, „პოლიციური სოციალიზმის" ვერაგული არსის გამოსააშკარავებლად. მუშებისადმი მიმართვაში — „პეტერბურგის ყველა მუშისადმი" ბოლშევიკები არწმუნებდნენ ხალხს, რომ ასეთი იაფი გზით — პეტიციის გზით თავისუფლების მოპოვება უტოპია არის, რომ თავისუფლების მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ შეიარაღებული ბრძოლით.

აკაკიც გრძნობდა, რომ უმსხვერპლოდ გამარჯვება შეუძლებელი იყო და ბრძოლის გარდუვალობას აღიარებდა. იგი მოუწოდებდა: რკინას ცეცხლი აფოლადებს, ადამიანს — განსაცდელი, მტერს მივაგებოთ ფარხმალი, სისხლით ვღებოთ მთა და ველიო, რაც ძალადობით წაიღეს, ვინ დაგვიბრუნებს ნებითაო; და ფეხდაფეხ მიჰყვებოდა რევოლუციურ მღელვარებას და ზოგჯერ წინაც კი უსწრებდა მოვლენებს. როცა იგი უაღრესად

ბუნტარულ და რევოლუციურ მოთხოვნებს აყენებს, სწორედ ამ ხანებში ხდება რუსეთსა და საქართველოში, მთელს კავკასიაში ძლიერი გამოსვლები. 1905 წლის 3 იანვარს გიგანტური ძალით იფეთქა პუტილოველთა გაფიცვამ, რამაც 8 იანვარს საყოველთაო ხასიათი მიიღო. მუშაობა შეწყდა 635 საწარმოში, 150 ათასი მუშა უარს აცხადებდა ემუშავა კაპიტალისტისათვის. ამ გაფიცვიდან აენთო ხანძარი, რომლის წითელმა შუქმა საქართველოშიც იფეთქა. ამ ხანებში ბოლშევიკები ცდილობდნენ მკაცრი რევოლუციური მიმართულება მისცენ გამოსვლებს, ხალხთა მთელი ენერგია წარმართონ რევოლუციურ არხებში. ახალი აღმავლობის მიზეზი გახდა „სისხლიანი კვირა". სწორედ ამ დროიდან „სისხლი ნაკადებად იღვრება, ჩაღდება სამოქალაქო ომი თავისუფლებისათვის" (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 8, გვ. 67).

საქართველოსა და ამიერკავკასიის მშრომელებიც მტკიცედ დაირაზმნენ თვითმპყრობელური წყობილების დასამსხვრევად, გასანადგურებლად. პოეტი თავიდანვე საქმის კურსში იყო და მას არ გასჭირვებია ფესის აწყობა აჩქარებული წინსვლისათვის, რევოლუციური ქარიშხლისათვის. აკაკი აღტაცებით შეეგება რევოლუციას და მრავალი ლექსი უძღვნა მას („ნატვრა", „ძირს", „თქვენი ჭირიმე", „სიმღერა", „გაზაფხული", „ჩემი რწმენა" და სხვ), დიდმა პოეტმა დროულად განჭვრიტა რევოლუციის მოახლოება, სოციალურ ქარტეხილთა ცისკიდურზე ახალი ვარსკვლავი შენიშნა:

ვხედავ ვარსკვლავს შორს, ცისკიდით...
ის არს ჩვენი მომავალი!
მივეგებოთ მას მუშებად,
მოვუმზადოთ გზა და კვალი
(„ჩვენი აწმყო")

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ლიტერატურის დიდი კლასიკოსებიდან, რომლებიც მოესწრნენ რუსეთის პირველ რევოლუციას, აკაკი ყველაზე უფრო აღტაცებით შეეგება ამ სახალხო მოძრაობას, რაც მის ჭეშმარიტად დემოკრატიულ ბუნებაზე მიუთითებს. 1905 წლის დასაწყისშივე პოეტმა უკვე გარკვევით შენიშნა მშრომელი მასების გრანდიოზული მზადება. მათი მტკიცე დარაზმულობა გადამწყვეტი ბრძოლის დასაწყებად:

აწ კმარა ასი წლის ძილი,
ყურს აღარ ვუგდებ ნანასა!
არ მინდა, რომ მეც ჩამოვრჩე
სხვა ხალხსა და ქვეყანასა!
ვიტყვი ძველებურ „მზე-შინას",
შვილებო, მოდით ბანითა,

გინდ აგვიჭედონ სარკმელი,
სინათლე მოდის ბანითა...
(„სიმღერა")

მშრომელთა საბრძოლო სამზადისი მას შთააგონებდა სუსხიანი ზამთრის — თვითმპყრობელურ-მემამულური ტირანიის უეჭველი დაცემისა და ხალხის საოცნებო გაზაფხულის — ძმობისა და თავისუფლების გამარჯვების რწმენას.

1905 წლის 9 იანვრის შემდეგ გაჩაღებულმა ბრძოლებმა აკაკი დაარწმუნა ხალხის სიმართლეში და მასების გამარჯვების გარდუვალობაში. პოეტი ხედავდა, რომ მისი მრავალწლიანი ოცნება რეალური ხდებოდა, ხორცს ისხამდა. ამ გადამწყვეტ ბრძოლებში იგი უდიდეს მნიშვნელობას ახალგაზრდებს ანიჭებდა, რადგან იცოდა, რომ ახალგზრდობას თვალიც უკეთ უჭრის, ძალაც მეტი მოსდევს და სულისკვეთებაც უფრო რევოლუციური აქვს. პოეტმა მათ, მართლაც, რომ ბრწყინვალე ლექსი მიუძღვნა, — „თქვენი ჭირიმე". „ახალთაობასთან სულიერად ახლო მდგარი პოეტი თავის ხილვებში ტოლობის ნიშანს ავლებს ახალგაზრდობასა და რევოლუციურ გამოსვლებს შორის. ახალგაზრდობა თავისი ბუნებით თვით რევოლუციური მოძრაობაა — ფიქრობს იგი:

ამ დღეს ველოდი, მოვესწარი!
ვიცინი, აღარ ვსტირი მე!
ახალგაზრდებო, ან კი თქვენ
გამოდით, თქვენი ჭირიმე!

პირველი რევოლუციის მღელვარება პოეტს ჩვენი ხალხის საბრძოლო ტრადიციების გაგრძელებადაც მიაჩნდა. ძველმა თაობამ დიდი შრომა გასწია უკუღმართი წყობილების დასამხობად, მაგრამ სახელოვანმა წინაპრებმა ბრძოლა გამარჯვებამდე ვერ მიიყვანეს, ძველი შენობა, რომელშიც გამომწყვდეულ ხალხს სული ეხუთება, უნდა დაანგრიოს რევოლუციურმა ახალთაობამ, მის ნაცვლად კი ახალი, თანამედროვეობის შესაფერისი შენობა ააგოსო.

1905 წელს გამოქვეყნებულ ლექსში — „ყანა" კვლავ გარკვევით გამოიხატა პოეტის დამოკიდებულება რევოლუციისადმი. ეს ლექსი მან მიუძღვნა გამოჩენილ პედაგოგსა და მოაზროვნეს იაკობ გოგებაშვილს. ამ მიძღვნას ღრმა აზრი ჰქონდა: პოეტი ამით სამოციანელთა ყურადღებას მიაქცევდა დიდ სახალხო მოძრაობას; ამასთან, აქვე ნაგულისხმევი იყო, რომ ქართული ენისა და კულტურის მოამაგეებს კიდევ უფრო ფართო ასპარეზი გაეხსნებოდათ რევოლუციის შედეგად გათავისუფლებულ სამშობლოში.

აკაკი ალეგორიულად წერდა:

ჯერ ამ ჩემს თვალს არ უნახავს
მოსავალი ამისთანა,
ოქროს ფერად რომ ბიბინებს
დალოცვილი პურის ყანა!
ცა და მიწა შეთანხმებით
შეჰხარის და მას დაჰყურებს
მზე სხივებს ჰფენს მის-მის დროზე
და ღრუბელი მოასხურებს!

რევოლუციური სიტუაცია უმაღლეს წერტილზე ავიდა. ნიადაგი მზადდებოდა რევოლუციური ბრძოლის ხანძრისათვის, რომელიც ნაცარტუტად აქცევდა ბორკილებს, დაამხობდა მონობას, მოსპობდა ჩაგვრას. აკაკის ლექსის სახეთა სისტემაც კიდევ უფრო დიდი ოპტიმიზმით იმსჭვალება „აგერ მუშა მხიარული ნამგალს ლესავს გუგუნითა“, ლექსში უკვე შემოდის და მკვიდრ ადგილს იკავებს შეიარაღებული მუშა. თუ ადრე იხატებოდა საბრალო და საცოდავი მშრომელი, ახლა იგი მებრძოლი და ამაყია. ამრიგად, ლექსის ფაქტურა იგივეა, მაგრამ შეიცვალა განწყობილება. ეს ძვრა სწორედ რევოლუციური სიტუაციის მიერ არის გამოწვეული. ავტორს სჯერა, რომ შრომის ნაყოფი მალე იმის იქნება, „ვინც რომ შრომობს და ვინცა მკის“, ყველაფრის ბატონ-პატრონი გახდება იგი, ვინც „უფრო მხნეა და ჭკვიანი“. ამ მოძრაობასაც წარსულში აქვს ფესვები გადგმული და ამიტომაც მომავალში ნაყოფს იძლევა. ამ ნაყოფის მომწიფებაში მრავალ პროგრესულ თაობას უმოღვაწია და უშრომია.

იქ, სადაც დღეს წმინდა პური
ამაყობს და თავს იწონებს,
ტყე ყოფილა... უტეხი ტყე!
მაგრამ ვიღა მოიგონებს?
მამას თურმე მარტოხელსა,
გაეტეხა ბევრი ცდითა,
საახოედ რომ აელო
დიდის წვითა და დაგვითა,
მოეხნა და დაეთესა,
გადმოეცა შვილისთვისა
ეს იმისი ნაოფლარი
დიდი ხნის და ბევრის თვისა!
დღეს ის თესლი ამოსულა,
დამწიფებულს ვხედავთ პურსა;
ნამგალს ითხოვს, სხვას არაფერს
და სხვანაირ სამსახურსა („ყანა“).

ანალოგიური შეხედულება განავითარა პოეტმა თავის ლექსში „ნატვრა“, სადაც აღნიშნავდა, თითქმის აღსრულდა რასაც ვნატრობდითო, ხოლო 1905 წლის 24 მარტს დაწერილ ლექსში „გაზაფხული“ აკაკი მოუწოდებდა: „მაშ, გაზაფხულს ჩვენც ვეღოდეთ, წმინდათ მივსცეთ ხელი ხელსა და გავჰკაფოთ ახალი გზა, ავუქციოთ მხარი ძველსაო“. რევოლუციის მომზადებაში წინა თაობის მონაწილეობასთან ერთად პოეტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამ საქმეში ახალგაზრდობის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

1905 წლის რევოლუციის აპოგეამდე სამი თვით ადრე აკაკიმ საინტერესო წერილები გამოაქვეყნა გაზეთ „ივერიაში“, სადაც მაღალი შეფასება მისცა სახალხო მოძრაობას, რამაც გაკვალა ცხოვრების ახალი გზა, ფასი დასდო შრომას, განსაკუთრებით მას მოსწონს ის, რომ დაფასდა შრომა, მუშას კი სამუშაო მოუპოვეს: „უნდა გამოვტყდეთ და სახალხოდაც ვაღიაროთ, რომ ჩვენში აღძრულ მოძრაობას დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა; მან გაკვალა ცხოვრების ახალი გზა, დასდვა შრომას ფასი, მუშას მოუპოვა სამუშაო და ეს დავიწყებული ჭეშმარიტება განურჩევლად წოდებისა და სქესისა მოაგონა ყველას... საუკუნის განმავლობაში ჩვენში ნარ-ეკალი ითესებოდა და ცხოვრების წყარო განზრახ შეგუბებული იყო. მართალია, ნაპირებზე, თვალის ასახვევად, ია-ვარდი ითესებოდა და თვით გუბეც შორიდან წმინდად მოჩანდა, მაგრამ მის ძირში გველბაყაყები ფუსფუსებდნენ და შმორის სუნი ჰაერს სწამლავდა. საჭირო იყო მისი გაწმენდა, ამას ესაჭიროებოდა ძალა და ეს ძალაც უნდა ყოფილიყო ხალხში. ეს შეიგნეს ჩვენში და ხალხმა მოინდომა არხის გაყვანა, რომ ის ტუმპო დაწმენდილიყო. ახლაგაყვანილ არხზე ყოველთვის მღვრიე წყალი ამოდის და, მაშასადამე, ცოტაოდნად ჩვენი ცხოვრებაც აიმღვრა. უამისობა არ მოხერხდებოდა, — მსოფლიო კანონიაა!.. და როცა დაწდება, მერე კი წმინდა ნაკადული იწყებს მდინარეობას. ეს შეიგნო დღეს გამოღვიძებულმა ჩვენმა ხალხმაც (გაზ. „ივერია“, 1905 წ. № 186).

აკაკი დიდ ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებდა რუსეთის პირველ რევოლუციას. ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ამ უდიდეს სახალხო მოძრაობას უნდა გადაეწყვიტა როგორც ეროვნული, ისე სოციალური პრობლემები. ამიტომ მუშათა კლასის ბრძოლაში პოეტი ხედავდა ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან ხალხთა განთავისუფლების იმედს..

აკაკის მხედველობის გარეშე ამჯერადაც არ რჩება ხალხთა ძმური თანამშრომლობის საკითხი, რაც ახალი შუქით გაანათა

რევოლუციამ. ცნობილია, რომ მეფის რუსეთი ხალხთა დამონების მიზნით ყოველნაირად ხელს უწყობდა სხვადასხვა ერების ურთიერთ შუღლისა და სიძულვილის გაძლიერებას. ეს მით უფრო სჭირდებოდა მას სწორედ რევოლუციის პერიოდში, რადგან კარგად ხედავდა, რომ სხვადასხვა ეროვნებათა პროლეტარიატი მტკიცედ შეკავშირდა ერთი მიზნის მისაღწევად, გაძლიერდა ხალხთა ძმობა და მეგობრობა. პროლეტარიატმა ერთიანი ძალით შეუტია ცარიზმს. კავკასიაში, ხალხის ყურადღების სოციალურ საკითხებისაგან ჩამოშორების მიზნით, ცარიზმმა შესძლო მოსყიდული ბანდების გამოყენებით 1905 წლის 6-7 თებერვალს გამოეწვია მოძმე ხალხთა შორის სისხლიანი შეტაკება. იმავე ხანებში, კერძოდ 22 ნოემბრისათვის, თვითმპყრობელობა ცდილობდა თბილისში მოეწყო მსგავსი სისხლიანი პროვოკაცია, მაგრამ მან ვერ გამოიღო ის შედეგი, რასაც ცარიზმი ელოდა. ამის ერთადერთი მიზეზი იყო ის, რომ „ამიერკავკასიის რევოლუციური სოციალ-დემოკრატები ახორციელებდნენ ნამდვილი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პოლიტიკას... საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ მშრომელ მასებს, რომლებმაც თვითმპყრობელობის პროვოკაციას გაფიცვებით, მიტინგებითა და დემონსტრაციებით უპასუხეს“ (საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1971, გვ. 138). აკაკი წერეთელი, როგორც ერთა შორის მეგობრობის მომღერალი, დაუნდობლად იბრძოდა შოვინიზმის წინააღმდეგ და თავის წერილებსა, სიტყვიერ გამოსვლებსა და მხატვრულ შემოქმედებაში ნიღაბს ხდიდა თვითმპყრობელობის ვერაგულ პოლიტიკას და მოუწოდებდა ხალხს სიყვარულის, ერთობისა და მეგობრობის განმტკიცებისაკენ.

აკაკის ეს ინტერნაციონალური შთაგონება წითელ ზოლად მიჰყვება მთელ მის შემოქმედებას. ცნობილია, რომ პოეტი, როგორც აღვნიშნეთ, სასტიკი მტერი იყო ნაციონალისტურ-შოვინისტური სულისკვეთებისა. იგი წერდა: „შოვინისტობა, ესე იგი სამშობლოს უკუღმართი სიყვარული, როცა იმას ანაცვლებენ სხვების კეთილდღეობასა და ბედნიერებას, საძაგლობაა. ერი უნდა გიყვარდეს, მაგრამ, რასაკვირველია, არა შოვინისტურად, არამედ მამულისადმი ჩვენს სიყვარულს სხვა ერებისადმი სიყვარული, ძმობა, ერთობა უნდა უძღოდეს წინ“. ამ კეთილშობილურ იდეალს დიდი პოეტი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე სათუთად და ფაქიზად ინახავდა. მხცოვანი პოეტი კვლავ აღრმავებდა და ახალი სხივმოსილებით აშუქებდა მას. იგი აღვივებდა ხალხში სხვა ხალხების დიდ სიყვარულს, მეგობრობისა და ძმობის იდეას.

ძმათა შორის შუღლის თესვის საწინააღმდეგოდ აკაკი აქვეყნებს ლექსს „რჩევას“:

ღვთის მადლსა, რა დროს ეს არის;
ძმა ძმაზედ ლესავს ხანჯალსა?!
იღუპებიან ორივე,
არც ღონეს ზოგვენ, არც ძალსა..
გააგდეთ ხმალი... ხანჯალი,
ხელი მიეცით ძმურადა!.
ნუ შესცქერიხართ ერთმანეთს
მტრულად და ბატონ-ყმურადა..
შეერთდით, ძმებო, შეერთდით!
ხელი ხელს მიეცთ ძმურადა
და მტერს დაუხვდით გარეშეს
თამამად.... ვაჟკაცურადა.

1905 წელს გამოქვეყნებულ „მოხუცის გრძნობაში“ პოეტი ხატავს მშრომელთა აუტანელ მდგომარეობას, რითაც მიუთითებს, რომ ამგვარ პირობებში მყოფი ხალხი რომ მტერს თავგანწირულად ეკვეთოს, გასაკვირი სრულებითაც არ არის. პოეტს კარგად ესმის, რომ ძველის უარყოფა არ არის მექანიკური პროცესი, რომ ძველი მთლიანად კი არ უნდა უკუვაგდოთ, არამედ იგი უნდა დავძლიოთ; სასარგებლო ტრადიციები გამოვიყენოთ, უსარგებლო, დრომოჭმული და მავნე დაუნდობლად უკუვაგდოთ; „ჩვენც უნდა დავაგდოთ ძველი, მიხვეულ-მოხვეული გზა და გავიყვანოთ ახალი: უფრო სწორე, პირდაპირი და თამამად გასავლელი“. ამ იდეით შთაგონებული პოეტი გულწრფელად და დიდი იმედით მიესალმა ხალხის რევოლუციურ დარაზმულობას მეფის, ბურჟუაზიისა და მემამულების წინააღმდეგ. იგი 10 ნოემბერს გამოქვეყნებულ ლექსში წერდა:

გამოიღვიძა ხალხმა მძინარმა,
რომ მოიპოვოს თავისუფლება
სიტყვის, მწერლობის, კრება-ერთობის
და აღასრულოს საერთო ნება!..
შრომა ხალხისა შეერთებული
ძალთა ძალია სტიქიონური;
ვერ შეაჩერებს მას ვერაფერი,
გინდა ბრძანებაც იყოს მეფური. („ნატვრა“)

1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების სიდიადემ, შუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის თავგანწირულმა საბარიკადო ბრძოლებმა კიდევ უფრო განუმტკიცეს პოეტს ხალხის ძალებისადმი ღრმა რწმენა. მან აქაფებულ, აღელვებულ და სტიქიონურ ძალმოსილების მდინარეს შეადარა დიდი სახალხო მოძრაობა:

ხალხიც ასეა — რომ აღელდება
და თავის ქერქში ვეღარ ეტევა,
ვერ შეაჩერებს, როგორც სტიქიონს,
ვეღარც ვედრება და ვეღარც წყევა!..
წალეკავს ყველას, რაც ცხოვრებისთვის
არ გამოდგება... უქმი ბარგია
და გადარეცხავს სისხლით მხოლოდ მას,
რაც წარსულიდან აღარ არგია!..
სიყმაწვილიდან მოხუცებამდე
ეს მაწვა გულზე, როგორც რომ ლოდი,
და ხალხის ჩვენში გამოღვიძებას
ერთხელ, ოდესმე მეც მოველოდი.
(„ჩემი რწმენა“)

1905 წლის რევოლუციური ბრძოლების გაჩაღებამ პოეტს აღუსრულა სანატრელი. მარსელიოზის მსგავსად ჟღერენ მისი სიტყვები:

მადლობა უფალს! მოვიდა წარღვნა,
რომ წაილეკოს უსამართლობა
და დაემკვიდროს ამიერიდან
შვება, თანხმობა, ძმობა, ერთობა!
(„ნატვრა“)

რევოლუცია მარტო სიტყვები როდია. ეს არის ბარიკადებზე დაღვრილი სისხლი, ხალხის საუკეთესო შვილთა, თავდადებულ რევოლუციონერთა თავისუფლებისათვის თავგანწირვა, მაგრამ პოეტს ეს სრულებითაც არ აშინებს — ეჟენ პოტიესავით[1] თვალხარბად ეწაფება რევოლუციურ ეპოქის სიდიადეს.

---

[1] პარიზის კომუნის იდეებით შთაგონებული და მისი გამარჯვებისათვის გმირი მებრძოლი, კომუნარი პოეტი ეჟენ პოტიე დაიბადა 1816 წლის 4 ოქტომბერს ხელოსნის ოჯახში. მას წილად ხვდა მძიმე შრომა, შიმშილი, უუფლებობა, პოლიტიკური დევნა და ჩაგვრა. ჭაბუკობიდანვე გატაცებული იყო პოეზიით — წერდა ლექსებს. პირველი ლექსთა კრებული მან მიუძღვნა პოეტ-დემოკრატ ბერანჟეს, ხოლო ლექსით „გაუმარჯოს რევოლუციას“ ჭაბუკი პოეტი შეეგება 1830 წლის რევოლუციას. ეჟენ პოტიე მხურვალედ მიესალმა პარიზის კომუნარების ისტორიულ ბრძოლას და თავგანწირულად იბრძოდა აჯანყებული პროლეტარიატის ბარიკადებზე. იგი არჩეული იყო კომუნის წევრად და ბოლომდე ერთგული დარჩა პარიზის კომუნის იდეალებისა. ამისათვის მას ტირანულმა მთავრობამ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, მაგრამ პოეტმა თავს უშველა საზღვარგარეთ გაქცევით. 1871 წელს ეჟენ პოტიემ შექმნა რევოლუციური ჰიმნი „ინტერნაციონალი“, რომელიც მომავლის დიდი რწმენითა და მგზნებარე ბრძოლის პათოსით შთააგონებდა რევოლუციონერებს, თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხს. ეჟენ პოტიე გარდაიცვალა 1887 წელს. დასაფლავებულია პარიზში, კომუნის ახლოს, 1888 წელს „ინტერნაციონალის“ ტექსტზე მუსიკა დაწერა მუშა-კომპოზიტორმა პიერ დეგეიტერმა. იგი გადაიქცა საერთაშორისო მუშათა კლასის ჰიმნად, პროლეტარული ინტერნაციონალიზ-

ყოველივე ამის გამო სრულიად ბუნებრივია, რომ პოეტმა გადმოაკეთა ეუენი პოტიეს „ინტერნაციონალი“ და იგი საბარიკადო სიმღერად მიაშველა თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირებს. ამავე წლის 4 დეკემბერს აკაკიმ გამოაქვეყნა ლექსი „ძირს“, რომელიც გაბედულად მოუწოდებდა ხალხს თვითმპყრობელობის დამხობისაკენ:

„ძირს მთავრობავ, უსამართლო!
ვეღარ ვიტანთ გასაჭირსო“.
ყოველი მხრივ გეძახიან:
„ძირს მთავრობავ! აწ კი ძირსო!“
ჩვენის სისხლით, ჩვენის ოფლით
უხვად რწყავდი ქვეყნის პირსო,
დღეს ეს აღარ მოხერხდება,
გეუბნებით მიტომ — „ძირსო“.

ეს ლექსი აშკარად გვაგრძნობინებს ეპოქის აჩქარებულ მაჯისცემას, მილიონთა გულების ვაჟკაცურ ძგერასა და ეპოქის აღტაცებულ რიტმს, ხალხის გმირულ ბრძოლას, თვითმპყრობელობის აუცილებელ მსხვრევას:

ბნელს ნათელმა მოაშუქა
და ერთ რამედ ესეც ღირსო!..
ძველი წესი, წყობილება
ბნელს გაპყვება და შენ — „ძირსო!“
ხალხი იბრძვის!.. ხალხი ჰღელავს.
ვეღარ ასდებ აწ აღვირსო!.

ყოველის მხრიდან გეძახიან:
„ძირს მთავრობავ, ძირს და ძირსო“.

რუსეთის პირველი რევოლუცია დამარცხდა. ბევრი რევოლუციურად განწყობილი ადამიანი ციმბირის გზას გაუყენეს, ბევრმაც პოლიტიკური რწმენა გამოიცვალა, ბევრი გასტეხა რეაქციის თარეშმა, ბევრს კი უბრალოდ გული აუცრუვდა ხალხთა გათავისუფლების ამ წმიდათაწმიდა გზაზე. აკაკი წერეთელი კი

მის, მშრომელთა სოლიდარობისა და კლასობრივი დარაზმულობის სიმბოლოდ.

1905 წლის 9 დეკემბერს „პირველი სახალხო რევოლუციის აპოგეის დღეს“, გაზეთ „იზვესტიას“ ფურცლებზე გამოქვეყნდა „ინტერნაციონალის“ ტექსტი. აკაკი წერეთელმა იმავე ხანებში გადმოაქართულა „ინტერნაციონალი“. ლექსს რევოლუციონერები მღეროდნენ ქარიშხლიანი დღეების საბრძოლო ბარიკადებზე. „ინტერნაციონალი“ დაიბეჭდა კ. მესხის „პატარა გაზეთში“ 1906 წ., № 1, პირველ იანვარს, ხოლო № 3 დაიბეჭდა „ჯარისკაცის სიმღერა“, რისთვისაც აღნიშნული გაზეთი აკრძალული იქნა ცარიზმის მიერ. კოტე მესხი და აკაკი პასუხისგებაში მისცეს.

სიცოცხლის ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი რწმენისა. ნათქვამია: სიცოცხლის ბოლო წლებშიც იმ დროშის ტარის ნაკვალევი გვამჩნევია მკერდზე, რაც ახალგაზრდობასა და მოწიფულობაში გვიტარებიაო. ეს სწორედ აკაკი წერეთელზეა ნათქვამი, რადგან თავისი ცხოვრების მიწურულშიც კი იგი კვლავ დაჯგერებული იყო ხალხის მომავალში და კვლავ მოელოდა გამარჯვებას. იგი წერდა, რომ თუ ახლა ვერ გავიმარჯვებთ, მისი რწმენა უნდა ჩავინერგოთ გულში და ახალგაზრდებს ცხოვრების გზაზე საგზლად უნდა გავატანოთ, რათა მათ უეჭველად გაიმარჯვონო.

აკაკი რეაქციის მძვინვარების პერიოდშიც წერს რევოლუციურ თხზულებებს. ერთ-ერთ ნაწარმოებში — „რეაქცია" ჟანდარმების მიერ სახლგადამწვარი გლეხი იოსებ ლაბაძე 1905-1907 წლების რევოლუციის შესახებ გაბედულად აცხადებს: ნეტავი დაბრუნდებოდეს რევოლუციის წლები, კვლავ ავიწევდი წელში და კვლავ ამაყად ვივლი. ახლა კი ვიცი, რომ იმ ცოდვებს არ მაპატიებენ, მაგრამ მაინც იმ გზით ვივლიო. აკაკი გვეუბნება, რომ მშრომელ ხალხში არ ჩამქრალა ნაპერწკალი, საიდანაც აინთება რევოლუციის წითელ-ნარინჯისფერი ხანძარი. შავი რეაქციის წლებში დაწერა პოეტმა „ნამდვილი ამბავი", სადაც გაბედულად იმაღლებდა ხმას დესპოტთა წინააღმდეგ.

მშრომელთა ღრმა პროტესტი გამოხატა აკაკიმ 1908 წელს დაბეჭდილ ლექსში „გლეხის ჩივილი". განაწამები გლეხები საქვეყნოდ აცხადებენ:

ცოცხლადვე ჯოჯოხეთში ვართ,
ვემორჩილებით ყველასა,
მარჯვნივ მივდივართ, თუ მარცხნივ,
ვერსად ვშოულობთ შველასა!..
ზოგს გვაგზავნიდნენ, ზოგს სწვავდნენ,
ზოგს შინვე სჭრიდნენ ყელსაო
და ჩვენი ცოდვა საერთოდ
მოედვა მთა და ველსაო.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ, რეაქციის პერიოდში ცარიზმმა უმოწყალოდ გაულიტა ხალხი, გადაწვა ქალაქები, დაბები და სოფლები, გაძარცვა და გაანადგურა ქვეყანა, გაუგონარი შეურაცხყოფა მიაყენა მოსახლეობას, ციხეებში გამოამწყვდია და შორეული ციმბირის ტრამალებში გადაასახლა რევოლუციონერები. აკაკიმ თავის თხზულებებში ჩვეული შეუპოვრობით ამხილა მეფის მთავრობის აღნიშნული სისაძაგლე, სისხლიანი ტერორის თარეში და ცოფმორეული შური-

ძიება. პოეტის უსაზღვრო აღშფოთება და გულისწყრომა ცარიზმის ზემოაღნიშნული ბოროტების შესახებ გამოთქმულია აგრეთვე ცოლ-შვილისადმი გაგზავნილ წერილშიც. „ქუთაისის გუბერნია, — წერს აკაკი, — გაევრანებულია... იწვის სახლები; დუქნები და მაღაზიები გაძარცულია. ადამიანებს ხოცავენ ბუზებივით; არ არჩევენ მართალს და მტყუანს, საჩხერე დარბეულია“ (წერილები, გვ. 120). მეორე წერილში პოეტი აცნობებს ცოლ-შვილს: „აქ ისეთი საშინელება ტრიალებს, რომ კალმით არ აიწერება. ქალაქში სამხედრო წესებია და ამ დღეებში უკვე საალყო წესებიც გამოაცხადეს. არ არის მიმოსვლა, არც არსად გასასვლელი. ანარქისტები და კაზაკები საშინელ ამბებს ჩადიან. ახლახან დაარბიეს და ააწიოკეს სომხის ბაზარი. ქალაქის ცენტრში ზარბაზნებს ისროდნენ და განურჩევლად გაწყვიტეს ხალხი. დაიღუპნენ უდანაშაულონი, გუშინ აიკლეს ნაძალადევის მთელი უბანი და დღეს ქუჩებში ჰყრია რამდენიმე ასეული ადამიანის გვამი და დამმარხავიცა არავინ არის. საერთოდ, საკმაოა ვინმე ხულიგანმა ან გიჟმა ფუჭად თოფი გაისროლოს, რომ კაზაკებმა განურჩევლად დაუწყონ ჟლეტა მშვიდობიან გამვლელ-გამომვლელთ. რასაკვირველია, ასეთ დროს სახლიდან არ გადიხარ, მაგრამ შინაც არავინ არის დაზღვეული და ყოველ წუთში მოელი სიკვდილს. კაზაკები სახლებს გარედან ასხამენ ნავთს და ისე უკიდებენ ცეცხლს... გაფიცვები, ყველგან გაფიცვები, ყველაფერი დაკეტილია და ზოგჯერ 3-4 დღე უპუროდ ვართ და ვშიმშილობთ“ (წერილები, გვ. 133).

უდავოა, აკაკის წერილებში დაცულ ამ ცნობებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს რეაქციის პერიოდის გასათვალისწინებლად.

რევოლუციის დამარცხებას თან მოჰყვა რენეგატთა და გამყიდველთა სიმრავლე. აკაკი განსაკუთრებული ზიზღით იხსენიებს მათ — ქვეყნის უბედურებით ბედნიერების მომხვეჭელთ:

ამისთანა დროს ვინც განზე დგება
და მით მართალი თავი ჰგონია,
სჩანს, ბუნებითად ეგოისტია,
გული აროდეს არა ჰქონია!..
და ფუი იმასა ვინც არად აგდებს
საერთო ვნების ამდენ სატანჯველს,
სარგებლობს მოძმის უბედურებით
და ის რომ იწვის, მაშინ ითბობს ხელს.

---

[1] შდრ. აკ. წ ე რ ე თ ე ლ ი, წერილები ცოლ-შვილთან, ბესარიონ ჟღენტის რედაქციითა და შესავალი წერილით, 1966 წ., გვ. 27—28.

აკაკის არ ახასიათებს მსუბუქი ოპტიმიზმი, უადგილო სიცილ-ხარხარი საერთოდ უცხოა ხალხის მეთაურებისათვის და მით უფრო ითქმის ეს „განთიადის“ ავტორზე, სახალხო მწუხარების დროს გამოსავლის ძიება და მისი ხილვა პოეტს იმედით აღანთებს, ოპტიმიზმს უნერგავს და ეს იმედი მკითხველსაც აღაფრთოვანებს ახალი ბრძოლისათვის:

მაგრამ სულ ასე ხომ არ იქნება?
ერთხელ ის არის გასჭრის სიმართლე,
წარხოცს დღევანდელ უსამართლობას.
შემოაშუქებს ბნელში სინათლე. („ტყვეს“)

რევოლუციის ახალი აღმავლობის პერიოდში პოეტს კიდევ უფრო გაუღრმავდა მომავლის რწმენა და კვლავ ჭაბუკური გატაცებით ელოდა გამარჯვებას.

* * *

1904 წლის ოქტომბერში, დაძაბული შრომისა და მუდამ შევიწროებული ცხოვრების შედეგად, აკაკის დამბლა დაეცა. მთელი მოწინავე ქართველი საზოგადოება შეაშფოთა ამ ამბავმა. დეკემბრის ბოლოს აკაკი მომჯობინდა, სიკვდილს გადარჩა, მაგრამ მის მშვენიერ სახეს დაღი დააჩნდა. თვალების ქუთუთოების მოძრაობა შეებოჭა, ფართოდ ველარ ახელდა თვალებს. 1905 წლის გაზაფხულზე პოეტი უცხოეთში გაემგზავრა სამკურნალოდ, იმავე წლის სექტემბრის დამდეგს კი ისევ დაბრუნდა სამშობლოში და გამოაქვეყნა რევოლუციისადმი მიძღვნილი ახალი ლექსები.

1907 წლის 30 აგვისტოს ვერაგულად მოკლეს ილია ჭავჭავაძე. დიდი მწერლისა და მოღვაწის დაკრძალვის დღეები ქართველი ხალხის უმძიმესი გლოვის დღეებს წარმოადგენდა. ილიას დასაფლავებას დიდძალი ხალხი დაესწრო. ღრმა მწუხარება გაიზიარეს მოძმე ხალხებმაც. ხალხის გლოვა გადაიზარდა ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულ დემონსტრაციად. საზოგადოება აშკარად და ხმამაღლა გმობდა ცარიზმსა და მის ვერაგ დამქაშებს.

განსაკუთრებით მძიმე იყო აკაკის გამოთხოვების წუთები. „დიდი ამაღელვებელი მომენტი იყო, როცა სასახლის ქუჩაზე პროცესია გააჩერეს და სასტუმრო „კავკაზიდან“ ხელით ჩამოიყვანეს მაშინ ავადმყოფი აკაკი წერეთელი, რომელმაც გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა“.

აკაკი თავის გულითად მეგობარსა და თანამებრძოლს, „ახალი მოძრაობის წინამორბედს, მესვეურს, რომელიც ყოველ საქმეს წინ უდგა“, დიდ ილიას შემდეგი სიტყვებით გამოეთხოვა:

„ახალ-მოძრაობის წინამორბედი, მაგრამ საწალმართოსი და არა საუკუღმართოსი, დღეს უკუღმართად მოკლული, ძევს კუბოში ჩვენ წინ და, თითქოს, გვეკითხება: „რა დაგიშავეთ, რომ ეს დღე დამაყენეთო?“ გვეკითხება და ჩვენ, ქართველებს, თავის გასამართლებელი საპასუხოდ ვერა მოგვიხერხებია რა!.. და მეც, როგორც ქართველს, მწუხარების გარდა, სირცხვილიც ენას მიბამს, ველარას ვამბობ და გადავდივარ საპირადოზე: მშვიდობით, ძმაო! — გარემოებამ გადაგვაბა ჩვენ ერთმანეთზე. ნახევარ საუკუნის განმავლობაში ერთს უღელს ვეწეოდით; ერთი გზით დავდიოდით. ახლა ჩემი მარტოდ დარჩენა, დაობლება საძნელოა, მაგრამ ეჰ, არ ღირს პირადობაზე რაიმეს თქმა და ისიც ჩვენში დღეს!..

შენ კი შენი ქვეყნიური ვალი შეასრულე და განისვენე სამარადისოდ. ამიერიდან ეკუთვნი ისტორიას. შენი საქმეები და ღვაწლი თავისთავად იღაღადებენ. იმათ ჩვეულებრივი მითქმა-მოთქმა ველარც არას დააკლებს და ველარც რაიმეს მიუმატებს! თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და გონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინა უსწარ მის სიკვდილს და თვალით ველარა ნახავ! როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილი შენი გახდა მიზეზად ხალხის ამოძრავებისა და აჰა, საქართველოს ყოველ კუთხიდან თავმოყრილნი გეხვევიან გარს!.. და ვინ იცის, ეგება სიკვდილით მაინც განამტკიცო ის, რასაც შენი სიცოცხლე შესწირე: ერთობას, თანასწორობას, ძმობას და სიყვარულს! მშვიდობით, ძმაო!.. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი!...“ [1]

მოღვაწეობის 50 წლის იუბილე

1908 წლის 7 დეკემბერს ქართველმა ხალხმა დიდი ზეიმით გადაიხადა საყვარელი პოეტის სამწერლო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის ორმოცდაათი წლის იუბილე. პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ, სტოლიპინის რეაქციის მძიმე პირობებში, მშრომელთა წინააღმდეგ ცარიზმის სასტიკი შეტევისა და რეაქციის მხეცური მძვინვარების ხანაში, რევოლუციონერთა საარაკო დევნისა და სისხლიანი წამების ვითარებაში, აკაკი წერეთლის სახელოვანი მოღვაწეობის იუბილე ერთგვარი სახალხო დღესასწაულის ნიშნით ჩატარდა და ცარიზმის წინააღმდეგ პროტესტის დემონსტრაციად გადაიქცა. დიდებული პოეტის

[1] კრებული, ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება, 1907, გვ. 184—185.

იუბილის ჩატარებაში ჩაება მთელი საქართველო. ამ გრანდიოზულ ზეიმში მონაწილეობა მიიღო დიდი რუსი ხალხისა და სხვა მოძმე ერების პროგრესულმა საზოგადოებრიობამ. თბილისში საიუბილეო ზეიმზე საქართველოს ყოველი კუთხიდან, მუშათა ცენტრებიდან და ორგანიზაცია-დაწესებულებებიდან სპეციალურად მოვიდნენ დელეგაციები. ყველანი უსაზღვრო სიყვარულითა და თანაგრძნობით ულოცავდნენ დიდებულ პოეტს 50 წლის მოღვაწეობის დღესასწაულს. დელეგატები ხალხის სახელით გულითად მადლობას უცხადებდნენ სამშობლოს კეთილდღეობისათვის მებრძოლ, სხივმოსილ მგოსანს და უსურვებდნენ ხანგრძლივ სიცოცხლეს. „დეპუტატთა რიცხვი, — წერდა გაზეთი „დროება“, — უთვალავი იყო. სადღესასწაულო კომიტეტი იძულებული გახდა შეემცირებინა რიცხვი დეპუტატებისა, მაგრამ მაინც ბევრმა მოიყარა თავი. განსაკუთრებით ბევრი მოვიდნენ პროვინციიდან: ზემო და ქვემო იმერეთიდან, კახეთიდან, საინგილოდან, ქართლიდან, მესხეთიდან, გურიიდან, სამეგრელოდან, ბათუმიდან, აჭარიდან და სხვა კუთხეებიდან. არ დარჩენილა არც ერთი დაბა, ქალაქი, დეპუტაცია რომ არ გამოეგზავნა. ორასამდე დეპუტაცია იყო. ზოგში ოთხი-ხუთი კაცი იყო, ასე რომ, დეპუტატების რიცხვი ხუთასამდე აღიოდა“. გაზეთი „ალი“ სამართლიანად ამახვილებდა ყურადღებას მუშათა დელეგაციების მიმართ და წერდა: „მუშების ადრესებიც აკაკისადმი უზომო პატივისცემით იყო აღვსილი, როგორც სახალხო მწერლისადმი, რომელიც 50 წლის განმავლობაში საუკეთესო გრძნობებს უღვიძებდა მუშებს, რომელიც ამ ხნის განმავლობაში მათი სულიერი მასწავლებელი იყო“.

საზეიმო სხდომის პროცესში სცენაზე გამოჩნდა ვაჟა-ფშაველა, რომელმაც იუბილარისადმი მიძღვნილ თავის ბრწყინვალე ლექსში მთელი ქართველი ხალხის გულწრფელი გრძნობა გამოხატა. ვაჟა-ფშაველამ თავისი ლექსი შემდეგი უკვდავი სტრიქონებით დაამთავრა:

მეც ამატირა ბევრჯელა
შენს თვალზე ცრემლის დენამა,
ნეტავი ბევრი გაზარდოს
შენისთანები დედამა!..
რომ გიყვარს მამულიშვილი,
დაე იცოდეს ყველამა,
გადაგვარების მოსურნე
შაჭამოს ტურა-მელამა!..
მადლობელი ვარ გულითა,
შოთაის სულის ღხენამა, —
სამშობლოს სამსახურისთვის
ჩანგი გიკურთხოს ზენამა...

აკაკის საიუბილეო დღეებში მრავალ მიძღვნათა შორის აღსანიშნავია იაკობ გოგებაშვილის „საიუბილეო სალამი“. დიდი ქართველი მოღვაწე ძვირფას პოეტს ეუბნებოდა: „გადიდებს, გულწრფელად გადიდებს მთელი შენი სამშობლო და ამ დიდებაში ღირსეულად ბანს აძლევენ ჩვენი მოძმე მეზობელი ერები და და ამით ცხადჰყოფენ, რომ ჩვენი ლხინი მათი ლხინიც არის და ჩვენი ჭირი მათი ჭირიც იქნება, რასაც მადლიერი ქართველობა არასოდეს არ დაივიწყებს“.

აკაკისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოები ჩატარდა საქართველოს თითქმის ყველა ქალაქსა, დაბასა და სოფელში. ზეიმმა განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ქუთაისში. დიდი საზეიმო საღამო გაიმართა ბაქოში, პეტერბურგში, მოსკოვში, კიევსა და ხარკოვში. ბაქოში ზეიმში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს რუსებმა, აზერბაიჯანელებმა. უკრაინელება, სომხებმა, პოლონელებმა, ლატვიელებმა, ებრაელებმა და სხვა ერთა წარმომადგენლებმა. უკრაინელებმა იუბილარს საჩუქრად მიართვეს ტარას შევჩენკოს ძვირფასად მორთული დიდი სურათი. აკაკის ეს საიუბილეო საღამოები ყველგან ხალხთა ძმური სოლიდარობისა და მეგობრობის ნიშნით ჩატარდა. მეფის დამქაშები სასტიკ მეთვალყურეობას აწესებდნენ აკაკის საიუბილეო დღეებზე. ცარიზმი ყოველგვარ ზომებს იღებდა ამ სახალხო ზეიმის შეფერხებისა და ჩაშლისათვის. მაგრამ აზვირთებული მასობრივი მოძრაობა ვერავითარმა წინააღმდეგობამ ვერ გასტეხა და ხალხმა თავისი სახელოვანი პოეტის იუბილე დიდი ზეიმით გადაიხადა. აკაკის საიუბილეო დღეები საზღვარგარეთაც ჩატარდა: სტამბოლში, პარიზში და სხვ.

პოეტი დიდი აღფრთოვანებით ელოდა სახელოვანი იუბილეს ჩატარებას და ძლიერი სურვილი ჰქონდა ცოლ-შვილი დასწრებოდა ამ სახალხო დღესასწაულს და საკუთარი თვალით ენახათ ხალხის აღტაცება და პოეტის დამსახურების გულთბილი დაფასება. მაგრამ ნატალია და ალექსი ვერ ჩამოვიდნენ საიუბილეო ზეიმზე. სახალხო-საზეიმო იუბილეს ჩატარების დღეებში მგოსანი ცოლ-შვილს წერდა: „დაიწყო ჩემი იუბილე! 7 დეკემბერს — ქუთაისში; ამათ მიჰყვება სხვა ქალაქებიც. მე ტყვე ვარ. ღმერთმა ქნას, რომ გავუძლო! ხდება რაღაც არაჩვეულებრივი, რის აღწერაც მე არ შემიძლია. ზოგი რამ გაზეთებიდან შეიძლება შეიტყოთ... 21 დეკემბერს ბაქოში ვიქნები. ბაქოელებმა ითხოვეს (წერილები, გვ. 141—144). იუბილეზე მეტად ნასიამოვნები და გახარებული პოეტი წერდა: „უნდა გითხრათ, რომ ეს არ არის უბრალო იუბილე, რომელიც ერთ დღეს თავდება, ეს არის ხანგრძლივი სახალხო დღესასწაული, „მარტო მოსკოვი-

დან და პეტერბურგიდან 500 მეტი დეპეშა მივიღე“ (აკაკის წერილები, გვ. 144-145).

1909 წლის ივლისში აკაკი წერეთელი სამკურნალოდ ხელმეორედ გაემგზავრა პარიზში. იმავე წლის 2 დეკემბერს, პარიზში მყოფმა ქართველობამ აკაკის გაუმართა ბანკეტი, რომელზეც პოეტმა მეტად მგრძნობიარე სიტყვა წარმოთქვა. პარიზის გაზეთებმა წერილები უძღვნეს დიდებულ ქართველ პოეტს და მისი სამშობლოს გმირულ ისტორიას.

აქვე აღსანიშნავია, რომ პარიზში აკაკიმ დაასრულა თავისი პოემა „ვორონცოვი“. პარიზშივე დაწერა აკაკიმ სცენები „რეაქცია“, რომელშიც გამოხატა თავისი დადებითი დამოკიდებულება 1905 წლის რევოლუციისადმი და მრისხანე გულისწყრომა მეფის ხელისუფლების სისასტიკის წინააღმდეგ. 1910 წლის თებერვლის დამლევს აკაკი წერეთელი სამშობლოში დაბრუნდა.

სიცოცხლის უკანასკნელი წლები

1912 წლის ნოემბერში აკაკი გაემგზავრა პეტერბურგს, სადაც იმ დროს პოეტის ცოლ-შვილი იმყოფებოდა. პეტერბურგში მცხოვრებმა ქართველებმა, რუს და სხვა მოძმე ერთა მოწინავე საზოგადოებასთან ერთად, საგანგებო შეხვედრა მოუწყვეს საყვარელ პოეტს. პეტერბურგიდან აკაკი მიწვეულ იქნა მოსკოვში. მოსკოვის პროგრესული საზოგადოება მხურვალე სიყვარულით გამოეხმაურა პოეტის სტუმრობას. პრესაში მოთავსებულ იქნა სპეციალური წერილები, მოეწყო გულთბილი შეხვედრა, საზეიმო საღამოები და ბანკეტები. აკაკისადმი მიძღვნილი შეხვედრები გადაიქცა რუსი, უკრაინელი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ქართველი და სხვა ერების მოწინავე საზოგადოებრიობის ურთიერთმეგობრობისა და პატივისცემის დემონსტრაციად. ამ შემთხვევის გამო მოსკოვის ერთ-ერთი გაზეთი წერდა: „ქართველი პოეტი წერეთელი ამჟამად იმყოფება ჩვენს სტუმართმოყვარე მოსკოვში. რუსეთის მოწინავე საზოგადოების მოვალეობაა მიესალმოს მას, როგორც პატარა კეთილშობილი ხალხის წარმომადგენელს და უთხრას, რომ რუსი ხალხის გულწრფელი სურვილია „ორი დის“ ნდობასა და თავისუფლებაზე დამყარებული ძმობა“.

გაზეთი „უტრო როსსიი“ აკაკის მოსკოვში სტუმრობის შესახებ წერდა: „...წერეთელი მშობლიურ ხალხში საერთო სიყვარულით სარგებლობს და მისგან მინიჭებული აქვს „საქართველოს უგვირგვინო მეფის სახელი“.

მოსკოვში პოეტი ინახულეს გამოჩენილმა ქართველმა დრამატურგმა და რეჟისორმა ალექსანდრე სუმბათაშვილმა (იუჟინმა), ახალი ქართული თეატრის დიდმა რეფორმატორმა კოტე მარჯანიშვილმა და სახელოვანმა ქართველმა მეცნიერმა ივანე ჯავახიშვილმა. აკაკის პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე (1913 წ. 13 იანვარს) სიტყვით გამოვიდნენ რუსეთის, სომხეთისა და საქართველოს გამოჩენილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. თავის გულთბილ წერილში სომეხმა პოეტმა ა. ცატურიანმა აკაკის „შემოქმედებითი აზრის არწივი" უწოდა. საპასუხო სიტყვაში აკაკი ყველგან საგანგებოდ მიუთითებდა მოძმე ერთა ურთიერთპატივისცემისა და ღრმა სიყვარულის აუცილებლობაზე:

1914 წელს მხცოვანი პოეტი ფიზიკურად დაუძლურდა. მიუხედავად ამისა, იგი კვლავ ინტენსიურ შემოქმედებით ცხოვრებას განაგრძობდა, დაძაბულად მუშაობდა პოემაზე „ომი", უნდოდა იგი სასწრაფოდ დაემთავრებინა.

21 დეკემბერს, შრომით დაღლილი და ფიზიკურად დასუსტებული აკაკი სახლის მოურავმა, კოტე აბდუშელიშვილმა, ქუთაისიდან სხვიტორში ჩაიყვანა. 24 დეკემბერს პოეტს დამბლა დაეცა. ეს ფრიად სამწუხარო ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ საქართველოს. ხალხი გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს საყვარელი პოეტის ჯანმრთელობის მდგომარეობას. საქართველოს ყველა კუთხიდან ჩადიოდნენ სხვიტორში აკაკის სანახავად. პეტერბურგიდან ჩამოვიდა პოეტის შვილი ალექსი. 1915 წლის 25 იანვარს ავადმყოფს კვლავ ჩაექცა სისხლი ტვინში და ღამის პირველ საათზე აკაკი გარდაიცვალა.

ჯერ კიდევ 1912 წელს შედგენილ თავის ანდერძში პოეტი წერდა: „...სამოსახლო ადგილს შენობებით და კარის ეკლესიით სოფელ სხვიტორში, შორაპნის მაზრაში, საკუთრებად ვუტოვებ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომ იქ გაიხსნას დედათა სკოლა ჩემის სახელობისა; ვენახსა და დანარჩენს ჩემს მამულს ვუტოვებ საკუთრებად საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ქართული ზღაპრებისა, არაკებისა და საერთოდ ზეპირ თქმულებათა შესაკრებად და გამოსაცემად. უფლება ჩემის ნაწერების გამოცემისა უნდა მიეცეს ზემოხსენებულ საეთნოგრაფიო საზოგადოებას აღნიშნულ მიზნისათვის. დანარჩენ ჩემ მოძრავ ქონებას ვუტოვებ ჩემს მეუღლეს და შვილს... რადგანაც ზემოხსენებულ სამოსახლო ადგილთან დაკავშირებულია ჩემთვის ფრიად ძვირსი მოგონებანი, ამიტომ ვთხოულობ, დამასაფლაოთ კარის ეკ-

ლასიის გვერდით, სოფელ სხვიტორში, გთხოვთ დამასაფლაოთ უ რალოდ და უგვირგვინოთ. გვირგვინის მსურველს ვთხოვ, გვირგვინის ფასი გადასცეს ზემოხსენებულ „საეთნოგრაფიო საზოგადოებას". ზემოთ აღნიშნული მიზნისათვის". (ე. ი. ხალხური შემოქმედების შესაკრებად და გამოსაცემად, — პ. კ.).

ქართველმა ხალხმა საყვარელი პოეტი უღრმესი ცნუსარებით და პატივისცემით წაასვენა სხვიტორიდან თბილისს და დიდი გლოვით დაკრძალა მთაწმინდაზე, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

• • •

აკაკი წერეთელმა უმდიდრესი შემოქმედებითი მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მის კალამს ეკუთვნის მრავალი ორიგინალური, გადმოკეთებული და ნათარგმნი თხზულება.

აკაკის შემოქმედებითი მემკვიდრეობა პოეტის სიცოცხლეში მთლიანი სახით არ გამოცემულა. ამ გარემოებას მწვავედ განიცდიდა პოეტი და 1912 წელს მან განიზრახა თვითონვე გამოეცა თვისი ნაწერების სრული კრებული. მაგრამ მოხუცი პოეტის ეს წამოწყება განუხორციელებელი დარჩა. გამოვიდა მხოლოდ ორი წიგნი (1912 და 1913 წელს), ხოლო შემდგომი გამოცემა შეწყდა.

აკაკის თხზულებათა ბეჭდვას ძველად აბრკოლებდა ცარიზმი. მეფის ცენზურა დაუზოგავად ამახინჯებდა და დევნიდა აკაკის ნაწერებს, ამის გამო რევოლუციამდე შეუძლებელი გახდა პოეტის ყველა ნაწარმოების გამოცემა და ნამდვილი სახით ხალხისათვის მათი მიწოდება. მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად იქცა აკაკი წერეთლის მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა ხალხის ნამდვილ კუთვნილებად.

1940 წელს ქართველმა ხალხმა, მოძმე საბჭოთა ხალხებთან ერთად, უდიდესი ზეიმით აღნიშნა აკაკი წერეთლის დაბადების ასი წლისთავი, 1965 წელს — 125, ხოლო 1980 წელს — 140 წლისთავი. ამ ნადვილ სახალხო ზეიმში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ქვეყნის მრავალმილიონიანმა ხალხებმა, მთელმა მოსახლეობამ. აკაკი წერეთლის თხზულებები ითარგმნა საბჭოთა კავშირის ხალხთა მრავალ ენაზე, აგრეთვე უცხო ენებზეც.

დიდი პოეტის შემოქმედებითი მემკვიდრეობა რევოლუციამდე არ გამოცემულა სრული და აკადემიური სახით. ამ გარემოების შესახებ აკაკი წერდა: „ქართული მწერლობა საზოგადოდ ვერა სდგას კარგ ნიადაგზე, მაგრამ ყველაზე მეტი უბედურება ჩემ ნაწერებს ეწია; ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში ორი პატარა ტომის მეტი არ გამოსულა, მაშინ, როდესაც რამ-

დენიმე ათეული მაინც უნდა გამოსულიყო". უფრო ადრე, პოეტი დიდი გულისტკივილით აცხადებდა: „ოცდაშვიდი წელიწადია, რაც ვსწერ და ჯერ კიდევ ჩემ ნაწერებს ცალკე წიგნად გამოსვლა არ ღირსებია".

კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ ყველა ეპოქის ძვირფასი ლიტერატურული მემკვიდრეობა საბჭოთა ადამიანების კუთვნილებად აქცია და დიადი მომავლის სამსახურში ჩააყენა. ამ მემკვიდრეობაში დიდი წილი აკაკის ეკუთვნის და მისი შემოქმედებაც მარადის იცოცხლებს.

პირთა საძიებელი

ა

აბაშიძე ე. 11—14, 19, 34
აბაშიძე ვ. 342, 352, 357, 366
აბაშიძე ი. 12
აბაშიძე კ. 238, 242—244
აბაშიძე ნ. (ორბელიანისა) 178, 340
აბდუშელიშვილი კ. 464
აბზიანიძე გ. 15, 34, 120
აბრამიშვილი ა. 411
აგიაშვილი კ. (დადიანისა) 178, 340
ავალიშვილი ნ. 342
ალაიძე მ. 434
ალექსანდრე II 439, 445
ალექსანდრე გიორგის ძე, იმერეთის მეფე 406
ალექსანდრე ხანი, იხ. ალექსანდრე გიორგის ძე 407
ალხაზიშვილი ნ. 125
ანდრონიკაშვილი რ. 166
ანენკოვი პ. 83
ანთელავა ი. 191
ანისიმოვი ს. 433, 434
ანტონ I 305—308, 310, 312, 313, 316, 327, 328
ანტონოვ-ერისთავი 361
ანტონოვი ზ. 178
ანტონოვიჩი მ. ა. 137
არდაზიანი ლ. 180
არისტოტელე 9
არჩილი (მეფე-პოეტი) 305, 395
არწრუნი 345, 353
ასათიანი გ. 150
ასათიანი ლ. 15, 36, 42, 203, 216, 283, 372
ასკოჩენსკი ვ. ე. 121—123
აქსაკოვი ი. ს. 30
აღა-მაჰმად-ხანი 260, 264
აწყურელი შ. 366
ახუნდოვი მ. 282, 332, 356

ბ

ბაბუნაშვილი ე. 328
ბაგრატ მეფე 404, 406, 407
ბაგრატიონი ვ. 305
ბაგრატიონი თ. 124
ბაგრატიონი პ. 39,40
ბაზილევსკაია ნ. 201—205, 462
ბაზილევსკი პ. 201
ბარათაშვილი ნ. 29, 139, 142, 173, 245, 277, 305, 442
ბარამიძე ალ. 146
ბარდა სკლიაროსი 413
ბარიათინსკი ა. ი. 127
ბაჩანა (რაზიკაშვილი) 317
ბეზობრაზოვი ნ. 200
ბეთანიშვილი მიხ. 35
ბელინსკი ბ. გ. 29, 30, 44, 46-78, 84, 86, 87, 90, 94, 97, 98, 108, 112, 119, 138, 139, 141, 143, 145, 149, 150, 159, 219, 254, 274, 278, 279, 282.
ბერიევი დ. 180
ბერიშვილი (იხ. კ. ლორთქიფანიძე) 41
ბესიკი 143
ბირთველიჩი-თუმანიშვილი მ. 166
ბლუჩან სპასალარი 396
ბოტკინი ვ. პ. 76, 83
ბროსე მ. 396
ბურსოვი ბ. ი. 97

X) შეადგინა მ. ვაჩეიშვილმა

ბ

გაბაშვილი გ. 277
გაბაშვილი ეკ. 412
გაბუნია ნ. 342—344, 348, 352, 425;
გაიოზ რექტორი 328
გამეზარდაშვილი დ. 153, 164, 191, 238, 242
განდეგილი (დომინიკა ერისთავი) 412
განძაელი კირაკოზ 394
გაფრინდაშვილი ნ. 274
გაჩეჩილაძე ა. 12, 334, 335, 372
გერბელი ნ. 283
გერცენი ა. 29, 30, 44, 45, 69, 78, 81, 83, 97, 125, 199
გვარამაძე ნ. 370
გიორგაძე ო. 372, 391
გიორგი III 391, 407, 413
გიორგი ბრწყინვალე 432
გლეხარიჩი (გიორგი ერისთავი) 21, 333
გოგებაშვილი ი. 4, 27, 107, 108, 120, 139, 152, 182, 183, 241, 264, 265, 272—274, 277 278, 297, 298, 300 301, 303, 307, 320, 326, 329—331, 425, 443, 450, 462
გოგოლი ნ. 29, 44, 46, 68, 73, 95, 119, 282, 284—286, 331, 356
გორგიჯანიძე ფ. 263
გორისელი-წერეთელი ე. 165
გორკი მ. 297, 329, 330
გრიბოედოვი ა. 118, 356, 368, 412
გრიშაშვილი ი. 168, 216, 233, 282, 372
გუბლია გ. 294
გულია დ. 291
გურამიშვილი დ. 146, 147, 159, 268, 277, 283, 305, 306, 443
გურიელი მ. 12
გურიელი მ. 415
გურული გ. 262, 263

დ

დადიანი ალ. 15
დადიანი გრ. 188
დადიანი ლ. 404
დადიანი ნ. 404
დადიანი ც. 394
დავითი — თეიმურაზ I-ის ძე 406
დავით აღმაშენებელი 391, 432
დავით კურაპალატი 413
დავით ულუ 397
დარეჯანი — სოლომონ I-ის ასული 12
დარეჯან დედოფალი 262, 406—408
დეგეიტერი პ. 455
დიდებულიძე გ. 29
დიდი მოურავი 226, 432
დიდრო დ. 98
დობროლუბოვი ნ. ა. 28, 52, 78, 83, 84, 97—106, 108, 110—116, 119, 134, 137—139, 145, 149, 197, 206, 214, 219, 231, 236, 253, 296, 330, 444
დოდაშვილი კონსტ. 326
დოსტოევსკი ფ. მ. 73
დრუჟინინი ა. ვ. 83

ე

ეგნატაშვილი 377, 390, 396, 406
ენგელსი ფ. 79, 297
ერეკლე II 263, 264, 397
ერისთავი ა. 412
ერისთავი გ. 21, 198, 306, 333, 334, 340
ერისთავი დ. 362, 416
ერისთავი რ. 341, 352, 415, 416, 442
ერისთავი რ. 308
ეფრემი (ანჩისხატის დეკანოზი) 309

ვ

ვაჟა-ფშაველა 277, 300, 301, 316, 317, 319, 320, 376, 378, 415, 430, 461
ვარანცოვი (იხ. ვორონცოვი)
ვახტანგ VI 283, 397
ვახტანგ V 123, 404
ვახტანგ ბატონიშვილი 123
ვახტანგ გორგასალი 232, 432

ვახუშტი ბატონიშვილი 123, 404
ვახტეროვი ე. პ. 26
ვენგეროვი ს. ა. 70

ზ

ზაიცევი ვ. ლ. 115, 137—139

თ

თავზიშვილი გ. 241, 428
თათარხანი (ივ. დადეშქელიანი) 294
თამარ დედოფალი 397
თამარ დედოფალი (ცბიერი) 404, 405, 407, 408
თამარ მეფე 391, 398, 432
თამრო ეაშლოვანელი 393
თარხნიშვილი. 166

ი

იბსენი ჰ. 361
იევანოვი დ. პ. 69
ინგოროყვა პ. 251, 265, 333

კ

კაკაბაძე ს. 263
კარგარეთელი ი. 348
კატკოვი მ. ნ. 440
კეკელიძე კ. 395
კერესელიძე ივ. 36, 38, 39, 127, 178—180, 207
კიკნაძე გრ. 158, 239
კლდიაშვილი ე. 341

ლებედევ-პოლიანსკი პ. ი. 101, 109
ლეანდა ნ. ს. 29
ლემკი მ. კ. 104
ლენინი ვ. ი. 43—45, 73, 79, 80, 82, 99, 105, 198, 209, 210, 215, 219, 221—223, 237, 276, 280, 296, 297, 299, 302, 322, 330, 425—428, 444, 446—449
ლერმონტოვი მ. ი. 36, 44, 110, 112, 119, 282, 325
ლესინგი გ. 98
ლორთქიფანიძე ბ. 11
ლორთქიფანიძე დ. 241
ლორთქიფანიძე ი. 309, 310
ლორთქიფანიძე კ. 11, 14, 40—42, 123—125, 139, 181, 199, 271, 307, 419
ლუარსაბ I 396

მ

მაია წყნეთელი 393
მარი ნ. 327
მარიამ დედოფალი 391
მარქსი კ. 79, 98
მაყაევი ს. 310
ეირსალაძე ე. 121, 216
ეორონცოვი მ. 21, 39, 333
ეოსტორგოვი 269, 270

ზანდუკელი მ. 120

თაქერი მოჰამედ 407
თეიმურაზ I 406
თეიმურაზ II 397
თეიმურაზ ხანი (თეიმურაზ I) 407
თინა წაქაისელი 393
თოფურია ვ. 307, 331
თუმანიშვილი ა. 412

იოანე ზოსიმე 299
იოსელიანი პლ. 127, 306

კორინთელი ბ. 352
კორფი ნ. ა. 26
კოსტომაროვი ნ. ი. 125
კოტეტიშვილი ვ. 252
კოშანსკი ნ. თ. 28
კრილოვი ი. ა. 282
კრუჭკოვი ვ. ს. 106
კუპერი ჯ. ფ. 89

მაჩაბელი ძვ. 423, 440
მაჭავარიანი ივ. 325
მაჭახელაძე (ალ. ჭყონია) 438
მარჯანიშვილი კ. 352, 464
მახარაძე აპ. 164, 177, 418

მახარაძე ფ. 411
მგალობლიშვილი ელ. 76
მგალობლიშვილი სოფრ. 150, 429, 430
მერკვილაძე ს. 34
მესხი ეკ. 140
მესხი კ. 367, 456
მესხი ს. 320, 419, 421
მესხიშვილი ელ. 342, 365
მეტერლინკი მ. 361
მეუნარგია ი. 438
მეძველია კ. 120
მთაწმინდელები 226
მინაევი დ. დ. 208—209
მიცკევიჩი ა. 29, 33
მოლიერი 332, 343
მოსიძე მ. 178, 340
მუხრანსკი გ. 185, 186

ნ

ნადირ-შაჰი 397
ნათაძე ს. 430
ნეკრასოვი ნ. 66, 78, 83, 97, 98, 119, 137, 282, 287, 437
ნესტან-დარეჯანი (დედოფალი) 396
ნიკიტინი ი. 111
ნიკოლაძე ა. 287, 372
ნიკოლაძე დ. 41
ნიკოლაძე ნ. 4, 22, 26—29, 40, 41, 116—118, 125, 139, 166, 181, 191, 192, 199, 200, 267, 277, 287, 300, 301, 307, 419, 420, 437
ნიკოლაიშვილი ე. 328
ნიკოლოზ I 103, 104
ნუცუბიძე შ. 257

ო

ობოლაძე უ. 428
ომან მდივანბეგი 397
ორბელიანი ალ. 180, 186, 263
ორბელიანი გრ. 166—168, 170, 171, 299, 438, 440
ორბელიანი ე. 263
ორბელიანი ს. 123, 268, 305, 306, 328
ორბელიანი ყ. 341
ოსტროვსკი ა. 103, 356
ოუენი რ. 99, 100

პ

პანაევი ი. ი. 26
პაპუაშვილი შ. 85
პეტრიწი ი. 226, 432
პისარევი დ. 83, 115, 121, 138, 139
პლეხანოვი გ. 276
პოლონსკი ი. 134
პოსპელოვი გ. ნ. 46, 77, 82
პოტიე ე. 455, 456
პუშკინი ა. ს. 4, 29, 30, 36, 44, 112, 118, 278, 282, 297, 331, 442

ჟ

ჟდანოვი ვ. 112
ჟორდანია თ. 405
ჟღენტი ბ. 202, 203, 458

რ

რადიანი შ. 150, 372
რადიშჩევი ა. ნ. 44, 118
რაზიკაშვილი თ. 317
რაზიკაშვილი ნ. (ბაჩანა) 430
რაფაელი 149
რუსტომ მეფე 391

ს

სადუნიშვილი მანო 16
სალომე ბატონიშვილი 123
სალტიკოვ-შჩედრინი 83
სარდუ ე. 440
საფაროვა-აბაშიძე მ. 334, 342, 343, 352
სენკევიჩი ჰ. 332
სენ-სიმონი 99
სვანი (თათარხანი) 294
სვიმონ მეფე 376, 377, 393
სიხარულიძე ქს. 425
სოლომონ I 7, 12, 373
სრეზნევსკი ი. ი. 116
სტოიუნინი ვ. ი. 26
სუმბათაშვილი ალ. (იუჟინი) 332, 348, 464
სუნდუკიანცი მ. 282, 289—291, 353—355
სხვიტორელი (წერეთელი დავით) 15

ტ

ტაბიძე გ. 5
ტოლსტოი ლ. ნ. 119, 278, 286, 296 330
ტურგენევი ი. ს. 119, 137, 296, 297, 330

უ

უვაროვი ს. ს 22
უმიაბვილი ჰ. 415, 416, 419
ურუშაძე ა. კ. 273
უშინსკი კ. დ. 26, 300, 301

ფ

ფალიაშვილი ზ. 277
ფიშერი კ. 85
ფუთურიძე ვ. 407
ფურიე შ. 99

ქ

ქავთარაძე ბ. 130
ქავთარაძე ი. 305
ქაჯაია ვ. 241
ქეთევან დედოფალი 398, 406
ქორქაშვილი ლ. 130
ქუთათელაძე ა. 436
ქუთელია ალ. 85

ღ

ღოღობერიძე ბ. 40, 125, 166, 167
ღოღობერიძე გ. 130
ღოღობერიძე დ. 125
ღოღობერიძე ნ. 40

ყ

ყაზბეგი ალ. 216, 300, 415
ყანჩაველი ვ. 16
ყაუხჩიშვილი ს. 377, 390, 396, 397, 406
ყიფიანი დიმ. 415, 416, 441
ყიფიანი კ. 342, 352, 415
ყიფიანი შ. 435
ყიფშიძე გრ. 248, 352

შ

შანეძე აკ. 305, 327
შარდენი ჟ. 404
შარვაშიძე გ. 291—294
შახ-აბაზი 377, 378

შაჰ-თამაზი 396
შაჰნავაზი (ვახტანგ V) 404, 407
შევარდნაძე ე. 277
შევჩენკო ტ. 29, 125, 126, 282, 283
შელგუნოვი ნ. ვ. 85
შემანოვსკი მ. ი. 103, 104
შექსპირი უ. 59, 351
შოთა რუსთაველი 153, 226, 268, 277, 305, 306, 312, 340, 388, 432
შოლოხოვი მ. 297
შჩედრინი 108

ჩ

ჩერნიშევსკი ნ. 43, 45, 70—100, 105, 108, 112, 114, 115, 119, 121, 133, 137—139, 141, 143, 145, 193, 197, 198, 214, 218, 219, 276, 278, 296, 330, 444
ჩიქობავა არნ. 304,306, 327
ჩიქოვანი მ. 425
ჩოლოყაშვილი ბ. 234
ჩორმაღონი 397
ჩუბინაშვილი დ. 20, 123, 124, 310, 377, 390, 396, 406, 408
ჩუბინოვი დ. (იხ. ჩუბინაშვილი დ.)
ჩხეიძე (მსახიობი) 350
ჩხეიძე ბ. 130

ც

ცაგარელი ალ. 415
ცაგარელი ალ. 327, 380, 381
ცატურიანი ა. 464
ციმაკურიძე ალ. 430
ციციშვილი დ. 313
ციციშვილი ევ. 12
ციციშვილი ნ. 12

წ

წერეთელი ა. რ. 3—40, 42, 43, 85, 118, 120—128, 130, 131, 133—266, 268—296, 300—304, 307, 309——380, 382—403, 405, 407—466
წერეთელი ა. 130
წერეთელი ა. ა. 203—205, 462, 464
წერეთელი ა. რ. 14, 15, 19, 20, 3[illegible]
წერეთელი გ. დ. [illegible]
წერეთელი გ. ე. 40, 125, 139, 170, 199, 229, 277, 300, 301, 304, 307, 320, 326, 368, 419, 423, 437, 440
წერეთელი დ. რ. 14, 15
წერეთელი დ. ჭ. 7
წერეთელი ე. 165, 166
წერეთელი ზ. 8
წერეთელი ი. ა. (ცლიკო) 14, 15, 39, 40
წერეთელი მ. ა. (მატა) 14, 15
წერეთელი ნ. 130, 187
წერეთელი პ. ჭ. 7
წერეთელი რ. გ 7, 8
წერეთელი რ. რ. 7—12, 33, 185, 187, 333
წერეთელი (სახუციშვილი) [illegible]
წერეთელი ს. გ. 7
წერეთელი ჭ. 7

ხ

ხაჭაპაძე ალ. 242
ხაჭაპაძე ი. 3—5, 36, 40, 41, 116, 119, 120, 123, 132, 139, 141, 142, 151, 152, 159, 160, 164—167, 169, 170, 181, 199, 216, 242, 243, 254, 265, 267—269, 273, 277, 281, 297, 298, 300, 301, 303, 307—309, 314, 320, 326, 330, 331, 343, 345, 353, 353, 379—381, 415—417, 422, 425, 431, 435, 440—442, 459, 460
ხეიშვილი 341
ხიჩინაძე ზ. 178, 189
ხურღულია ო. 294
ხუხულაშვილი ვ. 406

ხ

ხაკანი 396
ხერხეულიძეები 389
ხოშაგ ცოქალი 391
ხუნდაძე სიკ, 326
ხუნდაძე სიმ. 22, 199
ხუსკივაძე თ. 430
ხუციშვილი ს. 372

ჯ

ჯავახიშვილი ივ. 327, 328
ჯამბაკურ-ორბელიანი ალ. 263, 264, 307
ჯანაშვილი დიმ. 377, 396
ჯანაშია ს. 292, 294
ჯაყელი კრავაი 391
ჯიბლაძე გ. 46, 74, 76, 83, 96, 257
ჯორჯაძე ბ. 310, 384
ჯორჯაძე დიმ. 166

ჰ

ჰამუთ-ბეგ-შარვაშიძე მ. 291, 292
ჰეგელი გ. ვ. ფ. 85, 86

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინათქმა 3
აკაკის შობლები, ოჯახი და ბავშვობის წლები 6
აკაკი გიმნაზიაში 22
სტუდენტობის წლები 39
ზოგი რამ რუს რეაოლუციონერ-დემოკრატთა ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებისა და მათი ქართველ სტუდენტობაში გავრცელების შესახებ 43
აკაკი ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ 131
აკაკი თაობათა შორის ბრძოლაში 160
სამშობლოში დაბრუნება. ბრძოლა ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ 177
ბრძოლა ცარიზმის, მისი მოხელეების, თავადაზნაურობასა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ 213
ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დიდი მოღვაწე 236
ბრძოლა ბურჟუაზიული კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ 272
აკაკი — ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის დიდი მომღერალი . . 276
მოღვაწეობა ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისათვის . 296
აკაკი ქართული თეატრის მოამაგე 332
პოეტი ქართველი ქალის შესახებ 372
ლიტერატურული საღამოები და საჯარო ლექციები 415
აკაკი და ქართული პერიოდული პრესა 418
ხალხური შემოქმედების შემკრები და გამომცემელი 423
პოეტი ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის შესახებ 425
მოგზაურობა საქაროველოს ქალაქებსა და სოფლებში 428
ცხოვრებისა და მოღვაწეობის სხვა მხარეები 436
ა. წერეთელი და რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია 444
მოღვაწეობის 50 წლის იუბილე 460
სიცოცხლის უკანასკნელი წლები 463
პირთა საძიებელი 467

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ლოლაძე
მხატვარი ო. ვარვარიძე
მხატვრული რედაქტორი ი. ჩიქვინიძე
ტექნიკური რედაქტორი ი. ხუციშვილი
კორექტორი ც. მოლოდინი

სბ 830

გადაეცა წარმოებას 7. 09. 82. ხელმოწერილია დასაბეჭდად 28. 03. 85. უე 05116. საბეჭდი ქაღალდი 60×90¹/₁₆. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 29,75. სააღრ.-საგამომც. თაბახი 26.

ტირაჟი 4000. შეკვეთის № 2159.

ფახი 2 მან. 60 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის
ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.